

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული
ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ივორ კეკელია

**პაატა ცხადაია –
ქართველური ონომასტიკის
მოჭირნახულე**

ქუთაისი
2017

გამოჩენილი ენათმეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პ. ცხადია თითქმის ნახევარი საუკუნეა იშვიათი გულმოდგინებით იკვლევს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ და სულიერ საფუძვლს – ტოპონიმებს, ანთროპონიმებს, ზოონიმებს... იგი ახერხებს, ჩაწვდეს „მიწის ენაში“ გაცხადებული ქართული სულის მშვენიერებას და მისთვის ჩვეული ამადღებული ფიქრით საცნაური გახადოს იგი მკითხველისათვის...

წინამდებარე მონოგრაფიაში წარმოჩენილია ის ღვაწლი, რაც ამ მუხლჩაუხრელ და ღვაწლმოსილ სწაველულს მიუძღვის ონომასტიკური მეცნიერების განვითარების წინაშე. წიგნი ეძღვნება პაატა ცხადიას დაბადებიდან 80 წლისთავს.

რედაქტორი **მერაბ ჩუხუა,**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

მერაბ ბერიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მურად კემულარია,

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ქეთევან მარგიანი,

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ნიკოლოზ ოთინაშვილი,

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ISBN 978-9941-408-03-8



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
მის. ქუთაისი, თამარ მეფის 59. ტელ.: (0431) 24 00 21

E-mail: atsugamomcemloba@gmail.com

წინასიტყვაობა

*წარსულზე ოხვრას რისთვის უნდება
ყოველი დღე და შებინდობუნდება?
თითქოს ბერდები? არაფერია,
ათასი წლისაც არ დაბერდები!*
გალაკტიონი

მიმდინარე წელს 80 წელი შესრულდა ცნობილი ენათმეცნიერისა და პედაგოგის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **პაატა ცხადაიას** დაბადებიდან.

განსაცვიფრებელია თავისი დროისა და თავისი ქვეყნისთვის ამ ფრიად დამაშვრალი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედებითი ნაყოფიერება. გამორჩეულია მისი ადგილი ქართული ონომასტიკური მეცნიერების განვითარებაში. მის კალამს ეკუთვნის დიდი თავდადებით და გულმოდგინებით, მშობლიური ქვეყნის წარსულის თავდავიწყებული სიყვარულით აღსავსე, ცალკე წიგნებად გამოცემული 25-მდე მონოგრაფია და საღეჟსიკონო მასალა, ათეულობით საჟურნალო და საგაზეთო სტატია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ XX საუკუნის საქართველოს, დღევანდელობამდე, არ ჰყოლია ონომასტიკის პრობლემური საკითხების ისეთი აღიარებული მკვლევარი, როგორც ბატონი პაატა ცხადაია გახლავთ. ქართველ ისტორიკოსთა, გეოგრაფთა და ენათმეცნიერთა შორის არავის გაუკეთებია იმდენი ეროვნული ონომასტიკის შესწავლის მიმართულებით, რამდენიც პაატა ცხადაიამ გააკეთა. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ საქმე მხოლოდ რაოდენობაში კი არა, ხარისხშია. უცნაური გულმოდგინება და მეცნიერებისადმი თავგანწირული სიყვარული გამოარჩევს მის პირველხარისხოვან გამოკვლევებს, რომლებშიც განხილული და წარმოჩენილია ეროვნული ონომასტიკის არაერთი კარდინალური და პრინციპული საკითხი. ამ მხრივ საკმარისია პ. ცხადაიას ბრწყინვალე მონოგრაფიების – „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“, „სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია“;

„საკუთარი სახელი მეგრულ (ზანურ) ენაში“ – დასახელება. ეს ნაშრომები, საკმარისია, რომელიც გნებავთ ენათმეცნიერის სახელის უკვდავსაყოფად.

მეცნიერმა არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა ქართული ონომასტიკის თეორიულ და ტერმინოლოგიურ საკითხებს, საფუძვლიანად შეისწავლა ონომასტიკური მეცნიერების განვითარების ძირითადი ტენდენციები. მისი თვალსაწიერი ღრმად სწვდება ენათმეცნიერების ამ მნიშვნელოვანი დარგის წახანაგებს. ზოგადად კოლხეთის ონომასტიკისა და, კონკრეტულად, ტოპონიმის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს თუ მკვლევარს ხელთა აქვს მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველი სალექსიკონო მასალები კოლხეთის გეოგრაფიულ სახელწოდებებზე. პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძის მართებული შეფასებით, პ. ცხადაია „ქართული ონომასტიკური კვლევის აღიარებული ღიადერია და სავსებით დამსახურებულად სარგებლობს პატივისცემით არა მარტო ენათმეცნიერთა, არამედ გეოგრაფთა, ეთნოგრაფთა და ისტორიკოსთა შორისაც. პ. ცხადაიას დღემდე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები გამოირჩევა ემპირიული მასალის სიუხვითა და სანდოობის მაღალი ხარისხით, ანალიზის მეთოდური გამართულობით, დასკვნათა ლოგიკურობითა და ავტორისეული ნიჭის ელვარებით“. ცნობილი ავხაზი ენათმეცნიერი, სოხუმის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტის თანამშრომელი ვალერი კვარტია აღნიშნავს: „არის ჩემი შრომებიც და ცხადაიას შრომებიც. ცხადაია არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირში ცნობილი მეცნიერია. იგი 60 წლის წინ იწერდა სოფლების ისტორიულ სახელებს“¹.

მკვლევრის ნაშრომებს კარგად იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ცნობილი გერმანული ქართველოლოგი ვინფრიდ ბოედერი ასეთ შეფასებას აძლევს პ. ცხადაიას მეცნიერულ მოღვაწეობას: „ჰვირფასო ბატონო პაატა... საოცარია თქვენი ნაყოფიერი ავტორობა. იმის მიუხედავად, რომ ონომასტიკა თავისთავად საინტერესოა სხვადასხვა თვალსაზრისით, თქვენი მოღვაწეობა იმიტომაც მნიშვნელოვანია, რომ

¹ იხ. ზ. წულაძე, სეგრეგაცია ეთნიკური ნიშნით ავხაზეთში. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VII, 2015, 455.

ადამიანების ეს ორიგინალური და თანაც პოეტური ენობრივი წარმოების „ძეგლები“ დღევანდელი ცხოვრების პირობებში იკარგება დაიწყებით. ამის მიხედვით გავხართ იმ ლინგვისტებს, რომლებიც ზოგი ენის ბოლო მოლაპარაკის მეტყველებას აფიქსირებენ...“

პ. ცხადაია თითქმის ნახევარი საუკუნეა, იშვიათი გულმოდგინებით იკვლევს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ და სულიერ საუნჯეს – ტოპონიმias, ანთროპონიმias, ზოონიმias... იგი ასერხებს, ჩაწვდეს „მიწის ენაში“ გაცხადებული ქართული სულის მშვენიერებას და მისთვის ჩვეული ამაღლებული ფიქრით საცნაური გახადოს იგი მკითხველისათვის...

ამ უბრალო და მაღლიანი სულიერი სამყაროს მქონე ადამიანის მეცნიერულ აზროვნებას, ყველაზე აბსტრაქტული მსჯელობის დროსაც კი, მშრალი, დოგმატური აზროვნების მიღმა „არსებული“ თანმიმდევრული ლოგიკური სვლა და ემოციური მუხტი გამოარჩევს. პაატა ცხადაია განასახიერებს ფუნქციური ფუსფუსა, მშრომელი და დაუცხრომელი მოღვაწის იდეალურ ტიპს... მისი, როგორც გამოჩენილი მეცნიერისა და თაობათა სულიერი აღმზრდელის, მდიდარი შემოქმედებითი შემკვიდრეობა, მომავალში ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნის ეროვნული საუნჯის – ონომასტიკის საკითხებით დაინტერესებული ქართველი ახალგაზრდობის ინტელექტუალურ წრეობას.

აღბათ გადაჭარბებულ შეფასებად არავინ ჩაგვითვლის იმის თქმას, რომ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული დღევანდელობამდე ქართული ონომასტიკის, როგორც მეცნიერების, წინსვლა, გამოჩენილი ენათმეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის – პაატა ცხადაიას აპოლოგიაა.

...ასე და ამგვარად ცხოვრობს და მოღვაწეობს ჩვენს გვერდით და ჩვენთან ერთად ამაღლებული და სათნოებით აღბეჭდილი, ფრიად გამორჩეული მეცნიერი, მოაზროვნე და მამულიშვილი... მისი ცხოვრება და ღვაწლი ღირსია იმისა, რომ საგანგებო ყურადღება მივაქციოთ, გულმოდგინედ შევისწავლოთ და გავითავისოთ.

ვფიქრობთ, სრულიად ლოგიკური იქნება, რომ პაატა ცხადაიას დაბადებიდან 80 წლისთავზე, გულდასმით თვალი გადავაფ-

ლოთ მუხლჩაუხრელი და ღვაწლმოსილი სწავლულის უნიკალური მრავალფეროვნებით და სიმრავლით აღბეჭდილ შემოქმედებით პანორამას, რათა დაერწმუნდეთ ამ შრომისმოყვარე მეცნიერის საოცარ მასშტაბურობასა და ნაყოფიერებაში.

წინამდებარე მონოგრაფიაში ჩვენ არ გვიცდია, თუნდაც მიახლოებით წარმოგვეჩინა ის ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის ამ დარგის განვითარების წინაშე. ნაშრომში შეუძლებელია მოცემულ იქნას მეცნიერის ნაღვაწის სრული შეფასება. ენათმეცნიერების მნიშველოვან დარგს – ონომასტიკას, რასაც იგი შეხება, შეიძლება მონოგრაფიები მიეძღვნას. ამჟამად შევჩერდებით პ. ცხადაიას მხოლოდ რამდენიმე ნაშრომზე, რათა გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას მეცნიერული მუშაობით მის შეუნილებელ გატაცებასა და მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი
პაატა ცხადაიას ცხოვრების გზა
§1. პ. ცხადაია ჯვარის საშუალო სკოლაში

გამოჩენილი ენათმეცნიერი და პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველური ონომასტიკის მოტირნახულე პაატა ცხადაია 1937 წლის 25 აპრილს დაიბადა წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯვარში, პედაგოგთა ოჯახში. მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში, უპირველესად, რა თქმა უნდა, დავაწლი მის მშობლებს მიუძღვის. მამას – ალექსი იაკობის ძე ცხადაიას (დაბადებული 1909 წ.) დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, ისტორიის მასწავლებლის სპეციალობით. პედაგოგიური ნათლობა ზუგდიდის რ-ნის სოფ. კორცხელის საშუალო სკოლაში მიიღო. 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან იგი დანიშნეს წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად, შემდეგ განყოფილების გამგედ. მისი თავკაცობით ჯვარში, ღიასა და ჯგალში გაიხსნა საშუალო სკოლები. შემდეგ ალექსი ცხადაია გადაყვანილი იქნა ჯვარის (ჯვარზენის) საშუალო სკოლის დირექტორად... მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. სახალხო მასწავლებლის, ალექსი ცხადაიას დავაწლსშემდეგი სიტყვებით აფასებს დავითფიფია: „ეს ხომ შენი ხელითაც გამოიჭედა წერა-კითხვის უცოდინართა ათასებიდან ჩვენი რაიონის შესანიშნავი ინტელიგენცია... ნათქვამია, მგორავი ქვა ხავსს არ მოიკიდებსო. ახლაც მეთაურობ ენგურჰესის მშენებელი მუშა-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, ახალგაზრდობისა, რომლის მადლიანმა მარჯვენამ უნდა მოაქციოს მშფოთვარე ენგური რკინის არტახებში, რომ თვალისმომჭრელ სინათლედ დაიფრქვეს ნათურებში... ლეგენდარული ანთეოსისა არ იყოს, იმით ხარ ძლიერი, რომ სასიცოცხლოდ ხარ ჩაფესვილი შენი ხალხის ცხოვრებასთან. ჯვარის საზოგადოებას შენი სახით ჰყავს დირსეული, ვალმოდელი და უძვირფასესი წევრი, მისი დამფასებელი და მისგან დაფასებული... შენი შინაარსიანი ცხოვრება ბევრი ხანია გაცდა

საპირადოს, მას ყველასათვის აქვს მნიშვნელობა“¹. ალექსი ცხადაია 75 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. დედა ქსენია კოტაბის ასული ბელქანია დაბადებულია 1914 წელს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ულურიაში. დაამთავრა ხაბუშის პედაგოგიური ტექნიკუმი და გათხოვებამდე და შემდეგაც დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო, მაგრამ ქვეყნად რამდენიმე შვილის მოვლინებისა და დედამთილის გარდაცვალების შემდეგ მთელი თავისი ძალა და ღონე ოჯახის მოვლასა და შვილების აღზრდას შეაღია (გარდაიცვალა 1985 წელს).

1944 წლის 1 სექტემბერს 7 წლის პატიკო ცხადაია ჯვარის საშუალო სკოლაში შეიყვანეს. აღმოჩნდა, რომ სკოლის შენობაში ამ დროს სატანკო დივიზია იდგა. თუკი ფაშისტები კავკასიის მთებს გადმოლახავდნენ და კოლხეთის დაპყრობას შეეცდებოდნენ, დივიზია მზად იყო, ღირსეულად დახვედროდა მტერს. სკოლის ეზოში საწვავის სუნი იდგა და მწვანე საფარი გადატრუსული იყო. სწორედ აქ, ცაცხვის ძირას შეკრიბა პირველკლასელები მასწავლებელმა ფლორა ჭანტურიამ, სათანადო სია შეადგინა და გააფრთხილა, რომ, მეორე დღიდან დაწყებული, გაკვეთილები შუადღეს დაეწყებოდათ. როგორც პ. ცხადაია იხსენებს, ქ-ნი ფლორა ყველა პირველკლასელის ჭეშმარიტი დედა და წერაკითხვის ჯადოსნური მასწავლებელი იყო. ამასთანავე, პატიკო გულთბილად მეგობრობდა ქალბატონ ფლორას ვაჟიშვილ გურამთან და თერთმეტი წელი მის გვერდით იჯდა მერხზე.

ჯვარის საშუალო სკოლაში პ. ცხადაიას ასწავლიდნენ ნინა ქურდიანი, აგრაფინა ხუბუტია, ბაბუცა ბარამია, ზინა, ფლორა, კოლია და ლუდოვიკო ჭანტურიები, ნაპო მორგოშია, სევე და ჟორა მატუები, აბელ ქუხილავა, ამირან ახალაია, ალექსანდრე აქუბარდია, თეოფანე აკობია, ამბროსი და ალექსი ცხადაიები, არჩილ და დავით ფიფიები. მომავალმა მეცნიერმა პედაგოგებისა და მშობლიური სანახებისადმი სიყვარული და მოწიწება იმით გამოხატა, რომ მშობლიური რაიონის გეოგრაფიული სახელწოდებებისადმი მიძღვნილი წიგნის პირველი და მეორე, შევსებული გამოცემა უძღვნა ჯვარის მედიტონ ქანთარიას სახელობის საშუალო

¹დ. ფიფია, ღია წერილი სახალხო მასწავლებელს ალექსი ცხადაიას. გაზ. „კომუნისმის დროშით“, 1968.

სკოლის პედაგოგთა ნათელ ხსოვნას. ავტორი წიგნს შემდეგ სიტყვებს წარუმიძღვარებს: „მათ ცდა, ცოდნა და გამოცდილება არ დაიშურეს, რათა კომუნისტური იდეოლოგიის პირობებში ჩემთვის და ასობით და ათასობით ჩემი თანატოლისათვის ჩაენერგათ წინაპართა მიერ შემუშავებული და ტრადიციად ქცეული მაღალხეობრიობა, ქართული კაცურკაცობა და პატრიოტული მოქალაქეობრიობა. ისინი დღეს იმკვეყნიურ საუფლოში განისვენებენ ვალმოხდილნი, ჩვენი გულები კი მათი ნათელი ხსოვნის სამყოფელია“¹. მერვე კლასიდან დაწყებული, პატივო ცხადია აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახის სასკოლო და რაიონულ სპორტულ ღონისძიებებში, ცნობილი მწერლების ნაწარმოებთა განხილვაში; სცენაზე განასახიერებდა სხვადასხვა პიესათა პერსონაჟებს; კითხულობდა მოხსენებებს სალიტერატურო წრეში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე და მონაწილეობდა ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოებების განხილვაში, მოცეკვავეთა გამოსვლებში. მცირე ზომის სტატიების გამოქვეყნება პრესის ფურცლებზე ჯერ კიდევ მოსწავლეობის წლებში დაიწყო. გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ დაბეჭდილ სტატიაში პ. ცხადია მკითხველებს მოუთხრობდა იმის შესახებ, თუ რა სამუშაოებს აწარმოებდნენ სასკოლო მიწის ნაკვეთზე სოფ. ჯვარის საშუალო სკოლის ნორჩი ნატურალისტები².

1954 წლის შემოდგომაზე რაიონის განათლების განყოფილებაში ყველა სკოლას შეატყობინა, რომ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე აწყობდა ყოველწლიურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციას და მონაწილეობის მსურველებს სთხოვდა, გამოეგზავნათ სიახლის შემცველი სამეცნიერო ნარკვევები. ჯვარის საშუალო სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელმა, ფილოლოგმა დავით ფიფიამ შესთავაზა მეთერთმეტეკლასელ პატივო ცხადიას, გამგზავრებულიყო წადენჯიხის რაიონის სოფ. ობუჯში და დაწვრილებით შეესწავლა 1905 წლის რევოლუციური სიტუაცია და გამოეველინა ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“

¹ პ. ცხადია, წადენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი (შეგებული გამოცემა), თბ., 2015, 3.

² პ. ცხადია, სიმინდის ორი მოსავლისათვის. გაზ. „ნორჩი ლენინელი“, 20 მაისი, 1955.

პერსონაჟთა პროტოტიპები და ეპიზოდები. ამ მიზნით მოსწავლე მართლაც გაემეზაურა ობუჟში, იქ დაჰყო ერთი კვირა და შეხვდა 1905 წლის რევოლუციური გამოსვლების რამდენიმე მონაწილეს, რომელთაც მკაფიოდ ახსოვდათ 50 წლის წინანდელი სიტუაციები. ყოველივე ამის შემდეგ დაიწერა ნარკვევი „ლეო ქიჩელის „ტარიელ გოლუას“ ფაქტოლოგია“.

პარალელურად ჯვარის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ლუდუკი ჭანტურიამ მოსწავლეს შესთავაზა, დაეწერა ნარკვევი „ჩემი სოფლის ჯარისკაცები დიდ სამამულო ომში“. რა თქმა უნდა, ამ თემის დამუშავება დაიწყო საბჭოთა კავშირის გმირის, რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმმართველის, მეზობელი უბნის მცხოვრებ მელიტონ ქანთარიას ბავშვობისა და ომში მონაწილეობის ეპიზოდებით. რამდენიმე გვერდი ეთმობოდა ვალოდია ქანთარიას მოგონებებსა და თვით ლუდუკი ჭანტურიას ომისდროინდელ ჩანაწერებს. ამათ გარდა, ფაშიზმის წინააღმდეგ ომში მონაწილეობდა რამდენიმე ათეული ჯვარელი და, სამწუხაროდ, მათი მესამედი დაიღუპა.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხელმძღვანელობამ 28 ნოემბერს, სასახლის ლექტორიუმში გამართული მოსწავლეთა X რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მონაწილე X-კლასელ პაატა ცხადაიას ორივე მოხსენება მოიწონა. ნარკვევი „ტარიელ გოლუას შექმნის ისტორიისათვის“ წაკითხულ იქნა ნორჩ ლიტერატორთა შემაჯამებელ სხდომაზე, ხოლო ისტორიის სექციამ მის მეორე ნარკვევს სიგელი არგუნა¹.

1955 წლის 19 მაისს წაღენჯიხის რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული მცირე ზომის ინფორმაცია (სათაურით – „ლიტერატურული საღამო“) იუწყება, რომ დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის დავით გურამიშვილის დაბადებიდან 250 წლისთავს მიეძღვნა ჯვარის სასოფლო კლუბში ჩატარებული ლიტერატურული საღამო, სადაც პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაუკითხავს IX კლასის მოსწავლეს, პაატა ცხადაიას.

¹იხ. სასახლის ნორჩ ნატურალისტთა და მხარეთმცოდნეობის განყოფილების მოსაწვევი ბარათი, 1954.

§2. პ. ცხადია ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

პაატა ცხადიას, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს, მეხუთე კლასის ბიოლოგიის სახელმძღვანელოს პირველ გვერდზე გაუკუტვია წარწერა: „მე უნდა გავხდე აგრონომი“, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა: 1955 წელს ამთავრებს ჯვარის საშუალო სკოლას და სწავლას აგრძელებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე (შემდეგ ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტად ჩამოყალიბდა). პედინსტიტუტის სტუდენტი ინსტიტუტისა და ქალაქის მასშტაბით ეწეოდა მრავალფეროვან საქმიანობას: მონაწილეობდა ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციებში, გამოვიდა მოხსენებებით ცხინვალსა და თელავში გამართულ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე. 1955 წლიდან ახალგაზრდა შემოქმედთა წრეში ირიცხება, როგორც დამწეები მწერალი. 1958 წლის ნოემბერში მონაწილეობდა ქუთაისელ ალპინისტთა ლაშქრობაში: სტუდენტებმა დალაშქრეს რაჭა-სამხრეთ ოსეთის გამყოფი ქედის უსახელი მწვერვალი. ექსპედიცია მიუძღვნეს ქუთაისის პედინსტიტუტის 25 წლის იუბილეს და მწვერვალსაც მისი სახელი დაარქვეს. სტუდენტი პაატა ცხადია ავიდა თოვლიან მწვერვალზე. ის ერთგვარი მასპინძელი იყო თბილისიდან ქუთაისის პედინსტიტუტში მოწვეული ცნობილი მეცნიერ-მკვლევრების, მწერლებისა და პოეტებისა: 1957 წელს შედგა შეხვედრა აკად. აკაკი შანიძესთან, შემდეგ – გიორგი ახვლედიანთან, ლევან გოთუასთან... თითოეულ მათგანს პ. ცხადიამ მიუძღვნა ლექსი და გადაიღო მათთან სურათები.

აკაკი შანიძის საიუბილეო საღამოზე, დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში წაკითხულ ლექსს, რომლის სათაურია „ასაღკლდეგებს ქართულ ენას“, ახლაც ინახავს პირად არქივში. აქვე მოგვყავს აღნიშნული ლექსი სრულად:

*„დაილოცოს გოჯი მიწა და მანდილი დედისა,
შენი თვალის ამხილველი, დამლოცველი ბუდისა,
დაილოცოს, ვინც გასწავლათ სიყვარული ერისა,
ვინაც გულში შთავინერგათ ყადრი ჩვენი ენისა,*

*სიყვარული: საქართველოს მიწის, ვუძე-კერისა,
შრომისა და თავდადების, ლექსის და სიმღერისა.
აღბათ აღარც იფიქრებდა შენი დედა-მშობელი,
შენთვის ჩვენი ხალხის ჭირის და ვარამის მოხრობელი,
რომ ვისაც ის ასწავლიდა ენას გმირი ხალხისას,
ის ამ ენის გაშლილ დროშის მადლს არასდროს დახრისა.
ბევრით თავი ისახელა და კიდევ ბევრს მოველით,
ჩვენთვის მეტად ძვირფასია შენი სიტყვა ყოველი
და ყოველი მისი წიგნი, მისი აზრთა დინება,
ასაკლდევეებს ქართულ ენას – საქართველოს დიდებას.
ბევრს ვფიქრობდი ისეთ ლექსზე, თქვენ რომ შეგვეფერებათ,
რომ წამოვა სიტყვა ცეცხლად და რითმები ჩქერებად,
მაგრამ თუკი უკეთესი ლექსი ვეღარ მოვართვით,
მაპატიე ალალ გულით მონაძღვენი ნობათი“.*

პაატა ცხადაიას მოსწავლეობის წლებში პიონერთა სასახლეში წაკითხული მოხსენება 1957 წელს წაუკითხავს ქ. თელავში გამართულ საქართველოს პედინსტიტუტების სტუდენტთა VII რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზეც, როგორც ქუთაისის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს. მოხსენება თეზისების სახით დაიბეჭდა კიდევ კონფერენციის კრებულში (უნდა ითქვას, რომ ესაა პ. ცხადაიას პირველი სამეცნიერო პუბლიკაცია). გამოჩენილ მწერალს – ლეო ქიაჩელს, 1954 წლის ნოემბერში მშობლიური სოფლის მშრომელებთან შეხვედრისას განუცხადებია, რომ მისი რომანის – „ტარიელ გოლუას“ გმირები, მოქმედების გეოგრაფია და სიუჟეტი აღებულია სოფელ ობუჯის სინამდვილიდან. „ტარიელ გოლუას“ ბროლია, – წერს პ. ცხადაია, – მდ. ჭანისწყალია, ეკლესია – ქიაჩის სახელით ცნობილი ობუჯის ეკლესია, ნოჯისური – ამავე სახელის ციხე, სამცაცხვი – მინდორი ჭანისწყლის ნაპირას, სადაც იმართებოდა რევოლუციონერ გლეხთა ფარული კრებები და დემონსტრაციები... პ. ცხადაიამ გაარკვია, რომ ტარიელ გოლუას სახეს საფუძვლად უდევს სამეგრელოს მთიანი რაიონების გლეხთა აჯანყებების ხელმძღვანელთა – ვასილ და დიმიტრი მესხიებისა და სოფ. ობუჯში „ერთობის“ ხელმძღვანელის – თეო მესხიას ცხოვრება და მოღვაწეობა. ლევან გოლუას პროტოტიპია თეო

მესხიას შვილი – მეზუსრე მაქსიმე. მისი ურთიერთობა აზნაურ გრიგოლის (ნაწარმოებში დავითი) ქალიშვილ თინასთან, მართალი და დადგენილი ფაქტია. გაიოზ გადალენდიას სახეს საფუძვლად უდევს პროვოკატორ ლუკა ლათათიას პიროვნება. ბეჟანის სახე მწერალს დაუნატავს მაქსიმე მესხიას მეგობრის – ლევან მესხიას მიხედვით, ხოლო მუნჯი ბაჩუა თვით მწერლის მეგობრის – ძიკი ფიფიას ორეულია¹.

1957 წლის 28-29 ოქტომბერს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მიერ ჩატარებული საიუბილეო-სამეცნიერო სესია მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლის – ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავს. ინსტიტუტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში პირველ დღეს წაკითხულ იქნა ოთხი სტუდენტის მოხსენება. მათ შორის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის III

¹პ. ცხადაია, ლეო ქიანელის „ტარიელ გოლუას“ ფაქტოლოგია. ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. საქართველოს სსრ პედინსტიტუტების სტუდენტთა VII რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, თელავი, 1957, 43-44. ამ თემაზე მუშაობა პ. ცხადაიას არც შემდგომში შეუწყვეტია, რასაც მოწმობს ციტატა მისივე ნაშრომიდან („ლეო ქიანელის „ტარიელ გოლუას“ გარშემო“): „პარტიკულურ მწერალს ლეო ქიანელს გულთბილ მადლობას მოვხსენებ მთელი რიგი შენიშვნებისათვის, რომელიც მან ჩემს ნარკვევს გაუკეთა. აგრეთვე მადლობას მოვხსენებ ჩემს ლიტერატურის მასწავლებელს დავით ფიფიას, რომელმაც მოწაფეობისას გეზი მომცა და დამინტერესა „ტარიელ გოლუას“ ფაქტოლოგიით და დიდად დამეხმარა“. ლეო ქიანელს ნაშრომის ბოლოში 1958 წლის 5 მარტს ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „საერთოდ თქვენი ნაშრომი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. გულწრფელად და კეთილსინდისიერად არის დავწერილი. „ტარიელ გოლუას“ შეფასება ემთხვევა მხატვრულ კრიტიკაში განმტკიცებულ აზრს... მე ავად ვარ და შეიძლება 15-20 ამ თვის შემდეგ თბილისიდან გავიდე მცირე ხნით. თუ წვალტუბოში მომიხდა ყოფნა, გაცნობებთ. ლ. ქ.“. ნარკვევის ავტორი გეგვადის ლეო ქიანელის ბიოგრაფიისათვის მეტად მნიშვნელოვან, მანამდე უცნობ ინფორმაციას, რომ წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში დაბადებულმა „ტარიელ გოლუას“ ავტორმა ბავშვობა გაატარა მეზობელ სოფელ ჭაქვინჯში, სადაც იგი გაძიძაფებული იყო უმიწაწყო გლეხების, არაჩემიების ოჯახში, რომელთანაც კავშირი არც შემდგომში შეუწყვეტია. სტუდენტ პ. ცხადაიას ნაშრომს ერთვის გ. სამხარაძის შემდეგი შინაარსის რეცენზია: „ეს ნარკვევი კარგად არის დაწერილი. ავტორი მიგნებულად არკვევს, თუ რა სინამდვილე უდევს საფუძვლად ლ. ქიანელის რომანს. აქ ჭკუამახვილურად არის მოქმედი რომანის გმირთა პროტოტიპები, დადგენილია გეოგრაფიული გარემოს ზუსტი ანარკვლები. ნაშრომში ჩანს საკვლევი თემის ცოდნა, და კვლევის მეთოდიც სწორია. კათედრამ რეკომენდაცია მისცა სტუდენტ პ. ცხადაიას ნარკვევს გამოსაქვეყნებლად. სარედაქციო კონფერენცია დასჭირდება მუშაობა სტილზე, ენის დახვეწაზე. დოც. გ. სამხარაძე, 28/II-58“.

კურსის სტუდენტმა პ. ცხადაიამ წარმოადგინა მოხსენება თემაზე, „ილია ჭავჭავაძის ენა ქუთაისის ეთნოგრაფიულ-ისტორიულ მუზეუმში დაცული ილიას ხელნაწერების მიხედვით“ (ხელმძღვანელი დოც. ქ. ძოწენიძე)¹.

პ. ცხადაიას აქტიური მონაწილეობა მიუღია და სიტყვით გამოსულა 1959 წლის 27 დეკემბერს ვასო აბაშიძის სახელობის ქუთაისის საქალაქო კულტურის სახელში გამართულ, ქართული კინოხელოვნებისადმი მიძღვნილ სადამოხუც. შესავალი სიტყვა პოეტ არჩილ გურჯიძეს წარმოუთქვამს. ქართული კინოხელოვნების განვითარების გზებზე ისაუბრა მ. ტუსკიამ, ხოლო ქართველ კინომოყვარულთა პირველ ფილმზე – „24 საათი თბილისში“, ისაუბრა კირა კვეციმი. ასევე სიტყვებით და მოგონებით გამოსულან სიმონ არველაძე, ამირან გვილაგა, ომარ ხუხუა, კინოფილმის ოპერატორი რ. ერისთავი და პირველი ქართველი კინოოპერატორი ვ. ამაშუკელი.

პ. ცხადაია მონაწილეობდა ქუთაისის მოჭიდავეთა შეჯიბრზე (გავიდა ფინალში) და საქართველოს ველოსიპედისტთა შეჯიბრზე (მარშრუტი: სამტრედია-ქუთაისი). ხშირად მონაწილეობდა სასცენო ცეკვებსა და პიესებში, იყო ქუთაისის მწერალთა კავშირის ახალგაზრდული ჯგუფის წევრი, ქართული თუ რუსული გაზეთების შტატგარეშე კორესპოდენტი. არჩეული იყო 1958 წელს გამართულ რესპოდენტთა რესპუბლიკური ყრილობის დელეგატად.

1958 წელს აღინიშნა თბილისის დედაქალაქობის 1500 წლისთავი. პატივო ცხადაია რამდენიმე სტუდენტთან ერთად ქუთაისიდან გამოემგზავრა დედაქალაქში და დაესწრო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სტადიონზე 18 ოქტომბერს გამართულ მიტინგს. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ აღმოჩნდა თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექსების მიმოხილვა, სადაც დაბეჭდილი იყო პ. ცხადაიას ლექსის ბოლო სტროფი:

*„იფეთქა ბნელში მზემ, როგორც ნაღმმა
და ჩაახვდა განთიადს მტკვარში,*

¹აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, საიუბილეო-სამეცნიერო სესია (პროგრამა), ქუთ., 1957, 2.

*მსურს რბენით ავეყე მთაწმინდის აღმართს
და ამ განთიადს დავუკრა ტაში“.*

ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტი სულმოუთქმელად ელოდა ზაფხულის არდადეგების დადგომას, რადგანაც ყაზახეთის ყამირ მიწებზე სამუშაოდ აპირებდა გამგზავრებას (და კიდევ ყაზახეთის სხვადასხვა ოლქში სამი ზაფხული მუხლჩაუხრელ შრომაში გაატარა), მაგრამ 1959 წელს, როცა V კურსზე გადავიდა, ასეთი რამ არ შედგა¹.

„დრო უქმად რომ არ დამეკარგა, გადავწყვიტე მეგრული ფოლკლორის ნიმუშები ჩამეწერა. მირჩიეს, ვწვეოდი ხობის-წყლისპირა სოფელ მუხურში მცხოვრებ კაპიტონ გახარიას (პოეტ ლაშა გახარიას მამას). მართლაც, ვეწვიე. მისგან ჩაწერილმა ფოლკლორულმა მასალამ სამი საერთო რვეული შეადგინა. როცა სექტემბერში დაუბრუნდი პედინსტიტუტს, ეს მასალა წარვუდგინე დოცენტ გიორგი სამხარაძეს, რომელიც ფოლკლორის საკითხებზე გვიკითხავდა ლექციებს (წერდა ლექსებს „გიასულის“ ფსევდონიმით). ვთხოვე, გადაეხედა ჩემ მიერ ჩაწერილი მასალისათვის. რამდენიმე თვის შემდეგ რვეულები დამიბრუნა, მაგრამ არაფერი უთქვამს. დღემდე გულდაწყვეტილი ვარ ამის გამო. იმ პერიოდისათვის მეგრული ფოლკლორის მხოლოდ ორიოდე წიგნი მოიპოვებოდა. ლექტორს რომ ეთქვა, – ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდი სამეგრელოს, იმუშავე სკოლაში, ხოლო თავისუფალ დროს ჩაიწერე მეგრული ხალხური ლექსები, ზღაპრები, თქმულებები... მე გაგაცნობ თბილისელ ფოლკლორისტებსო, მაგრამ მსგავსი არაფერი უთქვამს... რა თქმა უნდა, ქართულ ფოლკლორს გავამდიდრებდი... კიდევ კარგი 1969-1989 წლებში სამეგრელო-სამურზაყანოსა და რაჭის ტოპონიმია აღვწერე და გამოვაქვეყნე რაიონების მიხედვით“.

1960 წელს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს იოსებ გრიშაშვილი სწვევია. პ. ცხადაია (მაშინ V კურსის სტუდენტი) ამ

¹„სტუდენტი პაატა ცხადაია კომბინერის თანაშემწედ მუშაობს და კარგადაც ართმევს თავს ამ ძალზე საპასუხისმგებლო მოვალეობას“, – წერდა ს. შარაბაძე. იხ. **ს. შარაბაძე**, ჩვენი ქალაქის ახალგაზრდები ყამირზე. გაზ. „სტალინელი“, №180, 11 სექტემბერი, 1957, 1; ყაზახეთში, ვედენსკის საბჭოთა მეურნეობის ყამირ მიწებზე მუშაობას სტუდენტმა პ. ცხადაიამ ლექსი მიუძღვნა („დილა ყაზახეთში“), რაც დაიბეჭდა გაზეთ „სტალინელიში“ (№173, 31 აგვისტო, 1956, 3).

სტუმრობას შემდეგნაირად იხსენებს: „ერთი შემთხვევა მახსენდება: პოეტური სიტყვის მოცარტი გ. ტაბიძე მწერალთა სახლში ესვენა. ქართველი ხალხი თავდახრილი იდგა ღირსეული მამულიშვილის ცხედართან. სწორედ იმ დროს, როდესაც ი. გრიშაშვილს უნდა წარმოეთქვა გამოსათხოვარი სიტყვა, მეც იქვე ვიყავი. აი, ქართული პოეზიის ბუღბუღი ერთხელ კიდევ შეეხო პოეზიის არწივის ბაგეს და მიკროფონთან ამაღლდა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა, ათრთოლდა, ატირდა... დიდი გრძნობა ამუნჯებს ადამიანს. იგი ჩუმი და გამოუთქმელია.

მაშინ პირველად ვნახე მსცოვანი მგოსანი, რომელსაც ექვსი-ოდე თვის შემდეგ გალაკტიონის გვირგვინი დაადგეს თავზე – სახალხო პოეტის საპატიო წოდება მიანიჭეს.

ამ დღეებში კი იგი ჩვენს შორის იყო, სავარდო და სამაისო ქუთაისი თითქოს უფრო წარმტაცი და ლამაზი გახდა: საქართველოს სახალხო მგოსანი გვესაუბრებოდა, ყურადღებით უსმენდა ჩვენს გამოსვლებს, სიტყვით მოგვმართავდა. – როგორი შთაბეჭდილებით მობრძანდებით, ბატონო სოსო, – ვკითხეთ სასტუმროში.

– ასეთი რამ ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე არ განმიცდია, თქვა მან, ხოლო გვიან ღამით, როდესაც ქუთაისს უნდა გამოთხოვებოდა და თბილისისაკენ უნდა წაეღო ხალხის ღრმა სიყვარული და პატივისცემა, გადაგვეხვია და გვითხრა: თქვენი იმედი მაქვს, ახალგაზრდებო.

ნამდვილად, არასოდეს განმიცდია ასეთი დიდი, უსაზღვრო სიხარული, სულიერი კმაყოფილება, აღტაცება. შთაბეჭდილებანი ცვლიან ერთმანეთს: ზღვა ხალხი რკინიგზის სადგურსა და ლენინის მოედანზე. ხელში აყვანილი მსცოვანი მგოსანი ჩამოგვყავს ბაქანიდან, ცოცხალი დერეფანი ღია „პობედისკენ“ მიემართება... ყვავილები... ბავშვები... იუბილე ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში, ხოლო მეორე დღეს ეტლით მოგვყავს მშობლიურ ინსტიტუტში... და იმდენად გავკადნიერდი, საკუთარი ლექსიც კი წავუკითხე აუდიტორიის წინაშე...

მართლაცდა, ჭეშმარიტი სიტყვები წარმოთქვა რუსმა მწერალმა სერგეი სმირნოვმა გ. ტაბიძის დაკრძალვისას: საქართველო ის მადლიანი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია უსაზღვრო სიყ-

ვარული მიუზლოს თავის ღვაწლმოსილ შვილებს... 18/ V - 60
წ.⁴¹.

გრიშაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში დიდი პოეტის ხილვით
გამოწვეულ განცდებს პ. ცხადაია შემდეგი სიტყვებით გადმოს-
ცემდა:

*აზრი ვაქო უნდა მისი
ვინც ითავა შენი მოხვლა,
ტაშით შეგ ხვდა ქუთაისი,
სიხარულით შეიმოსა.
რიონს – რკინის ქალაქნიანს
და ტახტს ოქრო-ნახარდახევს,
ბაგრატს – მტკიცეგალავნიანს,
მომხდური მტრის ბევრჯერ დამხევს,
გაბაშვილის გორას მზიანს,
მოსილს მწვანე ფარჩეულით,
შენი ყრმობის ნატერფალი
ზედ მეკრდზე აქვს დამჩნეული.
მუზის ღმერთი ვერსად წაგლენ –
გულში ლექსი შევარდენობს,
შექსპირულო მესაფლავევ,
თავბოეცო დღევანდელი.
გიმასპინძლეთ და ღიმილი
დადგი სავსე ჩანახებით,
ჩვენც გეჯეროდა, გრიშაშვილი
ღია გულს რომ გვანახებდი...
გზა ხარფუხმა დაგილოცა,
დაგიოცნა ლექსი ვზნებით,
შემოგეურებთ მხცოვან მგოსანს
და ფირუზად გვესიზმრები...
.....
ასწლედების იყავ მე ზავრი,
ამის მეტი რა მინდა,
მჩქევარებდეს როგორც მტკვარი*

⁴¹ პ. ცხადაია, უსახღვროა ჩემი სიხარული (ავტორის ხელნაწერი ინახება ჩვენთან).

*შენი ლექსის მერანი და
კიდევ ბევრი ათეული
წლები წარსულს მიაშვიდლო,
უკვდავების წილნაყარო,
საყვარელო გრიშაშვილო.*

პ. ცხადაიამ 1960 წლის ივნისში დაასრულა ქუთაისის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, ქართული ენა-ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობით, და მიენიჭა საშუალო სკოლის ქართული ენა-ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია (დიპლომი H №67189)¹.

მეთხევჯერ მიიღო რა მონაწილეობა ყაზახეთის ყამირი მიწების ათვისებისათვის გამართულ სტუდენტთა საზაფხულო ლაშქრობაში, 1960 წლის 5 სექტემბერს მუშაობა დაიწყო ირტიშისპირა ქალაქ მაიკაინის სკოლა-ინტერნატში (მონაწილეობდა მის გახსნაში 1960 წლის 4 ოქტომბერს), სადაც მუშაობდა პედაგოგ-აღმზრდელისა და ისტორიის მასწავლებლის თანამდებობაზე. მეცნიერი იგონებს: „ცხოვრობდი საერთო საცხოვრებლის ერთოთახიან ბინაში... მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რაც ამ გარემოებას უძღოდა წინ: ქუთაისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ანზორ ბურჯანაძემ შემომთავაზა, რომ შემოდგომაზე ამირჩევდნენ რომელიმე ფაბრიკისა თუ ქარხნის კომკავშირის ბიუროს მდივნად. მანამ კი გამაგზავნეს ქობულეთის პიონერთა ბანაკში აღმზრდელ-პედაგოგად, რა თქმა უნდა, სათანადო ხელფასით, მაგრამ ათიოდე დღის შემდეგ თბილისიდან შეტყობინება მოვიდა, რომ მზადდებოდა მორიგი ახალგაზრდული ლაშქრობა ყამირი მიწების ასათვისებლად. იმავე დღეს დავტოვე ქობულეთი (ხელფასი, უფასო ბინა და ჭამა-სმა) და შევუერთდი ყამირზე მიმავალ ახალგაზრდებს. მატარებლით ერთი კვირის მგზავრობის შემდეგ ჩავადწიეთ პავლოდარის ოლქის ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში“.

ორთვენახევარი ყოველდღიური ფიზიკური შრომის შემდეგ დადგა სამშობლოში დაბრუნების უამი. პ. ცხადაიამ სურვილი გა-

¹პ. ცხადაია, CURRICULUM VITAE, ინახება თსუ-ის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არქივში.

მოთქვა, დარჩენილიყო ყამირ მიწაზე და ემუშავა თავისი სპეციალობის მიხედვით. მიმართვის საფუძველზე პავლოდარის ოლქის განათლების განყოფილებამ ქუთაისის პედინსტიტუტის კურსდამთავრებული გააგზავნა ირტიშისპირა ქალაქ მაიკაინში. ყამირი მიწების მოსავლის აღებაში აქტიური მონაწილეობისათვის ორჯერ დააჯილდოვეს მედლით – „ყამირი მიწების ათვისებისათვის“.

„1960 წლის 4 ოქტომბერს დავესწარი მაიკაინის შვიდწლიანი სკოლა-ინტერნატის გახსნას, – გვიყვება ბატონი პაატა, – იმავე დღეს მომცეს ბინა და დამნიშნეს პედაგოგ-აღმზრდელისა და ისტორიის მასწავლებლის თანამდებობაზე. პირველსავე გაზაფხულზე გადავწყვიტეთ, სკოლა-ინტერნატის მიმდებარე ვაკეზე გაგვეშენებინა ბაღი. სასწრაფოდ შევადგინეთ სათანადო პროექტი. გადაწყდა, რომ ბაღის შუაში დაგვეტოვებინა მრგვალი მოედანი, რომლის ცენტრში ჯვრის ფორმას ქმნიდა ოთხი გზა. მარადმწვანე მცენარეთა ნარგავები ჩამოვზიდეთ ბაინ-აულის მთიდან... თბილისში დაბრუნებიდან 10-15 წლის შემდეგ დამეუფლა სურვილი, გვწეოდი მაიკაინის სკოლა-ინტერნატის მიმდებარე ბაღს, რომლის გაშენებაში მნიშვნელოვანი როლი მქონდა შეტანილი, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა“.

სხვა ეპიზოდი: „1962 წლის საზაფხულო არდადეგებზე მაიკაინის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები განამწესეს ტბისპირა პიონერთა ბანაკში, ბაინ-აულის მთაზე, რა თქმა უნდა, აღმზრდელ პედაგოგებთან ერთად... მალევე სამღლიანი ტურისტული ლაშქრობა შედგა. პირველი ღამე ერთ-ერთ ტურისტულ ბაზაში უნდა გაგვეტარებინა. უკვე დაღამებული იყო, როცა იქ მივადწიეთ. დილაუთენია ავდექი და ტურბაზის შემოსასვლელიდან ასიოდე მეტრზე თვალში მომხვდა ქვა-კლდოვანი მაღალი ბორცვი. ყარაულს სხვათაშორის ვკითხე: ეგ რაღაა-მეთქი. მიპასუხა: это пик смелых. დავინტერესდი და ასასვლელი გზების ძიებას შევუდექი. ირგვლივ შემოვუარე, ერთგან კლდის ნაპრაღს ავუყევი და, როგორც იქნა, კენწერომდე მივადწიე. პიონერებს უკვე ესაუზმათ, ერთგან მოყვარათ თავი და როგორც კი კლდოვანი ბორცვის თავზე აღმოვჩნდი, ტაშის გრიალი შემომესმა... ორიოდე კვირის შემდეგ პიონერთა ბანაკის ეზოში გვერდით გავეუარე სამ უცნობ

პიროვნებას. მათგან ორს მილიციელის ფორმა ეცვა. კითხულობდნენ, თქვენთან ქართველი ვინ მუშაობსო. ელდა მეცა, რა დავაშავე, რას მერჩიან-მეთქი. განვერიდე და პიონერთა ჯგუფთან ერთად ტბისპირა ტყეში გავისეირნეთ. დაგვეწვივნენ და შეგვატყობინეს, რომ ჩემთან შეხვედრა სურდათ. პიონერთა ბანაკის დირექტორთან შემიყვანეს. უცნობი სამეულიც მასთან იყო. დამიწყვეს გამოკითხვა, ვინ ვარ, საიდან ვარ, რა პროფესიის ვარ. ჩაიწერეს ჩემი სახელი, მამის სახელი და გვარი. მერე შემიყვანეს პიონერებითა და თანამშრომლებით სავსე კლუბში. ისევ გამიელვა თავში, ნეტავ რა დავაშავე? მოსულთაგან ერთ-ერთი ტურბახის დირექტორი აღმოჩნდა, რომელიც წამოდგა და მოგვასხენა: ჩვენთან ჩამოჰყავთ სპორტსმენები. სამი კვირა ვარჯიშობენ „მამაცთა პიკის“ დაპყრობაზე და, ვინც ამას შეძლებს, ენიჭება საბჭოთა კავშირის ალპინისტის წოდება. ეს თქვენი ქართველი თანამშრომელი კი ისე ავიდა ამ პიკზე, თითქოს ეს მისი ყოველდღიური საქმე იყო. მერე კი წაიკითხა სიგელი, რომ მენიჭებოდა საბჭოთა კავშირის ალპინისტის წოდება. რა თქმა უნდა, დაემშვიდდი“.

1962 წლის აგვისტოს თვეში პ. ცხადაია ყაზახეთიდან საქართველოსკენ გამოემგზავრა. იმავე წლის 20 აგვისტოდან, ერთი წელი (1963 წლის 31 აგვისტომდე) დაბა ჯვარის საშუალო სკოლაში იმუშავა, დაწყებით კლასებში რუსულის, ხოლო V-VI კლასებში – ისტორიის მასწავლებლად. სწორედ ამ პერიოდში წაღენჯისის რაიონულ გაზეთში („კომუნიზმის დროში“) მისი ლექსიც გამოქვეყნდა. გალაკტიონის სამშობლოში რა უფლებით ვამბობ, რომ პოეტი ვარო, და ამის შემდეგ ლექსების ბეჭდვას თავი დაანება.

1963 წლის 24 აგვისტოს პაატა ცხადაია ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სემიტოლოგიის სპეციალობაზე. როგორც მეცნიერი ირწმუნება, გამოცდებს ერთგვარი კურიოზები ახლდა: ქართული ლიტერატურის გამოცდაზე დასაწერ თემად აირჩია „გალაკტიონის პატრიოტული ლირიკა“. დაწესებული დრო ამოიწურა და ჩასწორება ვეღარ მოასწრო. მეორე დღეს ნაწერების შეფასების შედეგები გამოცხადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებს შუა, შესასვლელთან. აბიტურიენ-

ტები გარეთ იდგნენ. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სამიოდე აბიტურიენტს ფრიადი ჰქონდა მიღებული. მათ შორის პატიკო არ იყო. როგორც თვითონ იხსენებს, უკმაყოფილება არ გამოუთქვამს, მაგრამ ვერც ოთხოსანთა და ვერც სამოსანთა შორის აღმოჩნდა. ბოლოს გამოაცხადეს, რომ აბიტურიენტი პატიკო ცხადიაა თსუ-ის პირველ კორპუსში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარესთან გამოცხადდესო... პროფესორმა აკაკი ურუშაძემ აბიტურიენტს მიაწოდა ნაწერი და სთხოვა, გულდასმით გადაეხედა. პატიკომ ყველა გვერდი გადაშალა და ნახა, რომ თოთხმეტ-გვერდიანი საგამოცდო ნაწერიდან მხოლოდ შვიდი გვერდი იყო გასწორებული. დაუბრუნა და დაუდასტურა, რომ ნაწერი მართლაც მას ეკუთვნოდა (სხვათაშორის, თემის ავტორს მსოფლიოს რამდენიმე ცნობილი პოეტის პატრიოტული სტრიქონი ჰქონდა მითითებული და, ამასთანავე, ლეგენდარულ პატრიოტთა სახელებიც ჰქონდა მოხსენიებული)... პროფესორმა მიუთითა, რომ ნაწერში სამგან იყო დამოწმებული ბელინსკის ციტატები და სთხოვა აბიტურიენტს მათი გახსენება. პატიკომ ციტატები უშეცდომოდ გაიმეორა. კომისიის თავმჯდომარე ერთხანს ჩაფიქრებული იყო და მერე ჰკითხა, თუ ვინ იყო და საიდან. პატიკომ უპასუხა, რომ დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამის შემდეგ კი გაემგზავრა ყაზახეთში და პავლოდარის ოლქის ერთ-ერთ სკოლა-ინტერნატში პედაგოგად მუშაობდა და ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა. იქ მიეძღვა რუსი კრიტიკოსებისა და საბჭოთა ლიტერატორების ნაშრომებს, აგრეთვე ეცნობოდა მსოფლიოში ცნობილ მითოლოგიურ პერსონაჟებს. ბატონმა აკაკი ურუშაძემ დიდხანს იყოყმანა და ბოლოს ფრიადი დაუწერა...

ქართულ ლიტერატურაში ზეპირ გამოცდაზე ოთარ ურიდიასა და აღმოსავლეთმცოდნე ვახუშტი კოტეტიშვილთან მოხვდა. როგორც კი პატიკოს რიგი დადგა, შემოვიდა კომისიის თავმჯდომარე აკაკი ურუშაძე და უთხრა გამომცდელებს: ამ ყმაწვილზე დრო არ დაკარგოთ, დაუწერეთ ნიშანი და გაუშვიოთ. გამომცდელებს გაუკვირდათ, ბატონი აკაკი უადრესად პატიოსანი კაცია და... ბოლოს კი ჰკითხეს აბიტურიენტს, თუ ვინ იყო და რატომ ამოირჩია აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. პ. ცხა-

დაიამ უპასუხა, რომ ყაზახეთში ყოფნისას მაღაზიაში შემთხვევით ნახა ტაშკენტში გამოცემული არაბული ენის სახელმძღვანელო, იყიდა და დაეუფლა არაბულ წერა-კითხვას. ამის გაგონებაზე ვახუშტი კოტეტიშვილმა რაღაც ჩაწერა ფურცელზე, გამოუწოდა და ჰკითხა: ეს რა ასო-ნიშანიაო? აბიტურიენტმა უპასუხა: ესაა „დჟ“. ვახუშტის გაეცინა და უთხრა: ესაა „ჯ“. აშკარად ჩანს, რომ არაბული წერა-კითხვა რუსული სახელმძღვანელოთი გისწავლიათ. აბიტურიენტმა უპასუხა: 1958 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობაზე გიორგი ლეონიძემ განაცხადა: ჯერჯერობით არ გვეყავს აღმოსავლური ენებიდან – ინდურიდან, არაბულიდან, სპარსულიდან, მხატვრული ნაწარმოებების მთარგმნელებიო. როგორც პ. ცხადაია იხსენებს, ამის შემდეგ გადაწყვიტა, შეესწავლა არაბული ენა. ჯერ კიდევ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტმა კიდევ თარგმნა რამდენიმე არაბულენოვანი მოთხრობა, მათ შორის სირიელი მწერლის მოთხრობა, რაც ძალიან ჰგავს „ხევისბერ გოჩას“: მამა კლავს შვილს, რომელიც საფრანგეთის სადამსჯელო-საპოლიციო რაზმს ჩამოჰყვა სირიაში და ერთ-ერთ სოფელში მოკლა ახალგაზრდა არაბი.

სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტრომ V კურსის სტუდენტი პ. ცხადაია არაბულის ცოდნაში სათანადო გამოცდის შემდეგ 27 თვით განაწესა არაბულის თარჯიმნად სირიაში, სადაც ლენინგრადელ სპეციალისტებს უნდა გაეყვანათ ალექსანდრე-ლატაკის რეინიგზა (ლატაკია საპორტო ქალაქია ხმელთაშუა ზღვის ნაპირას). მანამდე კი, თსუ-ში მოსკოვიდან სათანადო ცნობის მიღების შემდეგ V კურსის სტუდენტს 1968 წლის თებერვალ-აპრილში დაუნიშნეს სახელმწიფო გამოცდების ინდივიდუალური გრაფიკი, და ყველა საგანი ფრიადზე ჩააბარა. სემიტოლოგიაში საკურსო ნაშრომის ფრიადზე შეფასების შემდეგ აკად. გ. წერეთელმა უთხრა: მიმდინარე წელს თსუ-ს ასპირანტურაში ადგილები ვერ გამოგიყვეს, მომდევნო წლებში კი ვნახოთო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სტუდენტი პ. ცხადაია აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა. 1965 წლის აპრილში გამართული სტუდენტთა 27-ე სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავს. ენათმეცნიერების სექციაზე პ. ცხადაიას მიერ წარმოდგენი-

ლი იყო შემდეგი მოხსენება: „აღ-, გან- და წარ- ზმნისწინების გამარტივების საკითხისათვის ქართულში“ (ხელმძღვანელი დოც. ფ. ერთელიშვილი). მოხსენებლის აზრით, აღ-, გან- და წარ- ზმნისწინების გამარტივება, ანუ ბოლოკიდური თანხმოვნების და- კარგვა ძირითადად გამოწვეულია აქცესიური კომპლექსების მის- წრაფებით სუპერაციისადმი. ზმნისწინისეული თანხმოვნების და- კარგვისთვის ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე სხვა ფონეტიკურ მი- ზეზებსაც. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღნიშნული ზმნისწინების გაუმარტივებლად ხმარებას სემანტიკური და გრა- მატიკული ფუნქცია აქვს (აღდგება//ადგება, ადგვის//დაგვის; აღ- თქმა, სასოწარკვეთა, წართქითი, განზომილება, განასახვავებს). გაუმარტივებელი ზმნისწინები უმთავრესად შემორჩენილია სალი- ტერატურო ენაში. ზმნისწინების გამარტივების პროცესი ამჟამა- დაც გრძელდება¹.

1966 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფარ- თოდ აღინიშნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. ღირსსახსოვარი თარიღის აღნიშვნას მიეძღვნა სტუდენტთა XXVIII სამეცნიერო კონფერენცია. 22 აპრილს, აღმოსავლეთ- მცოდნეობის სექციაზე, III კურსის სტუდენტის პ. ცხადაიას მიერ წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენება: „სოციალისტური რეალიზ- მის ნიშნები არაბი მწერლის მუჰამედ იბრაჰიმ დაქრუბის შემოქ- მედებაში“². დაიბეჭდა მოხსენებათა თეზისებიც. საკურსო ნაშრო- მის შესავალში, საბჭოური კონიუნქტურის გათვალისწინებით, სა- უბარია სოციალისტური რეალიზმის მეთოდის რაობასა და მისი გავრცელების შესახებ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიტერ- ატურაში. შემდეგ გარკვეულია ის ობიექტური პირობები, რო- მელთაც ხელი შეუწყვეს არაბულ სამყაროში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ჩასახვასა და განვითარებას. ახალგაზრდა ლიბანელი მწერლის, მუჰამედ იბრაჰიმ დაქრუბის პირველ წიგნში („გრძელი ქუჩა“, ბეირუთი, 1954 წ.) შესულ ნოველებს, – წერს პა- ატა ცხადაია, ახასიათებს თემის, იდეისა და მიზანდასახულობის

¹თსუ სტუდენტთა 27-ე სამეცნიერო კონფერენცია, 9-13. IV, 1965. ენათმეცნიერების სექცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1965, 15.

²იხ. შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა XXVIII სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა, 22-27 IV. 1966, 16.

სიახლე და ერთიანობა: თემა – ხალხთა მასების ბრძოლა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის; იდეა – სიღატაკის, ჩაგვრისა და უფუფლებობის მიზეზია იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი, მისგან თავის დახსნა მხოლოდ ბრძოლით შეიძლება; მიზანდასახულება – აწვენოს შეგნებულობის, დარაზმულობისა და სოლიდარობის მნიშვნელობა, დასახოს გამარჯვების გზები. პ. ცხადია აანალიზებს ნოველებს – „ღამეული მგზავრები“, „ხუნდები“, „გარეშე მაყურებელი“, „მინის ნამსხვრევები“, და დაასკვნის: მუჰამედ იბრაჰიმ დაქრუბის ნოველები დაწერილია ჩაგრულთა მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე, ხაზგასმულია ერთიანობისა და დარაზმულობის გადამწყვეტი მნიშვნელობა ხალხის ბრძოლაში. ნოველების გმირები არიან მუშათა კლასის წარმომადგენლები, რევოლუციონერები. ისინი ოპტიმისტები არიან, მომავლის ღრმა რწმენა აქვთ და იბრძვიან ამ რწმენის განსახორციელებლად. მუშათა კლასი დახატულია, როგორც ხალხთა მასების ბრძოლის ჰეგემონი, ხოლო ინტელიგენციას დაკისრებული აქვს მოკავშირის როლი. ავტობიოგრაფიული ხასიათის ნოველები დაწერილია კლასიკური სალიტერატურო ენით, ხოლო პერსონაჟები მეტყველებენ დიალექტზე. შეინიშნება ზედმეტი პუბლიციზმი და განყენებული მსჯელობა, რაც ანელებს ნაწარმოებთა ემოციურ ზემოქმედებას. ახალგაზრდა მწერალს აკლია მხატვრული ოსტატობაც. ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, მუჰამედ იბრაჰიმ დაქრუბის ნოველები მაინც მნიშვნელოვანი მოვლენაა არაბულ ლიტერატურაში თემისა და მეთოდის სიახლით¹.

შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში პ. ცხადიამ რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა წალენჯიხის რაიონულ გაზეთში. ესენია: „ილია ჭავჭავაძე და „ვეფხისტყაოსანი“, „ვეფხისტყაოსანი“ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში“, „ვეფხისტყაოსანი“ ილიას მხატვრულ შემოქმედებაში“².

1966 წლის სექტემბერში თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტისა და 53-ე საშუალო სკოლის ინიციატივით მომზადდა

¹ თსუ სტუდენტთა 28-ე სამეცნიერო კონფერენცია, 22-27. IV. 1966, აღმოსავლეთმცოდნეობის სექცია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1966, 16-17.

² გაზ. „კომუნისმის დროში“, №74, 5 ივლისი; №79, 16 ივლისი; №81, 21 ივლისი, 1966.

და დაიგეგმა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთობლივი სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია. პირველი სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა პ. ცხადაიამ. X კლასის მოსწავლემ მზია ბრეგვაძემ პ. ცხადაიას ხელმძღვანელობით წარმოადგინა მოხსენება თემაზე – „შოთა რუსთაველი ქართულ საბჭოთა პოეზიაში“. მეორე სხდომა გაიმართა 53-ე საშუალო სკოლაში, 21 სექტემბერს, სადაც IV-კურსელმა პაატა ცხადაიამ წაიკითხა მოხსენება თემაზე, – „ვეფხისტყაოსანი“ და ილია ჭავჭავაძე“.

პ. ცხადაია ხელმძღვანელობდა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას. იგი აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სტუდენტთა XXIX სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში, 1967 წლის აპრილში, რის შესახებაც ინფორმაცია დაიბეჭდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“. თსუ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის, რ. გაჩეჩილაძის წერილს ერთვის ორი ფოტოსურათი. ერთ-ერთზე ვხედავთ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებს: ვილნიუსელ ა. ვაშიკილიასს, მოსკოველ ლ. ერმაკოვას, თსუ სტუდენტს პ. ცხადაიას, მოსკოველებს – ლ. გორიაევას და ვ. ბეილისს¹.

1968 წლის 22 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სტუდენტთა XXX სამეცნიერო კონფერენციის აღმოსავლეთმცოდნეობის სექციაზე პაატა ცხადაიამ წაიკითხა მოხსენება, თემაზე – „იბნ არაბ-შაჰის ცნობები საქართველოში თემურ-ლენგის ღაშქრობათა შესახებ“². მისი აქტიური სტუდენტური ცხოვრების ეპიზოდებიდან საგულისხმოდ გვჩვენება მოსკოვში გამართულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში ნაყოფიერ მონაწილეობასთან დაკავშირებით მოსკოვის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის რექტორის, პროფ. ა. ა. კოვალიოვის წერილი, რომელიც

¹ რ. გაჩეჩილაძე, სტუდენტთა XXIX სამეცნიერო კონფერენცია. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, №15, 29 აპრილი, 1967, 2.

² თსუ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა XXX სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა, თბ., 1968, 19.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს აუწყებდა: „დიდ მადლობას გიხდით ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტთა VIII სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად თქვენი სტუდენტების ნ. მახათაძის, ვ. პოპოვას, **პ. ცხადაიასა** და გ. ბურჯანაძის მოვლინებისათვის.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობა ჩვენს კონფერენციაში ნაყოფიერი იყო. ვიმედოვნებთ, ასეთი ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება“¹.

1968 წლის 15 მაისს მოსკოვიდან პ. ცხადაია გაფრინდა დამასკომდე. როგორც იგი იხსენებს: „დამაბინავეს ლატაკიის სასტუმროში. ხშირად მიწევდა ყოფნა ალექოში, სადაც ფუნქციონირებდა რუსეთის საკონსულო. აქ მოსკოვის ლულუმბას სახელობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული არაბები ადგენდნენ რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებულ ტექნიკის ლექსიკონს. ჩვეულებრივ კი, როგორც თარჯიმანი „ბაბატიყ ცხადაია“ (ე. ი. პატიკო ცხადაია) ვემსახურებოდი რუს ინჟინრებს და რკინიგზის მშენებელ სირიელებს. სათარჯიმნო საქმიანობა ერთგვარად შაბლონური და რთული იყო, რადგანაც სირიელ მუშათა ძირითად ნაწილს სკოლაც კი არ ჰქონდა დამთავრებული და მხოლოდ სირიულ დიალექტზე ლაპარაკობდნენ. არაბული სამყარო 20-ზე მეტ სახელმწიფოს ითვლის და ყველგან სალიტერატურო ენა მხოლოდ ყურანის ენაა. თითოეულ ამ სახელმწიფოში სალაპარაკო ენა ძირითადად დიალექტია. ამიტომაც ადგილობრივთა მეტყველება ხშირად ჩვენთვის გაუგებარი იყო... საბჭოელი სპეციალისტები ხშირად დაჰყავდათ ექსკურსიებზე. დაუვიწყარია სირიის მთებში ქრისტიანული ეკლესიის დათვალიერება და უკვე უდაბნოდ ქცეულ ტერიტორიაზე IV საუკუნეში არსებული სამეფოს დედაქალაქის ნაშთი. მეფე იყო ქალი, სახელად ზინობია. რომაელებმა ეს სამეფო გაანადგურეს, მეუღაბნოედ გადაცმული დედოფალი დაატყვევეს და ოქროულობითა და თვალ-მარგალიტებით აღკაზმული გაატარეს რომის ქუჩებში... არაბი ინჟინრები არაიშვიათად ოჯახებშიც გვეპატიუებოდნენ როგორც პატივსაცემ

¹გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 7 მაისი, 1967, 1.

სტუმრებს, საბჭოელები კი დაბადების დღეებს აღნიშნავდნენ, ჰქონდათ ერთობლივი სპორტული შეხვედრები. დღემდე მაქვს შემონახული საწერი კალამი, წარწერით: „Чемпиону по волейболу контракта 947 г. Латакия, Сентябрь, 1968“.

მეცნიერი დღემდე ინახავს უმშვენიერესი სირიელი სტუდენტი გოგონას ლექსს, რომლის პირველ სტროფში ნათქვამია: „მე გავიცანი საბჭოელი, რომელიც არაბულად არაბზე უკეთ ლაპარაკობს“. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ სპეციალისტებს უწოდებდნენ რუსს ან საბჭოელს. პ. ცხადიას ერთხელ კიდევ გაუპროტესტებია: მე არ ვარ რუსი, მე ვარ ქართველი საქართველოდან. ეს ქვეყანა სადააო, უკითხავთ. კავკასიის მთებსა და შავ ზღვას შუაო, რომ უპასუხა, გაუკვირდათ და თქვეს: ე. ი. თქვენ იმ მთებიდან ყოფილხართ, სადაც ჩერქეზების სამშობლოაო (XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩერქეზებმა მასობრივად დატოვეს მშობლიური კუთხე და გადასახლდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში – თურქეთში, სირიაში...). პ. ცხადია 1969 წლის მაისამდე მუშაობდა სირიის არაბთა რესპუბლიკაში...

1968 წლის 18 ივლისს პაატა ცხადიამ დაამთავრა უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (ბრძ. №301) და მიენიჭა ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია (დიპლომი C №435327.)

პ. ცხადია იხსენებს: „გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ უნივერსიტეტის მეორე კორპუსის საპროფესოროსთან გ. წერეთელს ვესაუბრებოდი. გამოიარა პროფესორმა ფარნაოზ ერთელიშვილმა, რომელიც ქართულ ენას გვასწავლიდა და უთხრა გიორგი წერეთელს, ამ ყმაწვილს წელსვე თუ არ აიყვან ასპირანტურაში, მე მივხედავო. წერეთელმა უპასუხა: ეს ყმაწვილი უკვე სირიაში სამუშაოდ მიემგზავრებაო. გაუხარდა ბატონ ფარნაოზს და მთხოვა, შევბუღებული რომ ჩამოხვად, შინ მეწვიე და შთაბეჭდილებანი გამიზიარეო. შევბუღების ორი თვე მშობლიურ სოფელში გავატარე. შემდეგ კი, როგორც უკვე გაფრთხილებული ვიყავი, მოსკოვში უნდა დამერეკა სირიაში გამგზავრების თარიღთან დაკავშირებით. კვირა დღეს ჩამოვედი და, როგორც შევპირ-

დი, ბატონ ფარნაოზს შინ ვეახელი. დიდხანს ვისაუბრეთ. მერე ვუთხარი, ხვალ უნდა დავრეკო მოსკოვში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, და მეტყვიან, თუ როდის უნდა გავემგზავრო სირიაში. იქნებ არ წახვიდე! – მითხრა ბატონმა ფარნაოზმა. გამიკვირდა, რატომ-მეთქი. უნივერსიტეტში უკვე გაიხსნა ტოპონიმიკის ლაბორატორია, ვეძებთ თანამშრომლებს რეგიონების მიხედვით; სამეგრელოს ტოპონიმიას შენზე უკეთ ვერაფერ აღწერსო... დავდექი არჩევანის წინაშე. თანაც უნივერსიტეტში მუშაობა ჩემი ოცნება იყო, მაგრამ არაბულს ხომ ვერ ვუღალატებდი? ვერაფერი ვუპასუხე. მეორე დღეს დავრეკე მოსკოვში, რომ გამეგო გამგზავრების თარიღი. კარგა ხანს ვიყავი პასუხის მოლოდინში. შემდეგ კი მითხრეს, სირიაში წამსვლელთა სიაში არ ხარ, მაგრამ ნაშუადღევს მაინც დაგვირეკეო. დავრეკე. მიპასუხეს: **Выедете в Южно-Иеменскую арабскую Республику.** მივხვდი, რომ საბჭოთა კავშირის მოძულე მილიონერმა, იმ სტუდენტი გოგონას (მე რომ მომწონდა და მასაც მოეწონდი: ლექსიც კი მომიძღვნა) მამამ აღეპოს საკონსულოს სთხოვა, გავეგზავნეთ სხვა არაბულ სახელმწიფოში... იმ სადამოსვე კვლავ ვეწვიე ბატონ ფარნაოზს და დავთანხმდი ახალდაარსებული ტოპონიმიკის ლაბორატორიაში ლაბორანტად მუშაობაზე...“

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში პ. ცხადაია უკვე II კურსიდან აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში, საზოგადოებრივ საქმიანობაში, არჩეული იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პარტიზუროს მდივნის მოადგილედ და სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ¹. თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი პ. ცხადაია, როგორც ალკ ბიუროს მდივანი, კომკავშირელოა წინამძღოლად იქნა არჩეული.

¹ პ. ცხადაია, ავტობიოგრაფია, თსუ ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრის არქივი.

§2. 1. მოღვაწეობა თსუ-ის ტოპონიმის ლაბორატორიაში/ ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში

1969 წლის 1 ივლისიდან პ. ცხადია მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალდაარსებულ ტოპონიმის ლაბორატორიაში¹. ნათესავეები და მეზობლები, ნაცნობ-მეგობრები პ. ცხადიას ხშირად საყვედურობდნენ: სირიაში ხელფასის სახით თვეში 600 დოლარს იღებდი და რამ გაიძულა თბილისში დარჩენა, სადაც შენი ხელფასი მხოლოდ 87 მანეთს შეადგენსო.

უნდა ითქვას, რომ ტოპონიმის ლაბორატორიაში პაატა ცხადია ჩამოყალიბდა როგორც ფართო დიაპაზონის, მაღალი ერუდიციისა და მაღალკვალიფიციური ენათმეცნიერი, რომელიც დღესაც იმავე სამეცნიერო უჯრედში ემსახურება თავის საყვარელ საქმეს – ონომასტიკური მეცნიერების განვითარებასა და პოპულარიზაციას. სწორედ ტოპონიმების, ანთროპონიმებისა და ზოონიმების – ჩვენი წარსულის ამ ფასდაუდებელი საგანძურის – შესწავლასა და ამოცნობა-გააზრებას შეაღია ბატონმა პაატამ თითქმის ნახევარი საუკუნე. როგორც მეცნიერი, იშვიათი გამო-ნაკლისია იმ თვალსაზრისით, რომ მასში შერწყმულია მაღალი რანგის ფილოლოგი და ასეთივე რანგის საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხების მკვლევარი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ ეს მნიშვნელოვანი მხარე განსაზღვრავს პაა-

¹უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან ტოპონიმური ცენტრი შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის №189 დადგენილების საფუძველზე. 1969 წლის 18 ივნისს უნივერსიტეტის რექტორის – პროფ. ილია ვეკუას მიერ გამოცემულ ბრძანებაში ვკითხულობთ: „ახალი ქართული ენის კათედრასთან შეიქმნას ტოპონიმური ცენტრ-ლაბორატორია, რომელსაც დაევალოს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებთან და უმაღლესი სასწავლებლების სათანადო კათედრებთან ერთად გეოგრაფიული სახელწოდებების აღწერა-დადგენა და მოპოვებული მასალის პერიოდულად გამოსაცემად მომზადება. ტოპონიმური ცენტრ-ლაბორატორიის მეცნიერული ხელმძღვანელობა დაევალოს პროფესორ ფარნაოზ გიორგის ძე ერთეულიშვილს“. 1969 წლის 30 ივნისის ბრძანების საფუძველზე ლაბორატორიის გამგედ მუშაობას შეუდგა ბესიკ ჯორბენაძე, ხოლო ლაბორანტებად დაინიშნენ შუქია აფრიდონიძე, გივი ხორნაული, უშანგ სახლოხუციშვილი, ამბაკო ჭკადუა. ამ ბირთვს 1 ივლისს შეუერთდა პაატა ცხადია, ხოლო 23 ივლისს – იზა ბაქრაძე. იხ. პ. ცხადია, ასეთია ტოპონიმური ცენტრის ისტორია, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1999...

ტა ცხადიას მრავალრიცხოვანი და მაღალ დონეზე შესრულებული გამოკვლევების განსაკუთრებულ მეცნიერულ ღირებულებას.

საქართველოში გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჩაწერა-აღნუსხვისა და სათანადო მეცნიერული ანალიზის ორგანიზებულად წარმართვის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორს, ფარნაოზ ერთელიშვილს. მისი ინიციატივით 1969 წელს დაარსებულმა ტოპონიმიკის ლაბორატორიამ, პ. ცხადიას თქმით, „მთავარ მიზნად დაისახა საქართველოს ყველა რეგიონის, ყველა რაიონის, ნებისმიერი დასახლებული პუნქტისა თუ დაუსახლებელი ადგილების, დიდ თუ მცირე ობიექტთა სახელების დეტალურად აღწერა და, სამეცნიერო ტერმინით რომ ვთქვათ, რენტგენიზაცია, ე. ი. ყოველმხრივი (ენობრივი თუ გარეენობრივი) მაღალმეცნიერული ანალიზი“¹. ლაბორატორიის დაარსებას წინ უსწრებდა ტოპონიმიკის შემსწავლელი საუნივერსიტეტო საზოგადოების შექმნა. 1965 წლის 3 მარტს თბილისის უნივერსიტეტის რექტორის, აკად. ვეგენი ხარაძის სახელზე შედგენილ „მოსხენებით ბარათში“ ფ. ერთელიშვილი აღნიშნავდა: „იმ მიზნით, რათა საქართველოს ტერიტორიაზე ტოპონიმიის შესწავლა წარმოებდეს ორგანიზებულად, გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად, საჭიროა ჩამოყალიბდეს ტოპონიმიკის შემსწავლელი საუნივერსიტეტო საზოგადოება. ამ საზოგადოებაში გაერთიანდება თითოეული პირი (უნივერსიტეტის თანამშრომელი იქნება ის თუ სტუდენტი), რომელიც კი რაიმე საქმიანობით გაუწევს ტოპონიმიის შესწავლის საქმეს“. ერთი თვის თავზე გამოცემული ბრძანების თანახმად შექმნილი საუნივერსიტეტო ტოპონიმიკური საზოგადოების თავმჯდომარედ დაინიშნა ფ. ერთელიშვილი, ხოლო წევრებად – პროფ. არნოლდ ჩიქობავა, უფროსი მასწავლებელი ა. ალექსიძე, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე რისმაგ გორდეზიანი, ასპირანტი თამაზ კვაჭანტირაძე, ლაბორანტი ინეზა კიკნაძე და სტუდენტი პაატა ცხადია. ფილოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფია-გეოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე შექმნილი სტუდენტთა ჯგუფები პროფესორ-მასწავლებელ-

¹ პ. ცხადია, რედაქტორისაგან, კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VII, 2015, 4.

თა ხელმძღვანელობით საზოგადოებრივ საწყისებზე არდადეგების პერიოდში კრებდნენ ტოპონიმიკურ მასალებს¹. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდა პაატა ცხადაია. ლაბორატორიისათვის კადრების შერჩევა და მეცნიერული მუშაობის პროგრამის დასახვა, პირველი ნაბიჯები, მთლიანად დაკავშირებულია ფ. ერთელიშვილის სახელთან. მისი გარდაცვალების (1972 წ.) შემდეგ ლაბორატორიას მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდა აკად. შ. ძიძიგური, ხოლო 1986 წლის იანვრიდან ლაბორატორიის მეცნიერი ხელმძღვანელი პროფ. თედო უთურგაიძე იყო. გამგის თანამდებობაზე ბესარიონ (ბესიკ) ჯორბენაძისა და დოცენტ შუქია აფრიდონიძის მუშაობის შემდეგ, ლაბორატორიის შემდგომი მაღალხარისხოვანი მუშაობის საგარანტიოდ, თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით, გამგის ერთადერთ, მიზანშეწონილ და სასურველ კანდიდატად ამავე ლაბორატორიის თანამშრომელი, დოც. პაატა ცხადაია იქნა მიჩნეული. 1969-1976 წლებში იგი უფროს ლაბორანტად მუშაობდა. ტოპონიმური მასალის აღწერის მიზნით ორთვიანი მივლინებიდან 1976 წლის 1 სექტემბერს თბილისის უნივერსიტეტში მისულს ერთ-ერთმა თანამშრომელმა აცნობა, რომ ტოპონიმიკის ლაბორატორიის გამგედ იყო დანიშნული! პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის სიცოცხლეში, ბუნებრივია, ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე მუშაობა იოლი გახლდათ, თუმცა იგი არც შემდგომ გასჭირვებია პაატა ცხადაიას, რომელსაც, გარდა ლაბორატორიის მუშაობის კურსის საფუძვლიანი ცოდნისა, აღმოაჩნდა ხელმძღვანელისათვის საჭირო ყველა აუცილებელი ნიშან-თვისება: ენების ცოდნა (რუსული, არაბული, ინგლისური), კოლექციალობა, ადამიანური ურთიერთობანი, ლაბორატორიის პრაქტიკული საქმიანობის კარგი ცოდნა და, რაც მთავარია, პირადი მაგალითის უნარი – დღენიადაგ აქტიური მონაწილეობა ლაბორატორიის მიერ მოწყობილ ყოველწლიურ საველე ექსპედიციებში. ლაბორატორიის (შემდგომში ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის) ხელმძღვანელად პაატა ცხადაიას მოღვაწეობის პერიოდში თანამშრომლებს შორის არსებულმა მეგობრულმა ატმოსფერომ ხელი შეუწყო არა მხოლოდ

¹პ. ცხადაია, ასეთია ტოპონიმიკური ცენტრის ისტორია, გახ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1999; მისივე, ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005, 22.

პრაქტიკული საქმიანობის გაშლას, არამედ თითოეული წევრის თეორიული პროფილის გამოკვეთას.

1979 წელს ედუარდ შევარდნაძეს ტოპონიმიკის ლაბორატორიიდან მიუვიდა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ექვს ლაბორანტს საკანდიდატო ხარისხი უკვე დაცული ჰქონდა და კარგი იქნებოდა მათთვის სამეცნიერო შტატების გამოყოფა. პ. ცხადია დაიბარეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივან ვიქტორია სირაძესთან, რომელმაც შეატყობინა, რომ ლაბორატორიისათვის სამეცნიერო სტატუსის მინიჭება მხოლოდ მოსკოვის პრეროგატივა იყო. ლაბორატორიის გამგე ამის გამო ძალიან შეწუხდა და, ჩვენ ხომ ეროვნულ საქმეს ვემსახურებითო, შესწივლა. ვ. სირაძემ უპასუხა: სწორედ რომ ეროვნულ საქმეს აკეთებთ და ამიტომაც მოსკოვი სათანადო სტატუსს არ მოგანიჭებთო. „ეს რომ თქვა, – იგონებს ბატონი პაატა, – გადახედა მამაკაცს, რომელიც ჩვენს საუბარს იწერდა და უთხრა, ეს არ აღნიშნო. ჩვენი საუბარი დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს გადაწყდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ქალბატონი ვიქტორია დაელაპარაკებოდა უნივერსიტეტის რექტორს და კათედრის გამგეს, პროფესორ შოთა ძიძიგურს... საბოლოოდ გადაწყდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მოსკოვში გავმგზავრებულიყავით მე და უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის გამგე გივი კუკუტარია. გავემგზავრეთ და სსრკ განათლების სამინისტროს ვეწვიეთ. ვესაუბრეთ მინისტრის მოადგილეს, მაგრამ მან მტკიცე უარი განაცხადა ჩვენს მოთხოვნაზე. მინისტრთან ვითხოვდით შეხვედრას, მაგრამ არ შეგვიშვეს. რომ არ წამოვედით, გაგვაფრთხილეს, თუ აქაურობას არ გაეცლებით, მილიციას გამოვუძახებთო... თბილისში ჩამოსულმა ყოველივე მოვახსენე ქალბატონ ვიქტორია სირაძეს. ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ ცხადი იყო, რომ ყველაფერი მოეხსენებინა ედუარდ შევარდნაძისთვის. მან კი ჩვენი ლაბორატორიის სახელით გაგზავნილ განცხადებას გაუკეთა ასეთი წარწერა: საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს: „დააფინანსეთ ადგილობრივი ბიუჯეტით“! ასე რომ, მოსკოვისაგან ფარულად მივიღეთ სამეცნიერო ლაბორატორიის სტატუსი. ამის შემდეგ სსრკ-ის დაშლამდე ლა-

ბორატორია მოსკოვის ნებართვის გარეშე, არალეგალურად ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას¹.

1980 წლის 20 აპრილს, უნივერსიტეტის რექტორის 1979 წლის 25 მაისის №3/204 ბრძანების საფუძველზე, პ. ცხადაია დამტკიცდა ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე. პარალელურად, 1976-1980 წლებში ეკავა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. ოთხი წლის შემდეგ პ. ცხადაია დარწმუნდა, რომ დეკანის მოადგილეობა სამეგრელოს ტოპონიმთა აღწერის საქმეში ხელს უშლიდა და ფაკულტეტის დეკანს, პროფ. ე. ხინთიბიძეს მიმართა განცხადებით, რომ გაეთავისუფლებინა იგი დაკავებული თანამდებობიდან. 1984 წლის 10 აპრილიდან პ. ცხადაიას იმავე ლაბორატორიაში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა ეჭირა. 1987 წლის 9 ივლისის №3/567 ბრძანების საფუძველზე, კონკურსის წესით ისევ დამტკიცდა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგის, ხოლო 1992 წლის 18 დეკემბრის №3/803 ბრძანებით – თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგედ, ასევე კონკურსის წესით.

1994 წლიდან 2006 წლამდე პ. ცხადაია შეთავსებით მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში, სადაც 1998 წლიდან იყო ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე. კითხულობდა ლექციებს ახალ ქართულ ენაში, ენათმეცნიერების შესავალსა და დიალექტოლოგიაში. ფილიალში მუშაობის პერიოდში პ. ცხადაიამ შეიმუშავა ქიზიყის საკუთარ სახელთა აღწერა-აღწერის და სათანადო ენციკლოპედიური ლექსიკონის მომზადების პროექტი, რაც წარუდგინა თსუ სიღნაღის ფილიალის დირექტორს, პროფ. გაიოზ ნადირაშვილს. პროექტის ავტორი აღნიშნავს, რომ ისტორიული, ეთნოგრაფიული და ენობრივ-ონომური თვალსაზრისით ერთ-ერთი მეტად საინტერესო მხარის – ქიზიყის ტოპონიმთა ჩაწერის კუთხით არსებული ხარვეზის გასწორება თსუ სიღნაღის ფილიალის პროფესორ-მასწავ-

¹ მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე პ. ცხადაია, ორი წერილი – ორი შედეგი, კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VI, 2013, 435-436.

ლებელთა და სტუდენტთა დიდი ეროვნულ-პატრიოტული და მოქალაქეობრივი ვალია. სტუდენტებისათვის ამ პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან ისინი უფრო ღრმად ჩასწვდებიან მშობლიური კუთხის ისტორიას, წინაპართა სულიერი და მატერიალური ცხოვრების წესებს. მკვლევარს ჩაფიქრებული ჰქონდა მთელი მოპოვებული მასალის გამოქვეყნება სახელწოდებით – „ქიზიყის ონიმური ენციკლოპედია“, ან „ქიზიყის ონომასტიკონი“. ამას მოჰყვა ფილიალის დირექტორის ბრძანება. პ. ცხადაიას მიერ წარმოდგენილი პროექტის განსახორციელებლად შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის პრეზიდენტი. საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა პროექტის ავტორს, პროფ. პაატა ცხადაიას¹.

მანვე შეიმუშავა სიღნაღის რაიონში მოსწავლეთა სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩატარების პროექტი და კონფერენციის მონაწილეთათვის მოკლე ინსტრუქცია ონომასტიკური მასალის ჩასაწერად. უკვე ხუთი წელია, სიღნაღში ფუნქციონირებს თბილისის უნივერსიტეტის ფილიალი, – წერს პ. ცხადაია, – რომელმაც სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ორ გამოშვებას უკვე დაულოცა გზა, ხოლო საუკეთესონი გაიგზავნენ და ცოდნას იღრმავენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში. თსუ კახეთის მხარის (სიღნაღის) ფილიალი გადაიქცა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრად, სადაც თბილისიდან მოწვეული ცნობილი სპეციალისტების გარდა მოღვაწეობენ ნიჭიერი ადგილობრივი პედაგოგები. სამეცნიერო მუშაობაში აქტიურად არიან ჩაბმული სტუდენტებიც, რომლებმაც მოიძიეს სამეცნიერო თვალსაზრისით საინტერესო მასალები დიალექტოლოგიაში, ფოლკლორში, ეთნოგრაფიასა და ონომასტიკაში. წაიკითხეს მოხსენებები როგორც მშობლიურ სასწავლებელში, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მის ახალციხის ფილიალში. დროა, ამგვარ მუშაობაში ჩავაბათ ჯერჯერობით თუნდაც სიღნაღის (მომავალ წელს დედოფლის-

¹იხ. პ. ცხადაია, თსუ სიღნაღის ფილიალის დირექტორს, პროფ. გაიოზ ნადირაშვილს. კრ. „სიღნაღი – 2“, თბ., 2007, 114-124.

წყაროს) რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობა, რაც ვერ განხორციელდება რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების დირექტორთა მხარდაჭერის გარეშე. პ. ცხადაიას კონკრეტულ ჩასატარებელ ღონისძიებათა რიგში ესახება თითოეული სკოლიდან შერჩეული მოსწავლეების მიერ მშობლიურ სოფელში შეკრებილი ონომასტიკური და დიალექტოლოგიური მასალის (ადგილის სახელების, მეტსახელების, გვარსახელების, შტოგვარების, დარგობრივი ლექსიკის ნიმუშების, ფოლკლორული მასალის) რაიონულ სამეცნიერო-შემოქმედებით კონფერენციაზე მოხსენების სახით წარდგენა. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, კონფერენციაზე წარმოედგინათ საკუთარი შემოქმედებაც (ლექსები, ნოველები...), ან მათ მიერ ჩაწერილი ხალხური შემოქმედების (ფოლკლორული) ნიმუშები. ამ მიმართულებით თსუ კახეთის მხარის (სიღნაღის) ფილიალის პროფესორ-მასწავლებელთა და სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების მიერ განხორციელებულმა მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო და 2001 წლის 8 ნოემბერს ჩატარდა სიღნაღის რაიონის მოსწავლეთა სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია, სადაც წარმოდგენილი იყო შვიდი მოხსენება და ერთი მოსწავლის საკუთარი შემოქმედება (ნოველები)¹.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიას ეწოდა „ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“. დაარსდა პერიოდული სამეცნიერო კრებული „ქართველური ონომასტიკა“. ყოველწლიურად ტარდებოდა სამეცნიერო სესია. 2006 წლიდან ყველა უმაღლეს სასწავლებელში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მცდელობით გაუქმდა ს/კ ლაბორატორიები და ცენტრები, უნივერსიტეტიდან გაყარეს ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები და მათ „ჩარეცხილები“ უწოდეს. ლაბორატორიის 13 თანამშრომლიდან თსუ-ში მხოლოდ პაატა ცხადაია დატოვეს: კონკურსით განამწესეს უფროს სპეციალისტად, მაგრამ რეალურად დაავადეს ონომასტიკური ცენტრის საქმიანობის გაგრძელება. პრეზიდენტად მეორედ არჩევის შემდეგ, 2008 წლის გაზაფხულზე პ. ცხადაიამ

¹იხ. სიღნაღი – 2, თბ., 2007, 125-133.

2008 წლის 5 მარტს წერილობით მიმართა მიხეილ სააკაშვილს: სთხოვდა, რომ თავისი ფონდიდან გამოეყო მცირედი თანხა საქართველოში ონომასტიკური მასალის ჩაწერის გასაგრძელებლად. წერილში ვკითხულობთ: „ჩვენი მომავალი ნატოშია. მაგრამ ნატოს ოცდაექვსივე ქვეყანას დაწვრილებით აქვს აღწერილი, ენციკლოპედიურ ლექსიკონებად გამოცემული და გამოკვლეული საკუთარი ქვეყნის ტოპონიმი. ჩვენ კი ამ თვალსაზრისით შუა გზაზე ვართ. მაშასადამე, საჭიროა, ვეძიოთ გამოსავალი. რა თქმა უნდა, მთავარია დაფინანსება...“

ჩემთვის არაფერს ვითხოვ, მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს ვხელმძღვანელობდი ტოპონიმიკის ლაბორატორიას (შემდგომში: ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი). ამჟამად ვარ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტი. შევიშუშავე საქართველოს ტოპონიმიის აღწერის საქმეში სტუდენტთა მონაწილეობის პროექტი... მაგრამ გული მტკივა იმის გამო, რომ დიდი ხნით დაგვიანდება საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა აღწერა-აღწერა, ტოპონიმა რეგიონული ლექსიკონებისა და, ბოლოს, მათს საფუძველზე ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემა.

აჯობებს, საქმე ისე მოგვარდეს, მომავალმა თაობებმა არ განაცხადონ, რომ კომუნისტური რეჟიმის მიერ ნებადართული ეროვნული საქმის კეთება სწორედ ვარდების რევოლუციის შემდეგ შეწყდა.

გთხოვთ თანადგომას ამ უმნიშვნელოვანესი ეროვნული საქმის განხორციელებაში. ხომ არ იკისრებს ამ საქმეს პრეზიდენტის ფონდი?!¹

წერილის საპასუხოდ კანცელარიის უფროსი კახა ბენდუქიძე იუწყებოდა, რომ პრეზიდენტის ფონდი საამისო თანხებს არ ითვალისწინებდა. პ. ცხადაიას შემდგომაც არაერთხელ მიუმართავს პრეზიდენტისთვის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეებისთვის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრებისთვის, დაეფინანსებინათ და განახლებულიყო ისეთი აუცილებელი საქმე, როგორცაა ონომასტიკური მასალის მოპოვება და მისი მეცნიერული, ენობ-

¹ პ. ცხადაია, ორი წერილი – ორი შედეგი, „ქართველური ონომასტიკა“, VI, თბ., 2013, 438-439.

რევი და გარეეწობრივი ანალიზი. პ. ცხადაიას განცხადება უბრუნდებოდა უნივერსიტეტის რექტორს, იგი, ჩვეულებრივ, გადაამისამართებდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან. „ჩემი წერილი განათლების სამინისტროში გადაუგზავნიათ, – წერს პ. ცხადაია, – დამიბარეს და შემომთავაზეს, შემედგინა ჩემი მოთხოვნის შესაბამისი პროექტი. გამიხარდა. ნაცნობსა და უცნობს სიხარულით ვატყობინებდი, საქართველოს რეგიონების ტოპონიმურ აღწერას აუცილებლად დავამთავრებთ-მეთქი. შევადგინე სამწლიანი პროექტი, რომელშიც ჩავრთე ცენტრის ყველა ყოფილი თანამშრომელი. ეგ რა გიქნიაო, მითხრეს, პროექტის დირექტურება 50 ათას ლარს არ უნდა აღემატებოდესო. ვიფიქრე, განათლების სამინისტროს ამაზე მეტი საფინანსო რეზერვი არ ჰქონია-მეთქი. თურმე წერილიც და ჩემი პროექტიც თსუ-ში გადმოუგზავნიათ. რექტორმა გ. ხუბუამ ჩემთან პირადად შეხვედრა და სათანადო სიტუაციის განმარტება არ იკადრა, მიღებული წერილი და პროექტი პრორექტორს გაუგზავნა, მან კი – ფაკულტეტის დეკანს, ქ-ნ დარეჯან თვალთვაძეს. ქაღალტონი დარეჯანი ძალზე შეწუხდა და ბოდიშიც კი მოიხადა, რომ სათანადო თანხა არ მოეპოვებოდა“¹. პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ მხოლოდ ის გახდა შესაძლებელი, აღდგენილიყო ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა პ. ცხადაია².

¹პ. ცხადაია, ორი წერილი – ორი შედეგი, „ქართველური ონომასტიკა“, VI, 440.

²„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტების პატიკო ცხადაიას და ივანე ლეჟავას ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელისა და ექსპერიმენტული ფონეტიკის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობებზე გადაყვანის თაობაზე“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 31 მარტის №285/02-03 ბრძანების პირველი მუხელში ვკითხულობთ: „გადაყვანილ იქნას 2014 წლის 31 მარტიდან სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტ პატიკო ცხადაია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე და განესაზღვროს შრომის ანაზღაურება თვეში 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარი“. ხელს აწერს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დ. ჩომახიძე.

გასაგებია, ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა, მსუბუქად რომ ვთქვათ, მოიკოჭლებს, მაგრამ, სადღეისოდ, ფილოლოგიური მეცნიერების დარგებს შორის ონომასტიკა ერთადერთია, რომლის საკვლევი მასალა ძირითადად საველე ექსპედიციებითაა მოსაპოვებელი; ამასთანავე, ტოპონიმს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ისტორიის, სამეურნეო საქმიანობის, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესასწავლად (ამიტომაც ევროპაში ტოპონიმის უწოდებენ „ისტორიის მატრიანეს“, „საიდუმლოთა სკივრს“...). როგორც ცნობილია, ყოველი თაობის შემდეგ სოფლებში ათობით გეოგრაფიული სახელწოდება იკარგება...

მეცნიერებისა და განათლების სისტემა საქართველოში ძირეულ გარდაქმნებს მოითხოვს და ჩვენთვის ნათელია, რომ შესაბამისი ფუნდამენტური ცვლილებები მხოლოდ საკმაოდ რთული და ხანგრძლივი ინტენსიური მუშაობის შედეგად შეიძლება განხორციელდეს. ამდენად, ცხადია, რომ დროში საკმაოდ გაწევილ პროცესთან გვექნება საქმე. ამ მიმართულებით შემოთავაზებული ნებისმიერი საყურადღებო პრინციპის რეალიზაცია ქართულ მეცნიერებასა და განათლებას წინსვლის დიდ პერსპექტივებს გაუხსნის. ვფიქრობთ, რომ არსებობს პრობლემები საუნივერსიტეტო განათლებაში(კერძოდ, თსუ-ის მართვის სისტემაში), რომელთა დაძლევაც კეთილი ნების შემთხვევაში დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. მათი გადაჭრა და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის სწავლისა და სწავლების რამდენადმე ადეკვატური პირობების შექმნა საკმაოდ სწრაფად, ძირეულ გარდაქმნათა განხორციელებამდე შესაძლებელია. ვგულისხმობთ სისტემას – გიორგი ხუბუას მიერ დანერგილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რაც ნამდვილად ეწინააღმდეგება დეკლარირებულ პრინციპს უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერების ორგანული კავშირის შესახებ. გიორგი ხუბუას რექტორობის პერიოდში უნივერსიტეტში გაუქმდა სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები (ლაბორატორიები, ცენტრები), ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის, მოსე ჯანაშვილისა და სხვათა, კაბინეტები... ეს მოხდა განათლებისა და მეცნიერების დეკლარირებული ერთიანობისა და დაახლოების ფონზე. სამეცნიერო ლაბორატორიები მუშაობდნენ მნიშვნელოვან სამეცნიერო პრობლემატიკაზე და, ამასთან, უზ-

რუნველყოფდნენ კვლევებში სტუდენტის ჩართვას. მეცნიერ-თანამშრომლები, სამეცნიერო მუშაობის გარდა, მოწოდებულნი იყვნენ, დახმარებოდნენ სასწავლო პროცესს: წაკითხათ სპეციალური კურსები, ჩაეტარებინათ სემინარები, გაემდიდრებინათ სწავლის პროცესი, ჩაერთოთ სტუდენტები სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, გაემდიდრებინათ სწავლება თვალსაჩინო მასალით. სასწავლო პროცესში მათი ჩართვით შესაძლებელი იყო აკადემიური პერსონალის განტვირთვაც, რათა მათი დატვირთვაც ზომიერი ყოფილიყო და კვლევის მეტი შესაძლებლობა ჰქონოდათ.

ასეთი გაუქმებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მაგალითებად თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიძლება მოვიყვანოთ ძველი ქართული ხელნაწერების შემსწავლელი ლაბორატორია „**ორიონი**“, დაარსებული აკად. აკაკი შანიძის მიერ, **ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია**, დაარსებული აკად. გიორგი ახვლედიანის მიერ, და **ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი**, დაარსებული პროფესორ ფარნაოზ ერთელიშვილის მიერ. სამივე ერთეული წლების მანძილზე უაღრესად მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა; თანამშრომლების ნაწილი იძულებული იყო, მუშაობა გაეგრძელებინა ნულოვანი დაფინანსების პირობებში; ცალკეულ შემთხვევებში მათი კვლევების დაფინანსება შესაძლებელი გახდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეშვეობით. ლაბორატორია „**ორიონი**“ მუშაობს ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლასა და მათ გამოცემათა მომზადებაზე. ვფიქრობთ, ზედმეტია იმის ვრცლად დასაბუთება, რომ ეს ქართული კულტურისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი დარგია და იგი საქართველოში პრიორიტეტული ხელშეწყობით უნდა სარგებლობდეს. საქართველოში არსებობდა ექსპერიმენტული ფონეტიკის სამი ლაბორატორია, რომელთაგან წლების მანძილზე მძიმე პირობებში და საგრანტო პროექტების მეშვეობით მხოლოდ თსუ ლაბორატორია ფუნქციონირებდა. ლაბორატორიაში მიმდინარეობს ქართველური და კავკასიური ენებისა და დიალექტების აკუსტიკური, არტიკულაციური და პერცეფციული შესწავლა. ლაბორატორიაში დაცულია ძვირფასი ფონოთეკა, რომელიც კონსერვაციასა და განახლებას საჭიროებს. ასევე ცხადია, რომ ქართველურ და კავკასი-

ურ ენათა ფონეტიკური შესწავლა ქართული მეცნიერების პრიორიტეტი უნდა იყოს. ბევრი ენობრივი ერთეული, რომლის შესწავლაც აქ ხდება, გაქრობის საფრთხის ქვეშაა და სასწრაფო ფიქსირებას საჭიროებს.

ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დატულია ათწლეულების განმავლობაში შეგროვილი ტოპონიმური მასალა. ცენტრის გაუქმების გამო ქართველური ონიმიის შეკრებისა და ძიების საქმე შუა გზაზე შეჩერდა. ამასთანავე, იგი წარმართავდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში სათანადო კვლევა-ძიებას. ონომასტიკური მასალის მოპოვებისა და სათანადო კვლევის ბოლომდე მიყვანა ქართველოლოგიის უპირველეს ამოცანათა რიგშია.

ამ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სრულფასოვანი ფუნქციონირების აღდგენა სტაბილური საშტატო ერთეულებით მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა შესაძლებელი. აუცილებლად გვესახება მათი ადეკვატური დაფინანსებაც, რადგან გვეკარგება დარგები, რომელთა თავიდან დაფუძნება გაცილებით ძნელია, ვიდრე ახლა, სპეციალისტების ასე თუ ისე ჯერ კიდევ არსებობის პირობებში, მათი შენარჩუნება და განვითარება.

გვინდა ხაზი გავუსვათ იმასაც, რაზედაც უკანასკნელ დროს ხშირად არის ლაპარაკი. უნივერსიტეტში ადმინისტრაციული პერსონალის ხვედრითი წილი სრულიად გაუმართლებლად არის გაზრდილი. ამასთან, ის სრულებით არ უზრუნველყოფს სტუდენტთა და ლექტორთა მუშაობის ეფექტურობის გაზრდას. პირიქით, როგორც ეს ხშირად ხდება, გაზრდილი ბიუროკრატია, თავისი არსებობის გასამართლებლად ბევრ დაბრკოლებას ქმნის და აფერხებს სასწავლო და სამეცნიერო პროცესს. ადმინისტრაციული პერსონალის წილის შემცირება და ჯანსაღი წონასწორობის აღდგენა აუცილებლად გვესახება არა მარტო სახელმწიფოსა და სტუდენტების მიერ შემოტანილი სახსრების უაზრო ხარჯვის შესამცირებლად, არამედ უნივერსიტეტში ჯანსაღი ატმოსფეროს აღსადგენად, როდესაც პირველ პლანზე უნდა იყოს აკადემიური საქმიანობა და სტუდენტები და ლექტორები არ განიცდიდნენ თავს ძლიერი ადმინისტრაციული აპარატის დანამატად. ვფიქრობთ, ბიუროკრატიული აპარატის ადეკვატური შემცირება გამო-

ათავისუფლებს სახსრებს სასწავლო და სამეცნიერო პროცესების უკეთესი წარმართვისათვის. ამ ცვლილებების განხორციელება არ უნდა მოითხოვდეს დიდ ძალისხმევას და დიდ დამატებით სახსრებს; მათი გატარება შესაძლებელი უნდა იყოს ძირეულ ცვლილებათა დაწყებამდე. აქ საქმე მხოლოდ მიზანშეწონილობის პრინციპის ამოქმედებას ეხება, ხოლო მიზანი, ცხადია, უნივერსიტეტისათვის სწავლისა და კვლევის მაღალი დონის უზრუნველყოფა უნდა იყოს.

პაატა ცხადია 2000-2010 წლებში შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში, მეცნიერ-თანამშრომლად. მეცნიერი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების, აგრეთვე საქალაქო ობიექტების სახელწოდებათა გადარქმევისა და ახალი ობიექტებისათვის სახელების მინიჭების კუთხით შექმნილი სპეციალური კომისიის მუშაობაში. ასეთი კომისია მოგვიანებით თავის საქმიანობას წარმართავდა თბილისის მერიასთან არსებული მრჩეველთა საბჭოს სახით¹. გარდა ამისა, ონომასტიკის ს/კ ცენტრში ხშირად მოდიო-

¹ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარე გივი კეკელიძე, თსუ ონომასტიკის ლაბორატორიის უფროსს, 2005 წლის 27 მაისს, №01-09/82 მომართვის საფუძველზე, აცხადებდა: „ბატონო პაატა, „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 აპრილის №160 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის გამო გთხოვთ თქვენს თანხმობას, რათა მონაწილეობა მიიღოთ აღნიშნული კომისიის მუშაობაში“. მომართვის პასუხად პ. ცხადია გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარეს წერილობით აცნობებს, რომ თანახმაა, მონაწილეობა მიიღოს სამთავრობო კომისიის მუშაობაში. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებულება ითვალისწინებდა „საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ დებულების დამტკიცებისა და საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულებისათვის სახელების დარქმევისა და გადარქმევის საკითხთა კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 14 მაისის №321 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანას. ბრძანებულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2. საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულებისათვის სახელების დარქმევისა და გადარქმევის საკითხთა შესწავლისა და შესაბამისი დასკვნების მომზადების მიზნით შეიქმნას საქართველოს ადმინისტრაციული ერ-

და წერილები, რომლებშიც ითხოვდნენ დახმარებას ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელის დარქმევისა თუ გადარქმევის საქმეში. ამასთან დაკავშირებით ზოგჯერ საჭირო იყო რაიონში ჩასვლა და საკითხის სპეციალური შესწავლა. ცენტრის თანამშრომლებს რესპუბლიკური პრესის მეშვეობითაც არაერთგზის დაუსვამთ საკითხები სოფლებისა თუ ქუჩების სახელწოდების მოგვარებასთან დაკავშირებით (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ).

მეცნიერის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს პედაგოგიურ საქმიანობას, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო. 1972 წლის თებერვლიდან შეთავსებით მუშაობდა სამხედრო კათედრაზე არაბული ენის მასწავლებლად, საათობრივი ანაზღაურების წესით. პ. ცხადაია 1992-2004 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის P. 10. 07. №7, ხოლო 1995-2005 წლებში – თსუ სიღნაღის ფილიალის სამეცნიერო საბჭოს წევრი. დიდია მისი დამსახურება სპეციალისტების აღზრდასა და ხელმძღვანელობაში. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით შესრულებულია რამდენიმე სადისერტაციო ნაშრომი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კერძოდ, **მურად კემულარიას** მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია – „ქვემო ქართლის ტოპონიმია (დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მიხედვით)“ (თბ., 1998 წ., კონსულტანტი პ. ცხადაია); **დარეჯან კირთაძის** მიერ ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია – „საკუთარი სახელი ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში (V-X სს.)“ (თბ., 2010 წ.). პ. ცხადაია იყო **შუქია აფრიდონიძის, მიხეილ ქამადაძის, ვახტანგ მადრაძის, დალი კვარაცხელიას, ბიძინა ლემონჯავას, ნიკო ოთინაშვილის, ზოია ტულუშის, ქეთევან მარგიანის, ვიანორ ახალაიას, დავით შავიანიძის, მანანა ბუკიას, ინგა ბებიას, ასმათ შონი-**

თეულებისათვის სახელების დარქმევისა და გადარქმევის საკითხთა კომისია“. კომისიის შემადგენლობაში დასახელებულნი არიან: პავლე კუბლაშვილი, ჯამბულ ბაკურაძე, როლანდ თოფჩიშვილი, გუნა კვარაცხელია, დავით მუსხელიშვილი, ლევან ტაბატაძე, მერი ლომია და **პაატა ცხადაია**.

ას, იბრაჰიმ არისოს, ივორ კეკელიას, ნანა სულავასა და სხვათა, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ოფიციალური ოპონენტი და რეცენზენტი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პ. ცხადაია წლების მანძილზე იყო ონომატოლოგთა სამეცნიერო სესიების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზატორი, საქართველოს ქალაქებსა და საზღვარგარეთ ჩატარებული რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციისა და საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილე. მისი რედაქტორობით სხვადასხვა დროს გამოიცა ს/კ ცენტრის სამეცნიერო კრებულები, ცალკეული რეგიონების ტოპონიმური და ანთროპონიმული სალექსიკონო მასალები და მონოგრაფიები და: **საქართველოს სსრ ტოპონიმია** (მასალები), ტ. I. ზემო იმერეთი, თბ., 1987; **საქართველოს ტოპონიმია** (მასალები), ტ. II, თბ., 1999; **საქართველოს ტოპონიმია** (მასალები), ტ. III, ქვემო იმერეთი, თბ., 2003; **ქართველური ონომასტიკა**, I, თბ., 1998; II, თბ., 2004; III, თბ., 2007; IV, თბ., 2007; V, თბ., 2011; VI, თბ., 2013; VII, თბ., 2015; **სიღნაღი**, თბ., 2005; **სიღნაღი – 2**, თბ., 2007; **ანა ჩიქვანაია**, მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1998; **უშანგ სახლთხუციშვილი**, „ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები, I, თბ., 1997; **რევაზ ძნელაძე**, გურული დიალექტის ტოპონიმური სისტემა, თბ., 2005; **სერგო მელიქიძე**, მცხეთის რაიონის ტოპონიმია, თბ., 2007; **მერაბ ბერიძე**, ტაძრები და სახელები, თბ., 2010; **ივორ კეკელია**, ბანძის ტოპონიმია, თბ., 2007; **მისივე**, მარტვილის რაიონის ოიკონიმია, ქუთ., 2010; **მისივე**, აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2011; **მისივე**, მარტვილის რაიონის ტყისა და საძოვრების ზონის ტოპონიმია (სალხინოს სატყეო), I, ქუთ., 2011; **მისივე**, მარტვილის რაიონის ტყისა და საძოვრების ზონის ტოპონიმია (გაჭედისა და კურზუს სატყეოები), II, ქუთ., 2011; **მისივე**, მარტვილის რაიონის ტყისა და საძოვრების ზონის ტოპონიმია (ტალერის სატყეო), III, ქუთ., 2011; **მისივე**, სეფიეთის ტოპონიმია, ქუთ., 2011; **მისივე**, ნაესაკაოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, ქუთ., 2012; **მისივე**, სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2012; **დარეჯან კირთაძე**, ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი V-X სს-ის ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში, თბ., 2012; **ქეთევან გო-**

დერბიშვილი, ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები, თბ., 2012; **მურად კემულარია**, ქვემო ქართლის ტოპონიმია, თბ., 2013; **გიორგი ქიტოშვილი**, კაჭრეთისა და ჯემითის ონომასტიკური მასალა, თბ., 2015; **დოდო ქიტუაშვილი**, ნინოხის ხეობის ონომასტიკონი, თბ., 2015; **თაია ცხადაია**, კავთისხევის ონომასტიკური მასალა, თბ., 2015...

პ. ცხადაიას ხელმძღვანელობით და ავტორობით, პროექტის სხვა შემსრულებლებთან ერთად, განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტი (28. XI. 2004-22. XI. 2005 წწ.), რაც ითვალისწინებდა საქართველოს მთის რეგიონების ტოპონიმთა კომპიუტერული ბაზის შექმნას. მას შემდეგ კი პ. ცხადაია თავის მთავარ საზრუნავად თვლიდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსში გამარჯვებული და დაფინანსებული საგრანტო პროექტის („ქართველური ტოპონიმთა (ქართველურ ენათა გეოგრაფიული სახელების კომპიუტერიზაცია, ლინგვისტურ-ექსტრალინგვისტური ანალიზი და ეტიმოლოგიური ძიებანი“) ფარგლებში 2009-2011 წლებში დამუშავებული სამეცნიერო თემატიკის „ონომასტიკური ძიებანი“-ს სერიით მომზადებასა და გამოცემას.

პ. ცხადაიას სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ მოკლე ინფორმაცია დაიბეჭდა მოსკოვის აკადემიის გამოცემლობის მიერ 2002 წელს გამოცემულ კრებულში – Кто есть кто в кавказоведении. უნივერსიტეტისა და მეცნიერების წინაშე გაწეული სამსახური არაჩვეულებრივად ნაყოფიერ მეცნიერს შესაფერისად დაუფასდა. 2015 წლის 8 თებერვალს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე გაწეული დვაწლისთვის თსუ ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პაატა ცხადაია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდა (დოკუმენტს ხელს აწერს თსუ-ის რექტორი, აკად. ვლადიმერ პაპავა).

უნდა ითქვას, რომ პ. ცხადაიას, როგორც მეცნიერ-მკვლევარის, წარმატებების ძირითადი გარანტი მისი მეუღლე, ქალბატონი **ვილენა (ვიკა) ჯოჯუა** (1946-2009 წწ.) იყო. შრომისმოყვარეო-

ბით და ოჯახის სიყვარულით გამორჩეული ქალბატონი ათწლეულების მანძილზე მეუღლესთან ერთად მოღვაწეობდა თსუ ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში (ყოფილი ტოპონიმიკის ლაბორატორია), სადაც წარმოიხინდა მისი, როგორც კლასიკური ფილოლოგიის შესანიშნავი სპეციალისტის, პროფესიონალიზმი. მან უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დასრულებისთანავე (1970 წ.) დაიწყო მუშაობა ამ სამეცნიერო უჯრედში და გაიარა გზა ლაბორანტობიდან მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობამდე. პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის სასულიერო აკადემიაშიც. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის პაატა ცხადიასთან თანავტორობით – რაჭისა და სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა სალექსიკონო მასალა, აგრეთვე „საქართველოს სსრ ტოპონიმია (მასალები“ (1987 წ.), „ქვემო იმერეთის ჰიდრონიმია (მასალები“ (1999 წ.) და „ქვემო იმერეთის ტოპონიმია (მასალები“ (2003 წ.). ცალკეული გამოკვლევებიდან აქვე დავასახელებთ რამდენიმეს: „ქართული ტოპონიმები ბერძნულ წყაროებში“, „ქართული ეთნონიმები ანტიკური ხანის ავტორებთან“, „ბერძნულ წყაროებში დასახელებულ ქართულ ტოპონიმთა თავისებურება“, „ქართული ონომასტიკონი სტრაბონის „გეოგრაფიაში“, „ძველი საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა გადმოცემისათვის ბერძენ ავტორებთან“, „ქართველური ეთნონიმები ბერძნულ წყაროებში“, „გეოგრაფიული ტერმინები და მათი როლი ტოპონიმიაში“ და სხვ.¹

პროფ. შუქია აფრიდონიძის მართებული შეფასებით, რაჭა-ლეჩხუმის ტოპონიმიკური „ათვისების“ კუთხით არსებული ხარვეზი რომ შევსებულია და თეთრი ლაქა გაფერადებული, სწორედ ვიკა ჯოჯუას, ფიქრია მაკალათიასა და პაატა ცხადიას დამსახურებაა. ყოველივე ეს კი იმიტომ მოხდა, რომ აქ იყვნენ ბ-ნი ფარნაოხის მიერ გამოზრდილი პაატა ცხადია და ვიკა ჯოჯუა. მანამდე არსებული სიმბოლური ოჯახი იქცა ნამდვილ მიწიერ და მყარ ოჯახად, რომელმაც ბევრი რამ გადაიტანა, არაერთ პირად განსაცდელსაც თვალი გაუსწორა და ღირსეულად

¹ი. კეკელია, დ. შონია, ვილენა ჯოჯუა (ცხოვრების გზა და სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია). კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VII, თბ., 2015, 25-27.

გააგრძელა ერთად დაწყებული საქმე. ფარნაოზ ერთელიშვილს გუმანი არ ღალატობდა“¹.

მეცნიერული მოღვაწეობის გზას დაადგა პ. ცხადაიას ქალიშვილი თაიაც (დაბ. 1973 წელს). 1990 წელს დაამთავრა თბილისის 186-ე საშუალო სკოლა. 1990-1995 წლებში სწავლობდა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე; 1999-2006 წლებში იყო თსუ ძველი ქართული ენის კათედრის ლაბორანტი; 1996-1999 წლებში სწავლობდა ძველი ქართული ენის კათედრის ასპირანტურაში, ქართველური ენების სპეციალობით; 1999-2005 წლებში მუშაობდა თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში, მოწვეულ სპეციალისტად, სადაც კითხულობდა ახალი ქართული ენის კურსს და ენათმეცნიერების შესავალს. 2006-2009 წლებში კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორია, 2010 წლიდან – სრული პროფესორი. აქვე კითხულობს სალექციო კურსს აკადემიურ წერაში, ქართული წერისა და მეტყველების კულტურაში. 2006 წლიდან დღემდე მუშაობს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეულ სპეციალისტად. კითხულობს ქართული წერისა და მეტყველების კულტურისა და აკადემიური წერის სალექციო კურსებს. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი: „მა- პრეფიქსის ერთი ფუნქციისათვის მეგრულში“, „-ობა, -ობუა სუფიქსთა განაწილებისა და ფუნქციისათვის მეგრულში“, „აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი აფიქსების განაწილება ფუძეთა მიხედვით ძველ ქართულში“, „III პირის ნაცვალსახელები მეგრულში“ და სხვ. 2003 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, თემაზე – „აბსტრაქტულ და მსგავსება-ნაირობის გამომხატველ სახელთა წარმოება მეგრულსა და ძველ ქართულში“. თანავტორია წიგნისა – „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ (თბ., 2010 წ.), და VII–XII კლასების გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოებისა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თბ., 2012 წ.). 2015 წელს დაიბეჭდა მისი წიგნი „კავთისხევის ონომასტიკური მასალა“.

¹ შ. აფრიდონიძე, ტოპონიმიკის ლაბორატორიის ქალთა „ძველი გვარდია“, კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VII, 15-16.

ვაჟიშვილმა **თორნიკემ** (დაიბადა 1976 წელს) თბილისის 186-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რაც 1998 წელს დაამთავრა სამართალმცოდნეობის სპეციალობით. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშივე მუშაობდა იურიდიულ კომპანია „ნორმაში“, ჯერ იურისტის თანაშემწედ, შემდეგ – იურისტად, 1999-2001 წლებში – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციის განყოფილების მრჩეველად, კადრებისა და იურიდიული განათლების დეპარტამენტის მრჩეველად, სახელმწიფო რეგისტრაციის განყოფილების უფროსად, სახელმწიფო რეგისტრაციისა და საჯარო რეესტრის წარმოების დეპარტამენტის თავმჯდომარედ; 2001-2003 წლებში იყო საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანაშემწე. 2003-2007 წლებში თანამშრომლობდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ადამიანის უფლებების დაცვის განხრით და იყო საერთაშორისო იურიდიული კომპანია „ასაბიას“ ადვოკატი; 2008-2013 წლებში მოღვაწეობდა რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ მოსკოვში, კომპანია „სტილრექსის“ იურისტად და შესყიდვებისა და ლოჯისტიკის განყოფილების უფროსად. 2013 წელს დაბრუნდა საქართველოში. იურიდიულ მომსახურებას უწევს სხვადასხვა კომპანიებს და პარალელურად არის შპს „ჯორჯიან ტრეიდინგ კომპანის“ დირექტორი.

§2. 2. საკანდიდატო დისერტაციის დაცვა

პ. ცხადაია, როგორც აღვნიშნეთ, ტოპონიმიკის ლაბორატორიის დაარსების წლიდან (1969 წ.), სრულიად ახალგაზრდა, 32 წლისა, შეუდგა სამეგრელოს რეგიონის ტოპონიმიკურ აღწერას. მან 1969-1974 წლებში სრულად აღწერა წალენჯიხის, ჩხოროწყუხა და გეგეჭკორის რაიონები, ხოლო ნაწილობრივ – გალისა და ზუგდიდის რაიონები. მოიარა ამ რაიონების 200 სოფელი და სამეგრელოს მთიანი, დაუსახლებელი ტერიტორიის ნაწილი. ამ წლებში გაწეული მუშაობის ანგარიშში პ. ცხადაია აღნიშნავს, რომ საერთო ჯამში მან მივლინებაში გაატარა თითქმის 28 თვე და ჩაიწერა 20 ათასზე მეტი ტოპონიმი. მათგან 18 ათასზე მეტი

გამზადა საარქივოდ, ხოლო 1975 წლის ზაფხულში მოპოვებული 2 ათასამდე ტოპონიმის საარქივოდ გამზადება დაიგეგმა დეკემბრისათვის. წლების მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს: 1969 წელს, ხუთი თვის მანძილზე, წალენჯიხის რაიონში ჩაწერილია 4000-მდე ტოპონიმი, 1970 წელს, ექვს თვეში, ჩხოროწყუს რაიონში – 5350-ზე მეტი ტოპონიმი, 1971 წელს, ხუთ თვეში, გეგეჭკორის რაიონში – 3670-ზე მეტი ტოპონიმი, 1972 წელს, სამი თვის მანძილზე, კვლავ გეგეჭკორის რაიონში – 2300-მდე ტოპონიმი, 1972 წელს, სამი თვის მანძილზე, გალისა და ზუგდიდის რაიონების ტერიტორიაზე – 1400-ზე მეტი ტოპონიმი, 1974 წელს, სამ თვეში, კვლავ გალისა და ზუგდიდის რაიონებში – 2430-მდე, ხოლო 1975 წელს, 2, 5 თვეში – 2 ათასამდე ტოპონიმი.

სწორედ 1969-1972 წლების საზაფხულო და საშემოდგომო ექსპედიციების პერიოდში უშუალოდ ადგილზე შეკრებილ-ფიქსირებული რამდენიმე ათასი ტოპონიმი დაედო საფუძვლად პ. ცხადაიას ეგზომ მნიშვნელოვან საკანდიდატო დისერტაციას და ცალკეულ სამეცნიერო გამოკვლევებს. სამი წლის მანძილზე (1973-1975 წწ.) ავტორმა დაამუშავა და გამოაქვეყნა ექვსი სტატია. ამასთანავე წაიკითხა რამდენიმე მოხსენება სამეცნიერო კონფერენციებზე (თეზისები არ დაბეჭდილა), ხოლო ერთ სტუდენტს მოამზადებინა თემა კონფერენციაზე წასაკითხად.

დისერტაციაში პ. ცხადაიამ სრულიად ორიგინალური თვალთახედვით წარმოაჩინა მთიანი სამეგრელოს ტოპონიმის ზოგიერთი პრობლემური საკითხი. 1974 წელს ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი პ. ცხადაია შემდეგი შინაარსის განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს:

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფ. დ. ჩხიკეიშვილს,
ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტის პატივით ალექსის ძე ცხადაიას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოიდგენთ სადისერტაციო შრომას „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

შრომას გიდგენთ პირველად.

პ. ცხადაია
22/XI-74 წ.

პ. ცხადაიას განცხადებას აქვს 1974 წლის 22 ნოემბრით დათარიღებული რეზოლუცია (აკად. შ. ძიძიგურის სახელზე), დისერტაციისათვის მსვლელობის მიცემის თაობაზე. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა **ბ. ჯორბენაძემ** უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე წარმოადგინა შემდეგი შინაარსის წინასწარი რეცენზია პაატა ცხადაიას სადისერტაციო ნაშრომისათვის მსვლელობის მიცემის შესახებ:

„პ. ა. ცხადაიას სადისერტაციო ნაშრომის „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“ (თბილისი, 1974)

წინასწარი რეცენზია

პატიკო (პაატა) ალექსის ძე ცხადაიას ნაშრომი „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“, წარმოდგენილი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, მოიცავს 199 გვერდს. დამოწმებული ლიტერატურის სიაში წარმოდგენილია 125 წყარო, შედგება წინასიტყვაობისაგან, შესავლისა და ხუთი თავისაგან. ავტორის კვლევის შედეგები შეჯამებულია 5 პუნქტისაგან შემდგარ დასკვნაში.

პ. ა. ცხადაიას ნაშრომი ეხება საქართველოს ტოპონიმის აქტუალურ საკითხს და მიძღვნილია იმ რეგიონის ტოპონიმიკური მასალის შესწავლისადმი, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა და საყურადღებო თავისი მრავალფეროვნებით და სირთულით. თეორიული მსჯელობა ეფუძნება ძირითადად ავტორის მიერ მოპოვებული 17 ათასი ტოპონიმის ენათმეცნიერულ ანალიზს.

სათანადო ენათმეცნიერული განათლება, სპეციფიკური ტოპონიმიკური საკითხების არსში წვდომის უნარი, ტოპონიმიკური ლიტერატურის კარგი ცოდნა და მისი კრიტიკული გამოყენება, სწორი მეცნიერული ადლო შესაძლებლობას აძლევს ავტორს, დამაჯერებლად წარმართოს მსჯელობა და ტოპონიმიკური თვალსაზრისით მეცნიერულად ღირებული შედეგები მიიღოს. დი-

სერტანტის ყველა შეხედულება შესაძლოა ერთნაირად მისაღები არ იყოს, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის დასაბუთებულია და, ამდენად, გასათვალისწინებელიც.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება ისაა, რომ მასში წარმოდგენილი და გაანალიზებულია დიდძალი საყურადღებო და სთანადოდ კვალიფიცირებული მასალა, ხოლო ტოპონიმის კვლევის რეგიონალური კვლევის ავტორისეული გეზი ძირითადად გამართლებულია და მეთოდოლოგიურად სწორი. სადისერტაციო ნაშრომს უთუოდ აქვს გარკვეული თეორიული ღირებულებაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება დისერტანტის მსჯელობა ტოპონიმთა სტრუქტურისა და წარმოების თაობაზე, ტოპონიმთა წარმოქმნის გზებისა და საშუალებების ავტორისეული კვალიფიკაცია, აფიქსთა რეგიონალური თუ სემანტიკური განაწილების შესწავლა.

ამჯერად არ გამოვედევნებთ ზოგიერთ კერძო საკითხს, რომლის დაზუსტება სასურველად მიგვაჩნია. ამ საკითხს ადვილად მოველება მისი შემდგომი უფრო ფართო და ღრმა შესწავლის დროს, რომელიც დისერტანტს უთუოდ გათვალისწინებული აქვს. წინამდებარე ნაშრომი ამგვარი კვლევის სანდო და მეცნიერულად ფასეული წინამძღვარია. აქ შევეხებით მხოლოდ ერთ სადავო საკითხს. კერძოდ, ტოპონიმთა კლასიფიკაციის პრობლემას, რამდენადაც იგი არსებითად ძირითადია და წარმმართველი როგორც ნაშრომის არქიტექტონიკისათვის, ასევე კვლევის მიმართულებისათვის.

ტოპონიმთა ავტორისეული კლასიფიკაცია ასეთია: 1. პრიმარული ტოპონიმები, 2. სეკუნდარულ-დერივაციული ტოპონიმები, 3. კომპოზიტივი ტოპონიმები და 4. ანთროპონიმული ტოპონიმები. „პირველი სამი ჯგუფისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშანია კონვერსიულობა. მეოთხე ჯგუფი მათ უპირისპირდება არაკონვერსიულობით“, – წერს ავტორი (გვ. 33). იმავდროულად IV ჯგუფი ავტორს გამოყოფილი აქვს როგორც სპეციფიკური ტოპონიმიკური წარმოება (გვ. 145).

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა:

1. რამდენად მართებულია კლასიფიკაცია დაეყრდნოს ერთი კომპონენტის პოზიტიურ ნიშანს (აქ: კონვერსიულობა), ხოლო მე-

ორის – ნეგატიურს (არაკონვერსიულობა)? ნეგატიური დახასიათება იძლევა იმის დადგენის საშუალებას, თუ **რა არ არის** ესა თუ ის კომპონენტი, მაგრამ არაფერს გვეუბნება იმის თაობაზე, **თუ რა არის იგი**. ამისდა კვალობაზე, ასეთი დახასიათებით (რომელიც გაუმართლებლადაა გავრცელებული თანამედროვე ენათმეცნიერებაში) ყოველი ნიშნის მიხედვით შეიძლება მოხდეს კლასიფიკაცია. ამ შემთხვევაში, თუკი (ავტორისეულ ინტერპრეტაციას გავიზიარებთ) სპეციფიკური წარმოების თვალსაზრისით დავახასიათებთ ტოპონიმებს, მაშინ გვექნება სპეციფიკური წარმოების მქონე (არაკონვერსიული) და ამ წარმოების უქონელი (კონვერსიული) ტოპონიმები. ახლა ნეგატიურად დახასიათებულია ის, რაც სხვა თვალსაზრისის დროს პოზიტიურად ხასიათდებოდა. საბოლოოდ კი, მაინც დაუდგენელი დარჩა, რა არის ის სპეციფიკური, განსაკუთრებული, დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც საჭიროს ხდის ტოპონიმთა ამგვარ კლასიფიკაციას: თუ ასეთი ნიშანი არ გამოიძებნა, კლასიფიკაცია ყოველთვის შემთხვევითი, უსაფუძვლო და, ამდენად, გამოუყენებელი დარჩება, ანდა, თუკი ხელოვნურად მივეუსადაგებთ ფორმებს, ზიანის მომტანიც აღმოჩნდება კვლევისათვის.

2. დასასაბუთებელია, თუ რატომ მიაჩნია ანთროპოტოპონიმები ავტორს სპეციფიკური ფონეტიკური წარმოების შედეგად მიღებულ ტოპონიმებად. განა, მაგალითად, „მერკვილაძეები“ ან „სამერკვილაძეო“ ყოველთვის ადგილის სახელად ივარაუდება? ან „საგვაზავო“, „საბოკუჩავო“? იგი შეიძლება აღნიშნავდეს მთლიანად გვარის წარმომადგენელთა ერთობას და არა მათი დასახლების ადგილს. ამას ავტორიც გრძნობს, და, მაგალითად, ნა-პრეფიქსს ახასიათებს როგორც „**უპირატესად** საგანგებო ტოპოფორმანტს“ (გვ. 161). რაც შეეხება იმ შემთხვევებს, როცა რომელიმე ფორმანტი მარტოოდენ ტოპონიმებს აწარმოებს (როგორიცაა ლე-მეგრულში), მარტოოდენ ეს ვერ მიგვაჩვენებს ანთროპოტოპონიმებს სპეციფიკური წარმოების მქონედ, რადგან პრინციპში ამგვარი წარმოება შესაძლოა სხვა გენეზისის მქონე ტოპონიმებსაც აღმოაჩნდეს. მერე რა, რომ იგი ამ რეგიონში არ აღმოჩნდა! რეგიონალური კვლევა არ უნდა ვარაუდობდეს კლასიფიკაციის „რეგიონალურობასაც“, თორემ არეალურ კვლევაზე გა-

დასვლისას გადასასინჯი გახდება აბსოლუტურად ყველა კერძო თუ ზოგადი დასკვნა (მიღებული რეგიონალური კვლევის დროს).

3. ეხება რა ტოპონიმთა კლასიფიკაციას, ტოპონიმთა წარმოქმნის თვალსაზრისით, დისერტანტი აღნიშნავს: „კონვერსიას უპირისპირდება ტოპონიმიკური აფიქსაცია (საგანგებო ტოპონიმიკური წარმოება), რაც საერთოდ ნაკლებადაა გავრცელებული, რადგანაც მხოლოდ ტოპონიმთა საწარმოებლად დანიშნული აფიქსების არსებობას გულისხმობს“ (გვ. 32). ამ შემთხვევაში ავტორი ეყრდნობა ცნობილ თვალსაზრისს, რომ ქართულში სპეციფიკური ტოპოფორმანტი ერთია – ეთ (ა. შანიძე). გამოყოფილია ურა-ც (ჰიდრონიმიული), მაშინ ასეთივე აღმოჩნდება (ძირითადად დასავლეთ საქართველოს რეგიონში), -ელა: ნოლა – ნოდ-ელა. მაინც ცოტაა. მაგრამ ცოტაა იმის გამო, რომ აქ არ არის გათვალისწინებული სპეციფიკური ტოპონიმიკური დონე და აფიქსთა დახასიათება არ ეფუძნება ერთგვაროვან ნიშანს. საქმე ისაა, რომ რომელიმე შესიტყვებაში **შინდის ტყე**, ან: **შინდის ბაღი**-ის ფორმანტი არის ნათ. ბრუნვის ნიშანი და არა ტოპოფორმანტი, რადგან იგი იქცევა როგორც ბრუნვის ნიშანი, მაგრამ ტოპონიმში **შინდისი, -ის** უკვე ტოპოფორმანტია, რადგან იქცევა ისე, როგორც ტოპოფორმანტი (შდრ. **შინდ-ის-ი – შინდ-ელ-ი**).

ერთგვაროვანი გენეზისი არ უნდა იყოს მიზეზი ნაირგვარი თანადროული ვითარების განუსხვავებლობისა. თუ ამ პრინციპს გავყვებით, მაშინ აღარც სახ. და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნები აღმოგვაჩნდება ქართულში (წარმოშობით ნაწევრებია, ნაცვალსახელებია) და **ჭრის, თლის** ფორმებში **-ი** თემის ნიშანი კი აღარ იქნება, არამედ ხოლმეობითის ფორმანტი. თვისობრივი ცვლილება ფორმაზეც ახდენს გავლენას და ეს სათანადოდ უნდა აისახოს კლასიფიკაციისას.

4. ჩვენი აზრით, დისერტანტის მიერ კლასიფიცირებული 4 კომპონენტი სცოდავს იმით, რომ ამოსავლად ერთ პრინციპს, ერთ თვალსაზრისს არ ვარაუდობს.

შენიშვნები პრობლემატურ საკითხს ეხება. ამდენად, მისი ამჯერად გადაწყვეტა რთულია. სასურველი იქნება, რომ ავტორს შემდგომ გაეთვალისწინებინა ისინი.

დასასრულ კი უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი უთუოდ სათანადო მეცნიერულ დონეზეა შესრულებული და შეიძლება მიეცეს მსგელობა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი **ბ. ჯორბენაძე**.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტისახალი ქართული ენის კათედრის 1974 წლის 30 ნოემბრის სხდომის №4 ოქმში (ამონაწერი) აღნიშნულია, რომ

„მ ო ი ს მ ი ნ ე ს: პატიკო ალექსის ძე ცხადაიას მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომისათვის „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“, მსგელობის მიცემის შესახებ.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: პროფ. შ. ძიძიგურმა, პროფ. ივ. ქავთარაძემ, პროფ. დ. გეწაძემ, დოც. ო. ურიდიამ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დაამტკიცეს დოც. ბ. ჯორბენაძის რეცენზია პატიკო ალექსის ძე ცხადაიას ნაშრომისა „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“.

2. პატიკო ალექსის ძე ცხადაიას სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია: „მყოფადის მიმდებარე მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში“, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, ტ. 72, №1, 1973; „ნა- პრეფიქსის ფუნქციისათვის მთიანი სამეგრელოს ანთროპოტოპონიმებში“, „მაცნე“, №1, 1974; „სახელური სიტყვაწარმოება და სიტყვათშეერთება სამეგრელოს ტოპონიმიაში“, თსუ ახალგ. მეცნ. მუშაკთა შრომები, №3-4, 1974; „-იში/-ში სუფიქსები მთიანი სამეგრელოს ტოპონიმებში“, თსუ ფილ. ფაკულ. XVII სამეცნ. სესიის თეზისები, 1974.

3. პატიკო ალექსის ძე ცხადაიას ნაშრომს, რომელიც წარმოდგენილია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, შეიძლება მიეცეს მსგელობა.

ახალი ქართული ენის კათედრის
გამგე, პროფესორი **შ. ძიძიგური**
მდივანი ფილ. მეცნ. კანდ. **თ. სანიკიძე**

პ. ცხადაიას საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ფარნაოზ ერთელიშვილი**, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **შოთა ძიძიგური**. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭომ საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალურ ოპონენტებად დაადგინა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მიხეილ ქალდანი** და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **კორნელი დანელია**.

1974 წლის 18 დეკემბერს გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის სხდომა, სადაც ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოც. შ. აფრიდონიძემ წარმოადგინა რეცენზია პატიკო ალექსის ძე ცხადაიას ნაშრომზე. სხდომის №7 ოქმის ამონაწერში ვკითხულობთ:

„მ თ ი ს მ ი ნ ე ს: პატიკო ალექსის ძე ცხადაიას მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“ ოფიციალური ოპონენტების გამოყოფის შესახებ.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ე ე ს: პროფ. ივ. ქავთარაძემ, პროფ. დ. გეწაძემ, დოც. ო. ურიდიამ, დოც. ი. ვეშაპიძემ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: 1. დამტკიცდეს დოც. შ. აფრიდონიძის რეცენზია პატიკო ალექსის ძე ცხადაიას ნაშრომისა „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“.

2. პატიკო ალექსის ძე ცხადაიას სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია: „მყოფადის მიმდგობა მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში“, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, ტ. 72, №1, 1973; „ნა- პრეფიქსის ფუნქციისათვის მთიანი სამეგრელოს ანთროპოტოპონიმებში“, „მაცნე“, №1, 1974; „სახელური სიტყვაწარმოება და სიტყვათშეერთება სამეგრელოს ტოპონიმიაში“... 1974“.

აქვე წარმოვადგენთ დოც. შუქია აფრიდონიძის რეცენზიას:

„რეცენზია

პაატა ცხადაიას საკანდიდატო დისერტაციისა „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“. მანქანაზე ნაბეჭდი 199 გვ., თბ., 1974.

პ. ცხადაიას მიერ წარმოდგენილი ნაშრომი სამეგრელოს ტოპონიმის საგანგებო და სისტემატური ლინგვისტურ-ტოპონიმიკური კვლევის პირველი ცდაა. ამ ვითარებაში დისერტანტისათვის ძნელი დასაძლევია იყო ცთუნება, განუხილავად დაეტოვებინათუნდაც ერთი საკითხი, რომელიც საანალიზო თემისათვის მეტნაკლებად მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდა. ნაშრომის აღნაგობაც და ზოგიერთი მასალა-მსჯელობის მოწოდებაც ნაწილობრივ ამ მიზეზით უნდა იყოს შეპირობებული. თქმული გულისხმობს შესავლის მეორე და მესამე პარაგრაფების შეტანას შესავალში (§2. კოლხები. ლაზები. მეგრელები (სახელწოდებათა საკითხისათვის), §3. მეგრული და მისი შესწავლის მდგომარეობა), ასევე, მეხუთე თავის პირველი პარაგრაფის მოწოდების ერთგვარად პოპულარულ ფორმას (§1. ტოპონიმთა ეტიმოლოგიისა და ეტიოლოგიისათვის).

სადისერტაციო ნაშრომი ყურადღებას იქცევს შემდეგ გარემოებათა გამო:

გამოკვლევა წარმოადგენს დიდძალი (≈17. 000 ტოპონიმი), ხშირ შემთხვევაში – ძნელად მოსაპოვებელი და სანდოდ შეკრებილი მასალის ანალიზს (ამას მოწმობს პარალელურ ფორმათა წარმოდგენა-განხილვა).

თვით ანალიზი ლინგვისტურ-ტოპონიმიკურია, რამდენადაც მასალის კლასიფიკაციაში ტოპონიმიკური კრიტერიუმია მომარჯვებული. იგულისხმება ე. წ. „ტოპონიმიკური კონვერსიის“ ცნების შემოტანა¹, თუმცა აქვე დავძენთ, რომ თვით ტერმინი ზუსტი არ არის: კონვერსიაში მეტყველების ნაწილთა მონაცვლეობა ივარაუდება, ამის მიხედვით განსხვავებულია ფორმაც. ე. წ. „ტოპო-

¹„ტოპონიმიკურ კონვერსიას“ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენებენ ონიმიზაციის სახეობის – „ტოპონიმიზაციის“ მნიშვნელობით. ტერმინი გულისხმობს საზოგადო სახელის გადაქცევას ტოპონიმად, საგანგებო ტოპონიმიკური აფიქსაციის გარეშე. ტოპონიმიკური კონვერსია შეიძლება სამი სახისა იყოს: **სემანტიკური კონვერსია**, როცა ანალოგიური აფიქსაციის გარეშე, უშუალოდ გადაიქცევა ტოპონიმად (მაგ.: ველი, ზვარე, ხანდაკი...), **მორფოლოგიური კონვერსია**, როცა აფიქსაციით ან ფლექსიით წარმოქმნილი სახელი გადაიქცევა ტოპონიმად (მაგ.: ნადარბაზევი, ბუკნარი, საბუე...) და **სინტაქსური კონვერსია**, როცა ადგილი აქვს შესიტყვების ტოპონიმიზაციას (მაგ.: ნავდარაანთკარი, ვინჩისბოვორი, კლდისთავი, კიმოთესუბანი...) (მსჯელობისათვის იხ. **პ. ცხადაია**, 1985, 22-25; **მისივე**, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 1988, 111-112.

ნიმიკური კონვერსიის“ დროს მსგავსი ცვლილებები არ შეინიშნება. ტოპონიმიკური თვალსაზრისი აშკარად ითხოვს მსგავსი ცნების შემოტანას, ოღონდ საძებნია ზუსტი ტერმინი (იქნებ აჯობებდა „ტოპონიმიკური სემანტიზაცია“ „ტოპონიმიკური ავიქსაციის“ საპირისპიროდ?, ან „ავიქსური ტოპონიმიზაციის“ საპირისპიროდ – „სემანტიკური ტოპონიმიზაცია“?).

წარმოდგენილია მასალის დაწვრილებითი სტრუქტურული ანალიზი, რომელმაც დისერტანტს მრავალი ჯგუფი გამოაყოფინა. ეს ჯგუფები ოთხ ძირითად ტიპში ნაწილდება. შესაბამისად, ისინი ოთხ თავშია განხილული (პრიმარული, სეკუნდარულ-დერივაციული, თხზული და ანთროპოტოპონიმიები). აქვე შევნიშნავთ, რომ საკლასიფიკაციო ნიშანი ერთი არ არის: მეოთხე ტიპი არღვევს კლასიფიკაციის პრინციპს.

განსაკუთრებით საინტერესო და ფასეულია ის ძიებანი, რომლებსაც ავტორი აწარმოებს ერთი შეხედვით იდენტური ფუნქციის ავიქსთა დანიშნულებრივი განაწილების მიგნების თვალსაზრისით. ამის მაგალითებია მყოფადი დროის მიმდებარე საწარმოებელი კონფიქსების **ო-ე** და **ო-ა//ალ-**ის დიფერენცია: პირველი მოწოდებულია ადგილისდანიშნულების აღსანიშნავად, მეორე – მოქმედებისსაგანს ან მოქმედებისიარაღს მიემართება (შდრ. **ო-ბონ-უ** და **ო-ბონ-ალ-**, გვ. 56), აგრეთვე, **ო-ე** და **სა-ო-**ს დიფერენცია: პირველი ადგილის დანიშნულების მაჩვენებელია, მეორე – მასალის, საგნის, ნივთის დანიშნულებისა (შდრ. **ო-ჭუბურ-ე** და **სა-ლაგვან-ო**). ამ მიმართულებით ძიება ავტორს წარმოაჩენინებს სხვადასხვა ავიქსის მიერ ტოპონიმთა წარმოების პოტენციას. ამ გზით მომავალ მუშაობაში გაადვილდება ამა თუ იმ ავიქსის ამა თუ იმ ფუნქციით – ჩვენს შემთხვევაში – ტოპონიმიკური ფუნქციით – ხმარების პერსპექტივის წინასწარ განსაზღვრა.

აღნიშნული თვალსაზრისით უადრესად საინტერესოდ გვეჩვენება ნაშრომის მეოთხე თავი, რომელშიც მოცემულია **ლე-**, **სა-** და **ნა-** პრეფიქსების „ტოპონიმიკური ხარისხების“ შეფარდებითი სურათი: **ლე-** წარმოდგენილია როგორც **ოდენ** ტოპოფორმანტი, **სა-** – როგორც **უპირატესად** ტოპოფორმანტი და **ნა-** – როგორც **ნაწილობრივ** ტოპოფორმანტი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დიფე-

რენცირებულია ნა-ს ხმარების ტოპონიმიკური და არატოპონიმიკური – აპლატიური შემთხვევები.

ნაშრომის უკანასკნელ თავში ეტიმოლოგია-ეტიმოლოგიის საკითხთან ერთად განხილულია საანალიზო არეალში სუბსტრატის საკითხი. უნდა ითქვას, რომ მსჯელობა ძირითადად მაგალითების მოტანის ხარჯზეა წარმართული, ისიც, მხოლოდ ფუძეების დასახელების მიმართულებით. საერთოდ, ეს პარაგრაფი მეტ დამუშავებას მოითხოვს, რამდენადაც პარაგრაფის სათაურს („კოლხური ტოპონიმები და ენობრივ-დიალექტური საზღვრები“) აქ წარმოდგენილი მსჯელობა სრულად ვერ უპასუხებს, თუმცა ამ ეტაპზე ესოდენ ძნელი საკითხის გარკვევა დისერტანტს არც მოეთხოვებოდა.

ძირითად ღირსებებთან ერთად ნაშრომს მრავალი კერძო ღირსებაც ახლავს. აღსანიშნავია ცალკეული საკითხების ჩინებული დამუშავება (მაგ., ნაზმნარი კონსტრუქციების საკითხი თხზულ ტოპონიმებში, ზმნური ტოპონიმების საკითხი II თავში და ა. შ.), რაშიც დიდ როლს თამაშობს ავტორისეული მიგნებები და ენის და საკვლევი რეგიონის სათანადო რეალიების დრმა ცოდნა.

ნაშრომი კერძო შენიშვნებსაც იმსახურებს (სადავოა რიგ შემთხვევაში, მასალის განაწილება გამოყოფილ ტიპებში, ზოგჯერ – კვალიფიკაციაც; ზოგიერთი მომენტი მეტ საბუთიანობას მოითხოვს, მაგალითად, თეორიული საკითხი სიტყვაწარმოებისა და „კონვერსიის“ შეთავსებადობა-შეუთავსებლობაზე სასქოლიო საკითხი არ არის, რამდენადაც ისინი კრიტერიუმებადაა მომარჯვებული; ზოგჯერ მსჯელობის აკადემიურ ტონს ამ კონტექსტში არამომგებიანად პოპულარული ტონი ცვლის და ა. შ.). ამ შენიშვნებზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

მთავარი მაინც ისაა, რომ პ. ცხადაიას საკვალიფიკაციო ნაშრომი იძლევა საქართველოში ტოპონიმიკური კვლევა-ძიების ამ ეტაპის შესაბამის სურათს საკვლევი რეგიონის სტრუქტურისა, ნათელყოფილია ტოპონიმიკური წარმოების საშუალებანი, მსჯელობა ამ მიმართულებით არსებითად დამაჯერებელია.

სამეგრელოს ტოპონიმიის შესახებ ასეთი სრული (მასალობრივადაც და განხილული საკითხების თვალსაზრისითაც) და, ძი-

რითადად, კვალიფიციური მონოგრაფია ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია მისი სრული სახით დაბეჭდვა სათანადო დახვეწა-სრულყოფის შემდეგ.

პ. ცხადის საკანდიდატო დისერტაციას „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“, შეიძლება მიეცეს მსვლელობა საჯარო პაექრობაზე წარსადგენად.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **შ. აფრიდონიძე**
13. XI. 74“.

თსუ ახალი ქართული ენის კათედრის გამგემ, პროფესორმა **შ. ძიბიჯურმა** უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგინა შემდეგი შინაარსის დახასიათება-შუამდგომლობა პატიკო (პაატა) ცხადიას შესახებ: „პატიკო (პაატა) ალექსის ძე ცხადიამ 1960 წელს დაამთავრა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1960 წლის ოქტომბრიდან 1962 წლის აგვისტომდე მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად ყაზახეთის სსრ პავლოდარის ოლქის დ. მაიკანის სკოლა-ინტერნატში, ხოლო 1962-63 წლებში – წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის საშუალო სკოლაში. 1963 წელს ჩაირიცხა თსუ აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც მან წარმატებით დაამთავრა 1968 წელს არაბული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1968 წლის მაისიდან 1969 წლის მაისამდე მუშაობდა სირიის არაბთა რესპუბლიკაში თარჯიმნად.

1969 წლის ივლისიდან პ. ცხადია თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმის ლაბორატორიის თანამშრომელია.

პატიკო (პაატა) ალექსის ძე ცხადია თავისი საქმის მოყვარული, განათლებული და გულმოდგინე ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკია, მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება გამოკვლევებით, რომლებიც სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე წაიკითხა.

პაატა (პატიკო) ცხადიას ახალი ქართული ენის კათედრამ საკანდიდატო დისერტაციის თემად დაუმტკიცა „სამეგრელოს მთიანი რაიონების ტოპონიმია“. მთიანი სამეგრელოს რაიონებში პირადად მის მიერ მოპოვებული მდიდარი ტოპონიმური მასალა ამჟამად დამუშავების პროცესშია.

ახალი ქართული ენის კათედრა შუამდგომლობს თსუ სამეცნიერო ნაწილის წინაშე, რათა პ. ცხადაიას მიეცეს უფლება ჩააბაროს საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნები.

თსუ ახალი ქართული ენის კათედრის გამგე,

პროფესორი **შ. ძიძიგური**“.

დისერტაციის დაცვა შედგა 1975 წლის 16 აპრილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მთიანი სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა სპეციალური და სისტემური ლინგვისტურ-ტოპონიმიკური კვლევის თვალსაზრისით პ. ცხადაიას საკანდიდატო დისერტაცია პირველი წარმატებული ცდაა. დისერტანტმა შეისწავლა და დაადგინა საკვლევი რეგიონის ტოპონიმთა ძირითადი ტიპები და მოდელები, გამოყო საწარმოქმნო აფიქსები და გაარკვია მათი ტერიტორიული განაწილება თუ პროდუქტიულობა, გამოავლინა ახალი ლექსიკური ერთეულები. დისერტანტი ყურადღებას ამახვილებს საგანგებო ტოპონიმიკურ აფიქსაციაზე, ანუ გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოქმნაზე სპეციფიკური, მხოლოდ ტოპონიმთა საწარმოებლად დანიშნული ფორმანტების (ე. წ. ტოპოფორმანტების) მეშვეობით. ინტერესს იწვევს აგრეთვე ავტორის ეტიმოლოგიური და ეტიოლოგიური ძიებანი.

პ. ცხადაიას საკანდიდატო დისერტაცია, აკად. შ. ძიძიგურის რედაქტორობით, 1985 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. ნაშრომის გამოცემას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. პროფ. **რაფიელ შამელაშვილის** შეფასებით, „ავტორი იძლევა სამეგრელოს მოკლე ისტორიას, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ტოპონიმიკური კვლევისათვის. ცალკეა მსჯელობა მეგრულზე და მისი შესწავლის მდგომარეობაზე.

ავტორი სპეციალურად მსჯელობს კოლხურ ტოპონიმთა შეკრება-პუბლიკაციისა და კვლევის მდგომარეობაზე, მაგრამ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ადგილის სახელთა ლინგვისტურ ანალიზზე, ეს ანალიზი კი შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში დამაჯერებელია.

ერთი სიტყვით, ჩვენს წინაა სერიოზული გამოკვლევა, რომელიც მკითხველს აწვდის მდიდარ ინფორმაციას დასმულ საკითხზე¹.

პ. ცხადაიას საკანდიდატო დისერტაცია ექვსი თავის, ცალკეული პარაგრაფებისა და ქვეპარაგრაფებისაგან შედგება. ძირითადი დებულებები დისერტანტის მიერ დასკვნებში შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

1. ცნობილია ტოპონიმთა წარმოების ორი ძირითადი გზა: **ტოპონიმიკური კონვერსია** და **ტოპონიმიკური აფიქსაცია**. პირველი გულისხმობს საზოგადო სახელის გადაქცევას საკუთარ სახელად, ხოლო მეორე – საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა წარმოებას. კონვერსიისას შესაძლებელია საზოგადო სახელმა ფორმა არ შეიცვალოს (სემანტიკური კონვერსია), დაირთოს საწარმოქმნო აფიქსები (მორფოლოგიური კონვერსია), ან შეუერთდეს სხვა სიტყვას (სინტაქსური კონვერსია). ამის მიხედვით დისერტანტი გამოყოფს კონვერსირებულ ტოპონიმთა სამ ტიპს: **პრიმარულნი, დერივაციულნი** და **თხზულნი**.

2. მთიანი სამეგრელოს ტოპონიმთა 7, 5% პრიმარულ ტოპონიმთა რიგში ერთიანდება. ესენია უპირატესად ორონიმული, პიდრონიმული, ლანდშაფტური და სამეურნეო ტერმინები, იშვიათად კი – ნიდაგის სახეობათა, საკულტო-რელიგიური თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტთა, ცალკეულ ნაგებობათა და საგანთა, აგრეთვე ხემცენარეთა სახელები და ანთროპონიმები. ენობრივ-ლექსიკური (ტოპონიმიამდელი) თვალსაზრისით ზოგი მათგანი წარმოქმნილი ან თხზული სახელია, მაგრამ ენობრივ-ტოპონიმიური თვალსაზრისით – პირველადი, ძირეული, პრიმარული.

3. დერივაციული ტოპონიმები მომდინარეობს ზმნებიდან ან სახელებიდან, პრეფიქსული, სუფიქსური თუ პრეფიქს-სუფიქსური მორფემების დართვით. ზმნურფუძიანი დერივაციული ტოპონიმები ენებითი გვარის ნამყო ან მყოფადი დროის მიმდებობია, ხოლო სახელურფუძიანი ტოპონიმები – წინავითარების, დანიშნულების,

¹რ. შამელაშვილი, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 20 VIII, 1985, 4.

კრებითობის, წარმომავლობის, გვართა განაყოფის, კინობითობის, ქონება-უქონლობისა და მრავლობითობის სახელები. ცალკე ჯგუფს ქმნის -იში//-ში ფლექსიური აფიქსის შემცველი, ნაგენეტივარი ტოპონიმები.

4. მკველვარი თხზულ ტოპონიმთა ორ ჯგუფს გამოყოფს: 1. **ზმნურფუძიანი თხზული ტოპონიმი** მიმდებობისა და მასთან გრამატიკულად დაკავშირებული წვერის/წვერების შეერთებით მიღებული სინტაქსური ერთეულია, რომელმაც ტოპონიმიზაცია განიცადა. წინადადებისაგან მომდინარე ზმნურფუძიანი თხზული ტოპონიმისათვის დამახასიათებელია პრედიკატულობის შენარჩუნება. უშუალოდ ზმნის ფორმა ტოპონიმად ან ტოპონიმის შემადგენლობაში ძალზე იშვიათია; 2. **სახელურფუძიან თხზულ ტოპონიმთა** ძირითადი ფონდი მართულმსაზღვრელიანია და ძირითადად კუთვნილების ან სივრცით-გეოგრაფიული მიმართების აღმნიშვნელი. მართულ მსაზღვრელებად გამოყენებულია საკუთარი (ტოპონიმი, ანთროპონიმი) ან საზოგადო სახელები, ხოლო საზღვრულ კომპონენტებად – 200-ზე მეტი აპელატივი. დისერტანტის აზრით, მათგან 12 ყველაზე ხშირად განმეორებადი აპელატივით წარმოქმნილია მართულმსაზღვრელიან ტოპონიმთა თითქმის 66%. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხშირად მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგულია.

ატრიბუტულმსაზღვრელიან თხზულ ტოპონიმთა რაოდენობა ბევრად ნაკლებია მართულმსაზღვრელიანებზე. მსაზღვრელი კომპონენტი შეიცავს სახელსადები ობიექტის დახასიათებას, უმეტესად თვალშისაცემი ნიშნის მიხედვით. იშვიათია მსაზღვრელის პოსტპოზიცია. კოპულატიური ტოპონიმები არაა დამახასიათებელი მთიანი სამეგრელოსათვის.

5. სამეგრელოს ტოპონიმიაში გამოკვეთილია სპეციფიკურ ტოპოსაწარმოქმნო საშუალებათა შედარებითი სიმრავლე. სპეციალური (საგანგებო) ტოპოფორმანტებია **ღე-, სა-, ნა-** პრეფიქსები (თანმხლები სუფიქსებითურთ). ღე- ოდენ ტოპოფორმანტია (ტოპონიმის გარეშე არ გამოიყენება); სა- უპირატესად საგანგებო ტოპოფორმანტია. იგი საზოგადო სიტყვაწარმოებაშიც მონაწილეობას; ნა- ნაწილობრივაა საგანგებო ტოპოფორმანტი (როცა ამოსავალი ფუძეა ანთროპონიმი, მაგრამ როცა ამოსავალი ფუძე სა-

ზოგადო სახელია, მაშინ ნა- პრეფიქსით წარმოქმნილ სახელსაც აპელატიური შინაარსი აქვს); არაპროდუქტიული -**აღა**, -**ელა** პიდროფორმანტები რამდენიმე მდინარის სახელწოდებაში გვხვდება.

6. მთიანი სამეგრელოს ტოპონიმთა მცირე ნაწილის სტრუქტურა და სემანტიკა ჯერჯერობით გაურკვეველია, ძირითადი ნაწილი კი წარმოქმნილია მეგრულის ლექსიკური და სიტყვათსაწარმოქმნო საშუალებებით. ტოპონიმთა წარმოება ერთგვაროვანია სენაკური და ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავების ზონაში. უმნიშვნელო განსხვავებას ქმნის ფონეტიკური პროცესები, იშვიათად, ადგილობრივი ლექსიკაც. მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირის ტოპონიმიაში შეიმჩნევა იმერული დიალექტის გავლენა. მეგრულ მეტყველებასა და ტოპონიმიაში შეუღწევი რამდენიმე სვანურ და აფხაზურ სიტყვას. დასტურდება სვანური სუბსტრატი. ხშირ შემთხვევაში ტოპონიმის სწორი ეტიმოლოგია მოითხოვს აგრეთვე სახელდების მიზეზის დადგენას ანუ ეტიმოლოგიას¹.

ოფიციალური ოპონენტის, პროფ. **მიხეილ ქაღდანის** რეცენზიაში გადმოცემულია პ. ცხადაიას მიერ საკანდიდატი დისერტაციის მოსაპოვებლად წარმოდგენილი გამოკვლევის ძირითადი შინაარსი და ამავე დროს მოცემულია ზოგიერთი საკითხის შესახებ ოპონენტის რამდენიმე შენიშვნა და განსხვავებული მოსაზრება. რეცენზიის ძირითადი აზრი ასეთია:

„პაატა ალექსის ძე ცხადაიას მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“, ეროვნული მეცნიერების ისეთ დარგს განეკუთვნება, რომლის წინაშეც ისტორიასა და გეოგრაფიასთან ერთად ქართული ენათმეცნიერებაც დიდ ვალში იმყოფება. არა გვაქვს ჯერხნობით საჭირო სისრულით შეკრებილი და მეცნიერულად დამუშავებული არა თუ მთელი საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურა, არამედ მისი ერთი რომელიმე კუთხის ტოპონიმიაც კი. იშვიათია ისეთი ენათმეცნიერული გამოკვლევებიც, რომლებშიც თუნდაც ცალკეული ტოპოფორმანტები სრულად იყოს შესწავლილი მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს გარემოება საგრძნობლად ზრდის პ.

¹პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985, 188-190.

ცხადიას ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას, მის აქტუალობას.

სარეცენზიო ნაშრომი 199 გვერდს შეიცავს. იგი ხუთი თავისა და ვრცელი შესავლისაგან შედგება. ერთვის წინასიტყვაობა, დასკვნები და დამოწმებული ლიტერატურის სია.

შესავალი იწყება მოკლე, მაგრამ ამ ნაწილისათვის მეტად საჭირო ისტორიული ექსკურსით, რომელშიც განიხილება როგორც მხარის, ისე მის მკვიდრთა სახელწოდებების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. დისერტანტი იზიარებს უთუოდ მართებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ზანური მოსახლეობა სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით გაცილებით უფრო შორს ვრცელდებოდა უწინ, ვიდრე დღეს, რომ დღევანდელი გურია-აჭარისა და იმერეთის საგრძნობი ნაწილი არც თუ ძალიან შორეულ წარსულში ზანებით იყო დასახლებული. ამისი ყველაზე უტყუარი საბუთი სწორედ იმ დარგშია წარმოდგენილი, რომელსაც დისერტანტი იკვლევს.

ნაშრომის შესავალ ნაწილს მკითხველი ავტორის კვლევა-ძიების სამყაროში შეჰყავს. მოცემულია აქ საკვლევი რეგიონის არეალის ლოკალიზაცია. ნაჩვენებია ზანური ენისა და მეგრული ტოპონიმის შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა, სამეცნიერო ლიტერატურა და მასში წამოყენებული მოსაზრებებისადმი დისერტანტის დამოკიდებულება, საანალიზო მასალის შეგროვება, მოცულობა და მისი დიფერენციაციის ავტორისეული თვალსაზრისი და სხვა მრავალი. კერძოდ, განმარტებულია, რომ სარეცენზიო ნაშრომს საფუძვლად უდევს მთიანი სამეგრელოს ანუ წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების ტერიტორიაზე შეკრებილი მასალა. შენიშნულია, რომ საერთოდ „სამეგრელოს ტოპონიმის შეკრება-პუბლიკაციის საქმეში უკანასკნელ დრომდე დიდი ხარვეზი შეინიშნებოდა“. სარეცენზიო ნაშრომის ავტორს თითქმის ცარიელ ადგილზე მოუხდა მუშაობის დაწყება როგორც სანდო მასალის მოსაპოვებლად, ასევე შეკრებილი ტოპონიმის დასამუშავებლად. იგი კრიტიკული გადაამუშავების შემდეგ სრულად იყენებს წინამორბედების მიერ შეკრებილ და გამოქვეყნებულ მასალას, რომელშიც შენიშნული და გასწორებული აქვს „რიგი უზუსტობანი ტოპონიმთა სწორწერისა და შინა-

არსის გახსნის თვალსაზრისით“. საანალიზოდ მოხმობილია დიდძალი სანდო ფაქტობრივი მასალა, რომელიც ძირითადად თვითონ დისერტანტს შეუკრებია წლების მანძილზე სამეცნიერო მივლინებების დროს საკვლევი რეგიონის თითქმის ყოველ კუნტულში. ეს მასალა 17 ათას ერთეულს აღწევს. ნაშრომში მოცემულია მისი კლასიფიკაცია არა მხოლოდ ფორმა-აგებულების, არამედ იმის მიხედვითაც, კონვერსიასთან გვაქვს საქმე თუ საგანგებო ტოპოწარმოებასთან. გამოყოფილია ტოპონიმთა ოთხი ჯგუფი: 1. პრიმარული ტოპონიმები; 2. სეკუნდარულ-დერივაციული ტოპონიმები; 3. კომპოზიტური ტოპონიმები და 4. ანთროპონიმული ტოპონიმები.

პირველი სამი ჯგუფის სახელთა საერთო ნიშნად კონვერსიულობა ითვლება: სახელი იცვლის კლასს, საზოგადო სახელი გადადის საკუთარ სახელთა კლასში; მეოთხე ჯგუფის სახელებში ტოპონიმბიკური აფიქსების საშუალებით ხდება საკუთარ სახელთა ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასვლა: ანთროპონიმები ტოპონიმთა ჯგუფში ექცევიან.

გამოკვლევის პირველ თავში, სადაც განიხილება პრიმარული ტოპონიმები, ლაპარაკია იმის შესახებ, რომ **დელე** ან **მინდორი** ტიპის საზოგადო სახელები შეიძლება აფიქსის მოშველიების გარეშე იქცეს საკუთარ სახელად. ასეთი ტოპონიმები შედარებით იშვიათია და მათ ერთგვარი გარდამავალი ადგილი უჭირავთ საზოგადო სახელთა კლასსა და ტოპონიმთა კლასს შორის. მომდინარეობენ რა საზოგადო სახელთა კლასიდან, დროთა განმავლობაში შეიძლება ისინი ტოპონიმთა კლასში გადავიდნენ. სარეცენზიო ნაშრომში ეს დებულება სარწმუნო მასალებით არის დასაბუთებული.

მეორე თავში, რომელიც სარეცენზიო ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, მოცემულია სეკუნდარულ-დერივაციულ ტოპონიმთა ანალიზი. დისერტანტი ერთმანეთისაგან მიჯნავს ზმნური და სახელური წარმოშობის ტოპონიმებს. ზმნური წარმოშობის სახელები აღნიშნავენ მოქმედების ადგილს, ხოლო სახელური ტოპონიმები ახასიათებენ ადგილს დანიშნულების, წინავითარების, წარმომავლობის, კუთვნილებისა და სხვა ნიშნის მიხედვით. ზმნური ტოპონიმები ან პირიანი ფორმებია, ან ნაზმნარი

სახელები. შენიშნულია, რომ პირიანი ფორმისა თუ მასდარის გადაქცევა საკუთარ სახელად საერთოდ იშვიათია ისევე, როგორც მოქმედებითი გვარის მიმღეობისა. სამაგიეროდ მთიანი სამეგრელოს ტერიტორიაზე პროდუქტიულია ვნებითი გვარის მიმღეობის საშუალებით ტოპონიმიკური კონვერსიის შედეგად ადგილის საკუთარი სახელების წარმოება. იგი გვიჩვენებს, თუ რა დაემართა ობიექტს, რაც დისერტანტის აზრით, განაპირობებს საობიექტო მიმღეობის მოძალეობას საკვლევი რეგიონის ტოპონიმიკაში. აქვე განიხილება **ნა-**, **ნო-** თავსართიანი ნამყო დროის მიმღეობა თანმხლები სუფიქსებითურთ, მყოფადის მიმღეობა **ო-** თავსართითა და თანმხლები სუფიქსებით. დადგენილია წესი, თუ რომელი ფუძეებისაგან შეიძლება აწარმოოს **ნა-ა** კონფიქსებმა ვნებითი გვარის მიმღეობა.

ამ თავში დიდი ადგილი უჭირავს სახელური ტოპონიმების წარმოებას. გარჩეულია უკლებლივ ყველა დერივაციული მოდელი, რომელთა შორის ზანურისათვის ერთ-ერთ უძველეს ნიშანდობლივ ტიპად დანიშნულების სახელების ტოპონიმებში **ო-** თავსართიანი წარმოებაა მიჩნეული. დისერტანტი კარგად ასაბუთებს, მაგ., მყოფადის მიმღეობათაგან **ო-უ** წარმოების პროდუქტიულობის მიზეზს ყველა დანარჩენ წარმოებასთან შედარებით. მისი ჩვენებით, **ო-ბონ-უ** არის „საბანაო“ (სადაც უნდა დაბანონ), მაშინ, როცა **ობონალი** აღნიშნავს იმას, რაც უნდა დაბანონ, ან რითაც უნდა დაბანონ. ადგილის საკ. სახელად ბუნებრივია **ობონუ** (სადაც უნდა დაბანონ). „იგი თავისთავადაც, როგორც საზოგადო სახელი, ადგილის დანიშნულებას გადმოგვცემს, მოქმედების ადგილს გვიჩვენებს“ (გვ. 57). ქართული **სა-ო** და ზანური **ო-ე** აფიქსები მორფოლოგიური თვალსაზრისით ერთმანეთის ექვივალენტებია. მდენად, მათ შორის ფუნქციური სხვაობა არ უნდა არსებობდეს, მაგრამ საკითხის გამოწვევლივით შესწავლამ დისერტანტს საშუალება მისცა, გამოეკვინა ფუნქციური სხვაობა ამ აფიქსებს შორისაც. კერძოდ, **ო-ე** გადმოგვცემს ადგილის დანიშნულებას და, ამასთან ერთად, ფუძით აღნიშნული საგნის სიუხვე-სიმრავლესაც: **ო-ჭუბურ-ე** „სადაც ბევრი წაბლია“, **სა-ო** კი გადმოგვცემს მასალის, საგნის, ნივთის დანიშნულებას“ (გვ. 74). პროდუქტიულია **ლა-** **ლე-** და **სა-** თავსართიანი წარმოებაც. შე-

ნიშნულია ამ ფორმანტთა ფუნქციურ ერთგვარობასთან ერთად საწარმოებელ ფუძეთა განაწილებაც.

საყურადღებო დაკვირვება ჩაუტარებია დისერტანტს -თი „სახლი, ოჯახი“ ელემენტთან დაკავშირებით. კერძოდ, გეგმუკორისა და ჩხოროწყუს რაიონების მთელრიგ სოფლებში -თი ბოლოსართი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით დაუდასტურებია, მაგრამ მთიანი სამეგრელოს ზოგ მთისძირა სოფლებში ამ ელემენტს დაუკარგავს პირდაპირი მნიშვნელობა და სუფიქსად გადაქცევა დაუწყია. მან შეიძლება შესცვალოს **სა-ო**, **ლე-ე** მოდელი. ს. ჯანაშიას ვარაუდზე დამყარებით პ. ცხადაია ასკენის, რომ **თ** სიმრავლე-კრებითობაზეც მიუთითებს და საერთო წარმომავლობისად მიიჩნევს ქართულ და ზანურ **თ**-ს.

სარეცენზიო ნაშრომის შესამე თავი ეთმობა თხზული ტოპონიმების ანალიზს. თხზული ტოპონიმები ნაშრომში ორ ჯგუფად იყოფა: ნაზმნარ კონსტრუქციებად და კომპოზიტურ ტოპონიმებად. პირველი შედგება ზმნური და სახელური კომპონენტებისაგან, ინარჩუნებს პრედიკატულობას, ორ და სამშემადგენლიანია, ასახავს ობიექტთან დაკავშირებულ მოქმედებას. კომპოზიტური ტოპონიმი, დისერტანტის განმარტებით, მომდინარეობს სიტყვათშეერთებისაგან, შედგება მხოლოდ სახელური კომპონენტებისაგან, ორშემადგენლიანია, აღნიშნავს კუთვნილებას ან სივრცით მიმართებას. შემდეგ ნაშრომში განხილულია კომპოზიტური ტოპონიმების მოდელები. აქ კარგად არის დასაბუთებული მართულ-მსაზღვრელიანი ტოპონიმების პროდუქტიულობის მიზეზი, როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებითაც. აქვე წარმოდგენილია ყველაზე მეტად გავრცელებულ საზღვრულ სახელთა ანუ ინდიკატორთა მოზრდილი სია საკვლევ რეგიონში, მათი ხმარების პროდუქტიულობის ჩვენებით (ვთქვათ, ნოხორი 1230-ჯერ დადასტურებულია, ლალ(ე) – 690-ჯერ, ტომბა – 530-ჯერ და ა. შ.). დაწვრილებით განიხილავს რთულ ტოპონიმებთან დაკავშირებულ ფონეტიკურ მოვლენებს.

ნაშრომის მეოთხე თავში გაშუქებულია ანთროპოტოპონიმთა წარმოება. ამ უკანასკნელთა ფორმანტებად გამოიყოფა **ლე-სა-ნა-** პრეფიქსები თანმხლები სუფიქსებითურთ. ეს ფორმანტები ადამიანის საკუთარი სახელისა თუ გვარისაგან ადგილის საკუ-

თარ სახელს წარმოქმნის. მათ შორის **ლე-ე**, დისერტანტის დასკვნით, მხოლოდ ტოპოფორმანტია. ნაშრომის 167-172 გვერდებზე წარმოდგენილია **ლე-ე** და **სა-ო** აფიქსების საშუალებით ნაწარმოებ სახელებთან დაკავშირებით საყურადღებო დაკვირვება. დახასიათებულია ეს აფიქსები ცალკე ენაში გამოყენებისა და ცალკე ტოპონიმიკაში გამოყენების თვალსაზრისით, გარკვეულია მათთან დაკავშირებული დიაქრონიული საკითხები, მათი გავრცელება და ა. შ.

გამოკვლევის მეხუთე თავში განხილულია ტოპონიმთა ეტიმოლოგიის, ეტიოლოგიის, საერთოდ კოლხური ტოპონიმებისა და ენობრივ-დიალექტური საზღვრების საკითხები. ნაშრომის ერთ-ერთ დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დისერტანტი მეტწილ ტოპონიმს ახსნას უძებნის, იძლევა მის ეტიმოლოგიზაციას. ფასეულია ისიც, რომ ამა თუ იმ სახელით მონათლული ადგილი ნაშრომში აღწერილია თავისი ფიზიკური მახასიათებლების ჩვენებით, რაც დიდ დახმარებას უწევს დისერტანტს ამ ტოპონიმთა ახსნისას და ასევე კარგ სამსახურს გაუწევს იგი ტოპონიმის მომავალ მკვლევარებსაც.

დისერტანტი სამეცნიერო ლიტერატურას სრულად და კეთილსინდისიერად იყენებს. იგი, სადაც საანალიზო მასალა ამის საშუალებას აძლევს, სამეცნიერო ლიტერატურისადმი საკმაოდ კრიტიკულ დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს. მაგ., სარეცენზიო ნაშრომის 177-180 გვერდებზე, წინააღმდეგ ადრე წამოყენებული მოსაზრებისა, კარგადაა დასაბუთებული, რომ **ნა-** პრეფიქსი არც ახლა და არც ახლო წარსულში არ უდრიდა სვანურ **ლე-** და ქართულ **სა-** თავსართებს. „**საგვაზაო** არის გვაზავების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო **ნა-გვაზა-უ** – გვაზავების (ან გვაზავას) ნაცხოვრები ადგილი. ნა-ს ამჟამად არა აქვს და, როგორც ტოპონიმიკური მასალა გვიჩვენებს, ალბათ, არც წარსულში ჰქონდა დანიშნულების ფუნქცია. **ნა-** თავსართი ქართულიდანაა შეთვისებული და შენარჩუნებული აქვს თავისი ძირითადი ფუნქცია: ყოფილობა, წინავითარების აღნიშვნა. მეგრული **ნა-**... ანთროპოტოპონიმებში პიროვნების ნამყოფობას გამოხატავს“ (გვ. 180). ავტორი ამოწმებს და ძალიან ხშირად ასწორებს სხვის მიერ ჩაწერილ და გამოქვეყნებულ მასალებს. სამეცნიერო ლიტერატურისადმი

ასეთი სადი კრიტიკული დამოკიდებულება, რაც არაერთგზის გეხვედება ნაშრომში, ავტორის კარგ მომზადებაზე, მახვილგონიერებაზე და მეცნიერული კვლევა-ძიების დამოუკიდებელ უნარზე მიუთითებს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ პ. ცხადაიას „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“ დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, იკითხება დიდი ინტერესით, ავსებს ერთ დიდ ხარვეზს მეგრული ტოპონიმის შესწავლის საქმეში და კარგი შენაძენია ქართული ენათმეცნიერებისა. გამოკვლევაში დასმული და გადაწყვეტილია საკვლევე რეგიონის ტოპონიმის აქტუალური საკითხები. ნაშრომის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საანალიზოდ მოხმობილია დიდძალი მასალა, ახსნილია მრავალი ტოპოფორმანტის ფუნქცია და ამოშიფრულია ტოპონიმთა უმეტესი ძირების შინაარსი და ა. შ. მსჯელობა და მიღებული დასკვნები ჯეროვნად არის დასაბუთებული უხვი მასალით და ძირითადად მისაღებია. ნაშრომის ავტორი, პ. ა. ცხადაია, უთუოდ იმსახურებს ძიებულ ხარისხს.

სარეცენზიო ნაშრომის გაცნობამ ზოგი შენიშვნა და განსხვავებული მოსაზრებაც გაგვიჩინა.

1. სარეცენზიო ნაშრომის 78-ე გვერდზე ნათქვამია, რომ „ლე- აწარმოებს ადგილის საკუთარ სახელებს ადამიანთა სახელ-გვარებისაგან და არ აწარმოებს საზოგადო სახელებისაგან“-ო. ეს დებულება 79-ე გვერდზე თითქოს უფრო დაზუსტდა, სადაც ნათქვამია: „ახლო წარსულში ის (ლე- თავსართი), როგორც ჩანს, საზოგადო სახელსაც ერთოდა. ამის საბუთად გამოდგება რამდენიმე ტერმინი: **ლე-ფშალ-ე** ← ფშალი „სვია“, **ლე-გვიმარ-ე//ლე-გვიმარ-ა** ← გვიმრა, **ლე-შქიშქილ-ე** ← შქიშქილი „ლორთქო ბალახი, ნორჩი ყლორტი“, **ლე-ბაღე** ← ბაღი „ბაღი“ ან ბაღ „ბეღელი“. ჩვენ დაეუმატებდით ამათ ცნობილი კურორტის სახელს – **ლე-ბარდ-ე**“საც. ამის შემდეგ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ლე- თავსართი თანაბრად აწარმოებდა ადგილის საკუთარ სახელებს როგორც ადამიანთა სახელ-გვარებისაგან, ისე მცენარეთა სახელებისაგანაც. ასეთ ვითარებაში ზედმეტად გვეჩვენება დისერტანტის საეგვიპო მოსაზრება იმის შესახებ, რომ **ფშალ, გვიმრ, ბაღ, შქიშქილ** შეიძლება სულაც გვართა ან პიროვ-

ნების სახელთა ძირები იყოსო. მით უფრო, რომ დენდრონიმები-საგან **ლუ-** თავსართით ადგილის საკუთარ სახელთა წარმოება ისევე ბუნებრივია ამ **ლუ-**ს მორფოლოგიური ფუნქციის თვალსაზრისით, როგორც ადამიანთა სახელ-გვარებისაგან. საქმის ვითარებაში უფრო ღრმად ჩახედვა, ალბათ, იმაშიც დაგვარწმუნებს, რომ **ლუშქიშქილე, ლეგეიმარე** ტიპის სახელებით მონათლული ადგილები ადამიანის საცხოვრებლად საერთოდ გამოუსადეგარიც კია.

2. ნაშრომის 172-ე გვერდზე წარმოგვიდგენს თავის ვარაუდებს იმის შესახებ, თუ რა გზით შეიძლება მოხვედრილიყო ზანურში **ლა-, ლუ-** ფორმანტები: ა) პირველი ვარაუდის მიხედვით, კოლხეთის დაბლობი ადრე სვანების გადანაცხოვრია. მეგრულ-ჭანური ტომების სამხრეთიდან მოწოლამ მთებში შეხიზნა სვანები, რომელთა ნაწილი ეგრისის ქედის წინამხარეში უნდა დარჩენილიყო. აქ სვანების ეს ნაწილი აითქვიფა ზანურში და ზანურმა ამ ეპოქაში შეიძლება აითვისა სვანური მორფოლოგიური ინვენტარი. ბ) ქართულსა და ზანურში შემონახული **ლა-, ლუ-, ზოგი** სპეციალისტის აზრით, ქართულ **ნა-, ნე-** აფიქსებიდან მომდინარეობენ. დისერტანტის ვარაუდით, თვით **ლა-, ლუ-** თავსართები უნდა წარმოადგენდნენ „საერთო ქართველურ ან, თუნდაც, საერთო სვანურ-ზანურ ფორმანტს. ეს მეორე ვარაუდი, შესაძლებელია, უფრო სარწმუნო იყოსო“, – დაასკვნის იგი.

ამ ბოლო, დისერტანტისათვის უფრო სარწმუნო, მოსაზრებასთან დაკავშირებით შემდეგი გვინდა ვთქვათ: სვანური **ლა-, ლუ-** ფორმანტების ქართულ **ნა-, ნე-** აფიქსებიდან მომდინარეობა არ არის საბოლოოდ დადგენილი ფაქტი; ამას დიდი დაბრკოლებები ეღობება ბგერათა შესატყვისობის თვალსაზრისით: **ნ**'ს ამგვარ გადასვლას **ლ**'ში სხვა მასალა არ უჭერს მხარს. გაცილებით უფრო მართებული ჩანს სვანური ერთი რიგის **ლ**'ს ქართულ **ს**'სთან დაკავშირება არა მხოლოდ მორფოლოგიური, არამედ ფონეტიკური შესატყვისობის თვალსაზრისითაც. ერეადა, თუ გავიზიარებთ დებულებას, რომ სვანური ადრე გამოეყო საერთო ქართულ-ზანურს და მან ამ უკანასკნელების ერთობის ხანაში მოასწრო დამოუკიდებელ ენად ჩამოყალიბება, მაშინ რით შეიძლება გაგვემართლებინა საერთო სვანურ-ზანური ფორმანტის შესახებ

საუბარი? განა უფრო ლოგიკური არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ ენათა ბევრი საერთო მოვლენა გვიანდელი კონტაქტების შედეგია? ასეა თუ ისე, მეცნიერებაში დგას საკითხი ზანურში სვანური სუბსტრატის შესახებ, რომელიც დიდი ხანია პასუხს მოელოდა. ამ საკითხზე, ჩვენი აზრით, ყველაზე დამაჯერებელი და სარწმუნო პასუხის გაცემა ჩვენი დისერტანტის საკვლევი რეგიონის ტოპონიმიას შეეძლო. სარეცენზიო ნაშრომში კი ამაზე დასაბუთებული და დამაჯერებელი პასუხი არ ჩანს.

3. 133-ე გვერდზე საუბარია ნაგენეტივარი სახელების **ძ**'ს შესახებ. ე. ლომთაძის ვარაუდით იგი ნათესაობითი ბრუნვის **ს** ან **შ** თანხმოვნების ბგერინაცვალაია. დისერტანტი ფიქრობს, რომ **ძ** ხსენებულ მასალაში **-იშ** სუფიქსისეული **-ი** ხმოვნის დასუსტების შედეგი შეიძლება იყოსო.

იმის გამო, რომ ხმოვანფუძიან სახელებში **-იშ** სუფიქსის **-ი** კარგა ხნის წინ ჩანს დაკარგული და ადრევე გაჩენილი ე. წ. ემვატიკური თუ სახელობითი ბრუნვის **-ი**, ხომ არ ვიფიქროთ, რომ **ძ** არის ამ **ი**'ს დასუსტების შედეგი: გაძჩაი ← გაიჩაი ← გაში ჩაი „სერის ჩაი“ და არა **-იშ** სუფიქსისეული **შ**'ს ან **ი**'ს რეფლექსი?

4. 90-ე გვერდზე ნათქვამია: **-ერ**, **-ელ** დეტერმინანტი სუფიქსებია არსებით სახელებშიც და ზედსართავეებშიც. მათი „დანიშნულება კიდევ უფრო მივიწყებულია მოსახლეობის მიერ“. ამის გამო, ბუნებრივია, მათი ფუნქციის შესახებ მსჯელობაც გაძნელებულია. მაგრამ რაკი დისერტანტი შენიშნავს, რომ ეს სუფიქსები ხშირად იხმარება სვანურსა და ლეჩხუმურ ტოპონიმიაშიო, ჩვენი აზრით, მათი ფუნქციის დასადგენად ამ მონათესავე ენების ჩვენებაც უნდა გათვალისწინებულიყო.

5. „**-ში** სუფიქსის წინ **-ე** გამოჩნდება გეგეკტორის რაიონის ზოგ მასალაში: ტობა → ტობეში, ლეტა → ლეტეში... გვიმარა → გვიმარეში“ (გვ. 104). დისერტანტი ამ მოვლენას კონტრაქციის გზით ხსნის: ლეტ-ეში ← ლეტე-ეში ← ლეტე ← იში ← ლეტა-იში. **ე**'ს სიგრძე ლეტეში ფორმაში, მართლაც, ამ ვარაუდს უმაგრებს მხარს. თანხმოვანფუძიანებშიც რომ **-ე** ვლინდება: წიფურ-ეში, ცხიმურ-ეში (გვ. 105). ამაზე დისერტანტი კითხულობს: **-ე** სახელობითი ბრუნვის ნიშნად ნავარაუდები **-ე** ან ნათესაობითი ბრუნვის **-ეშ** ელემენტის **-ე** ხომ არააო?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახლა ფუქეთანხმოვნინანად წარმოდგენილი რიგი სახელი (მაგ., წიფური, ცხიმური...) ქართულისა და სვანურის მსგავსად უწინ მეგრულშიც ხმოვანფუძიანი იყო, - აზე ბოლოვდებოდა. ასეთ შემთხვევაში ნათესაობითის ფორმებში აქაც კონტრაქციასთან გვექნებოდა საქმე. გამორიცხული არც ისაა, რომ -ა ხმოვნიანების ანალოგიას ფუქეთანხმოვნინანებშიც გარკვეული როლი ეთამაშნა.

6. ნაშრომის 77-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „სიტყვა „ლაგვიმორია“ ნაწარმოები უნდა იყოს გვიმარა „გვიმრა“ ფუძისაგან და უნდა ნიშნავდეს გვიმრის მსგავსს, გვიმრისნაირს“.

ჩვენ დაბეჯითებით გვინდა ვთქვათ, რომ წარმოშობის თვალსაზრისით **ლაგვიმორია** არ შეიძლება ნიშნავდეს „გვიმრის მსგავსს, გვიმრისნაირს“. იგი ადგილის დანიშნულების სახელია. მიუთითებს იმ ადგილზე, სადაც ეს მცენარე ხარობს.

7. დისერტანტი თავისი ნაშრომის სხვადასხვა თავებში გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენია საკვლევე რეგიონში ამა თუ იმ მოდელის ტოპონიმი. მაგ., „სამეგრელოს მთიანეთში - ურ ბოლოკიდურიან ტოპონიმთა რაოდენობა მცირეა - მხოლოდ 85 ერთეულს აღწევს“ (გვ. 85), ან „საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში 1000-მდე დანიშნულების სახელი აღმოჩნდა“ (გვ. 70), ან კიდევ: „ლა- თაკვიდურიანი ტოპონიმების რაოდენობა 45-ს არ აღემატება“.

ჩვენს დისერტანტს, ეტყობა, ძალიან ბევრი უმუშავნია მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიკის შეგროვებაზე. ამას ადასტურებს საანალიზო მასალის სიუხვეც. ამის შედეგი უნდა იყოს ზემოწარმოდგენილი გულდაჯერებელი განცხადებებიც. მაგრამ ტოპონიმია ისეთი რამაა, რომ ერთმა კაცმა რამდენიც არ უნდა იმუშაოს და რა საშუალებებიც არ უნდა გამოიყენოს, მისი სრულად აღრიცხვა, ალბათ, მაინც გაჭირდებოდა. ამიტომ გამოთქმები: „ამდენი აღმოჩნდა“, ან „ამდენს არ აღემატება“, ჩვენ ჯერჯერობით ნაადრევი გვეჩვენება.

8. ნაშრომის 3, 5, 12, 29, 170, 187... გვერდებზე სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით საუბარია სამეგრელოს საზღვრების შესახებ. აქ დისერტანტი გეოგრაფიულ მხარეთა ორიენტაციაში ყოველთვის ზუსტი არაა. მაგ., მდ. ღალიძგა სამეგრელოს ჩრდი-

ლოეთის საზღვრად არის მიჩნეული, სვანეთი აღმოსავლეთის საზღვრად გვევლინება, ოდიში ენგურის სამხრეთით მდებარეობს და ა. შ.

ნაშრომის ეს ადგილები, ჩვენი აზრით, უნდა გასწორდეს.

როგორც ვხედავთ ჩვენი შენიშვნები კერძობითი ხასიათისაა. ზოგი მათგანი (მაგ., 7, 8 შენიშვნა) დისერტანტის საკვლევე თემასთან მხოლოდ ნაწილობრივად არის დაკავშირებული. მდენად, ეს შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებენ დიდ ღირსებებს ნაშრომისა, რომელშიც დასმული და გადაწყვეტილია საკვლევი რეგიონის ტოპონიმის საკვანძო საკითხები. დისერტანტის მიერ ჩატარებულია საყურადღებო დაკვირვებები და მიღებულია სანდო და მისაღები შედეგები.

სარეცენზიო ნაშრომი უთუოდ საპატიო ადგილს დაიჭერს მეგრული ტოპონიმის შესწავლის საქმეში. მისი სრულად და დროზე გამოქვეყნება დიდ დახმრებას გაუწევს ტოპონიმიაზე მომუშავე ყველა სპეციალისტს. გამომდინარე აქედან, ვშუამდგომლობ თსუ საენათმეცნიერო სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რათა პ. ა. ცხადაიას მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

მ. ქაღდანი (ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი)
25. III. 75 წ.“

პ. ცხადაიამ უპასუხა ოფიციალურ ოპონენტს და თავის პასუხში დამატებითი არგუმენტების მოშველიებით შეეცადა დისერტაციის ზოგ ძირითად დებულებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაცვას.

პასუხი პროფ. მ. ქაღდანის შენიშვნებზე

1. პატივცემული ოფიციალური ოპონენტი, პროფ. მაქსიმე ქაღდანი პირველი შენიშვნის პირველ ნაწილში ამბობს: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ **ლე**- თავსართი თანაბრად აწარმოებდა ადგილის საკუთარ სახელებს როგორც ადამიანთა სახელ-გვარებისაგან, ისე მცენარეთა სახელებისაგანაც“ (რეცენზია, გვ. 7). ჩვენ თავი შევიკავეთ ასეთი დასკვნის გაკეთებისაგან,

რადგანაც საანალიზო მასალა ამის საშუალებას არ იძლევა. ჯერ ერთი, სადისერტაციო შრომა ემყარება საკვლევი რეგიონის მცხოვრებთა დღევანდელ მეტყველებაში დადასტურებულ ტოპონიმურ მასალას და არ ისახავს მიზნად ისტორიულ წყაროებში შემონახულ გეოგრ. სახელწოდებათა გაანალიზებას. მეორეცაა და, მთიან სამეგრელოში საზოგადო სახელებისაგან **ლე-** პრეფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმთა რაოდენობა ერთ ათეულს არ აღემატება, მაშინ როცა სახელ-გვარებისგან ამ **ლე-** პრეფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმთა რაოდენობა 13-ჯერ მეტია და 130-ს აღწევს. მეგრული ენის ზედმიწევნით მცოდნე ხანდაზმულებიც დაბეჯითებით ადასტურებენ, რომ ამ საუკუნის დამდეგიდან **ლე-** მხოლოდ **ლე-** სიჭინეს ტიპის სახელების საწარმოებლად გამოიყენება. ჩვენ ხელთ არსებულ მცირე მასალაზე დაყრდნობით ვივარაუდეთ, რომ **ლე-** წარსულში საზოგადო სახელისგანაც წარმოქმნიდა ადგილის საკუთარ სახელს. სწორედ ეს ვარაუდი აისახა ჩვენს დებულებაში, რომ „**ლე-** ამჟამად მხოლოდ გვარებისგან აწარმოებს ადგილის სახელწოდებებს, მაგრამ **ახლო წარსულში**, როგორც ჩანს, იგი საზოგადო სახელსაც ერთოდა“ (დისერტ., გვ. 78). ვიმეორებ, რომ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება სათანადო საფუძველი იმის დასასაბუთებლად, რომ „**ლე-** თავსართი თანაბრად აწარმოებდა ადგილის საკუთარ სახელებს, როგორც ადამიანთა სახელ-გვარებისგან, ისე მცენარეთა სახელებისგანაც“.

პირველი შენიშვნის მეორე ნაწილში პატივცემული ოფიციალური ოპონენტი აღნიშნავს: „ზედმეტად გვეჩვენება დისერტანტის საეგებო მოსაზრება იმის შესახებ, რომ **ფშალ, გვიმარ, ბად, შქიშქილ** შეიძლება სულაც გვართა ან პიროვნების სახელთა ძირები იყოსო“. ჩვენი ეს ვარაუდი არაა საფუძველმოკლებული: მცენარის სახელწოდება ზოგჯერ თავს იჩენს გვარში, ხოლო ეს გვარი შესაძლოა ტოპონიმსაც დაედოს საფუძველად. მაგალითად, **ჭყონი** მუხაა, მაგრამ **ლე-ჭყონ-ე** ჭყონიებით დასახლებული უბნის სახელია. ასევე: **წიფური** წიფელია, მაგრამ **ლე-წიფურ-ე** წიფურიების საცხოვრებელი ადგილია და ა. შ. რასაკვირველია, **ჭყონი** „მუხა“ და **წიფური** „წიფელი“ სიტყვებისაგან ნაწარმოები ტოპონიმებიც გვხვდება, მაგრამ სხვა აფიქსებით გაფორმებული, როგორცაა -ონა, ო-ე: ო-ჭყონ-ე, ო-წიფურ-ე, წიფურ-ონა, ჭყონა...

2. სვანური **ლა-//ლე-** პრეფიქსი მასალობრივადაც და ფუნქციითაც ქართული **სა-** და მეგრული **ო-** პრეფიქსების შესატყვისის უნდა წარმოადგენდეს (**თ. გამყრელიძე**, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 130-140). მეგრულ დიალექტში დადასტურებული **ლა-//ლე-** სვანურთან უშუალო კონტაქტის შედეგადაა მიჩნეული. ამ დებულების სისწორეს თითქოს მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ჭანურისთვის უცხოა **ლე-** თავსართი. მაგრამ რით ავსხნათ, რომ ქართულში მოგვეპოვება რამდენიმე ათეული სიტყვა, რომლებშიც **ლა-//ლე-** გამოიყოფა, როგორც მაწარმოებელი ოდენობა: ლარტყა, ლართხი, ლაყუჩი, ლანჩა, ლაფარო, ლეკვერთხი... (**ფ. ერთელიშვილი**, **ლა-//ლე-** პრეფიქსები ქართულში, „მაცნე“, 5, 1969, გვ. 155-164). ისიც ცნობილია, რომ ზოგიერთი მეკლევარი ქართველური ენების **ლა-//ლე-** პრეფიქსებს აკავშირებს მცირე აზიისა და ეგეოსის ზოგიერთ ენაში გამოყოფილ მრავლობითობის აღმნიშვნელ **ლე-** პრეფიქსთან (**რ. გორდეზიანი**, „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბ., 1970, გვ. 231).

ყოველივე ამის საფუძველზე გამოვთქვით ვარაუდი, რომ ზანურში (და ქართულში) შემონახული **ლა-**, **ლე-** თავსართები, უფრო სარწმუნოა, წარმოადგენდნენ საერთო-ქართველურ, ან, თუნდაც, საერთო სვანურ-ზანურ ფორმანტს. ვარაუდობენ, რომ სვანურის გამოყოფა საერთო ქართულისგან დაახლოებით ათასი წლით წინ უსწრებს ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლას. ამიტომაც პატ. ოფიც. ოპონენტი სვამს კითხვამს: „რით შეიძლება გაგვემართლებინა საერთო სვანურ-ზანური ფორმანტის შესახებ საუბარი?“ ვუპასუხებთ: მართალია, თანამედროვე ზანური დიალექტები გაცილებით უფრო ახლოს დგანან ქართულთან, ვიდრე სვანურთან და ეს სიახლოვე განსაკუთრებით ხელშესახებია **მორფოლოგიასა და ლექსიკაში**, მაგრამ **ფონოლოგიური კლასიფიკაციის** მიხედვით მეგრულ-ჭანური და სვანური ერთ „შიშინა“ ჯგუფში ექცევიან და ერთნაირადაც უპირისპირდებიან ქართულ სისინა ჯგუფს (**თ. გამყრ.**, გ. მაჭავარ., „სონანტთა სისტემა...“, გვ. 4-5). ამ პარადელიზმს ხსნიან როგორც „შედევს იმ მჭიდრო კონტაქტებისას, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა „ზანურ“ და

„სვანურ“ დიალექტურ წრეებს შორის ჯერ კიდევ ქართველური ენობრივი ერთაინობის ეპოქაში: „აღნიშნული საერთო იზოგლოსების საფუძველზე უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ ერთიანი „ზანურ-სვანური“ დიალექტური წრის შესახებ გვიანდელი პერიოდის საერთო ქართველურში“, - წერენ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი („სონანტა სისტემა...“, გვ. 9). როცა ჩვენ დისერტაციას ვწერდით, რომ ლა-//ლე- სულაც საერთო სვანურ-ზანურ პრეფიქსს შეიძლება წარმოადგენდნენ, ამ ორი ენის სწორედ ეს ერთაინობა გვქონდა მხედველობაში.

პატ. ოფიც. ოპონენტის მეორე შენიშვნის ბოლო ნაწილში ნათქვამია, რომ საკვლევი რეგიონის ტოპონიმიას შეეძლო დამაჯერებელი და სარწმუნო პასუხი გაეცა მეცნიერებაში დასმულ საკითხზე სვანურის სუბსტრატის შესახებ ზანურში. ჩვენი აზრით, საამისოდ საკმარისი არაა მხოლოდ მთიანი სამეგრელოს ტოპონიმის გაანალიზება, არამედ საჭიროა მთელი კოლხეთის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმური მასალის მოხმობა.

3. რამდენიმე ტოპონიმში მართული მსახდგრელის ნათეს. ბრუნვის ნიშნის ადგილას დადასტურებულია *ღ* (გაფსაკარა, სტეფაფადაბაი, გაფჩაი, ცაფდიხა). ელ. ლომთაძის აზრით, იგი ნათ. ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილის (ს, შ-ს) ბგერინაცვალია. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ეს *ღ* ნათეს. ბრ. ნიშნის ხმოვნითი ნაწილის (*ი-ს*) დასუსტების შედეგია. პატ. ოფიც. ოპონენტის აზრით, საფიქრებელია ზემოთ აღნიშნული *ღ* იყოს შედეგი იმ *-ი* ხმოვნის დასუსტებისა, რომელიც წარმოშობით ან ემფატიკური ხმოვანია ან სახ. ბრ. ნიშანია და ამჟამად მტკიცედაა შეზრდილი ნათ. ბრუნვის ნიშანს. ჩვენი აზრით, ეს ვარაუდები გასათვალისწინებელია მეგრულ ენაზე და ტოპონიმიაზე შემდგომი მუშაობისას. ასევე ყურადსაღებია შენიშვნა იმის შესახებ, რომ -ერ, -ელ სუფიქსების ფუნქციის დასადგენად სასურველი იყო სვანეთისა და ლეჩხუმის ტოპონიმის ჩვენებათა გათვალისწინებაც.

4. *ა*- ხმოვანფუძიან ნაგენეტივარ სახელებში *-იში-ს* წინ გამოვლენილი *-ე* ჩვენ აგხსენით როგორც შედეგი კონტრაქციისა (ლეტ-ე-ში ← ლეტე-ე-ში ← ლეტა-ი-ში ← ლეტა-იში...). მაგრამ -ეში დაბოლოება გვაქვს თანხმოვანფუძიან სახელებთანაც, სადაც კონტრაქცია გამორიცხულია (ცომურეში, ცხიმურეში...). ჩვენ ვივა-

რაუდეთ, რომ შესაძლოა საქმე გვექონდეს სახ. ბრუნვის ოდინდელ -ე ნიშანთან, ან ნათეს. ბრუნვის ნიშნად ნავარაუდევ -ეშ ფორმანტთან, თუმცა ზანურში ამ ეშ-ის რეალურობა სადავოა (გ. კლიმოვი).

პატ. ოფიც. ოპონენტმა ამ საკითხთან დაკავშირებით ორი ვარაუდი წამოაყენა: ა) შესაძლებელია ახლა ფუძეთანხმოვნინად წარმოდგენილი რიგი სახელი ქართულისა და სვანურის მსგავსად, უწინ მეგრულშიც ხმოვანფუძიანი იყო და ა-ზე ბოლოვდებოდა. ასეთ შემთხვევაში ნათესაობითის ფორმებში აქაც კონტრაქციასთან გვექნებოდა საქმე. ბ) არაა გამორიცხული, რომ ა-ხმოვნინების ანალოგიით ფუძეთანხმოვნინებთანაც გავრცელებულიყო -ეში დაბოლოება. ორივე ეს ვარაუდი ყურადსაღებია და გავითვალისწინებთ შემდეგს მუშაობაში.

5. პატ. ოფიც. ოპონენტი აღნიშნავს, რომ „წარმოშობის თვალსაზრისით **ლაგვიმორია** არ შეიძლება ნიშნავდეს „გვიმრის მსგავსს, გვიმრისნაირს“. იგი ადგილის დანიშნულების სახელია, მიუთითებს იმ ადგილზე, სადაც ეს მცენარე ხარობს“. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტოპონიმად ფიქსირებულია არა **ლაგვიმორია**, არამედ „ლაგუმორიონი“, რაც ნაწარმოებია **ლაგუმორია**-საგან კრებითობის სუფიქსებით და აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც აღნიშნული მცენარე უხვად ხარობს. ი. ყიფშიძე სიტყვას **გვიმორა/გვიმარა** განმარტავს, როგორც „გვიმრა“ (папоротник), ხოლო იქვე დასახელებულ **მაგვიმარია**-სა და **ლაგვიმორია**-ს, რაფ. ერისთავის მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინურ ლექსიკონზე დამყარებით, როგორც „შავ გვიმრას“ (черный папоротник). საერთოდ, მეგრულში **ლა**, ისევე როგორც **მა**, უნდა გადმოსცემდეს ოდნობასაც და მსგავსებასაც: **ლა**-გვრძია „მოგრძო, წაგრძელებული“ (ტოპონიმი „ლაგვრძია ტომბა“), **ლა**-ფართია „მცირედით ფართო“, **მა**ქვრია (ქორის ერთ-ერთი სახეობა) და სხვ.

6. პატ. ოფიც. ოპონენტი შეგვნიშნავს, რომ ჯერჯერობით ნაადრევია ტოპონიმთა ამა თუ იმ მოდელის პროდუქტიულობასთან დაკავშირებული ზუსტი რიცხობრივი მონაცემების დასახელება, რადგანაც, ძნელია გულდაჯერებული ვიყოთ, რომ აღწე-

რილ რეგიონში კიდევ არ აღმოჩნდება ტოპონიმები. ჩვენ ვუპასუხებთ: ჯერ ერთი, ჩვენ ისე დაწვრილებით და დეტალურად აღვწერეთ საკვლევი რეგიონი, რომ არა გვეგონია აღნუსხვის გარეშე დარჩენილი იყოს ტოპონიმთა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი რაოდენობა. და მეორეც: ფიქსირების გარეშე დარჩენილ ტოპონიმთა აღმოჩენა და სათანადო ადგილას მათი გათვალისწინება მოდელების შეფარდებითს პროდუქტიულობას ვერ შეცვლის. ამის გარდა, ტოპონიმთა ანალიზის სტატისტიკური მეთოდი ფართოდაა გამოყენებული თანამედროვე ტოპონიმიკაში.

7. პატ. ოფ. ოპონენტის სხვა შენიშვნები და ვარაუდები (ა-სა და -გ-ს წარმომავლობის შესახებ ნაგენეტივარ სახელებში; სამეგრელოს საზღვრების გეოგრ. ორიენტაციის დაზუსტებისა და -ერ, -ელ სუფიქსების ფუნქციის დასადგენად მონათესავე ენების ჩვენებათა გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ) მისაღებია და გასათვალისწინებელი კოლხეთის ტოპონიმიზაცე შემდგომი მუშაობისას.

მეორე ოფიციალური ოპონენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ **კ. დანელიას** მიერ წარმოდგენილი რეცენზია შემდეგი შინაარსისაა:

„ტოპონიმთა შესწავლა მარტო ენათმეცნიერების ინტერესების სფეროში არ შემოდის. ტოპონიმებს გეოგრაფია და ისტორიაც შეისწავლის და ეს კანონზომიერიცაა, რადგან ადგილის სახელებში ხშირად აირეკლება არა მარტო სახელმძღვანელო ხალხის ენის რაობა, არამედ ამ ხალხის სამეურნეო-ეკონომიური, კულტურულ-პოლიტიკური ვითარება, ისტორიული და გეოგრაფიული გარემო. თუ ტოპონიმიკური კვლევის საბოლოო მიზნად ტოპონიმთა მეცნიერულ ეტიმოლოგიას ჩავთვლით, ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ტოპონიმთა შესწავლის მოთავედ ენათმეცნიერება გამოდის. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ტოპონიმთა შესწავლის რესპუბლიკური ცენტრი ამ ხუთიოდე წლის წინათ შეიქმნა სწორედ თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქარ-

თული ენის კათედრასთან, ტოპონიმის ლაბორატორიის სახით და ამ ლაბორატორიის გეგმიანი მუშაობის დადებითი შედეგები დღითიდღე ცნაურდება.

თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმის ლაბორატორიის თანამშრომელი პატიკო (პაატა) ალექსის ძე ცხადია ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც დაწვრილებით აღწერს სამეგრელოს სამი მთიანი რაიონის (წალენჯიხის, ჩხორწყის, გეგეჭკორის) ტოპონიმური ერთეულები და მოგვცა მათი საფუძვლიანი ლინგვისტური ანალიზი.

პატიკო დისერტანტს უთუოდ დიდი შრომა გაუწევია, 150-მდე დასახლებული პუნქტი შეუსწავლია ადგილზე, უბან-უბან, 17 ათასამდე ტოპონიმი აღწერს, საარქივოდ დაუმუშავებია და ენათმეცნიერულად გაუანალიზებია. სადისერტაციო ნაშრომში გარკვეულია: რამდენად შეეფერება საკვლევი რეგიონის ტოპონიმია მეგრული დიალექტის სიტყვაწარმოების საერთო სისტემას, რომელი აფიქსები გამოიყენება და როგორია მათი ფუნქცია, პროდუქტიულობა, ტერიტორიული განაწილება, როგორი შეფარდებაა აფიქსაციითა და კომპოზიციით წარმოქმნილ ტოპონიმებს შორის, რომელია საკუთრივ ტოპოფორმანტები, რაში მდგომარეობს ტოპონიმთა ეტიმოლოგიის თავისებურება და ადგილის ნომინაციის საფუძვლები და ა. შ.

სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს 199 გვერდს, შედგება ხუთი თავისაგან, წინ ერთვის წინასიტყვაობა და შესავალი, ხოლო ბოლოში – საერთო დასკვნები. ნაშრომის სტრუქტურა და ძირითადი შინაარსი ასეთია: **შესავალში** (გვ. 5-33) მოცემულია: კოლხეთ-ლაზეთ-სამეგრელოს მოკლე ისტორიული ექსკურსი, ამ სახელწოდებათა ისტორია, მეგრული და მისი შესწავლის მდგომარეობა, ტოპონიმური ლიტერატურის მიმოხილვა და ტოპონიმური სიტყვაწარმოება.

პირველ თავში (გვ. 34-38) განხილულია პრიმარული (პირველადი) ტოპონიმები, ე. ი. ისეთები, რომლებიც აფიქსაცია-კომპოზიციის გარეშე საზოგადო სახელებიდან უშუალოდ საკუთარ სახელებში არიან გადაარცხული. პატიკომული დისერტანტის ჩვენებით, პრიმარული ტოპონიმების რაოდენობა უმნიშვნელოა საკუნდარულ (დერივაციულ) ტოპონიმებთან შედარებით, ტოპონიმ-

თა საერთო რაოდენობის 7, 3% შეადგენს და უმეტესობა მოდის ორონიმულ (რელიგიის თავისებურების ამსახველ) და ჰიდრონიმულ ტერმინებზე. შრომაში სწორად არის აღნიშნული, რომ პრიმარულ ტოპონიმად ადამიანის სახელი არაბუნებრივია, მაგრამ რადგან მაინც არის ასეთები, მათ ახსნა სჭირდება. ავტორის აზრით, ასეთი ანთროპონიმული პირველადი ტოპონიმები (ლანდია, მახუტია, ტიპისა) უნდა წარმოადგენდნენ დერივაციული თუ კომპოზიტური ფორმების გამარტივების შედეგს (გვ. 37). ეს ახსნა სარწმუნო ჩანს.

მეორე თავში (გვ. 39-106) განხილულია სეკუნდარულ-დერივაციული ტოპონიმები, როგორც ზმნური, ასევე სახელური. აღნიშნულია, რომ ზმნური ტოპონიმები შეიძლება წარმოადგენდნენ ზმნის პირიან ფორმებს ან ნაზმნარ სახელებს. მაგრამ ტოპონიმიზაციისაკენ განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენს ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობა, რომელიც მეგრულში იწარმოება ნო-, ნა- პრეფიქსებით, ნა- -ა, ნა- -ე, ნა- -ერ, ნა- -ენჯ კონფიქსებით და ოდენ -ილ, -ირ, -ელ//-ერ, -ულ სუფიქსებით. ყველაზე პროდუქტიულია ნა- -ა და -ილ, -ირ მაწარმოებლები (გვ. 47). საყურადღებოა ასეთი ფაქტის აღნიშვნა: აპელატიურ სიტყვაწარმოებაში ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელი მყოფადის მიმღეობისა არის ო- -ალ (-არ), ხოლო ტოპონიმიაში ყველაზე ხშირი ხმარებისა ო- -უ კონფიქსიანი მიმღეობაა. პატივცემული დისერტანტი ამ ფაქტს საინტერესო ახსნას უძებნის: ო- -უ წარმოების (ო-ბონ-უ ტიპის) მყოფადის მიმღეობა იმიტომ უპირატესობს ტოპონიმიაში, რომ იგი თავისთავადაც, როგორც საზოგადო სახელი, **ადგილის დანიშნულებას** გადმოსცემს, მოქმედების ადგილს გვიჩვენებს. ასეთი საზოგადო სახელის ადგილი საკუთარ სახელად ქვევისადმი განსაკუთრებულ მისწრაფებას იჩენს. ხოლო საზოგადო სიტყვაწარმოებაზე გაცილებით უფრო პროდუქტიული ო- -ალ წარმოების მიმღეობა (ო-ბონ-ალ-ი ტიპის) ტოპონიმიაში იმიტომ არის იშვიათი, რომ გადმოსცემს **იარაღის** ან **საგნის დანიშნულებას** და, ამდენად, ადგილის საკუთარ სახელად გადაქცევის ნაკლები საფუძველი აქვს (გვ. 57).

სახელური ტოპონიმები შრომაში განხილულია შინაარსობრივი ჯგუფების მიხედვით, როგორცაა: წინავითარების სახელე-

ბი (გვ. 69-78), კრებითობის სახელები (გვ. 79-84), წარმომავლობის სახელები (გვ. 84-91), გვართა განაყოფის სახელები (გვ. 92-97), კინობითი სახელები (გვ. 97-98), ქონება-უქონლობის სახელები (გვ. 98-99), მრავლობითობისა და ნაგენეტივარი სახელები ტოპონიმებად (გვ. 99-106). შრომაში გზადაგზა, ამ ჯგუფების განხილვისას, საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული, კერძოდ, წინავითარების სახელების ოდენ პრეფიქსულ წარმოებაზე (გვ. 67), დანიშნულების სახელთა ო- - ე და სა- - -ო მაწარმოებლებს შორის არსებულ შინაარსობრივ სხვაობაზე (გვ. 74), ო- და ლე- მაწარმოებლების ურთიერთმიმართებაზე (გვ. 78), კინობითობის სუფიქსად ა-ს ნაცვლად -ია-ს გამოყოფა (გვ. 97) და სხვ.

მესამე თავში (გვ. 107-144) გაანალიზებულია თხზული (კომპოზიტიური) ტოპონიმების ორი ქვეჯგუფი: ნაზმნარი კონსტრუქციისა და სახელური. პირველის დამახასიათებლად მიჩნეულია: ზმნური და სახელური კომპონენტების მონაწილეობა, პრედიკატულობა, ორ ან სამშემადგენლიანობა, ობიექტთან დაკავშირებული მოქმედების აღნიშვნა, ხოლო მეორისა – სახელური სიტყვათშეერთება, ორშემადგენლიანობა, კუთვნილებისა და სიგრძითი მიმართების გამოხატვა (გვ. 107). კომპოზიტიური ტოპონიმებიდან განხილულია: ა) კოპულატიური (და კავშირიანი), ბ) ატრიბუტულმსაზღვრელიანი, გ) მართულმსაზღვრელიანი. ბოლოს მოცემულია შემაჯამებელი დასკვნა საზღვრულ წევრად გამოყენებულ აპელატივებზე: 7160 მართულმსაზღვრელიან ტოპონიმთან საზღვრულად გამოყენებულია 220 აპელატივი, რომელთაგან ყველაზე განმეორებადია 12 (თითოეული 200-ჯერ მეტად მეორდება): **ნოხორი, დაღ, ტომბა, წყურგილი, ცვანა, დისა, ფერდი, სუკი, წისქვილი, ჭაღე, ტყა, კარი**. ეს საინტერესო მონაცემია, თუ მას შევადარებთ ფშავის ტოპონიმის მონაცემებს, სადაც, ფ. მაკალათიას ცნობით, ყველაზე ხშირი და განმეორებადი ინდიკატორებია **გორი** და **წყალი**. ვიმეორებთ, ეს მონაცემები საინტერესოა იმის გასარკვევად, ტოპონიმთა სახელდებისას რა ფაქტორს აქვს ამა თუ იმ კუთხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა – გეოგრაფიულს, სამეურნეო-კულტურულს, თუ სხვას.

მეოთხე თავში (გვ. 145-180) შრომისა ეხება ანთროპოტოპონიმებს – სპეციფიკურ ტოპონიმურ წარმოებას. ეს თავი ყველაზე

არსებითი და ორიგინალური ნაწილია შრომისა. თუ როგორი სიფრთხილითა და სიზუსტით არის შესწავლილი დასმული საკითხი, ეს რამდენადმე თვით პარაგრაფდასათაურებიდანაც ჩანს: ლე- როგორც **ოდენ საგანგებო** ტოპოფორმანტი, სა- როგორც **უპირატესად საგანგებო** ტოპოფორმანტი, ნა- როგორც **ნაწილობრივ საგანგებო** ტოპოფორმანტი.

თუ სპეციალურ ლიტერატურაში მოხმობილ ლე- პრეფიქსიან ოიკონიმთა რაოდენობა 30-ს არ სცილდება, დისერტანტმა შეძლო 630-მდე ასეთი წარმოების მიკროტოპონიმი აღენუსხა. ასეთ უხვ მასალაზე დაყრდნობით ავტორი ეჭვმიუტანლად ადგენს, რომ ლე- პრეფიქსი არის **ერთადერთი** საგანგებო ტოპოფორმანტი მეგრულში, რომელიც პიროვნების გვარისაგან აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს და საზოგადო სახელთა წარმოებაში არ გამოიყენება. ამ დებულების ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ ერთი, ლე- თავსართიან სახელთა სწორი ეტიმოლოგიისათვის იძლევა გეზს. მაგ., **ლეგიდელე** და **ლეშონიე** ტოპონიმების ფუძეებში საზოგადო სახელი **გიდელი** და **შონი** „სვანი“ კი არ უნდა ამოვიკითხოთ, როგორც ეს შეიძლება დღეს ესმოდეთ იქ მცხოვრებთ, არამედ გვარები: **გიდელია**, **შონია** (გვ. 156). მეორეც, ამ დებულების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ლე- თავსართიან ტოპონიმებში ისეთი გვარები ამოვიცნოთ, რომლებიც დღეს დამოუკიდებლად არ იხმარებიან. სრულიად შესაძლებელია, რომ ტოპონიმები: **ლებარჯანე**, **ლექვაჩალე**, **ლეღანკანე**... ემყარებოდეს **ბარჯანია**, **ქვაჩალია**, **ღანკანია** გვარებს (გვ. 154). ოღონდ, ვფიქრობთ, საბოლოო დასკვნისათვის საჭიროა საკვლევი რეგიონის გაფართოება. გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი სამეგრელოსა და მისი მომიჯნავე რაიონების ტოპონიმთა და ანთროპონიმთა სრული მონაცემები, რათა დაკარგულად მიჩნეული და ძიებით აღდგენილად ჩათვლილი გვარები დღესაც რეალურად არსებული არ აღმოჩნდეს.

სადისერტაციო ნაშრომში ვრცლად არის განხილული სა-პრეფიქსიანი ტოპონიმები. აღნიშნულია, რომ სა- პრეფიქსი საზოგადო საიტყვათმწარმოებელიცაა და საგანგებო ტოპოფორმანტიც, თუკი საწარმოებელი ფუძე გვარს წარმოადგენს (მდრ. საელიავო, საბერულავო...) (გვ. 162). გარკვეულია მიმართება ლე- - ე

და სა- -ო ავიქსთა შორის, რომლებიც თითქმის მორფოლოგიურ ეკვივალენტს წარმოადგენენ (გვ. 167-172), გამოვლენილია მათ შორის არსებული სხვაობანი: ა) ენაში გამოყენების თვალსაზრისით (ღე- ოდენ ტოპოფორმანტია, სა- ესეცაა და საზოგადო სახელთა მაწარმოებელიც); ბ) ტოპონიმიაში გამოყენების მასშტაბურობით (ღე- მხოლოდ გვარებისაგან აწარმოებს ტოპონიმებს, სა- კი ამათგანაც და სხვა – ეთნიკურ, წოდების, თანამდებობის სახელებიდანაც); გ) პროდუქტიულობის თვალსაზრისით ტოპონიმიაში ღე- წარმოების სახელები ორჯერ მეტია სა-თი ნაწარმოებ სახელებზე.

დამოუკიდებელი მეცნიერული შრომის სახე აქვს ერთ-ერთ პარაგრაფს, რომელშიც ნა- შესწავლილია, ნა- როგორც ნაწილობრივ საგანგებო ტოპოფორმანტი. იმის დადგენას, რომ ნათავსართიანი ტოპონიმები აღნიშნავენ პიროვნების ნამყოფობას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ ნა- პრეფიქსიან ტოპონიმთა სწორი ეტიმოლოგიისათვის. უფრო მეტიც: ეტიმოლოგიური კვლევის სწორი მეთოდოლოგიისათვისაც. სრულიად უეჭველია, რომ **ნაარგუსუ**, **ნაბურჭულუ** ტიპის სახელებში საწარმოებელი ფუძე საზოგადო სახელებს არ წარმოადგენენ (არგუსო „ავგისტო“, ბურჭული „წაღდი“), როგორც ეს ზოგჯერ შეიძლება მიჩნეული იქნეს სპეციალურ ლიტერატურაშიც კი, არამედ გვარებს: არგუსია, ბურჭულია (ჩვენის მხრივ დავუმატებდით, რომ გურული გვარი ბურჭულაძე მეგრული გვარის კვლავ ქართულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს).

სადისერტაციო შრომის **მესუთე თავში** განხილულია საკითხები: ტოპონიმთა ეტიმოლოგიისა და ეტიოლოგიისათვის, კოლხური ტოპონიმები და ენობრივ-დიალექტური საზღვრები (გვ. 181-190). მარჯვედ შერჩეული მაგალითების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ტოპონიმთა ეტიმოლოგია ვერ ხსნის სახელდების მიზეზს და საჭიროა ეტიოლოგიის გათვალისწინებაც. შრომის ბოლო პარაგრაფში გამოვლენილია სვანურ-აფხაზური ელემენტები ტოპონიმურ მასალებში და, დასასრულს, მოცემულია საერთო დასკვნები (გვ. 191-192).

ასეთია შრომის სტრუქტურა.

პ. ცხადაიას სადისერტაციო ნაშრომის ღირსებებს გზადაგზა აღვნიშნავდით, როცა შრომაში წარმოდგენილი კვლევის პოზიტიურ შედეგებს გადმოვცემდით. დამატებით შეიძლება ითქვას: პატ. დისერტანტი ავლენს კვლევა-ძიების კარგ უნარს, ამჟღავნებს სპეციალური ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას, იჩენს ჯეროვან მეცნიერულ სიფრთხილესა და პუნქტუალობას, რის გამოც ნაშრომი დაზღვეულია აშკარა, უხეში შეცდომებისაგან. ამიტომაც, შენიშვნები, რომლებსაც ქვემოთ ვიძლევი, უფრო სურვილსა და რჩევას წარმოადგენს, ვიდრე აშკარა შეცდომების კრიტიკას.

1. ნაშრომის კომპოზიცია საერთოდ კარგია, მაგრამ, ვფიქრობთ, შესავლის პირველი სამი პარაგრაფი აუცილებელს არ წარმოადგენდა: კოლხეთ-ლაზეთ-სამეგრელოს ისტორიაზე, იმ ტომის სახელწოდების ან მეგრულის შესწავლის ისტორიაზე სპეციალისტათთვის ბევრად მეტია ცნობილი, ვიდრე შრომის შესავალშია ეს მოკლედ გადმოცემული. ამიტომაც ეს პარაგრაფები ზედმეტი ჩანს სამეცნიერო შრომისათვის, ხოლო პოპულარული ხასიათის ნაშრომისათვის ისინი აუცილებელიც კი იქნებოდა.

2. ტოპონიმთა, განსაკუთრებით მიკროტოპონიმთა დამოწმებისას ერთიანი პრინციპი არ არის გატარებული: მიკროტოპონიმთან ხან სოფელია მითითებული და რაიონი არა, ხანაც რაიონია მითითებული და სოფელი არა, ხანაც ყოველგვარი მითითების გარეშეა დასახელებული. შესაძლოა განმეორებად ტოპონიმებთან ავტორი მოერიდა ამას, მაგრამ იშვიათი ხმარების ტოპონიმებთან კი აუცილებელს შეადგენდა მოკლე პასპორტიზაცია. ნიმუშად ერთ ადგილს ვასახელებთ. შრომაში ნათქვამია: ო- - -უ კონფიქსებით ნაწარმოები მყოფადის მიმღეობა რამდენიმე შემთხვევაში ნაზმნარ კონსტრუქციებშიც შეგვხვდა **ოყეში მი-ო-გამ-უ** „საყვირის მისაცემი“ (ბორცვია სოფლის შუაგულში), **ჯოდორალა-ცა-თამ-უ** „ძაღლის გადასაგდები“ (ხევია სოფლის განაპირას) და სხვ. (გვ. 54). თუ აქ იშვიათი ხმარების ტოპონიმებია დასახელებული, უნდა თქმულიყო: ბორცვია ან ხევია ამა და სოფლებში, ხოლო თუ განმეორებადი ტოპონიმებია, უნდა აღნიშნულიყო: ბორცვები ან ხევებია სოფლებში... ერთი სიტყვით, მისათითებლების საკითხი უკეთ მოგვარებას საჭიროებს.

3. ნაშრომში საბოლოო დასკვნები ძალზე შეკუმშულია. მისი გაზრდა ერთიორად შეიძლებოდა, რადგან ცალკეულ თავებს შემაჯამებელი დასკვნები არ ახლავს. საერთო დასკვნების პირველი პუნქტი დაზუსტებას მოითხოვს, სადაც ნათქვამია: მთიანი სამეგრელოს ტოპონიმთა მცირე ნაწილის (4, 12%) სტრუქტურა და სემანტიკა ჯერჯერობით გაურკვეველია, ძირითადი ნაწილი კი (95, 88%) წარმოქმნილია მეგრული დიალექტის ლექსიკური მასალიდან მეგრულისავე სიტყვათსაწარმოქმნო საშუალებებით – დერივაციითა და სიტყვათშეერთებით (გვ. 191). შეიძლებოდა მეტი სიზუსტე, თორემ ისე გამოდის, მეგრული ტოპონიმების ძირითადი ნაწილი მხოლოდ მეგრული დიალექტის ლექსიკური და სიტყვათსაწარმოქმნო საშუალებებით იყოს შექმნილი. პატ. დისერტანტისათვის კი კარგად არის ცნობილი მეგრულ ტოპონიმებში ქართულ-სვანურ-აფხაზური ენობრივი ელემენტების მონაწილეობა (გვ. 186-190), რაც ზემოდასახელებულ საერთო დასკვნაში უგულებელყოფილი ჩანს.

სხვა, კერძოობით ხასიათის შენიშვნები:

1. შრომაში გამოყოფილია ტოპონიმებად ქცეულ ო- - -უ კონფიქსიანი მიმღებების ორი ჯგუფი: გასუბსტანტივებული (გი-ო-რღვაფ-უ „შეშის გადასაყრელი“) და დერივაციული (ო-ჯინ-უ „სათვალთვალო“) (გვ. 53-54). ვფიქრობთ, გატოპონიმებული მიმღებების დაცალკეება ჯგუფებად და მათ შორის **შინაარსობრივი** სხვაობის ძიება ზედმეტი უნდა იყოს...

2. გამოყოფილია ტოპონიმებად გამოყენებულ ტოპონიმთა ერთი წყება: ო-ბონ-უ-ე („საბანაო ადგილი“) ტიპისა, რომლებშიც, პატ. დისერტანტის აზრით, „ორმაგ წარმოებასთან გვაქვს საქმე“.

ო- - -უ-ს კვლავ დართვია -ე მაწარმოებელი, რათა გააძლიეროს მიმღებობაში დანიშნულების გაგება (გვ. 58-59). ასეთი ახსნა მაშინ იქნებოდა დამაჯერებელი, რომ ო- - -უ ტიპის წარმოება იშვიათი და მივიწყებული იყოს. რადგან ო- - -უ ისევე აქტიური მაწარმოებელია, როგორც ო- - -ე, უფრო საფიქრებელია, რომ ო- - -ე მაწარმოებლის წინ გამოვლენილი -უ ფუძისეული, მასდარისეული იყოს.

3. ო- პრეფიქსიან ტოპონიმებზე მსჯელობისას (ნო-ხორი „ნასახლარი“ ტიპისა) აღნიშნულია, რომ ბანძურ-მარტვილურ

თქმაში „ი სუფიქსს ზოგჯერ -ეი აქვს ჩანაცვლებული. ფიქსირებულია ნოხორეი... (გვ. 64). აქ სიზუსტე აკლია მსჯელობას: ი და ეი სხვადასხვა რიგის მოვლენებია. პირველი მათგანი დეკლინაციური ელემენტია, მეორე – დერივაციული. მათ **ჩანაცვლებაზე** ლაპარაკი უხერხულობაა. ჩვენის აზრით, სინამდვილეში ნოხორი და ნოხორეი ერთი წარმოების ორი ფონეტიკური ვარიანტია და ამოსავალია ნოხორევი. ამ უკანასკნელმა ვ-ინის ჩავარდნით ინტერვოკალურ პოზიციაში მოგვცა ნოხორეი. თავის მხრივ „ნოხორეი“-მ ასიმილაციით: ნოხორიი//ნოხორეი, ხოლო ხმოვნის პოზიციური სიგრძის დაკარგვით: ნოხორი.

4. სადისერტაციო ნაშრომში დასახელებულია ტოპონიმები ასეთი დაწერილობით: თამაზე-თი, ბაკურე-თი, ზაქარე-თი... და დაშვებულია ვარაუდი, რომ ფუძისეულ პიროვნულ სახელებს ოდესღაც -ე დაბოლოებაც შეიძლებოდა ჰქონოდათ (ბაკურე, თამაზე...) (გვ. 93). ვფიქრობთ, ასეთი ვარაუდისათვის საფუძველი არ არსებობს და აქ -ეთ სუფიქსიან ტოპონიმებთან უნდა გვქონდეს საქმე (ამის შესაძლებლობას არც ავტორი უარყოფს, გვ. 94).

5. სადისერტაციო ნაშრომის 105-ე გვერდზე დასახელებულია: წიფურ-ეში, ცხიმურ-ეში, ცომურ-ეში... და დასმულია კითხვა: ასეთ ფორმებში ხომ არ არის დაცული ოდინდელი სახ. ნიშანი -ე ან სავარაუდო ნათესაობითის -ეში ნიშანი. ვფიქრობთ, ზედმეტად დასმული კითხვაა. შესაძლოა წიფურეში ტიპის ფორმები ანალოგიით იყოს მიღებული გვიმრეში, ტობეში ტიპის ფორმებისა, რომლებშიც -ე ფუძისეული ა-საგან მოდის ასიმილაციით (გვიმრაში → გვიმრ-ე-ში).

6. გვ. 111: გარდამავალი ზმნის მიმღებობის მონაწილეობით წარმოქმნილი ორშემადგენლიანი კონსტრუქციები ასეთი სახისაა: I. ქვემდებარე – პირდ. დამატება: ფილიპეში ნახაჩქა „ფილიპეს ნათონი“ (სახნავია)... II. მიმღეობა – პირდ. დამატება: ნაჯიდერი დისა „ნაყიდი მიწა“... დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, რომ I კონსტრუქციის ფორმულირება სწორი არ უნდა იყოს. უნდა იყოს: არა ქვემდებარე – პირდ. დამატება, არამედ: ქვემდებარე – მიმღეობა. ჩანს, მექანიკურად ერთი სიტყვის ნაცვლად მეორეა დაბეჭდილი.

7. გვ. 133: მართულმსახდვრელიან ტოპონიმებზე მსჯელობისას მოყვანილია ელ. ლომთაძის მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევაში პრეპოზიციურობის გამო დუნდება მისი გამოთქმა ნათ. ბრუნვის ნიშნისეული ს, შ დ-ას სახეს იღებს, ხოლო შემდეგ სულ იკარგება. პატ. დისერტანტის აზრით, მსახდვრელის ნათ. ბრუნვის ნიშნისეული შ-ს გარდამავალი საფეხური (დ-იანი) მხოლოდ რამდენიმე ტოპონიმშია წარმოდგენილი, მაგ., გაძჩაი (გაში ჩაი „სერის ჩაი“), მაგრამ ავტორი დ-ას მიღების სხვა გზასაც ვარაუდობს. ის კითხულობს: *ღ* ხომ არ წარმოადგენს *იშ* ბრ. ნიშნის ხმოვნითი ნაწილის დასუსტებულ სახეს: „ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია გაძჩაი ← გა-ი-ჩაი ← გა-იშ ჩაი ← გა-იში ჩაი“. ასეთი აზრის გაზიარებას ის აბრკოლებს, რომ გაძჩაი ახალი ტოპონიმია და დღეს არ მოქმედებს მეგრულ-ჭანურში ხმოვანფუძიან სახელებზე -იშ ნიშნის დართვის წესი. ამდენად, გაძჩაი-ის მოგვცემდა არა „გაიშ ჩაი“, არამედ „გაშჩაი“.

დასასრულ, ნაშრომის სტილის შესახებ: შრომა კარგი სტილით არის შესრულებული, მსჯელობანი კონდესირებულია, ზედმეტსიტყვაობისაგან დაზღვეულია, აზრი მკაფიოდ არის გადმოცემული, სტილურად გაუმართავი ადგილები იშვიათია (გვ. 24, 17, 184).

მიუხედავად კერძობითი ხასიათის შენიშვნებისა, პატიკო ცხადიას სადისერტაციო ნაშრომი „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“ ჯეროვან მეცნიერულ დონეზეა შესრულებული და მისი ავტორი სავსებით იმსახურებს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
დოცენტი **კ. დანელია.**

პასუხი დოც. კ. დანელიას შენიშვნებზე

1. წარმოდგენილი სადისერტაციო შრომის შესავალი თავდაპირველად გაცილებით უფრო ვრცელი იყო. თემის ხელმძღვანელმა, აკად. შ. ძიძიგურმა გვირჩია, ან სულ ამოგველო იგი, ან მნიშვნელოვნად შეგვემოკლებინა. ჩვენ მეორე გზა ვირჩიეთ. საკვლევი რეგიონის მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა,

ამასთანავე, სათანადო ეთნიკური სახელწოდებების შესახებ არსებული მეცნიერული მოსაზრებების წარმოდგენა ამგვარი შრომისათვის აუცილებელ კომპონენტად მიგვაჩნია.

2. პატივცემული ოფიციალური ოპონენტის, დოც. კ. დანელიას მეორე შენიშვნა შეეხება მიკროტოპონიმთა დამოწმების ერთიანი სისტემის გატარების აუცილებლობას, კერძოდ, თითოეული დასახელებული ტოპონიმის მოკლე პასპორტიზაციის საჭიროებას.

ჩვენი შრომის პირვანდელ ვარიანტში ყოველ დასახელებულ გეოგრ. სახელწოდებას თან ახლდა აღსანიშნი ობიექტის სახეობისა და მისამართის აღნიშვნა, მაგრამ ამან შრომის მოცულობა ძალზე გაზარდა და გადავწყვიტეთ, ხშირად განმეორებადი ან გავრცელებული მოდელის მქონე ტოპონიმთა დასახელებისას დამატებითი ცნობები არ წარმოგვედგინა. სხვა შემთხვევაში კი, როცა ეს საჭირო იყო ამა თუ იმ ფორმანტის ფუნქციის ან ამოსავალი ფუძის შინაარსის დასადგენად, დასახელებულ გეოგრ. სახელწოდებებს თან ვაახლეთ აღსანიშნი ობიექტის აღწერა და ადგილმდებარეობის აღნიშვნა. მაგ: „ოხაჩქუეს მთის დასავლეთ კალთაზე წყაროსა და საძოვარს ეწოდება „ლა-ხუნწ-არ-ა“ (გვ. 77); „ს. ხუნწის თავზე, მაღალი მთის კალთაზე გაშლილ ფართო ვაკეს ეწოდება ტობაში“ (გვ. 104); „ს. ჭაღეში, ენგურის მარჯვენა ნაპირზე, კლდეს ეწოდება ლა-სქვერ-ა“ და ა. შ. ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში ტოპონიმს პასპორტიზაცია დავაკელით იქაც, სადაც ზედმეტი არ იყო. პატ. ოფიც. ოპონენტის შენიშვნას „მისათითებლების საკითხების“ უკეთ მოგვარების საჭიროებაზე, მომავალ მუშაობაში გავითვალისწინებთ.

3. პატ. ოფიც. ოპონენტის მესამე შენიშვნაში ნათქვამია, რომ ნაშრომის საბოლოო დასკვნები ძალზე შეკუმშულია და მისი გაზრდა ერთიორად შეიძლებოდა და, ამასთანავე, დაზუსტებას მოითხოვს პირველი პუნქტი, რადგანაც მასში უგულებელყოფილი ჩანს ქართულ-სვანურ-აფხაზური ენობრივი ელემენტების მონაწილეობა. ამ შენიშვნის პირველი ნაწილი მისადგებია, ხოლო მეორე ნაწილთან დაკავშირებით შემდეგი გვინდა ვთქვათ: ამა თუ იმ ენის ლექსიკაში შესული უცხო ენობრივი ელემენტები, რომლებიც გეოგრ. სახელწოდებათა წარმოქმნაში მონაწილეობენ, ტოპო-

ნიმიკური თვალსაზრისით, შეიძლება არ ჩაითვალოს უცხო ენობრივ ელემენტებად. მაგალითად, **ქართული**: საცდელი, საკირე, საეკლესიო, სანერგე... **აფხაზური**: აძმახ, ახკარა, ახრა... **სვანური**: შქერდი, ღარა, ნაკა... შესულია (ან იყო შესული) მეგრულ მეტყველებაში და სხვა ნებისმიერი მეგრული სიტყვის მსგავსად შექმნო საფუძვლად დადებოდა ტოპონიმს. ასეთი ტოპონიმები აღარ წარმოადგენენ უცხო ენობრივ ელემენტებს. დისერტაციაში დასახელებული და გაანალიზებულია არამეგრული წარმოშობის მხოლოდ ერთადერთი ტოპონიმი **ლაჩახვა** „საძოვარი“, რაც, ჩვენი აზრით, სვანურის სუბსტრატია, ე. ი. შექმნილია სვანურენოვანი მოსახლეობის მიერ. ამდენად, პატ. ოფიც. ოპონენტის შენიშვნა შეეხო მხოლოდ ერთი ტოპონიმის უგულებელყოფას მთიანი სამეგრელოს ტოპონიმის ორ მთავარ ჯგუფად – ერთი, უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმებად და, მეორე, მეგრული დიალექტის ლექსიკური მასალიდან წარმოქმნილ ტოპონიმებად დაყოფისას.

უპასუხებთ პატივცემული ოფიციალური ოპონენტის მიერ გამოთქმულ სხვა კერძობითი ხასიათის შენიშვნებს:

1. პატივცემული ოფიციალური ოპონენტი ეჭვს გამოთქვამს ტოპონიმებად დადასტურებული მიმღებების ორი ნაკადის – პრიმარულისა და დერივაციულის¹ – გამოყოფისა და მათს შორის შინაარსობრივი სხვაობის ძიების საჭიროებაზე. სადისერტაციო ნაშრომში ტოპონიმიკური მასალა გაანალიზებულია და კლასიფიცირებულია როგორც ენობრივი, ისე წმინდა ტოპონიმიკური თვალსაზრისითაც. რა თქმა უნდა, ენობრივი და ტოპონიმიკური კლასიფიკაციები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. კერძოდ, სტრუქტურულად ერთნაირი წარმომავლობის სახელები ტოპონიმთა შინაარსობრივ-წარმომავლობითი თვალსაზრისით შეიძლება სხვადასხვა ჯგუფში მოხვდნენ. მაგალითად, **ონტყოლ-უ** „სალაფაო ადგილი“ და **ო-ფაჩხაფ-უ** „ნადირის გამოსარეკი ტყე“ ორივე მყოფადის მიმღებობაა, მაგრამ ტოპონიმიაში ისინი სხვადასხვა გზით მოხვდნენ: **ონტყოლ-უ** გეოგრ. ტერმინია და აღნიშნავს ღრმა ტალახს, წუშპეს, იმის მიუხედავად, იყო თუ არა იგი გარეული თუ შინაური ცხოველების მიერ სალაფაოდ გამოყენებული. ასეთი ტერმინი, ჩვეულებრივ, იქცევა იმ ადგილის საკუ-

თარ სახელად, რომელსაც საზოგადოდაც აღნიშნავს. მაგრამ **ოფანსაფუ** უშუალოდ ზმნიდან ნაწარმოები ტოპონიმია და აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც ხდება ფუქითა აღნიშნული მოქმედება. სხვა მაგალითი: **გე-დგრაკილი** „გადრეკილი“ და **გემეხილი** „ნამეხარი“ სტრუქტურის თვალსაზრისით ვნებითი გვარის წარსულდროიანი მიმღეობებია. პირველი მათგანი გასუბსტანტივებულია, გეოგრ. ტერმინადაა ქცეული, პრედიკატულობისაგან დაცლილია, რადგანაც, როგორც ტოპონიმი, წარსულში მომხდარ მოქმედებას არ გადმოგვცემს. **გედგრაკილი** პრიმარული ტოპონიმია. **გემეხილი** კი დერივაციული ტოპონიმია – იგი წარსულში მომხდარი მოქმედების ადგილს აღნიშნავს და, მაშასადამე, ინარჩუნებს პრედიკატულობას და სწორედ ესაა მისი თავისებურება. გეოგრ. სახელწოდებად დადასტურებულ მიმღეობათა ამ ორი ნაკადის გამოყოფა-გამიჯვნა, ჩვენი აზრით, საჭიროა.

2. პატ. ოფიც. ოპონენტი შენიშნავს, რომ ო-ბონ-უ-ე ტიპის ტოპონიმებში -ე სუფიქსის წინ გამოვლენილი **-უ**, უფრო საფიქრებელია ფუქისეული, მასდარისეული იყოსო. ასეთი აზრი ჩვენც დაგვებადა. დისერტაციის 58-ე გვერდზე ვწერთ: „ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ **-ე** სუფიქსის წინ მდგარი **-უ** მასდარისეულია, ე. ი. ნახუა → ო-ნახუ-ე, ბონუა → ო-ბონუ-ედა ა. შ. ჩვენი აზრით, „აქ ორმაგ წარმოებასთან გვაქვს საქმე: ო-უ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ მიმღეობის ფორმას ხელმეორედ დაერთვის -ე (ო-ე კონფიქსებით სახელებისგან სახელის წარმოების ანალოგიით), რათა გააძლიეროს მიმღეობის ფორმაში დანიშნულების გაგება და კიდევ უფრო გამოიჯნოს იგი მასდარული შინაარსისგან“. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ორი გარემოება:

ა) ო-უ გვაქვს მაშინაც, როცა მასდარში -უ არა ჩანს: გეშა-ხუნაფა → გე-შა-ხუნაფ-უ, მითოლაფა → მითა-ლაფ-უ, რულა → ო-რულ-უ//ო-რულაფ-უ და სხვ. ზოგ ასეთ ტოპონიმს ბოლოში -ე სუფიქსიც აქვს დართული ხელმეორედ: ციმა → ო-ციმ-უ//ო-ციმ-უ-ე. ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ -ე სუფიქსის წინ გამოვლენილი -უ მასდარისეულია. ბ) როგორც ცნობილია, ზანურში „ობონუ“ ტიპის სახელები თავის დროზე მასდარს წარმოადგენდა (მდრ. ქართ. „საქმე“). გარკვეულ კონსტრუქციებსა და განსაზ-

ღვრულ ზმნებთან **ობონუ** დღესაც მასდარია. მასდარისეული შინაარსისაგან საბოლოოდ გამიჯვნისა და ადგილის დანიშნულების გაგების გაძლიერების სურვილი იყო საფუძველი, რამაც გამოიწვია დანიშნულების სახელების მაწარმოებელი ო-ე კონფიქსისეული -ე სუფიქსი ხელმეორედ დართვოდა მიმღებობის ფორმებს.

3. **ნოხორი** „ნასახლარი“ ფორმის ნაცვლად ზოგ შემთხვევაში ფიქსირებულია **ნოხორე**. სწორედ ამ გარემოების აღნიშვნა გვეკონდა მხედველობაში, როცა ვწერდით, რომ „ი სუფიქსს ზოგჯერ -ეი აქვს ჩანაცვლებული“. რასაკვირველია, ჩვენთვისაც **ნოხორი**//**ნოხორი**//**ნოხორე** ფონეტიკური ვარიანტებია.

4. პატ. ოფიც. ოპონენტი აღნიშნავს, **ბაკურეთი**, **ზაქარეთი** ტიპის გეოგრ. სახელები შესაძლებელია -ეთ სუფიქსით იყვნენ ნაწარმოებნი. ამის შესაძლებლობას არც ჩვენ უარგყოფთ (დისერტ., გვ. 94). კოლხური საკუთარი სახელების დაბოლოებაში არაა იშვიათი სხვადასხვა ხმოვნის მონაცვლეობა. მაგ., დადასტურებულია: ტურა//ტურუ//ტურია//ტურიე, გურა//გურუ//გურიე და სხვ. ამის საფუძველზე ვივარაუდეთ, რომ ამჟამადაც თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები: ბაკური, თამაზი და სხვ., შესაძლებელია -ე ხმოვანფუძიანი ვარიანტითაც იყო გავრცელებული. ამის მიხედვით, ბაკურეთი, თამაზეთი ტიპის გეოგრ. სახელწოდებებში გამოსაყოფი იქნება არა ქართული -ეთ სუფიქსი, არამედ -თი, რომელიც წარმოშობით ლექსიკური ერთეულია, მაგრამ ამჟამად გამოდის პატრონიმული, ხოლო იშვიათად, ტოპონიმური სუფიქსის ფუნქციითაც.

5. დისერტაციაში გამოყოფილია **-ეში** დაბოლოების მქონე ტოპონიმთა სამი ჯგუფი. ერთში -ე საწარმოებელი ფუძისაა (ჩიბე-ში, ოლონტყე-ში...); მეორეში -ე მიღებული ჩანს კონტრაქციის გზით (ღეტა-იში → ღეტე-იში → ღეტე-ეში → ღეტე-ში → ღეტე-ში...); მესამე ჯგუფში **ე-ს** წარმომავლობა საძიებელია, რადგანაც ამოსავალი ფუძეები თანხმოვნებზე ბოლოვდებიან: ცხიმურ-ე-ში, წიფურ-ე-ში. პატ. ოფიც. ოპონენტი ვარაუდობს, რომ ასეთი ფორმები შესაძლებელია მიღებულია **გვიმრეში**, **ტობეში** ტიპის ფორმების ანალოგიით, სადაც -ე ფუძისეული ა-საგან მომდინარეობს ასიმილაციით (გვიმრაში → გვიმრეში). მეგრულში არაა იშვი-

ათი, როცა ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებული ოდენობა მორფოლოგიურ ოდენობად ქცეულა და მთელს პარადიგმაზე გავრცელებულა. ამიტომაც პატ. ოფიც. ოპონენტის აღნიშნული მოსაზრება ჩვენთვის ყურადსაღები ჩანს.

6. ნაშმნარი კონსტრუქციის ფორმულირება „ქვემდებარე პლუს პირდ. დამატება“ (გვ. 111), როგორც პატ. ოფიც. ოპონენტის აღნიშნავს, კალმის ან ბეჭდვის შეცდომაა და კორექტურისას უნდა ჩაგვეწორებინა. უნდა იყოს „ქვ. + მიმღეობა“.

7. გასაზიარებელია პატ. ოფიც. ოპონენტის შენიშვნა, რომ ისეთ ახალ ტოპონიმებში, როგორიცაა გაფჩია „სერის ჩაი“ დ მიღებული ჩანს ნათეს. ბრ. ნიშნის თანხმონითი და არა ხმოვნითი ნაწილისგან, რადგანაც მეგრულ-ჭანურში დღეს არ მოქმედებს ხმოვანფუძიან სახელებზე ნათეს. ბრუნვის სრული -იშ(ი) ნიშნის დართვის წესი.

პ. ცხადია

§2. 3. სადოქტორო დისერტაციის დაცვა

თსუ ახალი ქართული ენის კათედრის 2002 წლის 7 თებერვლის სხდომის №6 ოქმის ამონაწერში ვკითხულობთ:

„მოისმინეს: პროფ. ე. ბაბუნაშვილის ინფორმაცია პაატა ცხადიას სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით: ჯერ კიდევ გასულ წელს ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ონომასტიკის ს/კ ლაბორატორიის გამგემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოც. პ. ცხადიამ განცხადებით მიმართა კათედრის გამგეს და ითხოვა მისი სადოქტორო დისერტაციის „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმის, ანთროპონიმისა და ზოონომის მასალების მიხედვით“ განხილვა. ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეცა პროფ. ვ. იმნაიშვილს, რომელმაც წარმოადგინა დადებითი რეცენზია.

სიტყვა მიეცა პ. ცხადიას. მან წარმოადგინა თავისი სადოქტორო დისერტაციის მოკლე ანოტაცია.

პროფ. ვ. იმნაიშვილმა სხდომას გააცნო ვრცელი რეცენზია, რომელიც მთავრდება ასეთი დასკვნით: „პაატა ცხადიას სადი-

სერტაციო ნაშრომი შესრულებულია მაღალმეცნიერულ დონეზე, მასში არაერთი პრობლემური საკითხია დასმული და ახლებურად გადაწყვეტილი კიდევ და იგი უთუოდ იმსახურებს იმას, რომ მას მიეცეს შემდგომი მსვლელობა“.

პ. ცხადია ამ უპასუხა დასმულ კითხვებს.

აზრი გამოთქმეს: პროფ. ე. ბაბუნაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პაატა ცხადია თავმდაბალი და მოკრძალებული პიროვნებაა, წლების მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობს სამეცნიერო ლაბორატორიას. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გამოვიდა რამდენიმე სამეცნიერო კრებული ონომასტიკაში, ჩატარდა სამეცნიერო სესიები... პ. ცხადია ნაყოფიერად მუშაობს ონომასტიკის დარგში, განსაკუთრებით უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე. მისასალმებელია, რომ მან წარმოადგინა სოლიდური ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

პროფ. თ. უთურგაიძე: პაატა ცხადია აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიებისა და ქუთაისური სიმპოზიუმების მუშაობაში. ონომასტიკის დარგში დაბეჭდილი აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, მასალები და თეზისები. პ. ცხადიას ავტორობით გამოცემულია ოთხი წიგნი. მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში“, მართალია, რეგიონულ მასალას შეეხება, მაგრამ შეიცავს ზოგად დასკვნებსაც, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი იქნება იმათთვისაც, რომლებიც საქართველოს სხვა რეგიონების ონომასტიკურ მასალაზე იმუშავებენ. ჩემი აზრით, აუცილებელია, დაიბეჭდოს აღნიშნული მონოგრაფია.

აზრი გამოთქმეს აგრეთვე დოც. უ. სახლთხუციშვილმა და დოც. მ. ნიკოლაიშვილმა, რომელთაც დადებითად შეაფასეს პაატა ცხადიას სადისერტაციო ნაშრომი.

დაადგინეს: 1. პაატა (პატიკო) ცხადიას სადისერტაციო ნაშრომი „საკუთარი სახელი კოლხურში (მეგრული ტოპონიმის, ანთროპონიმისა და ზოონიმის მასალების მიხედვით)“ წარმოადგენს მის მიერვე შეკრებილი მასალის ანალიზს, შესრულებულია მაღალმეცნიერულ დონეზე. უპასუხებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი ნაშრომი-

სათვის წაყენებულ ყველა მოთხოვნას, სტატიები გამოქვეყნებულია სეს-ის მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალებში და, ყოველივე აქედან გამომდინარე, დასახელებული ნაშრომი იმსახურებს, რომ მას მიეცეს შემდგომი მსვლელობა.

2. დამტკიცდეს წინასწარი განხილვის (აპრობაციის) დასკვნა პროფ. ვ. იმნაიშვილის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

თსუ ახალი ქართული ენის

კათედრის გამგე, პროფ. **ე. ბაბუნაშვილი**

მდივანი, დოც. **მ. ნიკოლაიშვილი**“.

აქვე მოგვყავს პროფ. **ვახტანგ იმნაიშვილის** მიერ სხდომაზე წარმოდგენილი რეცენზიის ტექსტი:

„პაატა ცხადაიას ნაშრომი „საკუთარი სახელი კოლხურში (მეგრული ტოპონიმისა და ანთროპონიმის მიხედვით)“ წარმოდგენილია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე აწყობილ 400 გვერდს და შედგება შესავლის (გვ. 3-11), ძირითადი ნაწილისა, რომელიც თავის მხრივ, ოთხი ნაწილისაგან შედგება (გვ. 11-383), და დამოწმებული ლიტერატურის სიისაგან (გვ. 384-400).

შესავალში მოცემულია მსჯელობა საკუთარ და საზოგადო სახელთა ფუნქციურ განსხვავებაზე, მეგრულ-ზანურის მნიშვნელობაზე ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ლექსიკის შესწავლის საქმეში. დისერტანტი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ბოლო დროს მომრავლებულ ონომასტიკურ ლიტერატურაზე, რომელსაც, ძირითადად, მოყვარულები ქმნიან. მათ მიერ შემოთავაზებული ეტიმოლოგიები კი უმეტეს შემთხვევაში კურიოზულია.

3. ცხადაიას ოცი წლის მანძილზე (1969-89 წწ.) დაწვრილებით აღუწერია სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმია და შეუდგენია მეგრულ გვარსახელთა ლექსიკონი, სადაც მითითებულია თითოეული გვარის განსახლების ადგილები (სოფლები) და კომლთა რაოდენობა, აგრეთვე ანთროპოლოგიკონიმები (რაც მოგვიანე-

ბით ცალკე წიგნად გამოსცა („გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში“, თბ., 2000). წინამდებარე ნაშრომში ავტორი მიზნად ისახავს, წარმოადგინოს მეგრული საკუთარი სახელის ფონეტიკის, სტრუქტურის, სემანტიკის, ლექსიკისა და ისტორიის ძირითადი საკითხები.

საკვალიფიკაციო ნაშრომის პირველი ნაწილის („მეგრული ტოპონიმის სტრუქტურის, სემანტიკისა და ლექსიკის საკითხები“) პირველივე თავი შეიცავს გარკვეულ სიახლეს: ა) საენათმეცნიერო ლიტერატურაში რედუქციის საკითხთან დაკავშირებით ორი დებულებაა გაზიარებული: 1. რედუქცია მეგრულისათვის „თითქმის უჩვეულოა“ (ს. ჟღენტი), რედუქცია ზანურში „იმთავითვე სუსტი უნდა ყოფილიყო“ (ვ. თოფურია), რედუქცია „მეგრულ-ჭანურში უკვე უძღურია“ (ა. შანიძე); 2. „რედუქციის ძალა უმთავრესად სუფიქსებს აქვთ შემორჩენილი“ (ა. ჩიქობავა). მეგრული საზოგადო და ონიშური ლექსიკის ანალიზის საფუძველზე პ. ცხადაიას ასეთი კორექტივი შეაქვს: 1. მეგრულში რედუქცია საკმაოდ ძლიერი ყოფილა. რედუქციას ექვემდებარებოდა ყველა ხმოვანი და ირაციონალური ჯ. 2. რედუქციას იწვევს ყველა პრეფიქსი (ღე-, ნა-, ო-, მა-). სინკოპირებულია ფუძის თავკიდური ან მომდევნო ხმოვანი (მიქავა → ნა-მქ-უ, კაჭარავა → ლე-კაჭ-რ-ე...), მეგრულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ჰაპლოლოგიაც. დისერტანტი ამას ასაბუთებს რამდენიმე ათეული საზოგადო თუ საკუთარი სახელის ანალიზის საფუძველზე. ამასთანავე, მარცვლის ამოვარდნა ხდება არა მარტო მორფემათა საზღვარზე (კონოშ ნოხორი → კონო-ნოხორი → კონოხორი), არამედ ერთი ფუძის ფარგლებში წარმოქმნილ ან რთულ სახელებშიც (ფიფია → ლე-ფიფი-ე → ლეფიფე...). როგორც წესი, დისიმილატორი და დისიმილირებული მარცვლებების თანხმოვნები ერთგვაროვანნი არიან ჩქამიერობის, ან სონორობის მიხედვით.

ნაშრომის პირველი ნაწილის მეორე თავი ეძღვნება მეგრულ ტოპონიმთა ფორმოზრივ ანალიზს, მაგრამ ავტორი ტოპონიმთა დერივაციული სისტემის ანალიზისას გამოყოფს მხოლოდ ოთხ აფიქსს (-ია, -მა, -ობა, -შურ), რადგანაც ყველა დანარჩენი სადერივაციო მორფემა განხილულია მისსავე საკანდიდატო დისერტა-

ციაში „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“ (1975 წ.). აღმოჩნდა, რომ -იან არცთუ ისე დიდი ხნის წინაა შემოსული ქართულიდან (ყოლა-ქონების გამოსახატავად მეგრულს აქვს საკუთარი სუფიქსი -ამ), მა- ქართული მე- პრეფიქსის ფონემურ-სემანტიკური შესატყვისია და დასტურდება რამდენიმე უძველეს ტოპონიმში (მაღლაკი, მალემია), -ობა ქართულიდანაა ნასესხები, მაგრამ ტოპონიმებში ავლენს ახალ ფუნქციას – გეოგრაფიულ ტერმინებთან გამოსატავს მრავლობითობას (ზენი „ვაკე“ – ზენობა „ვაკეები“), ხოლო -შურ იმერული -სეულ დაბოლოების ვარიანტია და აღნიშნავს კუთვნილებას (კაკუშური „კაკუსეული“).

პირველი ნაწილის მესამე თავში („მეგრულ ტოპონიმთა შინაარსობრივი კლასიფიკაცია“) წარმოდგენილია ოიკონიმისა და ჰიდრონიმის ანალიზი. მეგრული ოიკონიმია შესწავლილია ქართველურ ოიკონიმისთან მიმართებით და შედეგები წარმოდგენილია სქემის სახით, საიდანაც აშკარად ჩანს შემდეგი: ქართველურ ენებში ოიკონიმები, ანუ დასახლებული პუნქტის სახელები, წარმოიქმნება ორი გზით: ა) პირველადი ნომინაციით (ოიკონიმი წარმოიქმნა როგორც ოიკონიმი), ბ) მეორეული ნომინაციით (სხვა ობიექტის სახელი იქცა დასახლების სახელად კონვერსიის ან მეტონიმის, ანუ სახელწოდებათა გადატანის, გზით). ქართულ ენაში (დიალექტებში) პირველადი ნომინაციის ოიკონიმთა 50% წარმოქმნილია ანთროპონიმისა და „კარ“, „უბან“ ინდიკატორთა შეერთებით, ხოლო სამეგრელოში – საგანგებო ოიკონიმური წარმოებით (77%), რადგანაც ლე-, სა- და ნა- პრეფიქსებს თუ მოსდევს ანთროპონიმი, მიღებული დერივატი აუცილებლად კუთხის, სოფლის ან უბნის სახელი იქნება (სა-მურზაყან-ო, ნა-გვაზა-ო, ლე-სხულუხ-ე...), ქართულში ამგვარი წარმოების მხოლოდ ერთეული შემთხვევები გვაქვს (სა-ქართველ-ო, სა-გურამ-ო...), ხოლო სვანურში არც დასტურდება.

მესამე თავის მეორე პარაგრაფში განხილულია ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია და მეტონიმის როლი ჰიდრონიმთა წარმოქმნაში: დისერტანტს გამოუვლენია 86 ჰიდროგრაფიული ტერმინი და დაუჯგუფებია ისინი 9 სემანტიკურ ჯგუფად. ამ ტერმინთა ერთი ნაწილი საერთოქართველურია (წყუ, წყარი, ღალ, ტობა...), მეორე ნაწილი საერთოა დასავლურ-ქართულ დიალექტებ-

თან (ნოლა, შივი, ღვარღვაცი...), ხოლო ძირითადი ფონდი საკუთრივ მეგრულია. მათ შორის ზოგი ისეთიც აღმოჩნდა, ოდენ ერთ, ან ორ-სამ სოფელში რომაა ცნობილი და გავრცელებული (შანი, ნაწიორა...). მეტონიმიასთან დაკავშირებით კი გამოირკვა, რომ ჰიდრონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოქმნილია ტრანსტოპონიმიზაციის (მაგალითად, ორონიმი → ჰიდრონიმი) ან ტრანსჰიდრონიმიზაციის გზით.

ნაშრომის პირველივე ნაწილში არის განხილული მეგრული ტოპონიმიის ენობრივ-დიალექტური შრეების საკითხი. უპირველეს ყოვლისა, ავტორი წარმოაჩენს იმ ქართულ-ზანურ (მეგრულ) ფუძეთშესატყვისობებს, რომლებიც თვითონ მას დაუდგენია ტოპონიმურ მასალაზე დაყრდნობით და უკვე შეტანილია პ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის მიერ შედგენილ „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ახალ, მეორე გამოცემაში (2000 წ.). ესენია: ქართ. ბზეც; მეგრ. ზაკ; ქართ. ბრეგ; მეგრ. რაგ; ქართ. ლაფ; მეგრ. ლოფ და სხვ.). ცალკეა განხილული ძველი ქართულის ლექსიკა, შეთვისებული მეგრულის მიერ და დაფიქსირებული ტოპონიმებში: ბავრაყი, ბაბილო, კაპარი, კალო, მეედანი, კბოდუ და სხვ.

მეგრულ ტოპოლექსემათა ერთი ნაწილი დასავლურქართული დიალექტებიდანაა ნასესხები. ზოგ მათგანს სამურზაყანომდეც მიუღწევია.

იმ კონცეფციის დასასაბუთებლად, რომ სვანებს კოლხეთშიც ეკავათ უფრო ვრცელი ტერიტორია, დღემდე ასახელებდნენ ოთხ ტოპონიმს (ცხუმი, ფოთი, ლანჩხუთი, მუჟავა). დისერტანტმა მთიან სამეგრელოსა და სამურზაყანოში მოიძია ათზე მეტი სვანური ტოპონიმური სუბსტრატო: ლაყორია, ლაღვაჟია, ლახუნწარა, ლაბარჯია, ლაბერაში, ლეკერე, ლუმურიში, ჭუბიში, კაკეში, მუჰა და სხვ.

ნაშრომის მეორე ნაწილი „სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია“ წარმოადგენს პასუხს იმ აფხაზი მკვლევრების მიმართ, რომლებიც ცდილობენ, ტოპონიმიის მონაცემების გაყალბებით „ამტკიცონ“, რომ აფხაზები სამურზაყანოს აბორიგენები იყვნენ, ხოლო ქართველები (მეგრელები) გვიან შუა საუკუნეებში არიან ჩამოსახლებულნი და, შესაბამისად, სამურ-

ზაყანოს აფხაზურენოვანი ტოპონიმია სუბსტრატულია. პ. ცხადა-
ია განიხილავს ისტორიულ და თანამედროვე ტოპონიმებს და ას-
კენის, რომ ყველა ტოპონიმი, რომლებსაც აფხაზი მკვლევრები
თავისად მიიჩნევენ, სინამდვილეში ქართულია და ადვილად იხ-
სნება მეგრულის ან სვანურის მონაცემებით. ყველა ტოპონიმი,
რომელიც აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს
რუკაზე“ (1654 წ.), იხსნება მხოლოდდამხოლოდ ქართველური
ენობრივ-ლექსიკური მასალით (ღუმურიში, წკელკარი, ერისწყა-
ლი, ფოქვეში, ჩხორთლი, წარჩე და სხვ.). მართალია, გალის
რაიონში 6 სოფელი ატარებს აფხაზურ სახელწოდებას (აგვავე-
რა, აკვარიკვა, აჩიგვარა, ლეკუმხარა, პატრახუწა, შაშიკავარა),
მაგრამ ისინი აფხაზთა ე.წ. კუნძულებრივი დასახლებების ადგი-
ლას არიან დარჩენილი.

დისერტანტი სპეციალურად ეხება სამურზაყანოს ჰიდრონიმი-
ას იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზი მკვლევრები განსაკუთ-
რებით ხშირად მანიპულირებენ იმ გარემოებით, რომ სამურზაყა-
ნოს მთებში ჰიდრონიმიის მეტი ნაწილი აფხაზურენოვანია. საქმე
ისაა, რომ ცნობილია ზოგადტოპონიმიკური კანონზომიერება,
რომლის მიხედვითაც დიდ მდინარეთა სახელები საუკუნეების
მანძილზე არ იცვლება, ხოლო მცირე მდინარეთა სახელები, რო-
გორც წესი, ხშირად ცვალებადია. ასეა სამურზაყანოშიც: დიდ
მდინარეთა და მათი მთავარი შენაკადების სახელები მეგრულია
(ღალიძგა, ოქუმი, ოხოჯე, წარჩე, ქვიშონა, ოჯოდორე და სხვ.),
ხოლო მცირე მდინარეთა სახელები, განსაკუთრებით მთაში,
დარქმეულია აფხაზ მწყემსთა მიერ უკანასკნელი საუკუნე-ნახევ-
რის ან ორი საუკუნის მანძილზე.

არქ. ლამბერტის რუკაზე აღნიშნული Girpigi და Sugiona ით-
ვლებოდა ამოუცნობ ტოპონიმებად. პ. ცხადაიამ პირველში ამო-
იცნო მეგრული ჰიდროგრაფიული ტერმინი ჟირპიჯი „ორპირი“
(დღევანდელი ჟირღალიშქა გალის რაიონში), ხოლო მეორეში –
სუჯონა „ცვარნამიანი ადგილი“. ოჩამჩირის რაიონის სოფელ
ჯგერიანის ეტიმონი აღმოჩნდა „ჯგირი მარიაში“, ანუ წმინდა მა-
რიამი. ამასთან დაკავშირებით პ. ცხადაია თვლის, რომ კოლხებს
ბერძნებთან უშუალო კონტაქტის დროს უნდა ჰქონდეთ შემუშავე-
ბული ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინი, მათ შორის „ჯგირი“.

რაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიების გაერთიანების შემდეგ შეცვალა ქართულმა „წმინდანმა“.

ნაშრომის მესამე ნაწილი შეეხება კოლხურ გვარსახელთა ისტორიასა და სისტემას. დღემდე გავრცელებული შეხედულების თანახმად, მეგრულ გვარსახელთა -ია, -ვა, -უა დაბოლოებანი წარმოადგენენ სვანურ -იან, -ვან, -უან სუფიქსთა ნ- მოკვეცილ ვარიანტებს (ჩხეტიან → ჩხეტია, გალდავან → გალდავა, დონდუვან → დონდუა). ნ. მარრი და ი. ყიფშიძე თვლიდნენ, რომ -ვა აფხაზური ბა „ვაჟ“ სიტყვის მეგრული ვარიანტია. მ. ქაღანაძე გვარსახელთა -ავა დაბოლოება დაუკავშირა ქართულ-სვანურ -ელა დაბოლოებას. დისერტანტი საპირისპიროდ ამტკიცებს, რომ კოლხურ გვარსახელთა ძირითადი მაწარმოებელი იყო და არის -ა (ქორთუ → ქორთუა, ბაბილო → ბაბილუა, ბოხო → ბოხოა → ბოხუა...). გვარსახელებს აწარმოებს აგრეთვე -ია, -ვა სუფიქსები, რომლებიც მეორეულია: -ია სუფიქსი მიღებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნისა და საგვარსახელო -ა სუფიქსის შეერთებით, ხოლო -ავა დაბოლოებაში ვ ჩართულია ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად.

დღემდე გავრცელებული შეხედულების თანახმად, გვარსახელი, როგორც სამემკვიდრეო სახელი, წარმოიქმნა იტალიაში XI საუკუნეში და სწრაფად გავრცელდა საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში... მაგრამ ფაქტებით დასტურდება, რომ ჩვენს წინაპრებს XI საუკუნეში და რამდენიმე საუკუნით ადრეც ჰქონიათ გვარი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ -ში დაბოლოებიანი გვარი **ბაღუაში** ისტორიაში ცნობილია IX საუკუნიდან, ხოლო მარუშისძემ/მარუშიანი, რომლისთვისაც ამოსავალია მარუ-ში, X-XI საუკუნეებში ერისთავთა გვარი იყო. კოლხური გვარი ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასტურდება XI საუკუნიდან მაინც: ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ნუსხურ წარწერებში, რომლებიც X-XI საუკუნეებით თარიღდება, მოხსენიებულია **გიორგი ქოჩოლავა**, ხოლო წებელდის ტერიტორიაზე მიკვლეულ XIII საუკუნის ასომთავრულ წარწერაში – **ლუკა მარტინავა**. ორასამდე კოლხური გვარი დაფიქსირებულია XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ

საქართველოს საეკლესიო საბუთებში. ამ გვართა დიდი ნაწილი დღემდეა მოღწეული. აღმოჩნდა, რომ ამჟამად საქართველოში 1300-მდე კოლხუსუფიქსიანი გვარია. მათგან 830 შეიცავს -ია, 310 - -ვა, ხოლო 100 - -უა დაბოლოებას.

მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ პაატა ცხადაიას ჩაუტარებია მეტად შრომატევადი სამუშაო. თავიდან მეგონა, რომ დისერტანტმა გამოიყენა ტოპონიმიკის ლაბორატორიაში თანამშრომელთა ძალისხმევით წლების მანძილზე დაგროვილი მასალა, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ მთელი მასალა, რასაც დისერტანტი თავისი ანალიზის დროს ეყრდნობა, თვით მის მიერაა მოპოვებული. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რა მოცულობის სამუშაოა ჩატარებული. იქნებ არც იყოს საჭირო ამის აღნიშვნა, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ დისერტაცია დაწერილია სანიმუშო ქართული ენით, რასაც, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს გადავეჩვიეთ. ამის შედეგიცაა, ალბათ, რომ იგი დიდი ინტერესით იკითხება.

ფიქრობ, სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა საგრძნობლად აღემატება დასაშვებ ნორმებს. იგი, ალბათ, უნდა შემოკლდეს. ამ მოცულობის ნაშრომში, ბუნებრივია, ზოგი რამ შეიძლება სადავო იყოს, იქნებ რაღაცას დაზუსტებაც დასჭირდეს. მაგალითად, მიმანია, რომ 366-ე გვერდზე დამოწმებული აბაი პალესტინის მოზაიკური ქართული წარწერიდან საკუთარი კი არა, საზოგადო სახელია და, ამდენად, ავტორს მისი მსჯელობის ზურგის გასამაგრებლად ეს ნიმუში არ გამოდგება. ნაშრომი დიდად მოიგებდა, თუ დისერტანტი გამოკვლევას რუკასაც დაუმატებდა, რაც ნაშრომში განხილული საკითხებისთვის თვალის უკეთ გადევნებას შეუწყობდა ხელს. ასევე, სასურველი იყო ბოლოს უფრო ვრცელი დასკვნების დართვა.

ფიქრობ, წარმოდგენილი ნაშრომი ერთგვარად ბიძგს მისცემს მათ, ვისაც აქ განხილული პრობლემების შესწავლა აქვს გადაწყვეტილი საქართველოს სხვა რეგიონებში.

პაატა ცხადაიას სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია მაღალმეცნიერულ დონეზე, მასში არაერთი პრობლემური საკითხია დასმული და ახლებურად გადაწყვეტილი კიდევ და იგი

უთუოდ იმსახურებს იმას, რომ მას მიეცეს შემდგომი მსვლელობა. პროფ. ვახტანგ იმნაიშვილი. 28. 09. 2001“.

პროფ. ვახტანგ იმნაიშვილის შენიშვნა, რომ პალესტინის მოზაიკურ წარწერაში დამოწმებული **აბაი** საკუთარი სახელი კი არა, საზოგადო სახელია და პაატა ცხადიას მსჯელობის დასასაბუთებლად არ გამოდგება, არ უნდა იყოს სწორი: პალესტინის მონასტრის VI ს-ის მოზაიკური წარწერის გარდა, ანთროპონიმი **აბა-ჲ** დამოწმებული აქვს პავლე ინგოროყვას, „სვანეთის საისტორიო ძეგლების“ სახელით გამოცემულ ტექსტებში¹ პირსახელი **აბა** შემონახული უნდა იყოს გვარებში: **აბაიძე, აბაიძე, აბაშიფილი, აბაიშვილი**². ს. მაკალათია **აბას** მიუთითებს ხევსურულ სახელთა ჩამონათვალში³.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ ბედოშვილი** პ. ცხადიას სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „კოლხური (ზანური) საკუთარი სახელები ასე გლობალურად, ასე თანმიმდევრულად დღემდე შესწავლილი არ ყოფილა. მართალია, ცალკეულ გეოგრაფიულ სახელთა თუ ცნობილი და მნიშვნელოვანი გვარ-სახელების კვლევა-ძიება ათეული წლების მანძილზე მიმდინარეობდა, მაგრამ ზანური საკუთარი სახელები, როგორც სისტემა, არავის უკვლევია. ერთობ უნუგეშო მდგომარეობა სუფევდა კოლხური ონომასტიკის ეტიმოლოგიის სფეროშიც. რა მეცნიერული დონის შესახებ შეიძლება საუბარი, როცა მიკროტოპონიმი **ნაცონა დიხა** მავანის მიერ „ნაყანვეი მიწის“ ნაცვლად „დამყნობილ მიწად“ იყო განმარტებული, ტოპონიმი მენჯი – „მელენი ჯიშუ“-დ („გაღმა მარილი“, გვარი ღელეყვა კი – ზმნური შინაარსის ერთეულად „ღელემ შვა“, „ღელემ შობა“, ავტორეფ. გვ. 08), ამგვარი ეტიმოლოგიური უცნაურობანი მხოლოდ იმ პირთა ნაკვლევ მასალაში იხენს თავს, რომ-

¹პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, 2, ტექსტები, თბ., 1941, 144.

²ი. მასისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1990, 15.

³ს. მაკალათია, ხევსურეთი, ტფ., 1935, 101.

ლებიც ანგარიშს არ უწევენ ფუძისა და საწარმოებელი დერივაციების ურთიერთ შეხამებას, მათ აზრობრივ (ლოგიკურ) მხარეს, როცა მკვლევარს ვერ დაუდგენია, რა არის საკუთარი სახელის ძირი და რა კონფიქსი. სახელთა წარმოქმნის პროცესში ფუძისა და საწარმოებელი აფიქსების შეხამების პრობლემა დისერტანტის მიერ ჯერ კიდევ 80-იან წლებში იყო შესწავლილი მონოგრაფიულად (იხ. მისი „ხემო სამეგრელოს ტოპონიმია“, თბ., 1985). ონომატოლოგიური კვლევა-ძიების ეს უმნიშვნელოვანესი წინაპირობა მდიდარი მასალის მოძიებითა და ანალიზის შედეგად, სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ კიდევ უფრო გაღრმავებული და სრულყოფილია. მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ლინგვისტური მექანიზმების გამოყენების ფაქტები ოიკონიმიაში, პირველადი და მეორადი წარმოქმნის პროცესში, რომლის დროსაც ფართო გამოყენებას იძენს სახელთა კონვერსია, აგრეთვე, მეტონიმია (გვ. 13-14).

საანალიზო მასალის სიუხვე და, რაც მთავარია, ამ მასალისადმი კვალიფიციური მიდგომა ნაშრომის ავტორს საშუალებას აძლევს დაასკვნას, რომ ქართველურ ენათა მთელი ტოპონიმური სისტემა, უპირველეს ყოვლისა, არის ზოგადქართველური სისტემა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართული და მისი მონათესავე სვანური და მეგრულ-ლაზური (კოლხური) ტოპოსისტემები საერთო ნიშან-თვისებათა შემცველი ოდენობებია. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლხურში არაფერია ისეთი, რომელიც თავს არ იჩენდეს ქართულ ან სვანურ სიტყვაწარმოებაში. ყოველ შემთხვევაში არა მარტო ნომინაციის პროცესი, არამედ ნომინაციის შედეგებიც ყველა ამ ენაში, სრულიად უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა, საერთოა, ამიტომაც ერთი და იმავე მექანიზმის გამოყენებით (მომარჯვებით) იხსნება.

ძალზე ძნელია ამ მცირე გამოხმაურებაში სრულად გადმოიკვს დოც. პაატა ცხადაიას სადოქტორო დისერტაციის „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში“ ენათმეცნიერული მნიშვნელობა და ღირებულება ონომატოლოგიის სამეცნიერო დარგის შემდგომი აღმავლობა-განვითარების თვალსაზრისით. ესაა ფუნდამენტური გამოკვლევა, რომლის შედეგების სპეციალისტთა მხრიდან სათანადო დაფასება-გამოყენება საწინდარს შექმნის

იმისას, რომ ქართულმა ონომატოლოგიურმა დარგმა ახალ-ახალ წარმატებებს მიაღწიოს როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ლინგვისტიკის დარგში.

მიგვაჩნია, რომ დისერტანტი უეჭველად იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ძიებულ ხარისხს, რის თაობაზეც ვშუამდგომლობ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P 10.01.01 №7 სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოს წინაშე“.

2002 წლის 20 მარტს თსუ P. 10. 01. №7 სადისერტაციო საბჭოს საექსპერტო კომისიის სემინარზე გაიმართა პაატა ცხადაიას ნაშრომის განხილვა. კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ „კოლხური საკუთარი სახელების სტრუქტურის, სემანტიკისა და ისტორიის საკითხებზე არსებობს ცალკეული საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მაგრამ ვრცელი და განმაზოგადებელი ნაშრომი მეგრული ონომასტიკის შესახებ აქამომდე არ დაწერილა.

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს აღნიშნული ხარვეზის შევსების პირველ ცდას, სადაც თანმიმდევრულად და კვალიფიციურად არის განხილული სამეგრელოს ონომასტიკის ძირითადი საკითხები, მოცემულია საკვლევი მასალის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, გამოვლენილია მეგრულში ადრე შეუმჩნეველი ფონეტიკური პროცესები, ახალი ქართულ-ზანური ფუძეთშესატყვისობანი, წარმოდგენილია არაერთი ტოპონიმისა და ჰიდრონიმის ეტიმოლოგიური ანალიზი, ვრცლად არის განხილული კოლხურ გვარსახელთა წარმოებისა და ისტორიის საკითხები, ზოონიმთა მოტივირებისა და სტრუქტურის საკითხები და სხვ.

თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში, მეცნიერულთან ერთად, დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს სადისერტაციო ნაშრომის იმ პარაგრაფებს, სადაც ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გარკვეულია ქართველურენოვან და აფხაზურენოვან ტოპონიმთა ურთიერთმიმართება, იდენტიფიცირებულია წერილო-

ბით ძეგლებსა და კარტოგრაფიულ წყაროებში დადასტურებული ტოპონიმები, გარკვეულია მათი ეტიმოლოგია და ა. შ.

სახგასმით აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საანალიზო მასალა მთლიანად თვით დისერტანტის მიერ არის მოპოვებული ხანგრძლივი საველე მუშაობის პროცესში.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი აპრობირებულია და ცნობილია სპეციალისტებისათვის. ნაშრომი გამოირჩევა მეცნიერული სიახლითა და აქტუალობით, შეიცავს მნიშვნელოვან დასკვნებს, დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე და აკმაყოფილებს სადოქტორო დისერტაციებისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას“. დასკვნაში მითითებულია, რომ სადისერტაციო ნაშრომის ძირითადმა დებულებებმა ასახვა ჰპოვა პ. ცხადაიას მიერ გამოქვეყნებულ 16 პუბლიკაციაში, რომლებიც დაბეჭდილია სესის მიერ რეკომენდებულ გამოცემებში. მოცემულია ან ნაშრომთა ჩამონათვალიც. ნაშრომის სამეცნიერო პროფილის გათვალისწინებით კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ოფიციალურ ოპონენტებად გამოეყო პროფესორები – **ზურაბ ჭუმბურიძე, ნათელა ქუთელია და თეიმურაზ გვანცელაძე**. დასკვნას ხელს აწერენ: საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფ. **ზ. ჭუმბურიძე**, წევრები: ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. **ზ. სარჯველაძე** და ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფ. **კ. ჭრელაშვილი**.

აქვე მოგვყავს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან არსებული მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლების, დოცენტების – **თინა შიოშვილისა და მამია ფაღავეას** რეცენზია პ. ცხადაიას მიერ დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომზე:

„პაატა ცხადაიას საკვალიფიკაციო ნაშრომი „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში“ ეძღვნება მეგრული ტოპონიმების აქტუალურ საკითხებს, აფხაზ მკვლევართა მიერ ძალზე ტენდენციურად წარმოჩენილ სამურზაყანოს ისტორიული ტოპონიმების

ქართველური წარმომავლობის დასაბუთებას, კოლხურ გვარ-სახელთა ისტორიის, სტრუქტურისა და პროდუქტიულობის შესწავლას, მეგრულ ზოონიმთა სამოტივაციო და სტრუქტურული სისტემის დადგენას, რასაც ავტორი კვალიფიციური მეცნიერული ანალიზით წარმატებულად ახორციელებს.

ნაშრომში წარმოჩენილია უაღრესად ღირებული და ენათმეცნიერებაში პირველად დასმული პრობლემები, როგორცაა: რედუქციისა და ჰაპლოლოგიის საკითხი კოლხურ ონიმიაში; კოლხური ოიკონიმური სისტემა და მისი მიმართება ქართველურ ოიკონიმურ სისტემასთან; ჰიდროლექსემებისა და მეტონიმის როლი ჰიდრონიმთა წარმოქმნაში და სხვა. ნაშრომში ახლებურად არის გააზრებული ზოგი ტოპონიმის ეტიმოლოგია; გამოვლენილია ახალი ქართულ-მეგრული ფუქეთშესატყვისობანი; დადგენილია მეგრული ტოპონიმური ლექსიკის ქრონოლოგიური და ენობრივ-დიალექტური შრეები და სხვა.

ნაშრომს უდიდეს ღირსებას მატებს ავტორის მიერ მოპოვებული ონიმური მასალა და მისივე ადრეული მეცნიერული ნაშრომები, რომელთა ერთობლიობაც ქართული ენათმეცნიერებისა და ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია და დიდად დაეხმარება როგორც კოლხური ენისა და კოლხეთის ისტორიით, აგრეთვე ზოგადად ქართველურ ენათა პრობლემებით დაინტერესებულთ; ამავე დროს, გარკვეულ სინათლეს შეიტანს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სწორად, მეცნიერულ არგუმენტაციებზე დამყარებულად წარმართვაში, რაც დიდად სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის.

პაატა ცხადაიას სადისერტაციო ნაშრომი „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში“ წარმატებული, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ქართველოლოგიური გამოკვლევაა და მისი ავტორი სავსებით იმსახურებს საძიებელ ხარისხს. 28. 05. 2002“.

2002 წლის 5 ივნისს, 13³⁰ საათზე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. 10. 01. №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე შედგა პაატა ცხადაიას სადოქ-

ტორო დისერტაციის დაცვა. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მკვლევარმა წარმოადგინა 301-გვერდიანი მონოგრაფია – „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმის, ანთროპონიმისა და ზოონიმის მასალების მიხედვით)“.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობას მკვლევარი ასე წარმოაჩენს: მთიანი სამეგრელოს ტოპონიმის ძირითადი სიტყვაწარმოებითი მოდელების შესწავლის, იმერულ, გურულ და აჭარულ დიალექტებში ზანურის აპელატიური და ონიმური სუბსტრატის გამოვლენის, კოლხურ გვარსახელთა წარმოების ზოგ საკითხზე ყურადღების გამახვილების მიუხედავად, მეგრულ-ლაზური საკუთარი სახელის ისტორია, სტრუქტურა, სემანტიკა და ლექსიკა აქამდე ვრცელი და ფართო კვლევის ობიექტად არავის გაუხდია. დღემდე ფაქტობრივად შეუსწავლელი იყო სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, „და ეს მაშინ, როცა აფხაზი მკვლევრები სწორედ ტოპონიმური მასალის გაყალბებით ცდილობენ, დაასაბუთონ, რომ კოლხთა ამ ძირძველი მიწის აბორიგენები იყვნენ არა ქართველები, არამედ აფხაზები“¹. პ. ცხადაიას სადოქტორო დისერტაციაში დასმული საკითხების მეცნიერული კვლევის აქტუალობა განპირობებულია აგრეთვე იმ გარემოებით, რომ დადგენილი არ არის კოლხურ გვარსახელთა სისტემა და ყურადღების გარეშეა დარჩენილი მეგრული ზოონიმის საკითხები.

დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავის (პარაგრაფებითა და ქვეპარაგრაფებით), ზოგადი დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. საკვალიფიკაციო ნაშრომი ეყრდნობა ავტორის მიერ შეკრებილ დიდძალ ონიმურ მასალას – 45 ათასამდე ტოპონიმს, 1300 გვარს და 1800-მდე ზოონიმს. ასევე გა-

¹პ. ცხადაია, საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმის, ანთროპონიმის და ზოონიმის მასალების მიხედვით). ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002, 3; სადოქტორო დისერტაციის სრული ტექსტი სახელწოდებით – „საკუთარი სახელი მეგრულ (ზანურ) ენაში“, – ცალკე წიგნად გამოიცა 2016 წელს. რედაქტორი: ზ. ჭუმბურიძე, რეცენზენტები: თ. გვანცელაძე, ი. კეკელია.

ანალიზებულია შუა საუკუნეების წერილობითი, ეპიგრაფიკული და კარტოგრაფიული მასალა.

მკვლევარს მიზნად დაუსახავს მეგრული ტოპონიმის ისეთი პრობლემური საკითხების შესწავლა, როგორცაა: რედუქცია და ჰაპლოლოგია, ოიკონიმური სისტემა, ტერმინოლოგიისა და მეტონიმის როლი ტოპონიმთა წარმოქმნაში, ტოპონიმია და ქართულ-მეგრული ფუძეთშესატყვისობანი, ტოპონიმიკური ლექსიკის ენობრივი და ქრონოლოგიური შრეები, სვანური სუბსტრატი სამეგრელოს ტოპონიმიაში; დისერტაციით პ. ცხადაია შეეცადა აფხაზ მკვლევართა მიერ გაყალბებული და ტენდენციურად გაანალიზებული სამურზაყანოს ისტორიული ტოპონიმების ქართველური წარმომავლობის დასაბუთებას; უცხოურ თუ ქართულ წერილობით და კარტოგრაფიულ წყაროებში დამოწმებული ზოგიერთი ტოპონიმის (ოქუმი, შეშელეთი, წარჩე, საჩინო, სათანჯო, რეკა, ნაბაკევი, სუბევი, მუხური, ფუწყური, ჯოყობაწყარი, ლეტაიში, ხვითი, წიფურია) ეტიმოლოგიის გარკვევას, სამურზაყანოს ისტორიული ტოპონიმის ლექსიკის შესწავლასა და აფხაზურენოვანი მიკროჰიდრონიმის სიტყვების ახსნას; აფხაზურ-მეგრული ტოპონიმური ინტერფერენციის მასშტაბების კვლევას. სადოქტორო დისერტაცია წარმოადგენს კოლხურ გვარსახელთა ისტორიის, სტრუქტურისა და სემანტიკის, სადერივაციო მორფემათა და მორფემოიდთა წარმომავლობისა და პროდუქტიულობის შესწავლის, მეგრულ ზონიმთა სამოტივაციო და სტრუქტურული სისტემის დადგენის წარმატებულ ცდას¹.

პ. ცხადაია სადოქტორო დისერტაციის სიახლეს და ძირითად შედეგებს შემდეგი სახით წარმოგიდგენს: „ა) პირველადაა დასმული და შესწავლილი კოლხურ ონიმიაში რედუქციისა და ჰაპლოლოგიის საკითხი. აღმოჩნდა, რომ ეს ფონეტიკური პროცესები ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე დღემდე იყო წარმოდგენილი; ბ) პირველადაა შესწავლილი კოლხური ოიკონიმური სისტემა და მისი მიმართება ქართველურ ოიკონიმურ სისტემასთან; გ) პირველადაა გამახვილებული ყურადღება მეგრულ ჰიდრონიმიაზე და დადგენილია ჰიდროლექსემებისა და მეტონიმის როლი ჰიდრო-

¹იქვე, 4.

ნიმთა წარმოქმნაში; დ) გარეენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით მოცემულია ახლებური ეტიმოლოგია ზოგი ტოპონიმისა; ე) მეგრულ ტოპონიმურ ეკვივალენტებზე დაყრდნობით გამოვლენილია ახალი ქართულ-მეგრული ფუძეთშესატყვისობანი; ვ) დადგენილია მეგრული ტოპონიმური ლექსიკის ქრონოლოგიური და ენობრივ-დიალექტური შრეები; ზ) მოძიებული და გაანალიზებულია ახალი ტოპონიმური მასალა, რაც განამტკიცებს იმ დებულებას, რომ სვანებს უწინ კოლხეთის ბარშიც უცხოვრიათ; თ) პირველადაა შესწავლილი სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია და მხილებულია ტენდენციურობა იმ აფხაზი მკვლევრებისა, რომლებიც სწორედ ტოპონიმიაზე დაყრდნობით ამტკიცებენ, რომ სამურზაყანოს აბორიგენები არიან აფხაზები და არა ქართველები; ი) პირველადაა შესწავლილი აფხაზურ-მეგრული ტოპონიმური ინტერფერენციის საკითხი, ახსნილია სამურზაყანოს მიკროპიდრონიმიაში აფხაზური ენობრივი მასალის სიტარბე, დადგენილია რამდენიმე უძველესი ტოპონიმის ეტიმოლოგია და ლოკალიზაცია; ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ ისინი კოლხურ ენას უშუალოდ ბერძნულიდან შეუთვისებია; კ) პირველადაა მონოგრაფიულად შესწავლილი მეგრული გვარსახელები და დადგენილია, რომ მეგრულშიც, ისევე როგორც სვანურსა და ქართულში, ორკომპონენტიანი ანთროპონიმული მოდელი (სახელი და გვარი) უკვე ჩამოყალიბებულია XI საუკუნისათვის; ამასთანავე, გვარსახელთა უძველეს და თავდაპირველ მაწარმოებლად გვესახება -ა, ხოლო -ია, -ვა, -უა მეორეული და გვიანდელია; ლ) გარკვეულია მეგრულში ცხოველ-ფრინველთა სახელების მოტივირებისა და წარმოების ძირითადი პრინციპები¹.

აქვე შევეხებით სადოქტორო დისერტაციაში დასმულ და გაანალიზებულ ზოგიერთ პრობლემურ საკითხს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოლხურ ონიმიაში ორი ფონეტიკური პროცესის – პრეფიქსის მარედუცირებელი ძალისა და ჰაპლოლოგიის გამოვლენა-შესწავლა სწორედ პ. ცხადაიას სახელთანაა დაკავშირებული. რედუქცია (ლათ. *reduco* „უკან ვაბრუნებ“) ლინგვისტიკაში

¹იქვე, 4-5.

გულისხმობს ბგერის დასუსტებას ან მის სრულ დაკარგვას. მკვლევარმა მეგრული ონიმური და აპელატიური მასალის ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ რედუქცია ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა პრეფიქსთან (ლე-, ნა-//ნო-, ო-, სა-, მა-...; რედუქცირდება ხუთივე ხმოვანი და ნეიტრალური გ; პრეფიქსის დართვა იწვევს ხმოვნის დასუსტებას და ამოვარდნას ფუძის თავიდან დასუსტებას ან მომდევნო მარცვალში; რედუქცია მეგრულში თავმარცვლის მახვილთანაა დაკავშირებული: პრეფიქსული წარმოებისას სიტყვის მთავარი მახვილის პრეფიქსზე გადასვლა აადვილებს მომდევნო პირველი ან მეორე მარცვლის ხმოვნის დასუსტება-დაკარგვას; რედუქციის შედეგად დარჩენილი თანხმოვანთკომპლექსები შედგება ჩქამიერისა და სონორისაგან (60%), სონორისა და ჩქამიერისაგან (30%), ჩქამიერთაგან (8%) ან სონორთაგან (2%). როგორც ჩანს, დაასკვნის მკვლევარი, – პრეფიქს მარედუქცირებული ძალა საერთოქართველურშიც უნდა ჰქონოდა, რაც სვანურს სრულად, ხოლო ქართულს და მეგრულ-ლაზურს ნაწილობრივ შემოუნახავს¹.

ჰაპლოლოგია გულისხმობს მარცვლის დისიმილაციური ამოვარდნის შემთხვევებს. მოპოვებული მასალის გაანალიზების საფუძველზე პ. ცხადაია შენიშნავს, რომ მეგრულში ჰაპლოლოგია ხდება როგორც ფუძისეულ მორფემათა, ძირისეულ და დერივაციულ მორფემათა საზღვარზე, ერთი ფუძის ფარგლებში, იდენტურ ან მსგავს მარცვალთა შორის. დისიმილაციური და დისიმილირებული (ლათ. *dissimilis* ლინგვ. სიტყვაში ორი ერთგვარი ბგერიდან ერთ-ერთის ცვლა: განმსგავსება) მარცვლების თანხმოვნები ერთგვაროვანია ჩქამიერობის ან სონორობის მიხედვით; მარცვლის დაკარგვა, ძირითადად რთულ სახელებში, შეიძლება იყოს **პროგრესული** (ლათ. *progressus* წინსვლა, აღმავლობა), ხოლო წარმოქმნილ სახელებში – **რეგრესული** (ლათ. *regressio* უკუსვლა, უკუქცევა); კონტაქტური (დისტანციური) ჰაპლოლოგია იშვიათია (დისტანცია ლათ. *istantia* მანძილი, შუალედი რისამე შორის). მკვლევრის ძირითადი დასკვნა ასეთია: „ჰაპლოლოგია მეგრულში ფარ-

¹იქვე, 10-11.

თოდ გავრცელებული და მრავალფეროვანი ფონეტიკური მოვლენაა. იგი უწინ მოქმედი ძლიერი მახვილის გამოძახილი ჩანს¹.

დასმული საკითხის გასაანალიზებლად მეკვლევარს მოხმობილი აქვს დიდძალი ონიმური მასალა. კონტაქტური (დისტანციური) ჰაპლოლოგიის, როგორც ფონეტიკური მოვლენის იშვიათად გავრცელების საილუსტრაციოდ ნაშრომში საილუსტრაციო მაგალითად დამოწმებულია ქართული „წელიწადის“ ეკვივალენტი მეგრულში **წანამოწანა**. წანაშ მოწანუა, წამოწანა ნიშნავს წლისთავს, წლის მოწევას, გარდაცვლილისათვის წლისთავის გადახდას. მაშასადამე, **წანამოწანა** → **წამოწანა**. ამ შემთხვევაში სიტყვის პირველი ფუძის **ნა** სინკოპირებულია დისტანციური დისიმილაციის ნიადაგზე, ბოლოკიდური **ნა**-ს მიერ².

დისტანციური ჰაპლოლოგიის კიდევ ერთ მაგალითად მონოგრაფიაში დასახელებულია მეგრულ ტოპონიმიაში **მიქამგარია** ფორმით დამოწმებული ქართული მიქელ-გაბრიელი. „დისტანციური რეგრესული დისიმილაციის გზით **გა** მარცვალმა ამოაგდო **ქა**, ხოლო მ/ნ შეენაცვლა ერთმანეთს და წარმოიქმნა ორონიმი მინგარია (მარტვილის რ.)“³.

3. ცხადია საკანდიდატო დისერტაციაში შესწავლილი და დადგენილია მეგრულში ტოპონიმთა პრეფიქსული, პრეფიქსულ-სუფიქსური და სუფიქსური წარმოების მოდელები, ღე-, სა-, ო-, ნა-//ნო-, მა-, -იში, -იღ, -ირ, -ელა და სხვა აფიქსთა ფუნქციები და განაწილება საწარმოებელ ფუძეთა მიხედვით. ქვემო სამეგრელოსა და სამურზაყანოს ონიმური მასალის გათვალისწინების საფუძველზე დამატებით გამოვლენილი ოთხი აფიქსის (ქართულიდან შეთვისებული **-იან**, იმერული დიალექტის კომბინირებული **სეულ//სოულ** სუფიქსის მეგრული ვარიანტი **-შურ**, კონკრეტული მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი **ობა-ა, მბა-**) ანალიზი მოცემულია სადოქტორო დისერტაციაში.

3. ცხადია გამოკვლევით, სვანური მორფოლოგიური სუბსტრატის **ღე-** მეგრულში აწარმოებს მონოგენური დასახელებული პუნქტების სახელებს და გვხვდება 400-მდე ოიკონიმში, ხოლო

¹იქვე, 11.

²3. ცხადია, საკუთარი სახელი მეგრულ (ზანურ) ენაში, 2016, 27.

³იქვე.

ქართულიდან შეთვისებული სა-პრეფიქსი წარმოადგენს გვარსახელთაგან ოიკონიმების ერთადერთ მაწარმოებელს ქვემო სამეგრელოსა და სამურზაყანოში. სა-დაფიქსირებულია 1000-მდე ოიკონიმში. მსგავსი წარმოების ოიკონიმისათვის ამოსავალია სახელდებულ უბანსა თუ მიკროუბანში დამკვიდრებული გვარსახელი (მაგ.: სააბსაო, სააკობო, საბიჭო, საგეთო, საგუგუჩაო, სადარასელი, სათოლორაიო, სათორიო, საკაკულიო, საკეზუო, სალოგუო, სამოსიო, სანარმანიო, სანაყოფიო, სანაჭყებიო, სასვირა, საქუხილო, საჩახაიო, საჯიქიო...), „მეგრული ოიკონიმის ანალიზი ერთხელ კიდევ ადასტურებს არნ. ჩიქობავას დებულებას, რომ გვართაგან სა-პრეფიქსით სოფლის სახელის წარმოება შედარებით ახალია. გაცილებით უფრო ძველია ლე-პრეფიქსის გამოყენება ამავე შემთხვევაში“¹.

პ. ცხადაიამ გამოარკვია, რომ სამეგრელო-სამურზაყანოს ჰიდროგრაფიულ ობიექტთა სახელების წარმოქმნაში 100-ზე მეტი ჰიდროტერმინი მონაწილეობს. მათგან ყველაზე მეტად პროდუქტიულია და რეგიონის მთელი ჰიდრონიმიის თითქმის 66%-ს წარმოქმნის ოთხი სიტყვა-ტერმინი – **ღალ** „ღელე“, **ტობა** „მორევი“, **წყუ** „წყარო“ და **წყარი** „წყალი“. მკვლევრის მიერ მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე დადგინდა ლექსიკონებში მეტწილად დაუფიქსირებელი მრავალი ჰიდროტერმინის ძირითადი და დამატებითი მნიშვნელობანი და გაკეთდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა: ა) ჰიდროლექსემებში გამოიყოფა საერთო მეგრულ-ქართული, საერთო მეგრულ-დასავლურქართული, ადგილობრივი (ოდენ მეგრული) და არაქართველური ენებიდან ნასესხები ფენები; ბ) ჰიდროლექსემების ერთი ნაწილი წარმოქმნილია ხმაბაძეთ; გ) სტრუქტურის თვალსაზრისით ჭარბობს მარტივფუძიანი ტერმინები, მაგრამ, ამასთანავე, საკმაო რაოდენობით გვხვდება წარმოქმნილიც და რთულიც; დ) ჰიდროგრაფიული ტერმინებიდან ზოგიერთი (მაგ.: შანი, კოკულე, კიზუ, ნაღუ, ნოლა, ონწარე, რახვინი, ოცანცაღეში, ოფარხაღაია...) ვიწროლოკა-

¹იქვე, 15.

ლური გავრცელებისა და გვხვდება მხოლოდ ორ-სამ მეზობელ სოფელში¹.

სადოქტორო დისერტაციის III თავში (**„კოლხურ გვარსახელთა სისტემა“**) პ. ცხადია შენიშნავს, რომ კოლხური (ზანური) გვარსახელები, ქართულისა და სვანურის მსგავსად, გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა, „როგორც ამოსავალ ფუძეთა (პირსახელთა, მეტსახელთა..) სემანტიკის, ისე სუფიქსაციის თვალსაზრისით“². ქართულ საისტორიო წყაროებში კოლხური გვარი IX საუკუნიდან ფიქსირდება: ესაა დავით კურაპალატის ვასალის, არგვეთის მფლობელ ლიპარიტის გვარი ბაღვაში. კოლხურში **ბაღუში** (ბაღუაში) ნიშნავს **ბაღუს** (ბაღუას) შთამომავალს. გვარი **მარუშიანი/მარუშისძე** ორმაგი სუფიქსაციით არის წარმოქმნილი: კოლხურ ფორმა **მარუშს** (მარუში „მარუს შვილი, შთამომავალი“) დართვია **-იან** და **-ძე** სუფიქსები³. „ეს ორი გვარი ცხადყოფს, რომ IX-X საუკუნეებში -(ში) ბრუნვის ნიშანს უკვე პქონდა მოპოვებული სიტყვაწარმოებითი ფუნქცია ეპონიმის შთამომავალთა აღნიშვნისა“⁴.

კოლხური გვარსახელის დოკუმენტირების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს იღორის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის X-XI სს-ით დათარიღებულ ნუსხურ წარწერაში ამოკითხული გიორგი ქოჩოლავა და წებუდის XIII ს. ასომთავრულ წარწერაში დავიქსირებული ლუკა მარტინავა⁵. გვარის ეს ორი ფორმა (ქოჩო-

¹იქვე, 15-16.

²იქვე, 37; პ. ცხადიას მსჯელობით, „კოლხური გვარსახელი“ ეთნიკურ-ენათმეცნიერული ტერმინია და აღნიშნავს კოლხური (ზანური, ანუ მეგრულ-ზანური) ენის საგვარსახელო მოდელს (სემანტიკითა და სტრუქტურით, ე. ი. ფუძეებით, სუფიქსებითა და სუფიქსოიდებით). როგორც გამოირკვა, ამ მოდელის მქონე ყველა გვარსახელის სამშობლო და ძირითადი სამკვიდრო არის არა მხოლოდ სამეგრელო“. იხ. პ. ცხადია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, 15.

³მსჯელობისათვის იხ. **მისივე**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, 12-13.

⁴პ. ცხადია, საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში, 37.

⁵პ. ცხადია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, 13; მსჯელობისათვის ვრცლად იხ. თ. გვანცელაძე, იღორისა და წებუდის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა XI-XIII საუკუნეთა ორი ლაპიდარული წარწერის მიხედვით. ქუთაისური საუბრები, V, ქუთ., 1998, 35; **მისივე**, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შუა საუკუნეთა ლაპიდარული წარწერების მიხედვით. კრ. „ქართველური მეცნიერება“, III, ქუთ., 1999, 52-58.

ლავა, მარტინავა) „სახბუთებს, რომ -ვა დაბოლოებიან გვარსახელთა მოდელი XI საუკუნეში უკვე საბოლოოდ ყოფილა ჩამოყალიბებული“¹.

მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ კოლხურ გვარსახელთა -ია დაბოლოება წარმოადგენს სვანური -იან სუფიქსის ნ მოკვეცილ ვარიანტს (შდრ.: სვან. კვიციან → მეგრ. კუცია, სვან. ჩხეტიან → მეგრ. ჩხეტია...) ან სვანური იშ-ან (-იშ ნათ. ბრ. ნიშანია) დაბოლოების ასევე ნ მოკვეცილ ვარიანტს (შდრ.: წულუკი-იშ-ან → წულუკი-ან → წულუკი-ა². პ. ცხადაიას კოლხურ გვარსახელთა გაანალიზებამ შესაძლებლობა მისცა, გარკვეული კორექტივი შეეტანა ზემოთ აღნიშნულ დასკვნებში: „ჩვენი აზრით, ფუძეთა ასეთი დამთხვევები აუცილებლად იმას არ ნიშნავს, რომ პირველადი წარმონაქმნი სვანური ვარიანტია. სინამდვილეში -ია წარმოქმნილია ზანურში როგორც მეორეული (კომბინირებული) დერივაციული მორფემა³. თქმულის დასასაბუთებლად მკვლევარი დასძენს: გვარსახელთა წარმომავლობით დაინტერესებული მეცნიერები ერთხმად ასკვნიან, რომ -ია, -ვა, -უა სუფიქსები მეგრულშივე კი არ წარმოქმნიდა გვარსახელებს, არამედ ხდებოდა -იან, -ვან, -უან დაბოლოებიანი სვანური გვარების მიგრაცია კოლხეთის ბარში, სადაც ბოლოკიდური ნ-ს მოკვეცის გზით იქმნებოდა მათი -ია, -ვა, -უა დაბოლოებიანი ვარიანტები. თანხმონის დაკარგვის ფონეტიკური საფუძველი არ უნდა შექმნილიყო, რადგან, სვანეთიდან სამეგრელოში მიგრირებული -ან დაბოლოებიანი გვარი, როგორც წესი, სახელობითი ბრუნვის ნიშანს დაირთავდა. „მაშ, როგორ ავხსნათ, რომ ზოგ შემთხვევაში -იან, -ვან, -უან დაბოლოებიან სვანურ გვარებს მეგრულში მოეპოვებათ -ია, -ვა, -უა დაბოლოებიანი ვარიანტები? ეს უნდა მომხდარიყო პარადიგმატული შენაცვლებით, იმის შემდეგ, რაც მეგრულში უკვე დამკვიდრებული იყო -ია, -ვა, -უა სუფიქსებით გვარსახელის წარმო-

¹ იქვე, 38.

² ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. შრომები, III, თბ., 1959, 36-41; გ. როგავა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის. ქუთაისის აღ. წულუკიდის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, ქუთ., 1955, 4; ჯ. ონიანი, სვანური გვარის ფონოლინგვისტური ანალიზისათვის. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბ., 1979, 84-85.

³ იქვე, 38.

ება (შდრ. ქართ. ხელა-ძე → მეგრ. ხელა-ია, ქართ. მხეციძე → მეგრ. ხეცია, ქართ. ყურაშვილი → მეგრ. ყურუა//ყურავა).

მაშასადამე, „კოლხურ გვარსახელთა -ია, -ვა, -უა დაბოლოებანი რთული (მეორეული) სუფიქსებია: გვართა ფაქტობრივი და ისტორიული მაწარმოებელია -ა, მაგრამ სინქრონიულ ტრილში სამივე რთული სუფიქსი შეიძლება საგვარსახელო სუფიქსებად ჩავთვალოთ“¹.

პ. ცხადია გვართა მაწარმოებელ ნაკლებპროდუქტიულ კოლხურ სუფიქსთა რიგში განიხილავს **-(ი)ში, -სქირი (//-სკირი), -სქუა (//-სკუა)** „შვილი“, **ბერე, ბერი** „ვაჟიშვილი“ სუფიქსოიდებს².

საინტერესოა მკვლევრის თვალსაზრისი **-ძე, -შვილ** სუფიქსოიდების შემცველ გვარებზე, რომლებიც სამეგრელოსა და სამურზაყანოში მიგრირების შედეგადაა გავრცელებული, მაგრამ მაინც გამოკვეთს ორ მნიშვნელოვან გარემოებას:

ა) შუა საუკუნეებში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იწყება გვარსახელთა -ძე და -შვილ დაბოლოებებზე გადასვლა, ანუ „ქართიზაცია“. ამის თვალსაჩინო შედეგია სამეგრელოს თავად-აზნაურთა გვარებში პარალელური ფორმების გაჩენა: ავაქია//ავაქიძე, დგებია//დგებუაძე, ანჯაფარია//ანჯაფარიძე, ანჩაბაია//ანჩაბაძე და სხვ.

ბ) არ გამოირიცხება -ძე და -შვილ-ზე დაბოლოებული გვარსახელების მეგრულ გარემოცვაშიც წარმოქმნა: ორი საუკუნის წინათ სამურზაყანოდან გამოქცეული და სუჯუნაში დასახლებული ღომიკია ზვამბაიას შვილს გუგუ ერქვა, ხოლო გუგუშვილები ამ უკანასკნელის შთამომავლები არიან. ამასთანავე, -ძე ან -შვილ სუფიქსოიდით წარმოქმნილი ზოგი გვარის (ამანაძე, ბალიშვილი, ბახტაძე... გეოგრაფიული გავრცელების არეალი მხოლოდ სამეგრელოა³.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანთროპონიმიაში გამოვლენილი **-ყვა, -ქვა** დაბოლოებები ჩერქეზულ-ადიდური ელემენტებია. გადმოცემით, XVIII ს-ის დამდეგს ერთმორწმუნე თურქეთისაკენ

¹იქვე, 41-42; მისივე, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, 16-28.

²იქვე, 28-31.

³იქვე; 43-44; მისივე, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, 32-34.

მიმავალი და გურიაში დარჩენილი რამდენიმე ჩერქეზული ოჯახი გაქართველებულა. მაშასადამე, -ყვა, -ქვა ქართული სინამდვილისათვის სუპერსტრატული მოვლენაა. მაგრამ პ. ცხადაია არ გამოორიცხავს არც იმ პროცესს, რომ ჩრდილოკავკასიური ენებიდან ნასესხებ -ყუ და -ქუ დაბოლოებიან საკუთარ (თუ პატრონიმულ) სახელებს დართოდა კოლხური საგვარსახელო სუფიქსი -ა და მიგველო გვარები: **ინგოროყვა** (← ინგოროყუ-ა), **როყვა** (← როყუ-ა), **ღელეყვა** (← ღელეყუ-ა)...

ზოგ გურულ გვარში გამოყოფენ კინობით-მოფერებითი სახელების მაწარმოებელ **-ტი//ნტი** სუფიქსებს. მეგრულ ანთროპონიმიაში პ. ცხადაია შესაძლებლად მიიჩნევს ასეთივე დანიშნულების **-ატ//ანტ**, **-იტ//ინტ**, **-უტ** სუფიქსების გამოყოფას, რომელთაც დართვია საგვარსახელო სუფიქსი -ა (მაგ.: მირგატია, გელანტია, ციმინტია, ხუბუტია, გუგუტია...)¹.

სადაურობის **-არ** სუფიქსს გამოყოფს მკვლევარი კოლხური გვარის ფუძეებში: ოდიშარია, ცხომარია, ხუნწარია, ხოშტარია, ზანთარია, ზანთარია (← ზანათი, სოფელი აბაშის რაიონში), ლატარია (← ლათა, სოფელი აფხაზეთში. ე. ი. ლათარი → ლატარი → ლატარია); ქანთარია (← კანთი. ერქვა სოფელს წალენჯიხის რაიონში), ჭიხვარია (← ჭიხუ, სოფელი ხობის განაპირას); ხვითარია (← ხვითი, სოფელი გალის რ-ნში) და სხვ. ქართულიდან ნასესხები **-ელ** სუფიქსი აწარმოებს გვარებს – ხობელია, ხუნწელია, ჯვარელია, ზოდელავა..., ზანური **-ერ** – გვარ ხოვერისას, ხოლო **-თურ** – გვარ ბაღათურისა².

პ. ცხადაია დაასკვნის: „კოლხური ანთროპონიმული სისტემა სემანტიკურად და სტრუქტურულად ქართულისა და სვანურის სათანადო სისტემებს მიჰყვება. განსხვავება თავს იჩენს ლოკალური სუფიქსებისა თუ სუფიქსიდეების სახით“³.

დისერტაციის IV თავში მკვლევარს მიზნად დაუსახავს მეგრულ ზოონიმთა სამოტივაციო და სტრუქტურული სისტემის დადგენა. რამდენადაც ქართველური ზოონიმის აღწერის, სათა-

¹იქვე, 34.

²იქვე, 44-45.

³იქვე, 45.

ნაღო მასალების გამოცემისა და მეცნიერული კვლევის საქმეში დიდი ხარვეზი იყო, პ. ცხადაიამ ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ სამეცნიერო კვლევა-ძიების ამოცანად დაისახა სამეგრელოს ზოონიმთა სრული აღნუსხვა. 1987 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი, რასაც ახლავს კოლხური ზოონიმის მასალებიც¹. სამეგრელოში ყოველგვარ შინაურ ცხოველს (ძროხას, ხარს, კამეხს, ცხენს, თხას, ძაღლს, იშვიათად – ცხვარს, ღორს) საკუთარი სახელი ჰქვია. დაფიქსირებულია ქათმის სახელებიც. ზოონიმი, როგორც საკუთარი სახელი, – წერს პ. ცხადაია, – დენოტატის რაიმე ნიშან-თვისებაზე გარკვეული ინფორმაციის შემცველია, ან აღნიშნავს დენოტატთან დაკავშირებულ რაიმე კონკრეტულ სიტუაციას². რეალური მოტივირების შემთხვევაში, ე. ი. სახელსაძები ობიექტისათვის შესაფერისი სახელის შექმნა ერთდროულად ორმაგი ფუნქციითაა დატვირთული: საკუთარ სახელსაც წარმოადგენს და სახელდებულ ობიექტსაც ახასიათებს. ცხოველთა კონკრეტული სახეობის დახასიათება ჯიშის, ასაკის ან ფერის თავისებურებების მიხედვით ენაში (დიალექტში) არსებული სპეციალური სიტყვებით – **ზოონომენებით** ხდება³.

ფართოსემანტიკური მნიშვნელობით მოტივირებისას სახელების საბაბი შეიძლება იყოს დენოტატის გარეგნული თუ შინაგანი ნიშან-თვისებები, ქცევისა და სიარულის მანერა, სხვა ობიექტთან გარეგნული თუ შინაგანი ნიშან-თვისებების მიხედვით მიმსგავსების (მეტაფორიზაციის) შედეგად ზოონიმებად შეიძლება იქცეს ცხოველის, მცენარის, ნივთის აღმნიშვნელი საზოგადო სახელები და ანთროპონიმები; ზოონიმთა ერთი ნაწილი გამოხატავს სახელმდებლის ექსპრესიულ-ემოციურ დამოკიდებულებას, აგრეთვე სასიკეთო სურვილს დენოტატისა თუ საკუთარი თავისადმი და სხვ.

პ. ცხადაია გამოყოფს ფართოსემანტიკური მნიშვნელობით მოტივირების მეოთხე ჯგუფს – **ოკაზიურ ზოონიმებს**, რომლის წარმოქმნის მოტივიც შეიძლება იყოს რაიმე კონკრეტული შემ-

¹პ. ცხადაია, კოლხურ ზოონიმთა მოტივაციის საკითხისათვის, კრ. „ონომასტიკა“, I, თბ., 1987, 410-475.

²იქვე, 46.

³იქვე, 46.

თხვევა, დაბადების დრო ან ადგილი, დანიშნულება და სხვ. (მაგ.: სორდია ← სო რდი „სად იყავი?“, ვადინა „არ დაიკარგო“, ობოლა („ობლად გაზრდილი“), კვირაია („კვირას დაბადებული“) და სხვ.)¹.

კოლხური ზოონიმიამ სამ სტრუქტურულ ჯგუფს ქმნის: მარტივფუძიანნი, წარმოქმნილნი და რთულნი. წარმოქმნილ სახელებს აწარმოებს -ა, -ო, -იკა/-იკელა, -ია, -ანა, -ალა სუფიქსები. რთული ზოონიმები ორფუძიანია (ქაღულა „რქამოღუნული“, ქაკუტა „რქამოკლე“, დუდიშქირუ „თაენაცარა“...).

პ. ცხადაიას დისერტაციის ზოგადი დასკვნა ასეთია: „კოლხური საკუთარი სახელის (ტოპონიმის, ანთროპონიმის, ზოონიმის) ფონეტიკური და დერივაციული სისტემა, სტრუქტურა და სემანტიკა, მოტივირებისა და სახელდების პრინციპები ძირითადად ისეთივეა, როგორც ქართულსა და სვანურში (ე. ი. ზოგადქართველურია). ეს არ გამორიცხავს (პირიქით, გულისხმობს) ენობრივ-დიალექტურ (ზოგ შემთხვევაში – ვიწროლოკალურ) თავისებურებებს ყველა ზემოთ აღნიშნულ ასპექტში“².

დაცვა წარმატებით განხორციელდა. ოფიციალურმა ოპონენტმა, პროფ. **ზურაბ ჭუმბურიძემ** ასეთი შეფასება მისცა საპაექროდ წარმოდგენილ დისერტაციას:

„პაატა ალექსის ძე ცხადაიას სადისერტაციო ნაშრომი – „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში“, რომელიც წარმოდგენილია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად ქართველურ ენათა სპეციალობით (10. 02. 08), შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის სახელობის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში, რომელსაც თვითონ დისერტანტი ხელმძღვანელობს.

¹იქვე, 48.

²იქვე, 52.

აღნიშნულ ლაბორატორიას თავისი კვლევა-ძიების მიზნად დასახული აქვს საქართველოს ონომასტიკის (პირთა სახელებისა და გვარების, ტოპონიმების, ჰიდრონიმების, ზოონიმების და სხვ.) შეკრება და მეცნიერული ანალიზი. თავისთავად ცხადია, აქ იგულისხმება როგორც საკუთრივ ქართული, ისე სხვა ქართველურ და კავკასიის ხალხთა ენებზე არსებული მასალის მოვლა-პატრონობა და კვლევა-ძიება. ეს არის უზარმაზარი ლექსიკური ფონდი, რომლის ერთ-ერთ განუყრელ და მნიშვნელოვან ნაწილსაც შეადგენს კოლხური (მეგრული) ონომასტიკონი. მის გაუთვალისწინებლად ჩვენი წარმოდგენა საქართველოს ონომასტიკის შესახებ არამცთუ სრული, მეცნიერულად სწორი და დამაჯერებელიც ვერ იქნებოდა.

სამეგრელო-სამურზაყანოს მრავალფეროვანი ონომასტიკური ფონდის დაწვრილებით აღნუსხვა, ამომწურავი ინფორმაციით აღჭურვა და მთელი ამ მასალის ბარათებზე გადატანა იყო შრომატევადი და მძიმე საქმე, რასაც დისერტანტმა უზარმაზარი დრო და ენერგია შეაღწია. სადისერტაციო ნაშრომის შესავალში ვკითხულობთ: „თითქმის მეოთხედი საუკუნე (1969-1993 წწ.) დამჭირდა სამეგრელოსა და სამურზაყანოს სრული ტოპონიმური აღწერისათვის, დავიარე ყველა სოფლის ყველა უბანი და შემოგარენი, მთები და ხეობები, ვესაუბრე სამი ათასამდე ინფორმატორს, თავისი კუთხე-კუნჭულისა და მეგრულის ზედმიწევნით მცოდნე ხანდაზმულებს და ჩავიწერე 45 ათასამდე დიდი თუ მცირე, ბუნებრივი თუ ხელოვნური (ადამიანის ხელით შექმნილი) ობიექტის სახელი. ჩემი აზრით, ეს მეტად საინტერესო მასალაა როგორც კონკრეტულად მეგრულის, ისე ზოგადად ქართველური ენების მკვლევართათვის“ (გვ. 6).

„კოლხეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი“, როგორც დისერტანტი გვაუწყებს, კარგა ხანია მზადაა გამოსაცემად, განხილულია თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე 1995 წელს და რეკომენდებულია დასაბუქდად, მაგრამ ჯერჯერობით მისი მხოლოდ მცირე ნაწილის დაბეჭდვა შეძლო.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალშივე ავტორი აღნიშნავს: „ტოპონიმიკურ მასალასთან ერთად ექსპედიციების პერიოდში ვიწერდი ყოველგვარ აპელატიურ და ონომასტიკურ მასალას, მათ

შორის გვარსახელებსაც. მოპოვებული მასალა გადავამოწმე და შევავეს 1990-1996 წლებში, დავაზუსტე სამეგრელოს სოფლების მოსახლეთა გვარები, დავადგინე მათი კომპლობრივი რაოდენობა (სამწუხაროდ, ამ სამუშაოს შესრულება სამურზაყანოში მხოლოდ სანახევროდ მოვასწარი). ამისი შედეგი იყო წიგნი „გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში“, რომელიც 2000 წელს გამოვიდა და მიზნად ისახავდა, შეჰმატებოდა ქართულ ანთროპონიმულ ლიტერატურას საქართველოს ერთი დიდი რეგიონის გვარსახელთა სრული ლექსიკონი, შედგენილი ენათმეცნიერული თვალთახედვით“ (გვ. 9).

როგორც ვხედავთ, სადისერტაციო ნაშრომს წინ უძღოდა უზარმაზარი მოსამზადებელი სამუშაო, რის შედეგადაც დისერტანტმა შექმნა მყარი საფუძველი საკვლევი რეგიონის ონომასტიკური ფონდის მეცნიერული ანალიზისათვის.

მასალის მოპოვებას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევა-ძიებისათვის, მაგრამ არსებითი და უმთავრესი მაინც ამ მასალის მეცნიერული ანალიზია. ამ მხრივ დისერტანტს წინ უძღოდა და გზას უკვალავდა გამოჩენილ მეცნიერთა რამდენიმე თაობა, რომელთაც ეკუთვნით მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართველურ ენათა ონომასტიკის ცალკეულ საკითხებზე, მაგრამ შემაჯამებელი და განმაზოგადებელი მონოგრაფიები ამ დარგში ჯერ კიდევ არ დაწერილა. ამასთანავე, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანებში ცენზურის გაუქმებას და გამოცემის საქმეში ყოველგვარი კონტროლის მოშლას მოჰყვა დიდიტანტთა მომრავლება, განსაკუთრებით სწორედ ონომასტიკის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოხალისე ვაიმეცნიერებს არც სათანადო ცოდნა გააჩნიათ და არც კვლევის მეთოდებს არიან დაუფლებულნი, მაინც რატომღაც ჰგონიათ, რომ ამ დარგში მნიშვნელოვანი შედეგების მოპოვება შეუძლიათ და აქვთ კიდევ მოპოვებული.

ერთ-ერთი ამგვარი „მკვლევართაგანია“ ვინმე ალექსანდრე შანავა, რომელმაც 1998 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ეტიუდები მეგრული ენის შესახებ“. ამ 27-გვერდიან ბროშურას არც გამოცემლობის სახელწოდება აწერია, არც მისამართი, არც ტირაჟი, არც რედაქტორი ჰყავს, არც რეცენზენტი და ა. შ. წიგნის

ანოტაციაში ვკითხულობთ: „ავტორი ეხება რიგ აქტუალურ საკითხს და გამოთქვამს ორიგინალურ მოსაზრებებს; განიხილავს აფხაზეთის ტოპონიმებს და ნათელს ფენს მათ ქართველურ წარმოშობას“.

„ორიგინალური მოსაზრებანი“ ამ ბროშურაში მართლაც ჭარბადაა, მაგრამ მათ მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვთ. აი, რამდენიმე ნიმუში გეოგრაფიულ სახელწოდებათა შანავასკუელი ეტიმოლოგიისა:

„**აგუძერა**, სოფელი სოხუმის მახლობლად. ტოპონიმი შედგება ორი ნაწილისაგან: აგუ და ძერა. ჩვენი აზრით, აგუ მიღებულია გაკვირვების ან შეძრწუნების გამომხატველი შორისდებული აუ (ცაუ)-საგან. ტოპონიმი ნაწარმოებია შემახილიდან: აუ, ძერა!“ (გვ. 7).

„**აკარმარა**, დასახლება ოჩამჩირეს მახლობლად. ტოპონიმი შედგება ორი მთლიანი სიტყვისა და ერთი სიტყვის ელემენტისაგან. მთლიანი სიტყვებია: აკა და მარა... მათ აკავშირებს სიტყვარეს ელემენტი „რ“. სიტყვა რეს თუ აღვადგენთ, გვექნება: აკა რე, მარა... ერთადერთია, მაგრამ...“ (გვ. 7-8).

„**აფხაზეთი**, საქართველოს ერთ-ერთი კუთხე შავი ზღვის სანაპიროზე. ტოპონიმის ეს ქართული ფორმა მიღებულია მისი მეგრული ფორმიდან: სააფხაზო. ჩვენი აზრით, ტერმინი წარმოშობილია მეგრული გვარი აფხაზა (აფხაზავა)-საგან“ (გვ. 8) და ა. შ.

კოლხური ონომასტიკის მეორე ასეთივე „სპეციალისტმა“ ნიკოლოზ ჯომიდავამ 1996 წელს გამოსცა მეგრული გვარსახელების ლექსიკონი, რომელიც წიგნის ანოტაციაში „კოლხური (მეგრული) გვარსახელების მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდად“ არის გამოცხადებული. თუ რა დონეზე დგას ეს „პირველი ცდა“, ამას მკითხველი ადვილად დაინახავს მის დასაწყისშივე წარმოდგენილი ეტიმოლოგიებიდან: „**აბაკელია**, -ელ სადაურობაზე მიგვითითებს, ჯარის ნაწილების სადგომი, ნადგომი, საიდანაც ბაკიბუკი (ნაბიჯების ხმა) ისმოდა“ (გვ. 17); „**ა-ლანდ-ია**, ა-წინკიდური ბგერაა, ლანდო ძვ. ოთხადგილიანი ორმხრივ გადასახსნელი – სახურავიანი ეტლი“ (გვ. 20); „**აღლასანია**, ა-ლას(ო)-ნია, ა-წინაკიდური, ლასო მარყუჟიანი ქამანდი, რომელსაც ძველად ხმარობდნენ ზოგი ნადირის დასაჭერად... მომდინარეობს. ან

აღას-ან საკუთარი სახელისაგან, ან აღასანიაში ნ ჩანართი“ (იქვე) და ა. შ.

აღ. შანავას წიგნისაგან განსხვავებით, ნ. ჯომიდავას წიგნს ჰყავს რედაქტორიც (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ბადრი ცხადაძე), რეცენზენტიც (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. თეიმურაზ მიბზუანი). ის გამოცემულია აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გრიფით, გამომცემლობა „ატლანტიდას“ მიერ, წინ უძღვის რედაქტორის წინასიტყვაობა, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდება: „გზა დაველოცოთ რუდუნებით შექმნილ ამ წიგნს, ავტორს კი ახალ-ახალი წარმატებები ვუსურვოთ სამეცნიერო სარბიელზე“. აღბათ ამ ლოცვა-კურთხევამ გაჭრა და წიგნი „მოკლე ხანში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა“, რამაც განაპირობა მისი ხელახლა გამოცემა 2000 წელს. ახალ გამოცემაში ზოგი ძველი ეტიმოლოგია უკუგადაბრუნდა, მაგრამ სამაგიეროდ შემოთავაზებულია ახალი ეტიმოლოგიები, რომლებიც არაფრით ჩამოუყარდებიან ზემოთ მოყვანილ ნიმუშებს და ზოგჯერ აჭარბებენ კიდევ მათ: „ტაბახია ნაწარმოებია აქადურ ტერმინ ტაბახიდან და სამსხვერპლო პირუტყვის დამკვლელს ნიშნავს“. ტვანბია ტვანბა – (მეგრ.) უტვინო... სვანური წარმოშობის უნდა იყოს“; „ტკვაცირია ტკვარცალი – საზიარო ხმა, ყვირილი, ტყვალი, მეგრ. „ელვა“ (გვ. 308-309). ა ა. შ.

სამწუხარო და შემაშფოთებელი ის კი არ არის, რომ მავანსა და მავანს ასეთი უცნაური აზრები მოსდის თავში, არამედ ის, რომ ეს აზრები სქელტანიან წიგნებად იბეჭდება, რომელთაც ტიტულოვანი მეცნიერები რედაქტორობენ, წინასიტყვაობებსა და ქება-დიდებათ სავსე რეცენზიებს უწერენ და მათ ავტორებს სამეცნიერო ხარისხებს ანიჭებენ.

კი, მაგრამ ჩვენი დღევანდელი დისერტანტი რა შუაშიაო, – შეიძლება იტყვნეულად იკითხოს ვინმემ. ამგვარი ეჭვის გასაფანტავად ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ პ. ცხადაიას სადოქტორო დისერტაცია გამოირჩევა მეცნიერული სიღრმით და, კერძოდ, ეტიმოლოგიურ ძიებათა დამაჯერებლობითაც. მაგრამ თუ ჩვენ მაინც საჭიროდ მივიჩნით ყურადღების გამახვილება ბოლოდროინდელ ეტიმოლოგიურ ძიებათა საეჭვო მეცნიერულ ხარისხზე, ეს იმიტომ, რომ საჭიროა აღნიშნული მავნე ტენდენ-

ცია დროულად აღიკვეთოს, თორემ მომავალში მის წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო გაძნელდება.

ჩვენს დისერტანტს ამჯერად სწორედ ხელსაყრელი შემთხვევა ჰქონდა, არ მორიდებოდა მის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მცდარი მოსაზრებებისა და ზღაპრული ეტიმოლოგიების კრიტიკას. ამ მიმართულებით მან გარკვეული ნაბიჯები გადადგა და ის ნაშრომებიც არ გამორჩენია მხედველობიდან, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, მაგრამ ზოგ შემთხვევაში დისერტანტმა თავი აარიდა კონკრეტული მისამართების დასახელებას და მხოლოდ ზოგადი კრიტიკული შენიშვნებით შემოიფარგლა. ჩვენი ეს შენიშვნაც სწორედ ამით არის გამოწვეული.

სადისერტაციო ნაშრომი ოთხი თავისაგან შედგება. თავები დაყოფილია პარაგრაფებად. ყველაზე ვრცელია და საკითხების ფართო სპექტრს მოიცავს I თავი, რომელსაც ცალკე სათაური არა აქვს, რაც ერთგვარ დისონანსს ქმნის დანარჩენ თავებთან მიმართებით. ეს ნაკლი გასწორებულია ავტორეფერატში, სადაც I თავი დასათაურებულია ასე: „მეგრული ტოპონიმის სტრუქტურის, სემანტიკისა და ლექსიკის საკითხები“.

ამ თავის პირველ პარაგრაფად გამოყოფილია რედუქციისა და ჰაპლოლოგიის პროცესები მეგრულ ტოპონიმებში. საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით, ქართველურ ენათაგან მეგრულ-ლახური გამოირჩევა რედუქციის სისუსტით, რედუქციის გამომწვევ ძირითად მიზეზად კი ხმოვანი (ან ხმოვნით დაწყებული სუფიქსი) არის მიჩნეული. დისერტანტს მოჰყავს დიდძალი ონომასტიკური მასალა, რომლის ანალიზის საფუძველზეც ირკვევა, რომ მეგრულში ყველა პრეფიქსი იწვევდა (და იწვევს) რედუქციას, რაც ძლიერი დინამიკური მახვილის მოქმედების შედეგი უნდა იყოს. მსგავსად სხვა ქართველური ენებისა, მეგრულში რედუცირდება ყველა ხმოვანი (გვ. 20-21).

ასევე დიდძალი მასალის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ჰაპლოლოგიის ძირითადი მიზეზი მეგრულში არის ძლიერი მახვილი (გვ. 28). ამასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ათეულობით ტოპონიმისა და სხვა სახელთა ეტიმოლოგიური ანალიზი, რომელიც სწორ ენათმეცნიერულ აღდგომასთან ერთად ემყარება და ითვალისწინებს ისტორიულ-გეოგრაფიულ

ცნობებსაც ამა თუ იმ გეოგრაფიული სახელწოდების შესახებ. მაგალითად, დისერტანტის მტკიცებით, სოფლის სახელი **ნაკიანი** მიღებულია გვარიდან – **კიკიანი** ჰაპლოლოგიის შედეგად: ნა-კი-იანი-ი → ნაკიანი. შეიძლება ამ ტოპონიმისათვის სხვაგვარი ახსნა მიგვეცა (**ნაკიან-ი**: მეგრ. ნაკა – „ვაკე მინდორი“), თუ არ გავითვალისწინებდით, რომ ამოსავალი ფორმა **ნაკიკიანი** დამოწმებულია XIX ს. საისტორიო საბუთებში. ასევე, სოფელ ხუნწის ერთ-ერთი უბნის სახელწოდება **ლეძიგურე** შესაძლო იყო დაგვეკავშირებინა მცენარის სახელთან (**ძიგურა** – „ეკალ-ჭიჭი“), თუ არ გვეცოდინებოდა, რომ ლეძიგურე ძირითადად ძიძიგურებით არის დასახლებული. აქედან ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტოპონიმის სწორი ეტიმოლოგიისათვის სხვადასხვა სახის ცნობებს, რომლებსაც მკვლევარი მხოლოდ ადგილობრივ მოიპოვებს. პ. ცხადაიას ტოპონიმკური ძიებანი სწორედ ამგვარი, საგულე მუშაობის პროცესში მოპოვებული ცნობების მართებულ ანალიზს ემყარება.

დისერტანტის აზრით, ჰაპლოლოგიის გზით არის დაკარგული -ი და -დი მსახდვრულ-სახდვრულის კომპოზიციის შედეგად წარმოქმნილ ტოპონიმებში და სხვა სახელებში, როგორცაა, მაგალითად: **დიღუბე** (← დიდი დუბე), **ჯინჭითა** (← ჯინჯიჭითა „ძირწითელი“ = „მსუქანა“), **დურჩე** (← დუდი რჩე „თავთეთრი“) და სხვ. ამ სახელთა ფუძეში დისერტანტის მიერ აღდგენილი ი წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ნიშანია. საკითხავია, აუცილებელია თუ არა მისი აღდგენა ყველა შემთხვევაში. ჩვენი ვარაუდით, ხმონის დაკარგვა, ზოგჯერ მაინც, წინ უსწრებდა გაკომპოზიტებასა და ტოპონიმად ქცევის პროცესს. მაგალითი რომ მოვიშველიოთ, ჩვეულებრივი სინტაქსური წყვილი (მსახდვრულ-სახდვრული) დიდი გორი, ჩვენი აზრით, მას შემდეგ იქცა კომპოზიტურ ტოპონიმად, როცა მსახდვრელმა დაკარგა სახელობითი ბრუნვის ნიშანი და სახდვრულს შეუერთდა. ამიტომ ასეთი შემთხვევები ჰაპლოლოგიის ნიმუშებად ვერ ჩაითვლება.

აქვე გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს: ესაა **ლ** სონანტის დასუსტება და დაკარგვა მეგრულში. როგორც ცნობილია, მეგრული **ლ** ფონემა განსხვავდება ქართული **ლ**-საგან პალატა-

ღურობის მაღალი ხარისხით, თვით მეგრულში ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მარტილურ-ბანძური მეტყველება, სადაც „ლ პალატარიზაციის საფუძველზე თვისობრივად ახალ ბგერად, დ-დ იქცევა. მარტილურ-ბანძურ თქმაში დღეს ლ როგორც ფონემა, წარმოთქმაში აღარ არსებობს“ (ს. ჟენტი). ამავე დროს დ როგორც ფონემა მეგრულში არსებობს მხოლოდ მარტილურ-ბანძურ მეტყველებაში, სადაც ის ლ-ს რეფლექსის გზით არის მიღებული. ზოგჯერ ეს დ-ც ისე დასუსტებულია, რომ მისი აღქმა ჭირს. ბოლო დროს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განდა ტენდენცია, რომ ეს ბგერა მარტილურ-ბანძური ფორმების წერილობით გადმოცემისას მთლიანად გამოტოვებულ იქნეს. ეს ტენდენცია არის ასახული პ. ცხადაიას სადისერტაციო ნაშრომშიაც (იხ. მაგალითად, გვ. 24: გეგეჰკორი → ე-გეგეჰკორ-ე → ეგეჰკორე, გეგელია → ე-გეგეი-ე//ეგეიე და სხვ.).

ჩვენ ასეთი ტრანსკრიფცია გაუმართლებლად მიგვაჩნია. ჯერ ერთი, არ უნდა დავივიწყოთ აკად. გ. ახვლედიანის სიტყვები, რომ „არცერთი ენის ასოებრივ-ბგერითს დამწერლობას არ შეუძლია გამოსახოს ზუსტად ცოცხალი წარმოთქმის პროცესი“. დაწერილობისა და წარმოთქმის შეუთანხმებლობა სალიტერატურო ენაში მოწვესრიგებულია ორთოგრაფიის წესებით. გარკვეული წესების დაცვა, რა თქმა უნდა, საჭიროა უმწერლობო ენათა ტექსტების ტრანსკრიფციისა თუ ტრანსლიტერაციის დროსაც, მაგრამ მეტისმეტი სიზუსტის გამოდევნება ზიანის მეტს არაფერს მოიტანს.

ჩვენი აზრით, მეგრული ტექსტებისა თუ ცალკეული სიტყვების ქართული ანბანით გადმოცემისას სასურველია ლ ფონემა ყოველთვის ლ გრაფემით გადმოიცეს, ყოველგვარი დიაკრიტიკული ნიშნის დაურთველად. იმავე ასოთი შეიძლება გამოიხატოს მარტილურ-ბანძური დ-ც, როცა ის ლ-ს რეფლექსს წარმოადგენს (სხვაგვარად მიღებული დ მეგრულში არც არსებობს). ამგვარი ტრანსკრიფცია გააიოლებს მასალის აღქმას და თავიდან აგვარიდებს ზოგ სირთულეს.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავშივე წარმოდგენილია მეგრულ ტოპონიმთა დაწვრილებითი ფორმოებრივი ანალიზი. გან-

საკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია კოლხეთის ტოპონიმიასში გამოვლენილი ახალი ქართულ-ლაზური ფუძეთშესატყვისობანი: ქართ. **ბზეკ** - მერგ. **ზაკ**; **ბრეგ**; **რაგ**; **ლაფ**; **ლოფ** და სხვ.

აქვე ვიტყვით, რომ ამ შესატყვისობათაგან ზოგი დამატებით ძიებასა და დასაბუთებას მოითხოვს. მაგალითად, მერგ//მარა („მდინარისპირა ვაკე“, „მდინარის ნაპირი“) არაბულ-თურქული ენებიდან ნასესხებ ლექსიკურ ერთეულად არის მიჩნეული (დ. კობიძე, ზ. ჭუმბურიძე), მაგრამ ხმოვანთა შესატყვისობის მიხედვით იგი შეიძლება ქართველურ ფუძედ ჩაითვალოს, როგორც ამას დისერტანტი ფიქრობს. ამასთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს, რამდენად ძველია ეს სიტყვა არაბულსა და თურქულ ენებში და შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ის ქართულიდან აქვთ ზემოხსენებულ ენებს შეთვისებული. შემთხვევითი დამთხვევა ამ ფუძეთა შორის, ვფიქრობთ, გამორიცხებულია.

ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება სამურზაყანოს ისტორიულ და თანამედროვე ტოპონიმიას. ამ მხარის როგორც ისტორიული ძეგლები, ისე მათი სახელწოდებანი და მოგზაურთა თუ მკვლევართა ცნობები მათ შესახებ ერთსულოვნად მოწმობენ, რომ სამურზაყანო უძველესი დროიდანვე ქართველური ტომებით იყო დასახლებული. მიუხედავად ამისა, ზოგი აფხაზი ცრუმეცნიერი ცდილობს, ყველაფერი უკუღმა შეატრიალოს და ისტორია მრუდე სარკეში წარმოადგინოს. თავისი შეხედულებების დასაბუთებას ისინი სწორედ ტოპონიმთა თავისებური ინტერპრეტაციის გზით ცდილობენ, მაგრამ ამაოდ, რადგან ამ ტოპონიმთა ქართველური წარმომავლობა ხშირ შემთხვევაში გამჭვირვალე ჩანს.

ბოლო ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე აფხაზეთის ტოპონიმიისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს არა ერთი გამოკვლევა უძღვნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თეიმურაზ გვანცველაძემ. ჩვენი ამჟამინდელი დისერტანტი – პატა ცხადაია, რასაკვირველია, იცნობს ამ ნაშრომებს, სათანადოდ იყენებს და ემყარება მათ დებულებებს, და თავის მხრივაც, ახალი მასალა მოჰყავს იმის საილუსტრაციოდ, რომ სამურზაყანოს ტოპონიმია ძირითადად ქართველურია: წკელკარი, ერწყარი, ფოქვეში, ღუმურიში, ჩხორთოლი და სხვა. ამგვარი ტოპონიმების ქართველური წარმომავლობა როგორც ფორმის, ისე შინაარსის

მხრივ იმდენად აშკარაა, რომ საწინააღმდეგო აზრის მტკიცება მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევს.

მომდევნო პარაგრაფში განხილულია წერილობითსა და კარტოგრაფიულ წყაროებში დადასტურებული სხვა ქართველური ტოპონიმები სამურზაყანოში: ოქუმი, წარჩე, საჩინო, სათანჯო, რეკა... ამ მასალაზე დაყრდნობით დისერტანტი დაასკვნის: „სამურზაყანოს ყველა ტოპონიმი, რომელიც დამოწმებულია შუა საუკუნეების ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროებსა და რუკებზე და რომელთა ეტიმოლოგიაც შესაძლებელია, არის მხოლოდ და მხოლოდ ქართველური (ქართული, სვანური, მეგრული) წარმომავლობისა“ (გვ. 169). ეს მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული დებულებაა.

შემდგომი პარაგრაფი არქანჯელო ლამბერტის სამეგრელოს რუკაზე აღნიშნული ორი ტოპონიმის იდენტიფიკაციას ეხება. სახელდობრ, აქ დადგენილია, რომ „ლამბერტისეული Cirpigi არის მთელ კოლხურ ზღვისპირეთში გავრცელებული გეოგრაფიული ტერმინი „ჟირპიჯი“ ანუ „ორპირი“ (გვ. 175). მეორეა ენგურის მარჯვენა ნაპირას აღნიშნული და ცოცხალ მეტყველებაში ვერმოდწეული ტოპონიმი Sugiona, რომელიც „სინამდვილეში არის არა სუჯიონა ან სუგიონა, არამედ **სუჯონა**“ (გვ. 179).

ამრიგად, ერთი მხრივ გამოვლენილია ტერმინი, რომელიც ხერთვისის, ორხევისა და ორწყალის სინონიმი ყოფილა სამეგრელოში, მეორე მხრივ კი დოკუმენტურად დასტურდება გეოგრაფიული სახელის – **სუჯუნას** ადრეული ფორმა **სუჯონა**. იმაში კი ვერ დავეთანხმებით დისერტანტს, თითქოს **სუჯონა/სუჯუნა** უფრო „ცვარნამიან ადგილს“ უნდა ნიშნავდეს, ვიდრე „სუროვანს“ (გვ. 179).

ამგვარი ეტიმოლოგიის დასაბუთება დისერტანტს არ მოუცია. პირველი ეტიმოლოგია, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის, მას არ აკმაყოფილებს ალბათ იმის გამო, რომ სუჯი მცენარის სახელად მეგრულში დღეს არ არსებობს (მაგრამ არსებობს ლაზურში). ხომ ცნობილია ფაქტები, როცა ერთი და იმავე სიტყვის ფონეტიკური ვარიანტები პარალელურად არსებობს ენაში მცირე სემანტიკური განსხვავებით ან უამისოდ. ასეთია, მაგალითად, იმავე მეგრულში: **ქომოლი** („მამაცი, ვაჟკაცი“) და **ქომონჯი** („ქმარი“),

ქური („ქუსლი“) და **ქურსი** („წიხლი“), ქართულში: **სული** და **სუნი**, **ბრჭყალი** და **ბრჯღალი** და სხვ.

რაც შეეხება სემანტიკას, ცნობილია, რომ ნებისმიერ ენაში მცენარეთა სახელები გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება ტოპონიმთა ამოსავალ ფუძედ, ვიდრე ისეთი ცვლადი და არამყარი კლიმატური ნიშანი, როგორიცაა ცვარ-ნაში.

სიტყვა ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს, სადისერტაციო ნაშრომის მომდევნო თავებს დაწვრილებით აღარ შევეხებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ თავებშიც არანაკლებ საინტერესო საკითხებია განხილული და მნიშვნელოვანი დასკვნებია გამოტანილი, დახასიათებულია კოლხურ გვარსახელთა მაწარმოებლები და წარმოჩენილია მათი პროცენტული თანაფარდობა. სიახლითა და ორიგინალობით გამოირჩევა ზოონიმთა მოტივირებისა და სტრუქტურის საკითხებისადმი მიძღვნილი პარაგრაფები.

საერთოდ, პაატა ცხადაიას სადისერტაციო ნაშრომს ახასიათებს მასალის სიმდიდრე, მეცნიერული კვლევა-ძიების სიღრმე, ლოგიკური მსჯელობა, სტილის სისადავე და მიმზიდველობა. ყოველივე ამის შედეგად ნაშრომი თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება. მიღებული დასკვნები გასაზიარებელია. ნაშრომს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება. ის დიდ დახმარებას გაუწევს ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებსა და დემოგრაფებს, რომლებიც ქართველური ენებისა და საქართველოს ისტორიის საკითხებით არიან დაინტერესებულნი.

კვლევის ძირითადი შედეგები წაკითხულია მოხსენებებად სამეცნიერო კონფერენციებზე და გამოქვეყნებულია მრავალრიცხოვანი ნაშრომების სახით, რომელთა შორის ორი სოლიდური წიგნია. დისერტაციის შინაარსი ადეკვატურად არის ასახული ავტორეფერატში (ქართულ და რუსულ ენებზე).

შენიშვნები, რომლებიც ჩვენ გზადაგზა წარმოვადგინეთ სადისერტაციო ნაშრომის მიმოხილვის დროს, არ არის არსებითი ხასიათისა და მათზე ნებისმიერი პასუხი ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს და ვერ შეგვაცვლევინებს ჩვენს დადებით დასკვნას.

პაატა აღექის ძე ცხადია ნაშრომისათვის „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში“ უყოყმანოდ იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს ქართულურ ენათა სპეციალობით“.

მეორე ოფიციალური ოპონენტის, პროფ. **ნათელა ქუთელიას** დასკვნაშიც ასევე მაღალი შეფასება მიეცა პაატა ცხადიას სადოქტორო დისერტაციას. „ადრე ხშირად მიფიქრია, რომ ტოპონიმია აღწერითი დარგია და ბოლომდე არ მქონდა გათვითცნობიერებული, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ აღწერას თუნდაც ყოველგვარი ლინგვისტური ანალიზის გარეშე ისტორიისათვის და რა დროულად უნდა გაკეთდეს ეს, – წერს ნ. ქუთელია, – ხომ სრულიად აშკარაა, რომ ტოპონიმები მოგზაურობენ ხალხთა მიგრაციის დროს. მინდა ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვთქვა, რომ, რაც არ უნდა მწირი იყოს მეცნიერული აპარატი ამა თუ იმ ტოპონიმის აღწერისას, თვით ფაქტი ტოპონიმის დადასტურებისა უკვე ფასდაუდებელია მეცნიერებისათვის.

შრომის ავტორი დასაწყისშივე მიუთითებს, რომ ქართულ მხატვრულ და საისტორიო მწერლობის უძველეს ძეგლებში უკვე არის მსჯელობა ტოპონიმთა წარმოშობის გზებსა და საშუალებებზე და მეცნიერულ კვალიფიკაციას აძლევს ტოპონიმკური სიტყვაწარმოების ძირითად პრინციპებს იმ ტოპონიმთა მიმართ, რომელთა შინაარსი შეესაბამება სახელდების ობიექტს: 1. ელიპტირება (მოკვეცილია საზღვრული ან მსაზღვრელი კომპონენტი: წერტაძსნი ← ადგილი წერტაძსნი, ბაკთა ← ადგილი ბაკთა); 2. წარმოქმნით, ანუ დერივაციული ფორმით (სათახვე) და 3. სიტყვათშეერთებით (შეშისთავი).

მნიშვნელოვანია ავტორის პოზიცია: ტოპონიმი მრავალწახნაგოვანი სპეციფიკური ლექსიკური ერთეულია და მის წარმოქმნაში მონაწილეობს როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური – ისტორიული, გეოგრაფიული, სოციალური – ფაქტორები. როგორც ვხედავთ, ავტორი ახალ გზებს სახავს ქართული ონომასტიკის სფეროში.

დისერტანტის ამოსავალი დებულება ასეთია: ტოპონიმური სისტემა, ზოგადქართველურია და შეიცავს ქართული, სვანური და მეგრულ-ლაზური ტოპონიმური სისტემების საერთო ნიშანთვისებებს, მოდულებსა და ტოპოფუძეებს (გვ. 10). ამასთანავე აღნიშნავს, რომ თოთოეულ მათგანს მოეპოვება თავისი ტოპონიმური სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა დიალექტურ ტოპოსისტემად და სწორედ მათში ვლინდება შესაბამისი დიალექტურ-ეთნოგრაფიული და ტერიტორიული ერთეულებისათვის ნიშანდობლივი მოდულები, ფუძეები და აფიქსები.

შრომის ავტორი მეგრულ ტოპონიმებს სხვადასხვა ასპექტით განიხილავს: ფონეტიკური, მორფოლოგიური, სემანტიკური და მოტივაციური.

ტოპონიმთა ფონეტიკური ანალიზისას ავტორი ძირითადად იფარგლება რედუქციისა და ჰაპლოლოგიის პროცესებით, თუმცა ის მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა, რომელიც შრომაშია წარმოდგენილი, გაცილებით მეტ საშუალებას აძლევს მას.

აგებულების თვალსაზრისით დისერტანტი მეგრულ ტოპონიმებს აჯგუფებს მარტივ, ნაწარმოებ (წარმოქმნილ) და რთულ ტოპონიმებად. ძირეულ და დერივაციულ მორფმათა სეგმენტაციის დროს ავტორი მიუთითებს აფიქსთა ე. წ. სინონიმიზაციაზე და ასეთ შემთხვევაში საჭიროდ მიიჩნევს ექსტრალინგვისტური და საკუთრივ ლინგვისტურ მოტივაციათა დადგენას.

ავტორს მიაჩნია, რომ მეგრულ ტოპონიმთა დერივაციულ სისტემას, ისევე როგორც საზოგადო სახელებისას, განსაზღვრავს სიტყვაწარებითი მორფემებისა და ბაზისური მორფემების ურთიერთდაკავშირება. ბაზისური მორფემა წარმოდგენილია სახელური ან ზმნური ფუძით. ამასთანავე, სახელურფუძიანი და ზმნურფუძიანი დერივანტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ საყრდენი ფუძეებით, არამედ, რაც მთავარია, სემანტიკით: ზმნურფუძიანი ტოპონიმი აღნიშნავს ერთჯერადი ან მრავალჯერადი მოქმედების ადგილს, ხოლო სახელურფუძიანი ტოპონიმი ახასიათებს ობიექტს დანიშნულების, წინავითარების, კუთვნილების ან რაიმე სხვა ნიშნის მიხედვით. საერთოდ, ონომასტიკა, როგორც ლექსიკის სპეციფიკური ნაწილი, ოპტიმალური სისტემაა და ცდილობს უმცირესი ძალისხმევით მიაღწიოს მი-

ზანს – აღსანიშნისათვის (სახელსადები ობიექტისათვის) აღმნიშვნელის შერჩევას. დისერტანტის მიერ 1985 წ. გამოცემულ შრომაში „ითიანი სამეგრელოს ტოპონიმია“, გამოყოფილი და შესწავლილია ზმნისმიერი და სახელისმიერი დერივანტები. სადისერტაციო შრომაში დისერტანტი ყურადღებას ამახვილებს ქვემო სამეგრელოსა და სამურზაყანოს მასალებში გამოვლენილ ახალ გარემოებაზე, კერძოდ, -ნა//ნო- სახელებისაგან აწარმოებს წინავითარების სახელებს, ხოლო ზმნებისაგან – წარსული დროის მიმდებარებს. ო-, როგორც ქართულ-ზანური ნა- არქტიპის კანონზომიერი შესატყვისი, უძველესია მეგრულისათვის, ხოლო ნა-ქართულიდანაა შეთვისებული სალიტერატურო ენისა და დასავლურ-ქართული დიალექტების უშუალო გავლენის გზით. შრომის ავტორი აქვე გამოყოფს -იან და -ობა სუფიქსებს, როგორც ქართულიდან შეთვისებულს და ადასტურებს -ობა სუფიქსის აბსტრაქტულობას და მიუთითებს მის რეინტერპრეტაციაზე კონკრეტული მრავლობითი რიცხვის ნიშნად (გვ. 32-36).

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ავტორი ქართველური ოიკონიმური სისტემის შესწავლას და აღნიშნავს, რომ ქართველთა – ქართების, სვანების, ლაზ-მეგრელების სოფლები, ჩვეულებრივ, შედგება ერთმანეთის მიმდებარე ან გეოგრაფიულად მცირედ იზოლირებულ მიკროდასახლებათაგან – უბნებისაგან და მათ აღსანიშნად გვთავაზობს ტერმინს მიკროოიკონიმი, როგორც მიკროტოპონიმის ნაწილს.

ავტორი ონომასტიკას ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უსახავს, გამოავლინოს საერთოქართველური და ლოკალური ოიკონიმური სისტემები, რაც შესაძლებლობას მისცემს ოიკონიმთა წარმოქმნის პროცესის ისტორიულ რეკონსტრუქციას. ავტორი ქართველური მიკროოიკონიმის კლასიფიკაციის სქემას გვთავაზობს და გამოყოფს ორ ძირითად ჯგუფს: პირველადი ნომინაციის მიკროოიკონიმები და მეორეული (გაშუალებული) ნომინაციის მიკროოიკონიმები (სხვა ობიექტთა სახელები, რომლებიც კონვერსიის ან მეტონიმის გზით იქცნენ მიკროდასახლებების სახელებად). თავის მხრივ, ავტორი პირველადი ნომინაციის მიკროოიკონიმებს დაყოფს ორ ძირითად ქვეჯგუფად მოტივირების საშუალებათა მიხედვით: ოიკონიმური ტერმინებით მოტივირებული (შოშიანთ

უბანი, ბაზრისუბანი) და ოიკონიმთა მაწარმოებელი აფიქსით (ქართ. -ეთ, მეგრ. ლე- და სა- პრეფიქსებით: ლე-გვალი-ე, სა-ცან-ო) მოტივირებულნი. ავტორი აქვე გამოყოფს მოტივირებულ ოიკონიმთა ოთხ ნომინაციურ-სემანტიკურ ტიპს: 1. პოსესიურნი, ანუ ჯგუფური განკუთვნების გამომხატველნი; 2. გეოგრაფიული მიმართების გამომხატველნი; 3. ქრონოლოგიური და მოცულობითი მიმართების გამომხატველნი; 4. ექსპრესიულნი, ანუ შეფასებითნი (ვარდისუბანი, ძაღლისუბანი...).

ავტორი დაასკვნის: პირველადი ნომინაციის მიკროოიკონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოტივირებულია საგანგებო ოიკონიმური ფორმანტით, ანუ აფიქსით. სამეგრელოში მიკროოიკონიმთა 9% მოტივირებულია ოიკონიმური ტერმინებით, 12% – კონვერსიით და მეტონიმით, 77% – ლე- დას ა- პრეფიქსებით სხვადასხვა სუფიქსის თანხლებით (გვ. 42).

მეორეულ ნომინაციაში ავტორი გამოყოფს მიკროოიკონიმთა კონვერსიულ წარმოებას, ანუ ადამიანთა ჯგუფის აღმნიშვნელი სიტყვის გადაქცევას იმ ადგილის სახელად, სადაც ეს ჯგუფი მოსახლეობს, და მეტონიმას, ანუ სახელწოდების გადანაცვლებას ერთი ობიექტიდან მეორეზე.

ძალზე მნიშვნელოვანია შრომის ის ნაწილი, სადაც ავტორი განიხილავს გვართა დასახლებებს სამეგრელოში. იგი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სხვადასხვა ხალხისა და ენის ტოპონიმების კვლევა-ძიებამ ცხადი გახადა, რომ ანთროპონიმები (გვარსახელეები, პირსახელეები, პატრონიმული სახელეები, ინდივიდუალური და ჯგუფური მეტსახელეები, ზედწოდებანი) განსაკუთრებით ხშირად მონაწილეობენ დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ფორმირებაში. ლოგიკურია და სრულიად მართებული ავტორის მიერ ტოპონიმების მიმართ დასმული ორი მთავარი კითხვა: რატომ დაერქვა? და როგორ დაერქვა? ავტორი ამ კითხვებს ლაკონურად და ყოველგვარი გაბუნდოვანების გარეშე პასუხობს. პირველი კითხვის პასუხს უკავშირებს ექსტრალინგვისტურ სფეროს და მოტივაციის პრობლემებს. მეორე კითხვის პასუხს კი ლინგვისტურ სფეროს მიაკუთვნებს და ნომინაციის ენობრივი საშუალებების დადგენას გულისხმობს.

დისერტანტი ანთროპოლოკონიმა სამ ჯგუფს გამოყოფს: უაფიქსონი (პრიმარულნი), აფიქსიანი (დერივაციულნი) და შედგენილნი (კომპოზიტები). უაფიქსონი მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება და, ავტორის თქმით, საბჭოთა პერიოდში მათი წარმოქმნა ხელოვნურად, ხელისუფლების განკარგულებით ხდებოდა. ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს ლე- და სა- პრეფიქსიანი ოიკონიმების ლოკალიზაციის ადგილებს და გამოყოფს სამ ზონას: ლე- პრეფიქსი უპირატესად მთიანი სამეგრელოს ძირითად ნაწილშია ლოკალიზებული, დაწყებული ეგრისის ქედის წინა მხრიდან 25-30 კმ-ზე, სა- პრეფიქსი კოლხეთის დაბლობის იმ ნაწილში, რომელიც იწყება ზღვისპირეთიდან და გრძელდება აღმოსავლეთით 10-15 კმ. მესამე – ეს არის გარდამავალი ზონა, სადაც ერთმანეთის გვერდით გვხვდება ლე- და სა- პრეფიქსები.

შრომის ავტორი წარმოგვიდგენს მეგრულ ჰიდრონიმა ძირითად ნაწილს სემანტიკური ჯგუფების მიხედვით. თითოეული ჯგუფი ილუსტრირებულია მდიდარი და უნიკალური მასალით, რომელიც ამავე დროს დაყოფილი აქვს შემდეგ ფენებად: საერთო მეგრულ-ქართული მასალა; მეგრულ-დასავლურქართული, მეგრული და არაქართველური ენებიდან ნასესხები. აქვე განიხილავს ავტორი მეტონიმის როლს ჰიდრონიმა წარმოქმნაში და მოჰყავს ამ გზით წარმოქმნილ ჰიდრონიმა ტიპური მაგალითები. ჰიდრონიმული მეტონიმის ორი გზა ავტორს კვალიფიცირებული აქვს შემდგენიარად: 1. საზოგადო სახელი → ჰიდრონიმი და 2. საკუთარი სახელი (გეოგრაფიული სახელწოდება) → ჰიდრონიმი.

ავტორის მიერ გამოვლენილი მდიდარი ტოპონიმური მასალა საშუალებას აძლევს მას, დაადგინოს ახალი ქართულ-მეგრული ფუძეთშესატყვისობანი, რომელთაგან ზოგი შეიძლება საკამათოც იყოს, მაგრამ შრომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს და ვთვლი, რომ სამაგალითოა ონომასტიკაში მომუშავე მკვლევართათვის.

ავტორი ცალკე ქვეთავს უძღვის მეგრული ტოპონიმის ლექსიკას, აქაც მასალის მრავალფეროვნება მისაბძია. ავტორის თვალსაზრისით, „მეგრულ ტოპოლექსემებში, გარდა საკუთრივ მეგრულისა, გამოიყოფა ოთხი ფენა: ა) არქაული ლექსიკა (ლექ-

სემები, რომელთაც მოეპოვებათ ქართული ფუძეთშესატყვისობანი); ბ) ძველი ქართული ლექსიკა; გ) დასავლურქართული დიალექტური ლექსიკა; დ) უცხოენოვანი ლექსიკა.

შრომაში ცალკეა წარმოდგენილი მეთევზეობის ლექსიკა, რომელიც შესაშური მეცნიერული სკრუპულოზურობით არის დაჯგუფებული: 1. თევზჭერის იარაღები და მოწყობილობანი; 2. თევზჭერის ადგილები; 3. თევზჭერის ხერხები და მეთოდები; 4. ტოფობის ადგილები; 5. თევზის სახელწოდებანი.

სპეციალური თავი ეძღვნება სამურზაყანოს ისტორიულ და თანამედროვე ტოპონიმებს. შრომის ამ ნაწილში წარმოდგენილია სამურზაყანოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. ავტორი დაასკვნის: „სამურზაყანოს ყველა ტოპონიმი, რომელნიც დამოწმებულია შუა საუკუნეების ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროებსა და რუკებზე და რომელთა ეტიმოლოგიაც შესაძლებელია, არის მხოლოდ და მხოლოდ ქართველური (ქართული, სვანური, მეგრული) წარმომავლობისა“.

შრომის მესამე ნაწილი კოლხური ანთროპონიმული სისტემის შესწავლას ეძღვნება. ავტორის თვალსაზრისით, გვარსახელი როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტია და იგი უნდა შეისწავლებოდეს სამი ასპექტით: ენათმეცნიერული, ისტორიული, ეთნოგრაფიული.

ავტორი ვრცლად განიხილავს კოლხურ გვარსახელთა წარმოების სისტემას და დაასკვნის, რომ კოლხურ გვარსახელთა დაბოლოებანი -ია, -ვა, -უა სხვადასხვა წარმომავლობისაა და მეორეული სუფიქსებია. გვართა ფაქტიური და ისტორიული მაწარმოებელია -ა, ხოლო დღეს ისინი შესაძლებელია რთულ საგვარსახელო სუფიქსებად ჩავთვალოთ.

გვართა ჩამოყალიბება ზანურში (კოლხურში) დაიწყო ლახებისა და მეგრელების განცალკევებამდე (ე. ი. VIII საუკუნემდე) და შემდეგ გრძელდებოდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ერთნაირი ყალიბითა და სისტემით.

შრომის ბოლო თავში ავტორი განიხილავს ზოონიმთა მოტივირებისა და სტრუქტურის ძირითად საკითხებს. დისერტანტი ასე განმარტავს ზოონიმებს: „ზოონიმი საკუთარი სახელიცაა და, იმავე დროს, შეიცავს გარკვეულ ინფორმაციასაც დენოტატის რა-

იმე ნიშან-თვისებაზე, ან გამოხატავს სახელმძღვანელოს სუბიექტურ-ემოციურ მიმართებას, ან აღნიშნავს დენოტატთან დაკავშირებულ რაიმე კონკრეტულ შემთხვევას.

შრომის ბოლო აბზაცი, რომელსაც ავტორი თავად უმთავრესი დასკვნის კვალიფიკაციას აძლევს, ასეთია: კოლხური (ზანური) საკუთარი სახელის ფონეტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურა, სემანტიკა, მოტივაციისა და სახელდების პრინციპები ძირითადად ისეთივეა, როგორც ქართულსა და სვანურში, რაც კი არ გამოირიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს დიალექტურ და ზოგ შემთხვევაში ვიწროლოკალურ თავისებურებებს.

დისერტანტის მიმართ მაქვს რამდენიმე შეკითხვა და შენიშვნა:

1. მე-13-ე გვერდზე დისერტანტი წერს: „ტოპონიმთა ფორმოლოგიი კლასიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია ფონემატური სტრუქტურის დადგენა, ფონეტიკურ თავისებურებათა კვლევა და ფონეტიკური პროცესების ანალიზი“. ვეთანხმები დისერტანტს, მაგრამ ფრაზა „ფონემატური სტრუქტურის დადგენა“ უმართებულოა. დისერტანტი ალბათ გულისხმობდა ფონემათა სინტაგმატური მიმართებების დადგენას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ნებისმიერი ენის ფონემატური სტრუქტურის კვლევისას, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს ენის ფონოლოგიური სისტემის წარმოჩენას პარადიგმატულ და სინტაგმატურ ასპექტებში. ამ თვალსაზრისით ონომასტიკურ კვლევას ბევრი რამის წარმოჩენა შეუძლია, მაგრამ ფონემატური სტრუქტურა კვლევის სულ სხვა მეთოდებს გულისხმობს.

2. ავტორის მიერ მოპოვებული ონომასტიკური მასალა საშუალებას აძლევს მას, გარკვეული კორექტივი შეიტანოს იმ დასკვნებში, რომელიც დღემდეა გაბატონებული რედუქციასთან დაკავშირებით მეგრულში. ძირითადად მხედველობაში ჰყავს ა. შანიძე, ს. ქლენტი, ვ. თოფურია. მე მაინტერესებს, რას გულისხმობს თავად ავტორი საერთოდ რედუქციაში? ჩათვლება რედუქციად ხმოვნის ამოვარდნა, თუ მან არ გაიარა რედუქციის პირველი საფეხური, მით უმეტეს, რომ ავტორს თვითონ აქვს დადასტურებული ოჰჰკად(გ)რე → ნა-ოჰჰკადრე „ადგილი, სადაც სამ-

ჭედლო იდგა“; ქირი „ქორი“ → ო-ქ(ღ)რეში; მაჟ(ღ)რა „მეორე“, ლიმს//ლგმა „ომი, ბრძოლა“ → ნა-ლ(ღ)მა, კითამია „ჭაობის კანაფი“ → ო-კ(ი)თამიე – ჭაობნარი. ამ უკანასკნელში უნდა გვქონდეს ფორმა ო-კვთამე, სადაც ი ხმოვნის ადგილს ირაციონალური გ ხმოვანი იკავებს.

სწორია ავტორი, როდესაც ამბობს რომ რედუქციას ექვემდებარება ყველა ხუთი სრული ხმოვანი, მაგრამ გაუგებარია მათ რიცხვში ირაციონალური გ ხმოვნის მიჩნევა, ის ხომ თავად არის რედუქციის შედეგი – ი → გ, უ → ჯ რედუქციაა.

3. ავტორის მოსაზრებას, რომ „მეგრულში პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებისას სიტყვის მთავარი მახვილი პრეფიქსზე გადადის...“ (გვ. 20), ვფიქრობ, უნდა ახლდეს მითითება გ. ახვლედიანზე, სადაც ის პირდაპირ ამბობს, რომ „ამაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „მარედუცირებელი“ ხმოვნით შეიძლება იწყებოდეს მხოლოდ მაწარმოებელი ელემენტი; ე. ი. „მარედუცირებელი“ ძალა აქვს მხოლოდ მაწარმოებელ ელემენტს... ქართულში მოქმედი რედუქცია გამძლეა იმიტომ, რომ ის მორფოლოგიზებულია და სემანტიზებული მთლიანად...“ (გ. ახვლედიანი, საფუძვლები, გვ. 216).

4. ავტორს 29-ე გვერდზე მოჰყავს ერთ ფუძესთან გამოყენებული სხვადასხვა მაწარმოებელი აფიქსები -ავ, -ეთ, -იან, -ოვან (თელავი, თელეთი, თელიანი, თელოვანი) და, თუ არ ვცდები, მიიჩნევს მათ აფიქსთა სინონიმის მაგალითად. ჩემთვის ეს ცოტა ბუნდოვანია და მოითხოვს დამატებით განმარტებას.

5. შრომის ავტორი წერს, რომ ლე- და სა- პრეფიქსები მეგრულში იდენტური ფუნქციისანი არიან: ორივე გამოხატავს დანიშნულებას და ერთიდაიმავე გვარისაგან აწარმოებენ ამ გვარის დასახლების სახელს, რის გამოც ხშირია პარალელური ოიკონიმები: ლე-ჭითან-ე//სა-ჭითან-ო და ა. შ. „მაგრამ სვანური სუბსტრატული მორფემა ლე- ამ ფუნქციით უძველესია (შემორჩენილია ქრისტეს დაბადების შემდგომი პირველი ათასწლეულიდან), ხოლო ქართული სა- (ისევე, როგორც ნა-) შეთვისებულია შუასა-

უკუნეებში დასავლურქართულ დიალექტზე მოსაუბრე მოსახლეობასთან ხანგრძლივი და მჭიდრო მეზობლობა-ურთიერთობის შედეგად, რასაც თან სდევდა სამწერლო და ოფიციალური საეკლესიო-საკანცელარიო ენის გავლენა. დიალექტები ურთიერთშელწევადნი არიან და მე ვფიქრობ, რომ ამ მოვლენის ასეთი ქრონოლოგიური გამიჯვნა არ შეიძლება იყოს არგუმენტირებული, ვინაიდან სამეგრელოში და სვანეთშიც, ისე როგორც მთელ საქართველოში, წერდნენ ქართულად. მეგრულ-სვანური წერილობითი ძეგლები ჩვენ არა გვაქვს. არც -იან სუფიქსის მიმართ გავგაჩნია არგუმენტი, რომ მისი ხმარების ზუსტი დრო დავადგინოთ. იგივე ითქმის ობა-ს მიმართ, რომელიც ძალიან პროდუქტიულია მთელ ქართულ სივრცეში, ხოლო საკუთრივ ზანურში, როგორც ამას შრომის ავტორი აღნიშნავს, მისი ფუნქცია გაზრდილია და, გარდა აბსტრაქტული სახელებისა და ქრისტოლოგიური ტერმინების წარმოებისა, მოხდა მისი რეინტერპრეტაცია კონკრეტული მრავლობითი რიცხვის ნიშნად (გვ. 33-35).

6. „ნოდო“, ავტორის მინიშნებით, ნოდას ვარიანტი ჩანს (გვ. 62). ვეთანხმები ავტორს. შდრ. ლაზ. ნოდა „დაბლობი ადგილი, ნაპირი და ქართ. ნოყა, ნოყო „ჭაობიანი ადგილი, დაბლობი, ნაპირი“. ძირი რეკონსტრუირებულია კლიმოვის მიერ (ЕТИМ. СЛОВ., გვ. 42). ყ-სთან ღ-ს მონაცვლეობა ლაზურ-მეგრული ერთიანობის პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს (იხ. შრომის გვ. 103). ეს არის საერთოდ ქართ. ნოყ-, რომელიც ღ რეფლექსით ვლინდება.

7. მინდა საგანგებოდ შევჩერდე ავტორის მიერ წარმოჩენილ და გაანალიზებულ იმ მასალაზე, რომელიც უადრესად მნიშვნელოვანია ზანურში ფონემათა სინტაგმატური მიმართებისა და ფონოტაქტიკის წესების თვალსაზრისით. მისი მონაცემები მთლიანად ცვლიან თანხმოვან-ორწვერიანი კანონიკური ჯგუფების სტრუქტურულ სქემას. მართალია, ე. წ. არაკანონიკურ კონსონანტურ ჯგუფთა წარმოქმნა მორფემათა შესაყარზე მიმდინარეობს და მათი ქრონოლოგია ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ დადგენილი წესებით მათი გარდაქმნა რომ არ მოხდა, ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი: ღღ - თფ - ვცხ - კთ - ვნ - ტრ - ქრ - ზმ - ჭრ - წმ - კლ - ჟრ - სმ - ჩგ - კრ - შმ ჯგუფთაგან ავტორის მონაცემებით 60% მოდის ჩქამიერი სონორთან სტრუქტურის ჯგუ-

ვებზე, ხოლო 30% – სონორი ჩქამიერთან, რაც სრულიად მოულოდნელი იყო.

8. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავტორის მიერ გამოვლენილ ჰაპლოლოგიის შემთხვევებს და მათ კლასიფიკაციას ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის შესწავლისათვის, განსაკუთრებით მარცვლის შედგენილობისათვის. ორი მაგალითი მოითხოვს ახსნას: 1. პი(ჯი)შ (ო)ქოსალ → პიშქოსალი – განმსგავსება ხდება პიჯიშ-ის ორ ი-ს შორის და ამავე დროს ოქოსალის ორ ო-ს შორის? წანამოწანა → წამოწანა დისტანციურია, რაც იშვიათობაა, თუ აქ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე; და კიდევ: საიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჰაპლოლოგიის ძირითადი მიზეზი არის ძლიერი მახვილი.

9. გვ. 70-ზე ავტორი წერს: ჰიდროგრაფიული ტერმინები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართველური წარმოშობისაა. გამოყოფა ოთხი ფენა: საერთო მეგრულ-ქართული, საერთო მეგრულ-დასავლურქართული და ა. შ. ეს გამონათქვამი არ მესმის. ვფიქრობ, დაზუსტებას მოითხოვს.

10. შრომის ავტორი სპეციალურად ეხება ქრისტოლოგიური ტერმინის გავრცელების საკითხს მეგრულში. ნაშრომის 189-ე გვერდზე ვკითხულობთ: „როგორც ცნობილია, ქრისტიანობამ ბევრი შეითვისა მითრიაზმისაგან, მათ შორის მკვდრეთით აღდგომის იდეაც. მითრა წარმოდგენილია როგორც მზე-ღმერთი, რომელიც ქვეყნიერებას სიცოცხლესა და სინათლეს ანიჭებს. ქრისტეც, ადრინდელი ქრისტოლოგიური ლიტერატურით, არის „ნათელი ნათლისაგან“, „მზე სინათლისა“... პავლე მოციქულს ქრისტეს ხილვა უდიდესი ნათლის ხილვად აქვს წარმოდგენილი: „მეცხეულად ზეცით გამობრწყინდა ნათელი დიდი ჩუენ ზედა“. მაშასადამე, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა ჩვენმა კოლხმა წინაპრებმა გაიაზრეს როგორც ცისკრის მოვლინება, როგორც ნათლის დადგომა, ანუ გათენება მთელი კაცობრიობისათვის, რაც აღინიშნა კიდევ „თანაფა“, „გათენება“ ტერმინით, რომელიც შეუნაცვლეს ბერძნულ ქრისტოლოგიურ ტერმინ ანასტასისს“ (გვ. 189).

მითრას კულტი ძალზე ძველია. ის ჯერ კიდევ ვედური პერიოდის ღმერთებთან ითვლებოდა ერთ-ერთ ასურად, რაც ირანულ

აპურას შეესატყვისება. გადაჭრით თქმა იმისა, რომ მან მოახდინა გავლენა ქრისტიანობაზე, საკამათოა, მითუმეტეს, რომ განასხვავებენ დასავლური ტიპის მითრას კულტს, რომელიც გავრცელებული იყო მესოპოტამიასა და მცირე აზიაში და აქედან შევიდა რომის იმპერიაში და ზოროასტრულ მითრანიზმში.

შრომის ავტორს მოჰყავს სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებანი ბერძნული ენის გამოყენების შესახებ ქრისტიანობის დამკვიდრების პერიოდში, განსაკუთრებით ეს ეხება დასავლეთ საქართველოს. მე მაინტერესებს ბ-ნ პაატა ცხადაიას აზრი, როგორ წარმოუდგენია მას ქრისტიანული რელიგია ან ქადაგება იმ ხალხისათვის, რომელმაც ბერძნული არ იცის? ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა ჰოლანდიელი მეცნიერის ი. ვან ორთის გამოკვლევა „ებრაული დიასპორის როლი ქრისტიანობის დამკვიდრებაში“. მოხსენება წარმოდგენილია საერთაშორისო სიმპოზიუმზე: „ადრექრისტიანობა და საქართველო“, თბილისი-მცხეთა, 10, 1991. ი. ვან ორთი დაასკვნის: „კართაგენის სინაგოგაში სეპტუაგინტა ბერძნულად იკითხებოდა. იგი დაუყოვნებლივ ითარგმნებოდა ლათინურად და ყველას შეეძლო მისი გაგება. ასეთი ვითარება იყო მეორე საუკუნის დასასრულს და შესაძლოა უფრო ადრეც“. არ არის გამორიცხული იგივე პრაქტიკა საქართველოში.

და ბოლოს მინდა ვთქვა, რომ პაატა ცხადაიას შრომა „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში“ უადრესად მნიშვნელოვანი შენაძენია არა მარტო ენათმეცნიერებისათვის. ქართული საისტორიო გეოგრაფიის ვერცერთი სპეციალისტი მას გვერდს ვერ აუვლის. ეს არის პირველი ვრცელი მონოგრაფია, რომელიც ეძღვნება ზანური, კერძოდ, მეგრული ტოპონიმის პრობლემურ საკითხებს. ავტორი ყველა თავისი დებულების ილუსტრირებას ახდენს მდიდარი ენობრივი მასალით.

ეს შრომა არის წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი კოლხური ონომასტიკის არა მარტო აღწერითი, არამედ მეცნიერული შესწავლის გზაზე, სადაც ავტორი ონომასტიკურ პრობლემათა განაალიზებისას დაჟინებით მოითხოვს არა მარტო სკრუპულოზურ ლინგვისტურ ანალიზს, არამედ საკითხის ექსტრალინგვისტური პოზიციებიდან გაშუქებას აგრეთვე.

მე ვთვლი, რომ სადისერტაციო ნაშრომის თითოეული თავი ცალკე შრომად უნდა გამოიცეს და ილუსტრირებული უნდა იყოს ავტორის მიერ მოპოვებული უნიკალური მასალის სრული კორპუსით, რათა არ დაიკარგოს არცერთი ონომასტიკური ერთეული, როგორც ისტორია. ერთია ფაქტები აღნუსხული, შეგროვილი და შენახული საცაგებში და მეორეა მათი ქმედითობა მეცნიერულ სივრცეში, სადაც ის სხვადასხვა ინტერპრეტაციის ობიექტი ხდება.

პაატა ცხადაიას სადოქტორო დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახულია ავტორის გამოქვეყნებულ შრომებში. ნაშრომი სავსებით აკმაყოფილებს სადოქტორო დისერტაციის მოთხოვნებს და მე ვშუამდგომლობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 10.01. №7 სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა პაატა ცხადაიას მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი“.

პ. ცხადაიას სადოქტორო დისერტაციის ზოგ ძირითად დებულებასთან დაკავშირებით ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართველური ენების ცნობილი სპეციალისტის, პროფ. ნათელა ქუთელიას მოსაზრებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

პირველი შენიშვნა ფაქტობრივად წარმოადგენს პაატა ცხადაიას დისერტაციაში, ჩვენი აზრით, უნებურად გაპარული უზუსტობის გასწორებას. ვგულისხმობთ ფრაზას: „ფონემატური სტრუქტურის დადგენა“. რა თქმა უნდა, ენის ფონემატური სტრუქტურა, ფონოტაქტიკური წესები, ყალიბდება ათასწლეულების მანძილზე და ჩვენ გვეძლევა მზამზარეული სახით, ხოლო მკვლევარს შეუძლია მხოლოდ მისი კვლევა და გამოვლენა. ამიტომაც სრულიად მართებული იქნებოდა აღნიშნული ფრაზის ასე შეცვლა: „ფონემატური სტრუქტურის გამოვლენა“.

რედუქციასთან დაკავშირებით პროფ. ნ. ქუთელია სვამს კითხვას: „რას გულისხმობს თავად ავტორი საერთოდ რედუქციაში? ჩაითვლება რედუქციად ხმოვნის ამოვარდნა, თუ მან არ გაიარა რედუქციის პირველი საფეხური?“ რედუქცია არის ის ფონეტიკური პროცესი, რომელიც, ტრადიციულად, გულისხმობს ბგერის ზოგიერთი ნიშნის (სიგრძის) შემცირება-შემოკლებას, ბგე-

რის დასუსტებას, რაც ხმოვნებში გამოწვეულია უმახვილობით (ე. წ. **რაოდენობითი რედუქცია**), რის შედეგადაც ეს ბგერა ამავე ენის სხვა ბგერად იქცევა ან ქრება, მაგალითად: მაწონი → მაწონის, მელანი → მელნის¹. თუ ბგერის სიგრძის შემცირება-შემოკლება გამოწვეულია არტიკულაციით, მაშინ რედუქცია **თვისებითა** – სიტყვის ბოლო ბგერას აკლდება სიძლიერე, სიგრძე... ქართულში ა და ე ხმოვნების რედუქცია აშუამად მყისიერია, დასუსტება და დაკარგვა ერთდროულად ხდება და რაიმე დასაბუთება იმისა, რომ ოდესღაც ასე არ იყო, არა გვაქვს. რედუცირებული ო-ს, ე. ი. **ფ-ს** დაკარგვა გამოწვეულია სხვა ფონეტიკური პროცესით (იკარგება ლაბიალურ ბგერებთან); თანაც რედუქციის ორსაფეხურიანობა გულისხმობს ხმოვნის ისევე ხმოვნად გადაქცევას, რისი მრავალი მაგალითი მოჰყავს რუსული სინამდვილიდან გ. ახვლედიანს: голова → глава. თანხმოვნების რედუქცია: დიალექტში ს → ჰ → Ø (ამისთანა → ამიჰთანა → ამითანა); მისდევს → მიზდევს → მიიდევს → მიდევეს; ან ლ, რ დაკარგვა ორ თანხმოვანს შორის (ბრძოლა → ბძოლა) ან კიდევ დეზაფრიკატიზაცია.

ვფიქრობთ, ქნ ნათელა ქუთელიას აინტერებდა ნეიტრალური გ ხმოვნის საკითხი (იოსებ ყიფშიძე მას ნახევარხმოვანს უწოდებდა; არნოლდ ჩიქობავამ ზუგდიდურ-სამურზაყანულ მეტყველებაში დადასტურებულ გ-ს მეორეული უწოდა; ს. ჟღენტის აზრით, ეს გ არის მეორეული ნეიტრალური ბგერა, კერძოდ, დელაბიალიზებული უ; გიორგი როგავა იყენებდა ტერმინს – ირაციონალური).

ვაქტია, რომ მეგრულში ნეიტრალური გ ჩაენაცვლება უ-ს (გურუნი → გგრზნი, დოხანტ-უ → დოხანტ-გ), ო-ს (მტკიცებით ქო ნაწილაკთან, დო, გო ზმნისწინებთან: ქოდანთხუ → ქგდანთხ-გ, გო-მ-ო-თანაფ-უ → გგ-მ-ო-თანაფ-უ), -ი-ს (ხასილა → ხასჯლა...). მეგრული ტოპონიმიამ გამოავლენს ხმოვნის ორსაფეხუ-


¹გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999, 214.

რიანი რედუქციის ზოგ ფაქტს: ჭკადუა „ჭედვა“ → ო-ჭკად-ურ-ე „სამჭედლო“ → ო-ჭკადღრ-ე → ნა-ოჭკადღრე (ტოპ); ლიმა//ღმა ნაღმა//ნაღმა (ტოპ. ნაღმაკოკი). ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში შეიძლება საუბარი რედუქციის ორსაფეხურიანობაზე. მეორე საფეხურზე ირაციონალური გ-ს დაკარგვას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ თანხმოვნები, რომლებიც ერთმანეთის მეზობლად აღმოჩნდებიან, შეგუებადნი არიან. ამის მიუხედავად, ეს საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ოპონენტს გაუგებრად ეჩვენება რედუცირებადი ა, ე, ი, ო, უ ხმოვნების გვერდით ნეიტრალური გ-ს დასახელებაც, რადგანაც იგი თავად არის რედუქციის შედეგი.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ნეიტრალური გ ყოველთვის არ არის რედუქციის შედეგი. იგი შეიძლება იყოს ჩანართი (ბრმა → ბგრმა, საქმე → საქმე). ჩნდება ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შუა. მაგ.: ბალი → ბაღ-ღს, ბაღღ-ქ), დაერთვის სიტყვის ბოლო თანხმოვანს (მიდართეს-ღ, ჯიმაღ-ღ), ჩაერთვის -ნი კავშირის წინ (გაკეთესღ-ნი „რომ გააკეთეს“).

გ იშვიათად ფონემაცაა, აქვს სიტყვათგანმასხვაებელი ფუნქცია. მაგ.: ტღ „ცური“ – ტი „ტილი“, ჭღ „ნაწლავი“ – ჭუ „მწველი“ (თოჭუ)... ალბათ ყოველივე ამის გამო ზანურის ხმოვანთა სისტემაში გამოყოფენ ხუთ მარტივ ხმოვანს – ა, ე, ი, ო, უ, ირაციონალურ გ ხმოვანს და ო ნახევარხმოვანს (ა. კიზირია, ქსე), რაც სქემაში ასეა გამოხატული:



ოპონენტის მესამე შენიშვნა შემდეგია: „ავტორის მოსაზრებას, რომ მეგრულში პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებისას სიტყვის მთავარი მახვილი პრეფიქსზე გადადის“ (გვ. 20), ვფიქრობ, უნდა ახლდეს მითითება გ. ახვლედიანზე, სადაც ის პირდაპირ ამბობს, რომ „მარედუცირებელი ძალა აქვს მხოლოდ მაწარმოებელ ელემენტს, აფიქსს“. ქართულში ხმოვანთა რედუქციას რომ ფორმათმცვლელი ან სიტყვათმაწარმოებელი მორფემა იწვევს, ეს

უკვე იმდენად არის გამჯდარი ძვალსა და რბილში, რომ მისი აღნიშვნა პ. ცხადიას არც ჩაუთვლია საჭიროდ. ამის გარდა, ნაშრომის იმ ნაწილში პ. ცხადია მსჯელობს მეგრულისათვის კონკრეტულ საკითხზე – პრეფიქსისა და სუფიქსის ერთდროულად დართვისას რომელია მარედუცირებელი, და დაასკვნის, რომ ამ შემთხვევაში სიტყვის მთავარი მახვილი სწორედ პრეფიქსზე გადადის, რაც აადვილებს მომდევნო (იშვიათად მომდევნოს შემდგომი) ხმოვნის დასუსტებასა და დაკარგვას. რედუქცია მეგრულშიც მორფოლოგიზებული და სემანტიზებული ჩანს, იგი მხოლოდ სიტყვაწარმოებასთანაა დაკავშირებული: ჯიხა → ნო-ჯიხ-ონ-ი → ნო-ჯხ-ონ-ი → ნო-ჩხ-ონ-ი (სოფელი ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის თემში).

პროფ. ნათელა ქუთელიას აინტერესებს, რას გულისხმობს პაატა ცხადია აფიქსთა სინონიმიაში? რუსულ ენაზე გამოცემულ „ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ (1990, 447) აღნიშნულია, რომ, ფართო გაგებით, სინონიმები შეიძლება იყვნენ მორფემებიც. იგულისხმება სადერეივაციო მორფემების სიტყვაწარმოებითი ფუნქციის ერთნაირობა, ანუ სემანტიკური ეკვივალენტობა.

ტოპონიმიაში ხშირია ერთსა და იმავე ფუძესთან სხვადასხვა აფიქსის გამოყენება. თავისთავად აქ უკვე გვაქვს ფორმანტა სინონიმურობა იმდენად, რამდენადაც ყველა შემთხვევაში ხდება გეოგრაფიული პუნქტის სახელდება¹.

რაც შეეხება დასახელებულ ტოპონიმებს – თელ-ავ-ი, თელ-ეთ-ი, თელ-იან-ი, თელ-ოვან-ი, აქ სინონიმია გვაქვს მოტივირების ერთგვარობაში. ეს მოტივირება გარეენობრივია, რადგან მას განაპირობებს ობიექტური სინამდვილე – მცენარე „თელა“. თელეთი იგივეა, რაც თელიანი, თელოვანი და ა. შ. სხვა მაგალითი: სინონიმურნი არიან სუფიქსი **-ისა** და პრეფიქს-სუფიქსი **სა-ო**: ტოპონიმიაში ორივე გამოხატავს კუთვნილებას. მაგალითად, პერევი → პერევისა „პერევისთვის განკუთვნილი“ (ახლა სოფე-

¹ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993, 67.

ლია); გარეჯი → სა-გარეჯ-ო „გარეჯისთვის განკუთვნილი“. მეგრულში ამავე მნიშვნელობისაა **ლე-** და **სა-** პრეფიქსები (ლეჭითანე, საჭითანო...).

მეხუთე შენიშვნა შეეხება სვანურიდან და ქართულიდან მეგრულში სიტყვაწარმოებითი ელემენტების (ლე-, სა-, -იან, -ობა) შეთვისების ქრონოლოგიას. ოპონენტი წერს: „დიალექტები ურთიერთშედწევადნი არიან და, მე ვფიქრობ, რომ ამ მოვლენის ასეთი ქრონოლოგიური გამიჯვნა არ შეიძლება იყოს არგუმენტირებული...“ ჯერ ერთი, ამგვარი ქრონოლოგია, ჩვეულებრივ, მიახლოებითია და შეფარდებითი. ამის გარდა, ივარაუდება როგორც ენობრივი, ისე ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორები, რაც თავისთავად არგუმენტირებაა: მაგალითად, მეგრულში **ნო-** პრეფიქსი უწინარესია, ხოლო მისი ქართული შესატყვისი **ნა-** გვიანაა ნასესხები. ასევე, ყოლა-ქონების გამოსახატავად მეგრულს მოეპოვება **-ამ** სუფიქსი. ი. ყიფშიძის მაგალითები: ჩილაში „ცოლიანი“, ფარაში „ფულიანი“, კოტუაში „ქოთნიანი“, ჯიმუაში „მარილიანი“ და სხვ. ხოლო ამ ფუნქციით -იან, რა თქმა უნდა, გვიანაა შეთვისებული და მისი გამოყენების არე ძალზე შეზღუდულია, როგორც საზოგადო ლექსიკაში, ისე ტოპონიმთა წარმოებაში. **ჭვიჭვიანი** „წიწვიანი“ ერთგვარად უჩვეულოა და ქართული „წიწვიანის“ გავლენით ჩანს წარმოქმნილი. იგივე შეიძლება ითქვას რიცხვითი შემცველობის სახელების წარმოების მიმართ, როგორიცაა: **შქვითიანი, ჩხორიანი, ვითაართიანი...** სწორედ ამ გარემოების გამო შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **-იან** ბოლო ასწლეულში ჩანს გააქტიურებული მეგრულში. არნოდდ ჩიქობავაც აღნიშნავდა, რომ მეგრულში ლე- პრეფიქსით გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოება უფრო ძველია, ვინემ სა- პრეფიქსით¹.

როცა პაატა ცხადაია წერს, რომ სა- და ნა- შეთვისებულია შუა საუკუნეებში, ეყრდნობა ორ გარემოებას:

ა) დიალექტთა ურთიერთშედწევადობა-ინტერფერენცია უფრო ინტენსიურია სასაზღვრო ტერიტორიაზე. სა- და ნა- კი მთელ სამეგრელო-სამურზაყანოს მოიცავს.

¹არნ. ჩიქობავა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIX, თბ., 1974, 71.

ბ) სალიტერატურო და საეკლესიო ენის გავლენა კი დიალექტის გავრცელების მთელ რეგიონს მოიცავს. ასეთი გავლენა ქართულისა მეგრულზე განსაკუთრებით გაძლიერდა სწორედ შუა საუკუნეებში – დაწყებული დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო გაერთიანებით, რასაც მალე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება მოჰყვა. ესაა ისტორიული არგუმენტირება.

გეოგრაფიულ არგუმენტირებაზეც გავამახვილებთ ყურადღებას: კოლხეთის მოსახლეობის მასობრივი დასახლება და ერთი გვარისაგან შემდგარი სოფლებისა თუ უბნების წარმოქმნა ინტენსიური ხდება სწორედ შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით, გვიან შუა საუკუნეებში. ამ დროს კი ქართულიდან უკვე შეთვისებული იყო სა-პრეფიქსი. ამიტომაც ზღვისპირეთში მხოლოდ სა-პრეფიქსიანი ანთროპოლიკონიმები გვხვდება, მთიან სამეგრელოში კი, რომელიც ესაზღვრება სვანეთს, ძირითადია ლე-პრეფიქსი.

ნ. ქუთელიას მეექვსე შენიშვნა შეეხება ზანური **ნოღა** და ქართული **ნოყა** ლექსემების ურთიერთმიმართების საკითხს. გ. კლიმოვი მათ კანონზომიერ შესატყვისად თვლის და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ადადგენს ***ნოყა** არქტიპს. მაგრამ ზ. სარჯველაძე თვლის, რომ ქართული ნოღა და მეგრულ-ლაზური ნოღა კანონზომიერი შესატყვისებია და ადადგენს ***ნოღ-** არქტიპს. ამაზე მითითებით პ. ცხადაია წერს: „მაშასადამე, ნოყა სხვა ფუძეა“ და გამოთქვამს ვარაუდს, რომ მეგრულ ტოპონიმიაში გამოვლენილი ნოღო-ს შესატყვისია.

მეშვიდე შენიშვნაში ფაქტობრივად მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ პატივცემული ოპონენტისათვის მოულოდნელია არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსები, როგორცაა, მაგალითად, თფ (თიფუა → ოთიფურე → ოთფურე „სათიბი“), ქრ (ქერი → ოქერეში → ოქრეში). ასეთი თანხმოვანთკომპლექსები, რა თქმა უნდა, ანლაუტში შეუძლებელია. ამის გარდა, ამ შემთხვევაშიც ხდება ლტოლვა კანონიკური ფონოტაქტიკისაკენ. მაგალითად, ჯიკი → ო-ჯიკეში → ოჯკეში; ჯიხა → ნო-ჯხ-ონ-ი → ნოჩხონი...

ოპონენტის მერვე შენიშვნა შეიცავს ორ კითხვას: ერთს – ჰაპლოლოგიის კონკრეტულ მაგალითებთან დაკავშირებით, და მეორეს – ჰაპლოლოგიისა და მახვილის ურთიერთკავშირის შესახებ.

ა) კითხვა: პი(ჯი)შ (ო)ქოსალი → პიშქოსალი – განმსგავსება ხდება პიჯიშ-ის ორ ი-ს შორის და, ამავე დროს, **ოქოსალის** ორ **ო-ს** შორის? პასუხი შეიძლება ასეთი იყოს: კომპოზიტის მეორე კომპონენტში მომხდარა ორი ერთნაირი ხმოვნიდან ერთ-ერთის დისიმილირება (რეგრესული), ოღონდ მას შემდეგ რაც „ოქოსალი“ კომპოზიტის წევრად იქცა. აქ ჰაპლოლოგია არა გვაქვს.

გიორგი ახვლედიანი ჰაპლოლოგიად თვლის „დისიმილაციურად სიტყვიდან მარცვლის ამოვარდნას“. მაგრამ დაისმის კითხვა: მარცვლის ამოვარდნა ერთდროული პროცესია თუ ხმოვანი და თანხმოვანი ცალ-ცალკე იკარგება? გ. ახვლედიანი განიხილავს ჰაპლოლოგიურებულ ფორმებს: ბიძი(ს)ცოლა → ბიცოლა, ფეხშიშველა → ფეხშველა, და აკეთებს კომენტარს: „დისიმილაციურად ამოვარდნილ თანხმოვანს (ძ-სა და ც-ს) **გადაჰყვა** ხმოვანიც¹.“

მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, ეს „გადაყოლა“ მაშინვე ხდება თუ დროთა განმავლობაში? ზემოთ დასახელებული პიშქოსალის მიღების ორი განსხვავებული გზა არსებობს: 1. პიჯიშ ოქოსალი → პი(ჯი)შქოსალი → პიშქოსალი; 2. პიჯიშ ოქოსალი → პიჯიშქოსალი → პიჯშქოსალი → პიშქოსალი.

ბ) კითხვა: საიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჰაპლოლოგიის მიზეზი არის ძლიერი მახვილი? პასუხი: ჰაპლოლოგია ყოველთვის ხდება მაშინ, როცა: 1. ფუძეს დაერთვის პრეფიქსი (ნა-კიანი, ღერწუმე, სა-თუთუმ-ო → სათუთო „ყალიონი“); 2. ერთი ფუძე უერთდება მეორეს: პაპაჭკორი → პაჭკორია, ნოსა დიდი → ნოსადი „ბიცოლა“, მამამთავარი → მამანთარი → მანთარი (ტოპ.).

¹გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 204.

ორივე შემთხვევაში წარმოიქმნება ერთი ფონეტიკურ-ლექსიკური ერთეული, ერთი სიტყვა, რის გამოც მთავარი მახვილი თავმარცვალზე გადაინაცვლებს. ეს იწვევს მომდევნო ხმოვნების დასუსტებას, რასაც მოჰყვება რედუქცია და ჰაპლოლოგიაც. ამიტომაც დასკვნა შეიძლება იყოს შემდეგი: ჰაპლოლოგიის ძირითადი მიზეზია ძლიერი მახვილი.

მეცხრე კითხვაში ოპონენტი მოითხოვს ორი გამონათქვამის – **საერთო მეგრულ-ქართული ლექსიკა** და **საერთო მეგრულ-დასავლურქართული ლექსიკა** – განმარტებას. სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიაში დადასტურებული ქართული ლექსიკა შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად, ნასესხები ლექსემების სტატუსისა (ესაა სალიტერატურო ენის ლექსიკა) და ტერიტორიული სიახლოვის მიხედვით. მეგრულ ჰიდრონიმიაში ზოგი ისეთი ჰიდროტერმინი აღმოჩნდა, რომელიც მხოლოდ მოსახლურე ქართულ დიალექტებშია გავრცელებული (იმერულში, გურულში, ლეჩხუმურში), მაგალითად: **ნოღა, ღვარღვაცი, შხივი, ბენა, ბინური, მონია...** ამათ პ. ცხადაია უწოდებს საერთო მეგრულ-დასავლურქართულ ლექსიკას; მეორე მხრივ, ჰიდროტერმინთა ერთ ნაწილს ფონემატურ-სემანტიკური შესატყვისები მოეპოვება ქართულში (**ღელე: ღალ, ვება: მენჯი და სხვ.**), ხოლო მეორე ნაწილს – სემანტიკურ-მასალობრივი პარალელები (აბანა, აკლდამა, ლენჯყი და სხვ.). ამგვარი ლექსემები გაერთიანებულია ჯგუფში „საერთო მეგრულ-ქართული ლექსიკა“.

მეათე შენიშვნის პირველი ნაწილი წარმოადგენს პროფ. ნათელა ქუთელიას დამატებით კომენტარს მითრახიმის კულტთან დაკავშირებით, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს შეკითხვას, როგორ წარმოუდგენია პაატა ცხადაიას ქრისტიანული ლიტურგია ან ქადაგება კოლხებისათვის, რომლებმაც ბერძნული არ იცოდნენ? თანაც იმოწმებს პოლანდიელი მეცნიერის – ი. ვან-ოორთის მიერ საერთაშორისო სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენების დასკვნას, რომ კართაგენის სინაგოგაში სეპტუაგინტა ბერძნულად იკითხებოდა და დაუყოვნებლივ ითარგმნებოდა ლათინურად, რათა ყველასათვის გასაგები ყოფილიყო.

მე სიტუაცია ისე წარმომიდგენია, როგორც სამეგრელოში ჩვენი წინამორბედნი შესწრებიან ნახევარი საუკუნის წინათ: ეკ-

ლესიაში წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, მაგრამ სახელში დაბრუნებული მოხუცები ხატის წინაშე წმინდანს შეწვევანასა და პატიებას მეგრულად შესთხოვდნენ, რელიგიურ რიტუალებს მეგრულად ასრულებდნენ (ასეთივე სიტუაცია გვაქვს დღესაც).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ხალხსა და ეკლესიას შორის გადაულახავი ბარიერი აღმართეს კომუნისტებმა, ბიბლიისა და მოძღვრის სწავლა-დარიგების გარეშე გაზრდილი მეგრული ქრისტიანების მთელი თაობები სახელში ინერციით ასრულებდნენ გარკვეულ რელიგიურ რიტუალებს და თავიანთი სიტყვებით მიმართავდნენ უფალს, მშობლიურ ენაზე წარმოთქვამდნენ მარტივ ლოცვებს. შდრ. ერთ-ერთი სოციოლინგვისტური გამოკითხვის შედეგი: „ჭ. ქ. (40: 36: 40: 41) **თი იხვამანქ სინ, ქორთულო ინიებუქო ხვამას, ლოცვას თუ მარგალურო?** /აი, რომ ლოცულობ შენ, ქართულად ამბობ ლოცვას თუ მეგრულად?/

ნ ბ. (40: 41: 40: 44) **მუს იფხვამა ასე, ვარა, მარგალურო, მაგალთო** /რას ვლოცულობ მე ახლა, მაგრამ მეგრულად, მაგალითად.

ჭ. ქ. (40: 44: 40: 45) **მუჭო თქუა, მაგალთო?** /როგორ იტყვი, მაგალითად?/

629-631. ნბ (40: 45: 40: 49-40: 51: 40: 56) ღორონთი, დიხვამუ სკან სახელქ, ღორონთი... თენა, გოუტიბინე ჩქიმ ოჯახის, ჩქიმ სკუალეფს. ასე, იხვამანდუ ჩქიმ მუანთილი, ვარა მა მუს იფხვამა ასე იშენდოიშენი /ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი, ღმერთო... ეს... მიეცი წყალობა ჩემს ოჯახს, ჩემს შვილებს. ახლა, ილოცებოდა ჩემი მამამთილი, თორემ მე რას ვილოცები ახლა მაინცდამაინც/.

632. ჭ. ქ. (40: 56: 40: 59) **მუდგას იხვამანქინ, მუჭო თქუანქე/რასაც ილოცები, როგორ ამბობ?/**

633. ნბ (40: 59: 41: 04) ღორონთი გუტიბინე ჩქიმ ოჯახის ამდღარ ხვამა... /ღმერთო, წყალობა ჰქონდეს /გაუთბე/ ჩემს ოჯახს დღევანდელი ლოცვით.../.

650. ჭ. ქ. (42: 07: 42: 12) **ეკლესიაში მინურქუნ, თექ ხოლო მარგალურო თქუანქო?** /ეკლესიაში რომ შედისარ, იქაც მეგრულად ამბობ?/

651. ნბ (42: 12: 42: 14) **მარგალურო ფთქუანქ** /მეგრულად ვამბობ?/

652 ჭ. ქ. (42: 14: 42: 16) **ოხვამეშა მინურქუნ, თექ მუჭო თქუა?** /სალოცავში რომ შედისარ, იქ როგორ იტყვი?/

653-656. ნბ. (42: 16: 42: 19 - 42: 24: 42: 29) **თექ ხოლო თემ ფთქუანქ ასე**, ღორონთი დიხვამეუ სკანი სახელქ... მარიამ ღვთიშ-შობელი, სკან სახელი ხვამელი, დახა, ღორონთი, სკან ძალა დო სკან ტიბინი ქიმეძინი ჩქიმ ოჯახის, ჩქიმ მოთა დო სკუაშა, დახანინ, ათეს ფთქუანქ, მარგალურო ფთქუანქ /იქაც ისე ვიტყვი ახლა, ღმერთო, დაილოცა შენი სახელი... მარიამ ღვთისმშობელო, დაილოცოს შენი სახელი, ჰო, ღმერთო, შენი ძალა და წყალობა მიეცი ჩემს ოჯახს, შემს შვილიშვილსა და შვილს. ჰო, ამას ვიტყვი, მეგრულად ვიტყვი./

657. ჭ. ქ. (42: 29: 42: 30) **ქორთულო ვარ** /ქართულად არა/.

658. ნბ. (42: 30: 42: 32) **ქორთულო მუშე ფთქუა ასე იშენ დო იშენი** /ქართულად რატომ ვიტყვი ახლა მაინცდამაინც/...¹

679. ჭ. ქ. (43: 49: 43: 50) „მამაო ჩვენო“ ვაიჩქუნო? /„მამაო ჩვენო“ არ იცი?/

680. ნბ. (43: 50: 43: 55) „მამაო ჩვენო“ ჭიჭე მიჩქუ, ბრელი ვარ. არძა ვამიჩქუ „მამაო ჩვენო“ /„მამაო ჩვენო“ ცოტა ვიცი, ბევრი არა. ყველა არ ვიცი „მამაო ჩვენო“².

მართალია, კოლხეთში ბიზანტიის პოლიტიკურ-რელიგიური და ენობრივი ექსპანსიის პერიოდში (VIII-IX სს.) ბერძნული ენის სტატუსი ჯერ სათანადოდ არცაა შესწავლილი, მაგრამ სავარაუდოა, რომ ზოგი ყველაზე აუცილებელი ქრისტოლოგიური ტერმინი ან თუნდაც ცალკეული ფრაზები და მთელი ლოცვებიც კი მეგრულად ითარგმნა და ზეპირად ვრცელდებოდა მორწმუნეთა შორის (ამის შესახებ მსჯელობა ვრცლად იხ. ქვემოთ).

¹ახზგასმა ყველგან ჩემია – ი. კ.

²იხ. კ. გაბუნია, ლ. ეზუგბაია, ჭ. ქირია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში, თბ., 2010, 110-112.

ვფიქრობ, თქმულში მეტ სიცხადეს შეიტანს XIX ს-ის პირველ მესამედში საქართველოში ჩამოსული გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის – ედუარდ აიხვალდის თვალით დანახული საეკლესიო ლიტურგიის ამსახველი ვითარება სამეგრელოში. აიხვალდი წერს: „მე უცნაურად მომეჩვენა, რომ ყველგან, სამეგრელოს ეკლესიებში, ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ასრულებდნენ, რომელსაც სრულებით არავითარი მსგავსება არა აქვს მეგრულთან; ამასთან, ისინიც კი, რომელთაც ქართული არ ესმით, ყველანი დადიან ეკლესიებში და ასეთები ცოტანი არ არიან. განსაკუთრებით ქალებს არ გაეგებათ ქართული ენა, ანდა ცოტოდენი სიტყვები იციან. მე ვადასტურებდი ჩემს გაოცებას, რომ მეგრულ ენაზე არ არის თარგმნილი არც სახარება და არც ზოგიერთი ლოცვანიც კი...“¹.

რასაკვირველია, აიხვალდს ვერ მოეთხოვთ ლინგვისტური ქართველოლოგიის პრობლემური საკითხების დრმა ცოდნას, მაგრამ, ფაქტია, რომ გერმანელი მოგზაური პირუთვნელად გვიხატავს მისი დროის სამეგრელოს ეკლესიებში არსებულ სიტუაციას. აიხვალდი, როგორც ციტირებული ტექსტიდან ჩანს, გაოცებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მეგრულ ენაზე არც სახარება იყო თარგმნილი და არც ზოგიერთი ლოცვანიც კი; თუმცა სამოგზაურო ჩანაწერებში ადგილობრივ მცხოვრებთაგან მიღებულ პასუხსაც გვთავაზობს: მოგზაურისთვის განუცხადებიათ, რომ ლოცვის მეგრულად თარგმნა უფრო მეტად დაცინვის (სიცილის) საბაბი გახდებოდა, ვიდრე შესმენის, რადგან ქრისტიანული რელიგიის ასამაღლებლად მეგრულ ენას არ გააჩნია მაღალფარღოვანი სიტყვებიო...²

ყოველივე ამის შემდეგ ლოგიკურია, დაისვას კითხვა: თუკი XIX საუკუნის I მესამედში ისეთი ვითარებაა, რომ სამეგრელოს ეკლესიებში მრევლს ქართული ენისა არა გაეგებოდა რა, და ქართულის ცოდნა, აიხვალდის თქმით, განსაკუთრებით უცხო იყო მეგრელი ქალებისთვის, რა სიტუაცია უნდა გვქონოდა ქრისტიანული ლიტურგიის ან ქადაგების თვალსაზრისით ახ. წ. III-IV

¹ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ვია გელაშვილმა, თბ., 2005, 190.

²იქვე.

საუკუნეების კოლხეთში (ქალაქ ფაზისთან უმაღლესი რიტორიკული სკოლა-აკადემიის არსებობის ჟამს), ან თუნდაც VIII-IX საუკუნეებში (ეგრის-აფხაზეთში ბიზანტიის პოლიტიკურ-რელიგიური და ენობრივი ექსპანსიის პერიოდში), თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართული ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა, „ბერძნულყოფილი“ საეკლესიო ცენტრების დაარსება, ბიზანტიური კათედრების (ფაზისი/ფოთი, ნიკოფსი, სებასტოპოლისი/ცხუმი, როდოპოლისი/ვარდციხე, საისენე/ცაიში, პეტრა, ზიგანევი/გუდაყვა) ქართული საეპისკოპოსოებით „მოცვლა“ (ჩანაცვლება) თუ ოფიციალურ საერო და სასულიერო ენად ქართულის გაბატონება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე IX-X საუკუნეებიდან ივარაუდება?!

ჩემი აზრით, პასუხი ცალსახა შეიძლება იყოს: III-IV საუკუნეებში, ქალაქ ფაზისის უმაღლეს ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაში, ბიზანტიელი ფილოსოფოსის – თემისტიოსის სიტყვებით (IV ს.) სასწავლებლად, ადგილობრივებთან ერთად, ბერძნებიც ჩამოდიოდნენ. თვით თემისტიოსს და მის მამას – ვეგენიოსს, ფილოსოფიური განათლება ამ სკოლის კედლებში მიუღიათ. ფაზისის ელინურ ტაძარში გამოწრთობილი ადგილობრივი მკვიდრნი ხშირად იმარჯვებდნენ ბერძნებზე რიტორიკული ოსტატობით. საგულისხმოდ მეჩვენება ის ფაქტი, რომ თემისტიოსის სიტყვებში „პონტოს ნაპირზე, ფაზისის მახლობლად“ მდებარე რიტორიკული სკოლა მოიხსენიება როგორც „ელინური და მუზათა ტაძარი“, სადაც, სწავლება, ბუნებრივია, მიდიოდა უცხოელი ასიმილატორების ენაზე. თუმცა ამით როდი გამოირიცხება ელინურის პარალელურად ადგილობრივ, კოლხურ (მეგრულ) ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობაც. მეცნიერებაში არსებული ერთ-ერთი თვალსაზრისი, ბერძნული (ბიზანტიური) ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრ იარაღად ქართული ენისა და კულტურის გამოყენების შესახებ, ნაკლებ სავარაუდოდ მეჩვენება, ვინაიდან, ახ. წ. VIII-IX სს. ლაზიკის სამეფოში მეგრულენოვან მოსახლეობასთან ერთად ქართულენოვანი მოსახლეობის რაიონებისა (იმერეთი, გურია, აჭარა) და, შესაბამისად ურთიერთენობრივი გავლენის არსებობის მიუხედავად, მიმანჩია, რომ ამ დროისათვის ქართულის გავლენა ლაზიკის ადგილობრივ

ან უცხოელ ასიმილატორთა (ბერძენთა) ენაზე მაინც უმნიშვნელო იყო.

ის ფაქტი, რომ მეგრელები და სვანები ისტორიის ასპარეზზე გამოირჩევიან საერთო-ეროვნულ კულტურასა თუ ქართულ სამწერლო ენაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილით, ჩემი აზრით, განპირობებულია მოგვიანო ხანის მოვლენებით, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებით ბიზანტიური ენის, კულტურისა და ქრისტიანობის გავლენისაგან და ერთიანი ქართული ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო ცენტრების ქართული ეკლესიისადმი („ქართლის საკათალიკოსო“) დაქვემდებარებით...

მაღალი შეფასება მისცა დისერტანტის საპაექრო გამოკვლევას აგრეთვე პროფ. **თეიმურაზ გვანცელაძემ**: „ამჟამად სამეგრელოს ონომასტიკონი საქართველოს შესაბამის სახელთა შორის ყველაზე უკეთ შესწავლილადაა მისაჩნევი. ამგვარი განცხადების საფუძველს გვაძლევს უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე გეგმაზომიერად და მეთოდურად აღწერილი ის უმდიდრესი მასალა, რომელიც ადგილზეა ჩაწერილი და სისტემატიზებული სახით წარმოდგენილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ პროფ. ფ. ერთელიშვილის სახელობის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში. ამ მასალის შეკრებაში ლომის წილი მიუძღვის დასახელებული ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ პატიკო (პაატა) ალექსის ძე ცხადაიას, რომელიც ქართული ონომასტიკური კვლევის აღიარებული ლიდერია და სავსებით დამსახურებულად სარგებლობს პატივისცემით არა მარტო ენათმეცნიერთა, არამედ გეოგრაფთა, ეთნოგრაფთა და ისტორიკოსთა შორისაც. პ. ცხადაიას დღემდე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები გამოირჩევა ემპირიული მასალის სიუხვითა და სანდოობის მაღალი ხარისხით, ანალიზის მეთოდური გა-

მართულობით, დასკვნათა ლოგიკურობითა და ავტორისეული ნიჭის ელვარებით. სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ პ. ცხადია აქამდე არ ყოფილა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მფლობელი, რაც ერთგვარად აბრკოლებდა კიდევ იმ საქმეს, რასაც იგი ხელმძღვანელობს, მაგრამ აქვე კმაყოფილებაც უნდა გამოვხატოთ იმის გამო, რომ პ. ცხადიამ დასძლია გადაჭარბებული თვითკრიტიკულობა და საპაექროდ წარმოადგინა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც გამიზნულია ავტორისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად. ვფიქრობთ, სადისერტაციო საბჭოს პატივცემული წევრები და კოლეგები სწორად გაგვიგებენ, თუ არ დაფვარავთ ემოციას და განვაცხადებთ, პირადად ჩვენთვის უდავოდ სასიამოვნო მოვალეობა იყო დღევანდელი დისერტანტის ნაშრომის გაცნობა და ოპონენტობა.

ჩვენს რეცენზიაში არ შევუდგებით განსახილველი ნაშრომის ვრცელი შინაარსის გადმოცემას და ამას გავამართლებთ იმით, რომ დისერტანტის ათეულობით ნაშრომი და მოხსენება იმ საკითხებზე, რომლებიც შეტანილია საპაექრო გამოკვლევაში, კარგად არის ცნობილი არა მარტო დარბაზში მყოფი პირებისათვის, არამედ ქართველოლოგიის მრავალ დარგში მომუშავე კოლეგებისა და ფართო წრეებისათვის. შევეცდებით, გაგაცნოთ მხოლოდ ჩვენი აზრით ყველაზე არსებითი დებულებები და დასკვნები, რომელთაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც წმინდა სამეცნიერო, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისითაც.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ საკვლევი მასალის რაობისა და ხარისხის შესახებ. ნაშრომში წარმოდგენილი დებულებები და დასკვნები გამოთქმულია მართლაც რომ ზღვა მასალის საფუძველზე. კერძოდ, აქ განზოგადებული სახით გაანალიზებულია სამეგრელოსა და სამურზაყანოს ტერიტორიაზე წარმოდგენილი 45 ათასი ტოპონიმი, 1300 გვარსახელი და 1800 ზოონიმი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა უშუალოდ ადგილზეა შეკრებილი პირადად დისერტანტის მიერ. ყოველმა მეტნაკლებად გამოცდილმა ენათმეცნიერმა შესანიშნავად იცის, რა ჯოჯოხეთურ შრომას მოითხოვს ასეთი რაოდენობის საკვლევი მასალის მოპოვება, ინფორმატორთა გუნება-განწყობაზე დამოკიდებუ-

ლად ყოფნა მინდორ-ველებზე, ტყე-ღრეში, ჭაობებსა და მთის ბილიკებზე გადაადგილება, ათასგვარი გაუთვალისწინებელი დაბრკოლების გადალახვა. არანაკლებ შრომატევადია მოპოვებული მასალის შემოწმება, მისი დაბარათება და კლასიფიცირება-პასპორტიზაცია. გარეშე თვალისათვის ყოველივე ეს შეუძნეველიცაა და დაუფასებელიც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში გაანალიზებული ენობრივი მასალა უდავოდ მაღალხარისხოვანი და სანდოა.

მაგრამ ერთია მასალის მაღალი ხარისხი და სანდოობა, სხვაა ასეთი მასალის ანალიზის დონე. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნაშრომი ამ მხრივაც გამორჩეულია. აქ ცხადად იგრძნობა ავტორის მაღალი პროფესიონალიზმი, ღრმა თეორიული განათლება, დიდი გამოცდილება, ნიჭი და გონებამახვილობა არაჩვეულებრივ შრომისმოყვარეობასთან ერთად. ავტორის გამოცდილი თვალი ხშირად ერთი შეხედვით იოლად ასახსნელ ენობრივ ფაქტში ისეთ ფარულ დეტალებს ამჩნევს, რაც სხვისთვის შესაძლოა ყურადღების ღირსიც არ ყოფილიყო. მაგალითად, გარეენობრივ ფაქტორთა გაუთვალისწინებლად არასწორად იქნებოდა ეტიმოლოგიზებული სამეგრელოს ისეთი ტოპონიმები, როგორებიცაა ნაყვარა, კვარჩხიდალ(ი), მიგარია, ოჩხონაფუ და სხვანი (გვ. 86-91), ასევე საყურადღებოა ავტორის მიერ ბგერათმეცნიერების ახალი შემთხვევების გამოვლენა სამეგრელოს ტოპონიმთა მიხედვით (I თავის მე-5 პარაგრაფი), პრეფიქსთა ძლიერი მარედუცირებელი ზემოქმედების გამოვლენა მეგრულში (I. 1), ჰაპლოლოგიის მასშტაბური ხასიათის დადასტურება იმავე მეგრულში (I. 2), უძველესი ლექსიკის გამოყოფა ტოპონიმთა საფუძველზე, სვანური სუბსტრატის აქამდე უცნობი ფაქტების გამოვლენა, სამეგრელოში გავრცელებულ გვარსახელთა მოდულების დაზუსტება, ზონიმიტა წარმოებისა და მოტივაციის ძირითად პრინციპთა აღწერა. ეს ის სიახლეებია, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს საანალიზო ნაშრომს.

შედარებით ვრცლად უნდა შევეხოთ გამოკვლევის მეორე თავში წარმოდგენილ ენობრივ მასალასა და მისი ანალიზის საკითხებს. ამ თავში განიხილება ამჟამინდელი გალის რაიონის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმი. საანალიზო მასალის

უდიდესი ნაწილი მოპოვებულია პირადად ავტორის მიერ ადგილზე, თანაც იმ წლებში, როცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართველ ონომასტიკის მკვლევრებს ტოპონიმთა ჩასაწერად შესვლა აკრძალული ჰქონდათ. ამ მასალას, შეიძლება თამამად ითქვას, ამჟამად ისტორიული დოკუმენტების ფასი აქვს. უდავოდ მისასაღებელია, რომ ავტორი ამ მხარის ტოპონიმთა კვლევისას არ დასჯერდა მხოლოდ ამჟამინდელ გეოგრაფიულ ნომენკლატურას (როგორც ქართველურს, ისე აფხაზურს) და შეისწავლა ქართული და უცხოური საისტორიო წყაროებისა თუ რამდენიმე რუკის მონაცემებიც. ჩვენთვის, როგორც ქართველოლოგიისა და აფხაზური ენის სპეციალისტისათვის, მთლიანად მისაღები და გასაზიარებელია მყარი საენათმეცნიერო არგუმენტებით დასაბუთებული დებულებები და დასკვნები შემდეგ საკითხთა შესახებ:

ა) ტოპონიმი **წკელკარი** არ მომდინარეობს აფხაზური აწკარ ფორმისაგან;

ბ) ტოპონიმი **ერწყარი** არ მომდინარეობს აფხაზური **აჯარძე**-საგან მისი კალკირების გზით;

გ) ტოპონიმები **ტამიში, ფოქვეში, ღუმურიში, თოუმიში, ლაღვაში, ბარმიში** არ არის აფხაზური წარმომავლობისა;

დ) ტოპონიმებში **გალი, დალი, ფალი, ჯალი...** არ გამოიყოფა აფხაზური სუფიქსი **-ალ**;

ე) ტოპონიმი ჩხორთოლი მეგრულია და აგებულია ამ დიალექტისათვის დამახასიათებელი წესების მიხედვით;

ვ) ჰიდრონიმი **ღალიბგა** თავიდან მეგრული ოიკონიმი იყო და შემდგომში მეტონიმიის გზით გადაიქცა მდინარის სახელად;

ზ) ძველ უცხოურ რუკებზე დადასტურებული ტოპონიმები **ოქუმი, წარჩე, საჩინო, სათანჯო, რეკა, ნაბაკევი (ნაალბაკია), მუხური, ფუწყური, ჯოცობა, კადარი** უეჭველად ქართველური სახელებია.

თ) არქ. ლამბერტის 1654 წლის „სამეგრელოს რუკაზე“ დამახინჯებით წარმოდგენილ ორ სახელს ავტორი სავსებით დამაჯერებლად აღადგენს **ჭირპიჯი** „ორპირი“ და **სუჯონა** „ცვარნამიანი ადგილი“ ფორმებით;

ო) აფხაზური ფორმა **აფსჰა იძგხ** „აფხაზეთის მთავრის წყარო“ მეგრულ-ჭანური **მაფაწყარის** კალკირებული ფორმაა;

კ) ტოპონიმი **ჯგერიანი** უძველესი მეგრული სახელია...

ასევე მთლიანად გასაზიარებელი და მისაღებია საბუთიანობის თვალსაზრისით მეორე თავის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პარაგრაფებში წარმოდგენილ დებულებათა და დასკვნათა უმრავლესობა (გვ. 195-225), რომლებიც კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ ისტორიულად ამჟამინდელი გალის რაიონის ტერიტორია დასახლებული იყო ქართული, კერძოდ, მეგრული მოსახლეობით, ხოლო XVII საუკუნიდან ამ მიწა-წყალზე ჩნდება აფხაზთა კუნძულოვანი დასახლებებიც. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ შემთხვევაში ავტორს დასკვნები გამოაქვს ტოპონიმთა ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე, იგი ითვალისწინებს ფონოლოგიურ-ფონეტიკურ, სტრუქტურულ-მორფოლოგიურ, სემანტიკურ და გარეენობრივ თავისებურებებს. ამ მიზეზთა გამო სრულიად ურყევი ხდება ავტორისეული მთავარი დასკვნა, რომ **ამჟამინდელი გალის რაიონის ტერიტორიაზე აფხაზურენოვანი ტოპონიმია გვიანდელია, წარმოქმნილია ბოლო ორი-სამი საუკუნის მანძილზე და წარმოადგენს არა სუბსტრატს, როგორ ამას აცხადებენ აფხაზი ავტორები, არამედ სუპერსტრატს.**

ხემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ განსახილველ ნაშრომში წარმოდგენილ დებულებებსა და დასკვნებს აქვთ არა მარტო წმინდა სამეცნიერო, არამედ დიდი საზოგადოებრივი და თუნდაც პოლიტიკური მნიშვნელობა. ამის გამო, ბუნებრივია, მისი ტექსტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რაც ავტორს ავალდებულებდა ფხიზლად ყოფნას, რათა თავი დაეზღვია ისეთი უნებური ხარვეზებისაგან, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი როლი ითამაშონ სხვადასხვა თვალსაზრისით. მიგვაჩნია, რომ სადისერტაციო ნაშრომი მომავალში აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს მისი დიდი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო, მაგრამ, ვფიქრობთ, ავტორმა ასევე უნდა გაასწოროს ის ხარვეზები, რომლებიც ქვემოთ იქნება დასახელებული.

ხარვეზებზე საუბარს დავიწყებთ ტერმინოლოგიის საკითხით. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ჩვეულებრივ ნებისმიერ ერთობიექტს ერთი სახელი უნდა ჰქონდეს, სინონიმურ სახელთა სიმ-

რავლე ყოველთვის არ არის ენის სიმდიდრის მანიშნებელი. სამ-
 წუხაროდ, როგორც ჩვენს, ისე უცხოურ ქართველოლოგიურ ლი-
 ტერატურაში დღემდე ვერ მოხერხდა იმის გარკვევა, რა ეწოდოს
 სამეგრელოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ენობრივ კონტინუუმს
 – ენა თუ დიალექტი; არც ის დადგენილა, რომელ სახელს მიენი-
 ჭოს უპირატესობა. იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ მეგრული
 მეტყველება ლაზურთან (ჭანურთან) ერთად ერთი და იმავე ენის
 დიალექტებია – რომელი ტერმინი ვარჩიოთ: მეგრულ-ჭანური, ზა-
 ნური თუ კოლხური? რა კრიტერიუმებით გავმიჯნოთ ენა და დი-
 ალექტი, თუკი ირკვევა, რომ ენათმეცნიერებას საამისოდ დღემდე
 არ მოეპოვება ზუსტი და შემოწმებადი საკუთრივ ენობრივი სა-
 ზომები? (ამის შესახებ იხ. ჩვენი ნაშრომი „ენათა კლასიფიკაცი-
 ის ძირითად კრიტერიუმთა შეფასებისათვის“, „ქუთაისური საუბ-
 რები – IX“, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2002, 38-41). რა
 თქმა უნდა, ამგვარ საკითხთა გადაწყვეტა სრულებითაც არ მოე-
 თხოვებოდა პ. ცხადაიას საკვალიფიკაციო ნაშრომს, მაგრამ ის
 კი აუცილებელი იყო, რომ ტექსტში გატარებულიყო ერთი პრინ-
 ციპი და თავიდან აცილებულიყო ტერმინოლოგიური სიჭრელე,
 რაც თვალში საცემია მკითხველისათვის. ეს სიჭრელე სადისერ-
 ტაციო ნაშრომის სათაურშივე ჩანს, სადაც პარალელურადაა გა-
 მოყენებული ტერმინები კოლხური და ზანური, თვით ტექსტში კი
 ამ ორ ტერმინთან ერთად მესამეც არის ნახმარი – **მეგრულ-ჭა-
 ნური**. მართალია, ამ სამი ტერმინის გამოყენებას ჩვენში უკვე
 საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, მაგრამ მაინც გაუმარ-
 თლებელი გეგონია ერთსა და იმავე ნაშრომში მათი განურჩევე-
 ლი და ერთდროული ხმარება. ტერმინების – **კოლხური**, **ზანური**
 და **მეგრულ-ჭანური** – თანაბრად გამოყენება, რა თქმა უნდა,
 იმას ნიშნავს, რომ დისერტანტს სამეგრელოსა და ლაზეთში (ჭა-
 ნეთში) გავრცელებული ენობრივი ერთეულები ერთი ენის დია-
 ლექტებად უნდა მიაჩნდეს, მაგრამ ამ კონტექსტში ყოველად გაუ-
 გებარია, როცა ამავე ნაშრომში ავტორი ეწინააღმდეგება საკუ-
 თარ თავს და იყენებს კიდევ ორ ტერმინს – **მეგრული ენა** და
მეგრულენოვანი, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორისათვის სამეგრე-
 ლოში გავრცელებული ენობრივი ერთეული ერთდროულად კოლ-
 ხური, ზანური თუ მეგრულ-ჭანური ენის დიალექტიცაა და დამო-

უკიდებელი ენაც. ტერმინი **მეგრული ენა** დასტურდება დისერტაციის 154-ე, 169-ე, 201-ე და 214-ე გვერდებზე, ტერმინი **მეგრულენოვანი** კი 222-ე გვერდზე. დაისმის საკითხით ლოგიკური კითხვები: რა არის მეგრული, ენა თუ დიალექტი? თუ ენაა, რატომ არ იძლევა ლაზურისაგან განსხვავებულ ბგერათშესატყვისობებს საკუთრივ ქართულთან და სვანურთან მიმართებაში? ვინ და რომელ ვერიფიცირებად ენობრივ მონაცემებზე დამყარებით დაასაბუთა, რომ მეგრული და ჭანური დამოუკიდებელი ენებია? რა სახელით უნდა აღვნიშნოთ მეგრულისა და ჭანურის გამაერთიანებელი ენობრივი ერთეული, თუკი ტერმინები – **კოლხური**, **ზანური** და **მეგრულ-ჭანური** არ დასტურდება არც ერთ ქართულენოვან საისტორიო წყაროში და ყველა ხელოვნურია? ხომ არ იქნებოდა მართებული, რომ სანამ ეს საკითხები არ გარკვეულა და ქართველი ლინგვისტები ჯერ კიდევ არ შეთანხმებულან მათ შესახებ, გამოგვეყენებინა არა ტერმინი **ენა**, **დიალექტი** თუ **კილო**, არამედ სიტყვა **მეტყველება** და დროებით გვეწერა: **მეგრული მეტყველება**, **ლაზური (ჭანური) მეტყველება**, **მეგრულ-ჭანური მეტყველება**, **სვანური მეტყველება**? (ანალოგიისათვის შდრ. საფრანგეთის გამოცდილება, სადაც ენციკლოპედიებსა და ენციკლოპედიურ წელიწდეულებში უკანასკნელ ხანს ტერმინის *la langue* „ენა“ მაგიერ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა ტერმინმა *le parler* „მეტყველება“, არა მარტო ფრანგული ენის დიალექტთა, არამედ პროვანსული, ბრეტონული, ბასკური და კორსიკული ენების აღსანიშნავად. იხ. მაგ., აშეტის ენციკლოპედიური ლექსიკონის 1994-2000 წლების გამოცემები).

ვფიქრობთ, ამ საკითხთა მოგვარება ყველაზე საშუარი საქმეა დღევანდელ ქართველოლოგიაში, რაც განცხადებულ იქნა კიდევაც ქუთაისში ახლახან გამართული ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმის მონაწილეების მემორანდუმშიც (იხ. გაზეთი „ქუჯი“, №38, 2002 წლის მაისი).

ჩვენს რეცენზიაში ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილებით სრულებითაც არ გვსურს იმის თქმა, რომ დისერტანტი ვაღიარებელი იყო, სწორედ ამ ნაშრომში გადაეწვიტა საბოლოოდ სადავო ტერმინოლოგიური პრობლემები, მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ ნაშრომი უდავოდ მოიგებდა, თუკი ავტორი მრავალი სა-

ხელწოდებიდან ერთ-ერთზე შეაჩერებდა არჩევანს, რათა ყოფილიყო თანმიმდევრული და თვითონვე არ დაპირისპირებოდა საკუთარ თავს ურთიერთგამომრიცხავ ტერმინთა გამოყენებით.

ტერმინოლოგიის პრობლემა რომ მარტო საენათმეცნიერო საკითხი არ არის და ზოგჯერ ამა თუ იმ ტერმინის უკრიტიკოდ თუ უყურადღებოდ, მექანიკურად ხმარებას შეუძლია ორაზროვანი გახადოს სათქმელი, ამასთანავე ერთგვარად უსიამო შთაბეჭდილებაც შეუქმნას მკითხველს, კარგად ჩანს ნაშრომის 110-ე გვერდზე, სადაც წერია: „სამურზაყანო-აბუუს ზოგ სასაზღვრო სოფელსა და მარტვილის რაიონის ზოგ ცხენისწყლისპირა სოფელში (მაგალითად, ხუნწში), ფაქტობრივად **ორენოვნებაა** (პირველში აფხაზურ-მეგრული, მეორეში ქართულ-მეგრული)“. ამ წინადადებაში ერთი ტიპის მოვლენად, კერძოდ, ორენოვნებადაა გამოცხადებული სამურზაყანო-აბუუსა და ცხენისწყლისპირეთის ენობრივი ვითარებანი, რომლებიც ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდებიან. ჩვენი აზრით, არ შეიძლება ამ ორი ზონის მცხოვრებ ქართველთა (კერძოდ, მეგრელთა) ენობრივი ქცევა ერთი ტიპის ორენოვნებად, ან თუნდაც დიგლოსიად მივიჩნიოთ შემდეგ მიზეზთა გამო: ჯერ ერთი, როგორც ზემოთაც ითქვა, დღემდე არ არის გარკვეული მეგრული მეტყველების ლინგვისტური რაობა (ენაა თუ დიალექტი? თუ დიალექტია, რომელი ენისა?), **ქართული და აფხაზური კი უეჭველად ენებია**. ამიტომ მათ ვერ გაუთანაბრდება მეგრული. მეორე, მარტვილელი თუ სამურზაყანო-აბუუსის საზღვარზე მცხოვრები მეგრელები ეთნიკურად ქართველები იყვნენ და არიან ამჟამადაც, მათი დედაენა ქართულია ისევე, როგორც იმერლებისა, ქართლებებისა, კახელებისა და სხვათა. თუკი იმერეთის საზღვარზე მცხოვრებმა ეთნიკურმა ქართველმა, კერძოდ, მეგრელმა, მეგრულის თანაბრად იცის და იყენებს იმერულ კილოს, განა ეს წმინდა ორენოვნებაა? ის, რომ ამ შემთხვევაში ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორშიც არიან იმერეთ-ქართლის საზღვარზე მცხოვრები ეთნიკური ქართველები, კერძოდ, ზემოიმერლები და ქართლები, რომლებიც ხან იმერულად მოუქცევენ და ხანაც – ქართულურად! ამ და ზოგი სხვა მიზეზის გამო აჯობებდა, თუ ავტორი ზემოთ ციტირებულ წინადა-

დებაში სათქმელს უფრო ცხადად იტყოდა და თავს დაიზღვევდა ორაზროვნებისაგან.

ასეთსავე ორაზროვნებასა და ერთგვარ უხერხულობას იწვევს ტერმინების – **მეგრულისა** და **აფხაზურის** – გათანაბრება სხვა შემთხვევაშიც. მაგალითად, 209-ე გვერდზე პარაგრაფის სათაურად წერია: „აფხაზთა და მეგრელთა თანამედროვე ეთნოგრაფიულ-ტერიტორიული საზღვარი და ტოპონიმიკური ინტერფერენცია“. ამ ფრაზის მიხედვით გამოდის, რომ მეგრელი ისეთივე ეთნიკური ერთეულია, როგორცაა აფხაზი. ასეთივე შთაბეჭდილება იქმნება 221-ე გვერდის ტექსტიდანაც, სადაც ლაპარაკია აფხაზთა და მეგრელთა უკვე არა ეთნოგრაფიულ, არამედ ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე.

ნაშრომში სხვა შემთხვევებიც არის, როცა ტერმინთა უადგილო გამოყენება აბუნდოვანებს, ორაზროვანს ხდის მას. მაგალითად, 42-ე გვერდზე სახელები **სვანეთი** და **მესხეთი** ეთნონიმთაგან მომდინარედ არის გამოცხადებული და დასახელებულია ტერმინთა – **საბერძნეთისა** და **საფრანგეთის** – გვერდით; 179-ე გვერდზე წარმოდგენილ ქართველურ ენათა ჩამონათვალში მეგრული სვანურისა და ქართულის თანაბარ დონეზეა დასახელებული, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომის სათაურში კოლხური (ზანური) და არა მეგრული ენის არსებობა იგულისხმება. 205-ე გვერდზე წერია: „უძველესი დროიდან ცხუმის სამხრეთით ენგურამდე აბორიგენ მოსახლეობას მხოლოდ ქართველური ტომები (**ქართველები, სვანები, ზანები**) წარმოადგენდნენ...“ ამ წინადადების მიხედვით გამოდის, რომ სვანები და ზანები ქართველები არ ყოფილან; 239-ე გვერდზე კი დვალები, სვანები და მეგრელები ეთნოსებად ცხადდებიან და გათანაბრებულნი არიან ბერძნებთან, რაც ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან ტერმინი ეთნოსი მკითხველთა უმრავლესობისათვის დამოუკიდებელი ხალხის (ერის) აღმნიშვნელი სიტყვაა. ამ მიზეზის გამო გაუმართლებელია აგრეთვე აჭარის, გურიისა და იმერეთის ეთნიკურ-დიალექტურ რეგიონებად გამოცხადება (გვ. 243). უხეში და უსიამოა ავტორის მიერ განცხადებული დებულება, დასავლეთ საქართველოში IX-X საუკუნეებში „...ოფიციალურ საერო და სასულიერო ენად ქართული გაბატონდა, რასაც ხელს უწყობდა VII-VIII საუკუნეებში ეგრისის

გაქართველებული ნაწილების – აჭარის, გურიის, ქვემო იმერეთის – წარმოქმნა“-ო (გვ. 186), რომელშიც ყოველად გაუმართლებელია სიტყვა გაქართველებულის გამოყენება.

აკადემიური ხასიათის, მით უფრო საკვალიფიკაციო ნაშრომში, ჩვენი აზრით, გამართლებული არ არის არატრადიციული და არაკადემიური ტერმინების გამოყენება ხანგრძლივი ისტორიული ტრადიციის მქონე აკადემიურ და ოფიციალურ ტერმინთა ნაცვლად თუ მათ გვერდით. სამწუხაროდ, პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავლენას ვერ ასცდა დისერტანტი, როცა ნაშრომში იყენებს არატრადიციულ და არაკადემიურ ტერმინებს: **აფსუა**, **აფსუები**, **გააფსუებული** (გვ. 150, 151, 156, 170, 211). ამ ფორმათა ხმარებას არავითარი გამართლება არა აქვს, მით უმეტეს, რომ ტერმინები აფხაზი და აფხაზეთი ქართულ საისტორიო წყაროებში უკვე XII საუკუნიდან, თამარ მეფის მამის, გიორგი მესამის დროიდან იხმარება. ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრებისა და მათი ყუბანისპირა სამკვიდროს აღსანიშნავად (იხ. ჩვენი ნაშრომი: „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის („აღანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“), კრებულში „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. II, ქუთაისი, 1998), ხოლო ტერმინი **აფსუა** და მით უმეტეს **აფსნი** საერთოდ არ დასტურდება ქართულ ენაზე კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ გამოქვეყნებამდე.

გვაქვს სხვა რიგის ტერმინოლოგიური შენიშვნებიც. კერძოდ, ავტორი იყენებს ტერმინს **ფუძეთშესატყვისობა**, რაც გაუმართლებელია იმ შემთხვევაში, როცა იგულისხმება აფიქსთა შორის დადასტურებული ბგერათშესატყვისობა (გვ. 31), მცდარია ტერმინი **აბაზინელი** (გვ. 151), უნდა იყოს **აბაზა**; მართებულია **ხუნძური ენა** და არა **ავარიული (ხუნძური) ენა** (გვ. 282).

ნაშრომის 139-ე გვერდზე ისტორიკოს თ. მიქელაძის ნაშრომზე დაყრდნობით აღნიშნულია: „ექვს არ იწვევს, რომ ძვ. წ. XX-V საუკუნეებში სვანებს ეკავათ დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებიც“-ო. პირადად ჩვენთვისაც და ბევრი სხვისთვისაც სწორედაც რომ საექვოა სვანური მეტყველებისა და სვანური ტომის არსებობა ამ 40 საუკუნის წინათ. ჩვენს ექვს თუნდაც ის ფაქტი განაპირობებს, რომ ამგვარი მოსაზრება ემყარება გლოტოქრონოლოგიის იმ მეთოდს, რომელიც ძალზე ნაკლოვანია და

საკმაოდ დიდ სხვაობას იძლევა 100 თუ 200 სიტყვიანი სიის ანალიზისას. გარდა ამისა, ტერმინი **სვანი** ძველ წერილობით წყაროებში იხმარება მხოლოდ წელთაღრიცხვათა მიჯნის ახლო ხანებში და არა ძვ. წ. XX ან თუნდაც X საუკუნეში.

დასკვნებში, 295-ე გვერდზე საკუთრივ ქართული **ნოყო** და მეგრული **ნოყო** ფუძეთშესატყვისობის მაგალითად მიიხნევა. პირადად ჩვენთვის გაუგებარია, რას ნიშნავს **ფუძეთშესატყვისობა**. თუ აქ ბგერათშესატყვისობაა საგულისხმებელი, როგორც, მაგალითად, 31-ე გვერდზეა, მაშინ ეს დებულება სადავოა, ვინაიდან ყ თანხმოვნის ყ თანხმოვნად გადაქცევის გარდა საკუთრივ ქართულ და მეგრულ ფორმებს შორის რაიმე სხვაობა საერთოდ არ არის.

სადავოა დისერტაციის დებულება, რომ მეგრული **მარაშინა**//ლაზური **მარიაშინა** „აგვისტო“ და მეგრული **ჯგირი** წმინდანის მნიშვნელობით გადმოღებულია ბერძნულიდან (გვ. 298). ამ დასკვნის წინამსწრები მსჯელობიდან კი ის ჩანს, რომ მარაშინა//მარიაშინა რეალურად ბერძნულიდან ნასესხები ფუძის მეგრულ-ჭანური ინვენტარით გაფორმებული სახელებია, ხოლო ჯგირი მთლიანად მეგრულია და ბერძნულის გავლენით აქვს შექმნილი ახალი სემანტიკა.

151-ე გვერდზე წერია: „შუა საუკუნეებში აფხაზებს დღევანდელი აფხაზეთის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ეჭირათ“. აქ აუცილებელი იყო დაზუსტებულიყო, რომ საუბარია არა საერთოდ შუა საუკუნეებზე, არამედ გვიანდელ შუა საუკუნეებზე (XVI საუკუნესა და მის მომდევნო პერიოდზე). დაზუსტებას მოითხოვდა ისიც, რომ ამ დასკვნის სისწორეს დასახელებულ რეგიონში დადასტურებული ქართველური წარმოშობის სუბსტრატული ტოპონიმია ამოწმებს (იხ. ჩვენი: ქართველური წარმოშობის სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში (სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი). ჟურნ. „არტანუჯი“, №10, 2000; ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. კრებ. „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, თბ., 1998).

დასაზუსტებელია დისერტანტის დასკვნა, მეგრულ ტოპონიმს **წკელკარი** აფხაზური ენა მხოლოდ **აცკარ** ფორმით გადაიღებდაო (გვ. 154). რეალურად სესხების კანონზომიერებათა დაცვით აფხა-

ზურში უნდა დასტურდებოდეს **(ა)-წკ'ლკარ** ფორმა, რაც არ არსებობს. გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომის წიგნად დაბეჭდვის შემთხვევაში სასურველი იქნება იმის აღნიშვნაც, რომ **აწკარ** ფორმა (და არა **აცკარ**, როგორც ეს დისერტანტს უწერია) აფხაზურმა მოსახლეობამ არ იცის ტოპონიმის როლში. ტოპონიმის ეს ვარიანტი კ. შაყრილის მიერაა შეთხზული, აფხაზურ ენაში კი **აწკარ** სახელი, რომელიც აშკარად ქართველიზმია, აღნიშნავს კიდეს, ნაპირს, ბოლოს; საჩუქარს; ჯიშს, ჩამომავლობას.

ავტორი შ. ინალ-იფაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ მეგრულ ჰიდრონიმ ერწყარის აფხაზური ვარიანტია **ჯარძე** (დისერტაციაში შეცდომით ხან **უარძე** წერია, ხან **ტარძე**, რაც არ არის სწორი) (გვ. 154-158). დისერტანტი დასძენს: „როგორც ჩანს, ერწყარის პირველი კომპონენტი ერ აფხაზებმა გააიზრეს როგორც აფხაზური **ა-უარ** (უნდა ეწეროს **ა-ჯარ** – თ. გ.), ხოლო მეორე კომპონენტი თარგმნეს“-ო (გვ. 158). ავტორი იმასაც წერს, რომ **ჯარძე** ჰიპოთეტური ფორმაა, თუმცა იქვე თვითონვე უპირისპირდება საკუთარ თავს, როცა აცხადებს, აფხაზებმა ამ სიტყვის ერთი ნაწილი **აჯარ** სიტყვასთან („ღვარი“, ქართულიდან ნასესხები!) გააიგივეს, მეორე ნაწილი კი თარგმნესო. გამოდის, რომ ჰიპოთეტური ფორმა რეალური ყოფილა, რაც ასე სრულებითაც არ არის. სინამდვილეში შ. ინალ-იფა კ. შაყრილის მსგავსად ცრუობდა და **ჯარძე** ფორმა სწორედ მისი შეთხზულია, აფხაზური მოსახლეობა ამგვარ ფორმას არ იცნობს და ამ მდინარეს **ერწყარ** სახელით აღნიშნავს.

201-ე გვერდზე ავტორი მსჯელობს ჰიდრონიმ **ოტაფის** წარმომავლობა-აგებულების შესახებ. მას ეს სახელი მეგრული **ოტოფე** ან **ოტაფე** ფორმისაგან მომდინარედ მიაჩნია საფუძვლით სამართლიანად. სასურველი იყო აქაც დაზუსტებულიყო, რომ **ტაფე/ოტაფე** ფორმები, რომელთაგან უკანასკნელი არ არის დასახელებული ნაშრომში, ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთ სოფელსაც ჰქვია, ხოლო ორივე აფხაზური ფორმა მხოლოდ მას შემდეგ უნდა წარმოქმნილიყო, რაც თვით გამსესხებულ მეგრულ მეტყველებაში ამოსავალი **ოტოფე** ან **ოტაფე** ფორმას უკვე ჩამოცილებული ჰქონდა ბოლოკიდურა ე ხმოვანი.

აფხაზური **აყვარაშ** (უნდა ეწეროს აყ⁰არაშ) სახელი, დისერტანტის აზრით, მეგრული **ჩელალის** თარგმანია (გვ. 203, 206), რაც არ არის სწორი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ აფხაზურში უნდა გვექონოდა **აკ⁰არაშ** ფორმა, ვინაიდან ღელე აფხაზურად აკ⁰არა სიტყვით აღინიშნება, რომელსაც წააგავს რიყის აღმნიშვნელი სიტყვა **აყ⁰არა**. სინამდვილეში აყ⁰არაშ აღნიშნავს თეთრქვეებიან რიყეს და არა თეთრ ღელეს.

143-ე გვერდზე დისერტანტი იმოწმებს ა. გრენის 1890 წელს გამოცემულ რომელიღაც ნაშრომს (აღბათ ავადსახსენებელ Мингрельская азбука-ს), მაგრამ ბიბლიოგრაფიაში ეს ნაშრომი საერთოდ არ არის დასახელებული.

ნაშრომში ავტორს არცთუ იშვიათად წასცდება ხოლმე პუბლიცისტური სტილით წარმოდგენილი წინადადებები თუ აბზაცები, რაც გამართლებული არ არის. სწორედ ამგვარ შემთხვევებად უნდა მივიჩნიოთ ზემოთ უკვე აღნიშნული მაგალითები ტერმინ **აფსუას** გამოყენებისა, რაც აკადემიურ ნაშრომს ღირსებას არ ჰმატებს. ამავე რიგისაა ნაშრომის შესავალში სრულიად ზედმეტად ჩამატებული ავტორისეული მოგონება იმის შესახებ, თუ რა უამბნია მისთვის პროფ. ა. კიზირიას ბერიას დაპატიმრებისდრინდელი ამბების შესახებ (გვ. 3). სრულიად ზედმეტი ჩანს აგრეთვე თხრობა იმის შესახებ, თუ რა მიზნით ჩამოდიოდნენ საქართველოში კათოლიკე მისიონერები (გვ. 172); მთელ ხუთ გვერდზე გაშლილი თხრობა იმის შესახებ, თუ რომელი ენა გამოიყენებოდა ქრისტიანული მღვდელმსახურებისათვის ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში (გვ. 183-189), მით უმეტეს, რომ აქ ძირითადად მხოლოდ ჰიპოთეზებია წარმოდგენილი, რომლებიც საბოლოოდ ჯერაც არ დამტკიცებულა. აგრეთვე სრულიად ზედმეტი და ამასთანავე ნაკლოვანია მსჯელობა ტერმინ **აფხაზის** ეტიმოლოგიის შესახებ. ეს მსჯელობა აქ სავალდებულო არ იყო, მაგრამ რაკიდა ავტორი მაინც შეეცო საკითხს, კორექტული იქნებოდა იმის აღნიშვნაც, რომ ამ პრობლემის შესახებ არსებობს აზრთა სერიოზული სხვადასხვაობა და უნდა დასახელებულიყო კიდევაც ეს თვალსაზრისები. ამის მაგიერ ავტორს დამოწმებული აქვს მხოლოდ 4 ნაშრომი, რომელთაგან აფხაზის ეტიმოლოგიას მხოლოდ ერთი (აკად. თ. გამყრელიძის)

ეხება, ალტერნატიულ მოსაზრებათა ავტორები კი უბრალოდ დასახელებულნიც არ არიან.

ნაშრომში ანთროპონიმთაგან გაანალიზებულია გვარსახელები, მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის არ არის განხილული გვარსახელთა საფუძვლად ქცეულ ფუძეთა სემანტიკა და გვარსახელთა ლექსიკა. ასევე სრულებით არ არის განხილული ქალთა და მამაკაცთა საკუთარი სახელები, აგრეთვე მეტსახელები, არადა ნაშრომის ქვესათაური აუცილებლად მოითხოვდა ამას. როგორც ჩანს, ეს საკითხები არ „ჩაეტი“ ნაშრომში მისი მოცულობის შეზღუდვის გამო. ჩვენი აზრით, ნაშრომი ძალზე მოიგებდა და მეგრულ ანთროპონიმთა შესახებ სრულყოფილ და ამომწურავ სურათს მოგვცემდა, თუ ზოონიმთა თეზისური ანალიზის მაგიერ წარმოდგენილი იქნებოდა საკუთარ სახელთა და მეტსახელთა ანალიზი. ეს ერთი. მეორე, ადგილის ეკონომია შეიძლებოდა მიღწეულიყო ზედმეტ საკითხთა შეკვეცისა და პუბლიცისტური წილსვლების ამოღების გზით.

მიუხედავად ზემოთ წარმოდგენილი შენიშვნებისა, დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი: პაატა (პატიკო) აღექსის ძე ცხადაიას ნაშრომი „საკუთარი სახელი კოლხურში (მეგრული ტოპონიმის, ანთროპონიმისა და ზოონიმის მასალების მიხედვით)“ **საეტაპო ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ ქართველოლოგიაში**. უდავოდ სანიშნოა ავტორის გასაოცარი ენერგიულობა, შრომისმოყვარეობა, საკვლევი მასალისადმი ფაქიზი და ზუსტი მიდგომა, მეცნიერული კვლევის სიღრმე, პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, ლოგიკური და საბუთიანი მსჯელობის თვალშისაცემი უნარი.

ვშუამდგომლობ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის 10. 01. №7 სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა პაატა ცხადაიას მიენიჭოს ძიებული ხარისხი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორისა.

თ. გვანცელაძე, 21. 05. 2002“.

თ. გვანცელაძის რეცენზიაში მოცემული ზოგიერთი შენიშვნა უდავოდ გასათვალისწინებელი და მისაღებია, მაგრამ ზოგი შენიშვნა, პაატა ცხადაიას დისერტაციაში ასახულ, პრინციპულ

საკითხებთან მიმართებაში, ჩემი აზრით, სწორ შეფასებად ვერ ჩაითვლება. ასე, მაგალითად, ოპონენტის აზრით, ერთგვარ უხერხულობას იწვევს სადისერტაციო ნაშრომში სამურზაყანო-აბჟუისა და მარტვილის რაიონის ზოგი ცხენისწყლისპირა სოფლის (მაგალითად, ხუნწის) მცხოვრებ ქართველთა (კერძოდ, მეგრულთა) მეტყველების ორენოვნებად გამოცხადება, რადგან, შეუძლებელია ამ ორი ზონის მცხოვრებთა ენობრივი ქცევის ერთი ტიპის ორენოვნებად, ან თუნდაც დიგლოსიად მიჩნევა.

ხუნწში, როგორც იმერეთის სასაზღვრო სოფელში, აღ. ცაგარლის თქმით, მეგრული ენაა გაბატონებული (იხ. „მეგრული ეტიუდები“), მაგრამ ი. ყიფშიძე 30 წლის შემდგომდროინდელ ვითარებას ასე წარმოგვიდგენს: „ამჟამად ხუნწში უპირატესობს ქართული ენა. კერძოდ, ზედა ხუნწში ყოველთვის ქართულ ენაზე მეტყველებენ, ხოლო ქვედა ხუნწში, როგორც მეზობელი სოფლის მკვიდრნი ხუმრობენ, შუადღემდე საუბრობენ მეგრულად, ხოლო ნაშუადღევს ქართულად“¹.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზედახუნწელთა „საშინაო“ (ე. ი. არაოფიციალურ სიტუაციაში) მეტყველება, ფაქტობრივად, ორენოვანია, ოღონდ მეგრულის მნიშვნელობა უპირატესია. ამასთანავე, ზედა და ქვედა ხუნწის მიკროტოპონიმის 95%-ზე მეტი მაინც მეგრულია, ან ორენოვანია. მაგალითად, ნაციხვარი//ნაჯიხუ, შქაღეყ//შვადეყ//შუადეყ, ცხენისწყლის ჭალა//ცხენწყარპიჯიშ ჭაე, ხინჯიმდუდი//ხინჯისყური, საწაბლია//ოჭუბურე, გაღმა ხუნწი//მელენხუნწი, მართოუ//ობრუნალე, ოდეკეში//სალეკია, ჟიმოლენხუნწი//ზემო ხუნწი, წისქვილის გზა//წისქვილიშ შარა, წყუმიდუ//წყაროსთავი...²

ხუნწის მეტყველებასთან დაკავშირებით მხარეთმცოდნე გელიავა აღნიშნავდა: „სოფელი გაშლილია მდინარე ნოდელასა და ცხენისწყალს შორის ხეობაში... მოსახლეობა იმერეთთან ახლოსაა, მეტყველებს ნაწილობრივ იმერულ კილოზე“³.

¹ ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი. კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კორნელი დანელიამ. თბ., 1994, 28-29.

² ჰ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V. მარტვილის რაიონი. სამხრეთი ნაწილი, თბ., 2010, 460-489.

³ გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, 110.

აღნიშნულ საკითხს პ. ცხადაია შეეხო 2013 წელს გამოცემულ, აბაშის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონის წინასიტყვაობაშიც. მკვლევარი მითითებულ ნაშრომში აანალიზებს აღ. ცაგარლის მსჯელობას ნოდელა-ცხენისწყლის შუამდინარეთის, ანუ ამჟამინდელი აბაშის რაიონის ცხენისწყლისპირა სოფლების ენობრივი სიტუაციის გარშემო, რაც მოცემულია 1880 წელს გამოცემულ ნაშრომში – „მეგრული ეტიუდები“. მასში საზგასმითაა აღნიშნული ქართული ენის უპირატესობის შესახებ ნოდელა-ცხენისწყლის შუამდინარეთში¹.

აღ. ცაგარლის მიერ დასახელებული სამი სოფლიდან, ავტორის აზრით, ქართული ენა გაბატონებული ყოფილა მაიდანში. მეგრული ენის უპირატესობაზე მიუთითებს სამიქაოში, ხოლო მარნის თემის სოფ. ილორის შემთხვევაში დასძენს, რომ ამ სოფელში ქართულის უმნიშვნელო უპირატესობა ფიქსირდება.

„მეგრული ეტიუდების“ გამოცემიდან ერთი საუკუნის შემდეგ არსებული ვითარება პ. ცხადაიას მიერ მოპოვებულ ტოპონიმურ მასალებში შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: სამიქაოს თემის საკრებულოში (მასში შედის ორი სოფელი: სამიქაო და მაიდანნი) დიდი თუ მცირე ობიექტის სახელწოდებად 1986 წელს ჩაწერილი 307 სახელწოდებიდან, მხოლოდ რამდენიმე ერთეულის გამოკლებით, ტოპონიმები ქართულენოვანია და მეგრულენოვანი მასალა ფაქტობრივად არც კი ჩანს. მაშასადამე, ტოპონიმური სურათი აღ. ცაგარლის ნაშრომში მოცემული ვითარებისაგან განსხვავებულია. ასეთივე ვითარებაა სამიქაოს თემის სამხრეთით, რიონ-ცხენისწყლის შესართავამდე მდებარე გეხათის, ქოლობნის, მარნისა და პირველი მაისის საკრებულოებში².

ტოპონიმური თვალსაზრისით სხვაგვარი სურათი გვაქვს რიონის მარცხენა მხარეს მდებარე კეთილარის თემის საკრებულოში, რაც სამ სოფელს – კეთილარს, გაღმა კოდორსა და გულეიკარს აერთიანებს. სამტრედიის რაიონის საზღვარზე მდებარე სოფ. გულეიკარში პ. ცხადაიას მიერ 1985 წლის ოქტომბერში ჩა-

¹ Мингрельские Этюды. Первый выпуск. Мингрельские тексты с переводом и объяснениями. Собранные и изданы Ал. Сагарели. С.-Петербург, 1880, V-VI.

² პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. აბაშის რაიონი, VIII, 5-6.

წერილი 43 ტოპონიმიდან თითქმის ნახევარი მეგრულია (გიგომ ნაქობალუ, დუქანკარი, კოხნარიშ ფართობი, ნოჯიხენი, ჭილაიაშ ნაშარუ...). კეთილარში იმავე წელს ჩაწერილი 116 ტოპონიმიდან ძირითადი ნაწილი მეგრულია, ხოლო ქართულენოვანი ტოპონიმების რაოდენობა ძალზე მცირეა. აბაშის რაიონის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს სოფ. გაღმა კოდორი. აქ ჩაწერილი ყველა ტოპონიმი მეგრულენოვანია.

ნოღელა-ცხენისწყლის შუამდინარეთში, პ. ცხადაიას მოსაზრებით, დასტურდება იმერულ-გურული დიალექტებიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულების შემცველი ტოპონიმები. მკვლევარი ასახელებს ჰიბრიდული ინტერფერენციის რამდენიმე მაგალითსაც: **ქოლობანი** (სოფელი) ← **ქოლო** (მეგრ. კოდი; წყარო) + **უბანი** (ქართ.); **ბულვანი** (სოფელი) ← **ბული** (მეგრ. ბალი) + ქართული სადერივაციო ერთეული **-ოვან**; **ჭუბურვანი/ჭუბრ(ოვ)ანი** „წაბლნარი“ ← სახნავი: მეგრ. ჭუბური „წაბლი“ + ქართ. -ოვან (→ ჭუბროვანი)¹.

დაისმის კითხვა: თუკი ნოღელა-ცხენისწყლის შუამდინარეთში მდებარე ზოგიერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველებას ორენოვნებად არ მივიჩნევთ, მაშ, რა უნდა ეწოდოს იმ ფაქტს, რომ ამ სოფლების მიკროტოპონიმიაში პარალელურ ფორმებად დასტურდება მეგრულ- და ქართულენოვანი ტოპონიმები?²

ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ ქართველ ერს აქვს ერთი – ქართველური – ენობრივი სისტემა და მანამ, ვიდრე არ შექმნის

¹იქვე, 7-8.

²სხვათა შორის, ტ. ფუტკარაძეც ფიქრობს, რომ „ქვემოიმერულსა და მეგრულს შორის აბაშის რაიონში არსებული გარდამავალი ზონის მეტყველება შემართებულ ხიდს წარმოადგენს მეგრულსა და იმერულს შორის“, და, ამდენად, „მსოფლიოს სხვა ენებისა და კილოების მსგავსად, მომიჯნავე ქართველურ კილოებს შორის გაგებინების პრობლემა ნაკლებადაა“. მაგრამ მკვლევარი ვერც იმ ფაქტს გაეკცა (და ამას აღნიშნავს კიდევ თავის ნაშრომში), რომ მომიჯნავე მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის გაგებინებას ართულებს მთავორიანი ლანდშაფტის პირობები (სამეგრელო და სვანეთი, კახეთი და თუშეთი...): ბუნებრივი ბარიერები ხელს უშლის ინტენსიურ კომუნიკაციას. იხ. **ტ. ფუტკარაძე**, ქართველები, 2005, 57, და იქვე მითითებული ლიტ-რა: **ვ. ბოედერი**, ტერმინების – ენა და დიალექტი – გამოყენება ქართველურ ლინგვისტურ თეორიებში; ფრანკფურტის საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება, ფრანკფურტი, 12. 12. 2003; **კ. გაბუნია**, ქართველური ენების კლასიფიკაციის საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური კრიტერიუმების გამოიჯნისათვის. ჟურნ. ენათმეცნიერების საკითხები, №1, თბ., 2004, 171.

საკუთარ ინდივიდუალურ სისტემას, შეუძლებელია მეგრულის სამეტყველო სახესხვაობის ამ სისტემიდან გამოცალკეება. ამასთანავე, მკვლევართა მცირე ნაწილი იმ აზრისაა, რომ მეგრულ-ლაზური მეტყველების დამოუკიდებელი ენობრივი სისტემის ჭრილში განხილვა გაუმართლებელია, რადგან მას არ გააჩნია ისეთი სისტემური მახასიათებლები, რითაც შესაძლებელი გახდებოდა ქართველურისაგან მისი განსხვავებულობის მტკიცება. თ. გვანცელაძეც ფიქრობს, რომ მეგრული მეტყველების ლინგვისტური რაობა, – ენა იგი თუ დიალექტი? თუ დიალექტია, რომელი ენისა? – დღემდე გარკვეული არ არის.

ენათმეცნიერებისა და სოციოლოგიურ დისციპლინებში ენობრივი პოლიტიკის, როგორც კონკრეტული სახელმწიფოს შიგნით ენისა თუ ენათა სტატუსის, ენათა ურთიერთობის, ენათა სოციალურ-კულტურული განვითარების დონისძიებათა პროგრამის, ერთ-ერთ საკვანძო საკითხს, ენის დეფინიციის პრობლემა წარმოადგენს. სოციალურ-პოლიტიკური გაგებით **ენის ცნების** განსაზღვრის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს **დიალექტის ცნება**, დიგლოსიურობა თუ ბილინგვიზმი. მაგრამ იმდენად, რამდენადაც თანამედროვე ლინგვისტიკა და სოციოლინგვისტური ლიტერატურა არ იძლევა ენის, დიგლოსიისა და ბილინგვიზმის ცნებათა უდავო განსაზღვრებას, ჯერაც მოუგვარებელი აღნიშნული პრობლემა – **ტერმინთა დაუზუსტებლობა** დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ქართველ მეცნიერთა თავზეც, რაც სპეციალისტთა შორის ხშირად უსიამოვნო დავის საგანი გამხდარა. უფრო მეტიც, ამ მიზეზით მეცნიერული მსჯელობა აკადემიური მსჯელობის ჩარჩოებს საგრძნობლად გასდენია და არცთუ იშვიათად არასასურველი მიმართულებით განვითარებულა. პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე ერთ-ერთი ნაშრომის შესავალში წერს კიდევ სამართლიანად: „ლინგვისტურ ქართველოლოგიაში როგორც დესკრიფციული, ისე ისტორიული საკითხების მთელი წყება ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი და მოითხოვს გადასინჯვასა და ახლებურ გააზრებას“¹. ამგვარ სადისკუსიო საკითხთა წყებაში, როგორც აღვნიშნეთ, გადაუჭრელ პრობლემად

¹თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006, 8.

სწორედ ცნებათა – ენისა და დიალექტის დეფინიცია გვესახება. ენობრივი (კულტურული) სისტემისა და ქვესისტემის გამიჯვნის ზოგადთეორიული პრობლემებისადმი მიძღვნილი არაერთი სპეციალური (ქართული თუ არაქართული) გამოკვლევის არსებობის პირობებშიც კი, ბატონ თ. გვანცელაძესაც, ჩემი აზრით, ალბათ გაუჭირდებოდა ჯერჯერობით უდავო და უყოყმანოდ გასაზიარებელი არგუმენტის მიგნება და დასახელება. ამის ფონზე, ოპონენტის სამართლიანი შეფასებით, პ. ცხადაია, რასაკვირველია, ვაღდეულები არ იყო სწორედ სადოქტორო დისერტაციაში გადაეწყვიტა სადავო ტერმინოლოგიური პრობლემები.

სადავო არც ის დებულება უნდა იყოს, რომ „ქართული სამედიცინო ენა ქართველთა თვითიდენტიფიკაციის უძველესი საფუძველია“¹. თუმცა უდავო ჭეშმარიტებად ვერც იმის მტკიცებას მივიჩნევთ, რომ განსხვავებული ხედვით დაწერილი გამოკვლევების ავტორთა, კერძოდ, მეგრულისა და სვანურის უმწერლობო ენებად გამოცხადების მხარდამჭერი, ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების – ი. ჯავახიშვილის, ნ. მარის, პ. შუხართის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, ი. ყიფშიძის, გ. დეეტერსის, ვ. თოფურბას, ა. ჩიქობავას, პ. ფოგტის, გ. მელიქიშვილის, თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, ტ. გუდავას, გ. კლიმოვის, კ. შმიდტის, პ. ფენრიხის, ვ. ბოედერის, ი. ზიცარის, ზ. სარჯველაძის, ბ. გიგინეიშვილის, გ. როგავას, ქ. ლომთათიძის, მ. ქაღდანის, გ. რამიშვილის, თ. ჯაფარიძის, თ. ლორთქიფანიძის, გრ. გიორგაძის, ბ. ჯორბენაძის, თ. უთურგაიძის, ა. ონიანის, კ. გაბუნას, გ. გოგოლაშვილის, ვ. შენგელიას, კ. დანელიას, ი. ჩანტლაძის, ნ. ქუთელიას, ზ. ჭუმბურიძის, პ. ცხადაიას, მ. ქურდიანის, ნ. დობორჯგინიძის, მ. ჩუხუას, თ. მემიშიშის, ლ. ეზუგბაიას, ჭ. ქირიას, ჟ. სორდიას და სხვა მრავალთა, ნაკალმევი საბჭოური პოლიტიკური სანქციით ფორმულირებულ, საბჭოთა მეცნიერების გავლენით შექმნილ ნააზრევად მივიჩნით, რომლებიც ლაზურ-მეგრულისა და სვანურის უმწერლობო ენებად მიჩნევის პოზიციაზე დგომით თითქოს ხელს უწყობენ ქართველთა თვითიდენტიფიკაციის საფუძვლის მოშლას!

¹თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, 12.

საკუთარი არგუმენტების მქონე, წინა თაობების მკვლევართათვის საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მომხრე ავანტიურისტებისა თუ მოღალატეების იარღიყის მიკერება და ენათმეცნიერების პოლიტიზებით საქართველოსა და ქართველთა ენობრივ-ეთნიკური, საეკლესიო და სახელმწიფოებრივი ერთიანობის საფრთხეების გაზვიადებულად წარმოჩენა არა მგონია გონიერმა მკითხველმა, თუნდაც არასპეციალისტმა, ზოგ მეცნიერს „მეცნიერულ გმირობად“ ჩაუთვალოს!.. ხომ აღიარებული და უდავო ფაქტია: ყველა მეცნიერი თავის მოსაზრებას ისე ასაბუთებს, როგორც მას ესმის საკვლევი საკითხი.

და კიდევ, თანამედროვე გერმანელი მეცნიერის, ფილოლოგიის დოქტორის, პროფესორ ბერნდ ბონგენის სიტყვებით, „უთანხმოება მეცნიერების მარილია. უთანხმოების გარეშე მეცნიერება არ არსებობს. ამიტომ უნდა ვიცხოვროთ იმ პრობლემათ, რომ არასოდეს იქნება სრულყოფილი თანხმობა ჩვენ შორის“¹.

ჩემი აზრით, საკითხის პოლიტიზების მცდელობას ისახავს მიზნად ზოგიერთი ენათმეცნიერის შემდეგი კატეგორიული „მეცნიერული მტკიცება“: „თუკი მეგრელები ან სვანები იტყვიან იმას, რომ მათ აქვთ საკუთარი ენა, მაშინ აღიარონ, რომ ისინი ქართველები აღარ არიან“!..

ლაზურ-მეგრულისა და სვანურის ენად კვალიფიცირებას მეცნიერი სისტემური იგივეობა-სხვაობების მიხედვით უნდა ცდილობდეს. შესაბამისად, თვითიდენტიფიკაციის თვალსაზრისით მეტად საინტერესო საკითხის – ენაა თუ დიალექტი ლაზურ-მეგრული და სვანური? – აგრეთვე ლინგვისტური ცნებების – ენის, დიალექტის, დიგლოსის, ბილინგვიზმისა და ა. შ., ურთიერთმიმართების დადგენა ლინგვისტიკაში მხოლოდ ენათმეცნიერული/საკუთრივ ლინგვისტური კრიტერიუმების მომარჯვებითაა შესაძლებელი. სხვა მიდგომების, მაგალითად, ექსტრალინგვისტური ცნებებისა და კრიტერიუმების შემოტანა სცილდება ლინგვისტიკის სფეროს და ამით მხოლოდ ქაოსსა და უწესრიგობას, ხატვონად თუ ვიტყვით, ახალ ბაბილონის გოდოლს თუ მივიღებთ! ვფიქ-

¹მ. იუნგე, ბ. ბონგენი, დ. მიულერი, ენოსი და ტერორი საქართველოში, თბ., 2015, 305.

რობ, სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისით ლაზურ-მეგრული და სვანური ენებად კვალიფიცირდება (და სამართლიანადაც!), მაგრამ სოციოლინგვისტური/ეთნიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით მათ ქართული ენის დიალექტების სტატუსი ენიჭებათ.

მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ ქართველურ ენობრივ სამყაროში ლაზურ-მეგრულისა და სვანურის სტატუსი წმინდა ენათმეცნიერული ხასიათის კრიტერიუმების გათვალისწინებით (ბგერათშესატყვისობა, გავებინება, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა, ენობრივი სისტემა), დიდი ხანია დადგენილია და წარმოადგენს სამწიგნობრო ენისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ენებს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ქართველ ლინგვისტთა გარკვეული ნაწილი ლაზურ-მეგრულისა და სვანურისათვის სტატუსის განსაზღვრაში, ანუ რევიონულ და უმცირესობათა ენებად მიჩნევაში ეროვნული ერთიანობის წინაშე მდგომ საფრთხეს ხედავს. აქცენტს, როგორც წესი, ძირითადად ლაზურ-მეგრულზე აკეთებენ. ასეთი საფრთხის არსებობის შესახებ საკმაოდ ფეხმოკიდებულ ეჭვს, ჩემი აზრით, ფანტავს ერთ-ერთი ინტერნეტ-ფორუმების განცხადება: „ვინც იძახის, რომ მეგრული მხოლოდ დიალექტია, ამ საკითხს მხოლოდ პოლიტიკური კუთხით უყურებს! სეპარატიზმის შიშით სიმართლის უგულვებელყოფა და, მით უმეტეს, მისი დევნა, ერთიანობას ვერ განამტკიცებს! სიმტკიცე სიმართლეშია! მეგრული არის ენა!“ მას ასევე აინტერესებს, „რატომ ჩნდება ყოველთვის კითხვა სამეგრელოს სეპარატიზმზე? სად და რაში ხედავთ მას? რატომ ვერ იშორებთ შიშის ამ ლანდს?“ – მიმართავს იგი ოპონენტებს, უკვირს, რატომ აღიქვამენ „მეგრულის ენად აღიარებას საქართველოს მთლიანობისათვის საფრთხედ“, მოითხოვს არგუმენტაციას: „თუ მართლაც ასე ფიქრობ, იქნებ დაასაბუთო ეს კავშირი ამ ორ მოვლენას შორის. თანაც გაითვალისწინე, რომ საფრთხეს ტყუილი ქმნის და არა სიმართლე...“; მისი აზრით, „ვინც მეგრულს დიალექტად აცხადებს, ის აბუნტებს მეგრელობას და ნერგავს მათში საშიშ სეპა-

რატიზმს“¹. ვფიქრობ, ყველაფერი ნათქვამია და ამ საკითხზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებ.

ერის, ენისა და ეროვნული მოძრაობის საკითხი სოციოლოგიის ერთ-ერთი უძირითადესი და ურთულესი საკითხია. დღემდე საბოლოოდ გარკვეული არ არის ამ ცნებათა დეფინიცია: რა ნიშნები ახასიათებს ერს? როდის მოხდა ისტორიაში ერების წარმოშობა? როგორია ერებისა და ეროვნული ენების საბოლოო ბედი?! ამ საკითხებზე სწორი, მეცნიერული პასუხის გასაცემად გასათვალისწინებელია მთელი კაცობრიობის ისტორია, საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული ფაქტები. მაგრამ ყველა ქვეყნის, დედამიწის ყველა კონტინენტის ისტორიული მოვლენების შესწავლა და შეფასება ზემოთ დასახელებული საკითხების გასარკვევად არავის ძალუძს, თითქმის შეუძლებელია. კიდევ რომ შეძლონ მეცნიერებმა ამ ამოცანის გადაწყვეტა, არა გვეგონია მიღებულ იქნას ერთმნიშვნელოვანი დასკვნები, ისეთი თეორია, რომელიც ყველა კონკრეტულ-ისტორიულ ფაქტს მიესადაგება. ენა ერის უპირველესი ნიშანთაგანია. ყოველ ერს თავისი საკუთარი ენა უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ. სხვა ერის ენაზე მოლაპარაკე ხალხი სრულყოფილი ერი არ არის. მას ენასთან ერთად აკლია ის კულტურული ღირებულებანი, რაც ენის მეოხებით იქმნება და თაობიდან თაობას გადაეცემა (მითები და თქმულებები, ტრადიციები, ადამ-წესები, ხალხური პოეზია, იგავ-არაკები, სიმღერები). მხედველობაში გვაქვს ამერიკის შეერთებული შტატების ხალხი. მართალია, ამერიკა გამორჩეულად დიდი ქვეყანაა ცხოვრების მაღალი დონით, მეცნიერებით, ტექნიკით, წარმოებით, ბუნებრივი სიმდიდრეებით, იგი დღეს მსოფლიო პროცესების წარმმართველი ძალაა, მაგრამ მისი ღირსეულ ერად ჩამოყალიბებისათვის ჯერ კიდევ დროა საჭირო. ამერიკაში გავრცელებულ ინგლისურ ენასა და დიდი ბრიტანეთის ენას შორის უკვე შეინიშნება განსხვავება; იგი დროთა ვითარებაში თანდათანობით გაღრმავდება და შეიძლება დადგეს ისეთი ხანა, როცა მათ შორის ისეთი დამოკიდებულება შეიქმნება, როგორიც არსებობს დღეს, მაგალითად, რუსულ და უკრაინულ ენებს შორის. ამის

¹ კ. გაბუნია, ლ. ეზუგბაია, ჭ. ქირია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში, თბ., 2010, 73-74.

შემდეგ შეიძლება თამამად ვილაპარაკოთ ამერიკელი ერის შესახებ. სხვა ერის ენაზე მოსაუბრე ხალხი სრულყოფილი, ჭეშმარიტი ერი არ არის. სანამ ამერიკელი ხალხის შემადგენლობაში არსებულ ინგლისელ, გერმანელ, ფრანგ თუ ევროპიდან (აგრეთვე სხვა კონტინენტებიდან) ვადმოსახლებულ ადამიანთა ჯგუფებს შორის არ წაიშლება თავიანთი ქვეყნებიდან გამოყოფილი თავისებურებანი, აგრეთვე ადგილობრივი ინდიელები, როგორც ამას აბორიგენ მოსახლეობას უწოდებენ, სურთ ეს მათ თუ არა, არ გაითქვიფებიან მათში, ისინი ვერ შექმნიან ერთიან ეროვნულ კავშირს. ეროვნული სულის ჩამოყალიბებისათვის გარკვეული დროა საჭირო. გაივლის ათეული და ათასეული წლები და ინგლისელი ერის ენასა და ამერიკულ ინგლისურს შორის განსხვავება თანდათან გაიზრდება. ეს კანონზომიერი პროცესია, ახალი ენის წარმოშობის ობიექტური წინამძღვარია. ამ გზით ბოლოს და ბოლოს მივიღებთ ამერიკაში მოქმედ თავისებურ, ახალ ენას, ახლოს მდგომს თავის წინარე ენასთან, მაგრამ მაინც განსხვავებულს. ამ პერიოდში სხვა ეროვნული ნიშნებიც გამოიკვეთება და აი, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ ნამდვილი, ჭეშმარიტი ამერიკელი ერის შესახებ. ვიმეორებთ, სრულყოფილ ერს ენა უთუოდ საკუთარი უნდა ჰქონდეს.

არანაკლებ საინტერესოა მეორე საკითხი **ერისა და ენის ურთიერთობის ისტორიიდან**. ორი ერი ერთი ენით არაბუნებრივი მოვლენაა, რომელსაც ხელოვნურობის ბეჭედი აზის. მაგრამ თუ შეიძლება ერთი ერი ორი ენით? ჩვენი აზრით, შეუძლებელია ერს ორი ენა ჰქონდეს. არც ეს იქნება ბუნებრივი მოვლენა. ყველა ერი, სხვისგან განსხვავებულ, თავის საკუთარ ენაზე მეტყველებს, აზროვნებს; არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ახლოსაა იგი რომელიმე მეზობლის ან ძმის ენასთან, ან საიდან მომდინარეობს; მთავრია ხალხის ძირითადი მასის დამოკიდებულება ენისადმი. მეორე ენა უთუოდ თავს მოხვეუელი ენაა. არ არის გამოორიციხული ძალდატანება, იძულება. არც ორი ერი ერთი ენით და არც ერთი ერი ორი ენით. ერთიც და მეორეც ბუნების საწინააღმდეგო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ისტორიამ არ იცის ისეთი ფაქტი, როცა ერთდროულად ერი ორ ენაზე ლაპარაკობდეს; მშობლიური ენა ერთია. ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით,

ორი ენის შექმნა ერთი ერის ძალ-ღონეს აღემატება. იმ შემთხვევაში, როცა ერს აქვს ერთი საკუთარი ენა, რომლის მეოხებით იგი ლაპარაკობს, აზროვნებს, შრომით საქმიანობას ეწევა, უაზრობაა ახალი, მისგან განსხვავებული მეორე ენის შექმნა. ასეთ უაზრობას ისტორია თავს არიდებს. ამის ისტორიული აუცილებლობა გამოირიცხულია. „ისტორია საერთოდ ისეთ რამეს არ აკეთებს, რაც მაინცდამაინც აუცილებელი არ არის“ (ი. სტალინი).

ქართველი ერი უძველესი, სრულყოფილი, ჭეშმარიტი ერია. მას თავისი საკუთარი ენა აქვს. ქართული ენის ძირები საუკუნეების სიღრმეშია საძიებელი. ქართული ენა ქართველი ერის გენის შემოქმედებას წარმოადგენს. ქართულ ენაზე შექმნილია უძველესი მითები და თქმულებები, ზღაპრები, ლექსები და სიმღერები; არსებობს მდიდარი ხალხური შემოქმედება, V საუკუნიდან – მწერლობა. ქართული დამწერლობა გამორჩეულია სხვა ერის ანბანთა შორის. ქართველ ერს შეუძლია იამაყოს თავისი ენით, მისი სრულყოფილებით, აზრის გამოხატვის საშუალებათა სიმდიდრით...

ერის მეორე ძირითადი ნიშანი **ტერიტორია, ტერიტორიული ერთიანობაა**. უკეთ რომ ვთქვათ, ერთ განუყოფელ ტერიტორიაზე ცხოვრებაა. თუ ერის რომელიმე ნაწილი მოწყდება ერის ძირითად მასას, სხვა ტერიტორიაზე გადასახლდება ან ტერიტორიასთან ერთად სხვა ქვეყნის შემადგენლობაში მოექცევა, სულერთია, ნებით თუ იძულებით, დიდი ხნის შემდეგ ის კარგავს საკუთარ ენას, იცვლის ზნე-ჩვეულებებს და ა. შ. იგი სხვა ერის ნაწილად იქცევა. ერი მაშინ არის ერთიანი, მთლიანი, როდესაც ყველა მისი წევრი ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობს, ერთადაა ჭირსა და ღებინში, ერთ ცენტრალიზებულ მმართველობას ემორჩილება, ერთად იბრძვის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, ერთმანეთის მხარდამხარ ხვდება მომხდურ მტერს და თავს არ ზოგავს საკუთარი თვითმოყოფადობის შენარჩუნებისათვის. ქართველი ერის შემადგენლობაში შედის ის კუთხეები, რომლებიც ერთმანეთის გვერდით საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, ერთ ენაზე მეტყველებენ და ერთად გამოდიან საერთო მტრის წინააღმდეგ. არ იქნება შეცდომა, თუ ვიტყვით, რომ დღევანდელ თურქეთსა და ირანში მცხოვრები ქართველები არ შედიან ქართველი

ერის შემადგენლობაში. სხვას რომ თავი დავანებოთ, ტერიტორიული განცალკევება, სხვა სახელმწიფოს პოლიტიკურ გამგებლობაში მოქცევა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მათი მოქმედება ერთი მიზნით, ერთი გზით წარიმართოს. იგივე ითქმის საინვილოს ქართველების შესახებ. უბრალო თანაგრძნობა ამ შემთხვევაში საქმეს ვერ შევლის. როგორი ტკბილი სიტყვებიც არ უნდა ეუთხრათ სხვადასხვა შეხვედრებისას თურქეთისა და ირანის ქართველებს, თავიანთი სულით და ხორციით ისინი ქართველ ერს უკვე აღარ ეკუთვნიან. დღეს ქართველ ერს შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომები, რომლებიც ქართულ ენაზე მეტყველებენ და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულობის სხვა ნიშნებიც არაა უცხო მათთვის (ვგულისხმობთ განსაკუთრებით ეროვნულ თვითშეგნებას). **ასევე წარმოუდგენელია ორი დამოუკიდებელი ერის ცხოვრება ერთ, საერთო ტერიტორიაზე. არც ორი ერთ ერთ ტერიტორიაზე და არც ერთი ერთი ორი ერთი; არც ორენოვანი ტერიტორია არსებულა ისტორიულად და არც ორენოვანი ერი.** ორი ერთი კი არა, ერთ ენაზე მოლაპარაკე ორი ტომიც კი გარკვეული ნიშნით გამოიჯნულია ერთმანეთისგან, თუმცა ერთ ქვეყანას, ერთ ერს, ერთ სახელმწიფოს წარმოადგენენ. საზოგადოების ისტორია გვიჩვენებს, რომ ერებს კი არა, ერთი და იმავე ერის ტომებსაც კი არ უცხოვრიათ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, ერთმანეთში არეულად; უფრო მეტიც, საზღვრები ყოფილა ტომებს შიგნით, სოფლებს შორისაც და სოფლის შიგნით გვარებსაც თავიანთი ადგილ-მამულები ჰქონდათ. რა თქმა უნდა, ბუნებრივ-გეოგრაფიული წყაღვამყოფები ქვეყნის შიგნით და პოლიტიკური საზღვრები ქვეყნებს შორის სხვადასხვა რამ არის...¹

ოპონენტს ერთგვარ უხერხულობას უქმნის პ. ცხადაიას ნაშრომში ერთ-ერთი პარაგრაფის სათაური – „აფხაზთა და მეგრელთა თანამედროვე ეთნოგრაფიულ-ტერიტორიული საზღვარი და ტოპონიმიკური ინტერფერენცია“. ამ ფრაზის მიხედვით გამოდის, წერს თ. გვანცელაძე, რომ მეგრელი ისეთივე ეთნიკური ერთეულია, როგორიცაა აფხაზი. ასეთივე შთაბეჭდილება იქმნება

¹ მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ბ. კარტოზია, ი. კაკელია, ერი და ეროვნული მოძრაობა, ქუთ., 2011.

სადისერტაციო ნაშრომის იმ ადგილიდანაც, სადაც ლაპარაკია აფხაზთა და მეგრელთა უკვე არა ეთნოგრაფიულ, არამედ ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე. ვინაიდან ტერმინ **ეთნოსს** მკითხველთა უმრავლესობა აღიქვამს როგორც დამოუკიდებელი ხალხის (ერის) აღმნიშვნელ სიტყვას, ამ მიზეზის გამო ოპონენტი გაუმართლებლად მიიჩნევს, ერთგან, დვალების, სვანებისა და მეგრელების ეთნოსებად, ხოლო მეორეგან აჭარის, გურიისა და იმერეთის ეთნიკურ-დიალექტურ რეგიონებად გამოცხადებას.

აჭარა, გურია და იმერეთი, თ. გვანცველადის მართებული შენიშვნით, ეთნიკურ-დიალექტურ რეგიონებად ვერ ჩაითვლება. ჩემი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა დისერტანტს სამივე რეგიონი დიალექტურად გამოეცხადებინა, მაგრამ როცა ლაპარაკია ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე, ან ტერმინ **ეთნოსის** დეფინიციაზე, უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც ერთგვარ უხერხულობას სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ტერმინოლოგიური სიტყვლე ქმნის. პ. ცხადაიას ნაშრომის („ონომასტიკის შესავალი“) ერთ-ერთ პარაგრაფში მოცემულია ტერმინების – **ეთნონიმიისა** და **ეთნონიმიკის** ანალიზი. ეთნონიმი ეთნოსის აღმნიშვნელი ნომენია და არა ონიმი, თუმცა კი ლექსიკური სტრუქტურის თვალსაზრისით მრავალი ონომასტიკური ტერმინის მსგავსია და მეორე კომპონენტად შეიცავს კიდევ ონიმს („საკუთარ სახელს“). **ეთნონიმი**ა ეთნონიმთა ერთობლიობაა, ხოლო **ეთნონიმიკა**, როგორც ონომასტიკის ქვედარგი, შეისწავლის ეთნონიმებს¹.

„ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში“ პ. ცხადაია წარმოგვიდგენს თვით ტერმინ **ეთნოსის** შემდეგ დეფინიციას: „**ეთნოსი** – ნებისმიერი ეთნიკური ერთეული: ეროვნება, ერი, ხალხი, ტომი, ეთნიკური ჯგუფი, ეთნიკური ერთობა“², ხოლო **ეთნონიმი** განმარტებულია როგორც **ეთნოსის** სახელი. მაგ.: ქართველი, ოსი, აფხაზი, სვანი, მეგრელი, კახელი, ქართლელი, მოხევე³. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მიხედვით, ეთნონიმების,

¹ პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 189-190.

² პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 42.

³ პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 41.

ანუ ხალხების, ტომების საკუთარ სახელებს **ეთნონიმია** შეისწავლის¹.

პ. ცხადიას აზრით, თავდაპირველ ძირეულ ეთნიკურ ერთეულს ტომი წარმოადგენს, ხოლო შემდგომს – ტომთა გაერთიანება... დაისმის კითხვა: რამდენად მისაღებია ტერმინი **ეთნონიმი** ერების, ეროვნებათა, ხალხების აღსანიშნავად? იყო ცდაც, ტომების სახელები აღენიშნათ ტერმინით **სუბეთნონიმი**, ხოლო ხალხებისა და ერების სახელწოდებანი – ტერმინ **ეთნონიმი**. მაგრამ სხვა ტერმინის უქონლობის გამო ეთნონიმი დარჩა ნებისმიერი ეთნიკური ერთეულის აღმნიშვნელ სახელად².

აქვე დავიმოწმებთ სხვა მოსაზრებებსაც: „საქართველოს გეოგრაფიის“ IX კლასის სახელმძღვანელოს ავტორები მიიჩნევენ, რომ „ქართველი ხალხი სამი ძირითადი სუბეთნიკური ჯგუფისაგან – ქართების, მეგრელების და სვანებისაგან შედგება“ (გვ. 147). ზურაბ დავითაშვილი და ნოდარ ელიზბარაშვილი 2012 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში სუბეთნოსის ასეთ დეფინიციას იძლევიან: „**სუბეთნოსი** – გამოკვეთილი ეთნიკური ინდივიდუალობის მქონე ერთობები ეთნოსის შიგნით, რომლის წევრებიც აცნობიერებენ ეთნიკურ თავისთავადობას ეთნოსის ფარგლებში და აქვთ საკუთარი ეთნონიმი (მაგ., მეგრელები და სვანები ქართული ეთნოსის შიგნით)“ (გვ. 152)³.

ვიქრობ, სვანეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის ორენობება მათი ორიარუსიანი ეთნიკური თვითშეგნებით უნდა აიხსნას. დღეს მეგრელებისა და სვანების უმრავლესობა აცნობიერებს თავის ქართველობას, მაგრამ იმავდროულად მათში მაინც მყარად შენარჩუნებულია ტრადიციული ისტორიული წარმოდგენა წარსულში განცალკევებით არსებობის, აგრეთვე ქართველებთან შერწყმული აღნიშნული ეთნიკური ქვედანაყოფებისადმი კუთვნი-

¹ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, IV, 58.

²პ. ცხადია, ონომასტიკის შესავალი, 192. მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ქვემოთ: „§4. ონომასტიკის თეორიული პრობლემები“.

³ციტირება იხ. დ. შავიანიძის წიგნიდან – სამეგრელო, 2015, 14-15; თვით დ. შავიანიძე სამეგრელოს მოსახლეობის ცალკე ეთნოსად, ეთნიკურ ჯგუფად, ეთნიკურ უმცირესობად, სუბეთნოსად მოხსენიებას არაადეკვატურად მიიჩნევს და დაასკვნის: „სამეგრელოს მკვიდრთა ნაწილი საუბრობს რუსულ-საბჭოური იდენტობის დოკმით დადგენილ „ჭეშმარიტებაზე“, რომ დასავლეთ საქართველო მეგრელო-საცხოვრისი იყო და მოხდა გაქართება“, იქვე, 19.

ლების შესახებაც. მაგრამ ასეთივე ვითარება როდი გვაქვს მრავალსაუკუნოვანი, გნებათ მრავალწახნაგოვანი, ისტორიული კატაკლიზმების გამო უცხო სახელმწიფოებრივ და კულტურულ ველში (ტ. ფუტკარაძის სიტყვებია), კერძოდ, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ლაზებთან მიმართებაში. რამდენადაც ამ მიზეზით (იგულისხმება საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს გარეთ ლაზების ცხოვრება) მათში საკუთარი წარსულის ცოდნის ხარისხი განსხვავებულია, რადგან ხშირად არა აქვთ ინფორმაცია საკუთარი ისტორიის/კულტურის შესახებ, ტ. ფუტკარაძის აზრით, ამ ვითარებამ პირდაპირპროპორციულად ასახვა პპოვა ლაზთა ეროვნულ-ენობრივ თვითაღქმაზე. კერძოდ, თურქეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ლაზთა ნაწილს დაეიწყებული აქვს თავისი კილო და, თურქული განათლების სისტემის შესაბამისად, თავს თურქად მიიჩნევენ. თურქეთსა და ევროპაში მოღვაწე ლაზთა ნაწილისთვის უცნობია საერთოქართველური კულტურის ქმნადობის პროცესში ლაზ-მეგრელთა მონაწილეობა, მაგრამ მათთვის ცნობილია, რომ ლაზები ენობრივ-ეთნიკურად არსებითად განსხვავდებიან თურქებისაგან. ლაზთა ეს ჯგუფი საკუთარი მეტყველების ბაზაზე სამწიგნობრო ენის ახლად შექმნით ცდილობს თავისთავადობის „გადარჩენას“¹.

საკუთარი ისტორიის/კულტურის შესახებ გარკვეული ინფორმაციის ცოდნა, ბუნებრივია, გულისხმობს ერის არსებით ნიშნათა შორის ერთ-ერთ, მეტად დიდი მნიშვნელობის მქონე **ეთნიკურ-ეროვნულ თვითშეგნებას**. ამ თვითშეგნების გარეშე არსებული ერი ერი არ არის. ეთნიკურ და ეროვნულ თვითშეგნებას მოკლებული ერი, როგორც იტყვიან, საძოვარზე მიშვებულია ნახირია, რომელიც მხოლოდ ბალახს და წყალს ეტანება და არ აინტერესებს ვისი საკუთრებაა იგი – იქ ძოვს, საითაც გარეკავენ. ეთნიკური და ეროვნული თვითშეგნება იმას ნიშნავს, რომ ერის ყველა სოციალურ ფენას საერთო-ეროვნული ინტერესები უპირველესად და უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე პირადი, ჯგუფური და ა. შ. შეიძლება ერმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგოს. ეს იმდენად საშიში არ არის, მისი დაბრუნება

¹ტ. ფუტკარაძე, ქართველთა დედანა და დიალექტები, ქუთ., 2008, 16-17.

შეიძლება. მთავარია, ერში არ გაქრეს ეთნიკურ-ეროვნული თვით-შეგნება და მუდმივმოქმედ ძალად დარჩეს იგი, ან უნდა შეაკავშიროს ერის ყველა ფენა საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, საერთო მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად და ზოგჯერ პოლიტიკური ძალის ფუნქციაც შეასრულოს. მაშ, რისი თქმა გვსურს? განა, თურქეთის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ სიერცეში მცხოვრებ ლაზებს ეთნიკურ-ეროვნული თვითშეგნება დავიწყებული აქვთ? თუ ამ პოზიციიდან შევაფასებთ თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ლაზთა, როგორც ამბივალენტური კულტურული იდენტობის მქონე ქართველთა, თანამედროვე მდგომარეობას, წარსულის ცოდნის ხარისხის განსხვავებულობა შეუძლებელია მიხნეულ იქნას ლაზთა ეთნიკურ-ეროვნული თვით-შეგნების ქართული ეთნიკურ-ეროვნული თვითშეგნებისგან განსხვავების უმთავრეს და უცილობელ მიზეზად!.. რასთან გვაქვს საქმე? რატომ მიიხნევენ თურქული განათლების სისტემის შესაბამისად აღზრდილი ლაზები თავს თურქებად? ლაზები სამხრეთ კავკასიურ, შესაბამისად, ქართველურ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ყველაზე პრობლემურნი არიან, იმ გაგებით, რომ სადემარკაციო ხაზი მათსა და ქართველებს შორის საუკუნეების წინ ღრმად იყო გავლებული. მეგრელები, მართალია საუბრობენ მეგრულად, ამასთანავე, ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან და მათზე აშკარად იგრძნობა ქართული ენის, როგორც ღვთისმსახურებისა და სასკოლო განათლების ენის, მძლავრი გავლენა. მეგრელებისგან განსხვავებით, ლაზებში ორივე ელემენტი მკვეთრად გამოიჯნულია: არ საუბრობენ ქართულ ენაზე და არიან მუსლიმები. ამასთანავე, ისტორიულმა ბედუკულმართობამ განაპირობა მათი ქართველებისგან იზოლირებულად ცხოვრება საქართველოს საზღვრებს გარეთ, თურქეთის ტერიტორიაზე (სსრკ-თურქეთის სასაზღვრო ხელშეკრულების თანახმად ამ ორ ქვეყანას შორის საზღვარი გადიოდა ისე, რომ ლაზისტანი/ლაზეთი ერთადერთი სოფლის – სარფის აღმოსავლეთი ნაწილის გარდა, მთლიანად თურქეთის შემადგენლობაში რჩებოდა). ამდენად, ლაზების უდიდესი ნაწილი, სხვა ქართველური ჯგუფებისგან განსხვავებით, საქართველოში აღარ ცხოვრობდა.

ამ კითხვებზე პასუხს, ვფიქრობ, მკითხველი იპოვის გერმანიაში მოღვაწე ლაზის – გუბაზ ჩიბარისის წერილში – „მეგრელ-ლაზები და საქართველო“. სხვათა შორის, Lazebura.com-ის გვერდებზე 2003 წლის მარტში გამოქვეყნებული აღნიშნული სტატიის გიგა ჯამუშაძისეული ქართული თარგმანი შესულია ტ. ფუტკარაძის წიგნში – „ქართველები“: „არქეოლოგი და ისტორიკოსი ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ იბერიული კულტურა და კოლხური კულტურა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მატერიალური კულტურის მფლობელები არიან. ასეთი ვითარება გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში მეგრელ-ლაზებსა და იბერიელებს (ქართველებს) შორის კავშირი ან არ არსებობდა, ანდა ისეთ დონეზე იყო, რომ ერთმანეთზე გავლენას ვერ ახდენდნენ. კოლხური კულტურა, მეგრელ-ლაზთა გაქრისტიანების პერიოდადღე, ესე იგი, ჩვ. წ. აღ-ის მე-4, მე-5 საუკუნეებამდე გრძელდება (აფაქიძე). ელინური და რომაული კოლონიზაცია და ამ კულტურების გავლენაზე დამოკიდებული მეგრელ-ლაზები გაქრისტიანების შემდეგ საბერძნეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაზე იყვნენ დამოკიდებულინი და ეკლესიის ენა ბერძნული იყო.

ქართველებისა და მეგრელ-ლაზების შესაძლო პირველი სერიოზული კულტურული შეხება მეგრელ-ლაზთა ადრეულ საუკუნეებში ქართულ ორთოდოქსულ ეკლესიასთან დაკავშირებით დაიწყო...

ქართველები და მეგრელ-ლაზები დაახლოებით 3000 წელი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ. კოლხური კულტურა იბერიული (ქართული) კულტურიდან დაახლოებით 700 წლით გვიან იწყება.

გნებავთ ენობრივი, გნებავთ ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, ნათლად ჩანს, რომ მეგრელ-ლაზები ქართველებისაგან (ქორთუებისგან) განსხვავებული ეთნიკური ჯგუფია. ამ ორი ხალხის ფიზიონომიური სახეებიც კი თავისუფლად შეიძლება განვასხვავოთ. მოკლედ რომ ვთქვათ, მეგრელ-ლაზთა და ქართველებს შორის ყველაზე ახლო კავშირები მხოლოდ ამ ორი ენის ერთი და იმავე ენათა ოჯახის წევრობაა...

მეგრელ-ლაზთა, ქართველთა და სვანთა ერთ ხალხად გამოცხადება და „ქართველიანებად“ სახელდება ისტორიულად და

ლინგვისტურად ალოგიკურია. თუკი ყველანი ქართველები ვართ, ესე იგი, ერთი ხალხი ვართ, მაშინ მეცნიერებისა და ლიტერატურის ენად ქართულის გამოყენება ფარული ასიმილაციის ტოლფასია. აქ არსებული ალოგიკურობა ქართულის ჩვ. წ. აღრიცხვამდე 4000-5000 წლებში დაშლის შედეგად წარმოქმნილი ენის ვერდანახვა, ანდა, დანახვის უსურველობაა. ლაზები უკვე თავისი ნებით, ქართველებისა და თურქების სურვილებს არ თანაუგრძობენ; მათი ასიმილაციის მსურველთა უმართებულობა ცხადია⁴.

ტ. ფუტკარაძე ფიქრობს, რომ გუბაზ ჩიბარისის ასეთი მსჯელობა საკუთარი ეროვნული ისტორიის არცოდნას ეფუძნება და რომ „ქართველურ კულტურასთან ლაზთა თვითგაიგივებას, თვითიდენტიფიკაციას ართულებს საერთო ქართველური ენის დივერგენციის ის მცდარი ქრონოლოგიებიც, რომლებიც აქამდე იყო დამკვიდრებული“². მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეთნიკურ-ეროვნული თვითაღქმის თვალსაზრისით საკუთარი ფესვების ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს³. მაგრამ საქმე ისაა, რომ ვინც დაკვირვებით გაეცნობა და ღრმად გააანალიზებს გ. ჩიბარისის წერილიდან დამოწმებულ ფრაგმენტს, ზოგი ნიუანსის უმართებულობის/მცდარობის შემთხვევაშიც კი, ალბათ გაგვიჭირდებოდა ავტორისთვის ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენის, კულტურისა და სახელმწიფოებრიობის, საკუთარი ეროვნული ისტორიის არმცოდნის იარღილი მიგვეკერებინა.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ მესახება ჩემ მიერ სამეგრელოში ჩაწერილი ხაღხური სიტყვიერების ერთი ნიმუშის შინაარსის გააზრებაც. მეგრული ამბობს: **ქორთუ, ქორთუ, მელეხუშე მორთუ** „ქართველი, ქართველი (ღიხს)გაღმიდან მოვიდა...“ იქნებ ამ ორ სტროფს შემოუნახავს ხსოვნა თუ ტრადიციული ისტორიული წარმოდგენა, წარსულში (ახ. წ. VII-VIII სს-მდე) ეთნიკური ნიშნით მეგრელთა განცალკევებით ცხოვრებისა?!

მ. ჭურდიანი მეგრელებისა და სვანების ერთ ენას დედაენად მიიხნევდა, მეორე ენას კი – ეროვნულ ენად. „სვანეთსა და სა-

¹ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქრისტიანობამდელი ეპოქა, 2005, 49-50.

²იქვე, 49.

³იქვე, 51.

მეგრელოში დამკვიდრებულია ორენოვნება: სვანურ-ქართული და მეგრულ-ქართული...“; – წერდა მკვლევარი და ამ მიმართებებს ბილინგვურ დიგლოსიად აცხადებდა¹. თანამედროვე ქართველოლოგიაში სვანურისა და მეგრულის არასამწიფნობრო ენებად მიხნევის შესახებ ვაბატონებულ თეორიას გადაჭრით უარყოფს ტარიელ ფუტკარაძე და ცდილობს, რომ სვანურსა და მეგრულს მის მიერ უკიდევანო ფანტაზიით წარმოსახულ დიალექტთა საოცარ კონგლომერატში მიუჩინოს ადგილი². ენა ურთიერთგაგებინების საშუალებათა სისტემაა, ხოლო დიალექტი მის შემადგენელ ნაწილს, ენის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს³. ენაკილოთა კვალიფიკაციისას გაგებინება მეცნიერთა მიერ ერთ-ერთ ლინგვისტურ კრიტერიუმდაა აღიარებული⁴, მაგრამ იმ გარემოებას, რომ ზანურსა (მეგრულს) და სვანურს ეს თვისება დაკარგული აქვს დანარჩენ ქართულთან მიმართებაში, ტ. ფუტკარაძე ასეთ გამართლებას უძებნის: მომიჯნავე ქართველურ კილოებს შორის გაგებინების პრობლემა არ იარსებებდა, საქართველოში გარდამავალი სამეცყველო ზონები სუსტად რომ არ ყოფილიყო შესწავლილი⁵. მკვლევარი გრძნობს, რომ წარმოადგენილ არგუმენტს დასაბუთება აკლია და ამ მიზეზით დაასკვნის: „თავიდანვე აღენიშნავთ, რომ გაგებინება არ არის ლინგვისტური კრიტერიუმი... წერილობითი ტრადიციის მქონე საზოგადოების ზეპირი (ხალხური) მეცყველების სტატუსის განსაზღვრისას გაგებინების კრიტერიუმს ვერ დავუყრდნობით, ვინაიდან, ლოგიკაში გაგებინება მეტად პირობითი ცნებაა...“⁶.

სამეგრელო-სვანეთის მოსახლეობას სადღეისოდ სამწერლო-ბო თუ სამწიფნობრო ტრადიცია არ გააჩნია, მაგრამ ეს განა შე-

¹ მ. ქურდიანი, სვანთა და მეგრელთა ქართული მეცყველების საკუთრივ-ლინგვისტური სტატუსის შესახებ. XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ახალციხე, 1999.

² ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 75-76.

³ მსჯელობისათვის იხ. ა. ონიანი, ენა და დიალექტი (ქართველური დიალექტები თუ ქართველური ენები?!. ჟურნ. „ენათმეცნიერების საკითხები, №1, თბ., 2003, 136-137.

⁴ თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003, 615.

⁵ იქვე, 57.

⁶ იქვე, 56, 57.

იძლება მიხეუდ იქნას იმად, რომ მათ მშობლიური ენა არა აქვთ? მთიან სამეგრელოში დღესაც ცხოვრობენ ოჯახები, რომლებიც ვერ ფლობენ საერთო სალიტერატურო, ეროვნულ ენას, მაგრამ ზეპირი ურთიერთობების დროს ისინი ბრწყინვალედ მეტყველებენ არასალიტერატურო, მშობლიურ მეგრულ ენაზე (ტ. ფუტკარაძის სიტყვით – დიალექტზე). ამასთანავე, ცნობილი ფაქტია, რომ ძირითადად ადგილმონაცვლე პირებს – მეგრელებს, მაგალითად, აფხაზეთიდან ქუთაისში ან თბილისში ჩამოსვლის შემდეგ აქვთ შესწავლილი ქართული ენა. ბუნებრივია, დაისმის კითხვა: მაშ, რომელ ენაზე დაიწვეს მათ ლაპარაკი აფხაზეთში? რომელი იყო მათთვის აკვნის ენა ქართული ენის შესწავლამდე?

თ. გვანცელაძის აზრით, დისერტაციის ხუთ გვერდზე გაშლილი თხრობა იმის შესახებ, თუ რომელი ენა გამოიყენებოდა ქრისტიანული მღვდელმსახურებისათვის ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში, ძირითადად, ჰიპოთეტურია და საბოლოოდ ჯერაც არ დამტკიცებულა. ამ პრობლემურ და მეტად საინტერესო საკითხს პ. ცხადაია, უფრო ვრცლად შეეხო მოგვიანებით გამოქვეყნებულ სტატიაში¹.

საკითხში უფრო მეტი სინათლის შეტანის მიზნით ამ ნაშრომს აქვე ვრცლად გავაანალიზებთ და მოვიხმობთ დამატებით არგუმენტებსაც.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ ბიზანტიის იმპერიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა კავკასიის ადრეფეოდალურ სახელმწიფოებთან (ქართლი, ვერისი, არმენია, ალბანეთი). რამდენადაც ბიზანტინიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს ქრისტიანობა წარმოადგენდა, ბიზანტიის ისტორიაც მკვლევართა უმეტესობის მიერ IV ს-დან იწყება. აქედან მოყოლებული XV ს-მდე, გარკვეულ პერიოდებში, საქართველოს ცალკეული რეგიონები ან ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა, ან მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ხან ერთმანეთს მტრობდნენ, ხან კი მშვიდობიანი და მრავალმხრივი კონტაქტები ჰქონ-

¹პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, II, თბ., 2004, 216-233; იხ. **მისივე**, ქრისტოლოგიური ნომენკლატურა მეგრულ ტოპონიმიაში. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, ტ. VI, თბ., 2013, 299-303.

დათ. მუდმივცვალებადი ვითარების მიუხედავად, ამ ორ სამყაროს შორის არც ერთ საუკუნეში არ მოშლილა კულტურული ურთიერთობები და სულიერი ფასეულობებისადმი ერთგულება. ამის შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა ბიზანტიურმა წყაროებმა საქართველოს შესახებ¹.

პ. ცხადაია ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ აფხაზეთში გაბატონებული ბერძნული ენა სწორედ აფხაზეთა დინასტიის მიერ შეიცვალა ქართული ენით, რომელსაც, როგორც სახელმწიფო ენას, დაეკისრა სამწერლობო, საქმისწარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ფუნქციები. IX-X სს-მდე დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით საგრძნობი იყო ბიზანტიის პოლიტიკური და სარწმუნოებრივ-კულტურული გავლენა, სადაც ქართულს, როგორც საეკლესიო მღვდელმსახურებისა და რამდენადმე სახელმწიფო ენას, ბერძნული ენა ეცილებოდა².

პ. ცხადაია იმოწმებს ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას, რომ 325 წელს, ნიკეაში გამართული მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე ტრაპეზუნტისა და ბიჭვინთის ეპისკოპოსები „მხოლოდ ბერძნულ მოსახლეობას კი არ წარმოადგენდნენ, არამედ მთელ მოსახლეობას, როგორც ბერძნულს, ისე ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას“³, და რომ ქართლშიც კი „მოქცევის“ პირველ ხანებში მღვდელმსახურებას ბერძნულ ენაზე აწარმოებდნენ კონსტანტინოპოლიდან მოწვეული ბერძენი მღვდელმსახურები“. ფაზისის (ფოთის) მახლობლად არსებულ მძლავრ რიტორიკულ სკოლაში განათლებამიღებული ფილოსოფოსი თემისტიოსი აღნიშნავს, რომ კოლხეთში გავრცელებული იყო ბერძნული სწავლა-განათლება და კულტურა და კოლხებს ელინთა დღესასწაულებშიც კი უსახელებიათ თავი მჭევრმეტყველებით და რიტორი-

¹ ბიზანტია ქართულ წყაროებში, თბ., 2010, 3-4.

² პ. ცხადაია, ტოპონიმი ჯგერანი და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 215, და იქვე მითითებული ლიტ-რა: ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა – ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995, 57; კ. დანელია, ზოგიერთი ქრისტოლოგიური ტერმინის შესახებ. წგნ.: ქართული სამწერლო ენის საკითხები, თბ., 1983, 242.

³ გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I, თბ., 1961, 6, 9.

კით¹. პ. ცხადაიას ნიშანდობლივად ეჩვენება აგათია სქოლასტიკოსის ცნობა VI საუკუნეში გუბაზ მეფის მკვლელთა სასამართლო პროცესთან დაკავშირებით, რომ ბრალმდებელ დარბაისელ კოლხებს უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა².

კითხვაზე – როგორი იყო კონკრეტულად ბიზანტიის პოლიტიკური, კულტურული და ეკლესიური გავლენა (თუ ბატონობა) ზღვისპირეთში? კერძოდ, რა ენაზე სრულდებოდა ღვთისმსახურება?, – პასუხის გასაცემად პ. ცხადაია მის მიერ ნაშრომში გაანალიზებულ მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროს და სამეცნიერო ლიტერატურას სამ ვარიანტად აჯგუფებს:

ა) IX-X საუკუნეებამდე დასავლეთ საქართველოში, უფრო ზუსტად, კოლხეთის სანაპირო ზოლზე, სახელმწიფო და ღვთისმსახურების ენა იყო ბერძნული;

ბ) ბიზანტიის გავლენა ეგრისში განსაკუთრებით იგრძნობოდა VI-VII სს-ში, როცა ადგილობრივი საეპისკოპოსოები ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს;

გ) კოლხეთში ბერძნული ენის სტატუსზე გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით (ბ. დიასამიძე), ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოხდა IV ს-ში და, მაშასადამე, ეგრისის სამეფოში თავიდანვე სახელმწიფო-საკანცელარიო ენას ადგილობრივი, ზანური, ან მისი განაყოფი ენა – ქართული წარმოადგენდა, ხოლო ღვთისმსახურების ენა IV ს-ის დასასრულიდან მაინც იყო ქართული ენა. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, ლიხთიქითში მდებარე ორ პოლიტიკურ ერთეულში, კერძოდ, აფხაზეთსა და ლაზეთში მდებარე ქრისტიანულ ეკლესიას კონსტანტინოპოლის პატრიარქი მართავს და მას ამარაგებს მქადაგებლებით – მოძღვრებით („პაპებით“)³.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ბერძნული ენის ფართოდ გავრცელების მაუწყებელია აქ აღმოჩენილი და შესწავლილი ბერძნული წარწერებიც. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ბიჭვინთის

¹ხ. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1992, 59.

²პ. ცხადაია, ტოპონიმი ჯგერანი და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 217; ხ. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 52.

³ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, 596-597.

ტაძრის იატაკის შემადღებულ ადგილზე გამოსახული მოზაიკური მედალიონი, ქრისტეს სახელის საწყისი ორი ბერძნული ასოს მონოგრამით: X და P, და წარწერით: „მე ვარ ალფა და ომეგა, დასაწყისი და დასასრული, ამბობს უფალი“¹. ციხისძირში ნაპოვანია აბანოს მოზაიკის ფრაგმენტი ბერძნული წარწერით: უფალო შექმეწი². 2001 წელს ქართულ-ინგლისური ექსპედიციის წევრებმა ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, საპარადო შესასვლელის მარჯვენა მხარეს, გამოავლინეს ქვაში გამოკვეთილი ჯვრის მარცხენა მკლავი, ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერით, რაც აკად. თ. ყაუხჩიშვილისა და ლონდონის სამეფო კოლეჯის ძველი ბერძნული ეპიგრაფიკის სპეციალისტის, შარლოტა როჩეს მიერ III-IV სს-ით არის დათარიღებული. წარწერა არსებული მონაცემების მიხედვით ასე იკითხება: „...აერელიუსმა მიანიჭა (ან პატივი სცა)... მონა (?ღვთისა)...“³. წებულის IV ს-ის ვერცხლის მედალიონზე გვხვდება ბერძნული წარწერა „ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა“. დასავლეთ საქართველოში პირველი ქართულენოვანი ეპიგრაფიკული წარწერა – გუდაუთის რაიონის სოფ. პრიმორსკოეს მახლობლად, მსიგხუას მთაზე მდებარე ეკლესიის ნანგრევების ე. წ. „მიქაელის წარწერა“, რაც კერამიკული კალიბტრების ანტიფიქსზეა შესრულებული, მხოლოდ IX-X სს. განეკუთვნება⁴. ქართული ქრისტიანული ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, ოფიციალურ საერო და სასულიერო ენად ქართულის გაბატონება სწორედ IX-X საუკუნეებიდან იწყება, რაც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა VII-VIII სს-ში ეგრისის გა-

¹ **Анчабадзе В. А.**, История и культура древней Абхазии, Москва, 1964, 225.

² იხ. **ბ. ინაიშვილი**, ციხისძირის ახ. წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993, 114; მ. ჭუმბურიძე, ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთსაქართველოში, ქუთ., 2010, 28.

³ **დ. ლომიტაშვილი**, ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII- ახ. წ. VI სს. (ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი), სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2003, 196-198.

⁴ **გ. სილოგავა**, ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, წ. II, თბ., 1980; თ. მიბნუანი, აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა, თბ., 1999; VII ს-ის „ქუთათისის საყდრის“ გათხრებისას აღმოჩენილ, ჯვრის გამოსახულებიან ანტიფიქსზე შესრულებულ ქარაგმიან წარწერას („გაბრიელი“) ო. ლანჩავა ტაძრის თანადროულად მიიჩნევს და VII ს-ით ათარიღებს. **ო. ლანჩავა**, ქუთათისის არქეოლოგია, ქუთ., 2007, 151.

ქართველბუღი ნაწილები – აჭარის, გურიის, ქვემო იმერეთის წარმოქმნა!

მთელი ზემოთ მოყვანილი მასალა, დასძენს პაატა ცხადაია, სადავოს ხდის ტ. ფუტკარაძის დებულებას, რომ V ს-ში ყველა ქართული სამეფოს სახელმწიფო და საეკლესიო ენა მაინც სალიტერატურო ქართულია². მკვლევარი არ იზიარებს ბ. დიასამიძის იმ თვალსაზრისსაც, რომ ბერძნული, როგორც ღვთისმსახურების ენა, დასავლეთ საქართველოში გამოიყენებოდა მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ პირველ ათწლეულებში³.

ბერძნული ენის, კულტურისა და ქრისტიანობის რამდენიმე საუკუნოვანმა მძლავრმა დაწოლამ ასახვა პპოვა კოლხურის (და სვანურის) ლექსიკაში, რაც განპირობებული იყო ბერძნულთან უშუალო კონტაქტით. ამ ასპექტით მრავლისმეტყველია ბერძნული **სტაუროს** („ჯვარი“) სიტყვის სვანურ ენაში პირჯვრის წერის გამომხატველი **სტარუნ-** სინტაგმის სახით პოვნისებობა.

მეგრულში უშუალოდ ბერძნულიდან ნასესხები სიტყვების არსებობაზე ყურადღებას ამახვილებს თ. გვანცვლაძე: მკვლევარს საინტერესოდ ესახება ის გარემოება, რომ აფხაზურის მიერ მეგრულიდან ნასესხებ ტერმინთა შორის არსებული ბერძნული წარმოშობის ფუძეები მეგრულში უშუალოდ ბერძნული ენიდანაა ნასესხები, ანდა ქართული სალიტერატურო ენის შუამავლობით დამკვიდრებულა მასში⁴.

პროფ. გ. როგავას დაკვირვებით, სვანურსა და მეგრულში ზეპირი გზით არაერთი სიტყვაა ნასესხები ბერძნულიდან (ე. წ. გრეციზმები). კერძოდ, სვანურში: **ცხემად** „მწიფი-ისარი“, **თხერე** „მგელი“, **ფამლი** „მონა, შინაყმა“, **მალე** „ძლივს, ოდნავ“; ზანურში: **თხოლო** (ქართ. თხლე); მეგრულში: **ქულა** „კოჭლი“, **ბორო** „სულელი“, **კაბეტი** „დიდი“, **ბებელი** „უწმინდური“, „ძაღლის

¹ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 220.

²იქვე: ტ. ფუტკარაძე, საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის დინამიკისათვის. ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთ., 2000, 330-331.

³ბ. დიასამიძე, ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში, ბათ., 1999, 101.

⁴თ. გვანცვლაძე, ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის. ყურ. „არტანუჯი“, 10, 2000, 58; პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 221.

განავალი“, **კუნტა** „მოკლე“, **კოტო** „ქოთანო“, **დოფა** „ღველფი, ღადარი“, **ღირე** „ღვირე, სახლის ძელი“, **ცომი** (ქართ. ცომი) და სხვ.¹

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მეგრულში დღეს არსებული, ბერძნულიდან მომდინარე ლექსიკურ ერთეულებში ორ ჯგუფს გამოყოფენ: ადრეულ, ახ. წ. V საუკუნემდე ნასესხობებს, რომელთა რაოდენობაც ცოტაა, და რაოდენობრივად მეტ, გვიანდელ ნასესხობებს. ადრე ნასესხებადაა მიჩნეული კოლხურში (მეგრულში) ბერძნული სიტყვები: **საბატონი** „შაბათი“, ლაზ. **ბუბი** „ბუბუ“, მეგრ. **ბორია** „ქარი“, მეგრ. **ბორქომი** „ბოქლომი“, ლაზ. **ანგი** „ჭურჭელი“ და სხვ.². ამ ჩამონათვალს შეიძლება დამატოს რამდენიმე სიტყვა, რომელნიც მეგრულს უშუალოდ ბერძნულიდან შეუთვისებია ანტიკურ ან ელინისტურ ხანაში. ესენია, **კერასი** „რქა; რქისაგან გაკეთებული რამე“, მეგრულში **ქერაზი** ფორმით შესული („რქის სასაპნე, რაც ურმის უკანა ჭაღზეა დაკიდებული“), **ორგია** (ბერძნულში აღნიშნავს მანძილს განზე გაშლილი ხელების ბოლოებს შორის, ხოლო მეგრულში ამ სიტყვით აღინიშნება ცურვის ერთ-ერთი სახე, კეროდ, მხარული – ცურვა გაშლილი მკლავის მოსმით). წარმართობის დროს უნდა შემოსულიყო ბერძნულიდან ზეპირი გზით სიტყვა **ანთარე** „ამაღლებული“³. მეგრულში **ჟინანთარს** უწოდებენ უმაღლეს ღვთაებას, რომელიც

¹ Погава Г. О некоторых устных заимствованиях из греческого в картвельских языках. Проблемы античной культуры. Тб., 1975

² მსჯელობისათვის იხ. მეგრულ-ქანური ლექსიკის საკითხები, წგნ.: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), ტ. II, ზრპარები და მცირე ჟანრები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ, თბ., 1991, 593-594.

³ ა. ქობალიას მიერ **ანთარი** განმარტებულია როგორც „მესაქონლეობისა და ნადირთა მფარველი, ქოთნური სული, მეგრული მითოსის პერსონაჟი“. შდრ. იქვე: **ანთარკარი** „ანთარის საღოცავი“, ა. **ქობალია**, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010, 38.

მელსაც მსხვერპლს სწირავდნენ და საქონლის მფარველობას შესთხოვდნენ¹.

კოლხეთში ქრისტიანობის იბერიისაგან დამოუკიდებლად მიღებას ადასტურებს მეგრულ-ჭანურში არსებული, ქართულისაგან განსხვავებული ქრისტოლოგიური ტერმინებიც: **ქისე** (ქრისტე), „შობა“², **თანაფა** „თენება“, „აღდგომა“³, **ოხვამე** „სამლოცველო“, „ეკლესია“⁴, **პაპა** (ბერძნ.-ღათ.) „მღვდელი“⁴.

¹კ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერიანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 222; სამეგრელოში მიაჩნიათ, რომ **ჟინიანთარი** ჟინმარენჯი „ზეციური, ცის ბინადარი“ ღვთაებაა. ჟინი ანთარს – ზეციურ ანთარს, მიეწერებოდა მრავალი ფუნქცია, მათ შორის მეჯოჯეთა და საქონლის მფარველობა. შდრ.: **ჟინიში** „ზემორე, ზეციური, ზეცით მომავალი; ზეციერისაგან, ჟინი ანთარისგან დამიზეუება, უპირატესად, სულიერი წონასწორობის დაკარგვა... ლოცვა ანთარის გულის მოგებისთვის და სწეულებისგან განკურნებისთვის“; **ჟინიშ ორთა** მეგრულში აღნიშნავს ზესთა ბუნებას, ზენაარს, არსთა გამრიგეს; **ჟინიშ ნერნი** იგივეა, რაც „ზესკნელი, ზეციური სამყარო, მამაზეციურის სამყოფლო“. სამეგრელოში იცოდნენ **ჟინიშ ხვამა** ზეციურისთვის ლოცვა, ჟინი ანთარის ლოცვა. სრულდებოდა დიდმარხვის პირველ დღეს. მლოცველი ანთარს ევედრებოდა საქონლის დაცვა-გამრავლებას ჟინი ანთარის რიტუალური მჭადის ნამუსრეკს ყვავს და ბუს გადაუყრიდნენ. ჟინი ანთარზე ლოცვა იცოდნენ მაშინაც, თუკი ოჯახში ჟინიშით შეპყრობილი, **ჟინლეხი/ჟინიშ ლეხი** – სულით ავადმყოფი პყავდათ. საღორნოთ ხვამა „საღვთო ლოცვა“ ჟინიშ მახვამურის („ჟინიშის, ზეციურის მლოცველის“) მიერ სრულდებოდა ტყეში, საკრალური ხის ძირას... იხ. ა. **ქობალია**, მეგრული ლექსიკონი, 567.

²შდრ.: ა. ქობალია – **ქირსე, ქისე** „ქრისტე, ქრისტეშობა“, **ქირსეთუთა** „ქრისტეშობისთვე“, **ქირსეშ მახარებელი** „შობის მახარობელი“, ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 637.

³ა. ქობალიას განმარტებით, **თანაფა** ეწოდება „აღდგომას, თენებას; დამისთევას“. იხ. ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 312.

⁴ა. ქობალია განმარტავს: „**ოხვამე** სამლოცველო; სასაფლაო; საგოდებელი“; „**ოხვამე დო ოწანაფე** ლოცვისა და რწმენის საგანი; სალოცავი და სამსხვერპლო; ტაძარი და ბოძონი“; **ოხვამეკარი** სამლოცველო, სალოცავი ნიში; კარის საყდარი“... ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 558. აღ. ჭინჭარაულის აზრით, ბერძნული **ხომ** ფუძის მნიშვნელობაა „ხვეწნა, ლოცვა-ვედრება“, რაც ზანურ-სვანურ რეგიონებში ალბათ, შავი ზღვისპირეთის ხანგრძლივი კოლონიზაციის დროს უნდა შემოსულიყო და დამკვიდრებულიყო, სადაც მას სალოცავი ტაძრის მნიშვნელობა მიუღია. სამეგრელოში მრავლად გვხვდება **ხომ-/ხვამ-** ძირით ნაწარმოები ტოპონიმები: ნაოხვამენი, ნაოხვამერი, ნაოხვამკირდე, ნაოხვამტყა, ნაოხვამფერი, ნახვამერი, ნახვამუ, მოოხვამუ/ჯეგემ გილახვამუ, ოხვამე, ოხვამერი, ოხვამური, ოხვამეკარი, ოხვამეფერი და სხვ. მრ. „ეფიქრობთ, ბერძნული და ზანურ-სვანური სიტყვების როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური დამთხვევა აშკარაა და ამ სიტყვის ბერძნულიდან ნახესხობა ეჭვის საფუძველს არ ტოვებს“, – წერს იგი. იხ. ა. **ჭინჭარაული**, კიდევ ერთი ბერძნული წარმოშობის სიტყვა. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, I, თბ., 1998, 207.

პ. ცხადია განიხილავს რამდენიმე საკუთრივ კოლხურ ტერმინს, მაგალითად, **მარაშინას** „მარიამობას“. ყველა სხვა შემთხვევაში მეგრულში წმინდანის ხსოვნის დღე აღინიშნება ქართულიდან შეთვისებული -ობა სუფიქსიანი სიტყვებით: გერგობა (← გორგობა), თერდობა (თევდორობა), პერტობა (პეტრეპავლობა), ბარბალობა და ა. შ.² რაღა მაინცდამაინც მარიამობის ნაცვლად გვაქვს მარაშინა, რაც სიტყვასიტყვით „მარიამის ხსენებას“ ნიშნავს? ამ კითხვის პასუხად პ. ცხადია შენიშნავს, რომ ასე გაუაზრებიათ კოლხებს ბერძნული „**ტა პანაგეიას**“, „**კომეისის ტეს თოტოკონ**“. ეს გარემოება მკვლევარს იმის დასტურად ესახება, რომ **მარ(ი)აშინა** მეგრულ-ლაზთა წინაპრებს უშუალოდ ბერძნულიდან გადმოჰულიათ ლაზიკის ორ ერთეულად – სამეგრელოდ და ჭანეთად გათიშვამდე (ე. ი. გურია-აჭარის წარმოქმნამდე), რაც ერთხვევა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გათავისუფლებას ბიზანტიური ენის, კულტურისა და ქრისტიანობის გავლენისაგან და ქართული ეკლესიისადმი დაქვემდებარებას... „აღდგომა“ სიტყვას არაფერი უშლიდა ხელს, რომ კოლხურს იგი ქართულიდან სხვა ქრისტოლოგიური ტერმინების (სახარება, მოციქული, ნათვლა, ნათლისმცემელი, წირვა, მაცხოვარი, წმინდა...) მსგავსად შეეთვისებინა, მაგრამ კოლხურში მას უკვე დახვდა ჯერ კიდევ წარმართული დროიდან მომდინარე და ამჯერად ქრისტოლოგიურ ტერმინ „ანასტასის“-ის ეკვივალენტად ჩათვლილი და გააზრებული **თანაფა**, ე. ი. **თენება**... ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა კოლხს წინაპრებს გაუაზრებიათ როგორც ცისკრის მოვლინება, როგორც ნათლის დადგომა, ანუ გათენება მთელი კაცობრიობისათვის, რაც აღინიშნა კიდევ თანაფა „გათენება“ ლექსებით, რომელიც შეენაცვლა ბერძნულ ქრისტოლოგიურ ტერმინ ანასტასის-ს. „როგორც ჩანს, – წერს პ. ცხადია, – ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდში, ე. ი. სანამ დასავლეთ სა-

¹ შდრ.: ა. ქობალია: „პაპა მღვდელი, ხუცესი“; „პაპალა მღვდლობა, ხუცობა, სამღვდლოება“; „პაპაშუქვი მღვდლის უქმი, საეკლესიო უქმე“... ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 561. და სხვ. **კ. დანელია**, ზოგიერთი ქრისტოლოგიური ტერმინის შესახებ. წგნ.: ქართული სამწერლო ენის საკითხები, 196.

² შდრ. ა. ქობალია: „-ობა ობა, დღეობის აღმნიშვნელი ნაწილაკი (გერგობა, ელიობა)“. იხ. ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 529.

ქართველოს ეკლესია ბერძნული ეკლესიის გავლენას განიცდიდა (IX ს-მდე), ზოგი ყველაზე აუცილებელი ქრისტოლოგიური ტერმინი ბერძნულიდან კოლხურ ენაზე იქნა გადმოღებული და დამკვიდრებული ზეპირ მეტყველებაში, თარგმნის, კალკირების ან ეკვივალენტის მოძიების გზით, მაგალითად: ოხვამე („ეკლესია, სალოცავი“), თანაფა („ადდგომა“), მარაშინა („მარიამობა“), ჯგირი („წმინდა, წმინდანი“), პაპა („მღვდელი“) და სხვ.¹. თქმულის დასტურად პ. ცხადაია მიიჩნევს ტოპონიმ **ჯგირელიას** „წმინდა ელიას“ – მინდერისა და წყაროს სახელწოდებას ეკის მთის კალთაზე, სოფ. საჩქობავოში (სენაკის მუნიციპალიტეტი)². ეპითეტ „ჯგირის“ ძველი მნიშვნელობის დასადგენად მკვლევარი იმოწმებს აგრეთვე ფუტკრისა და თაფლის წარმართულ სახელ **ჯგურაგუნას/ჯგერაგუნას** „კეთილაგუნას“³. მეგრულ მეტყველებაში დამოწმებულ ზოგ სიტყვაშიც **ჯგირ-** ფუძე „კეთილის“ აღმნიშვნელია. მაგალითად, **მოჯგირე** „მოკეთე“, „ნათესავი“, **ჯგირობუა** „სიკეთე, ბედნიერება; ყოვლიკეთილი“⁴. **ჯგირი** მეგრულში აღნიშნავს „კარგს“, „ბედნიერს“. მაგალითად, **ჯგირ დო სქვამი** „კარგი და მშვენიერი“, **ჯგირ დო ფური** „აგ-კარგი“, **ჯგირმახორო** „კარგად მოსახლე“, **ჯგირმორთა** „კარგი მოქცევა მთვარისა“, **ჯგირ ნერჩი** „კარგი ფუძე, საფუძველი“, **ჯგირო** „კარგად“, **ჯგირ-შე ჯგირი** „კარგზე კარგი“, **ჯგირ კიდირიში** „მკერდბედნიერი“, **ჯგირ ხეში** „ხელმარჯვე, ხელბედნიერი“, **ჯგირ მორსკულაშ დუ-ნაბადი** „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული“. მაგრამ, ამასთანა-

¹ პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 226.

² გ. ელიავა „ეკის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში წყაროს სახელწოდებად დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე იმოწმებს ტოპონიმ **ჯგერილიას**, და ინფორმანტ ე. ადამიას განმარტებას: წყარო სადაც ამოდის, იქვე იკარგება. აქ წინათ ლოცვა სცოდნიათ. იხ. გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმი, თბ., 1989, 83

³ ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ **ჯგერაგუნა** განმარტებულია როგორც წმინდა აგუნა; ფუტკრის მფარველი ღვთაება და მისთვის ლოცვა, სრულდებოდა ამადლება დღეს. **ჯგერაგუნაშ ხვამა** ფუტკრისთვის ლოცვაა. ამადლების დღეს, წაბლის ან ბლის ქვეშ, შინ ან ხატის ტყეში ლოცულობდნენ ამადლების დღეს, თაფლის სანთლით, თაფლაკვერით და სანთლის არყით. იხ. ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 736.

⁴ პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 226-227.

ვე, როგორც ზემოთ აღინიშნა, **ჯგირი** მეგრულში „კეთილის“ შესატყვისიცაა: **ჯგირ დღა** „დღეკეთილი; დღეკეთილობა“, **ჯგირიშ მაკეთებელი** „კეთილისმქმნელი“, **ჯგირიშ მორაგადე** „კეთილად მომხსენებელი“, **ჯგირიშ მახალბერი** „კეთილისმსურველი“.

ა. ქობალიას სალექსიკონო მასალების მიხედვით, **ჯგირი** მეგრულში აღნიშნავს კარგს, კეთილს; წმინდას, წმინდანს. ამავე მნიშვნელობისაა **ჯგეე**, რაც წმ. გიორგის ეპითეტიცაა. **ჯგეგე-ჯგერგე** აგრეთვე წმ. გიორგის აღნიშნავს. შდრ.: **ჯგეთა** – „წმინდა მთა, წმ. გიორგის მთა“; **ჯგეე თეიროსანი** „წმ. გიორგი თეთროსანი“; **ჯგეე თოროსანი** „წმ. გიორგი თოროსანი“; **ჯგეე მარიაში** „წმ. მარიაში“; **ჯგეე მისარი** „წმ. მირსა“; **ჯგეე მისარონი** „წმ. მირსა, წარმართული ღვთაება (შინაური საქონლისა და მონადირეთა მფარველი)“; წმ. გიორგი მოისარი“; **ჯგეე ჩეცხენამი** „წმ. გიორგი თეთრტაიჭოსანი“; **ჯგეე ხანგარამი** „წმ. გიორგი ლახვროსანი (შუბოსანი)“¹. მაშასადამე, **ჯგირი**, **ჯგეგე** ფუძიანი ტერმინები თუ ტოპონიმები ცხადყოფს, რომ ქართული სალიტერატურო-საეკლესიო ენიდან „წმინდა“ ეპითეტის ათვისებამდე, ამავე მნიშვნელობით ბერძნული „აგიოს“-ის ეკვივალენტად კოლხურში უკვე დამკვიდრებული იყო „ჯგირი“².

პაატა ცხადაიას აზრით, ზემო სამეგრელოს ტოპონიმიაში დადასტურებული სვანური სუბსტრატი თვალსაჩინოდ ადასტურებს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ბიზანტიური (ბერძნული) ეკლესიის დომინანტობის პერიოდში სვანებისა და მეგრელების თანაცხოვრებას³. სწორედ ამ დროს უნდა შეეთვისებინა სვანურ ენას წმ. გიორგის მეგრული ეკვივალენტი **ჯგირი გივარგი**, რასაც საბოლოოდ **ჯგერაგ** ფორმა მოუცია⁴.

რომელ ენაზე იქადაგეს ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა კოლხეთსა და მესხეთში? ფიქრობთ, გასაზიარებელია პ. ცხადაიას პასუხი ამ კითხვაზე: უუჭვე-

¹ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 737.

²პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 228.

³პ. ცხადაია, სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 122, №1, 1986.

⁴პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 229.

ლია, ადგილობრივ ენებზე (კოლხურსა და ქართულზე). მკვლევარი იმოწმებს მ. თამარაშვილის თვალსაზრისს, რომელიც მოციქულთა ცხოვრების ერთ-ერთ ავტორზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ მოციქულები წარმატებით ლაპარაკობდნენ იმ ენაზეც, რომელიც გასაგები იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის¹. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ქრისტიანობის ისტორიის თანახმად მისიონერობის აუცილებელი საკონტაქტო პირობა იყო ადგილობრივი ენის თუნდაც ზერეულად ცოდნა. ქართლშიც, IVს-მდე, – ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე და შემდგომაც, თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე, ბერძენი მღვდელმსახურების მიერ წირვა-ლოცვა და სხვა რიტუალები ერთდროულად ბერძნულ და ქართულ ენებზე აღესრულებოდა.

მისაღებია პ. ცხადაიას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „კოლხეთში ქრისტეს მოძღვრების, თავდაპირველი ქადაგების, ბიჭვინთისა და ტრაპეზუნტის საეპისკოპოსოების პროპაგანდისტული მოღვაწეობის პირობებში და შემდგომაც, თვით IX საუკუნემდე, კოლხეთის ეკლესიებში ღვთისმსახურება ბერძნულ და, სავარაუდოა, გარკვეულწილად, კოლხთა ენაზეც მიმდინარეობდა. სწორედ ამ პერიოდში ბერძნულიდან ზეპირი გზით გადმოღებული (თარგმნით, კალკირებით, ეკვევალენტის მისადაგებით) ყველაზე აუცილებელი ქრისტოლოგიური ტერმინი გავრცელდა კოლხეთის მოსახლეობაში და დღემდე შემორჩა საზოგადო ლექსიკასა და ტოპონიმიში...“².

სამწუხაროდ, ზოგი მკვლევარი შეეცადა პ. ცხადაიას ამ დასკვნაში კუთხურ-ენობრივი მიკერძოება და ისტორიის გაყალბების მცდელობა დაენახა, მაგრამ მკვლევარი მათ შემდეგი კითხვებით მიმართავს: 325 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ბიჭვინთისა და ტრაპეზუნტის კათალიკოსები განა მხოლოდ ბერძენი ლეგიონერების სახელით მონაწილეობდნენ? ან: რა ენაზე უნდა ჩატარებულიყო ღვთისმსახურება IV საუკუნეში ბიჭვინთისა

¹პ. ცხადაია, ტოპონიმი ჯგერიანი და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 230; და იქვე მითითებული: მ. თამარაშვილი, წმინდა ანდრია მოციქული საქართველოში. ჟურნ. „რელიგია“, №1-2, 1992, 83.

²პ. ცხადაია, ტოპონიმი ჯგერიანი და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 230.

(სადაც აღმოჩენილია ფრაგმენტები ბერძნულ-ლათინური წარწერებისა) და ციხე-გოჯში აშენებულ ეკლესიებში, რომ იგი გასაგები ყოფილიყო ადგილობრივ მორწმუნეთათვის – კოლხთათვის, თუკი ამ პერიოდში ქართლშიც კი ის-ის იყო იწყებოდა ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნა, ეკლესიების აშენება და ღვთისმსახურება, ქართული საეკლესიო ენის ჩამოყალიბება?¹.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ წინარექრისტიანულ და ქრისტიანულ ხანაში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, დღეს აფხაზეთად სახელდებულ ტერიტორიაზე ბერძნული კოლონიების არსებობისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ბერძენთა საქმიანი, სავაჭრო, პოლიტიკური, რელიგიური ურთიერთობების პირობებში, ყოველი ენა და განსაკუთრებით დიდი კულტურის მქონე ბერძნული ენა, გავლენას ახდენდა ადგილობრივი ხალხის ენაზე. ცხადია, პირველი ქრისტიანი მქადაგებლები – ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ეგრის-აფხაზეთში, ბერძნულად ეწეოდნენ პროპაგანდას და, ა. ბაქრაძის მოსაზრებით, ამასთანავე, ყოველთვის ცდილობდნენ დამწერლობისა და მწიგნობრობის შექმნას ადგილობრივ ენაზე, რადგან ხალხისათვის ქრისტეს მოძღვრების მშობლიურ, **ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე ქადაგება ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია**. ეს პირდაპირ არის ნათქვამი კორინთელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლეში (თავი 14, მუხლი 21): „რამეთუ სჯულსა წერილ არს, ვითარმედ უცხოითა ენითა და ბავითა უცხოითა ვეტყოდე ერსა ამას და არცადა ესრეთ ისმინონ ჩემი, იტყვის უფალი“: აკაკი ბაქრაძე იმოწმებს პავლე მოციქულის სხვა განმარტებასაც: თუ უცხო ენაზე ვლოცულობ, მართალია, სული ჩემი ილოცავს, მაგრამ ჩემი გონება რჩებაო უნაყოფოდ. „ამიტომ ქრისტიანობა ზრუნავდა ამა თუ იმ ხალხის მშობლიურ ენაზე მწიგნობრობის ასაღორძინებლად. ამიერკავკასიის ქვეყანაში ქრისტიანობას ეს პრინციპი არ დაურღვევია“².

¹იქვე, 230-231.

²ა. ბაქრაძე, უმეცრება თუ პროვოკაცია? გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 31 მარტი, 1989.

ა. ბაქრაძე ფიქრობდა, რომ უძველეს ქრისტიანულ ცენტრებში – ბიჭვინთასა და ახალ ათონში, ეკლესიისა და მწიგნობრობის ენა ქართული იყო, რასაც იმის უტყუარ საბუთად მიიხსენებდა, რომ ამ რეგიონის (იგულისხმება აფხაზეთი) ძირითადი მოსახლეობის მშობლიური ენა ქართული იყო, რის გამოც ქართული განა და საეკლესიო ენაც¹. პ. ცხადაიას მიერ დამოწმებული და გაანალიზებული წერილობითი წყაროებით, საზოგადო ლექსიკით და ტოპონიმებით ნათელი ეფინება იმ ფაქტს, რომ IV-IX საუკუნეებში ბიზანტიის ძლიერი პოლიტიკურ-რელიგიური გავლენის ქვეშ მყოფი კოლხეთის შავიზღვისპირეთში, საეკლესიო ღვთისმსახურება, ბერძნული ენის პარალელურად, ფრაგმენტულად მაინც, ადგილობრივ, კოლხურ (ზანურ) ენაზეც მიმდინარეობდა. არც ისაა გამორიცხული, რომ საოჯახო თუ საეკლესიო განათლების წყალობით კოლხეთის ადგილობრივი ელიტარული საზოგადოება ბერძნულს, როგორც ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთ საშუალებას, ძალიან კარგადაც ფლობდა, რამაც განაპირობა ყველაზე აუცილებელი საღვთისმეტყველო, ქრისტოლოგიური ტერმინების გადმოღება კოლხურში, თარგმნის, კალკირების ან მშობლიური ენის წიაღში ეკვივალენტების მოძიების გზით².

და ბოლოს, ანგარიშგასაწევი და უყოყმანოდ გასაზიარებელია პ. ცხადაიას ნაშრომში მოცემული შემდეგი დასკვნა: „ჯერ ერთი, როგორც ამბობენ, ყოველ წესსა თუ კანონზომიერებას შეიძლება აღმოაჩნდეს გამონაკლისი (რაც, თავის მხრივ, კანონზომიერების დასაბუთებაა), მერე მეორე და მთავარი: დამწერლობის შექმნა, როგორც ქრისტიანობის გავრცელებისა და გაძლიერების თანამდევნი აუცილებელი პროცესი, პირვანდელ ქრისტიანობაზე დამყარებული საბოლოო ეტაპია, რომლის მიღწევასაც აუცილებლად სჭირდებოდა ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. კოლხებსა და კოლხურ ენას ეს ეტაპი არ დასჭირდა,

¹იქვე.

²პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 229.

რადგანაც ქართული საეკლესიო ენა სავსებით მისაღები აღმოჩნდა“¹.

დისერტაციის ბანკ-ბარათი №17 გვაუწყებს, რომ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული P. 10. 01. №7 სადისერტაციო საბჭოს 2002 წლის 5 ივნისის სხდომაზე (ოქმი №17) გაიმართა დისერტაციის დაცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სპეციალობით ქართველური ენები – 10. 02. 08.

დისერტანტი: **ცხადაია პაატა (პატიძო), 1937 წლის 25 აპრილი.**

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, თსუ სიღნაღის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე.

დისერტაცია შესრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დისერტაციის თემა: „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში 2002 წლის 7 მარტი, №4

ოფიციალური ოპონენტები:

1. ზურაბ ჭუმბურიძე – 10.02.08
2. ნათელა ქუთელია – 10. 02. 08
3. თეიმურაზ გვანცელაძე – 10. 02. 09

დისერტაციის მეცნიერული სიახლე და მიღებული შედეგები

პაატა ცხადაიას სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს კოლხური (ზანური) ენის მეგრული დიალექტის საკუთარი სახელების (ტოპონიმი, ანთროპონიმი, ზოონიმი) სტრუქტურის, სემანტიკისა და ისტორიის საკითხებზე დაწერილ მონოგრაფიას. მას

¹იქვე, 231.

შეაქვს დასაბუთებული კორექტივი ადრე გამოთქმულ ზოგ სამეცნიერო დებულებაში და შეიცავს სიახლეებს: გამოვლენილია პრეფიქსის ძლიერი მარედუცირებელი ძალა და ჰაპლოლოგიის მასშტაბური ხასიათი მეგრულში; შესწავლილია მეგრული ოიკონიმური სისტემა და მისი მიმართება ქართველურ ოიკონიმურ სისტემასთან: დადგენილია ტოპოლექსემების ქრონოლოგიური და ენობრივ-დიალექტური შრეები: პირველადაა გაანალიზებული სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, აფხაზურ-კოლხური (მეგრული) ტოპონიმური ინტერფერენციის ხასიათი და შედეგები; შესწავლილია კოლხურ გვარსახელთა ისტორია, მოდელი და სადერივაციო მორფემათა წარმომავლობა; გარკვეულია ზოონიმთა მოტივირებისა და წარმოების ძირითადი პრინციპები.

ოფიციალური და არაოფიციალური ოპონენტების გამოსვლამ და დაცვის მსვლელობამ ცხადყვეს დისერტანტის პროფესიონალიზმი, მისი ნაშრომის მაღალი მეცნიერული დონე, დასკვნებისა და დებულებათა დასაბუთებულობა, ეტიმოლოგიათა დამაჯერებლობა. დისერტანტი ფლობს დიდძალ საკვლევ მასალას, ამომწურავად იცნობს და აანალიზებს სპეციალურ ლიტერატურას. ნაშრომს აქვს როგორც ზოგადონომასტიკური, ისე პრაქტიკული ღირებულება: იგი სასარგებლო იქნება სპეცკურსების შესადგენად, ისტორიულ ლექსიკოლოგიაში, ლექსიკოგრაფიაში, დიალექტოლოგიაში მომუშავე სპეციალისტებისათვის, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევართათვის.

აქედან გამომდინარე, P. 10. 01. №7 სადისერტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ ნაშრომისათვის „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმის, ანთროპონიმისა და ზოონიმის მასალების მიხედვით)“ პაატა (პატიკო) ალექსის ძე ცხადაია იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს.

დასკვნის შედგენაში მონაწილეობდნენ ექსპერტთა კომისიის წევრები: პროფ. ზ. ჭუმბურიძე (თავმჯდომარე), პროფ. ზ. სარჯველაძე, პროფ. კ. ჭრელაშვილი.

ფარული კენჭისყრის შედეგები

სადისერტაციო საბჭოს 25 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 21. მათგან დისერტაციის სპეციალობით – 5; კენჭისყრაში მონაწილეობდა საბჭოს 21 წევრი.

პაატა (პატიკო) ცხადაიასთვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას ხმა მისცა საბჭოს 21 წევრმა, წინააღმდეგი – არცერთი, ბათილად ჩაითვალა – არცერთი ბიულეტენი.

სადისერტაციო საბჭოს დადგენილება

პაატა (პატიკო) ალექსის ძე ცხადაიას მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი

სპეციალობით – ქართველური ენები, 10.02. 08.

სადისერტაციო საბჭოს

თავმჯდომარე: აკადემიკოსი **თ.გამყრელიძე** (ხელმოწერილია)

სადისერტაციო საბჭოს

სწავლული მდივანი: პროფესორი **გ. წიბახაშვილი** (ხელმოწერილია)“.

პ. ცხადაიას სადოქტორო დისერტაციას მაღალი შეფასება მისცეს რეცენზენტებმა – **თინა შიოშვილმა** და **მამია ფაღავამ**: „ნაშრომში წარმოჩენილია უაღრესად ღირებული და ენათმეცნიერებაში პირველად დასმული პრობლემები, როგორცაა: რელუქციისა და ჰაპლოლოგიის საკითხი კოლხურ ონიმიაში; კოლხური ოიკონიმური სისტემა და მისი მიმართება ქართველურ ოიკონიმურ სისტემასთან; ჰიდროლექსემებისა და მეტონიმის როლი ჰიდრონიმთა წარმოქმნაში და სხვა. ნაშრომში ახლებურად არის გააზრებულია ზოგი ტოპონიმის ეტიმოლოგია; გამოვლენილია ახალი ქართულ-მეგრული ფუძეთშესატყვისობანი; დადგენილია მეგრული ტოპონიმური ლექსიკის ქრონოლოგიური და ენობრივ-დიალექტოლოგიური შრეები და სხვა.

ნაშრომს უდიდეს ღირსებას მატებს ავტორის მიერ მოპოვებული ონიმური მასალა და მისივე ადრეული მეცნიერული ნაშრომები, რომელთა ერთობლიობაც ქართული ენათმეცნიერებისა და ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია და დიდად დაეხმარება როგორც კოლხური ენისა და კოლხეთის ისტორიით, აგრეთვე ზოგადად ქართველურ ენათა პრობლემებით დაინტერესებულთ; ამავე დროს, გარკვეულ სინათლეს შეიტანს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სწორად, მეცნიერულ არგუმენტაციებზე დამყარებულად წარმართვაში, რაც დიდად სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის.

პაატა ცხადაიას სადისერტაციო ნაშრომი „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში“ წარმატებული, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ქართველოლოგიური გამოკვლევაა და მისი ავტორი საგსებით იმსახურებს საძიებელ ხარისხს“.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

პაატა ცხადაია ქართველური ონომასტიკის ტერმინო- ლოგიური და თეორიული პრობლემების შესახებ §3. ონომასტიკის ტერმინოლოგიური პრობლემები

ონომასტიკური მეცნიერების განვითარებაში ძველი თაობის მოღვაწეებთან (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ა. შანიძე, გ. ხვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ს. ჯიქია, ქ. ლომთათიძე, ი. სიხარულიძე, ალ. ლლონტი, ი. მაისურაძე, ზ. ჭუმბურიძე, ვ. ითონიშვილი, მ. ალავეძე, მ. ჩიქოვანი, გ. ელიავა) ერთად მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი პაატა ცხადაიას. მეცნიერების ამ დარგის ფრიად მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს პ. ცხადაიას მიერ შედგენილი და 1988 წელს ცალკე წიგნად გამოცემული „**ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი**“, რაშიც მან თავი მოუყარა საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულ 800-ზე მეტ ონომასტიკურ ტერმინს და ტერმინოლოგიურ გამოთქმას.

„მეცნიერული კეთილსინდისიერების ნიმუში“ – ასე შეაფასა პროფ. რაფიელ შამელაშვილმა ვრცელ რეცენზიაში პ. ცხადაიას მიერ გამოცემული ლექსიკონი და აღნიშნა, რომ ამ მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომში შევიდა ონომასტიკის ყველა სახის ტერმინი და მათი მეცნიერული დეფინიციები. ავტორისათვის ადვილი როდი იყო სხვადასხვა გამოცემებში არსებულ ონომასტიკურ ტერმინთა შეკრება და მათი მეცნიერული განმარტება, მაგრამ მან ორივე ამ ამოცანას მშვენიერად გაართვა თავი. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი პ. ცხადაია საშვილიშვილო საქმეს აკეთებს. მკვლევარს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მონოგრაფია და საყურადღებო გამოკვლევები სამეგრელოს ტოპონიმიაზე. ახლა კი ეს მშვენიერი წიგნი შემატა მკითხველს. ავტორი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ყოველ წინადადებას, მეცნიერული კეთილსინდისიერებით აანალიზებს ონომასტიკასთან დაკავშირებულ მრავალ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს. ეს წიგნი ავტორის დიდი ხნის მუშაობის შედეგია. მთავარი და მისასაღმებელი ფაქტი მაინც ის გახლავთ, რომ სარეცენზიო წიგნში წარ-

მოდგენილი მასალა სანდოა. ავტორი ზედმიწევნით იცნობს ონომასტიკურ მეცნიერებებს, ბრწყინვალედ ფლობს ქართველურ ენებს და მათ დიალექტებს. ამდენად, აქ წარმოდგენილი მასალა საჭირო და აუცილებელია ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის. ნაშრომი უდავოდ დგას თანამედროვე ლინგვისტური მეცნიერების განვითარების დონეზე¹.

რამდენადაც სპეციალური ტერმინოლოგიის უქონლობა ამუხრუჭებს მეცნიერების განვითარებას, მისი მიღწევების დახერხვას, მკვლევარი მიიჩნევს, რომ სხვადასხვა მეცნიერთა თანამედროვე დონის გათვალისწინებით, თითოეულ სპეციალობას უნდა გააჩნდეს ზუსტად დადგენილი და ნორმირებული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონი. „ონომასტიკა, მართალია, ენათმეცნიერების ნაწილია: მისი კვლევა-ძიების მეთოდიც ენათმეცნიერულია და ძირითადი ტერმინოლოგიაც, მაგრამ მას საკუთარი, მხოლოდ ამ დარგისათვის დამახასიათებელი, ტერმინებიც მოეპოვება“². პ. ცხადაია ლექსიკონის წინასიტყვაობაში ეხება ეროვნული და ინტერნაციონალური ტერმინების თანაარსებობის საკითხს და შენიშნავს: მართალია, უკანასკნელ ხანს თითქმის ყველა ქვეყნის ონომასტიკა უპირატესობას ინტერნაციონალურ ტერმინებს ანიჭებენ, მაგრამ მაინც ერთმანეთის გვერდით არსებობს და თანაბარი უფლებებით სარგებლობს ინგლისური toponym და place-name, გერმანული Toponym და geographischer Name, რუსული топоним და географическое название, ქართული ტოპონიმი და გეოგრაფიული სახელწოდება³.

პ. ცხადაია ტერმინოლოგიაში იდეალურად იმ ვითარებას მიიჩნევს, როცა ცნებაც და ტერმინიც ინტერნაციონალურია. ინტერნაციონალური ტერმინები ადვილდებს ურთიერთგაგებას სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა შორის და, ამასთანავე, უმეტეს შემთხვევაში, ლაკონურიცაა. ლაკონურობის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს ერთსიტყვიანობა წარმოადგენს (მაგ., ონიმი, ანთროპონიმი,

¹ რ. შამელაშვილი, მეცნიერული კეთილსინდისიერების ნიმუში. ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. ჟურნ. „საქართველოს ბუნება“, მარტი, 1990, 42-43.

² პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988, 3.

³ იქვე, 6.

ეთონიმი, ზოონიმი, კოსმონიმი, ოიკონიმი, ტოპონიმი, ჰიდრონიმი... მოტივაცია, ნომინაცია, ონიმიზაცია, დეონიმიზაცია, კონტრაქცია, კონტამინაცია...)¹. ამასთანავე, ონომასტიკაში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ტერმინოლოგიური პლასტი: 1. ონომასტა მიერ შექმნილი საკუთრივ ონომასტიკური ტერმინები და 2. მონათესავე დისციპლინებიდან (არქეოლოგია, ისტორია, გეოგრაფია) ნასესხები ტერმინები. მაშასადამე, ონომასტიკურ ტერმინთა მნიშვნელოვანი ნაწილი დისციპლინათშორისი ტერმინებია².

3. ცხადაიას მიერ გამოცემული ლექსიკონი ძირითადად ეყრდნობა ნ. ვ. პოდოლსკაიას „რუსული ონომასტიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონს“, რაც 1978 წელს გამოიცა მოსკოვში³. ამასთანავე, მკვლევარი გულდასმით გაცნობია სხვათა ონომასტიკურ გამოკვლევებსაც და ახლად გამოყენებული ტერმინების დეფინიცია ავტორისა და მისი შრომის დასახელებით, შეძლებისდაგვარად აქვს წარმოდგენილი თავის ლექსიკონში⁴.

ლექსიკონის პირველ ნაწილში, რაც განმარტებით ცნობარს წარმოადგენს, მოცემულია ონომასტიკურ ტერმინთა ძირითადი ფონდი, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს ქართულ-რუსულსა და რუსულ-ქართულ შესატყვისობებს. მკვლევარი გამოყოფს ერთსიტყვიან ტერმინებს და იქვე შენიშნავს: „ონომასტიკაში ისეთი გამოთქმებიც გამოიყენება, რომლებიც ჯერჯერობით ტერმინებს არ წარმოადგენენ, მაგრამ თავიანთი დანიშნულებით მათ უახლოვდებიან“⁵.

ავტორი ყურადღებას მიაპყრობს რუსული ტერმინების ქართულად გადმოღების საკითხსაც და აღნიშნავს, რომ ამასთან დაკავშირებით დაფიქრებაა საჭირო. ტრადიციულად отчество გამოქართულებულია როგორც „მამის სახელი“. ასეა ეს სიტყვა თარგმნილი ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონშიც, რასაც ახლავს სათანადო განმარტება: „რომელიც დაერთვების გაუისა ანუ ქალის სახელთა“. სინამდვილეში რუსული отчество-ს

¹იქვე, 9-10.

²იქვე, 7.

³Подолская Н. В., Словарь русской ономастической терминологии. М., 1978.

⁴იქვე, 7-8.

⁵პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 1988, 62.

ბადალი ქართულ ენაში „მამისახელობა“. მამისახელობა ანთროპონიმის სახეობაა, პირის დამატებითი სახელდებაა მამის სახელის მიხედვით. ქართულ სინამდვილეში, ჩვეულებრივ, მამისახელობა სახელს მოსდევდა და მასთან ერთად იხმარებოდა. მაგ.: ამირან დარეჯანის ძე, ბადრი იამანის ძე, ასან ბადრის ძე, აბან ქამანის ძე, ომარ მადის ძე, აბულასან აბულყასიმის ძე და მისთ.¹

რუსულ ენაში, პ. ცხადაიას თქმით, ილიჩი, ილიინჩნა, ნიკოლაევიჩი, ნიკოლაევნა მამის სახელები კი არ არის, არამედ პირთა დამატებითი სახელდებაა მამის სახელის მიხედვით. ისინი ხშირად დამოუკიდებლადაც იხმარება. ამიტომ შეუძლებელია რუსული отчество-ს გადმოტანა „მამის სახელად“, „მამისახელობის“ ნაცვლად². საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამჟამად მამის სახელის აღნიშვნა შედის ოფიციალურ ანთროპონიმულ (სამწევრიან) ფორმულაში. მაგ.: გიორგი გრიგოლის ძე აბაშიძე, დავით ივანეს ძე აბაშიძე, ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე. რუსულ ენაში მამისახელობა აღინიშნება პიროვნულ სახელთან (ნიკოლაი სერგეევიჩი, ნადეჟდა ნიკოლაევნა) ერთად, თუმცა ფამილარულ მეტყველებაში გვხვდება დამოუკიდებლადაც (სერგეევიჩი, ნიკოლაევნა). არაბულშიც პიროვნების აღნიშვნა მიღებული იყო მამის სახელის მიხედვით. მაგ., ალი იბნ ფადლანი „ალი, ძე ფადლანისა“³.

ლექსიკონში ანბანზე დალაგებულ თითოეულ სიტყვა-სტატიას (ტერმინსა თუ ტერმინოლოგიურ გამოთქმას) მოსდევს სათანადო მაგალითებით ილუსტრირებული დეფინიცია და დამატებითი ინფორმაციები ტერმინისა თუ წყაროს შესახებ. თუკი პოლისემიასთან გვაქვს საქმე, ავტორი მნიშვნელობებს გამოყოფს ნუმერაციის პრინციპით და შესაძლებლობის ფარგლებში უპირატესობას ანიჭებს ინტერნაციონალურ ტერმინებს⁴. მაგალითად, **ლოკალურ-გეოგრაფიული ურბონიმი** – ქუჩის სახელწოდება, დარქმეული იმ ობიექტის (სოფლის, ქალაქის, კუთხის) მიხედვით, საითკენაც იგი

¹იქვე. 10.

²იქვე. 10.

³იქვე. 63.

⁴იქვე. 11.

მიემართება. მაგ.: კახეთის გზატკეცილი, ავჭალის გზატკეცილი¹. **ნომენკლატურა** – ერთობლიობა ნომენებისა, რომლებიც გამოიყენება მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში; 2. სია იმ ობიექტთა სახელწოდებებისა, რომელნიც აღინუსხება და შეისწავლება მეცნიერების ამა თუ იმ დარგის მიერ². **ონომასტიკონი** – 1. ონიმთა სია ან ლექსიკონი. ჩვეულებრივ, დგება ცალ-ცალკე ონიმთა სხვადასხვა თანრიგისათვის, კერძოდ, ანთროპონიმიკონი (იხ.), ტოპონიმიკონი (იხ.); 2. ამა თუ იმ ეთნოსის, სოციუმის ონიმთა რეპერტუარი ამა თუ იმ ეპოქისათვის³). **ტოპონიმიკონი** – 1. ტოპონიმთა სია ან ლექსიკონი; 2. გეოგრაფიულ სახელწოდებათა რეპერტუარი⁴.

„ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ და-ნიშნულებას ავტორი ასე განსაზღვრავს: ლექსიკონის მიზანია, ხელი შეუწყოს და ერთგვარად ბიძგი მისცეს საქართველოში ონომასტიკური კვლევა-ძიების უფრო ფართოდ გაშლა-გადრმაგებასა და ონომასტიკურ ტერმინთა და მათი დეფინიციების საბოლოოდ დადგენა-დახვეწას⁵.

საკუთარი სახელის პრობლემებით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და ფართო მკითხველ საზოგადოებას პ. ცხადაიას ლექსიკონი დღესაც, მისი გამოცემიდან თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ, დიდ დახმარებას უწევს.

§4. ონომასტიკის თეორიული პრობლემები

სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოდაა რეკომენდებული პ. ცხადაიას ავტორობით 2005 წელს გამოცემული წიგნი **„ონომასტიკის შესავალი“**. ადამიანთა სრულფასოვანი თანაცხოვრებისათვის, მკვლევარის აზრით, ენასთან ერთად, აუცილებელია საკუთარი სახელები – ადამიანის სახელები (ანთროპონიმები) და ადგილის სახელები (ტოპონიმები). ადამ და ევას დროიდან მოყოლებული, საკუთარი სახელი, როგორც ენაში არსებული ყოველი

¹იქვე, 61.

²იქვე, 72.

³იქვე, 82.

⁴იქვე, 110.

⁵იქვე, 11.

სიტყვა – სრულმნიშვნელოვანი იქნება იგი თუ დამხმარე, აუცილებელი ენობრივი ნიშანია. „ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, როგორი ქაოსი შეიქმნებოდა თანამედროვე მსოფლიოში, ადამიანისა და ადგილის სახელები რომ გაქრნენ: კომუნიკაცია საერთოდ შეუძლებელი გახდებოდა და მოიშლებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება, მასობრივი ურთიერთობის საშუალებებს – რადიოს, ტელევიზიას, პრესას – გაუჭირდებოდა საჭირო ინფორმაციის მიწოდება, ადამიანი ვერ მოუხმობდა ახლობელს, ვერ დაუკავშირდებოდა ტელეფონით, ვერც წერილი მოძებნიდა ადრესატს, დაირღვეოდა პოლიციისა და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა... მოკლედ, მივიღებდით ახალ ბაბილონის გოდოლს“¹. ობიექტების აღნიშვნა ჯერ საზოგადო, შემდეგ კი საკუთარი სახელების მეშვეობით, ადამიანმა აზროვნებისა და მეტყველების უნარის განვითარების კვალობაზე დაიწყო. მაშასადამე, ონიმური სისტემა ვითარდებოდა და ვითარდება ენასთან ერთად, ოღონდ თავისებური კანონზომიერებებით. ენათმეცნიერების ახალი დარგის – **ონომასტიკის** – ჩამოყალიბება საკუთარ სახელთა ენობრივ და სოციალურ (ფუნქციურ) თავისებურებებთანაა დაკავშირებული². ინტერდისციპლინარულ მეცნიერებად მიხნეული ონომასტიკის შესწავლით, ლინგვისტიკის გარდა, დაინტერესებულია საისტორიო, ეთნოლოგიური, გეოგრაფიული მეცნიერებანი და სოციოლინგვისტიკა. „შეიძლება ითქვას, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ხალხთა მიგრაციების მიმართულების, ქვეყნებისა და ენათა განვითარების გზების დადგენა შეუძლებელი იქნებოდა ონომასტიკური კვლევადიების შედეგების გაუთვადისწინებლად. საკუთარ სახელებში აღბეჭდილია ქვეყნის, ხალხისა და ენის ისტორია. გარდა ამისა, ონომასტიკას მნიშვნელოვანი გამოყენებითი ფუნქცია აქვს: მშობლიური ენის ნორმების შესაბამისად უნდა დაადგინოს თითოეული ტოპონიმისა თუ სახელ-გვარის ორთოგრაფია, რათა საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციასა (დაბადების მოწმობა, მოქალაქის მოწმობა და სხვ.) თუ მედიაში (საინფორმაციო საშუალებებში) არ გაიპაროს საკუთარ სახელთა დამახინჯებული ფორმები“³.

¹ **ბ. ცხადია**, ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005, 3.

² იქვე, 4.

³ იქვე, 4.

დამოუკიდებელ საენათმეცნიერო დისციპლინად მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე ქცეული ონომასტიკა, ანუ **მოძღვრება საკუთარ სახელთა შესახებ**, პ. ცხადაიას თქმით, აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე, საშუალო სკოლების მაღალ კლასებში¹.

ონომასტიკას, როგორც სასწავლო საგანს, ზოგადთეორიულ-საინფორმაციო დანიშნულებასთან ერთად, პრაქტიკულ-პატრიოტული დანიშნულებაც აქვს, „რადგანაც მშობლიური ქვეყნისა და ხალხის წარსულის მრავალი საიდუმლო სწორედ საკუთარ სახელებში, განსაკუთრებით, ტოპონიმებში არის შემონახული და არა მხოლოდ არქეოლოგიურ, არქიტექტურულ, ეპიგრაფიკულ ძეგლებში, საისტორიო-სალიტერატურო წყაროებში. მათი დაცვა და მომავალი თაობებისათვის გადაცემა ყოველი ჩვენგანის წმიდათა წმიდა მოვალეობაა“².

ზოგად (თეორიულ) ისე ქართველურ ონომასტიკაში საჭირო ცოდნა უნდა ჰქონდეთ ფილოლოგებს, ისტორიკოსებს, გეოგრაფებს, ჟურნალისტებს – მომავალ მასწავლებლებს, მკვლევარებს, სახელმწიფო მოღვაწეებს, პრესისა თუ რადიოტელევიზიის მუშაკებს. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ავტორმა მიზნად დაისახა, საკუთარი სახელით დაინტერესებულ პირთათვის მიეწოდებინა წიგნი, რაშიც მოკლედ იქნებოდა მიმოხილული ონომასტიკის უმთავრესი თეორიული დებულებანი, საკუთარი სახელის რაობის, წარმოშობისა და ფუნქციონირების ძირითადი საკითხები, საკუთარ სახელთა სტრუქტურული და სემანტიკური მოდელები, ონომასტიკური კვლევა-ძიების მეთოდები, ონომასტიკური ტერმინოლოგია, ეტიმოლოგიის პრობლემები. წიგნში მოცემულია მსჯელობა ონომასტიკის ქვედარგებზე – ანთროპონიმიაზე, ტოპონიმიაზე, ეთნონიმიაზე, ზოონიმიასა და სხვ.³

„ონომასტიკის შესავალში“ გამარტივებულად და შემოკლებით არის წარმოდგენილი თანამედროვე ონომასტიკის ძირითადი საკითხები და **წარმოადგენს ქართულ ენაზე ამ დარგის სახელმძღვანელოს შექმნის პირველ ცდას**. პ. ცხადაია შესავალში განი-

¹იქვე, 4-5.

²იქვე, 5.

³იქვე, 5-6.

ხილავს ონომასტიკური კვლევა-ძიების ისტორიას საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღნიშნავს, რომ „ქართულ სინამდვილეში საკუთარი სახელების წარმომავლობასა და მოტივაციაზე მეცნიერულად გამართული მსჯელობანი ჯერ კიდევ ჰავიოგრაფიულ ლიტერატურაშია მოცემული“¹. საილუსტრაციოდ ავტორი იმოწმებს X ს. I მეოთხედში დაწერილ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ იმ მონაკვეთს, სადაც აღწერილია სერაპიონისა და ძმათა მისთა მიერ სამონასტრე ადგილის ძებნის ამბავი. ბასილ ზარზმელი იძლევა გზადაგზა ნანახი გეოგრაფიული სახელების ახსნა-განმარტებას. სერაპიონის შეკითხვაზე, „რად ეწოდების ადგილსა ამას?“, მასპინძელი (სახელად ია) ასე პასუხობს: „რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათად... ბაკთა ეწოდების“. შემდეგ განმარტებულია ტბისა და მთის სახელები – სათახვე („არს ამას შინა სიმრავლე თახვთა“) და შეშისთავი „ტყისთავი“ („რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მადნართად, ამისათვის შეშისთავ ეწოდების“). „როგორც ვხედავთ, – დაასკვნის პ. ცხადაია, – მწერლისეული ეტიმოლოგიების გარეენობრივი და ენობრივი საბუთიანობა ყველა შემთხვევაში მეცნიერულია, მოტივაცია – დამაჯერებელი“².

ამა თუ იმ ჰიდრონიმის, ორონიმისა და ოიკონიმის წარმომავლობით დაინტერესება მოცემულია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილ საისტორიო-საგეოგრაფიო თხზულებაში, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1745 წ.). მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს

¹იქვე. 9.

²იქვე. 10. ძველი ქართული ლიტერატურული საგანძურის ცნობილი ძეგლი, ბასილ ზარზმელის თხზულება „ცხოვრება და მოქალაქეობა დმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა წუენისა სერაპიონისი“ ეხება IX-X საუკუნეებში სამცხეში მიმდინარე სამონასტრო მშენებლობას. ტოპონიმიკური კვლევის თვალსაზრისით აღნიშნული თხზულება უძველეს ნიმუშს წარმოადგენს. ბასილის თქმით, „მიერთიგან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთად ადგილსა მას: რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპერობილ იყვნეს“. ზარზმის ეტიმოლოგიაზე ავტორის მსჯელობა მოცემულია სხვა ადგილზეც. კერძოდ, როცა ერთმანეთს შეხვდნენ მიქაელი და სერაპიონი, ეს უკანასკნელი თავის მოძღვარს ეტყვის: „...თუ ვითარ შემსგავსებული სახელი ეწოდა ზარზმა ერთა მიერ, სასწაულთა საკურველთა ზარგანკდილთა“. მსჯელობისათვის იხ. **გ. ლოლაძე**, რატომ ჰქვია შენს სოფელს ზარზმა?, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 4. IX, 1970; **მ. ბერაძე**, სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ ონომასტიკისათვის. წგნ.: ტაძრები და სახელები, თბ., 2010, 72-75.

სახელდების მოტივაციაზე, ანუ იმ გარეენობრივ ფაქტორებზე, რომლებიც სახელდების საფუძველი გამხდარა. თხზულებიდან საამისო არაერთი მაგალითის დამოწმებაა შესაძლებელი¹.

ონომასტიკური კვლევა-ძიების ისტორიოგრაფიული ეტაპი, ანუ ცალკეული საკუთარი სახელების (განსაკუთრებით ტოპონიმების) ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზი, მოცემულია მ. ჯანაშიელის, ი. ჯავახიშვილის, ნ. მარის, ი. ყიფშიძის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას, უფრო მოგვიანებით – გ. მელიქიშვილის, ა. ჩიქობავას, ი. მეგრელიძის, ს. ჯიქიას და სხვათა ნაშრომებში.

საენათმეცნიერო დარგად ონომასტიკის ჩამოყალიბების შემდეგ (XX ს. 70-იანი წლებიდან) საქართველოში ონომასტიკის რიგ თეორიულ საკითხებზე მსჯელობისა და ქართული ტოპონიმისა და ანთროპონიმის კონკრეტული საკითხების მეცნიერული კვლევების დაწყება უკავშირდება სამი ცნობილი ენათმეცნიერის – ალ. ღლონტის, ი. მაისურაძისა და ზ. ჭუმბურიძის სახელებს, ხოლო ტოპონიმის რეგიონული მასალების აღწერა-პუბლიკაციის პიონერებად საქართველოში მიიჩნევიან ისტორიკოსები – იური სიხარულიძე და ვალერიან ითონიშვილი².

საქართველოს მთელი ტერიტორიის ტოპონიმის აღწერას და მოპოვებული მასალის შესწავლა-გამოცემას გეგმაზომიერი ხასიათი რომ მისცემოდა, დღის წესრიგში დადგა ტოპონიმის შემსწავლელი რესპუბლიკური ცენტრის ჩამოყალიბება. ფ. ერთელიშვილისა და პროფ. შ. ძიძიგურის ძალისხმევით 1969 წელს თსუ-ის ახალი ქართული ენის კათედრასთან დაარსდა ტოპონიმური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი – ტოპონიმისკის ლაბორატორია, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებად იმთავითვე განისაზღვრა საქართველოს მთელი ტერიტორიის დაწვრილებითი ტოპონიმური აღწერა, ჩაწერილი მასალის საარქივოდ გამზადება, სისტემატიზაცია-გამოცემა და სამეცნიერო კვლევა-ძიება³. მოგვიანებით ლაბორატორიაში წარიმართა ქართულ-ქართველური ანთროპონიმისა და ზოონიმის მასალების მოპოვება-ანალიზი, რის გამოც, 1992 წლიდან მას **ონომასტიკის სამეცნიერო-**

¹იქვე, 10-11.

²იქვე, 22.

³იქვე, 22-23.

კვლევითი ლაბორატორია ეწოდა და დამფუძნებლის – ფარნაოზ ერთელიშვილის სახელი მიენიჭა¹.

პ. ცხადაის შეფასებით, თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი – ტოპონიმიკის ლაბორატორია სსრ კავშირში ამ დარგის ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო ცენტრს წარმოადგენდა. ფუნდამენტურ „ლინგვისტურ-ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ (რუსულ ენაზე) იმ ლინგვისტურ ცენტრებს შორის, რომლებშიც ფართოდაა გაშლილი ტოპონიმიკური კვლევა-ძიება, მოსკოვისა და კიევის ცენტრების შემდეგ დასახელებულია თსუ-ის ტოპონიმიკის ლაბორატორია².

„ონომასტიკის შესავალი“ შედგება ოთხი თავის, ცალკეული პარაგრაფებისა და ქვეპარაგრაფებისაგან. ნაშრომის I თავში შესწავლილია ონომასტიკური ტერმინოლოგიისა და ონიმური სახელდების ზოგიერთი საკითხი. კერძოდ, **ონიმი, ონიმია, ონომასტიკა, ტერმინი, ტერმინოლოგია, საკუთარი სახელი და მისი განსხვავება საზოგადო სახელისაგან, ონიმური სახელდება, ონიმური სახელდების მოტივი და პრინციპები, აპელატიური და ონიმური ლექსიკა**. აქვე მოცემულია მსჯელობა ნომენკლატურისა და ტერმინოლოგიის სიზუსტეზე. პ. ცხადაიას აზრით, ლექსიკურ სისტემაში სპეციალური სახელის თითოეული ტიპის ადგილის ზუსტად განსაზღვრისათვის აუცილებელია სპეციალური ლექსიკის დაყოფა **ტერმინოლოგიად და ნომენკლატურად**. „ტერმინსა და ნომენს შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ **ტერმინი მიემართება (აღნიშნავს) სპეციალურ ცნებას, ხოლო ნომენი – სპეციალურ საგანს (ობიექტს)**“³.

ნაშრომის **II თავში** აღნიშნულია, რომ საკუთარ სახელთა წარმოქმნის რამდენიმე გზაა ცნობილი. მათგან მთავარია **ონიმიზაცია და ტრანსონიმიზაცია**. ონიმიზაცია (ქართულად – „გასაკუთარსახელება“) ეწოდება აპელატივის, ანუ საზოგადო სახელისა თუ მისი შემცველი შესიტყვების (იშვიათად, ფრაზის, წინადა-

¹იქვე, 23.

²იქვე, 24.

³იქვე, 30.

დების) საკუთარ სახელად გადაქცევას. ამ გზით მიღებულ საკუთარ სახელს **აპელატივისმიერი საკუთარი სახელი** ჰქვია.

ონიმიზაცია შეიძლება იყოს **სემანტიკური**, რაც გულისხმობს აპელატივის გადაქცევას საკუთარ სახელად რაიმე სტრუქტურული ცვლილების გარეშე. მაგალითად, **ცაცხვი** მცენარეა, მაშასადამე, საზოგადო სახელია. მაგრამ ამავდროულად, ცაცხვი სოფლის სახელია ზუგდიდის რაიონში. ომონიმია საზოგადო სახელ **ცაცხვსა** და სოფლის სახელ **ცაცხვს** შორის სემანტიკურ ონიმიზაციას ასახიერებს¹. სემანტიკური ონიმიზაციით საკუთარ სახელთა წარმოქმნა ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

სემანტიკურ-მორფოლოგიური ონიმიზაცია გულისხმობს მრავლობით რიცხვში დასმული ან წარმოქმნილი თუ რთული სახელის გადაქცევას საკუთარ სახელად, ხოლო **სემანტიკურ-სინტაქსური ონიმიზაცია** – სინტაქსური ერთეულების – სინტაგმათა (შესიტყვებათა) ან ფრაზისა თუ მთელი წინადადების – გადაქცევას საკუთარ სახელად². სემანტიკურ-სინტაქსური ონიმისათვის საზღვრული კომპონენტის მოკვეცის პროცესს **ელიპტირება** ეწოდება. ელიპტირებული ტოპონიმის ნიმუშია მღვრიე მდინარის სახელწოდება თელავის რაიონში (მდრ. მღვრიე ხევი – მდინარე გურჯაანის რ-ნში)³.

აპელატივის ონიმიზაციის ან ონიმის ტრანსონიმიზაციის თავისებური ფორმაა **მეტაფორიზაცია**, ანუ აპელატივის გადაქცევა საკუთარ სახელად, რეალური ან სავარაუდო მსგავსების, შედარების, ანალოგიის საფუძველზე. გვხვდება მეტაფორული ტოპონიმები, ანთროპონიმები, ზოონიმები და ა. შ.⁴. „აპელატივის ონიმიზაცია, – დაასკვნის პ. ცხადაია, – უძველესი საშუალებაა ონიმური ფონდის შესავსებად. აპელატივისმიერი, ანუ აპელატივის ონიმიზაციით წარმოქმნილი საკუთარი სახელი, თვით შეიძლება გახდეს ახალი ონიმის ფუძე“⁵.

¹იქვე, 50.

²იქვე, 50-51.

³იქვე, 53.

⁴იქვე, 54.

⁵იქვე, 55-56.

ნაშრომის II თავში ცალკე პარაგრაფად არის გამოყოფილი **ტრანსონიმიზაცია**. შესაძლებელია სახელი ერთი ონიმური კლასიდან მეორეში, ან თვით ონიმური კლასის შიგნით ერთი სემანტიკური ველიდან მეორეში გადასვლა. ონიმთა ამგვარი წარმოქმნა **ტრანსონიმიზაციად** იწოდება. წიგნში თქმულის საილუსტრაციოდ მოხმობილია შემდეგი მაგალითები: ვაშინგტონი (ჯორჯ ვაშინგტონი – აშშ პირველი პრეზიდენტი) → ვაშინგტონი (აშშ დედაქალაქი), წერეთელი (გვარსახელი) → წერეთელი (ოიკონიმი, სოფლის სახელი მარნეულის რ-ნში), გაგარინი (მსოფლიოში პირველი კოსმონავტის გვარსახელი) → გაგარინი (სელენონიმი, ერთ-ერთი მცირე ცთომილისა და მთვარის ერთ-ერთი კრატერის სახელი) და სხვ.¹ ტრანსონიმიზაციის რამდენიმე მიმართულება არსებობს: თეონიმი → ზოონიმი, ტოპონიმი → ზოონიმი და სხვ.². მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ტრანსონიმიზაციის ორი კერძო შემთხვევა არსებობს: **ტრანსტოპონიმიზაცია** და **ტრანსანთროპონიმიზაცია**. ორსავე შემთხვევაში ხდება სახელწოდების გადასვლას ობიექტთა ერთი კლასის შიგნით ერთი სემანტიკური ველიდან მეორეში, დერივაციის გარეშე, ან დერივაციისა თუ სიტყვათშეერთების გზით. ტრანსანთროპონიმიზაციის მოდელებიდან გავრცელებულია გვარსახელი → პირსახელი (მარქსი, ტელმანი და ედისონი გვარსახელებიდან და პირსახელებიც), მეტსახელი → გვარსახელი (თავდიდი → თავდიდიშვილი, ნოდია „ზარმაცი, ზანტი“ (მეგრ.) → ნოდია – გვარსახელი...) და სხვ.). ტრანსტოპონიმიზაციის შემთხვევებიდან გავრცელებულია: პიდრონიმი → ოიკონიმი, ოიკონიმი → პიდრონიმი, დრიმონიმი → ოიკონიმი, ორონიმი → ოიკონიმი და სხვ. ამგვარი ტრანსტოპონიმიზაცია **მეტონიმიადაც** იწოდება. ეს ტერმინი სახელწოდების კონტაქტური გადატანის აღმნიშვნელია (ბერძნ. metonymia „სახელის გადარქმევა, შენაცვლება“)³.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ყველაზე გავრცელებულ მოდელებს ტოპონიმური მეტონიმიის შემ-

¹იქვე, 56.

²იქვე, 57.

³იქვე, 58-59.

დეგი მოდელი წარმოადგენს: ჰიდრონიმი → ოიკონიმი. მაგ.: გუბისწყალი (მდინარე) → გუბისწყალი (სოფელი ამ მდინარის ნაპირზე), კისისხევი (მდინარე) → კისისხევი (სოფელი ამ მდინარის ნაპირზე), წყალტუბო (ერქვა ალბათ მცირე ღელეს, ტბას ან წყაროს) → წყალტუბო (საკურორტო ქალაქი ქვემო იმერეთში) და სხვ.¹. „ტრანსლონომიზაციის შემთხვევაში სახელწოდების პირველადობის (გადატანის მიმართულების) დასადგენად საჭირო ხდება მისი ლექსიკურ-სემანტიკური და სტრუქტურულ-გრამატიკული ანალიზი, ტოპოფუქციებისა და ტოპოფორმანტების გამოვლენა“².

მკვლევარი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განასხვავებს საკუთარ სახელთა წარმოქმნის ორ პროცესს – **მეტონიმიას** და **აპელატივის ონიმიზაციას**: „აპელატივის ონიმიზაცია-კონვერსიის შემთხვევაში ომონიმიის ერთ-ერთი წევრი საზოგადო სახელია, ხოლო ტრანსლონომიზაციისას ომონიმიის ორივე წევრი საკუთარი სახელია. ამის გარდა, აპელატივის ონიმიზაციისას დენოტატის გამოცვლა არ ხდება, რადგანაც საზოგადო სახელს დენოტატი არ მოეპოვება (ხევი ერქმევა ხევს, გორა – გორას, წიფლნარი – წიფლნარს და სხვ. მაშასადამე, სახელწოდება „შეესაბამება“ სახელდებულ ობიექტს), ხოლო ტრანსლონომიზაციისას დენოტატი იცვლება (ვთქვათ, ტყეს ეწოდება მუხნარი. მუხნარი დრიმონიმია, მისი დენოტატი არის ტყე. მას შემდეგ, რაც ტყე გაქრა და სოფელი გაშენდა, მუხნარი იქცა ოიკონიმად. ამჯერად მისი დენოტატი დასახლებული პუნქტი და არა ტყე)“³.

ტრანსლონომიზაციის ერთ-ერთ კერძო შემთხვევად მკვლევარი განიხილავს **ირადიაციას**. ფიზიკაში, ფიზიოლოგიაში, მედიცინაში გამოყენებული აღნიშნული ლათინური სიტყვის (irradiare „გამოსხივება“) ზოგადი მნიშვნელობაა „პროცესის გავრცელება-განვრცობა დაშორებულ ობიექტზე“. ტონომიმიაში ირადიაციის მნიშვნელობაა გეოგრაფიული სახელწოდების მრავალჯერადი გადატანა ერთი ობიექტიდან სხვა, მასთან ახლოს ან მოშორებით მდებარე ობიექტებზე, „წმინდა“ ფუძის სახით ან წარმოქმნა-სიტყ-

¹იქვე, 59.

²იქვე, 60.

³იქვე, 61.

ვათშეერთების საშუალებით. ირადიაციის მაგალითებია: დონი (მდინარე აღმოსავლეთ ევროპაში) → ჩრდილოეთი დონეცი (დონეცის მარჯვენა შენაკადი); დონეცი – ნაქალაქარი ხარკოვის გარეუბანში; დონეცის მადლობი – მადლობი უკრაინისა და რუსეთის საზღვარზე; დონეცი – ქალაქები უკრაინისა და რუსეთში; დონბასი (იგივე დონეცის ქვანახშირის აუზი უკრაინაში) და სხვ.¹

II თავის III პარაგრაფია **ხელოვნური ნომინაცია**. მასში განხილულია სტიქიური და ბუნებრივი სახელდების, ტაბუირების, აბრევიაციისა (ლათ. *abbreviatio* „შეკვეცა, შემოკლება“) და ტოპონიმთა შემოკლების საკითხები. გვარსახელი და მამის სახელი, როგორც ანთროპონიმული კატეგორია, ავტორის აზრით, არც სტიქიურია და მიზანმიმართული სახელდების შედეგადაც არ ჩაითვლება, ვინაიდან იგი თითოეული პირისათვის წინასწარაა თავსმოხვეული. თუმცა გარკვეულ სიტუაციაში შესაძლებელია გვარსახელისა და მამის სახელის გამოცვლა².

ზონიმთა ერთი ნაწილიც, კერძოდ, ჯიშინი ცხენებისა და ძაღლების სახელები, ხელოვნურია. ტრანსონიმიზაციის ბუნებრივ-სტიქიური გზით არის წარმოქმნილი კოსმონიმები, განსაკუთრებით ვარსკვლავებისა და თანავარსკვლავედების სახელები. „მაგრამ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, – წერს პ. ცხადაია, – ციურ სხეულთა სახელდება ძირითადად ხელოვნურია“³.

მკვლევარი გვიჩვენებს, რომ „ონომასტიკაში ტაბუირება აღნიშნავს გარკვეული კატეგორიის პირისათვის რელიგიურ-მისტიკურ რწმენასა თუ საყოფაცხოვრებო-საოჯახო ტრადიციასთან დაკავშირებით ზოგი ანთროპონიმის, თეონიმის, მითონიმის წარმოთქმის აკრძალვასა და მის შეცვლას ხელოვნური სახელებით“⁴, ხოლო **აბრევიაცია** (ლათ. *abbreviatio* „შეკვეცა, შემოკლება“) ენათმეცნიერებაში გულისხმობს სიტყვების პირობით შემოკლებას წერისას და ორი ან რამდენიმე სიტყვის ნაწილებისაგან რთულ-შემოკლებული სიტყვის შედგენას (მაგ. ზაპკისი ← ზემო

¹იქვე, 61-62.

²იქვე, 64.

³იქვე, 65.

⁴იქვე, 66.

ავტორის ჰიდროელექტროსადგური, ჯანმო ← ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია). ონიმური აბრევიატურა შეიძლება იყოს ინიციალური, რთულ-შემოკლებული და შერეული¹. ავტორის დასკვნა ასეთია: „ხელოვნურია ყოველგვარი საკუთარი სახელი, რომელიც წარმოქმნილია არა მეტყველების პროცესში მიმდინარე ბუნებრივი შერჩევის გზით, არამედ სპეციალურად მიზანმიმართული სიტყვათშემოქმედებითი აქტის შედეგად“².

IV პარაგრაფში გაანალიზებულია სპეციფიკური ფორმანტების საშუალებით საკუთარი სახელის წარმოების, ანუ **სპეციფიკური (საგანგებო) ონიმური აფიქსაციის** საკითხები. ავტორი ასახელებს **-ეთ**, **-ურა/-ულა**, **სა-** ტოპოფორმანტებს, მეგრულ **-აღა** და **-ელა** სუფიქსებს. ნაწილობრივ ტოპოსაწარმოებელი საშუალებებია პრეფიქსები – **ლე-**, **სა-**, **ნა-** (თანხლები სუფიქსებითურთ). ოდენ ტოპოფორმანტი **ლე-** ანთროპონიმისაგან, ძირითადად, გვარსახელისაგან აწარმოებს ამ გვართ დასახლებული ტერიტორიის საკუთარ სახელს. ავტორი ნაწილობრივ საგანგებო ტოპოფორმანტად მიიჩნევს **ნა-** პრეფიქსს, ხოლო საგანგებო ანთროპოფორმანტებად – მეგრულში გვართა მაწარმოებელ აფიქსებს – **-ია**, **-ავა**, **-უა**³.

„უცხოურ საკუთარ სახელთა გადმოღების გზები და საშუალებანი“ სანალიზო წიგნის II თავის V პარაგრაფშია განხილული. „საკუთარი სახელის გადმოღება (რუს.: „передача имени собственного“) გულისხმობს უცხოენოვანი ონიმური ერთეულის ჩართვას მშობლიურ ენაში, რისთვისაც ენა უძველესი დროიდანვე იყენებს ისეთ გზებსა და საშუალებებს, როგორცაა სესხება და თარგმნა-კალკირება, აგრეთვე სახელწოდების მიგრაცია-გადატანა“, – წერს პ. ცხადაია⁴. მკვლევარი განიხილავს ონომასტიკაში სესხება-ადაპტაციის, თარგმნა-კალკირებისა და მიგრაციის საკითხებს⁵.

¹იქვე, 66-67.

²იქვე, 69.

³საკითხისათვის ვრცლად იხ. ამავე ნაშრომში სხვა ადგილას.

⁴იქვე, 72.

⁵იქვე, 72-83.

VI პარაგრაფში მოცემულია მსჯელობა **ტრანსკრიფციისა** და **ტრანსლიტერაციის** საკითხებზე. ტრანსკრიფციას (ლათ. transcrip- tio „გადაწერა“), ან ტრანსლიტერაციას (ლათ. trans „გავლით“, littera „ასო, გრაფემა“) მიმღები ენა მიმართავს სიტყვათა, მათ შორის საკუთარი სახელების, სესხებისას. ონიმიაში უპირატესად გამოიყენება პრაქტიკული ტრანსკრიფცია, ე. ი. უცხოური საკუ- თარი სახელის ბგერათა (ფონემათა) გადმოცემა მიმღები ენის ასოებით (გრაფემებით). „როგორც პრაქტიკული ტრანსკრიფციისას, ისე ტრანსლიტერაციისას მიმღები ენა იყენებს თავის გრა- ფემებს, მაგრამ პირველ შემთხვევაში ეს გრაფემები მიემართება ბგერებს (ფონემებს), ხოლო მეორე შემთხვევაში – ასოებს (გრა- ფემებს)“¹.

სახელმძღვანელოს III თავში (**„საკუთარ სახელთა კლასიფი- კაცია“**) ცალკეულ პარაგრაფებად წარმოდგენილია მსჯელობები ონომასტიკის მნიშვნელოვან თეორიულ პრობლემებზე. აღნიშნუ- ლი თავის პირველ პარაგრაფში საკუთარ სახელთა ენობრივი და გარეენობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, ონიმიის ყვე- ლა კატეგორიისათვის გამოყოფილია უნივერსალური საკლასიფი- კაციო საფუძვლები: სახელდებული ობიექტის მიხედვით, წარმოქ- მნის ბუნებრიობისა თუ ხელოვნურობის მიხედვით, ოფიციალური და არაოფიციალური სტატუსის მიხედვით, ქრონოლოგიური ნიშ- ნით, სტრუქტურისა და მოტივირების მიხედვით და ა. შ.². პ. ცხა- დაიას მსჯელობით, საკუთარი სახელი ენობრივი ნიშანია და აღ- ნიშნავს ერთ კონკრეტულ საგანს, რომელსაც **დენოტატს** უწოდებ- ბენ. ონომასტიკური დენოტატი იგივეა, რაც ნომინაციის ობიექტი, სახელის რეფერენტი, სახელდების ობიექტი, ანუ ობიექტი, რო- მელსაც მიემართება საკუთარი სახელი³. დენოტატი სხვადასხვაგ- ვარია. მკვლევარს დამოწმებული აქვს შემდეგი სახის საილუს- ტრაციო მასალა: გიორგი – ადამიანის სახელი, მთაწმინდა – ად- გილის სახელი, ბუცევალი – ცხენის სახელი, კერკეტა კაკალი

¹იქვე, 84.

²იქვე, 85.

³პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 37.

– 1. კაკლის ხის სახელი; 2. მეტონიმიის წესით სანახშოსათვის დარქმეული სახელი სოფ. ბარში და სხვ.¹

ტრადიციულად, ცოცხალ არსებათა საკუთარ სახელებში გამოყოფენ შემდეგ კატეგორიებს: ანთროპონიმიას, ზოონიმიას, მითონიმიას, ხოლო არაცოცხალ საგანთა სახელებში – ტოპონიმიას, კოსმონიმიას და ასტრონომიას, ფიტონიმიას, ქრემატონიმიას/ქტემატონიმიას, ქრონონიმიას, ფალერონიმიას, დოკუმენტონიმიას, ანემონიმიას (სტიქიურ უბედურებათა სახელებს), დღესასწაულთა, იუბილეებისა და ზეიმთა სახელებს, კომპლექსურ ობიექტთა, მიმოსვლის საშუალებათა, ჯიშებისა და ფირმების სახელებს და სხვ.²

ისტორიული, სოციალური და რაოდენობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კატეგორიებიდან უპირველესია **ანთროპონიმი**. ანთროპონიმი ონიმის სახეობაა, ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის საკუთარი სახელია. ანთროპონიმს უწოდებენ პიროვნულ სახელს, გვარსახელს, მეტსახელს, ზედწოდებას, ფსევდონიმს, კრიპტონიმს, ფიქტონიმს და სხვ. (ბერძნ. antropos „ადამიანი“). შესაბამისად, ანთროპონიმთა ერთობლიობას **ანთროპონიმია** ჰქვია. **ანთროპონიმია** კი ონომასტიკის ქვედარგია, რაც შეისწავლის ანთროპონიმთა წარმოშობისა და განვითარება-ფუნქციონირების კანონზომიერებებს³. ი. მაისურაძე ამ საერთაშორისო ტერმინის ქართულ შესატყვისად „სახელთმცოდნეობას“ იყენებს⁴. **ანთროპონიმიზაცია** გულისხმობს აპელატივის ან რომელიმე სხვა რიგის საკუთარი სახელის გადაქცევას ანთროპონიმად. პ. ცხადია ქართულში ანთროპონიმიზებული საზოგადო სახელების რამდენიმე ნიმუშს ასახელებს: **ნუკრი*** (პირსახელი) ← ნუკრი „ირმის, შგლის, ქურციკის შვილი“; **მაჩაბელი** (გვარსახელი) ← მაჩაბელი (სადაურობის სახელი) ← აჩაბეთი (ადგილის სახელი); **მენაბდე** (გვარსახელი) ← მენაბდე (მოსაქმეობის სახელი) და სხვ. **დენ-**

¹ პ. ცხადია, ონომასტიკის შესავალი, 86.

² იქვე, 86-87.

³ იხ. Sch. Apridonidse, Das System der georgischen Anthroponyme (Personen-name). Georgia, 7, Tbilisi, 1984.

⁴ ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია. თბ., 1979, 3.

თროპონიმიზაცია დეონიმიზაციის კერძო შემთხვევაა. ხშირია პირუკუ პროცესიც – ანთროპონიმის გადაქცევა საზოგადო სახელად, დერივაციის გარეშე. ზოგი მკვლევარი ამ პროცესს **აპელატივიზაციასაც** უწოდებს (აპელატივი – საზოგადო სახელი, საკუთარი სახელის საპირისპიროდ). მაგ.: **ლუარსაბ თათქარიძე** ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟია, მაგრამ ლუარსაბს უქნარა და მცონარა ადამიანზეც იტყვიან; **ჯაყო** მიხეილ ჯავახიშვილის რომანის („ჯაყოს ხიზნები“) პერსონაჟია, მაგრამ ჯაყო მოძალადე და უხეშ ადამიანთანაც ასოცირდება; **იუდა** ქრისტეს გამცემის სახელი იყო, მაგრამ იგი იქცა საზოგადო სახელად და მიემართება მოღალატეს, გამცემს; **დონჟუანი** ესპანური თქმულებებისა და რამდენიმე მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟია და ხშირად მთარეშე მამაკაცსაც ზოგადად დონჟუანსუწოდებენ; **მაკინტოში** შოტლანდიელი ქიმიკოსი იყო, თუმცა წყალშეუვადი ქსოვილის საწვიმარსაც მაკინტოში ეწოდება...¹

ანთროპონიმი აწარმოებს დასახლებული პუნქტის, ადგილის, მდინარის... სახელებსაც. ანთროპოლიკონიმებად, ანუ ადამიანის სახელ-გვარისაგან წარმოქმნილ ოიკონიმად შეიძლება ჩაითვალოს თოთიაურნი, იაკობაძეები, ივანეული, საგურამო, ივლიანთგორი, ველთაურთკარი...². ანთროპონიმისაგან წარმოქმნილი პიდრონიმებია: ბრინჯუას წყარო, კოკლუხას წყარო, კუჭიას წყარო, ფუკაოს წყალი, ღუჭაანთ წყლები, შოშიას წყარო³.

ქართველთა ანთროპონიმულ მოდელზე მსჯელობისას პ. ცხადაია აღნიშნავს, რომ შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო ორწევროვანი სახელდება. მაგალითად, ვახტანგ გორგასალი, გიორგი მერჩულე, ლეონტი მროველი, დავით აღმაშენებელი, ვახუშტი ბატონიშვილი, ამირან დარეჯანის ძე, ეთნოგრაფიულ ყოფაში – ივანე ზვიადენთი ან ზვიადენთ ივანე (ივანე ლობჯანიძის ნაცვლად). მოგვიანებით გაბატონდა რუსეთში დაკანონებული სამწევროვანი ფორმულა: გვარსახელი + პირსახელი + მამისახე-

¹პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 88-89.

²იქვე, 89.

³უ. სახლხოციშვილი, მარტყოფის ტოპონიმის ისტორიისათვის. ტოპონიმიკა, I, თბ., 1976, 318-348; მსჯელობისათვის იხ. პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 1988, 22-23.

ლობა (ან: პირსახელი + მამისახელობა + გვარსახელი). მაგ.: ნამგალაძე დიმიტრი ბაგრატიის ძე, ანატოლი პეტრეს ძე ნოვოსელცევი და სხვ.¹

თუკი ჩვენში და ევროპის მრავალ ქვეყანაში ორწევროვანი ანთროპონიმული ფორმულა აუცილებლად შეიცავს პირსახელსა და გვარსახელს, ისლანდიაში საქმე სხვაგვარადაა: იქ ორწევროვანი ანთროპონიმული ფორმულა გულისხმობს პირის სახელისა და მამის სახელის ერთობლიობას, ხოლო გვარსახელი აკრძალულია. ამგვარი ორწევროვანი ფორმულა ბოლო დრომდე იყო გავრცელებული არაბეთში, სპარსეთში და სხვაგან. თუკი საბერძნეთში, საქართველოს მსგავსად, სამწევროვანი ფორმულა გულისხმობს პირსახელის, მამის სახელისა და გვარსახელის ერთობლიობას, დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში განსხვავებული სურათი გვაქვს: სამწევროვანი ანთროპონიმული ფორმულა შედგება ორი ოფიციალური პირსახელისა და გვარსახელისაგან, ხოლო მამისახელობა არც აღინიშნება².

მკვლევარი ერთმანეთისგან მკაფიოდ მიჯნავს ტერმინებს – **ანთროპონიმულ ფორმულას** და **ანთროპონიმულ მოდელს**. ანთროპონიმული ფორმულა ანთროპონიმთა და ნომენთა სხვადასხვა სახეობის გარკვეული თანმიმდევრობა პიროვნების ოფიციალურ სახელდებაში, ხოლო ანთროპონიმული მოდელი გულისხმობს ანთროპონიმის ელემენტთა გარკვეულ და კანონზომიერ განლაგებას, მისი მორფოლოგიური სტრუქტურის ტიპს. პირველის მაგალითია სამწევრიანი ანთროპონიმული ფორმულა (გვარსახელი + პიროვნული სახელი + მამისახელობა) – ნამგალაძე დიმიტრი ბაგრატიის ძე, ხოლო ტოპონიმისათვის -ელ სუფიქსის დართვით მიღებული გვარები – თხინვალელი (← თხინვალი), მახხანელი (← მახხანი), მეტრეველი (← მეტრევი, ნასოფლარი უწერის ტერიტორიაზე) ანთროპონიმული მოდელის ნიმუშებია³.

ანთროპოლექსემა/ანთროპონიმული ლექსემა ეწოდება სიტყვას, როგორც ენის სტრუქტურულ ელემენტს, რომელიც ანთრო-

¹იქვე, 91-92.

²იქვე, 92.

³პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 20, 21; მისივე, ონომასტიკის შესავალი, 93.

პონიმის როლს ასრულებს. ორ- ან მეტშემადგენლიან ანთროპონიმში თითოეული სიტყვა, რომელიც ამ სახელში შედის, ანთროპოლექსემაა. მაგალითად, შესიტყვება „სულხან-საბა ორბელიანი“ სამი ანთროპოლექსემისაგან შედგება. სამლექსემიანია „გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძე“, ხოლო ორლექსემიანი ანთროპონიმებია „გიორგი ბრწყინვალე“ და „ვახუშტი ბატონიშვილი“¹.

ანთროპონიმული ფორმანტი/ანთროპოფორმანტი ანთროპონიმის წარმოქმნელი სპეციალური აფიქსია, რაც ერთვის ანთროპოფუქს და წარმოქმნილ სახელს ანთროპონიმთა რიგში აყენებს. რუსული ანთროპოფორმანტებია: Нева → Невский, Иван → Иванов, Ольга → Ольгович... ქართული ანთროპოფორმანტებია: გიორგი → გიორგელა, მთვარე → მთვარ-ისა, მამა → მამ-უკა, ბარათა → ბარათა-შვილი, გუგუ → გუგ-უნა → გუგ-უნა-ვა, -სკირ → პაპასკირი, -ან → ომარა-ან-ი, -თი → ჯოღორია-თი და სხვ.²

მკვლევარი საანალიზო პარაგრაფში ასევე მკაცრად განასხვავებს ტერმინებს – ანთროპონიმული და ანთროპონიმიკული: „მსაზღვრელი სიტყვა „ანთროპონიმული“ აღნიშნავს „ანთროპონიმთან დაკავშირებულს“, „ანთროპონიმისათვის დამახასიათებელს“, ხოლო „ანთროპონიმიკული“ გულისხმობს „ანთროპონიმიკასთან დაკავშირებულს“, „ანთროპონიმიკისათვის ნიშანდობლივს“³. პირველი სიტყვა საგანს მიემართება, ხოლო მეორე – პროცესს და არა საგანს.

პ. ცხადაია ზოგადად მიმოიხილავს ტერმინებს – ანთროპონიმიკული კვლევა, ანთროპონიმიკული ტერმინი, ანთროპონიმული არეალი, ანთროპონიმული ატლასი, ანთროპონიმული კალკი. ანთროპონიმიკული ტერმინი გულისხმობს ონომასტიკის ქვედარგში – ანთროპონიმიკაში ამა თუ იმ ანთროპონიმიკული კატეგორიის, პროცესის, მოვლენისა და მისთ. აღსანიშნავად გამოყენებულ ტერმინს (მაგ.: ანთროპონიმი, ანთროპონიმია, ანთროპონიმიკა, პიროვნული სახელი...), ანთროპონიმიკული არეალი ამა თუ იმ ანთროპონიმიკული ელემენტის ან მოვლენის გავრცელების ტერი-

¹პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 93-94.

²პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 21; მისივე, ონომასტიკის შესავალი, 94.

³იქვე, 95.

ტორიაა, რეგიონია. მაგ., -ურ სუფიქსიანი გვარსახელების გავრცელების არეალია აღმოსავლეთი საქართველო, -ან სუფიქსინისა – სვანეთი და ღუბუბში, -ია, -უა და -(ა)ვა სუფიქსები კი ძირითადად სამეგრელოში გვხვდება¹.

ამა თუ იმ რეგიონისათვის დამახასიათებელი ზოგადი თუ კერძო ანთროპონიმიკული მოვლენა და ელემენტი შეიძლება აღინიშნოს გეოგრაფიულ რუკებზე. ამგვარ რუკებს **ანთროპონიმიული/ანთროპონიმიკული ატლასი** ეწოდება².

სხვა ენიდან ზუსტად ან ნაწილობრივ ნათარგმნი სახელი ანთროპონიმიშიც გვხვდება, რასაც ანთროპონიმიული კალკი ეწოდება. კალკირებული (საკუთარი) სახელი (ონიმიური კალკი) სხვა ენიდან სიტყვასიტყვით (მთლიანად ან ნაწილობრივ) ნათარგმნი საკუთარი სახელია. მაგ.: სპარს. ახშაენა → ბერძნ. პონტოს მელას, რუს. ჩიორნოე მორე → ქართ. შავი ზღვა; ინგლ. ბლუ მაუნთინზ → რუს. გოლუბიე გორი → ქართ. ცისფერი მთები; ქართ. ვარ(დ)ციხე → ბერძნ. როდოპოლისი³.

დენოტატის რაოდენობის მიხედვით პ. ცხადაია გამოყოფს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ანთროპონიმს. ინდივიდუალური ანთროპონიმი პირიველი სახელი, მეტსახელი, ზედწოდება, ფსევდონიმი ერთი პირისა. იგი შეიძლება იყოს ერთ-, ორ- და სამსიტყვიანი. ჯგუფური ანთროპონიმი რაიმე ნიშნის მიხედვით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფის აღმნიშვნელი საკუთარი სახელია. მ. შ. ოჯახისა და საგვარეულოს სახელი, შტოგვარი, ჯგუფური მეტსახელი, ჯგუფური ფსევდონიმი. ჩამოთვლილთაგან უძველესი ტერმინი – **გვაროვნული სახელი** ამჟამად აღნიშნავს „პირველყოფილი გვარის სახელს, რომლის მიზანიც იყო გვარის, როგორც ტომის ნაწილის, შიგნით ქორწინების აკრძალვა“⁴.

საგვარეულოს სახელი იგივეა, რაც **საგვაროვნო სახელი**. ესაა ჯგუფური ანთროპონიმის სახეობა და გულისხმობს ცნობილი მთავრების, ერისმთავრების, თავადების, საერთოდ, წარჩინებულთა საოჯახო სახელებს, რომლებიც თაობიდან თაობას ზეპი-

¹იქვე. 96.

²იქვე.

³პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 55-56.

⁴პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 98.

რი გზით გადაეცემოდა. საგვაროვნო სახელები დასტურდება წერილობით წყაროებშიც. იგი, ჩვეულებრივ, მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი. მაგ.: ბაღვაშები (არგვეთის ძველი მთავრები), დადიანები (ოდიშის მთავრები), ვარდანისძენი (სვანეთის ერისთავები), მუხრან-ბატონები (ბაგრატიონთა შტო). საგვარეულოს ცალკეული წარმომადგენელი მხ. რიცხვის ფორმით არის მოცემული: ლიპარიტ ბაღვაში, კახაბერ ვარდანისძე და სხვ. პ. ცხადაია სამეფო დინასტიის სახელსაც (მაგ., ბაგრატიონი) ჯგუფურ ანთროპონიმთა რიგში განიხილავს¹.

მესამე თავის II პარაგრაფში ცალკე ქვეთავად არის წარმოდგენილი „პირსახელი“. პირსახელი/პირის სახელის პიროვნული სახელი ერთი კონკრეტული პირის ინდივიდუალიზაციას (გამოყოფა-დაკონკრეტებას) და იდენტიფიკაციას ემსახურება. პირსახელი ადამიანისათვის დაბადებისას დარქმეული ან მოწიფულობისას თავად ამორჩეული (იშვიათ შემთხვევაში) ოფიციალური სახელი ან მისი ვარიანტია, რაც დოკუმენტირებული და დაკანონებულია პირადობის მოწმობითა თუ პასპორტით. მაშასადამე, პირსახელი, იურიდიული სტატუსის მქონე ინდივიდუალური სახელია. იგი შეიძლება იყოს არაოფიციალურიც. მაგალითად, დასძენს პაატა ცხადაია, პირი ოჯახში, მეგობართა წრესა თუ სამსახურში შეიძლება ცნობილი იყოს **ბენიას** სახელით, მაგრამ არავინ იცოდეს ის, რომ პასპორტით მისი სახელი **ბენიამინია**. არაოფიციალურად შეიძლება ჩაითვალოს პირსახელის ნებისმიერი ვარიანტი, მეტსახელი, ე. წ. სულისა და ხატის სახელები, მეორე (მესამე, მეოთხე) სახელი. ოფიციალური საკუთარი სახელი შეიძლება იყოს დიალექტური თუ შემოკლებული ფორმით წარმოდგენილი.

ოფიციალურ პირსახელთა არაოფიციალური ვარიანტები სხვადასხვაგვარია წარმოქმნის გზების, მათში ნაგულისხმევი სუბიექტური შეფასებისა და სუფიქსაციის თვალსაზრისით. მათგან ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის დემინუტივები. **დემინუტივი/დემინუტიური სახელი** კვალიტატივის (სუბიექტური შეფასების შემცველი პიროვნული სახელის) სახეობაა. ლათ. deminuo

¹იქვე, 98-99.

იგივეა, რაც „შემცირება, დაკნინება, დაპატარავება“. დემინუტიური პირსახელი ოფიციალური პირსახელის კნინობით-მოფერებითი ვარიანტია. იგი წარმოიქმნება დემინუტიური (კნინობითობის) სუფიქსებით. ქართულში, – შენიშნავს მკვლევარი, – საზოგადო და საკუთარ კნინობით სახელთა მაწარმოებელი ფორმანტებია: -ა, -აკ(ო), -იკ(ო), -ან(ა), -ინ(ა), -უნ(ა), -ატ(ა), -იტ(ა), -უტ-ა, -ალ(ა), -ილ(ა), -ულ(ა), -ელ(ა) და სხვ. დემინუტიური სახელებია: სოფიკო, ვალიკო, მარიკა, დათუკა, ავთო, კაკო და ა. შ.¹. მეგრულში ჰიპოკორისტიკული სახელის წარმომქმნელი აფიქსებიდან განსაკუთრებით გავრცელებულია **-ია**: კოჭო → კოჭოია, მათე → მათეია, ჯარუ → ჯარუია...

ოფიციალურ პირსახელთა ვარიანტების მეორე ჯგუფი, პ. ცხადაიას ცნობით, ევროპულ და რუსულ ონომასტიკაში **ჰიპოკორისტიკულ სახელად** იწოდება (ბერძნ. ჰიპოკორისტიკა „კნინობითობა ან მოფერებითობა“). სათანადო ლექსიკონებში ამ ტერმინის ორგვარი მნიშვნელობაა მოცემული: 1. პიროვნული სახელი, რომელიც წარმოქმნილია ფუძის შემოკლებით, ან ორფუძიანი სახელისათვის ერთი ფუძის მოკვეცით. მაგ.: ვალენტინე → ვალია; ნიკოლოზი → ნიკო, კოლია; ალექსანდრე → ალე, სანდრო → სანდრიკა; ავთანდილი → ავთო, თანდილა; ანდრონიკე → ანდრო, ნიკე; ივანე → ვანო, ვანა; ბეჟანი → ჟანი; 2. იგივეა, რაც დემინუტიური, ე. ი. კნინობით-მოფერებითი სახელი, რომელიც შეიძლება მიღებული იყოს ფუძის შემოკლებითაც და კნინობითობის სუფიქსის დართვითაც². უკანასკნელი მნიშვნელობით ეს ტერმინი, როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, განსაკუთრებით გავრცელებულია მოლდავურ ონომასტიკაში³.

¹ იხ. **შ. აფრიდონიძე**, ანთროპონიმთა ქართული ეროვნული ფორმები, ქსკს, IV, თბ., 1981, 56; **ალ. ღლონტი**, კნინობით-მოფერებითი ელემენტები ქართველურ ანთროპონიმიაში. კრ. „აღმოსავლური ფილოლოგია“, V, თბ., 1983; **Карпенко А. Ю.**, Деминутивное антропонимическое словообразование, Вопросы ономастики, Свердловск, 1980.

² პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 100; **მისივე**, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 136-137.

³ იხ. **Косничану М.**, Из истории молдовской антропонимии. Историческая ономастика, М., 1977.

გვხვდება კონტრაქციის, ანუ საკუთარი სახელის შიგნითა ელემენტის ამოვარდნის გზით მიღებული ჰიპოკორისტული პირსახელებიც. კონტრაპირებულია როსტან ← როსტევან, კოტე ← კონსტანტინე, დათო ← დავით და სხვ.¹

ჰიპოკორისტული სახელის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში (ნ. პოდოლსკაია, პ. ცხადაია, ა. სუპერანსკაია, თ. ახმანოვა) არსებული განსაზღვრების ანალიზი მოცემულია ქ. გოდერძიშვილის ნაშრომში. მკვლევარი მიუთითებს, რომ ამ ორ ტერმინთან (ჰიპოკორისტისა და დემინუტივი) დაკავშირებით ონომასტიკურ ლიტერატურაში აშკარად შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა. წარმოდგენილი ბუნდოვანი ვითარების ფონზე მკვლევარი შეეცადა იმის გარკვევას, სიტყვა „ჰიპოკორისტისა“ თავისი სემანტიკური არსით თუ რამდენად გამოხატავს სახელთა შემოკლების პროცესს, ან რამდენად დასაშვებია ჰიპოკორისტისა და დემინუტივის წარმოდგენა ერთი ოდენობის აღმნიშვნელ სინონიმებად და რამდენად შეესატყვისება ეს ტერმინები მათ მიერ ნაგულისხმებ ონომასტიკურ მოვლენებს. ქ. გოდერძიშვილის დასკვნით, თუკი ტერმინ ჰიპოკორისტისას მხოლოდ მოფერებით ელფერს მივანიჭებთ, ამით სრულად არ იკვეთება ტერმინის ემოციური დატვირთვის ასპექტი. ამასთანავე, ჰიპოკორისტისა არ გამოდგება არც დემინუტივის სინონიმად. დაზუსტებას საჭიროებს ტერმინ **დემინუტივის** დეფინიცია და არსი, რომელშიც ექცევა დენოტაციის მიმართ სუბიექტური განწყობის გამოხატვის ორი განსხვავებული ფორმა – მოფერებითობა და კინობითობა. საჭიროა ტერმინ დემინუტივის (ე. წ. კინობითობა-მოფერებითობის) ცნების დაფიქროება².

პ. ცხადაიას თქმით, ოფიციალური პირსახელის კინობით-მოფერებითი ვარიანტს **დემინუტივი** (ლათ. *deminuo* „შემცირება, დაკნინება, დაპატარავება“), ანუ დემინუტიური **პირსახელი** ეწოდება. იგი წარმოიქმნება დემინუტიური (კინობითობის) სუფიქსე-

¹ პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 58-59; მისივე, ონომასტიკის შესავალი, 100-101.

² ქ. გოდერძიშვილი, ქართულური ანთროპონიმის ძირითადი საკითხები, თბ., 2012, 100-105; მისივე, -ია, -იე სუფიქსთა ჰიპოკორისტული დისტრბუცია ანთროპონიმებში. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, I, თბ., 1998, 110-117.

ბით: -ა, -აკ(ო), იკ(ო), -ან(ა), -ინ(ა), -უნ(ა), -ატ(ა), -იტ(ა), -უტ(ა), -ალ(ა), -ილ(ა), -ულ(ა), -ელ(ა) და სხვ.¹

ქ. გოდერძიშვილის მოსაზრებით, ტერმინ **დემინუტივიდან** უნდა გამოირიცხოს მოფერუბითობის გამომხატველობა. მკვლევარი შეეცადა, ერთმანეთისგან გაემიჯნა დამცირებითი და კნინობითი სახელები. ანთროპონიმის დამცირებითი ფორმა მან კვალიტატივის იმ სახეობაში შეიყვანა, რასაც **პეიორატივი** ჰქვია, ხოლო კნინობითი ელფერის გამომხატველ ონიმებს დემინუტივები უწოდა. ქ. გოდერძიშვილი შენიშნავს, რომ პ. ცხადაიას ლექსიკონში ტერმინ პეიორატივის გამომხატველი ქართული მასალა დამოწმებული არ არის. „ვფიქრობთ, სახელთა ქართულენოვანი ვარიანტები ვანუა/მარუა ტიპისა, რომელიც დენოტატისადმი დამცირებასა და უპატივცემლობაზე მიგვანიშნებს, სწორედ პეიორატიულ სახელებად უნდა ჩაითვალოს. მათვე განეკუთვნება ეთერა/ქეთევანა/დარეჯანა ტიპის ანთროპონიმები“². მკვლევარი შეეცადა ერთმანეთისგან გაემიჯნა სამი ცნება: ალერსობითი, დამცირებითი და კნინობითი და სამივე წარმოედგინა სათანადო ტერმინებით. დაცინვითს პეიორატიული სახელები უწოდა, ხოლო კნინობითს – დემინუტიური სახელები. მესამე ჯგუფს ალერსობითი სახელები შეადგენს³.

ოფიციალური პირსახელების სუბიექტური შეფასების შემცველი ვარიანტები ზოგ შემთხვევაში ოფიციალურადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მსჯელობაა მოცემული პ. ცხადაიას ნაშრომში: „ქართულ ენასა და დიალექტებში სუბიექტური შეფასების შემცველი ვარიანტები ოფიციალური პირსახელებისა კნინობით-მოფერუბითი ხასიათისაა, მაგრამ შეფასების სუბიექტურობა ვლინდება კონტექსტის მიხედვით და არ არის დამოკიდებული სუფიქსზე. მაგალითად, მავანისათვის ვერიკო, სოფიკო შეიძლება იყოს ოფიციალური ვერა, სოფიო

¹იქვე, 100.

²ქ. გოდერძიშვილი, ქართველური ანთროპონიმის ძირითადი საკითხები, 2012, 111.

³იქვე, 111.

პირსახელების ვარიანტი, მაგრამ ისინი ოფიციალურია ვერიკო ანჯაფარიძისა და სოფიკო ჭიაურელისათვის“¹.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ საზოგადო სახელის ერთ-ერთი თვისებაა დენოტაციასთან ერთად დენოტატის (ობიექტის) შესახებ დამატებითი ინფორმაციის გადმოცემა, მისი დახასიათება რაიმე კუთხით. ონომატოლოგიაში ამ შინაარსით ტერმინი კონოტაცია გამოიყენება. საზოგადო სახელი, საკუთარი სახელისაგან განსხვავებით, **კონოტაციურია**². პ. ცხადაია მართებულად მიიჩნევს მთელი ონიმური ფონდის, მათ შორის ანთროპონიმთა, ორ – **კონოტაციურ** (დამატებითი ინფორმაციის შემცველ) და **ოდენ დენოტაციურ** (საგნიფიკაციურ) ჯგუფებად დაყოფას. მაშასადამე, ერთგვარი კონოტაციის შემცველია ის ონიმებიც, რომელთაც აპელატივთან სემანტიკური კავშირი არ გაუწყვეტიათ და, ამდენად, შეიცავენ ობიექტის დახასიათებასაც³.

საზოგადო სახელი/აპელატივი ცნების გამომხატველია, რადგან იგი საგანთა კლასს მიემართება, ხოლო ანთროპონიმი მიემართება მხოლოდ კონკრეტულ საგანს – ადამიანს. მიუხედავად ამისა, ონომატოლოგთა ერთი ნაწილის აზრით, ნებისმიერი ანთროპონიმი გვარეობითი ცნების გამომხატველიცაა, რადგან მიუთითებს სახელდებულის სქესზე. ქართულში სქესის გარჩევა მამისახელობის მიხედვით შეუძლებელია, ხოლო გვარსახელი ქალისა თუ მამაკაცისა ერთნაირია. მაგრამ პირსახელთა ფონდი საკმაოდ მკაცრად არის გადანაწილებული. მაგალითად, თუკი პიროვნებებს ჰქვიათ მანანა, ცილა, თეკლა, თამუნა..., ჩვენთვის გასაგებია, რომ ამ სახელებს ქალები ატარებენ, ხოლო ზურაბის, მირიანის, ონისეს, პეტრეს სახელის მატარებელი მხოლოდ მამაკაცები შეიძლება იყონ. პ. ცხადაია გამონაკლის შემთხვევად ასახელებს რამდენიმე ფართოდ გავრცელებულ პირსახელს, მაგალი-

¹იქვე, 101; მსჯელობისათვის იხ. **მისივე**, ტერმინ „დემინუტივის“ დაზუსტებისათვის (კნინობით-მოფერებითი და კნინობით-დამცირებითი ანთროპონიმები). კრ. „ქართულური მექვიდრეობა“, I, ქუთ., 1996, 83-86.

²**Суперанская А. В.**, Общая теория имени собственного. М., 1973, 56-68.

³**პ. ცხადაია**, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 58.

თად, გულიკოს და სულიკოს. ეს ის შემთხვევებია, როცა ამ სახელებს ქალებიც ატარებენ და მამაკაცებიც¹.

მკვლევარი საინტერესოდ წარმართავს მსჯელობას თანამედროვე მსოფლიოში ახალშობილისათვის სახელის დარქმევის მოტივთან დაკავშირებით და აღნიშნავს, თუკი არაბები, სპარსელები, ტაჯიკები და თურქები ადამიანს ისეთ სახელებს არქმევდნენ, რომ ავი სულები, ბოროტი ძალები ახლოს არ გაკარებოდნენ, თანამედროვე მსოფლიოში ითვალისწინებენ დაბადების დღეს ან თვეს (საქართველოში: შაბათა, კვირია... ობიშხია (მეგრ. პარასკევა)... იანვარა, მარტია, მისია); დღესასწაულს, რომელსაც დაემთხვა ბავშვის დაბადება (მაჰმადიანურ სამყაროში: ნაერუხოზას, ე. ი. ახალ წელს, დაბადებულისთვის ნაერუხი დაურქმევიათ, ხოლო რამაზანობას, ე. ი. მარხვის პერიოდში დაბადებულისთვის – რამაზანი; ქართულში: აღდგომელა, თანაფია ერქმევა აღდგომას დაბადებულს (თანაფა მეგრ. „აღდგომას“ ნიშნავს); ამის გარდა, ახალდაბადებულის სახელდებისას ითვალისწინებენ **დაბადების რიგს** (მაგ.: ირანში პირველ შვილს ანდრანიკ „პირმშო“ ჰქვია, არაბეთში მეოთხე შვილს – რაბია „მეოთხე“...); **დაბადების ადგილს** (ძვ. საქართველოში: თორელი ← თორი, ბირთველი ← ბირთვისი); ეპონიმის სახელს (ალექსი ალექსიშვილი, რატი რატიანი...); **წინაპართა პატივისცემა-მემკვიდრეობითობას** (საქართველოში ხშირია ბაბუა-ბებების, იშვიათად დედ-მამის სახელის დარქმევა ახალშობილისათვის); **მოდას, გემოვნებას, უცხოური სახელით გატაცებას, იდეოლოგიას, ედერადობას, შემთხვევითობას**...².

სულის სახელი აპოტროპეული სახელის (ბერძნ. აპოტროპეა „ხიფათის ამრიდებელი, უბედურების ამცილებელი“) ერთ-ერთი სახეობაა. სულის სახელს ეძახიან მიცვალებული წინაპრის სახელს, რომელსაც ბავშვს გარკვეული რელიგიური მოსაზრებით არქმევენ. სულის სახელი დაკავშირებულია ანიმისტურ რწმენასთან, რომლის მიხედვითაც თითქოს მიცვალებულის სული მოითხოვს ახალშობილისთვის რომელიმე მიცვალებულის სახელის დარქმევას. სულის სახელს ბავშვისთვის მესულთანე ან მკითხავი

¹იქვე, 104.

²იქვე, 106.

არჩევდა. პიროვნება ამ სახელით შინაურ გარემოცვაში იყო ცნობილი, ოფიციალურად კი მას შეიძლება სხვა სახელი რქმეოდა. სულის სახელები დამახასიათებელი იყო ხევესურეთისათვის¹.

ქარველური ანთროპონიმის ცნობილი მკვლევარი ქ. გოდერძიშვილი, განიხილავს რა სახელდების მისტიკურ ასპექტს ისტორიულ ჭრილში, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისტიკა საფუძვლად ედებოდა ინდივიდის სახელს, სახელი კი – მის ცხოვრებასა და მოქმედებას. თქმულის საილუსტრაციოდ მას ბ. ნიკონოვის წიგნიდან მოხმობილი აქვს ახალ გვინეაში მცხოვრებ პაპუასებს შორის გავრცელებული სახელის დარქმევის საინტერესო და უჩვეულო წესი. პაპუასები მიმართავდნენ „სახელებზე ნადირობას“: ისინი თავს ესხმოდნენ და კლავდნენ მეზობელი ტომის მამაკაცებს და სიკვდილის წინ მისგან ითხოვდნენ... სახელს! სიკვდილმისჯილს კი ასე მიმართავდნენ – სახელი! თქვი შენი სახელი!². ამრიგად, დასძენს ქ. გოდერძიშვილი, ადამიანისათვის ამქვეყნიური მყოფობის პერიოდში სახელი ქრონოლოგიურად უპირველესი ნიშანი-ატრიბუტია, რომელსაც მაგიურ ძალას ანიჭებდნენ, რათა ბავშვი ავ სულს არ გაეთვალა. სახელი იყო ერთგვარი სადემარკაციო ხაზი ავ ძალასა და ბავშვს შორის³.

პ. ცხადიას წიგნში აპოტროპეულ სახელთა რიგშია განხილული **ხატის სახელიც**, რომელსაც ბავშვს ასევე გარკვეული რელიგიური მოსაზრებით შეარქმევდნენ. მაგალითად, ფშავ-ხევესურეთში ყველაზე გავრცელებული ხატის სახელები – აშექალი, მხექალი, სამძივარი, გიორგი, ბავშვის სახელებადაც გვხვდება⁴.

მონოთეიზმზე (ერთღმერთიანობაზე) გადასვლის შემდეგ ახალმა რელიგიამ ბრძოლა გამოუცხადა ადამიანის სულში მანამდე არსებულ ღვთაებებს, კულტებს, პირსახელებსა და სახელდების ტრადიციასაც. ამის მიხედვით, მიუთითებს პ. ცხადია,

¹ პ. ცხადია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 107; მისივე, ონომასტიკის შესავალი, 109; ა. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, 155-156.

² ქ. გოდერძიშვილი, ქართველური ანთროპონიმის ძირითადი საკითხები, 16; მსჯელობისათვის იხ. **Никонов В. А.**, Задачи и методы антропонимики, Личные имена в прошлом, настоящем, будущем. М., 1970, 33.

³ იქვე, 19.

⁴ იქვე, 109.

ონომასტიკაში ანთროპონიმთა ორი ჯგუფი გამოიყოფა – **წარმართული** (წინარექრისტიანული, ქრისტიანობამდელი) და **ქრისტიანული** (კალენდარული) სახელი¹. ნაშრომში ლაკონურად არის წარმოდგენილი რამდენიმე ტერმინის, კერძოდ, წარმართული პირსახელის, კანონიკური სახელის, კალენდარული სახელის, საშინაო სახელის, არაკალენდარული სახელის, დინასტიური პიროვნული სახელის, საოჯახო პირსახელის, გადაბმული სახელების, ევფონიური (ბერძნ. ეუფონია „კეთილხმოვანება“) პირსახელების, ინდიგენური სახელების, პატრონიმის, ანდრონიმის, საეკლესიო, საერო და საბერო სახელის... სალექსიკონო თუ საენციკლოპედიო განმარტებანი².

ქ. გოდერძიშვილი კალენდარულ სახელთა რამდენიმე ჯგუფს გამოყოფს და შენიშნავს, რომ მსოფლიო ქრისტიანული კალენდარული სისტემა მოიცავს ბერძნულიდან, ებრაულიდან და ლათინურიდან ნასესხებ სახელებს, რომელთა დიდი ნაწილი ქართულ სინამდვილეს გაუთავისებია. კალენდარულ სახელთა სიაში შეტანილია ქართული წარმართული ეპოქის წიაღში ჩასახული უძველესი წმინდა ქართული ონიმები, ე. წ. ინდიგენური სახელები. მაგ., აფთარი, გვრიტა, ქურციკა, ხვაშაგი, კრავაი, ქაბატო, ცისკარა, სიხარულა, გამახარე, გამიხარდა, უმანკო, ლელა, ლომია, ყაყიტა, მამისა, მერაბი, ლერწამისა, მონავარდისა, პატარქალი, გულმართლისა, გულნაზი, მამისიმედი, მამისთვალი, ჭიჭკიტა, მეტია და სხვ. მკვლევარი ცალკე გამოყოფს ქართულ კანონიკურ სახელებად მიჩნეულ, წარმოქმნილ და თხზულ სახელებს, რომლებშიც ფიგურირებს წარმართული ქართული ღვთაების სახელი **მზე**: მზეხა, მზეთვალა, მზექალა, მზეხათუნი, ხვარამზე, მამამზე...³.

პ. ცხადაია საკუთარი სახელის რამდენიმე კატეგორიის არსებობაზეც ამახვილებს ყურადღებას, რაც სპეციალისტთა მიერ აღსანიშნი ობიექტის რეალურობა-არარეალურობისა თუ ლიტერატურულურობის მიხედვით გამოიყოფა. ესენია: **რეალონიმი** – ნებისმიერ ონიმურ სივრცეში რეალურად არსებული ობიექტის სა-

¹იქვე, 109.

²იქვე, 110-119.

³ქ. გოდერძიშვილი, ქართველურიანთროპონიმიკისძირითადისაკითხები, 28-29, 31.

კუთარი სახელი (მაგ.: მცხეთა, ალგეთი, ვახტანგ გორგასალი, სიმონ ჩიქოვანი, პლანეტა მარსი, ცხენი ბუცუფალი...), **მითონიმი** – მოგონილი, არარეალური, სულიერი თუ უსულო ობიექტის საკუთარი სახელი (მაგ.: ზევსი, ჰერმესი, აფროდიტე, აპოლონი, არმაზი, ბოჩი, კოპალა, იახსარი, ამირანი, ბადრი, უსუპი, ყამარი, ბაყბაყდევნი, დალი, აბესალომი, ეთერი, ასფურცელა, ნაცარქექია, ხუთკუნჭულა, სიზმარა, მუჭანახევარა...), **პოეტონიმი** – მხატვრულ ლიტერატურაში სტილისტიკური, სოციალური და იდეოლოგიური ფუნქციით დადასტურებული საკუთარი სახელი). ანთროპონიმი გულისხმობს ყოფა-ცხოვრებაში რეალურად არსებული ადამიანის პიროვნულ სახელს, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ლიტერატურული ან დიალექტური (გრიგოლ ორბელიანი, ნიკო ნიკოლაძე, მელიტონ ქანთარია, კოტე მახარაძე...). **პოეტიკურ ანთროპონიმს/პერსონიმს** უწოდებენ მხატვრულ ნაწარმოებში დადასტურებულ ნებისმიერ პირსახელს, შერქმეულ სახელს, ზედწოდებას, ანთროპონიმულ ფორმულას (მაგ.: ჯაყო, კვაჭი კვაჭანტირაძე, სპირიდონ მცირიშვილი...). ამ ტერმინებზეც მკვლევარი საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს!

3. ცხადიათ გამოკვლევაში სათანადო ადგილი ეთმობა პოეტიკური ანთროპონიმიკის ანალიზს. მკვლევარი შეისწავლის პოეტიკურ ანთროპონიმთა გამოყენებას ლიტერატურაში. ზოგჯერ ამავე მნიშვნელობით იყენებენ ტერმინებს – „ლიტერატურული ანთროპონიმიკა“, „სტილისტიკური ანთროპონიმიკა“. ავტორის ერთ-ერთი დებულება ის არის, რომ მხატვრულ ლიტერატურაში პოეტონიმები მჭიდროდ უკავშირდება ეპოქას, ლიტერატურულ მიმდინარეობას, ავტორის სტილს. პიროვნული ანთროპონიმიკონის ან მსოფლიოს ონიმური ფონდის, როგორც წყაროს, გარდა, ავტორი თვითონ ქმნის პერსონიმს. მკვლევარი იმოწმებს ვ. ბუდინსკის თვალსაზრისს, რომ რეალისტურ ნაწარმოებში პირსახელები უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. სინამდვილეში პერსონაჟთა მოქმედების დრო და სივრცე იგულისხმება. „ამასთანავე, ყოველი პერსონიმი ტიპური უნდა იყოს სათანადო ეპოქისა და სოციალური წოდებისათვის. ამის კლასიკური მაგალითია კონ-

¹იქვე, 120-121.

სტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, „მთვარის მოტაცება“ და სხვ. იუმორისტულ ნაწარმოებებში განსაკუთრებით ჭარბობს ე. წ. „მოლაპარაკე“ პირსახელები და გვარები. ამგვარი პერსონაჟები ჩვეულებრივი იყო XIX ს. ხალხოსან მწერალთა ნაწარმოებებში... საერთოდ, პერსონაჟის სახე და სახელი ერთდროულად იქმნება მწერლის შემოქმედებით სქურაში. მართალია, პერსონაჟი გამოგონილია ავტორის მიერ, მაგრამ მისი სახელი აღინიშნება როგორც პოეტონიმი და არა როგორც „მოგონილი სახელი“¹.

პირის საკუთარ სახელთა გამოყენების თვალსაზრისით ქ. გოდერძიშვილი ანალიზებს პერსონაჟთა საკუთარ სახელებს მხატვრულ თხზულებათა სამყაროში. „საკუთარ სახელთა არსი განსაკუთრებით ხელშესახებად იგრძნობა მხატვრულ თხზულებებში, სადაც აშკარად ჩანს, რომ საკუთარი სახელი მნიშვნელოვანი დეტალია მხატვრული სახის სრულყოფისათვის. ამ საკითხზე თვით მწერალთა კომენტარებიც არა იშვიათად გვხვდება. ემილ ზოლას სიტყვებით, ნაწარმოებში სახელი სულს უდგამს პერსონაჟს“². სახელი, როგორც ენის გარკვეული ფენომენი, აღნიშნავს მკვლევარი, მწერლის ნების გარეშე არსებობს, მაგრამ სახელთა შერჩევა ხდება მწერლის ნებით. რამდენადაც სახელის შერჩევას ხშირად თხზულების მხატვრულ-ესთეტიკურ სრულყოფაში გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მხატვრული ტიპის შექმნისას მწერალი გააზრებულად თავად არჩევს პერსონიმსენის საუნჯიდან, როგორც მზა ფორმულას და სიტყვიერ მასალას და სახელითაც განგვაწყობს მის მიერ შექმნილი ტიპის მიმართ³. „გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ მინდია ვერ იქნებოდა მინდია, ვაჟას მისთვის გიორგი ან ივანე რომ ეწოდებინა, თუმცა გიორგი მეტად სამახსოვრო პერსონაჟია ილიას უკვდავი „ოთარანთ ქვრივისა“, ხოლო ივანე – ე. ნინოშვილის ერთი მშვენიერი მოთხრობისა („პალიასტომის ტბა“). თავის მხრივ, „ოთარანთ ქვრივისა“ და „პალიასტომის ტბის“ პერსონაჟი ვერ იქნებოდა მინდია. მინდია უნდა ერქვას სწორედ „გველისმჭამელის“ პერსონ-

¹ ვ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 122.

² ქ. გოდერძიშვილი, ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები, 173-174.

³ იქვე, 174-175.

ნაუს. სახელი თითქოს რაღაც შინაგანი აუცილებლობითაა ნაკარნახევი და ვაჟამაც მწერლური ინტუიციით იგრძნო ეს აუცილებლობა“¹.

პოეტიკურიონიმის/პოეტონიმისერთ-ერთისახეობის – „მოლაპარაკე“ ანთროპონიმისნიმუშადპ. ცხადაიასახელებსეგნატენინოშივილისმოთხრობათაპერსონაჟებს: მუნჯაძეს, უიშივლს, დროიძეს, ძალაძეს, მცირიშივილს, მკლავაძესდასხვ. თითოეული მათგანი პერსონაჟთა ძირითადი ნიშან-თვისებების გამომხატველია².

პ. ცხადაია ყურადღებას მიაპყრობს ანთროპონიმიკაში მიღებული პირსახელთა დაყოფას ორ ჯგუფად: **რარიტეტული** (ამ ენობრივ გარემოში იშვიათი) და **ხშირი** (ფართოდ გავრცელებული, გარკვეულ დროსა და სივრცეში მრავალგზის განმეორებადი) პირსახელები. რარიტეტული გულისხმობს იშვიათ პიროვნულ სახელს. საქართველოში ხშირი პიროვნული, ანუ განსაკუთრებით გავრცელებული სახელებია გიორგი, დავითი, ირაკლი, შალვა, გურამი... თამარი, ნინო, ქეთევანი, ნათელა, მანანა, მზია...³. საინტერესოა შემდეგი ცნობაც: საქართველოში ყველაზე გავრცელებული 20 სახელიდან (გიორგი, თამარი, ნინო, დავითი, ზურაბი, მაია, ნანა, მარიამი, ნათელა, ალექსანდრე, ლევანი, ეთერი, მანანა, ქეთევანი, ანა, მიზეილი, ნათია, თამაზი, ირაკლი) მხოლოდ ნათელა და მისი ვარიანტი ნათიაა ქართული, თანაც – წარმართობისდროინდელი⁴.

პირსახელებზე საუბრისას პ. ცხადაია აანალიზებს თანასახელიანობას ანუ სეხნასახელიანობას და შენიშნავს, რომ თუკი ორი ან მეტი ადამიანი ზუსტად ერთნაირი სახელის მატარებელია, ისინი ერთმანეთის მიმართ სეხნიები, ანუ თანამოსახელებები, სახელის მოზიარენი არიან. თანასახელიანობის შემთხვევაში პირის იდენტიფიკაციას, ჩვეულებრივ, მართული ან შეთანხმებული მსაზღვრელის სახით ახდენენ. მაგ.: ევრემის სახელით ცნობილი ორი სეხნია სასულიერო მოღვაწის გამოსარჩევად იყენებენ ეპითეტებს – დიდს და მცირეს (ევრემ დიდი, ევრემ მცირე). „კი-

¹იქვე, 178-179.

²პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 123.

³ფ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ?, თბ., 1971, 24.

⁴პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 124.

დეკ ერთი გარემოება: სახელის და გვარის დამთხვევის გამო სრულიად უდანაშაულო ადამიანი ძალზე უხერხულ მდგომარეობაშიც ჩავარდნილა – დაუპატიმრებით და თვეობით მჯდარა ციხეში თანამოსახელე დამნაშავის გამო¹.

პირსახელთა გრამატიკულ კატეგორიებთან დაკავშირებით მკვლევრის დასკვნა ასეთია: ქართულში პირსახელებს მრავლობითი რიცხვის ფორმა არ მოეპოვებათ და წოდებით ბრუნვაში სახელობითი ბრუნვის ფორმით არიან წარმოდგენილნი. თუმცა ძველ ქართულში გვხვდება იოანენი, სვიმეონნი, მარიამნი... გრიგოლო, ბასილო, ასმათო... ფორმები².

ეთერო, დავითო, თაფლო, ერასტო, გელაო ტიპისა და მამაოდედაო ფორმებში -ო სუფიქსის კვალიფიკაციაზე საინტერესო მსჯელობაა მოცემული ქ. გოდერძიშვილის ნაშრომში. კვლევარი არკვევს –ო სუფიქსის ფუნქციას ანთროპონიმებში და გამოყოფს საკუთარ სახელთა ამგვარი წარმოების სამ შემთხვევას: -ო შემოკლებულ ანთროპონიმებში, -ო პირველადი წარმოების (მაგრამ მოკლე) ანთროპონიმებში და -ო პირველადი წარმოების (სამ- და მეტმარცვლიან) ანთროპონიმებში³.

პ. ცხადაია პირსახელების ფორმის საილუსტრაციოდ იმომეებს აკაკი შანიძის მიერ დასახელებულ მაგალითებს: აკაკიები, ბაკაკიები, ასმათები, ლუარსაბები, დარეჯანები, დავითები⁴. ამ შემთხვევაში პირსახელებს საზოგადო სახელის ფუნქცია აქვთ მიღებული. გიორგი ლეონიძის ფრაზაში – „ჩაღაგდენ ყველა ჩინგისხანები“, ჩინგისხანი, ტარიელისა და ლუარსაბის მსგავსად, გააპელატივებული საკუთარი სახელია და ამიტომაც მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი⁵.

ცალკე ქვეთავში მოცემულია მკვლევრის ვრცელი მსჯელობა გვარსახელთან დაკავშირებით. „დღევანდელი კაცობრიობისათვის გვარი, როგორც სოციალურ-სამართლებრივი კატეგორია, იმდ-

¹იქვე, 125.

²იქვე, 125; მსჯელობისათვის იხ. **ზ. სარჯველაძე**, ძველი ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელობა ქართველური ანთროპონიმისა და ტოპონიმის შესწავლისათვის. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბ., 1982, 299-303.

³ქ. **გოდერძიშვილი**, ქართველური ანთროპონიმის ძირითადი საკითხები, 145-159.

⁴იხ. ა. **შანიძე**, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, 78-79.

⁵იქვე, 125-126.

ნად ბუნებრივი და აუცილებელი მოთხოვნილებაა, რომ საკვირველიცაა, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები მის გარეშე¹. თუკი თავდაპირველად პიროვნული სახელი საკმარისი იყო პიროვნების სახელდებისა და სხვათაგან გამორჩევისა და იდენტიფიკაციისათვის, მოგვიანებით, სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე, დამატებითი სახელი, რომლითაც შესაძლებელი გახდა პიროვნების ვინაობის დაზუსტება და ერთი სახელის მქონე პირების – სენიების გარჩევა (ზ. ჭუმბურიძე).

გვარი/გვარსახელი ანთროპონიმის სახეობაა. გვარს უწოდებენ ოფიციალურ და მემკვიდრეობით საოჯახო სახელწოდებას, რომელიც ერთვის პიროვნულ სახელს. ისტორიულად პიროვნული სახელი პირველადია, გვარსახელი – მეორეული. მათ სოციალურ-ფუნქციური და სტრუქტურული ხასიათი განასხვავებთ. გვარსახელს იყენებენ ამა თუ იმ პირის დასაკონკრეტებლად და დასაზუსტებლად. „გვარსახელი შეიძლება გადაეცეს ცოლს ქმრისაგან, ან, იშვიათად, ქმარს ცოლისაგან, აგრეთვე შვილად აყვანილს შექენილი მშობლისაგან. შესაძლებელია თავდაპირველი გვარსახელის გამოცვლაც (სხვადასხვა მოტივით)“².

მკვლევარი განმარტავს ანტიკური რომის ანთროპონიმულ ფორმულაში გაერთიანებულ კომპონენტებს: **პრენომენს** (ლათ. praenomen „წინასახელი“), რომელსაც პირველი ადგილი ეკავა, **ნომენს** (ლათ. nomen „სახელი, სახელწოდება, დასახელება“), რაც აღნიშნავს 1. საზოგადო სახელს (სიტყვას ან შესიტყვებას), რომელიც აღნიშნავს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, წარმოების ამა თუ იმ დარგის ტიპურ ობიექტებს; 2. საგვარეულო სახელს, რომელსაც ძველი რომის ანთროპონიმულ ფორმულაში მეორე ადგილი ეკავა (პრენომენი+ნომენი+კოგნომენი+ (ზოგ შემთხვევაში) აგნომენი. მაგ.: ლუციუს კორნელიუს ცინა, დეციმუს ფაბრიუს მაქსიმუს კუნსტატორი), **კოგნომენს** (ლათ. cognomen „თანასახელი“, „სახელის თანმხლები“) – ანტიკური რომის ანთროპონიმულ ფორმულაში მესამე ადგილზე მდგარ ზედწოდებას, საოჯახო შერქმეულ სახელს, საოჯახო მეტსახელს (მაგ.: მარკუს

¹იქვე, 126.

²პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 33.

ტულიუს ციცერონი; მარკუსი პირსახელია (ე. ი. პრენომენი), ტულიუსი საგვარეულო სახელია (ნომენი), ხოლო ციცერონი „მეცერცვეს“ ნიშნავს და კოგნომენს, ანუ საოჯახო მეტსახელს წარმოადგენს; **აგნომენი** აღნიშნავს (ლათ. **agnomen** „სახელთანა“, „სახელის შემდგომი“) ინდივიდუალურ მეტსახელს, ზედწოდებას, რომელიც ფაკულტატურად ემატებოდა პიროვნულ სახელს და ანტიკური რომის ანთროპონიმულ ფორმულაში ბოლო ადგილი ეკავა (მაგ.: გაიუს იულიუს კეისარი, სადაც **იულიუსი** ნომენია, **გაიუს** პირსახელია (ე. ი. პრენომენია), ხოლო **კეისარი** თანამდებობის გამომხატველი ზედწოდებაა, ანუ აგნომენია¹).

კითხვაზე – მაინც როდის და სად წარმოიშვა გვარსახელი დღევანდელი გაგებით? – პ. ცხადია პასუხობს: ქართველებს გვარი, როგორც საოჯახო მემკვიდრეობითი სახელი, იტალიელებზე სამი საუკუნის ადრე (VIII ს.) მაინც მოეპოვებოდათ, ხოლო IX-X საუკუნეების საეკლესიო ჩანაწერებში დაფიქსირებულია სამწვეროვანი ანთროპონიმული ფორმულა: „ერისთავთ ერისთავი იოანე, ძე ბაკურ ყანჩაველისა“².

მაინც რა არის გვარი? კითხვაზე პასუხის გასაცემად პ. ცხადია მოიხმობს ანთროპონიმული ტერმინის რამდენიმე განმარტებას და გვთავაზობს გვარსახელის საკუთარ დეფინიციას: „გვარსახელი არის ერთი წინაპრის შთამომავლათა გამაერთიანებელი ან ქორწინებით მიღებული მემკვიდრეობითი სახელი, რომელსაც ოფიციალურ-სამართლებრივი სტატუსი აქვს მინიჭებული“³.

გ. ხორნაულის მტკიცებით, გვარი, საერთოდ მთელ მსოფლიოში გვიანდელი მოვლენაა. ისტორიული წყაროების მოწმობით საქართველოში გვარი XVI საუკუნიდან იკიდებს ფეხს და მას პირველ რიგში საზოგადოების ზედა ფენა, თავადაზნაურობა იღებდა. დაბალი ფენა კი, რომელიც თავთავის სოფლებს, ოჯახებს იყო მიჯაჭვული, გვარის მიღების ვერავითარ საჭიროებას ვერ ხედავდა. მკვლევრის აზრით, საქართველოში რუსული მართვა-გამგებლობის დამყარების, განსაკუთრებით კი ბატონყმობის გადაგარდნის შემდეგ (1864 წლიდან) დაიწყო დაბალი ფენებისათ-

¹იქვე. 129.

²იქვე. 130.

³იქვე. 132.

ვის გვარების გაფორმება. გ. ხორნაული ფიქრობს, რომ ძველ საქართველოში გვარის არარსებობის პირობებში მემკვიდრეობითობისა და ეგზოგამიის საკითხები კარგად ფორმირებული განუყოფელი ოჯახის („სახლის“) თავკაცის, მამისა თუ მამიშივილობის სახელით რეგულირდებოდა. ფაქტობრივად, „გვართაქმნალობა“ მთაში XX საუკუნეშიც გრძელდებოდა¹. პ. ცხადაია არ იზიარებს ამ თვალსაზრისს და შენიშნავს: „ერთია გვარსახელის, როგორც მემკვიდრეობითი ანთროპონიმიური კატეგორიის ჩამოყალიბება საერთოდ და მეორე – მისი საყოველთაოდ დანერგვა-გავრცელება². მკვლევარი საანალიზოდ იმოწმებს რ. თოფჩიშვილის მიერ მოძიებულ მასალებს, რაც ცხადყოფს შუა საუკუნეების საქართველოში სამწვევროვანი სახელდების სიხშირეს. მაგალითად, XII საუკუნის ერთ საბუთში დასახელებულნი არიან „მიხითარაისძენი დავითის შვილნი ოქრაი, მახარაი, ბრაჭი და იოვანე“, რაც ნიშნავს შემდეგს: ოქრაი, მახარაი, ბრაჭი და იოვანე ძმები არიან, დავითი მათი მამაა, ხოლო მიხითარაისძე მამა-შვილთა გამაერთიანებელი გვარსახელია³. პროფ. ალ. ღლონტი შენიშნავს, რომ ქართული

¹გ. ხორნაული, ქართული გვარების წარმოშობის შესახებ, თბ., 2000, 7, 25-39; იხ. მისივე, ქართული გვარების საკითხი. „ონომასტიკური კრებული“, თბ., 1994, 82-89.

²იქვე, 134.

³იქვე, 135; ასევე 1104-1118 წწ. დაწერილ დავით მეფის სიგელში აღნიშნულია: „გაუშვით ნიანია ნიანისძე, გრიგოლ მახორებლისა შვილი მისითა მამულითა ვეძისხევითა“. ცხადაია, აქ ნიანია პირსახელია. მისი მამაა გრიგოლ მახორებელი, ხოლო ნიანისძე გვარია. პ. ცხადაია სამეგრელოს გვარებისა და გვართა დასახლებისადმი მიძღვნილ ნაშრომში აღნიშნავს, რომ VIII-IX საუკუნეებიდან ჩნდება სამეკვიდრეო სახელი, რასაც დღეს გვარსახელს ვუწოდებთ და აუცილებელი სოციალურ-სამართლებრივი კატეგორიაა. გვარსახელის წარმოშობა-ფუნქციის საკითხებზე მსჯელობისას მკვლევარი დასძენს, რომ ტერმინი „გვარი“ გვარსახელის დღევანდელი გაგებით უკვე გვხვდება XII ს-ის დამლევის ერთ საბუთში, რომლითაც „მღვიმის კრებული“ იოვანე, ნიკოლოზ და ნიანია ტოხაისძეებს მიმართავს – თქვენი გვარის („თქუენისა გვარისა“) კაცი ბახილ ტოხაისძე კვირიკე კახთა მეფის მოძღვარი ყოფილიყო... 1200 წელს ხარაისძეთა მიერ დაწერილ პირობის წიგნში გვხვდება შემდეგი ფრაზები: „ჩუენისა გვარისა“, „გუარმან ჩუენმან“ და სხვ.). იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როდის წარმოიქმნა და დამკვიდრდა ქართველთა შორის გვარსახელის კატეგორია, პ. ცხადაია იმოწმებს ზ. ჭუმბურძინის, ალ. ღლონტისა და რ. თოფჩიშვილის მოსაზრებებს. არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო საბუთების ანალიზის საფუძველზე დადგინდია, რომ საქართველოში გვარსახელების არსებობა დოკუმენტურად დასტურდება VIII-IX სს-დან, თუქცა, რა თქმა უნდა, გვარსახელი ჩვენში ბევრად ადრე უნდა წარმოშობილიყო. იხ. პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, 7, 9-10. მასასადაამე, გ. ხორნაულის დებულება: „რუსეთთან შეერთე-

გვარების ძირითადი ნაწილი საკუთარი სახელებიდან მომდინარეობს ფუძეზე **-ძე**, **-შვილ**-ის ან მათი ეკვივალენტების მიმატებით. მკვლევარს დამოწმებული აქვს ასეთი გვარები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან: იოანე საბანის ძე (VIII ს.), იოანე ქონქოზის ძე, სტეფანე სანანოძის ძე (X ს.), ვანე კარიჭის ძე, იოანე ტარიჭის ძე, სუმბატ დავითის ძე (XI ს.), ნიკოლოზ გულაბერიძე, ჩახრუხაძე (XII ს.), არსენ ბულმაისიძის ძე, აბუსერიძე (XIII ს.); ათონის მონასტრის 1074 წლის აღაპებში მოხსენებული ქველისძე, ქობულისძე, შაბუაძისძე, აბრაჰამისძე, ფოფხაძისძე, კოჯინისძე, ჭილაკისძე, აბულასანისძე, თბილაძისძე... ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან ასეთი წარმოშობის გვაროვნული სახელები გვხვდება „ამირანდარეჯანიანში“: დარეჯანისძე, სავარსამისძე, ქავისძე, დარისპანისძე, ნადიბისძე, იამანისძე, რაბაგისძე, ყამისძე, რაბიშინისძე, ჯიზიშვილი და ა. შ.¹.

მეტად მნიშვნელოვანია პ. ცხადაიას მსჯელობა არაეპონიმური წარმომავლობის გვარსახელებზე. ეპონიმური გვარსახელი გულისხმობს ეპონიმიდან მომდინარე გვარსახელს, რომელიც ქართულსა და ქართველურ ენებში იწარმოება **-ძე**, **-შვილ**, **-ურ**, **-იან**, **-ია**, **-იონ**, **-(ა)ვა**, **-უა** და **სხვ.** სუფიქსებით. „არაეპონიმური წარმომავლობის გვარსახელები, – შენიშნავს მკვლევარი, – სავარაუდოდ, ძალზე ცოტაა. სავარაუდოდ, – ვამბობთ იმიტომ, რომ ყველა გვარის წარმოქმნის ისტორია არ ვიცით (და ხშირად შეუძლებელიცაა ვიცოდეთ)“². ზოგი გადმოცემისა და ზოგიც ჩვენ თვალწინ მომხდარი ფაქტის საფუძველზე მკვლევარს ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალება ეძლევა: 1. ენგურისპირას მცხოვრები ახალგაზრდა კაცისა და მისი ცოლ-შვილის ოფიციალურად შეცვლილი გვარი **ენგურელი**, რა თქმა უნდა, არაა ეპონიმური. მისი შვილებისათვის ეპონიმური იქნებოდა „ენგურელიშ-

ბის შემდეგ (1801 წლიდან)... გვარი, ჩანს, აუცილებლობად გამოცხადდა“ საქართველოში (გ. ხორნაული, ქართული გვარების საკითხი, „ონომასტიკური კრებული“, 1994, 85), მკვლევარს შემდეგნაირად ესმის: „რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებულმა სხვადასხვა ხასიათის აღწერებმა პიროვნების სახელებების სამწვერიანი მოდელი სავალდებულო გახადა იმათთვისაც, ვისაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა დოკუმენტირებული გვარსახელი“. იქვე, 10.

¹აღ. დლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964, 126-127.

²იქვე, 138.

ვილი“; 2. გადმოცემით, გვართა აღწერისას, რაც საუკუნის წინათ მოხდა, ერთ სამურზაყანოელ გლეხს გვარი არ ჰქონია თუ ვერ გაუხსენებია, რა მიზეზითაც აღმწერს გვარად **უგვარო** ჩაუწერია; 3. ფსევდონიმის ან ფსევდონიმისებური სახელდების გვარად ქცევის ნიმუშია **რონდელი**, არა მხოლოდ მისი შემთხვევლისთვის, არამედ – შემდეგ მისი შთამომავლებისთვისაც. ცნობილი პოლიტოლოგი აღექსანდრე რონდელი იგონებს: „მამაჩემის ნამდვილი გვარია ცაგარეიშვილია. 20-იან წლებში, როცა ახალგაზრდობა, ეგრეთ წოდებული ახალი ინტელიგენცია, თბილისში ჩამოვიდა და ზოგმა პოეტობას, ზოგმა კი კრიტიკოსობას მიჰყო ხელი, ყველამ ფსევდონიმით დაიწყო წერა. ასე გახდა მამაჩემი დავით ცაგარეიშვილი რონდელი და ასე გადმოცა მეც ეს გვარი“¹.

საგულისხმოა ავტორის მსჯელობა გრძელ და მოკლე გვარებზე. საქართველოში გავრცელებული 20000-ზე მეტი გვარსახელის სიგრძე-სიმოკლე, პ. ცხადაიას დაკვირვებით, ფუძისა და სუფიქსის (სუფიქსოიდის) სიგრძე-სიმოკლეზეა დამოკიდებული. ყველაზე მოკლე, ოთხბგერიანი გვარია **იადე**. იგი ყველაზე მოკლე პირსახელისა და ერთ-ერთი მოკლე სუფიქსოიდის შეერთებითაა მიღებული: ია+დე, ხოლო ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი **ს** დაკარგულია. თანამედროვე ქართული გვარების დიდი ნაწილი 9-11-ბგერიანია. გვხვდება 15-ბგერიანი ათზე მეტი გვარი (გამსახურდაშვილი, გრძელივანიშვილი, თვალმიხელაშვილი, კბილცეცხლაშვილი, მამათავრიშვილი, მამისიმედიშვილი, მდივანთუხუცესიშვილი, ფეხმოჭრილაშვილი და სხვ.). თავად-აზნაურთა გვარებში გვხვდება 17-ბგერიანი გვარები: მეღვინეთუხუციშვილი, ჯამბაკურ-ორბელიანი, ბაგრატიონ-მუხრანელი. იოანე ბაგრატიონის „შემოკლებით აღწერაში“ დასახელებულია 20 ბგერისაგან შედგენილი გვარსახელი მეღვინეთუხუცესიშვილი და მისი 18-მარცვლიანი ვარიანტი მეღვინეთუხუცისიშვილი².

გვარის პოლისემიურობიდან გამომდინარე (ქეგლ-ში მისი შვიდი მნიშვნელობაა აღნიშნული), პ. ცხადაია უფრო ზუსტ და მოსახერხებელ ტერმინად „გვარსახელს“ მიიჩნევს, რომელსაც

¹გაზ. „24 საათი“, 31 ივლისი, 2002 წ.; პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 138-139, 140.

²პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 142-143.

უკვე ფართოდ გაუკაფავს გზა ქართულ ონომასტიკაში, თუმცა, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, არც „გვარი“ აუკრძალავს ვინმეს¹.

მკვლევარი განიხილავს V-XI სს. ქართული მატრიანების, ლაპიდარული წარწერებისა თუ ჰაგიოგრაფიული თხზულებების მონაცემებს ანთროპონიმებზე² და გვარებზე მსჯელობას შემდეგი დასკვნით ასრულებს: ქართული გვარებისათვის დამახასიათებელ დაბოლოებებს – -ძე, -შიღლ-ი, -ია, -უა, -ავა, -იან, -ურ, შეიცავენ არაქართველთა, მაგალითად, ებრაელთა, აფხაზთა, ოსთა გვარებიც. ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილის გვარი ბოლოვდება - შვილზე და -ძე-ზე. მათ შორის ზოგიერთი საზიაროა ქართველთა გვარებთან (მაგ.: ბათიაშვილი, დავითაშვილი, ელიაშვილი, ბერიძე...), ქართველ ებრაელთა გვარების მაწარმოებელი სუფიქსია აგრეთვე -ელ: კრიხელი, ხოტეველი და სხვ.³

ნაშრომში ცალკეული ქვეთავების სახით მოცემულია ამომწურავი მსჯელობა ფსევდონიმზე, შერქმეულ სახელსა და მეტსახელზე, ეპითეტთან მეტსახელებზე, ზედწოდებასა და ჯგუფურ ანთროპონიმზე. ამასთან დაკავშირებით ამ ტერმინების საღეჭსიკონო თუ საენციკლოპედიო განმარტებების წარმოდგენით შემოიფარგლებით:

ფსევდონიმი ანთროპონიმის სახეობაა. ესაა მოგონილი სახელი, ან პირობითი ნიშანი, რომელსაც პიროვნება ატარებს ნამდვილი გვარსახელის ნაცვლად ან მასთან ერთად. ფსევდონიმით შეიძლება შეიცვალოს პიროვნების არა მარტო გვარსახელი, არამედ პიროვნული სახელი, მამისახელობა, საერთოდ, მთელი ანთროპონიმული ფორმულა. თუკი ქალს ფსევდონიმად მამაკაცის სახელი აქვს აღებული, ასეთ მოვლენას **ფსევდოანდრონიმი** ეწოდება (მაგ.: ჟორჟ სანდი (სინამდვილეში ავრორა დიუპენი. ქმრის გვარი დიუდევანი; ჯორჯ ელიოტი (სინამდვილეში მერიენ ევანსი). პირუკუ პროცესს, ანუ როცა ქალის სახელს მამაკაცი ფსევდონიმად აიღებს, **ფსევდოგინიმი** („ვითომ ქალის სახელი“) ჰქვია

¹ იქვე, 145; მსჯელობისათვის იხ. **მისივე**, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 33.

² **პ. ცხადაია**, ონომასტიკის შესავალი, 145-148.

³ **პ. ცხადაია**, ონომასტიკის შესავალი, 148, და იქვე დასახელებული ლიტ-რა.

(მაგ. ელენე დარიანი, სინამდვილეში პაოლო იაშვილი, თამარ ჩქარეული, სინამდვილეში კონსტანტინე ლორთქიფანიძე¹. **ანაგრა-მა** (ონომასტიკაში) გულისხმობს ანთროპონიმის ბგერათა ან მარცვალთა გადასმით (ზოგ შემთხვევაში უკუწაკითხვით) წარმოქმნილ საკუთარ სახელს, ჩვეულებრივ, ფსევდონიმს. მაგ.: **ეძიოთ ა.** (ა. თოიძე), **დოთე** (თედო რაზიკაშვილი), **ეს მო** (მოსე ჯანაშვილი), **ნილომ** (ნიკო მერაბის ძე ლორთქიფანიძე) და სხვ. ამგვარ და სხვა ტიპის ფსევდონიმებს განიხილავს გ. მიქაძე თავის წიგნში².

მეტსახელი, როგორც ანთროპონიმის სახეობა, დამატებითი სახელია, რომელიც ერქმევა ადამიანს (ან ადამიანთა ჯგუფს) დამახასიათებელი თვისების, ქცევა-მანერის, მისწრაფების, საქმიანობის, გარეგნობის, ანალოგიის, წარმომავლობის ან თავს გადამხდარი შემთხვევის მიხედვით. მისი რუსული შესატყვისი *синонимы*, ლათინური – *cognomen*, ინგლისური – *nickname*. პ. ცხადაია აკონკრეტებს ტერმინთა – **მეტსახელისა** და **შერქმეული** (ნართაული) **სახელის** მნიშვნელობებს: „სემანტიკურად გამჭვირვალე სახელს, ე. წ. „მოლაპარაკე სახელს“, რომელიც თვითონვე ცხადყოფს სახელდების მოტივს, ზოგადად უნდა ვუწოდოთ შერქმეული (ნართაული) სახელი, ხოლო ტერმინი „მეტსახელი“ მიეუსადაგოთ მხოლოდ იმ შერქმეულ სახელს, რომლის დენოტატს სხვა (ოფიციალური, ძირითადი) სახელიც მოეპოვება. მაშასადამე, შერქმეული სახელი შედარებით ზოგადი ტერმინია, ხოლო მეტსახელი – მისი თანამედროვე სახეობაა“³. შერქმეული სახელის მნიშვნელობას ცვლის ძველ ქართულში დადასტურებული სიტყვა **ნართაული** „დამატებითი, ზედმეტი“. მაგ.: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი ივანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდას ამას სახარებასა“ (პარხლის ოთხთავის ანდერძ-მინაწერი).

„მეტსახელის“ მნიშვნელობით ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენებენ აგრეთვე ტერმინებს: „შერქმეული სახელი“, „თიკუნი“, ხოლო დიალექტებში – „კილი“, „სახინჯა-

¹იქვე, 149.

²გ. მიქაძე, ფსევდონიმების ლექსიკონი, თბ., 1984.

³იქვე, 151.

რი“, „ბუნი“, „სახელბედი“ და სხვ.¹ „მეტსახელი, ერთ- თუ მეტ- სიტყვიანი, წარმოადგენს სრულ ანთროპონიმულ ერთეულს, რომელიც მთლიანად ცვლის პირის ოფიციალურ სახელდებას. არცთუ იშვიათად ადამიანს, განსაკუთრებით, სოფლებში, მეზობელთა და ნათესავთა წრეში, მხოლოდ მეტსახელით იცნობენ, ხოლო მისი ოფიციალური სახელი ისეა მივიწყებული, რომ საჭიროების შემთხვევაში ვერც იხსენებენ“².

ეპითეტიანი მეტსახელი ორკომპონენტია ანთროპონიმული ფორმულაა, რომელშიც ერთ-ერთი კომპონენტი სახელსადები პიროვნების საკუთარი სახელია, ხოლო მეორე მსაზღვრელს, ეპითეტს წარმოადგენს და შეიცავს ამ პიროვნების „დახასიათებას“ რაიმე ნიშნით: მაშასადამე, პ. ცხადაიას თქმით, ეპითეტი წარმოაჩენს დენოტატის მიმართ სახელმდების ნეიტრალურ პოზიციასაც და ემოციურ-შეფასებით დამოკიდებულებასაც, კერძოდ, მოწიწება-პატივისცემას (იშვიათად), ირონიას – მსუბუქ გაკენწლვას, და- ცინვა-გაკიცხვასაც და სიძულვილსაც კი³.

ეპითეტის ერთ-ერთ დანიშნულებას ერთნაირი სახელების მქონე პირთა ანუ სეხნიების, ერთმანეთისაგან გარჩევა წარმოადგენს (ივანე მაღალი, ივანე დაბალი, ივანე მოკლე, ივანე სქელი). ეპითეტი შეიძლება გამოხატავდეს **ხელობას** (მჭედელმიხო, მღებარსაქულა, დაღალმაშო, მესტვირე ვანო...), **გარეგნობას** (კრუხიპალო სანდრო, პუჭურკოსტა, ექვსთითა ვალიკო...), **ხასიათის თავისებურებას**, **მანერას** (პიწი-პიწი არშაკა, ტრაბახა ზაური, ფულის ყუთი გეურქა...), **მომსგავსებას** (პუშკინა ნუნუ, მოლოტოვი ლექსო, ჩიტა გოგია...), **წარმომავლობას** (კოლაგელი არტო, ბოდბელი გივი, ბახალიჩა კახა...), **შებრალებას**, **შეწყალებას**, **თანაგრძნობას** (ბედნი იოსკა, საწყალი იოსკა)⁴.

ზედწოდება ადამიანის ოფიციალური ორწევროვანი ფორმულის შემადგენელი ნაწილია. ის არის ეპითეტი, რომელიც სახელთან ერთად იხმარება. მაგ.: სოლომონ ბრძენი, ალექსანდრე მაკედონელი, თემურ ლენგი („კოჭლი თემური“), გრიგოლ ხანძთელი,

¹იქვე, 152-153.

²იქვე, 156.

³პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 2005, 156.

⁴იქვე, 158.

ანტონ კათალიკოსი, ვახუშტი ბატონიშვილი... თავისი სემანტიკითა და ფუნქციით ზედწოდება ახლოს დგას ეპითეტ-მეტსახელთან, მაგრამ, ამასთანავე, მათ შორის არის არსებითი განსხვავებაც: ეპითეტ-მეტსახელი, როგორც ტერმინი, მხოლოდ ჩვენს დღევანდელობას მიესადაგება, რადგან არაოფიციალურ სიტუაციაში სახელდების აუცილებელი კომპონენტის – გვარსახელის, შემცველია, ხოლო ზედწოდება, ანუ ნართაული, არაფერს ენაცვლება. მაშინ, როდესაც გვარი დღევანდელი გაგებით ჯერ კიდევ არ არსებობდა, ზედწოდება ცვლიდა მას, სრულყოფილს ხდიდა ცნობილი პირების ანთროპონიმულ ფორმულას. საზოგადოების წინაშე პირის განსაკუთრებული დამსახურებით მოტივირებულ ზედწოდებას **დიგნიტონიმი**, ანუ **საპატიო ზედწოდება** ეწოდება. მაგ.: დავით აღმაშენებელი, გიორგი V ბრწყინვალე, ალექსანდრე ნეველი, პეტრე დიდი და სხვ. ფაქტობრივად, იმავე შინაარსის შემცველია **მელიორატივი**, ანუ **განმადიდებელი ზედწოდება**, რომელიც გამოხატავს ნომინატორის სურვილს, აღნიშნოს პიროვნების განსაკუთრებული ღირსება და დამსახურება. მაგ.: **Иоанн Златост** იოანე ოქროპირი, **Ярослав Мудрый** იაროსლავ ბრძენი დასხვ.¹

რაიმე ნიშნის მიხედვით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფს ონომასტიკის სპეციალისტები აღნიშნავენ ტერმინით – **ჯგუფური ანთროპონიმი**. ანთროპონიმის ამ სახეობაში შედის ოჯახის სახელი, საგვარეულო სახელი, შტოგვარი, ჯგუფური მეტსახელი, ჯგუფური ფსევდონიმი². ჯგუფური, ანუ კოლექტიური მეტსახელი გულისხმობს ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის, ოჯახისთვის, გვარისთვის, გვარის განაყოფისთვის, უბნისათვის, სოფლისათვის ან ეთნიკური ჯგუფისათვის შერქმეულ მეტსახელს.

საანალიზო ნაშრომის შესაბამის ქვეთავში („ჯგუფური ანთროპონიმი“) ავტორის მიერ დამოწმებული და გაანალიზებულია ჯგუფური მეტსახელები, წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ძირითადად მეტგვარების, შტოგვარებისა და საოჯახო მეტსახელების სახით. მეტგვარი, იგივე შერქმეული გვა-

¹იქვე, 159-160.

²პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 132-133; მისივე, ონომასტიკის შესავალი, 160.

რი, პ. ცხადაიას აზრით, მთელი გვარის მეტსახელია, რომელიც შეიძლება დაერქვას ამა თუ იმ რეგიონში ან სოფელში დამკვიდრებულ მთელ გვარს, მისი ძირითადი მოსაქმეობის, განსაკუთრებული ნიშან-თვისებების ან სხვა გარემოებათა (მაგ. ეპონიმის) მიხედვით. შტო, როგორც ეთნოგრაფიული ტერმინი, გვარის განაყოფის, განშტოების აღმნიშვნელია. აქედან გამომდინარე, დასძენს ავტორი, შტოგვარი (შტოს გვარი) შეიძლება ეწოდოს გვარის განაყოფის, ე. ი. შტოს, საკუთარ სახელს, რაც უკვე ანთროპონიმული ტერმინია¹. პ. ცხადაია იქვე იმოწმებს შტოგვარის დეფინიციას მის მიერ გამოცემული „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონიდან“: „**შტოგვარი** – არაოფიციალური ჯგუფური ანთროპონიმი. გვარის განაყოფის (განშტოების) ზედწოდება, ჩვეულებრივ, მომდინარე ეპონიმის სახელისაგან ან მეტსახელისაგან“².

პ. ცხადაია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შტოგვარის სისტემა საქართველოს ყველა რეგიონისათვის ტრადიციულია. „იგი აუცილებელიცაა, როცა გვარი გამრავლდება, მიაღწევს რამდენიმე ათეულ ოჯახს ერთ სოფელში ან უბანში. ამ შემთხვევაში მხოლოდ ოფიციალური გვარის დასახელება არ არის საკმარისი გენეალოგიური ხაზის მისანიშნებლად“³.

ქართული ანთროპონიმის საკითხების კვლევა რომ ფრიად საშური და აუცილებელი საქმეა, ამაზე ზედმიწევნით ზუსტად მიანიშნებს აკად. ა. შანიძის ის სიტყვები, რითაც პ. ცხადაიას ნაშრომის საანალიზო ნაწილი სრულდება: „ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მაინც არ იქნეს ამოწურული მთელი სიღრმე-სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული“⁴.

ნაშრომის მესამე თავში ცალკეულ პარაგრაფებად წარმოდგენილია ავტორის მსჯელობა ონომასტიკურ ტერმინებზე – **ტოპონიმია** და **ტოპონიმიკა** (ჰიდრონიმი, ორონიმი, დრიმონიმი, ფი-

¹პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 162.

²პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 128-129.

³პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 163.

⁴იქვე, 164.

ტონიმი, ოიკონიმი, ქორონიმი, ურბანონიმი, დრომონიმი, ეკლესიონიმი...), **იდეონიმები** და **პრაგმატონიმები** (ქრემატონიმი, ფალერონიმი, ერგონიმი, ანემონიმი), **ზონიმი** და **ზონიმიკა**, **მითონიმი** და **მითონიმიკა**, **კოსმონიმი** და **კოსმონიმიკა**, **ეთნონიმი** და **ეთნონიმიკა**¹.

ამჯერად ზოგიერთი ტერმინის გარშემო პ. ცხადაიას მსჯელობის გაანალიზებით შემოვიფარგლებით. ავტორის აზრით, უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში საკუთარი სახელები დაიყო **იდეონიმებად** და **პრაგმატონიმებად**. იდეონიმის, როგორც საკუთარი სახელის, დენოტატი გონებრივი (იდეოლოგიური, მხატვრული, მეცნიერული, სახვითი) მუშაობის, მოღვაწეობის შედეგია და აერთიანებს საკუთარ სახელთა რამდენიმე კატეგორიას – **არტიონიმს**, **ბიბლიონიმს**, **დოკუმენტონიმს**, **პოეტონიმს**, **ქრონონიმს**, **ჰემერონიმს**, **ჰეორტონიმს**. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას წყაროდ მითითებულია ნ. პოდოლსკაიას ნაშრომ².

თუკი საკუთარ სახელთა (ტოპონიმების, ანთროპონიმების, ეთნონიმების, ზონიმების...) დიდი ნაწილი, ჩვეულებრივ, სტიქიურად, ხშირ შემთხვევაში წერა-კითხვის უცოდინარი ხალხის მიერ არის შექმნილი, **ჰემერონიმის** – პერიოდული ბეჭდვითი ორგანოების სახელწოდებათა შექმნას მხოლოდ ინტელიგენცია უძღვება, ან არეგულირებს³.

ავტორის დაკვირვებით, **იდეონიმები** შეიძლება მრავლობითი რიცხვის ფორმითაც იყოს წარმოდგენილი. მაგ.: „დათვები“ (ბათუმის რაგბისტთა გუნდი), „ქუჩის ბიჭები“ (საესტრადო ჯგუფი), „ახლები“ ანუ „ახალი მემარჯვენეები“ (პოლიტიკური გაერთიანება და სხვ.⁴

პ. ცხადაია შენიშნავს, რომ ბოლო სამი ათეული წლის რუსულ ონომასტიკურ ლიტერატურაში ხშირად ფიგურირებს ტერმინი **პრაგმატონიმი** (ბერძნ. **პრაგმა** „მოქმედება, საგანი, ნივთი“), მაგრამ მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი და ერთმნიშვნელოვნად მიღებულ-გამოყენებული. ნ. პო-

¹პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 165-192.

²Н. Подолская, Словарь русской ономастической терминологии, М., 1978, 1988.

³პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 176-177.

⁴იქვე, 177.

დოლსკაიას მიერ 1978 წელს გამოცემული „რუსული ონომასტიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონის“ მიხედვით **პრაგმატონიმი/პრაგმონიმი** საგაჭრო საქონლის სახეობის, ჯიშის, მარკის აღმნიშვნელი ნომენია. მაგ.: „სავსე მთვარე“ (ქრიზანთემის ჯიში), „ჟიგული“ (მსუბუქი ავტომანქანის მარკა), წინანდალი (ღვინის მარკა)¹. ამავე ლექსიკონის 1988 წლის გამოცემაში პრაგმატონიმი ადამიანის პრაგმატული (პრაქტიკული) მოღვაწეობით შექმნილი ობიექტის საკუთარ სახელად არის წარმოდგენილი და არა ნომენად. საკუთარ სახელებში კი მოიაზრება **ქრემატონიმი** (მატერიალური კულტურის საგნის სახელწოდება; მ. შ. იარაღის, მუსიკალური ინსტრუმენტის, საიუველირო ნაწარმის, ძვირფასი ქვის, ავეჯის, ჭურჭლის... მაგ.: „მეფე ზარბაზანი“ (მოსკოვის კრემლში მდგარი ზარბაზანი), „მონომახის ქუდი“ (აღმასი), „აქლემი“ (თეთნაბადი ოქრო), „აბრაში“ (საბანი), „კატერინა“ (ჩაის ფინჯანი)), **პორეიონიმი** (ტრანსპორტის სახეობის სახელი), **ოიკონიმი** (დასახლებული პუნქტის სახელი), **ოიკოდომონიმი** (შენობის სახელი), **დრომონიმი** (გზის სახელი), **აგრონიმი** (დამუშავებული მიწის ნაკვეთის სახელი) და სხვ.².

პ. ცხადაია ნაშრომში იმოწმებს **პრაგმატონიმის** განმარტებას კოლექტიური მონოგრაფიიდან ³, და აღნიშნავს, რომ მონოგრაფიაში „მოცემული განმარტება ძალზე ავიწროებს „პრაგმატონიმის“ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას: „прагматонимы – обозначениемарокмашины, механизмов, агрегатов“, და იგი დასახელებულია პორეიონიმისა და ქრემატონიმის გვერდით“⁴.

III თავის ბოლო პარაგრაფში მოცემულია ტერმინების – **ეთონიმიისა** და **ეთონიმიკის** ანალიზი. ეთონიმი ეთნოსის აღმნიშვნელი ნომენია და არა ონიმი, თუმცა კი ლექსიკური სტრუქტურის თვალსაზრისით მრავალი ონომასტიკური ტერმინის მსგავსია და მეორე კომპონენტად შეიცავს კიდევ ონიმს („საკუთარ სა-

¹Н. Подолская, Словарь русской ономастической терминологии, М., 1978, 113.

²Н. Подолская, Словарь русской ономастической терминологии, М., 1988, 16, 110.

³ Теория и методика топонимических исследований, М., 1986, 11.

⁴პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 178.

ხელს“). **ეთნონიმია** ეთნონიმთა ერთობლიობაა, ხოლო **ეთნონიმოკა**, როგორც ონომასტიკის ქვედარგი, შეისწავლის ეთნონიმებს¹.

ონომასტიკის ნაწილი, რომელიც იკვლევს საკუთარ სახელებს ეთნოგრაფიული ასპექტით, **ეთნიკურ ონომასტიკად** იწოდება. იგი შეისწავლის ონომასტიკისა და ეთნოგრაფიის ურთიერთობას. **ეთნონიმიზაცია**, პ. ცხადაიას განმარტებით, გულისხმობს საზოგადო ან საკუთარი სახელის გადაქცევას ეთნონიმად (აფიქსაციით ან აფიქსაციის გარეშე). მორფოლოგიური ეთნონიმიზაციის ნიმუშებად მკვლევარს დამოწმებული აქვს: ხევი → მოხევე, კახი → კახელი, იტალია → იტალიელი და სხვ.².

თვით ტერმინ **ეთნოსის** დეფინიცია პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ასეთია: „**ეთნოსი** – ნებისმიერი ეთნიკური ერთეული: ეროვნება, ერი, ხალხი, ტომი, ეთნიკური ჯგუფი, ეთნიკური ერთობა“³, ხოლო ეთნონიმი განმარტებულია როგორც ეთნოსის სახელი. მაგ.: ქართველი, ოსი, აფხაზი, სვანი, მეგრელი, კახელი, ქართლელი, მოხევე⁴. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მიხედვით, ეთნონიმების, ანუ ხალხების, ტომების საკუთარ სახელებს **ეთნონიმოკა** შეისწავლის⁵.

პ. ცხადაია დაასკვნის: „თავდაპირველი და ძირეული ეთნიკური ერთეულია ტომი, ხოლო შემდგომი – ტომთა გაერთიანება... სვამენ კითხვას: რამდენად მისაღებია ტერმინი ეთნონიმი ერების, ეროვნებათა, ხალხების აღსანიშნავად? იყო ცდაც, ტომების სახელები აღენიშნათ ტერმინით **სუბეთნონიმი**, ხოლო ხალხებისა და ერების სახელწოდებანი – ტერმინ **ეთნონიმით**. მაგრამ სხვა ტერმინის უქონლობის გამო ეთნონიმი დარჩა ნებისმიერი ეთნიკური ერთეულის აღმნიშვნელ სახელად“⁶.

ეთნიკური ტერმინების გაუმართლებელ ხმარებას სპეციალური სტატია უძღვნა რ. თოფჩიშვილმა. მკვლევარი მიიჩნევს, რომ

¹პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 189-190.

²იქვე, 190-191.

³პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 42.

⁴პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 41.

⁵ქსე, IV, 58.

⁶პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 192.

საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის **ეთნოსად, ეთნიკურ ერთობად** მოხსენიება გარედანაა თავსმოხვეული და უმჯობესია მას ეწოდოს **ეთნოგრაფიულ-დიალექტური ერთეული**¹. ქართულ ენასა და მის დიალექტებზე მსჯელობა მოცემულია აგრეთვე რ. თოფნიშვილის ნაშრომში – „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“. მკვლევრის აზრით, ქართული ენა იყოფა ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ დიალექტებად. ისინი ტრადიციულად ერთიანდებიან აღმოსავლურ და დასავლურ ჯგუფებში (ცალკე გამოყოფენ სამხრეთულ ჯგუფებსაც). ქართული ენის დიალექტებია: აჭარული, გუდამაყრული, გურული, თუშური, იმერხეულ-შავშური, ინგილოური, კახური, ლეჩხუმური, მესხური, მთიულური, რაჭული, ფერეიდნული (ირანში), ფშაური, ქართლური, ხევსურული, ჯავახური, ტაოური (თურქეთის სამ სოფელში). ქართული ენისაგან დაშორებულია მეგრული/მეგრულ-ჭანური მეტყველება. უფრო მეტადაა დაშორებული სვანური. ზანურად/მეგრულად და სვანურად მეტყველი ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფები ყოველთვის ქართველი ერის შემადგენლობაში შედიოდნენ და შედიან. სამეგრელოსა და სვანეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის საერთო ეროვნული, სამწერლობო, საღვთისმეტყველო ენა ისტორიულად იყო და ამჟამადაც არის ქართული. ბგერითი შემადგენლობისა და გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით ქართული და ზანური უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ვიდრე თითოეული მათგანი სვანურთან².

ისტორიკოსი ვახტანგ ითონიშვილი ქართველთა ლოკალურ ჯგუფებს შორის არსებულ ეთნოგრაფიულ სხვაობაზე მსჯელობისას იმოწმებს 1987 წელს მოსკოვის გამომცემლობის მიერ დაბეჭდილ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტიურ ნაშრომს („ეთნიკური პროცესები თანამედროვე მსოფლიოში“), სადაც აღნიშნულია, რომ ქართველებს შეერწყნენ მეგრელები, ლაზები და სვანები. მათი უდიდესი უმრავლესობა ფლობს ქართულ ენას, თუმცა შინაურ ყოფაში მეგრული, ლაზური და სვა-

¹რ. თოფნიშვილი, რად გვჭირდება ეთნიკური ტერმინების გაუმართლებელი ხმარება. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №33-35, 1995.

²რ. თოფნიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბ., 2006, 21.

ნური ენები ჯერ კიდევ გამოყენებაშია. მოსახლეობის ამ ნაწილის ორენოვნებას ავტორები – ი. ბრომლეი, ი. გურვიჩი და ვ. კოხლოვი მისი ორიარუსიანი ეთნიკური თვითშეგნებით ხსნიან. მეგრელების, სვანების, ლაზების უმრავლესობას გაცნობიერებული აქვს თავისი ქართველობა, მაგრამ ისინი ინარჩუნებენ წარმოდგენას წარსულში განცალკევებით არსებული და ქართველებთან შერწყმული აღნიშნული ეთნიკური ქვედანაყოფებისადმი თავისი კუთვნილების შესახებაც¹. თვით ვახტანგ ითონიშვილის აზრით, „მეგრელებიც და სვანებიც ბუნებრივად დაქვემდებარენ ერთიანი ქართველი ხალხისადმი თავისი უდავო ეთნიკური კუთვნილების მტკიცე შეგნებაზე დაფუძნებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნომინაციას, რომლის ძალით მათთვის დიდი ხანია აღარაა უჩვეულო თვითსახელწოდებად ეთნონიმ „ქართველის“ ტრადიციული დომინირება, ხოლო რაც შეეხება მეგრულ და სვანურ ენებში არქაული ტერმინის – ქართველის (ქორთუ-ს ან მქართის) კონსერვაციის ფაქტს, ეს უკანასკნელი პრაქტიკულად უკვე აღარაფერს ამბობს სხენებულ ეთნოგრაფიულ ჯგუფთათვის ოდესღაც დამახასიათებელი... ორიარუსიანი ეთნიკური თვითშეგნების სასარგებლოდ. დღესდღეობით, მეგრელებიც და სვანებიც თუკი რაიმე ნიშნის მიხედვით გამოყოფენ თავს დანარჩენი ქართველებისაგან, ამ რიგის პრაქტიკა ნიადაგ არ სცილდება მხოლოდ ერთი მთლიანი ხალხის შემადგენელი ლოკალური ჯგუფებისათვის სპეციფიკური კუთხურობის ჩარჩოებს“². ქართველური თემონიმების წარმოებისა და ქართველური თემების ისტორიის მიმართების საკითხს განიხილავს პროფ. ტ. ფუტკარაძე. მკვლევარი იმოწმებს პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონს“, სადაც გურული, კახელი, მეგრელი, სვანი ეთნონიმადაა მიჩნეული. რამდენადაც **ეთნონიმი** ეთნოსის სახელია, ხოლო გურიის, აჭარის, სამეგრელოს... მცხოვრებნი ქართველი ეთნოსის ცალკეული **თემებია** და არა – **დამოუკიდებელი ეთნოსები**, ტ. ფუტკარაძის მოსაზრებით, უმჯობესია, საქართველოს თუ სხვა ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა მცხოვრებთათვის დამკვიდ-

¹ ვ. ითონიშვილი, ქართველი ხალხის ეთნოსტრუქტურა მრუდე სარკეში, თბ., 1990, 7-8, და იქვე მითითებული ლიტ-რა.

² იქვე, 21-22.

რდეს **თემონიმი** ან უბრალოდ, **წარმომავლობის სახელი**¹. ტერმინ **ეთნონიმის** არასწორი გამოყენება, – შენიშნავს ტ. ფუტკარაძე, – ბევრ სერიოზულ შეცდომას უდებს სათავეს. სპეციალურ ლიტერატურაში „ეთნონიმად“ ჩათვლილია არა მხოლოდ **ერის/ნაციის** აღმნიშვნელი სიტყვები (ქართველი, რუსი, ოსი...), არამედ თემთა სახელებიც: კახელი, ქართლელი, მეგრელი, იმერელი და სხვ. (ვ. იარცვეა, ლ. ტოლსტოვა, პ. ცხადაია, ნ. ხაზარაძე, თ. ოჩიაური, ბ. ჯორბენაძე, გ. თოფური, ვ. ითონიშვილი...)... „ეთნონიმად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის ისტორიული ლექსიკა, რომელიც ერის, ეთნოსის, ეთნიკური ჯგუფის, ტომის აღმნიშვნელ საკუთარ სახელად დამკვიდრდა (სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ეთნონიმის საკუთარ სახელად მიჩნევის შესახებაც: ზოგი მას თვლის ონიმად, ზოგი ნომენად). თემის აღმნიშვნელ სახელს შეიძლება ვუწოდოთ **თემონიმი**; იგი სხვა ენებშიც შეიძლება გამოვიყენოთ (temonum), ან ახალი ტერმინი შევქმნათ ინგლისური სიტყვიდან community „თემი“, „ერთობა“, „მხარის მოსახლეობა“. შდრ.: **ქომიუნონიმი/კომუნონიმი**... თუკი მოვერიდებით ახალი ტერმინის შემოღებას, ასეთ შემთხვევაში, უმჯობესი იქნება, გამოვიყენოთ სინტაგმა „წარმომავლობის სახელი“ და არა – ეთნონიმი. გურულის, მესხის, სვანის, კახელის, ქართლელის... მიმართ **ეთნონიმის** გამოყენება აშკარად გაუმართლებელია. ამგვარად, რამდენადაც ქართველი ერის თემებად ანუ ქართველი ერის შემადგენელ ნაწილებად ერთნაირად განიხილებიან: სვანებიც, მეგრელებიც, ლაზებიც, აჭარლებიც, გურულებიც, კახელებიც, ქართლელებიც, რაჭველებიც, იმერლებიც, ფშაველებიც, იმერხეველებიც, ფერეიდნელებიც, მათი აღმნიშვნელი სახელები ერთნაირად უნდა ჩავთვალოთ არა „ეთნონიმებად“, არამედ წარმომავლობის სახელთა განსაკუთრებულ ჯგუფად – **თემონიმებად**².

აღნიშნულ საკითხს შეეხო მკვლევარი ქ. გოდერძიშვილიც. იგი, თუკი ცალკეული დიალექტური ჯგუფის აღსანიშნავად მი-

¹ტ. ფუტკარაძე, ქართველური თემონიმების წარმოებისა და ქართველური თემების ისტორიის მიმართებისათვის. „ონომასტიკური კრებული“, ახალციხე, 2015, 300.

²ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ქუთ., 2005, 40-41; მსჯელობისათვის იხ. მისივე, ეთნოსის, ეთნონიმისა და სხვა ტერმინთა შესახებ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 4-11 აპრილი, 1997.

დებული იქნება თემი, შესაძლებლად მიიჩნევეს შესაბამისი ონიმე-
ბიდან ანთროპონიმებად მოქცეულ სიტყვებში ორი ჯგუფის გა-
მოკვეთას: **ანთროპონიმირებული ეთნონიმებისას** და **ანთროპონი-
მირებული თემონიმებისას**. აღნიშნულ ანთროპონიმირებულ ჯგუ-
ფებს, ქ. გოდერძიშვილის აზრით, შესაბამისად შეიძლება ეწო-
დოს **ეთნოფორული სახელები** და **თემოფორული** (შესაბამისად,
ტომოფორული) **სახელები**¹.

IV თავში საუბარია ონომასტიკური კვლევის მეთოდოლოგია-
ზე. საკითხის არსის ზოგადი მიმოხილვისას პ. ცხადაია აღნიშ-
ნავს, რომ მეცნიერების ყველა დარგისთვის არსებობს კვლევის
ზოგადმეცნიერული და აუცილებელი მეთოდები, როგორცაა:
ანალიზი, სინთეზი, შედარება, განზოგადება, ინდუქცია, დედუქ-
ცია. „ახლო წარსულში ტოპონიმეკას ისტორიის, გეოგრაფიისა
და ლინგვისტიკის სინთეზად თვლიდნენ. ამ დებულებას განაგრ-
ცობდნენ მთლიანად ონომასტიკაზედაც და მიიჩნევდნენ, რომ
ონომასტიკა კომპლექსური მეცნიერებაა, რამდენადაც ონომატო-
ლოგები სარგებლობენ მრავალი სხვა მეცნიერების – ისტორიის,
გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის,
ფსიქოლოგიის – მონაცემებითა და მეთოდებით. მართლაც, ონო-
მასტიკას აქვს გარკვეული შეხების წერტილი ზემოთ ჩამოთ-
ვლილ სამეცნიერო დარგებთან, ითვალისწინებს მათს მიღწევებს,
მაგრამ მისთვის, როგორც ენათმეცნიერების დარგისთვის, ძირი-
თადად ლინგვისტიკის მეთოდები: აღწერითი, არეალური, ფსიქო-
ლოგიური, ტიპოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი... ონომატო-
ლოგისათვის... მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, თუ რომელი სიტყვა
როდის, რატომ და როგორ იქცა ამ მხარის ამა თუ იმ გეოგრა-
ფიული ობიექტის საკუთარ სახელად“².

ონიმური მასალის მოპოვების ორგვარი გზა არსებობს – წე-
რილობითი და ზეპირი. განსაკუთრებით საშურია ზეპირ მეტყვე-
ლებაში შემონახული ონომასტიკური მასალის, განსაკუთრებით,
შტოგვარების, მეტსახელების, ზოონიმების, მიკროტოპონიმების

¹ ქ. გოდერძიშვილი, ქართველური ანთროპონიმეკის ძირითადი საკითხები, თბ.,
2012, 60-61.).

² იქვე, 193-194.

ჩაწერა-აღნუსხვა, რადგან მცირდება მათი მცოდნე ხანდაზმულების რიცხვი.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ ლინგვისტური კვლევის ოთხ ძირითად მეთოდს – დისკრიფციულს (აღწერითი), ისტორიულ-შედარებითს, ტიპოლოგიურ-შედარებითს და არეალურს, რაც აქტიურად გამოიყენება ონომასტიკაში. მეცნიერები ფართოდ გამოიყენებენ აგრეთვე კარტოგრაფიისა და სტრატოგრაფიული ანალიზის მეთოდებსაც¹.

პ. ცხადაიას ონომასტიკური კვლევის უმთავრესი მეთოდები, მიმართულებები და ასპექტები განხილული აქვს სამ პარაგრაფში. ონიმური მასალის ენობრივი ატრიბუციის მეთოდი ეფუძნება მოპოვებულ და მოწესრიგებულ მასალას. ონიმური მასალის ანალიზის დაწყებამდე აუცილებელია სახელთა ენობრივი ატრიბუცია, ანუ ენობრივი მიკუთვნებულობის დადგენა. მეკვლევარმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს ის ენები, რომელთაც, სავარაუდოდ, შეეძლოთ მონაწილეობის მიღება საკუთარი სახელების წარმოქმნაში. ტექსტოლოგიური ანალიზი გულისხმობს ნომინაციური ერთეულების ზუსტად დაყოფას საკუთარ და არასაკუთარ სახელებად, ხოლო მასალის ინვენტარიზაცია – ონიმთა აღწერა-აღნუსხვასა და ონიმური ველებისა თუ მიკროველების მიხედვით განაწილებას, ონომასტიკური სტრატოგრაფია კი, როგორც ონომასტიკის ნაწილი – ამა თუ იმ რეგიონის ონიმთა ქრონოლოგიურ და ენობრივ დაშრეგება-განაწილებას. სტრატოგრაფიული ანალიზის ხერხს განსაკუთრებით სუბსტრატისა და სუპერსტრატის გამოსავლენად იყენებენ. ონომასტიკური ეტიმოლოგიის საბოლოო მიზანს, როგორც ბუნდოვანი, ისე გამჭვირვალე აპელატივის გამოვლენა, ტოპონიმური თუ ანთროპონიმული ერთეულის მორფემული ანალიზი და გამოვლენილი მორფემების გავრცელების ქრონოლოგიური და გეოგრაფიული სივრცის დადგენა წარმოადგენს, ხოლო ლექსიკური ეტიმოლოგიის მიზანი სიტყვის ძირის კვლევაა².

ნაშრომში გამოყოფილი და გაანალიზებულია ონიმური მასალის ლექსიკოლოგიური, ლექსიკოგრაფიული, ლოგიკური, სემასი-

¹იქვე, 199-200.

²იქვე, 203-210.

ოლოგიური, ტერმინოლოგიური, ტიპოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ისტორიული, გეოგრაფიული და კულტუროლოგიური ასპექტები¹.

ნაშრომის ბოლო, VII პარაგრაფში პ. ცხადაია ეტიმოლოგიაზე მსჯელობს ზოგადად, როგორც ენათმეცნიერების დარგზე, რომელიც იკვლევს ამა თუ იმ სიტყვის შედგენილობასა და თავდაპირველ მნიშვნელობას, მის კავშირს მონათესავე ან სხვა ენის სიტყვებთან. ტერმინი **ეტიმოლოგია** ორი ბერძნული სიტყვის – *etymon* („ჭეშმარიტება, სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა“) და *logos* („მოძღვრება, სწავლება“) შეერთებით არის მიღებული. ონიმის ეტიმოლოგიის მიზანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი თავდაპირველი (ონიმატული) მნიშვნელობის დადგენაა, ონომასტიკური ეტიმოლოგია კი გულისხმობს ონიმის წარმომავლობის, შედგენილობისა და ონიმატული მნიშვნელობის კვლევას, ანუ ეტიმოლოგიზებას. საკუთარი სახელების, როგორც სრულად თავისთავადი კლასის, გამოყოფა და ტერმინ „ეტიმოლოგიის“ პირველი გამოყენება დაკავშირებულია ცნობილი ბერძენი სწავლულის – ქრისიპოს (ძვ. წ. III ს.) სახელთან. „ონიმის ეტიმოლოგიზებისას... საკმარისია მისი ამოსავალი ლექსემის (საზოგადო თუ საკუთარი სახელის) ფორმისა და მნიშვნელობის (შემდგენისდაგვარად – ისტორიისაც) დადგენა, რისთვისაც საჭიროა, ისტორიულ-კულტურულ რეალიებთან კავშირისა და სათანადო ენობრივ სისტემაში ფუნქციონირების გათვალისწინება“². თქმულის საინტერესოდ გაანალიზებულია ეპონიმური გვარი **დიდმელაშვილი**, რომლის ამოსავალია პიროვნული სახელი (თუ მეტსახელი) **დიდმელა**. აქ მთავრდება გვარის ეტიმოლოგია. თავის მხრივ, დიდმელა გასუბსტანტივებული წარმომავლობის სახელია, რომელიც –ა სუფიქსის საშუალებით ქცეულა საკუთარ სახელად. ამოსავალია გეოგრაფიული სახელწოდება **დიდომი**. როგორც ჩანს, ამ სოფლიდან იყო ეპონიმი. ამით მთავრდება დიდმელას ეტიმოლოგია. შემდგომ საფეხურს თვით ტოპონიმის წარმომავლობის დადგენა წარმოადგენს. სავარაუდოა, რომ ამოსავალი იყოს შე-

¹იქვე, 221-231.

²იქვე, 232.

სიტყვება **დიდი მღვიმე**, მაგრამ აპელატივ მღვიმის წარმომავლობის დადგენა ონომასტიკისათვის აუცილებელი არ არის¹.

ეტიმოლოგია, პ. ცხადაიას აზრით, უმეტეს შემთხვევაში ჰიპოთეზაა, მაგრამ არაიშვიათად შეიძლება იმის მტკიცება, რომ ამოსავალი ფუძის ესა თუ ის განმარტება ერთადერთი და აბსოლუტურია. ეს ეხება აპელატივსაც და საკუთარ სახელსაც. ეტიმოლოგიას დამაჯერებლობას ჰმატებს, როცა ერთი და იმავე ტოპონიმის წარმომავლობის კვლევისას ორი მკვლევარი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთსა და იმავე შედეგს მიიღებს. ამის ერთ-ერთ ბედნიერ შემთხვევად მიჩნეულია ქართლში, თემის ხეობაში მდებარე სოფელ ერთაწმინდის სახელწოდებასთან დაკავშირებით ისტორიკოს ს. ჯანაშიასა და ენათმეცნიერ ა. შანიძის მიერ გაკეთებული დასკვნები. ს. ჯანაშიამ ისტორიულად დადასტურებულ ფორმაში „ერთაწმინდა“, ევსტათი//ევსტატი ფუძის ცვლილება დოკუმენტალურად გაამაგრა (ევსტატე-წმინდა → ესთა-წმინდა → ერთა-წმინდა), ხოლო ა. შანიძე ქართულისათვის ისტორიულად დამახასიათებელი ბგერათცვლილების გათვალისწინებით შეეცადა, ეტიმონში მომხდარი ცვლილებები ფონეტიკურად გაემაგრებინა. მაშასადამე, ა. შანიძის აზრით: ევსტათი (ძვ. ქართულში) → ესტათი (ფ-ს დაკარგვით) → ესტატე (ჟ ბოლოკიდურიან სახელთა ანალოგიით) → ესტატე (ასიმილაციით) → ესთატე (დისიმილაციით) → ესთა (ტე ბოლოკიდური კომპლექსის მოკვეციტ) → ერთა (შდრ.: სთუელი → რთველი, სძალი → რძალი...)².

ოიკონიმ **ერთაწმინდის** ა. შანიძისეული ახსნა მეცნიერული ეტიმოლოგიის კლასიკურ, საქრესტომათიო ნიმუშად არის მიჩნეული (კ. დანელია, ზ. სარჯველაძე). პირუკუ შემთხვევაც იშვიათი როდია, ანუ როცა დიდი მეცნიერის მიერ ერთი და იმავე ტოპონიმის განსხვავებული ეტიმოლოგიაა შემოთავაზებული: საქართველოს ერთ-ერთი კუთხის სახელი **რაჭა**, აკაკი შანიძის ვარაუდით, წარმოადგენს სვანური ფორმის **რატშა**-ს „რატისა“ ვარიანტს, ხოლო გიორგი ახვლედიანი ფიქრობდა, რომ ამოსავალია სვანური სიტყვა **რაჭე** „კურდღელი“. ერთმანეთისგან მკვეთრად

¹იქვე, 231-233.

²იქვე, 234-235.

განსხვავებული ეს ორი მოსაზრება, ბუნებრივად ბადებს კითხვას, რომელი მოსაზრებაა ჭეშმარიტი?¹.

საკუთარი სახელი, აპელატივის მსგავსად, კონკრეტულ საგანს მიემართება და არა ცნებას. აპელატივის მიმართ საკუთარი სახელი ობოზიციური სიტყვაა და ომონიმებს ქმნიან. საკუთარი სახელის ფუძე შეიძლება იყოს როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელი, ამასთანავე – მარტივიც, წარმოქმნილიც და რთულიც. ონომატოლოგის მიზანს სწორედ მათი გამოვლენა წარმოადგენს და არა სიდრმისეული ანალიზი².

ეტიმოლოგიური გამჭვირვალობის დაკარგვას, ავტორის თქმით, საკუთარი სახელის მიერ ამოსავალ ფუძესთან (აპელატივთან) შინაარსობრივი კავშირის გაწყვეტას **დეეტიმოლოგიზაცია** ეწოდება. საზოგადო სახელის ეტიმოლოგიისას გამოიყენება საზოგადო სახელის უძველესი ძირების აღდგენა-რეკონსტრუქცია, რაც საჭიროებს ფონეტიკურ კანონზომიერებათა და მონათესავე ენათა ჩვენებების გათვალისწინებას, მაგრამ იმავე კრიტერიუმით შეუძლებელია საკუთარი სახელის ეტიმოლოგიური ანალიზი³.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საკითხზე, რომ ადამიანი მიდრეკილია, თუნდაც უცხოენოვან საკუთარ სახელში ეძებოს მისაღები და გასაგები და ამ მიზნით ხშირად მიმართავს გადააზრებასაც, რასაც მივეყვართ ცრუ ან ხალხურ ეტიმოლოგიამდე. გაანალიზებულია ხალხური ეტიმოლოგიის რამდენიმე ნიმუში (ლანჩხუთი, ავლაბარი, მუხურა, მუხური, მუხურჩა, ჯაპანა, ოჩხამური, ნუკრიანი, ლახამი, ლახამულა...)⁴.

მნიშვნელობაგაუჩინარებული (დეეტიმოლოგიზებული) საკუთარი სახელის თავისებურ ახსნა-განმარტებას **ხალხური ეტიმოლოგია** ეწოდება. ხალხური ეტიმოლოგია არ ითვალისწინებს ფონეტიკურ გადასვლათა კანონზომიერებებს, მორფოლოგიურ სტრუქტურას, ისტორიულ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-კულტურულსა თუ რელიგიურ რეალიებს და დამყარებულია ბგერათა

¹იქვე, 235.

²იქვე, 237.

³იქვე, 238.

⁴იქვე, 239-243.

მხოლოდ შემთხვევით მსგავსებაზე. მაგალითები: ვარძია ← აქ ვარ ძია, სამტრედია ← სამი მტრედია, ჭიათურა ← ჭიაა თუ რა? და სხვ. „ამა თუ იმ ტოპონიმთან დაკავშირებით (ტოპონიმთა ლექსიკონში, ტოპონიმის კვლევისას და სხვ.) აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი მასთან დაკავშირებული ყოველგვარი გადმოცემა, მათ შორის ხალხში გაერცელებული მცდარი ახსნა-განმარტებაც, მაგრამ როგორც ხალხური (და არა მეცნიერული) ეტიმოლოგია“, – დაასკვნის პ. ცხადია.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე
**რეგიონული ტოპონიმის აღწერისა და
კვლევის პრობლემები**

§5. კოლხეთის ტოპონიმის მასალები

1999 წელს გამოცემულ ნაშრომში – „ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან – I“ – მკვლევარს წარმოდგენილი აქვს რამდენიმე ათეული კოლხური გეოგრაფიული სახელწოდების ეტიმოლოგია. მოცემულია შუა საუკუნეების უცხოურ რუკებზე დაფიქსირებული ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცია და განმარტება. ნაშრომს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. დაიბეჭდა პროფ. აღ. ღლონტის რეცენზია. ქართველური ენების ტოპონიმიურ ლიტერატურას, – წერდა რეცენზენტი, – შეემატა პაატა ცხადაიას „ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან“. წიგნისადმი ინტერესს განაპირობებს მასში პირველად აღძრული და გაშუქებული მრავალი აქტუალური და საჭირობოროტო საკითხი. რეცენზენტი ხაზგასმით აღნიშნავდა ნაშრომში საანალიზოდ მოხმობილ მთიანი სამეგრელოს, სამურზაყანოსა და ისტორიული კოლხეთის რეგიონების მიკროტოპონიმიური მასალის სიუხვეზე, რაც ავტორის, პ. ცხადაიას მიერ შეპირისპირებულ-შედარებულია ძველ და ახალ ჩანაწერებთან, აფხაზური ენისა და მისი დიალექტების მონაცემებთან და ამ გზით გამოვლენილია სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმაში სვანური სუბსტრატისა და აფხაზური სუპერსტრატის, ხოლო ქვემო იმერეთის ტოპონიმაში – ზანური სუბსტრატის, აგრეთვე ქართულ-ზანურ შესატყვისობათა ცალკეული შემთხვევები. მოცემულია ცდა აღნიშნული მასალის ახლებური კვალიფიკაციისა და მოდელირებისა წერილობითი თუ ზეპირი მონაცემების მიხედვით. რეცენზენტი იზიარებს ავტორის მსჯელობებს აფხაზური წარმომავლობის **აფთურა**, **ახკარა** და **ახრა** ტოპონიმების **გასხაპალი**, **გასხაპუ**, **გიოსხაპაია**, **გოსხაპურე**, **ოსხაპუე**, **ოსხაპური...**, **ერისწყლისა** და მისი ტოპონიმიური ვარიანტების, ქართული „გვილის“ ტოლფარდი **ვე** ლექსემისა და მისგან მიღებული გეოგრა-

ვიული სახელწოდებებისა (**ველიდი, ვერჩე, ვეშაუდელი...**) და სხვათა, ეტიმოლოგიური ძიებების საფუძვლების შესახებ. „უადრესად მწვავე და ხშირად სადავო საკითხებზე ავტორს გამოთქმული აქვს დასაბუთებული შეხედულება... მისი მსჯელობა თუ ეტიმოლოგია... გამოირჩევა სიახლეებით, ძიებაში ახალი მასალების მოშველიებით და დასკვნებით, რომელთა ძირითადი ნაწილი საყოველთაოდ მისაღები და გასაზიარებელია... ჩვენი ავტორი, პაატა ცხადაია, კარგა ხანია ემსახურება სწორედ მიკროტოპონიმის შესწავლას და მჯერა, მისი შრომებიდან ერთ-ერთ გამოირჩეულ ადგილს დაიკავებს „ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან“, რომლის პირველი მონაკვეთი ეს-ესაა უკვე მიიღო მკითხველმა“, – ასეთია ონომასტიკის ცნობილი სპეციალისტის შეფასება¹.

უნდა ითქვას, რომ პ. ცხადაიას ზემოთ დასახელებულმა წიგნმა დღის სინათლე იხილა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული ქართველურ ენათა ლექსიკოლოგიის ფასდაუდებელი შენაძენი – ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ ოთხტომეული და ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“. ამ ლექსიკონებში ავტორებმა თავი მოუყარეს მათ მიერ მოპოვებულ, აგრეთვე სამეცნიერო სტატიებსა თუ ფოლკლორულ მასალებში დადასტურებულ ყველა სიტყვას. ამის მიუხედავად, მეგრულის ლექსიკური სიმდიდრის ძიება და მოპოვება არ იყო დასრულებული, რასაც ადასტურებს სამეგრელოს ტოპონიმებში შემონახული და პ. ცხადაიას მიერ განმარტებული რამდენიმე ათეული ლექსიკური ერთეული, მარტივი თუ წარმოქმნილი (სახელისმიერი ან ზმნისმიერი). ზოგი მათგანი ავტორმა პირველად შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. ამ ლექსიკური ერთეულებით შეივსო შემდეგ ო. ქაჯაიასა და ა. ქობალიას ლექსიკოლოგიური შრომები.

ზოგიერთი სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, შევეცადეთ პ. ცხადაიას ეტიმოლოგიური განმარტებანი შეგვედარებინა ამ ორ ლექსიკონში თავმოყრილი სიტყვების მნიშვნელობებთან და გვეჩვენებინა გარკვეული მსგავსება-განსხვავებანი მათ შორის.

¹ ალ. დღონტი, ნაშრომი კოლხეთის ტოპონიმიაზე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №96, 14 აპრილი, 1999.

მთიან სამეგრელოში მცირე ძაბრისებრ ორმოს ალგელს უწოდებენ, რაც აფხაზურიდანაა ნასესხები. ალგელ ფერდობის სახელია წალენჯიხის რაიონის ს. წყოუშში. ოროგრაფიულ ტერმინს ვხვდებით გადმოცემაში არამხუტუს შესახებ. ენგურის გაღმა-გამოღმა, ყვირასა და ოხაჩქუეს მთებზე მდგარი არამხუტუ და ოხოკოჩი ერთმანეთს სტყორცნიდნენ ლოდებს და სადაც ისინი დაეცემოდა, იქ ალგელები ჩნდებოდა¹. ა. ქობალიას განმარტებითაც **ალგიდი**, **ალაგიდი**, **ალაგიდა** იგივეა, რაც „ძაბრი; ძაბრისებური ორმო, კრატერი“².

პ. ცხადაიას წიგნის ანალიზისადმი მიძღვნილ რეცენზიაში პროფ. ალ. ღლონტი აღნიშნავდა: „შრომაში სწორადაა მითითებული, რომ ადრე კოლხი მეჯოგე-მესაქონლეები მთის საძოვრებისაკენ საქონლის გარეკვის წინ გზადაგზა ქმნიდნენ სეზონურ გაერთიანებებს, ერთგვარ დროებით სადგომებს, რომელთაც სამურზაყანოში ფანიას უწოდებდნენ. ფანია ლექსემა (რეცენზიაში შეცდომით „ლექსები“ წერია – ი. კ.) სამეცნიერო ლიტერატურაში პირველადაა აღწერილი და ეტიმოლოგიაც ეფარდება ფაქტობრივი მასალის მონაცემებს“³. **ფანია** სიტყვას მეგრულში რამდენიმე მნიშვნელობით ხმარობენ: კვამლი; ოჯახი, სახლეული (ცოლზეც იტყვიან); ამაღა; ამხანაგობა (მეჯოგეებისა); სანათესაო კუთხის საზოგადო სახელი⁴. პ. ცხადაიას აფხაზთა და მეგრელთა მრავალსაუკუნოვანი მეზობლობის შედეგად სიტყვათა სესხების მრავალი ფაქტიდან დასახელებული აქვს არა **ფანია**, რაზეც ალ. ღლონტი მიუთითებს, არამედ აფხაზურიდან მეგრულში **აფთარა**, **აფთურა**, **აეთურა** ვარიანტებით შესული **ააფთარა**⁵, რაც ნიშნავს „მწყემსების საზამთრო სადგომ ადგილს ბარში“⁶. ასეა იგი განმარტებული ბ. ჯანაშიას ლექსიკონში⁶. **აფთარა**, **აფ-**

¹პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I, 1999, 12.

²ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010, 26.

³ალ. ღლონტი, ნაშრომი კოლხეთის ტოპონიმიასზე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №96, 14 აპრილი, 1999.

⁴ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 622.

⁵პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I, 15.

⁶ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954, 6.

თურა ა. ქობალიას მიერ განმარტებულია როგორც მწყმების სახანძრო სადგომი, ქართა, შემოდობილი საქონლისათვის¹.

აფხაზური **ა-ამაზ** „ჭაობი, ჭანჭრობი“ სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიაში დადასტურებულია ფონეტიკური ვარიანტების სახით: **აზმახი, ამმახი, ამმაზუ**. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ **ამმახი** განმარტებულია როგორც გუბე, ტბორი მთაში (სამურზაყ.)².

ახრა მაღალი კლდის სახელია სოფ. ლედარსალეში, ხურუს მარცხენა მხარეს და კლდეებია გალის რაიონის სოფლებში (ჭყონხუმლა, წარჩე...). ეს სიტყვაც აფხაზური წარმომავლობისაა. ბ. ჯანაშიას მიერ 1954 წელს გამოცემულ „აფხაზურ-ქართულ ლექსიკონში“ **ა'-ხრა** განმარტებულია როგორც „ციცაბო კლდე“³. შდრ.: „**ახრა** მიუვალი კლდე, ციცაბო, ქარაფი, კორტოხი (იხ. **არხა**)“; „**არხა** – ჩეგეში ციცაბო უფსკრული“⁴.

ანარიის ღელე/ჭითაწყარი ჩხოუშიის მარცხენა შენაკადია სოფ. ჭითაწყარში. ჭითაწყარი „წითელი წყალი“ მოედინება ანარიად//ონარიად სახელდებული ნაჭაობარიდან (ზუგდიდის რ.). ასევე **ონარიე** სახნავის სახელწოდებაა მდ. გურძემის მარჯვენა ნაპირას, ხოლო **ანარია** ეწოდება სოფელს გალის რ-ნის გუდავის თემში. პ. ცხადაიას აზრით, **ონარიე ნარუა** ზმნური ფუძის მომავალდროიანი მიმდევობაა, წარმოქმნილი დანიშნულების ო-პრეფიქსით. მოსალოდნელ -ე სუფიქსს დართვია მატოპონიმებელი -ა და -ეა → -ია. ეს -ია უკვე ო-პრეფიქსის თანმხლებ სუფიქსად უნდა აღვიქვათ, ხოლო -იე – მის ფონეტიკურ ვარიანტად. **ნარუა**, განმარტავს მკვლევარი, მეგრულში აღნიშნავს მცირე, ნარნარ რწევას, რყევას, ნძრევას. მდორე წყალს რომ ჭავლი დაჰკრავს და ზედაპირს შეარხევს, იმაზეც იტყვიან – **ინარუუ. ნარნარ-** კომპოზიტშიც **ნარ-** ძირი ჩანს. ტოპონიმებისათვის, რომლებშიც ეს ძირი გამოიყოფა, ამოსავალია **ნარუა**. „**ონარიე**, ჩვეულებრივ, არის ჭაობნარი, რომლის ზედაპირი ირყევა, ირწევა, თრთის ფეხის

¹ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 42.

²იქვე, 48.

³მსჯელობისათვის იხ. პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმებიდან, I, 12.

⁴ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 54.

დადგმისას (შდრ. **ოცანცალეში**)¹. ა. ქობალიას განმარტებით, **ანარია** აღნიშნავს წყლის ნადგომს, ჭაობს; ანარევს, ხოლო **ანარა** განმარტებულია როგორც გავაკება; ვაკე ადგილი უმნიშვნელო სიმაღლის ბორცვებით; დიუნა, დიუნებიანი; ნაჭაობარი². **ანარია**, **ონარიე**, იმავე ლექსიკონის მიხედვით, მდინარის ნელი დინების, დამდოვრების ადგილია, ხოლო მეორე მნიშვნელობაა ნაწყლევი, ჭაობიანი, არამყარი ადგილი³.

აფხაზურიდან მეგრულში ნასესხები ლექსიკა, პ. ცხადაიას თქმით, ძირითადად მესაქონლეობასთან, ან, საერთოდ, მთის ლანდშაფტთან არის დაკავშირებული. არა მარტო სამურხაყანოელ, არამედ ენგურის მარცხენა მხარის მეგრელთა მეტყველებაში, თავს იჩენს და, შესაბამისად, ტოპონიმიაშიც დასტურდება, აფხაზური ლექსემები: **აფუნი** „გაზაფხული“, **აფშირა** „ხის სამაწვნე ჭურჭელი“, **ძაგა** „ვეძა წყალი“, **ახრა** „ციცაბო კლდე“, **ხერაძაგა** „რძის საწური“, **აჰაფუ** „გამოქვაბული“, **აძმახი** „გუბე“, აფთურა, **ახკარა** და სხვ.⁴.

სამეგრელოში დადასტურებული ტოპონიმები – **აფთარა/ნა-აფთარუ**, **ნაფთერ**, **ნაოფთერ**, **ნაოფთურ**, **ნაოფთურა**, **ნაოფთურუ**, **ნაფთერ**, **ოფთურედა** სხვ. ადასტურებს აფხაზური **აფთარა**-ს – „მწყემსების საზამთრო სადგომი ადგილი ბარში“, – მეგრულში ამავე მნიშვნელობით, ოღონდ სხვადასხვა ფორმით შესვლას. სამეგრელოს ზოგ სოფელში მას განსხვავებული შინაარსი შეუძენია. მაგ.: „უშობელი საქონლისათვის შემოკავებული ადგილი“ (სოფ. ნაცატუ); „ცხვრის სამწყვდევი“⁵.

ა. ქობალიას ლექსიკონის მიხედვით **აფთარა**, **აფთურა** ეწოდება მწყემსების საზამთრო სადგომს, საქონლისთვის შემოდობილ ქართას⁶. ჩრდილოეთ სამეგრელოში **ახკარა**, **ახკერა**, **ხეკარა** ფორმით და „საქონლის სადგომად შემოკავებული ადგილის“ მნიშვნელობით აფხაზურიდან შემოუღწევია **ა-ხკაარა** სიტყვას.

¹იქვე. 13.

²ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 37.

³იქვე. 538, 539.)

⁴პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I, 15.

⁵იქვე. 15-16.

⁶ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 42.

ავხაზურში იგი აღნიშნავს „შემოდობილ ადგილს, რომელიც ეზოს აკრავს“. ა. ქობალიასაც **ახეარა, ხეკარა** განმარტებული აქვს, როგორც „საქონლისათვის შემოდობილი დროებითი სადგომი, რომელიც ეზოს აკრავს“¹.

პ. ცხადაია **გენა** სიტყვას გამოყოფს სამეგრელოს ტოპონიმებში: **ნაგერ, ჯოგოშ ნაგერ, ნაგერუ**. იმოწმებს ამ სიტყვის ი. ყიფშიძისეულ განმარტებას („თევზსაჭერი ძარა“). იქვე ასახელებს პ. ჭარაიას განმარტებას: „**გენა, დარჩი** – ფაცერი, გეჯა, ორბ. ახსნით ხის დიდი გობი“². „გენა თევზის საჭერი ღარისნაირი მახეა, წნელით დაწნული, სიგანით 60-70 სმ, სიგრძით 3-5 მ. თავში ღიაა, ბოლოში დახურული, რათა თევზი არ ამოხტეს. მდინარეს მთლიანად (თუ მცირეა) ან ნაწილობრივ გადაკედლავენ, ვიწრო ღარში ჩააგდებენ და გენაზე მიუშვებენ. წყალი გადის და თევზი ზედ რჩება“³.

ასეთივე განმარტებაა მოცემული ა. ქობალიასთან, რომლისთვისაც **გენა** იგივეა, რაც გეჯა. შდრ. **გენათ ჩხოშუა** „გენათი თევზაობა“⁴.

ტერმინი **დარჩი**, პ. ცხადაიას ცნობით, გავრცელებულია სამეგრელოში. სოფ. მეორე გუდავაში მდ. აძურუს მონაკვეთს **ნადარჩი** ჰქვია. ამ ადგილას გენას მსგავსი მოწყობილობა ყოფილა გამართული⁵. ა. ქობალიას სიტყვის ამ მნიშვნელობასთან ერთად მოცემული აქვს დარჩის სხვაგვარი განმარტებაც: „ფიცრით მოგებული იატაკი“⁶. მაგრამ როცა ვმსჯელობთ ტოპონიმ **ნადარჩი**-ის ეტიმოლოგიაზე, მისაღებია მისი გააზრება თევზის საჭერ მოწყობილობად, ვინაიდან მხოლოდ ამოსავალი ფუძის მნიშვნელობის დადგენით სახელწოდების წარმომავლობის ახსნა (ეტიმოლოგია) შეუძლებელია.

პ. ცხადაიას მთიან სამეგრელოში სამგან აქვს ფიქსირებული ტოპონიმი **გიშახუნაფუ (//გეშახუნაფუ)**. ამოსავალია მესაქონლეო-

¹იქვე. 54.

²იქვე. 18.

³იქვე.

⁴იქვე. 104.

⁵იქვე. 18.

⁶ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 236.

ბასთან დაკავშირებული ტერმინი **გიშახუნაფა/გეშახუნაფა**. „გიშახუნაფუ ის ადგილია, სადაც დროებით შეამხანაგებულნი მეჯოგეები შემოდგომის დამდეგს გამოასხამდნენ თავ-თავიანთ თხაცხვარს, რათა დამოუკიდებლად განეგრძოთ გზა სოფლისაკენ“, – განმარტავს პ. ცხადაია¹. შდრ.: ა. ქობალიას განმარტებით, **გიშახუნაფა** გულისხმობს გამოსმას, გამოცალკეეებას რამისას; მთიდან ერთმანეთში შერეული ჯოგის, არვეს ჩამორეკვის შემდეგ შეპაიეთა მიერ საკუთარი წილის გამოცალკეეებას; ყოჩის გამოცალკეეებას. იქვე მოცემულია **გიშახუნაფუ** სიტყვის შემდეგი განმარტება: „საგანგებოდ შერჩეული ადგილი, სადაც ხდებოდა გიშახუნაფა ანუ მთაში ნაძოვები, გაერთიანებული ჯოგიდან და არვედან საკუთარი თხა-ძროხის გამოცალკეეება“². როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ლექსიკოგრაფი ეყრდნობა სიტყვის პ. ცხადაიასეულ გააზრებას.

ჰიდრონიმი „**ინწირას**“ ამოსავალი, პ. ცხადაის თქმით, არის „ვიწრო, წვრილი“, რაც ქართულიდანაა ნასესხები და მიღებულია გარკვეული ცვლილებებით, ზოგი ფონეტიკური პროცესის შედეგად. **ინწ(ვ)რა** ეწოდება ვიწრო და წაგრძელებულ გუბეს ნაკიფუში და ჭანისწყლის მარჯვენა შენაკადს საჩინოში. ორსავე შემთხვევაში **ინწვრას**, **ინწირას**, როგორც გეოგრაფიული ტერმინის, მნიშვნელობაა „ვიწრო“, „ვიწრობი“ და წარმოადგენს „ვიწრო“ ზედსართავი სახელის მეგრულ ვარიანტს³. ა. ქობალიას განმარტებით **ინწირა** იგივეა, რაც „ვიწრობი, ორწოხი“. ზმნხ. **ინწრას** იგივეა, რაც „ვიწროდ, შემჭიდროებულად, შეიწროებულად“, ხოლო **ინწრო** „ვიწროს“ ნიშნავს⁴. **ინწრო**, ო. ქაჯაიას განმარტებით „ვიწროა“. დამოწმებულია საილუსტრაციო მასალაც: „**თენერი რე წუთისოფელი, მინშო ინწრო, მინშო – ფართო – ასეთია წუთისოფელი, ვისთვის ვიწრო, ვისთვის – ფართო. პანტონიში ინწრო ხინც მუშ ნებაშა ვამნართეს...** – პანტონის ვიწრო ხიდზე თავის ნებაზე ვერ გადავიდნენ“⁵.

¹იქვე, 20.

²იქვე, 183.

³იქვე, 25.

⁴ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 349.

⁵ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 2002, 90.

ჭანისწყლის მარჯვენა შენაკადისა და მისი საყოველთაოდ ცნობილი ჩანჩქერის სახელწოდების – **ინწრას//ინწვრას** ეტიმოლოგიის შესახებ არასწორი განმარტებაა მოცემული გ. ბედოშვილის წიგნში. მკვლევარი ფიქრობს, რომ „მდინარის სახელწოდება შესაძლოა მეგრ. **ინჭირ//ინჭვრა** სიტყვასთან ავლენდეს საერთოს (შდრ. მეგრ. წარმოშობის გვარი **ინწკირ-ველი**)“¹. **ინჭირ//ინჭირია** მეგრულში იგივეა, რაც ანწლი².

პ. ცხადაია აღნიშნავს, რომ მეგრულში რაიმე წვეტიანის, წაწვეტბულის მნიშვნელობით გამოიყენება სიტყვა **წუთურე, წურთულია**. „წუთ- ძირი ქართულ წვეტ-ს უკავშირდება: -ვე კომპლექსს ენაცვლება უ (შდრ.: ჭვაფი → ჭვე → ჭუ... ლაზურშიც: ჭვეთ → ჭუთ), ხოლო ტ → თ (დისიმილაციით). -ურ-ა, ულ-ა სუფიქსს დაახლოებით ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორც ქართულში -იან-ს. წურთულია ფორმაში რ განვითარებულია. „დუღწურთულია“ არისო, იტყვიან თავწვრილ კაცზე“³. საილუსტრაციოდ მკვლევარი ასახელებს სამ ტოპონიმს: **წუთურე** – აზიდული კლდე წუთურეწყარის სათავესთან, ს. გოდოგანში; **წურთულია-ტობა** – მორევი ბუმიზე, დ. ჩხოროწყუში. მორევის შუაში აღმართულია თავწვეტიანი ღოღი; **ქუაწუთურე** – მორევი ოჩხომურზე, ს. ლედარსალეში. წყალში თავწვეტიანი ქვა-სვეტია. ამ ქვის სახელი მორევეზეც გადასულა⁴. ა. ქობალია **წუთურე** სიტყვის ორ მნიშვნელობას გვთავაზობს: „წვეტიანი“, „წვრილ ნაკადად მდინარი. შდრ. **წუთურე წყარი** „წვრილი ნაკადი“⁵.

იორდანე//ნაკურთხეწყარი ცივის მეტერიის მარცხენა შენაკადია. ჩაუვლის აღერტის წმ. გიორგის ეკლესიას. პ. ცხადაია იმოწმებს ხანდაზმულის ნაამბობს სახელდების მოტივაციაზე: თხმელის ძირში წყალი იყო დაგუბებული. წყალკურთხევის დღეს მღვდელი წყალს აკურთხებდა და შიგ ჯვარს ჩააგდებდა. ახალ-ცოლმოყვანილი ფულს გადაიხდიდა, ჯვარს ამოიყვანდა და მთე-

¹ გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, II, თბ., 2013, 456.

² ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 349.

³ იქვე, 26.

⁴ იქვე, 27.

⁵ იქვე, 700.

ლი ერთი წელი ის იყო იესო ქრისტეს მორდია (ნათლია)¹. ა. ქობალიას სალექსიკონო მასალის მიხედვით **იორდანე** იგივე **ნაკურთხი წყალია** (მდ. იორდანეს ანალოგიით). იორდანეს უწოდებენ ნებისმიერ მდინარეს ან საგანგებოდ დაგუბებულ წყალს, რომელსაც მღვდელი ნათლისღების დღესასწაულისათვის აკურთხებდა². ლექსიკონში მოცემულია აგრეთვე განმარტება შესიტყვებისა: **იორდანეშ კეთება**: მდინარის კურთხევა, ან საკურთხებელი წყლის დაგუბება უპირატესად ეკლესიის ეზოში, ან სხვაგან, ნათლისღების დღესასწაულისათვის³.

სოფ. ხორშში, ჯვარკარის დასავლეთ კალთაზე მდებარე მინდვრის სახელწოდებად პ. ცხადაიას დამოწმებული აქვს ტოპონიმი **ნაჩხანჭუ**. ხორშსა და მის ახლომახლო სოფლებში **ჩხანჭუ**-სახელური ფუძისაგან წარმოქმნილი ზმნური ფუძე **ჩხანჭუა/ჩხანჭობა**, მკვლევრის ცნობით, ხალხური სპორტის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი იყო: ასპარეზობის მონაწილე ახალგაზრდა ხის კენწეროზე ავიდოდა და ცდილობდა, თავისი სიმძიმით ისე მოეხარა იგი, რომ ფეხებით მიწას შეხებოდა. ასეთი შეჯიბრება მარტ-აპრილში, ქვეჯვარობის შემდეგ სცოდნიათ. ერთ-ერთ ასეთ საასპარეზო ადგილს დარქმევია **ნაჩხანჭუ** „სადაც ჩხანჭობა იმართებოდა“⁴.

საგულისხმოა მხარეთმცოდნე გ. ელიავას ეთნოგრაფიული მონაცემებიც: ქართის ერთ კუთხეში მდგარ ჩხანჭუს თავს აფარებს საქონელი დარსა და ავღარში. ამიტომ ჰქვია **ჩხანჭი** – „ჩხანა“ და „ჭვიმა“⁵. ალბათ ამ ცნობას ეყრდნობა ო. ქაჯაიას სალექსიკონო განმარტება: „**ჩხანჭი-ი (ჩხანჭის)** ქართის ერთ-ერთ კუთხეში აკეთებდნენ **ჩხანჭს**, – ესაა ოთხ ბოძზე შემდგარი ის-

¹იქვე, 28.

²ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 349.

³იქვე, 349.

⁴პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან, I, 1999, 59; ტოპონიმ „ნაჩხანჭუს“ ეტიმოლოგიას მკვლევარი ეხება ერთ საგაზეთო სტატიაშიც, სადაც აღნიშნავს, რომ მხოლოდ გერმანე ავალიანმა შეძლო ამ სახელწოდების ახსნა; ჩხანჭი მოხრილი თხილის ტოტია, რომელიც ფრინველის დასაჭერი მახის გასამართავად გამოიყენება. ჩხანჭობა კი ხალხური სპორტის სახეობაა. იხ. პ. ცხადაია, ტოპონიმი – წინაპრების გადაშლილი წიგნი. გაზ. „კოლხეთი“, №125, 23 ოქტომბერი, 1984, 4.

⁵გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო. ალბომი. ქუთ., 1989, 29.

ლით (ან სხვა რამით) გადახურული ნაგებობა, ავდარსა და ცხელ ამინდში საქონლის თავშესაფარი“¹. ა. ქობალია განმარტავს: „**ჩხანჭი** უკედლო, ისლით გადახურული ფარდული საქონლისთვის წვიმაში თავის შესაფარებლად; თხილის ან სხვა ღრუკადი ხის მოხრილი, მოშვილდული ტოტი. გამოიყენებოდა ფრინველის დასაჭერი მახის გასამართავად“².

§6. სამურზაყანოს ტოპონიმის მასალები

პროფ. პაატა ცხადაიამ ოცწლიანი (1969-1989 წწ.) საველე-საექსპედიციო მუშაობის შედეგად დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარში მოპოვებული დიდძალი ტოპონიმური მასალის ცალკეულ ნაკვეთებად გამოქვეყნება 2003 წლიდან დაიწყო. პირველად გამოქვეყნდა „სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“ (თანაავტ. ვილენა ჯოჯუა). აღნიშნული წიგნის წინასიტყვაობაში ავტორები აღნიშნავენ, რომ ენგურის ქვემო დინებასა და ღალიძგას შუა მდებარე ტერიტორია **სამურზაყანოდ** იწოდება, რადგან ამ მხარეს მართავდა აფხაზთა სამთავრო სახლის ერთ-ერთი მემკვიდრე მურზაყან შარვაშიძე.

XVI ს-ის ერთი თურქული საბუთიდან ირკვევა, რომ დადიანის ქვეყანა გურიელის ქვეყნის შემდეგ, სოხუმამდე მდებარე ტერიტორიას მოიცავდა. XVII ს-ის იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის მიერ 1654 წელს ნეაპოლში იტალიურ ენაზე გამოცემულ „სამეგრელოს აღწერაში“ საგანგებოდაა აღნიშნული, რომ სამეგრელოს „ყველაზე უკანასკნელი მდინარეა“ კოდორი, ხოლო „კოდორს იქით ცხოვრობენ აფხაზები თავისი განსაკუთრებული ენით“. პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას თქმით, აფხაზ ფეოდალთა მიერ ჩრდილოეთკავკასიელდაქირავებულთა დახმარებით ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთი ნაწილის დაპყრობა მდ. ღალიძგამდე XVII ს. დამლევისთვის მოხდა, ხოლო შემდეგ საზღვარმა ენგურამდე გადმოიწია, რასაც მოჰყვა ენგურ-კოდორის შუამდინარეთში ეთნიკურ-ენობრივი სიტუაციის მნიშვნელოვნად შეცვლა,

¹ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, 2002, 326.

²იქვე, 678.

კერძოდ, **აბჟუის** აბორიგენი მოსახლეობის სრულიად გააფხაზება. ძირძველი კოლხურენოვანი ტოპონიმია ამ ტერიტორიაზე სადღეისოდ სუბსტრატის სახითაა შემორჩენილი. დალიძეასა და ენგურს შუა მდებარე, სამურზაყანოდ სახელდებული ტერიტორიის მცხოვრებთა ეთნიკური ცვლის პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობდა¹. „ყოველივე ამის შედეგად დალიძის მარცხენა ნაპირის სოფლებში თვით მდ. ოხურეიმდე (ილორის თემში შემავალი სოფლების გამოკლებით, სადაც მეგრულია გაბატონებული), შეიძლება ითქვას, შეიქმნა ერთგვარი ენობრივ-დიალექტური გარდამავალი ზონა, ნარევი აფხაზურ-მეგრული მეტყველება აფხაზური ენის გარკვეული უპირატესობით (მკითხველი ამის დასტურს მიკროობიექტთა პარალელურ, ორენოვან სახელწოდებებში იპოვის). გალის რაიონში კი (სოფ. ჩხორთოლის ერთი უბნის გამოკლებით) აფხაზთა ნამყოფობას მხოლოდ რამდენიმე ათეული აფხაზური ტოპონიმური სუპერსტრატი და მეგრული მეტყველების მიერ შეთვისებული ასევე რამდენიმე ათეული სიტყვა შეგვახსენებს“².

სამურზაყანოს სრული ტოპონიმური აღწერის მიზნით ავტორთა მიერ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ჩაწერილია 11 ათასზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდება. სამურზაყანოს ტოპონიმებიდან 2003 წელს გამოცემულ წიგნში შეტანილია ფონეტიკური პროცესების მიმდინარეობის, გრამატიკის, ლექსიკოლოგიის, სიტყვაწარმოების, მოტივაციის თვალსაზრისით საინტერესო ერთეულები³.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ სავსედაა მუშაობისას ჩაწერილ მიკროტოპონიმთა მართლწერისას ავტორებს შეძლებისდაგვარად გაუთვალისწინებიათ აფხაზი თუ მეგრული რესპოდენტის წარმოთქმის თავისებურებანი და აფხაზურ ფონემათა ქართული ტრადიციული ტრანსკრიფცია, ენათმეცნიერ თ. გვანცელაძის „მცირე აფხაზურ-ქართულ ლექსიკონში“ (თბ., 2001) წარმოდგენი-

¹პ. ცხადაია, გ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003, 3.

²იქვე, 3-4.

³იქვე, 4.

ლი სატრანსკრიფციო ტაბულის მიხედვით¹. ოხურეის თემის სოფ. აყვარაშში მცხოვრები მეგრელები რთულ სუპერსტრატულ აფხაზურ სახელწოდებებს მეტყველებაში ერთ სიტყვად, შემადგენელი კომპონენტების გააზრების გარეშე წარმოთქვამენ. ამიტომ სალექსიკონო მასალაში ასეთი ტოპონიმები ერთ სიტყვადაა წარმოდგენილი. მაგ.: **გზზმალიკვარა** – დელე, **(ა)წიშიკვარა** – დელე, **აბიქვა** – წყალვარდნილი მდ. მორინჯეზე, **კუნიაშთა** – სახნავი (ორივე სოფ. აგვავერაში). „ეს სახელწოდებანი აფხაზურენოვანი სუპერსტრატებია კოლხურ ენაში, წარმოქმნილი XVIII-XIX საუკუნეებში. არაა იშვიათი ისეთი პარალელური, აფხაზურ-მეგრული, სახელწოდებანი, როგორცაა: **ათგრქეიკვარა//თურქიშდალ** – დელე სოფ. ლეკუმხარაში, **აბაბჟარა//ჟირჯიხაშქა** – გზის მონაკვეთი სოფ. ჩხორთოლში და სხვ.“²

წიგნში თავმოყრილ გეოგრაფიულ სახელწოდებათა სალექსიკონო მასალას მოსდევს სამისამართო ერთეულის (სოფლის, ტერიტორიული ერთეულის) მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება და ისტორიულ-ეთნოლოგიური ცნობები, ინფორმაცია ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის ყველაზე მრავალრიცხოვან და ძირძველ გვარებზე, გადმოცემები აქ მათ დამკვიდრებაზე, აგრეთვე იმ პირთა სია, რომელთაგან აგტორებს გეოგრაფიული სახელწოდებანი სხვადასხვა დროს ჩაუწერიათ.

წიგნის ანოტაციაში აგტორები ლაკონურად აღნიშნავენ, რომ „სამურზაყანო ენობრივი თვალსაზრისით ფრიად საინტერესო რეგიონია. აქ ორი ხალხის – აფხაზთა და ქართველთა (მეგრელთა) – სამასწლოვანმა თანაარსებობამ შექმნა ერთგვარი ენობრივ-დიალექტური და ეთნიკური გარდამავალი ზონა, რაც გამოიხატა ბუნებრივ ორენოვნებაში (ორივე ენის თითქმის თანაბარი ფლობითა და გამოყენებით), ორმხრივ ლექსიკურ ნახესხობებსა და პიბრიდულ ტოპონიმებში, ჩამოყალიბდა ურთიერთნდობა და პატივისცემა, ჭირსა თუ ღხინში თანადგომის ტრადიცია, ჩვეულებ-

¹იქვე, 7.

²იქვე, 7-8.

რივი მოვლენა გახდა შერეული ქორწინებანი, და ყოველივე ეს მომავალშიც უნდა გაგრძელდეს და განმტკიცდეს“¹.

სამურზაყანოს ტოპონიმია ინტერესს იწვევს მრავალმხრივი ასპექტით. კერძოდ, გვხვდება სინონიმური ტოპონიმები, ანუ ერთი გეოგრაფიული პუნქტი ერთდროულად მეგრული და აფხაზური სახელის მატარებელია. მაგ.: **ადართა//ოგორდე** „საბაყაყე (ადგილი)“ – სახნავი აძხიდაში (აგუბედიის თემი), **ათგრქეიკვარა//თურქიმ ღალ** „თურქის ღელე“ – აყვარათბის მარჯვენა შენაკადი კოხორასა და ლეკუმხარაში, **ახაფდუ//დიდიქუა** „დიდი ქვა“ – მთა, საძოვარი ენგურის ხეობისა და დალიძვის სათავის წყალგამყოფზე (სამურზაყანოს მთა), **ბახვაიშვეუსთა//ბახვაშ ნაყვან** „ბახვას ნაყანვეი“ – სახნავი უჩან ირაში (პატრახუწა, აგუბედიის თემი); **ზუყვაშ ტყე//ზუყვაიბნა** „ზუყვას ტყე“ – ტყე ბობოშიაკვარის მარცხენა მხარეს, სოფ. რეკაში; **ივანიხუ//ივანეშ სუკი** „ივანეს ბორცვი“ – ბორცვი ოხოჯის მარცხენა მხარეს, აძხიდაში...

გვხვდება ერთი და იმავე ადგილის სხვადასხვა, მეგრული და აფხაზური სახელები, რომელთა სახელდების მოტივაციაც განსხვავებულია: **აბაბჟარაშღული//ოქუალონი** – ტყე-ფერდობი მეორე კოპიტში. პირველი ვარიანტი ჰიბრიდულია. აბაბჟარა აფხ. იგივეა, რაც „ციხეთაშუა“. აფხაზურენოვან ტოპონიმს დართვია მეგრული **ღული** „თავი“ ინდიკატორი. სახელწოდების მეორე ვარიანტი **ოქუალონი** მეგრულია და „ქვიანს“ ნიშნავს; **აბაახუწა//ჯიხაშ ახუწა** – ფერდობი სატყეებუნოში, ბედიის მონასტრის სერზე. სახელწოდების პირველი ვარიანტი აფხაზურია და ნიშნავს „მთის ქვემო კალთას; გორისძირს“ (ა-ხუაწა – აფხ.). **ჯიხა** მეგრულად „ციხეს“ ნიშნავს.

სამურზაყანოს ზოგიერთ კომპოზიტურ ტოპონიმში ან მორფემა ნასესხები, ან სინტაგმის ერთ-ერთი წევრი. მაგ.: **აკაჭარონი** – ბუჩქნარი სათანჯოს კალთაზე, პ. აკვარაში. **აკაჭარას** სამურზაყანოში მცხოვრები აფხაზები უწოდებენ ჯაგრცხილას, ხოლო მეგრელები – ზღმარტლის მსგავს ხეს; **ალაშვარაშ სუკი** „საცეხველის სერი“ – მინდორი ნარჯხეუს სერის კალთაზე; **გორღამილი ახრა** „დაღარული კლდე“ – კლდეები სამურზაყანოს მთაში;

¹პ. ცხადაია, გ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 2.

გეოლოგიური აპაფუ „გამოხსენილი გამოქვაბული“ – კლდისძირი რეზინიშდუდის გვერდით...

§7. სამეგრელოს ტოპონიმის მასალები

§7. 1. ზუგდიდის რაიონი

პაატა ცხადიას წიგნი „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II“, მოიცავს ზუგდიდის რაიონის ტოპონიმის და მიკროტოპონიმის. ავტორს რაიონის ტოპონიმური აღწერა დაუწვია 1972 წელს და დაუსრულებია 1988 წელს. როგორც ვხედავთ, წიგნი მისი ავტორის ხანგრძლივი აღწერითი და კვლევითი მოღვაწეობის შედეგია, რაც, ბუნებრივია, ვინაიდან ნებისმიერი ტოპონიმური მასალა სწორედ მრავალწლიან საველე-აღწერით და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას მოითხოვს.

მკვლევრის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მას ამ რთული მიზნის მისაღწევად მრავალი დაბრკოლება წარმატებით გადაულახავს, რასაც ნათელჰყოფს დაახლოებით 700-გვერდიან წიგნში წარმოდგენილი უხვი ტოპონიმური მასალა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. პაატა ცხადია ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა და ეს წიგნი მხოლოდ ერთ-ერთია იმ მრავალ ნაშრომს შორის, რომლებიც მისი ონომატოლოგიური კვლევის შედეგებს ასახვას. ზუგდიდის რაიონის ტოპონიმურ მასალაში ავტორს არ გამორჩენია არც ერთი სოფლის, არც ერთი უბნის მიკროტოპონიმია, ოიკონიმია, ჰიდრონიმია. ამასთანავე, სათანადოდ არის წარმოდგენილი ისტორიოგრაფიული მონაცემები და თქმულება-გადმოცემები. წიგნში ავტორი გვთავაზობს მრავალი ტოპონიმის ახლებურ, პროფესიონალურ ეტიმოლოგიურ ანალიზს, საფუძვლიანად აზუსტებს და ავსებს დღემდე ცნობილ ეტიმოლოგიურ დაკავშირებებს (მაგალითად, ტოპონიმ **ზუგდიდის** შესახებ და სხვ.).

პ. ცხადიას მეცნიერულ და მოქალაქეობრივ ღირსებად უნდა ჩაითვალოს არაერთი ტოპონიმისა და მიკროტოპონიმის გამოვლენა, გასული საუკუნის იდეოლოგიზაციით შეცვლილი და დამახინჯებული ტოპონიმებისთვის ისტორიულად მართებული სახის აღდგენა-დაზუსტება და ა. შ. ზუგდიდის რაიონის ტოპონი-

მურ მასალათა სალექსიკონო მასალა მნიშვნელოვანი შენაძენია ქართველოლოგ-ონომატოლოგთა და საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

§7. 2. ხობის რაიონი

ხობის რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტის) ტოპონიმის საკითხებით სხვადასხვა დროს არაერთი ქართველი მკვლევარი დაინტერესებულა. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს პროფ. ალ. ღლონტი, რომელმაც 1971 წელს ცალკე წიგნად გამოსცა კოლხეთის რაიონებში, მათ შორის ხობის რაიონში აღწერილ ტოპონიმთა მოკლე ლექსიკონი. მ გამოკვლევას 2007 წელს შეემატა პროფესორ პაატა ცხადაიას წიგნი - „**სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ხობის რაიონი. ქ. ფოთი**“. ეს არის ამ სერიით სამეგრელოს ცალკეული რაიონების ტოპონიმიურ მასალებზე გამოცემული რიგით III წიგნი, სადაც წარმოდგენილია ცალკეული დასახლებული პუნქტების შესახებ მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის მიმოხილვა. მას მოსდევს რესპოდენტთა სია, მათივე ასაკის ჩვენებით, და რაიონის ადმინისტრაციული ცენტრისა თუ ცალკეული სოფლების ტოპონიმთა საერთო ანბანის რიგზე დალაგებული ნუსხა. წიგნში წარმოდგენილია სახელდებული ობიექტის მიკროლოკალიზაცია, მოტივაცია, ამოსავალი ფუძის ეტიმოლოგია და ისტორიული წყაროების მონაცემები (სადაც ეს შესაძლებელი იყო). წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ „ოქრომრავალი კოლხეთის“ ცენტრალურ რეგიონში მდებარე ხობის რაიონის ტერიტორიაზე გადიოდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი საწყლოსნო და სახმელეთო გზა: ფოთი → რიონი → ყვირილა → სურამის უღელტეხილი → მტკვარი → ირანი → ინდოეთი. **ხობი//ხობისწყალი, ხორგა, ხორგისწყალი, ჭანისწყალი, კემხელი//ყულევი** და სხვ. მოიხსენიება შუა საუკუნეების არაერთ წერილობით წყაროში. ხობის რაიონის ტოპონიმიაში ასახვა ჰპოვა

ბოლო ორი საუკუნის სოციალური ვითარების, სამეურნეო საქმიანობისა და ეთნოგრაფიული ყოფის ბევრმა საინტერესო სურათმა. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე მომენტზე:

1. სოციალური უთანასწორობის ამსახველია გზის სახელწოდებანი - **გლეხიშ შარა** „გლეხის გზა“ და **დადიანიშ შარა** „დადიანის გზა“. პირველი გზით მხოლოდ გლეხები დადიოდნენ, ხოლო მეორე გზით, რაც მდ. ჭანისწყალზე არსებულ კიტიას ფონზე გავლით სოფ. ახალხიბულიდან ქ. ზუგდიდისკენ მიემართებოდა, გლეხებს სარგებლობის უფლებას არ აძლევდნენ დადიანები.

2. XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს კოლხეთში ხე-ტყის ჭრას შეუდგნენ ევროპელი მრეწველები, რომელთაც დაიწვეს არხების გაჭრა, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა... სწორედ ამ ვითარების ამსახველია ხობის რაიონის ტოპონიმები - **ნალინუ, ნაფრანცუ, ლემეციშ ნანთხორა...**

3. გასაბჭოების შემდეგ შეიქმნა იდეოლოგიური ტოპონიმები: **ჭითა ჩხორია** „წითელი მზის სხივი“, **გუმათანე** „ცისკარი“ და სხვ. ამ სახელებს ატარებს საბჭოური „ამხანაგობების“ მიერ გაშენებული ჩაის პლანტაციები...

4. 30-იან წლებშივე კოლხეთის ტერიტორიაზე ჭაობების დაშრობის მიზნით გათხრილ მაგისტრალურ და პატარ-პატარა არხებს შერჩათ ევროპული თუ საბჭოთა კავშირის ტექნიკურ საშუალებათა - არხის მოხრელი ექსკავატორების სახელები: **ლუბეკი, პრისმანია, ჩერბაკი...**¹

§7. 3. ჩხოროწყუს რაიონი

„სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“-ს სერით 2008 წელს გამოქვეყნებული 490-გვერდიანი წიგნი თსუ ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრის – ტოპონიმიკის ლაბორატორიის მიერ დასახული გრანდიოზული პროექტის ფარგლებში ჩხოროწყუს რაიონის მთასა თუ ბარში, დასახლებულ პუნ-

¹პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, ხობის რაიონი, ქ. ფოთი, III, თბ., 2007, გვ. 6-7.

ქტებსა თუ დაუსახლებელ ტერიტორიებზე ჩაწერილი ტოპონიმის აღნუსხვას ისახავს მიზნად. 1969-1970 წლებში ჩაწერილ და 1987-1989 წლებში გადამოწმებულ-შევესებულ მასალას, სადაც საჭირო და შესაძლებელი იყო, ავტორი ურთავს სახელდებული ობიექტის ლოკალიზაციას, რასაც მოსდევს ლინგვისტურ-ექსტრალინგვისტური და მოტივაციური კომენტარები. პ. ცხადაია შენიშნავს, რომ ამ წიგნში დაინტერესებული მკითხველი სამეცნიერო წრეებისათვის მანამდე უცნობ სიტყვებსაც იპოვის, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მიკროტოპონიმიაში ზოგჯერ მარგალიტივით გამოანათებს არქაული თუ ინოვაციური ლექსიკური ერთეული, რეგიონისათვის დამახასიათებელი ორონიმული თუ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ისეთი სიტყვა, რაც ჯერჯერობით არც ერთ ქართულ დიალექტურ ლექსიკონში არ ფიქსირდება.¹

რამდენად თავდაუზოგავ მუშაობას აწარმოებდა პ. ცხადაია ბუნებრივი თუ ხელოვნური ობიექტების სახელთა ჩაწერისას, კარგად ჩანს ჩხოროწყუს რაიონში წარმოებული საველე მუშაობის მაგალითზე: 1969 წლის ზამთრის ჩანაწერების მიხედვით ახუთის სასოფლო საბჭოში ტოპონიმური მასალის აღნუსხვაზე ავტორს ათი დღის მანძილზე უსაუბრია 70 ინფორმატორთან და ჩაუწერია 500-მდე ტოპონიმი, ხოლო 1987 წელს ჩაწერილი მასალის შემოწმება-შევესების მიზნით ამავე სასოფლო საბჭოში კიდევ 15 მთხრობელს შეხვედრია.²

¹ პ. ცხადაია, მასალები მეგრულის ლექსიკონისათვის (ზემო სამეგრელოს მიკროტოპონიმის მიხედვით), I. „ქართველური ონომასტიკა“, III, თბ., 2007, 194. ამას ადასტურებს პ. ცხადაიას მიერ გამოფლენილი და განმარტებული 131 მარტივი თუ წარმოქმნილი (სახელისმიერი ან ზმნისმიერი) ლექსიკური ერთეული. ზოგი მათგანი მკვლევრის მიერ პირველად იქნა შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში, ზოგი კი „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით ცნობილია როგორც საზოგადო სახელი, მაგრამ როგორც ტოპოლექსემა, გამომდინარე სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობიდან, გარკვეული ნიუანსური თავისებურების შემცველია. იქვე, 194.

² პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV. ჩხოროწყუს რაიონი, თბ., 2008, 6.

საანალიზო წიგნში ჩხოროწყუს რაიონის 5000-ზე მეტი ტოპონიმი თუ მიკროტოპონიმია შეტანილი. პ. ცხადაიას წიგნის გამოცემამდე ბევრად ადრე, 1983 წელს მარტვილისა და ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმების თანამშრომელთა თანაავტორობით გამოცემულ „ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგში“ მხოლოდ 1400-მდე ტოპონიმია წარმოდგენილი.¹ პ. ცხადაიას სალექსიკონო მასალაში დანართის სახით წარმოდგენილია საკითხით დაინტერესებულ ადგილობრივ ენთუზიასტთა მიერ გამოცემული წიგნის კრიტიკული ანალიზი. „ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგის“ წინათქმაში ავტორთა კოლექტივის მიზანს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ელიავა სწორად განსაზღვრავს: „წინამდებარე ნაშრომში მიზნად არ ვისახავთ ტოპონიმების კვლევა-ძიებას. ჩვენ მხოლოდ ფონდსა და კორპუსს ვქმნით, ვაგროვებთ ტოპონიმებს და მათ გარშემო არსებულ მასალებს“.²

პ. ცხადაიას აზრით, ტოპონიმური მასალის მოპოვება უპირველესი ამოცანაა, რასაც კვლევა-ძიება მოჰყვება ხოლმე, მაგრამ გარკვეული პროფესიონალიზმი და აუცილებელი კრიტერიუმების დაცვა ყველა დონეზე საჭიროა. მასალის ჩაწერისას ტოპონიმისტს მოეთხოვება სპეციალურ ლიტერატურაში ჩაღრმავება, პრაქტიკული და თეორიული კონსულტაციების მიღება ტოპონიმისტიკისაგან. ჩხოროწყუსა და მარტვილის მუზეუმების მესვეურთა მიერ ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკურ ცენტრთან სასარგებლო ურთიერთობების აუცილებლობის უგულვებელყოფამ გამოიწვია ის ლაფსუსები, რასაც სპეციალისტი აწყდება „ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგში“. თქმულის საილუსტრაციოდ მკვლევარი ანალიზებს რამდენიმე ათეულ მიკროტოპონიმს და დასძენს, რომ მრავალ ტოპონიმს არ ახლავს სახელდებული ობიექტის რაობის (სახეობის) აღნიშვნა, ამ ობიექტის ადგილმდებარეობის ზუსტი აღწერა რამდენიმე პარამეტრით მაინც (ე. წ. „გეოგრაფიული მიბმა“). ხშირ შემთხვევაში გეოგრაფიულ სახელწოდებათა დიდი ნაწილი წიგნში ძალზე მწირი ინფორმა-

¹ იხ. გ. ელიავა, გ. ფარულავა, გრ. შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, თბ., 1983.

² იქვე, 9.

ციითაა წარმოდგენილი, ან სახელდების ნამდვილი მიზეზი და საბაბის ახსნა არასწორია. პ. ცხადაია ამ კონტექსტში ღრმად და საფუძვლიანად განიხილავს ტოპონიმებს – **კადარი/კადარა, ლეზი, ლეზღალი, ლემოქაცარე, მინგარიე, ნაბერად(უ), ნაოსხაპუ, ოშატარ(უ), ოჯარე, ნარტები, ნასაჯუ, ნაწიარუ, ნაჯაგუნუ, ნუზ-მიკატახუ, ოჩე, ოჩიტოლი, ოძილე, ოხაჩქუეში, ოხვამეშ მართუ, ოხოჯე, ოხოჯური, პაპასქირიშ გინაღურა, ჭკადუერი, ჭუკიშ ნასილუ, ხვარცამიაშ ნაყულუ, ჯაღრაღალ...** გ. ელიავას, გ. ფარულავას და გრ. შენგელიას ზოგიერთი ტოპონიმის კურიოზული ახსნა აქვთ მოცემული. ასე, მაგალითად, ავტორები ფიქრობენ, რომ **მენჯი** იგივეა, რაც **მეენჯიმუ** „გაღმა მარილი, ფერდობის მარილი“.¹ სინამდვილეში მენჯი უნდა გავიაზროთ როგორც „მლაშობი, მლაშე წყალი, ვეძა“. **ნაქარჩუ** „ქარჩავას ნამყოფი ადგილი“ ავტორთა მიერ განმარტებულია არასწორად, როგორც „საქარჩავო“² და სხვ. მრ.³

პ. ცხადაია მიიჩნევს, რომ წიგნის დასათაურებაშიც გაპარულია დასანანი უზუსტობა: XX ს-ის ბოლო ათეული წლებისათვის უკვე გამიჯნული იყო ტერმინები: **ტოპონიმია** (ტოპონიმთა ერთობლიობა) და **ტოპონიმია** (მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ტოპონიმას). შესაბამისად, სამართლიანად მიიჩნევს მკვლევარი, რომ ტოპონიმია, როგორც ონომასტიკის ნაწილი, მეცნიერებაა და არ შეიძლება არსებობდეს „ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმია“.⁴

§7. 4. მარტვილის რაიონი

2010-2012 წლებში ქართველური ტოპონიმის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა და სპეციალისტების ბიბლიოთეკა „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“-ს სერიით გამოცემული ორი წიგნით - **მარტვილის რაიონის** (ამჟამად მუნიციპა-

¹ იქვე, 30.

² იქვე, 98.

³ მსჯელობისათვის იხ. პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV, ჩხოროწყუს რაიონი, თბ., 2008, 463-484.

⁴ იქვე, 483.

ლიტეტის) ტოპონიმთა სალექსიკონო მასალით შეივსო. პ. ცხადა-
იას ამ სერიით ასევე გამოცემული აქვს წალენჯიხის, ზუგდიდის,
ხობის, ჩხოროწყუს, აბაშისა და სენაკის რაიონების სალექსიკო-
ნო-ტოპონიმური მასალა.

ორ ნაწილად გამოცემული მარტვილის რაიონის გეოგრაფი-
ულ სახელწოდებათა ლექსიკონების საერთო მოცულობა გვერდე-
ბის ბეჭდური რაოდენობის მიხედვით ფრიად შთამბეჭდავია -
1272 გვერდი! თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქარ-
თველი მკითხველი საქართველოს რეგიონებისა თუ ცალკეული
რაიონების ტოპონიმთა ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონე-
ბით მაინცდამაინც განებივრებული არ არის, მაშინ ბატონ პაატა
ცხადაიას ავტორობით დღემდე გამოცემული სამეგრელო-სამურ-
ზაყანოს, რაჭისა და ლაჯანურის ხეობის გეოგრაფიულ სახელ-
წოდებათა ლექსიკონები ჩვენი სამეცნიერო ბიბლიოთეკის ნამ-
დვილად მნიშვნელოვან და ძვირფას შენაძენად უნდა მივიჩნიოთ.

საკმაოდ სოლიდური მოცულობის V წიგნის წინასიტყვაობა-
ში მკვლევარი იმოწმებს საენციკლოპედიო სტატიის მონაცემებს
მარტვილის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობისა და
ისტორიული ძეგლების შესახებ, რომლის მიხედვით აღნიშნულ
რაიონს ტერიტორიით პირველი ადგილი უჭირავს სამეგრელოს
რაიონებს შორის და რომლის ფართობიც 880, 6 კმ²-ს შეადგენს.
მარტვილის რაიონის სამხრეთი ნაწილი მოიცავს ოდიშის დაბ-
ლობს, რომლის ჰავაც სუბტროპიკულია. ახასიათებს შედარებით
თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული.

მარტვილის რაიონის ტოპონიმის აღწერა და გამოცემა პირ-
ველად განახორციელა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუ-
მის დირექტორმა, ისტორიკოსმა გივი ელიავამ. მან გასული საუ-
კუნის 60-იან წლებში მაშინდელი გეგეჭკორის რაიონის 20 სა-
სოფლო, 1 სადაბო საბჭოსა და რაიონის ტყისა და საძოვრების
ზონაში ჩაწერილი რამდენიმე ათასი ტოპონიმი სასოფლო საბჭო-
ების მიხედვით შედგენილ რუკებზე აღნიშნა, ხოლო ტოპონიმთა
ხალხური განმარტებების ნუსხა, ცალკეულ შემთხვევაში ავტო-
რისეული მეცნიერული დაკვირვებებითა და დასკვნებით, ტოპო-
ნიმთა ანბანურ საძიებელთან ერთად, 1977 წელს ცალკე წიგნად

გამოაქვეყნა. წიგნის სახელწოდებაა „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია“ (რედაქტორი აკად. სერგი ჯიქია).

პაატა ცხადია გეგეჭკორის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა აღნუსხვა-აღწერას 1971 წლიდან აწარმოებდა. რაიონის მთა-ბარში, თითოეულ სოფელსა თუ სოფლებს შიგნით არსებულ ცალკეულ უბნებში გულდაგულ, ნაბიჯ-ნაბიჯ შეკრებილ-მოძიებული დიდძალი მასალის გადამოწმების, დაზუსტებისა და შევსების მიზნით (სადაც საჭირო იყო), როგორც აღნიშნავს, 80-იან წლებში ხელმეორედ სწევია რაიონს.

საადრინცხოვო ბარათებზე განთავსებული ტოპონიმური მასალა დიდხანს ინახებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმის ლაბორატორიაში, ხოლო მას შემდეგ, რაც პ. ცხადია რაიონების მიხედვით ტოპონიმური მასალების გამოცემას შეუდგა, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებების სერიით გამოცემულ V-VI წიგნებში მარტვილის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებებს მოუყარა თავი. იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ მარტვილის რაიონი სამეგრელოს რეგიონში ტერიტორიით ყველაზე დიდია, საჭირო გახდა მოპოვებული მასალის - 8000-მდე ერთეულის ორ წიგნად გადანაწილება. სალექსიკონო მასალის პირველ ნაწილში შევიდა რაიონის სამხრეთი ნაწილის ტოპონიმია, რაც მოიცავს 11 საკრებულოს (მარტვილის, აბდათის, ბანძის, ვედიდკარის, ლეხინდრავოს, ნაგვაზავოს, ნახუნავოს, ნაჯახავოს, ონოლის, სერგიეთისა და ხუნწის) და ამ საკრებულოებში გაერთიანებულ 34 დასახლებულ პუნქტს. მ/შ 33 სოფელია და 1 ქალაქი.

წინასიტყვაობაში პ. ცხადია მსჯელობს ლ → ძ → Ø ფონეტიკური პროცესის ასახვაზე მარტვილის რაიონის ტოპონიმიაში. იგი იმოწმებს ი. ყიფშიძის მოსაზრებას ფონეტიკურ თუ ლექსიკურ მონაცემთა გათვალისწინებით სამეგრელოს მოსახლეობის მეტყველებაში აღმოსავლური (სენაკურ-მარტვილური) და დასავლური (სამურზაყანულ-ზუგდიდური) დიალექტების გამოყოფისა და იმის შესახებ, რომ ი. ყიფშიძეს აღმოსავლური დიალექტის ერთ-ერთ თავისებურებად ლ ბგერის დასუსტება და საბოლოოდ დაკარგვა (ლ → ძ → Ø) მიაჩნდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრე-

ბულ ყურადღებას იპყრობდა ბანძური მეტყველება, სადაც ლ „почти совсем исчезает“¹.

პ. ცხადიათ ტოპონიმური მასალების დამოწმებით დაადასტურა, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებებში მოსალოდნელი ლ თანხმომავანი ან საერთოდ არ ჩანს, ან შეიძლება გამოჩნდეს ბანძურ-მარტვილური თქმის ზონის პერიფერიულ სოფლებში; ამასთანავე, ლ თანხმომავანი გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილია ე-ს სახით. მაგალითად, ხმოვნის წინ: ლე → ეე (ლეკი „შლამი“ → ეეკი); ლა → ეა (ლაგვანი „ქვეერი“ → ეაგვანი; ლაკარდა → ეაკარდა); ლუ → ეუ (ლეუკა → ეუკა); ლე → ეე (პავლე//პაულე → პაუდე//პავეე) და ა. შ.

პ. ცხადიას თვალსაზრისი ე-ს პოზიციის შესახებ ჩამოყალიბებულია სამი ძირითადი დასკვნის სახით:

1. ე-ს წარმოთქმა ორი **ღ** ხმოვნის შიგნით პრაქტიკულად შეუძლებელია (მაგ.: წისკიეი (← წისკიელი); გონეხიი (← გონეხილი), მარტვიი (← მარტვილი)).

2. ე ძნელი წარმოსათქმელია და ამიტომ არც ისმის შემდეგ კომპლექსებში: **-აღ-ი** → *აი → აი, **-ეღ-ი** → ეი → ეი, **-იღ-ი** → *იი → იი, **-ოღ-ი** → *ოი → ოი, **-უღ-ი** → უი → უი.

3. ყველა ზემოთ დასახელებული შემთხვევა გამოწვეულია იმით, რომ ი ხმოვნის წინ მოქცეული **Á** მომდევნო ხმოვანთან შერწყმის გამო წარმოთქმაში არ ჩანს.

4. ე შენარჩუნებულია ხმოვანთაშორის პოზიციაში, ფაკულტატიურია და, ჩვეულებრივ, უმეტესად მამა-პაპათა მეტყველებაში ისმის კიდევ: **აღა** → აა: ჭადაგანიძე (← ჭაღაგანიძე)... **აღე** → აეე (შესაძლებელია აეე → აე): ოყარყაეში//ოყარყაღეში)... **აღო** → ააო: ზაკაღონი (← ზაკაღონი)... **აღუ** → ააუ: ნახარჩაღუ (← ნახარჩაღუ ← ხარჩაღი „ჩხრიღი“) და ა. შ.²

¹ ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი. კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კორნელი დანელიამ. თბ., 1994, 57.

² პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), V, თბ., 2010, 6-11; მსჯელობისათვის იხ. მისივე, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), VI, თბ., 2012, 5, 8-13.

პ. ცხადაიას დაკვირვებით, **ლუ** პრეფიქსს ტოპონიმიაში ჩვეულებრივად ენაცვლება, მაგრამ ამ შემთხვევაში იშვიათად თუ იმის თაგვიდური **ღ** ამის მაგალითებია: ეჯღარკე ← (ღ)ეჯღარკე (← ლეჯღარკე); ეჯჯანაშიე ← (ღ)ეჯჯანაშიე (← ლეჯჯანაშიე). პირსახელთა თაგვიდურში მოსალოდნელია შემდეგი პროცესები: 1. + ხმოვანი → ღ + ხმოვანი. დავასახელებთ ტოპონიმებს: ლუკა → ღუკა (ღუკაშ ნაწისქვიდუ); ლევანი → ღევანი (ღევანიშ კოდე); 2. თაგვიდური ლა → ღა: ლაგვანდუდი → ღაგვანდუდი; ლაკარდა → ღაკარდა¹.

მკვლევარი განიხილავს ჩვენ მიერ მოპოვებულ, ქალაქ მარტვილის ტოპონიმურ მასალებში მოცემულ დაწერილობასაც და შენიშნავს, რომ ამ შემთხვევაში **ღ**-ს წარმომავლობა გასარკვევია, რადგან „იგი უმეტეს შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის **-იმ** ნიშნის ალტერნატივაა: აღედნოხორი (← აღეშ ნოხორი), ბარდღანოხორი (← ბარდღაშ ნოხორი) და სხვ.“².

წინასიტყვაობაში მკვლევარი მსჯელობს ტოპონიმთა ლექსიკურ, ფონემურ და ფონეტიკურ ვარიანტებზე, რაც დამახასიათებელია მარტვილის რაიონისა და, ზოგადად, საქართველოს ყველა რაიონის ტოპონიმისათვის. ყურადღებას ამახვილებს ლექსიკური ვარიანტების მრავალგვარობაზეც. თუმცა ქრონოლოგიური ვარიანტის საილუსტრაციოდ შეცდომით იმოწმებს **მარტვილს//დიდიჭყონს**. სინამდვილეში მარტვილის ქრონოლოგიური ვარიანტია ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული **ჭყონდიდი**³.

სალექსიკონო მასალის ძირითად ნაწილში გეოგრაფიული სახელწოდებანი წარმოდგენილია ცალკეული საკრებულოებისა და საკრებულოებს შიგნით მდებარე სოფლების მიხედვით. ტოპონიმები დალაგებულია საერთო ანბანის რიგზე. პირველად დასახელებულია ობიექტის სახელწოდება, რასაც მოსდევს სახელდებული ობიექტის ლოკალიზაცია, ლინგვისტური და ექსტრალინ-

¹ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), V, 11.

² იქვე, 11.

³ იქვე, 12.

გვისტური ანალიზი, უმეტეს შემთხვევაში - მოტივაციური კომენტარებით.

წიგნში გვხვდება ქრონოლოგიური და სხვადასხვაენოვანი ტოპონიმები, ფონეტიკური და მორფემული ვარიანტები. ტოპონიმთა ვარიანტულობის მიზეზად პ. ცხადაია განსხვავებულ მოტივაციას ასახელებს. სათაურ ტოპონიმსა და პარალელურ ფორმას შორის დასმულია პარალელურობის ნიშანი (**გა/გაგაოური, სიკოშ ოღუღია/ოღუღიაშ ოხვამერი**).

ინტერესს იწვევს ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ტოპონიმთა ანბანურ ნუსხას წინ უძღვის ცალკეული დასახლებული პუნქტების შესახებ მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის შესავალი. ამას მოსდევს ტოპონიმური მასალის ჩაწერის თარიღი (ან თარიღები) და რესპოდენტთა სია, მათივე ასაკის ჩვენებით.

წიგნს ბოლოში ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და სათაურ ტოპონიმთა საძიებელი. ეს უკანასკნელი, მართალია, სრულად ვერ ასახავს წიგნის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელწოდებების საერთო რაოდენობას (ზოგიერთი სახელწოდება საძიებელში სულაც გამოტოვებულია), მაგრამ თვალნათლივ მიუთითებს ტოპონიმთა მორიგეობასა და მრავალგვარობა-სიხშირეზე. საძიებელი აერთიანებს ცალკეული სოფლების მიხედვით ლექსიკონში წარმოდგენილ მსგავს და განსხვავებულ სახელწოდებებს. ასე, მაგალითად, აბუდათის ტოპონიმთა ნუსხაში მითითებულია, რომ **ბონდიშ ტობა** ეწოდება მორვეს მდ. ტარჩენზე¹. სათაურ ტოპონიმთა საძიებლის დახმარებით დაინტერესებული პირი მარტივად არკვევს, რომ ამ სახელის მატარებელი ობიექტი წიგნის 244-ე გვერდზეც არის დასახელებული. შესაბამის გვერდზე კი აღნიშნულია, რომ „ბონდიშ ტობა“ ასევე მორვეის სახელწოდებაა მდ. აბაშაზე, ნაბონდუსთან, სოფ. ლეკუკელეში. საძიებლის მიხედვით **ჩეჩონას** სახელით ცნობილი ობიექტები დამოწმებულია სარეცენზიო წიგნის 35-ე, 54-ე, 91-ე, 179-ე, 193-ე, 215-ე გვერდებზე, რადგანაც ტოპონიმები წარმოდგენილია

¹ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), V, 141.

სასოფლო საბჭოებისა (ამჟამად ადმინისტრაციული ერთეული) და მასში შემავალი სოფლების მიხედვით¹...

წიგნში თავმოყრილი მრავალრიცხოვანი ტოპონიმური მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ მარტვილის რაიონის ტოპონიმიაში ასახვას ჰპოვებს მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა სახელები, მეთევზეობის, მემინდვრობის, მეფუტკრეობის, მიწათმოქმედების, მევენახეობა-მეღვინეობის, მჭედლობის, ხელოსნობის, აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიული ლექსიკა და ა. შ. წარმოდგენილია ისტორიული საკულტო-სარიტუალო და საერო ნაგებობების სახელწოდებანი. სხვადასხვაენოვანი (ჰიბრიდული) ტოპონიმებია: **ნაციხვარი/ნაჯიხუ, ცხენისწყლის ჭალა/ცხენწყარპიჯიშ ჭა(მ)ე/ჭა(მ)ე, ხინჯიშდული/ხინჯისყური, ოჭუბურე/საწაბლია, წისკვილის გზა/წისკვილიშ შარა...** საილუსტრაციო მასალას ვიმოწმებთ ხუნწის თემის საკრებულოს ტოპონიმთა ნუსხიდან. ორენოვნება მარტვილის რაიონში სწორედ ამ სოფლისთვის არის დამახასიათებელი, რადგან ხუნწი იმერეთის საზღვარზე, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. პ. ცხადაია შენიშნავს: „მიკროტოპონიმია ადასტურებს, რომ, მართალია, ზედახუნწელთა „საშინაო“ (ე. ი. არაოფიციალურ სიტუაციაში) მეტყველება, ფაქტობრივად ორენოვანია, ოღონდ მეგრულის მნიშვნელოვანი უპირატესობით (ზედა და ქვედა ხუნწის მიკროტოპონიმის 95%-ზე მეტი მაინც მეგრულია, ან ორენოვანია“...²

საყურადღებოა, რომ ხუნწური მეტყველების თავისებურებებზე, პ. ცხადაიამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს - იოსებ ყიფშიძეს, რასაც ბ-ნი პაატა თავის წიგნში იმოწმებს კიდევ: „ამჟამად ხუნწში უპირატესობს ქართული ენა. კერძოდ, ზედა ხუნწში ყოველთვის ქართულ ენაზე მეტყველებენ, ხოლო ქვედა ხუნწში, როგორც მეზობელი სოფლის მკვიდრნი ხუმრობენ, შუადღემდე საუბრობენ მეგრულად, ხოლო ნაშუადღევს - ქართულად“³.

¹იქვე, 535.

²იქვე, 475.

³ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, 28-29.

ბანძურ-მარტვილური თქმისთვის დამახასიათებელ და ძირითად თავისებურებად მიჩნეულ იოტიზაციის პროცესზე მსჯელობა მოცემულია პ. ცხადაიას VI წიგნის წინასიტყვაობაშიც. კითხვაზე - მარტვილის რაიონის რომელ სოფლებში, რა ტერიტორიაზე ხდება ეს იოტიზაცია? - ავტორი პასუხობს, რომ ეს პროცესი დამახასიათებელია ძირითადად ტეხურის მარცხენა მხარეს - ბანძის თემიდან სალხინოს თემამდე, ხოლო ტეხურის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლებში - გურძემიდან ჩრდილოეთით, კურზუს თემის სოფლების ჩათვლით, რესპოდენტები ლექსიკური და ტოპონიმური მაგალითების მოშველიებით და ერთგვარი ირონიითაც, ასაბუთებენ, რომ „მ-ს იტყვიან მხოლოდ გაღმა სოფლებში, გამოდმა კი - არა“¹.

პ. ცხადაიას VI წიგნი მთლიანად ეთმობა მარტვილის რაიონის ჩრდილოეთი ნაწილის ტოპონიმებს. მასში თავმოყრილია 10 საკრებულოში, კერძოდ, გაჭედილის, გურძემის, დიდი ჭყონის, დოშაყის, თამაკონის, ინჩხურის, კიწის, კურზუს, სალხინოსა და ტალერის საკრებულოებში გაერთიანებულ სოფლებში, აგრეთვე მარტვილის რაიონის მთის ზონასა და გორდის სატყეოში გასული საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში ჩაწერილი და 10-15 წლის შემდეგ გადამოწმებულ-შევსებული ტოპონიმური მასალა. გამოყენებულია თსუ-ის თანამშრომლების - შუქია აფრიდონიძისა და მაგული მარგველაშვილის ტოპონიმური ჩანაწერებიც. მკვლევარი ლოკალიზაციისთვის იყენებს სატყეო უბნების სახელებს: ლებარდეს სატყეო, კურზუს სატყეო, ტალერის სატყეო, სალხინოს სატყეო, გაჭედილის სატყეო. მათი ლოკალიზაცია კი მოცემულია წიგნის პირველი ნაწილის ბოლოში. მეექვსე წიგნის სტრუქტურა მეხუთესგან განსხვავებულია: ამ შემთხვევაში მკვლევარი წიგნის პირველ ნაწილში წარმოადგენს მარტვილის რაიონის ჩრდილოეთი ნაწილის საკრებულოებს, სოფლებსა და რესპოდენტებს. იქვე მოცემულია ოიკონიმთა ფონეტიკური, სიტყვაწარმოებითი, სინტაქსური და ლექსიკური, აგრეთვე ისტორიულ-ეტიმოლოგიური (გარეენობრივი) ანალიზი. თუკი მეხუთე

¹ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), VI, 9.

წიგნში ტოპონიმები ცალკეული საკრებულოებისა და საკრებულოებს შიგნით მდებარე სოფლების მიხედვით იყო დაჯგუფებული, ამ შემთხვევაში ყველა სოფლის ტოპონიმური მასალა დალაგებულია საერთო ანბანის რიგზე და წიგნში წარმოდგენილია მეორე ნაწილად. ტერიტორიულად ხონის რაიონში შემავალი გორდის სატყეოს ტოპონიმური მასალის მარტვილის რაიონის ტოპონიმთა სალექსიკონო მასალაში შეტანას პ. ცხადაია იმ გარემოებით ხსნის, რომ გორდის სატყეო გაჭედის სატყეოს გვერდით მდებარეობს. საჩიქვანო//ჩიქვანიშ ტყა//ქორთუფეში ტყა - ტყე-სადოვრები ამ სახელწოდებით ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს და თვით მარტვილის რაიონის, კერძოდ, გაჭედის სატყეოს საზღვრამდე ვრცელდება. სწორედ ამ საჩიქვანოსა და სალხინოს სატყეოს მიმდებარე ტერიტორიაზე მეჯოგეებისგან ჩაუწერია მკვლევარს მიკროტოპონიმთა გარკვეული ნაწილი¹.

1970 წლის ოქტომბერში პ. ცხადაია სოფ. კურხუში გაცნობია ერთ-ერთი რესპოდენტის, 70 წელს მიღწეული ქალბატონის - მატრო ბერულავას საოჯახო არქივს, კერძოდ, „პირობის“, „ფარდის“ ან „ფარდის პირობის“ სახელწოდებით ცნობილ, მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის 20-მდე საბუთს, რომლებშიც აღნიშნული ყოფილა, თუ ვისგან იყო ნაყიდი, ან ვის მიყიდა მიწის ნაკვეთები სასულიერო პირების - ბერულავების მიერ. 1844-1913 წლებს შორის პერიოდში, სხვადასხვა დროს შედგენილი საბუთებიდან ამოწერილი რამდენიმე ათეული ტოპონიმი მკვლევარს წიგნში დანართის სახით აქვს წარმოდგენილი².

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ფასეულია სარეცენზიო წიგნებში თავმოყრილი, მარტვილის რაიონის 75 სოფელში ჩაწერილი ტოპონიმური მასალა სხვადასხვა დარგის სპეციალისტისა თუ უბრალოდ, ტოპონიმის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის, აქვე დავიმოწმებთ რამდენიმე ტოპონიმს და მოვიხმობთ სახელწოდების ენობრივი და გარე-

¹ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), VI, 113.

² პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), 718-722.

ნობრივი ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციასაც, იქნება ეს სახელდებული ობიექტის ზუსტი თუ დაწვრილებითი ლოკალიზაცია, სახელდების მოტივაცია, ისტორიული წარსული თუ სხვა დეტალები:

ადამ(ი)ნუზუ – ვაკე-ტყე ჯვარიშ დალსა და შქაშქარეს დალს შუა, ტაღერის სატყეოში. ტოპონიმს ახლავს რესპოდენტ კ. ნაჭყეობას ინფორმაცია: ეს სახელი რქმეგია დაახლოებით 400 წლის ხეს, რომელიც ოციოდე წლის წინათ (იგულისხმება გასული საუკუნის 40-იანი წლები - ი. კ.) წაქცეულა. ღეჩხუმელ მწყემსსა და მონადირეს, სახელად ადამს, ამ ხის ძირში ედგა კარე და აქვე მომკვდარა¹.

ბარდანაწიეფანი/ბარდაღ(ვ)თიშობეი/ხ(ვ)თიშობეი/ბარდანაწილოფანი – ღეთისმშობლის ეკლესია ოხვამეკარში, მარტვილის რნის სოფ. პირველ ბაღდაში. გადმოცემები: ა. აქ ესვენა ილორში დაცული ხატის მცირე ნაწილი - ნაწილიანი ხატი. მოტანილ შესაწირს ხატის ნიშში, ხატის ფიცრის უკანა ნაწილში მოათავსებდნენ. ეკლესიის ასაგებად მდ. აბაშის პირას შეურჩევით მაღალი ადგილი და ხატი ეკალ-ბარდებზე დაუსვენებიათ... მერე აქვე აუგიათ ეკლესია ბარდა ღეთიშობეი, ბარდა ნაწიეფანი; ბ. ეჩმახიეში, ბარდში ნანახი ხატი წამოუსვენებიათ და დაუსვენებიათ მინდორში, იმ ადგილზე, სადაც ეკლესია უნდა აეშენებინათ, მაგრამ მერე დღეს ხატი კვლავ იქ უნახავთ, სადაც უწინ ესვენა. ასე განმეორებულა სამჯერ. ამიტომაც ბარდის ღეთისმშობლის ეკლესიაც იმ ბორცვზე აუგიათ. ბარდა ნაწიეფანი იმას ნიშნავს, რომ ილორში დაკლული ხარის ხორცის მცირე ნაწილს ამ ხატს გამოუგზავნიდნენ. ხორცს ჩადებდნენ ხატის ფიცრის უკან და არ ღებოდნენ. ამიტომ ერქვა ნაწიელოფანი ხატი².

გაბარა – ვაკე-სერი სოფ. სკურდში, რაც გადასცქერის აბაშის ხეობას. გაბარის ღექსიკური მნიშვნელობაა ვაკე-ბორცვი;

¹ **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), 116.

² **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), 137-138.

ვაკე-სერი. პ. ცხადია ფიქრობს, რომ გაბარი შესაძლოა არაბული ჯაბაღ-ის („მთა“) მეგრული ნაირსახეობა იყოს¹.

გერიშ ოჭიკე – დავაკება, მოტიტვლებული ადგილი ბორცვზე, ოყვბუესა და ოქირეშს შუა, სოფ. დიდი ჭყონსა და ლექობალეში. **ჭიკუა** მეგრულში აღნიშნავს „მძუნობას, მაკინტლობას; ზმუილს, ყმუილს“. ოჭიკე ნადირთა სამაკინტლო, თამაშისა და ლაღობა-ცეტობა-ძიძგილაობის ადგილია².

მიშახონკარე – მწყემსის სადგომი მიშახში, რაც კურზუს სატყეოშია. **მიშახონი** აღნიშნავს „რაიმეს შიგნით (ტყეში) მდებარეს“³.

ნადონორუ(უ)/დგებიაშ ნოხორი/ჯოღორიაშ ნოხორი – ბორცვი რეკას მარჯვენა მხარეს, სოფ. ნამიკოლაგო მეორეში, ჯანაშიების უბანში. ამ ადგილას ესახლა თურმე თავადი ჯოღორია დგებია/დგებუაძე⁴.

ნათურქუ/ნათურქუსუკი – ტყე მაღლობი ქვაბლასა და დიდ ოქაჯეს შუა, ტალერის სატყეოში. გადმოცემით, თურქებს აქედან ქებიბაში, შემდეგ ასხის გავლით ხონში გაჰქონდათ ყავარი და ბზა... მათ რუკაც ჰქონიათ, სადაც ტეხურის სახელწოდებად მითითებულია **ხანგაწყარი**, ხოლო მდინარის კალაპოტის მახლობლად, მდვიმეში დამარხულ ოქროს ისინი, თურმე, ახლაც ეძებენ⁵.

საკეშილა – მინდორი ტეხურის მარჯვენა ჭალაში, სოფ. ეწერში (ტალერის თემი). რესპოდენტის ცნობით, კეშელავა კუთვნილ მიწას ნადეღად იძლეოდა და სანაცვლოდ მოსავლის მესამედი მიჰქონდა⁶.

საკილიაღესა/საკიაღესო – ღელე; შებეს მარცხენა შენაკადი სოფ. დღვანაში. 82 წლის რესპოდენტის - ძიკი გაბედავას განმარტებით, გოდოგანის მისარონად წოდებულ ეკლესიაში სალოცავად მიმავალნი ამ ღელისპირას, ვაკე-მინდორზე შეისვენებდნენ და იძღერებდნენ კილიაღესას. სახელწოდება საკილიაღე-

¹იქვე. 156.

²იქვე. 165.

³იქვე. 350.

⁴იქვე. 365.

⁵იქვე. 367.

⁶იქვე. 530.

საც აქედან მოდის. **კილიაღესა** ← **კირიეღელისონ** „უფალო, შეგვიწყალებ“, საეკლესიო სიმღერა¹.

საისტორიო წყაროებითა და ეთნოლოგიური მასალებით ირკვევა, რომ კოლხეთის დაბლობზე მეგრელებთან ერთად, ლაკადისპირეთში კი მეგრელებზე ადრეც, სვანებს უცხოვრიათ. მთიან სამეგრელოში სვანურად მოლაპარაკე მოსახლეობის ბინადრობის მაუწყებელია მხარის მეგრული ტოპონიმი².

სამეგრელოს მთისა და მთისწინა ზოლში, მათ შორის მარტვილის რაიონის ტერიტორიაზე, დასტურდება რამდენიმე სვანური ტოპონიმი. მაგალითად, ლებარდე, ლეჭეხა, ლადვაშია, ლაჩახვა, ლაყორია, ლეკერე, მუჰა, ლასია... ჩვენი აზრით, მარტვილის რ-ნის სოფ. დიდი ჭყონის მეურნეობაში, ქვაბკარის მღვიმიდან გამომავალი პატარა მდინარე და ხეობა, **მანხაპეს** სახელწოდებით, რაც სამ სოფელში - ლეჟვანიეში, ნაკიანსა და ლეახაღეში გაედინება, სვანური წარმომავლობის ტოპონიმთა რიგში უნდა განვიხილოთ. **მანხაფ/მანხაფ** სვანურ ენაზე იგივეა, რაც „ჩანჩქერი“. სახელწოდება აღნიშნავს ვიწრო, კლდოვან კალაპოტში ჩხრიალით მომდინარე წყლის ნაკადს, საჩქეფელას, და ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორისაც მეგრული ოჩხარჩხაღე, ოჩხარჩხაღაია, ოფარხაღაია, შხივი³... პატა ცხაღაია მიიჩნევენ, რომ მდინარის სახელწოდების ამოსავალია **ჩხაპუა** „რწყვა, წყლის სხურება, შხაპვა“. **მა-ე** მოქმედებითი გვარის მიმღობის მაწარმოებელია. მაშასადამე, მკვლევრის აზრით, მანხაპე იგივეა, რაც „მშხეფავი; მნამავი, შხაპუნა“⁴.

ზოგი სვანურენოვანი ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე მსჯელობა მოცემულია პ. ცხაღაიას სხვა არაერთ სამეცნიერო ნაშრომში⁵.

¹იქვე, 530-531.

²იხ. **მ. ქაღანი**, -ელ/-ავ სუფიქსთა საკითხისათვის ქართველურ გვარსახელებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. XXII, თბ., 1980, 83.

³ი. **კეკელია**, პიდრონიმ „მანხაპეს“ ეტიმოლოგიისათვის. კრ. „მხარეთმცოდნე“, III, ქუთ., 2012, 4-5.

⁴**პ. ცხაღაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. IV. ჩხოროწყუს რაიონის თბ., 2008: 209; **მისივე**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), VI, 337.

⁵**პ. ცხაღაია**, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმი (ენათმეცნიერული ანალიზი). თბ., 1985; მისივე, სვანთა ნაკვალევი სამეგრელოს მიწაზე. გაზ. „კომუნისმის დრო-

ჰიდრონიმ „**ლექცხერუას/ლექცხერუას**“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას მკვლევარი დასძენს: „ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი, სვანური სუბსტრატული თუ სუპერსტრატული **ლე-, ლა-** ხომ არ გამოიყენებოდა სხვა (დღეს უცნობ) შემთხვევებშიც. ვგულისხმობთ, ცხერი → ლექცხერუა, გვიმარა → ლაგვიმარაია, ლაგუპარაია, ბარჯი → ლაბარჯია, ნთირუა „თრევა, ზიდვა“ → ლანთირია „ზოზინა, ზანტი, ზარმაცი“, ტარი → ლატარია „სატარე მასალა, ტანლატანი“ (იხ. აღ. ქობალიას მეგრული ლექსიკონი), ტყვაჟუა „გასროლის ხმა; ჭახანი → ლატყვაჟია „ცუდი თოფი“ (ი. ყიფშიძე), ნწკარუა „დაწყობა, დალაგება“ → ლაწკარელი „დალაგებული, დაწყობილი“, ჩხური „ცივი“ → ლენჩხური „ნელ-ცივი, შეგრილებული წყალი“, ქარი „ქარი“ → ლექარე „საქარო, ქარიანი ადგილი“, ჭახუა „ლითონის წურვა, წნეხა“ → ლექეხა „სამჭედლო, რკინის საწრთობი ადგილი“¹. მსგავსი ლექსიკური ერთეულები ამ კითხვასაც სვამს: მეგრულში ლა-, ლე-პრეფიქსები სუბსტრატული მოვლენაა თუ სუპერსტრატული?! შდრ. ლექქერუა მდინარეა და ერთვის ტეხურს მარჯვ. მხრიდან კლდის ძირას“². იქვე მკვლევარი იმოწმებს კურხუსა და ტალერის სატყეო უბნების ტერიტორიაზე (მარტვილის რ.), მთის პატარა მდინარის სახელწოდებად დამოწმებულ, **ლექქერუას** ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას: **ლექ** სვანურში იგივეა, რაც „წყალი“, ხოლო **ქუეირ** „ცივს“ ნიშნავს. მაშასადამე, ჰიდროლექსემა **ლექქუეირ** სიტყვასიტყვით „ცივწყალაა“³.

შით“, #13, 30 იანვარი, 1986, 2-3; **მისივე**, სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიკაში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 122, #1, თბ., 1986; **მისივე**, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I, 1999.

¹შდრ. **გ. ელიავა**, აბაშისა და გეგუჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977, 176.

²**პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (ხრდილოეთი ნაწილი), VI, 320.

³იხ. **ბ. ბარათელი**, **ი. კეკელია**, ერთი ჰიდრონიმის განმარტებისათვის („ლექქერუა“). კრ. „მხარეთმცოდნე“, II, ქუთ., 2011, 5.

§7. 5. აბაშის რაიონი

საველე ექსპედიციების გზით 1984-1986 წლებში მოპოვებული აბაშის რაიონის ტოპონიმთა სალექსიკონო მასალის მერვე წიგნში თავმოყრილ მკვლევარმა დაასრულა კიდევ სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონების გამოცემა. 2013 წელს დაბეჭდილი სარეცენზიო წიგნი 304-გვერდიანია. იგი შედგება წინასიტყვაობის, პირველი („აბაშის რაიონის საკრებულოები, სოფლები, რესპოდენტები“), და მეორე („ტოპონიმთა სია“) ნაწილისაგან; დანართში წარმოდგენილია სუჯუნის თემის საკრებულოში ჩაწერილი ზოონიმია. წიგნს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია (სულ დასახელებულია 122 წიგნი და სტატია) და შემოკლებანი. ლექსიკონის რედაქტორია პროფ. მერაბ ჩუხუა, რეცენზენტები არიან რევაზ აბაშია და იგორ კეკელია.

სარეცენზიო წიგნის წინასიტყვაობაში მკვლევარი ხაზგასმით აცხადებს, რომ სწორი მეცნიერული ანალიზის შემთხვევაში ტოპონიმს (გეოგრაფიულ სახელწოდებას) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ტოპონიმების მეშვეობით შეიძლება დასაბუთება იმისა, „თუ რომელი ხალხია აბორიგენი ამა თუ იმ რეგიონისა: წარსულის გეოგრაფიული სახელწოდებანი ცხადყოფენ, რომ ქართული (მეგრული, სვანური) ტოპონიმური ფენა აფხაზეთში სუბსტრატულია, ხოლო აფხაზური ტოპონიმია სამურზაყანოში სუპერსტრატს წარმოადგენს. ასეთივე ვითარებაა ჯავახეთსა და ქვემო ქართლის ტოპონიმიაშიც. ორივე რეგიონში პირველადი და აბორიგენულია ქართული მოსახლეობა, ხოლო არაქართული მოსახლეობა შემდგომ არის დამკვიდრებული ამ რეგიონებში“¹).

პ. ცხადაიას მართებული შეფასებით, სამეგრელოს სხვა რაიონებთან შედარებით ტერიტორიულად მცირე აბაშის რაიონის ტოპონიმიაც ისევეა წარსულის მაცნე, როგორც საერთოდ მთელი ქვეყნის ტოპონიმია (იხ. წიგნის ანოტაცია).

ავტორის მიერ საველე ექსპედიციების გზით მოპოვებულ ტოპონიმურ მასალასთან ერთად სარეცენზიო წიგნში წარმოდგე-

¹ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. აბაშის რაიონი, VIII, თბ., 2014, 5.

ნილია სახელდებული ობიექტის მიკროლოკალიზაცია, მოტივაცია, ამოსავალი ფუძის ეტიმოლოგია და ისტორიული წყაროების მონაცემები (სადაც ეს შესაძლებელი იყო).

აღნიშნული საღეჭისკონო მასალა მნიშვნელოვნად ავსებს და შედარებით სრულყოფილად წარმოაჩენს აბაშის რაიონის ტოპონიმის, კერძოდ, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის, ისტორიკოს გივი ელიავას ავტორობით 1977 წელს ცალკე წიგნად გამოცემულ „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმისა“, სადაც აბაშის რაიონის ტოპონიმთა ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია თავმოყრილი.

იმის მიუხედავად, რომ გ. ელიავას წიგნში, ჩვეულებრივ, ტოპონიმის შემდეგ მოცემულია არა კონკრეტული ობიექტის დასახელება, არამედ ზოგადი ტერმინი, ამასთანავე, დასახელებულ ტოპონიმთან დაკავშირებული სხვა სახის ინფორმაციებიც ძალზე მწირი და ფაქტობრივად არაფრის მთქმელია, პ. ცხადაიას სავსებით სამართლიანი შეფასებით, ეს ნაშრომი მინც ქართული ონომასტიკური ლიტერატურის საჭირო შენაძენად უნდა მივიჩნიოთ. ამაში ადვილად დაგრწმუნდებით, თუკი გაავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: ცნობილია, რომ ბუნებრივი და ისტორიული ქარტეხილები იწვევს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთი ნაწილის დროთა განმავლობაში დაკარგვას ან შეცვლას. ასე, მაგალითად, გასული საუკუნის 60-იან წლებში მარტვილის (მაშინდელი გეგეჭკორის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციის მიერ აბაშის რაიონის სოფლებში ჩაწერილი მრავალი ტოპონიმი არაასახული პ. ცხადაიას წიგნში, ანუ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ბატონი პაატა ვერ შეხვდა ისეთ რესპოდენტს, რომელიც დაეხმარებოდა მას გივი ელიავას მიერ 1977 წელს გამოცემულ წიგნში თავმოყრილი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციის, სემანტიკისა და მოტივაციის დადგენაში; ე. ი. ამ ორი მეცნიერის სათვალსაწიერო, საკვლევო პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტოპონიმთა ერთი ნაწილის „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ ხანმოკლე ყოფილიყო; მეორე, სიცოცხლისუნარიან ნაწილს კი ფორმით ან შინაარსით შეცვლილი სახელი ჩანაცვლებოდა.

ზემოთ თქმულში მეტი სიცხადის შესატანად აქვე მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს: გ. ელიავა აბაშის რაიონის „წყემის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში ასახელებს 44 ტოპონიმს¹. ამ ტოპონიმთა პ. ცხადია სალექსიკონო მასალასთან შედარებით გავარკვეით, რომ გ. ელიავას მიერ დამოწმებული მიკროტოპონიმები - დელე ტეხური, ოთიფური, ცხირონი, ნიმატყა, რუსკარი, ჭობარი, ნაშენი, ეთუნგიე, ნაჯისუ, დაჩა, წისკვიიკარი, ნაცაცხვერა, კადარი და ხარდანი არაა შესული პ. ცხადიას ლექსიკონში. გ. ელიავა ასახელებს ტოპონიმებს: დადიაში ნოხორი „დადიანის ნასახლარი“, ტამური, ეწერი, ჯახირი, დაბაი ტყა „დაბალი ტყე“, ანაიური, ტები, ზუგა, ჩეშონა... პ. ცხადია კი თავის წიგნში წარმოგვიდგენს ტოპონიმთა ვარიანტულ, პარალელურ ფორმებს: დადიაში დოხორე//კოკიშ დოხორე, ტაბური, ეწერობა, ჯახირი, დაბალი, ალანური, ტებონა, ზუგუ//ცხაცხუჯინჯი, ჩეჩონა//ჩოჩონა...

უაღრესად საგულისხმოა პ. ცხადიას მსჯელობა აბაშის რაიონის ოიკონიმთა ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხებზე, რაც მოცემულია წიგნის პირველ ნაწილში. ამჯერად ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

მკვლევარი „გეზათის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას იმოწმებს ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისს, რომ „-ათ სუფიქსს თვლიან ქართული -ეთ სუფიქსის ზანურ შესატყვისად“; თუმცა გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად -ათ სუფიქსის გამოყოფა მაინც სადაოა. აკად. ს. ჯანაშია საგანგებოდ შეეხო -თი სუფიქსის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ „აქ უნდა გვქონდეს ოდესღაც თავისთავად არსებული სიტყვა, რომელსაც საფუძვლად დადებული ექნებოდა „ოჯახის“, „გვარის“ ცნება. სათანადო ძიების შედეგად ასეთი რამ მართლაც აღმოჩნდა. პროფ. იოს. ყიფშიძე თავის მეგრულ-გურულ ლექსიკონში უზენებს **თი** სიტყვას, რომელსაც მისი განმარტებით აქვს შემდეგი მნიშვნელობანი: „ოჯახი“, „სახლი“, „სახლ-კარი“ (თუ კომლი —*двор*“?), „საგვარეულო“². სახელოვანმა მეცნიერმა ნათესაური ჯგუფის სტრუქტურის საკი-

¹გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმოკა, 32-34.

²ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა/თ- სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის. შრომები. ტ. III, თბ., 1959, 152.

თხებზე მსჯელობისას ცხადყო, რომ თი მეგრულში ოჯახის, სახლის, საგვარეულოს აღმნიშვნელია¹. ასევე ესმით თი სიტყვა ო. ქაჯაიას და ა. ქობალიას. შდრ.: ო. ქაჯაია: „თი (თის) (მრავლობითი რიცხვი არ აქვს) ოჯახი; სახლი; სახლ-კარი“²; ა. ქობალია: „თი ოჯახი, სახლი, გვარის განაყარი; ოჯახის საცხოვრისი“³.

პ. ცხადაია სამეგრელოს ტოპონიმიაში გამოყოფილ -თი დაბოლოებას მორფემოიდად მიიჩნევს. -თი „წარმოქმნის ჯგუფურ ანთროპონიმებს, რომლებიც ხშირად ტოპონიმებადაც იქცევა: თოლორდა (გვარსახელი თოლორდავა) → თოლორდათი „თოლორდას შთამომავალნი, თოლორდას მოდგმა“. ამგვარი ანთროპონიმი ხშირად გადადის ტოპონიმის რანგში. მაგრამ -თი დროთა განმავლობაში იქცა მორფემოიდად და გაუტოლდა სპეციფიკურ ტოპოფორმანტს. ამიტომ შემორჩენია უბნებს ასეთი სახელწოდებანი: თოლორდათი//სათოლორდო, ბერიათი//ლებერიე“⁴.

მსგავსი წარმოებისაა აბაშის რაიონის რამდენიმე კომონიმი: **გულუხეთი, ზანათი, გუგუნაყათი, სეფიათი//სეფიეთი**. საინტერესოა პ. ცხადაიას მსჯელობა ოიკონიმ **გუგუნაყათის** (← მეგრ. **გუგუნაყათი**) ეტიმოლოგია-მოტივაციაზე. ქართველურ ენებში ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად თანხმოვნის ჩართვა რომ საჭიროა, ცნობილი ფაქტია. მკვლევარი თქმულის საილუსტრაციოდ იმოწმებს მაგალითებს ი. ყიფშიძის ნაშრომიდან: მა „მე“ → მა-ვა „მეო“, მუ ფქიმიანა „რა ვქნა“ → მუ ფქიმიანა-ვა „რა ვქნაო“⁵). მეგრულში დღეს, მართალია, საგანგებო საგვარსახელო სუფიქსებია **-ვა, -ია, -უა** ბგერათკომპლექსები, მაგრამ ირკვევა, რომ ისტორიულად ამ ფუნქციას **-ა** ხმოვანი ასრულებდა. „ქართული სამართლის ძეგლების“ მრავალტომეულში დასტურდება გვართა შემდეგი ფორმები: **გუგუნაა, ნიკოლაა, შაფათაა...** ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად მოხდა ამ გვარებში ვთანხმოვნის ჩართვა, რის გამოც მივიღეთ **გუგუნავა, ნიკოლავა, შაფათავა**. მაგრამ, როგორც

¹იქვე. 152-155

²ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002, 46.

³ა. ქობალია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, 315.

⁴იქვე. 19.

⁵ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი. კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კორნელი დანელიამ, თბ., 1994, 43.

ჩანს, ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენებოდა ე ბგერაც. ამის მაგალითია გვარი **გუგუნაყა** და მის გვერდით გამოიყენებული **გუგუნაყა** ფორმა. მაშასადამე, დაასკვნის პ. ცხადაია, გვარსახელ „გუგუნაყაში ე ისეთივე ჩანართია, როგორიც ვ. ასეთ შემთხვევაში: გუგუნაყა (გვარსახელი) → გუგუნაყათი „გუგუნაყას ოჯახი, გუგუნაყას შთამომავლობა“ (ჯგუფური ანთროპონიმის ტოპონიმთა რანგში გადასვლა სამეგრელოს ტოპონიმიაში იშვიათი აღარაა). გუგუნაყათი მეგრული გუგუნაყათის ქართული ვარიანტი“¹.

ოიკონიმ „ნორიოს“ მკვლევარი უკავშირებს წყლის ასამაღლებელი მოწყობილობის არაბულ სახელს - **ნურიას**: ნურია ბორბლისებური მოწყობილობა ყოფილა, აღმა (ფერდობზე) წყლის მისაწოდებელი².

პ. ცხადაია იმოწმებს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს (კ. ჰანი, კ. კაჭარავა, ი. კეკელია) კომონიმ „წალიკარის“ ამოსავალ ფუძესთან დაკავშირებით. 2010 წელს გამოცემულ ნაშრომში გამოთქვით მოსაზრება, რომ წალიკარის ამოსავალი ფუძეა მცენარის სახელწოდება **წალიკა**, ხოლო **-არ** საწარმოქმნო სუფიქსი კრებითობა-სიმრავლის გამომხატველია და **-ნარ** სუფიქსს ემსგავსება. მაშასადამე, წალიკ-არი იგივეა, რაც „საწალიკე“, ადგილი, სადაც მრავლად ხარობს მცენარე წალიკა³. პ. ცხადაია ამასთან დაკავშირებით დაასკვნის: „მისაღები იქნებოდა ი. კეკელიას განმარტება, რომ წალიკარი (← წალიკნარი ← წალიკა) „იგივეა, რაც „საწალიკე“..., მაგრამ სიტყვა წალიკა (ბალახია ერთგვარი) მეგრულში არაა გავრცელებული (შდრ. ა. მაყაშიილი: წალიკა - მეგრ. სარდაკია, სანდრაკია). ქეგლისა და აღ. დღონტის „სიტყვის კონის“ მიხედვით, სიტყვა წალიკა გავრცელებულია ქართლურ, გურულ, იმერულ დიალექტ-

¹ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. აბაშის რაიონი, VIII, 38.)

² იქვე, 47-48.

³ ი. კეკელია, აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2010, 85.

ტებში (შდრ. რაჭა-იმერეთის გამყოფ ქედზე საძოვარს ეწოდება საწალიკე¹).

პატივცემული მკვლევარისთვის ასევე მიუღებელია კომონიმ „ტყვირის“ ჩვენეული განმარტება. ვეყრდნობოდით რა ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულ **ტყვირი** სიტყვის განმარტებას, ვფიქრობდით, რომ შესაძლებელია სოფლის სახელწოდება ტყვირის სემანტიკაც დაკავშირებული ყოფილიყო ტყის, ეკაღბარდის მნიშვნელობასთან². მაგრამ ამ შემთხვევაში, დასძენს პ. ცხადაია, ასახსნელია ოიკონიმ **ტყვირ**-ში **-ვ** თანხმოვნის არსებობა, ვინაიდან ბგერა-ფონემის მთავარი დანიშნულებაა ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ცვლა³.

პ. ცხადაიას მიერ გამოცემული წიგნი მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველია. ამიტომ მისი გამოცემით ავტორმა დიდი სამსახური გაუწია ქართველური ტოპონიმის საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს. ამჯერად მკითხველს გვსურს გავაცნოთ ჩვენი შეხედულება ზოგიერთ ისეთ საკითხზე, რამაც ყურადღება მიიქცია წიგნის წაკითხვისას.

ცნობილი ფაქტია, რომ ტოპონიმში შეიძლება დადასტურდეს ისეთი სახელწოდება, რომლის ამოსავალი საზოგადო სახელი არ დასტურდება დღემდე გამოცემულ ლექსიკონებში. აბაშის რაიონში ჩაწერილ ტოპონიმთაგან ასეთია **ჯადელური/შონიაშ ოლე** - სახნავის სახელწოდება ნოღელის მარჯვენა მხარეს, სოფ. ტყვირში. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მოცემულია **ოლე** სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობა: 1. პატარა ტყე მინდორში ან მდინარის პირას. 2. ახლში საჩრდილობლად დატოვებული ხე (ან ბუჩქი)... შენ ღიახვის კლდეზე დგახარ ძველი მოსასხამით, - ოლე, ოლე, მარტო ხეო, დღისითა და ღამით (გ. ლეონ)... 3. კუთხ. (ქართლ. გ.-კახ.) იგვევა, რაც ბერყენა; 4. კუთხ. (რაჭ.) იგვევა, რაც ბუჩქნარი. „შონიაშ ოლეს“, როგორც ტოპონიმის, მეორე კომპონენტის - „ოლეს“ შინაარსი სულ სხვაგვარია: ოლე „მეზო-

¹პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, აბაშის რაიონი, VIII, 89.

²ი. კეკელია, აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, 77.

³პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, აბაშის რაიონი, VIII, 92-93.)

ბელი, გვერდით მდებარე, მოსაზღვრე“ - განმარტავს პ. ცხადია¹. **მარნის გორა** ეწოდება საძოვარს სოფ. მარნის საზღვარზე, თხემელარში. გ. ელიავას ტერმინი **მეგორავე** ახლო მეზობლის, ძირის მეზობლის მნიშვნელობით ჩაუწერია მარანში, სამიქაოში, გეზათსა და ქოლობანში. გადმოცემით, წინაპრებს გორაზე უცხოვრიათ. გორიდან ჩამოსულ, მეზობლად მცხოვრებ ახლობლებს, ძირის მეზობლებს მეგორავეს ეძახდნენ თურმე². თხემელარში ადგილის სახელწოდებად დამოწმებული **მარნისგორის** მეორე კომპონენტი **გორა** საზღვრის აღმნიშვნელია³.

როგორც სალექსიკონო მასალების გულდასმითი ანალიზიდან ჩანს, აბაშის რაიონის ტოპონიმიაში ინდიკატორად გამოყენებულია გორა, ზუგა (ზურგა, ზუგე), ნასახლარი (ნამოსახლარი, ნამოსახლი), წყალი, ხევი, ხაბო, შანი, წყურგულე „ცივწყარო“, ტყე, ტყა „ტყე“, თავი, დუდი „თავი“, ჭალა, კარავი//კარე (ნაკარე), ძირი, ჯინჯი „ძირი“, უბანი, კუთხე, ქუჩა, კარი, მუხური//მუხურე, გზა, წისქვილი, ნაწისქვილარი, დელე, დალი „დელე“, ოთიფურე „სათიბი“, ყანები, ზღვაურა, მადალი, დაბალი, გაღმა, გამოღმა, ბეგი, ეკლესია, ოხვამე „ეკლესია“, ბოგირი, მიწა, დიხა „მიწა“, პირი, პიჯი „პირი“, ყანა, ცვანა „ყანა“, ხიდი, ხინჯი „ხიდი“, ბოგა (ბოგირი), მინდორი (მიდორი), ფართობი, წკობი, ფშიარი, ჭორთი, ფონი, საბანაო, მამული, დობერა (დობირო), ეზო, ნაეზვარი, ძგა „კიდე“, სამანი, პარონი, დამბა, რიყე, ციხე, ქალაქი, სოფელი, დარი, არხი, რჩქონი/ჩქონი, ტობა „ტბა; ღრმა“, ხაბო, წაკორტი, კოდე, ხარდანი, ჩაი და სხვ. მრ.

გვხვდება დრიმონიმის (ტყის სახელის) კომონიმად ქცევის მაგალითები: **სუჯუნა** „სუროვანი“ ტყის სახელი აქ გაშენებული სოფლის სახელად ქცეულა; **თხემელარი** „თხემელნარი“ - სოფელი პირველი მაისის თემში... ლანდშაფტის ამსახველი ონიმი **მაიდანო** „მოედანი“ სოფლის სახელად გვხვდება: მაიდანო ეწოდება სოფელს სამიქაოს თემში. ნაგებობის სახელის კომონიმად ქცევის

¹ პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, აბაშის რაიონი, VIII, 283.)

² გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო. აღბოძი. ქუთ., 1989, 107)

³ პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. აბაშის რაიონი, VIII, 168.)

ნიმუშია **მარანი**. ასე ეწოდება სოფელს ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე.

სამკომპონენტიანი ტოპონიმია **წყარდანოღელაშუა**. პ. ცხადაიას ცნობით, ამ სახელს ატარებს სახნავი და წყაროს შესართავი მდ. ნოღელასთან, სოფ. მაიდანში¹. საგულისხმოა ის გარემოება, რომ დამოწმებული ტოპონიმი ორენოვანების ნიმუშსაც წარმოადგენს. პირველი კომპონენტი **წყარ** მეგრულში აღნიშნავს „წყალს“.

ჰიბრიდული ინტერფერენციის ნიმუშებია: **ჭალისკუთხე/გულეკარიშჭალე** (პ. ცხადაიას კომენტარი ამ ტოპონიმთან დაკავშირებით: გულეკარში „დასტურდება ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ერთ ობიექტს (სოფლის უბანს) ორი სახელწოდება აღნიშნავს - ერთი ქართული და ერთი მეგრული“), **გვატილიაშნამოსახლარი** „გვატილიას ნამოსახლარი“ და სხვ.

დასტურდება **-ობა** ნაწილაკით ნაწარმოები რამდენიმე მიკროტოპონიმი: **ბოხურობა, ეზოლობა, კარობა, კოდორობა, ნაეზვარეზი/ეზოლობა, ნოხორიფევი/ნოხორიობა, ნოხორობა, რიონპიჯობა, ჩიტიების ეზოლობა**². პ. ცხადაიას აზრით, „სუფიქსი -ობა ფუნქციით უტოლდება -ეფ-ს“³. როგორც ცნობილია, -ობა დღეობის აღმნიშვნელი სუფიქსია. შდრ. **გერგობა, ელიობა**⁴. ამის გარდა, **-ობა, -ობუა** სუფიქსები აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს არსებითი, ზედსართავი და კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან⁵. ყველა ეს მნიშვნელობა -ობა სუფიქსისა დასტურდება პ. ცხადაიას მიერ გამოცემულ სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტების ტოპონიმიაში.

გვხვდება **ნა-, ნო-** და **სა-** პრეფიქსიანი, **ნა-ო, ნა-უ, ნა-ა, ნა-ეგ, ნა-ებ, თ-ე, სა-ა, სა-ე** და **სა-ო** პრეფიქს-სუფიქსიანი, **-ურ//-ულ, -ონა, -ონი** სუფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები (ნაბოსელო, ნადიდცხენწყარო, ნადიზელო, ნაბაშუ, ნადუქანუ, ნათუნთერა, ნაკარენი, ნამარილევი, ნამოცოროზები, ნასაყდრი, ნასახლი, ნო-

¹ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. აბაშის რაიონი, VIII, 272.

² იქვე, 122, 141, 153, 159, 176, 196, 262.

³ იქვე, 196.

⁴ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 529.

⁵ თ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, 417.

კარენი, ნოჯიხენი..., ობერგულე, ოთიფურე/ი..., სააგურე, საბალა-
ხო, საბატია..., ბებური, ბოხური, გვალური, გრიგოლ(ა)ური, გუდუ-
რი, ზანგური, იობური, კაცობური, დოც(ო)ნური..., გედერული, კარ-
თხული..., თხირნა, თხირონა, კალამონა, თხომულონი, კვადაცონი,
კორცხელონი...).

ბ. ჯორბენაძე შენიშნავდა, რომ „ქვემოიმერულში“ შევხვდეთ
ბით **ფირცხალანები, მელაძნები** ტიპის ფომებს. ანალოგიური ვი-
თარებაა ლენხუმურსა და გურულში¹. ლენხუმურისთვის დამახა-
სიათებელია -ნ-ებ დაბოლოებიანი წარმოებაც: ჩაკვეტაძენები, ბე-
ნიძენები (მაგრამ: კუსალაშვილები); ენ-ებ გააზრებულია ერთიან
დაბოლოებადაც. მაგალითად: ფადავ-ენებ-ი, გუგავ-ენებ-ი (იქვე). -
ნ-ებ დაბოლოებით ოჯახის სახელთა წარმოება დადასტურებუ-
ლია აჭარულშიც: ბოლქვაძ-ნ-ებ-ი, ხალვაშ-ნ-ებ-ი...². გვართავან
ნაწარმოები ტოპონიმების ასეთივე სპეციფიკური ფორმები და-
მოწმებულია აბაშის რაიონის სოფლებშიც. შდრ.: **ბოცვაძნების**
მინდორი, გვაზავნების ნამოსახლი, გოგავნების უბანი, ტაბიძნე-
ბის ნაწისქვილარი, ჯიბლაძნების კუთხე, ჯიბლაძნების ნაქონვა-
რი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მრავლობითის ორმაგი აფიქსა-
ციით ნაწარმოებ გვარებთან: ბოცვაძ-ნ-ი → ბოცვაძ-ნ-ებ-ი, და
ასე: გვაზავნები, გოგავნები, ტაბიძნები, ჯიბლაძნები... დამოწმე-
ბულ ფორმებში ადგილი აქვს -ე ხმოვნის რედუცირებას.

გვართა დასახლებანი აბაშის რაიონის ტოპონიმიაში წარ-
მოღვენილია შემდეგი სახით: **გრიგოლიები/გრიგოლიების კუთხე,**
დარცმელიძეები/დარცმელიძეების უბანი/დარცმელიძეების ქუჩა,
კაჭარები/კაჭარავების უბანი/საკაჭარო, კვანტალიანები/კვან-
ტალიანების ქუჩა, ლეჟავები/ლეჟავების უბანი, ლორწვილები,
მიქაძეები/მიქაძეების ქუჩა, რუსიები, სიმონიშვილები, ქობულიე-
ბი, ქორქაშვილები, ქურდბაძეები, ჩაჩიბაიები, ჩორგოლაშვილები...

სა-ო ინფიქსითაა ნაწარმოები **საახობაძო, საბოკერიო, საბჟა-**
ლიო//ბჟალავების უბანი, საგაბლაიო, საგაბუნო, საგამსახურდიო,
საგორილისქუო, საგუგუსქუო//საგუგუშვილო, სადავითაიო, სათო-
ფურიო, საკორძახიო, საღვანიო, საჩოჩიო...

¹ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993, 45.

²იქვე.

ცნობილია, რომ **ლე**-პრეფიქსი **-ეს**უფიქსთან ერთად სამეგრელოში გვარებისგან აწარმოებს ადგილთა სახელებს (შდრ. ლევახანე, ლეკეკელე, ლეფოხხუე...). მისი ქართული ეკვივალენტით – **სა**-თი გაფორმებულ **80-ზე** მეტ გვართა დასახლებას ასახელებს პ. ცხადია აბაშის რაიონის ტერიტორიაზე, მაგრამ **ლეე** ინფიქსით გვართა დასახლების არც ერთი შემთხვევა მის წიგნში დამოწმებული არ არის. გ. ელიავა „წყემის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში თუნგიების უბნის სახელწოდებად ავიქსირებს **ეთუნგიეს**¹. სხვათა შორის გ. ელიავას წიგნში, განსხვავებით პ. ცხადიას სალექსიკონო მასალებისგან, გვარებისგან (**ლე**)-პრეფიქსით ნაწარმოები არაერთი ტოპონიმია დამოწმებული აბაშის რაიონის ტერიტორიაზე. მაგალითად, ეგვიე/გვიეაში მუხური, ელოგიშილე, ეგუჯუე, ეჟვანიე, ერუბინიე, ეჭიე². პ. ცხადია, ეყრდნობა რა რესპოდენტთა მტკიცებას, ასახელებს ზოგიერთი მათგანის **სა**-პრეფიქსით გაფორმებულ ვარიანტს: საგუგუსქუო//საგუგუშილო, საგუჯუე, საჟვანიო³.

ვიქსირდება შტოგვარებითა და ჯგუფური მეტსახელებით სახელდებული ობიექტები. მაგალითები: **ბაბუესქუაშ კარე (ბაბუესქუა** ნადარეიშილთა ერთ-ერთი შტოგვარია), **ბადალეების წყარო (ბადალეები** მიქაძეების ერთ-ერთი შტოგვარია), **ბარდლების რიყე, ბარდლებისყანა (ბარდალა** ჯანგველაძეების კილია. მოტივაცია: გვარის წინაპრები ბარდალობდნენ, ანუ გაუგებრად ლაპარაკობდნენ თურმე), **იქმოდეიშილეების ქუნა/მოთოთი** (მოთოთი ამ გვარის კილია), **საგუჯუე** (ნადარეიშილეების შტოგვარია **გუჯუე**), **სახარასქუო (ხარასქუა** ჭანტურიას შთამომავლების ჯგუფური მეტსახელია). ზედა მაიდანში უბნის სახელწოდებაა **ბოგანოებისქუნა**. მოტივაცია: სხვადასხვა კუთხიდან გამოქცეულ, უსწავლელ და გაუნათლებელ ხალხს აქ არსებული ტყისთვის შეუფარებია თავი. **ბოგანოები** მათი მეტსახელი ყოფილა⁴.

¹გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმოცია, 33.

²გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმოცია, 30, 50, 16, 39, 31, 29.

³პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, აბაშის რაიონი, VIII, 213, 214, 226.

⁴იქვე, 120.

ტოპონიმის ფონეტიკური ტრანსფორმაციის ნიმუშად შეიძლება დასახელდეს **ანალური ← ალანური** „ალანისკული“ (ალანია გვარია), რაც მიღებულია ბგერათგადამის გზით (შდრ.: თხინვალი → *თხილვანი, დანისპარაული → *დარისპანაული).

პ. ცხადაიას სალექსიკონო მასალაში წავაწყდით **შელ-** კომპონენტის შემცველ რამდენიმე მიკროტოპონიმსაც. ესენია: **გოგაშელი** – საძოვარი სოფ. გეზათის საზღვარზე, ონტოფოში; **ვასილიაშელი** და **კაკულიაშელი** – სახნავეები აბაშის მარჯვენა მხარეს, სეფეთში¹. ისტორიკოს თ. მიბზუანის აზრით, **შერა** სვანურში საკუთრების ფორმის გამომხატველია (შდრ. ლეუშერი, ცხუკუშერი). მკვლევარი იმოწმებს სათანადო მაგალითებსაც: ბაპშერა (მიბზუანთა ერთი შტოგვარი) – „ბაპიანთი, მღვდლის ოჯახი“, გაგიშერა (საკუთარი სახელისგან – გაგი), ავლათშერა (ნავერიანების ერთი შტოგვარი) – საკუთარი სახელიდან – ავლათ, და ა. შ. ამგვარად, თ. მიბზუანის აზრით, **ბაბუშერა** სვანურად იგივეა, რაც „ბაბუის სამფლობელო ადგილი“ (ბაბუ „ბაბუა“)². პ. ცხადაია შენიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში საიჯარო მიწა შეიძლებოდა ყოფილიყო თანაბარსაზიარო, სამესამედო, სამეთხედო. თანაბარსაზიაროდ, სანახევრო წილით დასაბუშაგებელი საიჯარო მიწა **საშელოდ** იწოდებოდა. ამ სამეურნეო-სამიწათმოქმედო ტერმინის ამოსავალი ფუძე **შელ-** შინაარსით ქართული **ზიარ-** ფუძის შესატყვისია, მასალობრივად კი იმერულ „სეულ“ მორფემიდან შეიძლება უკავშირდებოდეს³. მაშასადამე, **შელი** ზიარია, წილია. ამასთანავე, **-შერ** ვისიმე ოჯახისადმი კუთვნილებითობის გამომხატველი სუფიქსია სვანურში⁴. პ. ცხადაია იმოწმებს **-შელ** ფუძის შემცველ კომპოზიტურ ტოპონიმებს სამეგრელოში: გუტიაშელი, გუტუიაშელი, კონაშელი, პაპაშელი, შელიაშელი⁵. ტოპონიმთა ამ რიგს შეიძლება აგრეთვე დაემატოს ბახ-

¹პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, აბაშის რაიონი, VIII, 129, 143, 152.

²თ. მიბზუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989, 260.

³პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან. I, 95.

⁴კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 2001, 336.

⁵პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I, 95-96.

ვაშელი და გოჩაშელი – ადგ. სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოცხოში...¹ როგორც ჩანს, -**შელ** საერთო ქართული ფუძეა.

საინტერესოა პ. ცხადაიას ინფორმაცია სოფელ გაუწყინარის სახელდების ისტორიასთან დაკავშირებით: გადმოცემით, გაუწყინარის ძირითადი ნაწილის სახელი უწინ **დელპირი** ყოფილა. მაგრამ რატომღაც ეს სახელი არ მოსწონებიათ და ახალგაბოყოფილი სოფლისთვის გაუწყინარი უწოდებიათ. დელპირი ამჟამად დიდი უბნის სახელწოდებაა შავღელის ნაპირას. აქაურ მცხოვრებთ დელპირელებს ეძახიან². როგორც ჩანს, უბნის სახელის განმსაზღვრელია მისი მდებარეობა შავღელის, იგივე ნაცხენწყოს//ნაცხენწყარის ნაპირას.

სამიქაო სოფელია ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **სამქა, სამქაო**; პ. ცხადაიას მიერ ჩაწერილ მიკროტოპონიმთა კი **სამქუს** სახით შესამე ვარიანტიც შემოუნახავს, რაც აქამდე ცნობილი არ ყოფილა სამეცნიერო ლიტერატურაში. შდრ.: **სამქუ** – საძოვარი სამიქაოს საზღვართან, სოფ. ონტოფოში; **სამქუშ** **წყურგულე** – ნაკადული, კიბორჩხალის ზემო წელის სახელწოდება ასევე ონტოფოში³.

საინტერესოა აგრეთვე დაკვირვება შემდეგ ტოპონიმებზე: **კუციაშუკახალე** „კუციას უკან“, **გოჯოუკა(ნ)**, **ხიდეშთუღო** „ხიდსქვემოთ“, **ბუველეები**, **ორუველები**, **ჟველები** (სამივე ტოპონიმის ამოსავალია ბჟოლა (ბჟოლის ხეები)), **გძელეკლიანი**, **გძელფონი** (რ თანხმოვანი დაკარგულია), **ნოღლიპირები** (← ნოღლიპირი ← ნოღელიპირი), **სამპირხე** (გზისპირას მდგარი სამი ვერხვისგან წარმოსდგება), **ჯიპიჯი** (← უიპიჯი ← უირპიჯი „ორპირი“). ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ტოპონიმთა შემდეგი ფორმები: **თამარიის თხილები**, **კოლიის დაბალი**, **ფილიპიის კარავი**, **ფილიპიის ყანა**, **კორკონჯიის ნამოსახლი**, **მაიის წკაპი**, **ტოტის ფშიარი**... რა თქმა უნდა, ამგვარი ფორმები (პირსახელი + -ია ან -აია →

¹გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმთა, თბ., 1989, 115.

²იქვე, 125, 257.

³იქვე, 224.

ნათესაობით ბრუნვაში -ია ან -აის შემოსულია იმერულიდან (ფილიპიის ნაყანები, გოჩაის ღელე, ლუკაიის ტყე და სხვ.).

გ. ელიავა „ქოლობნის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში გზის სახელწოდებად დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს **საცილო შარა**-ს და ფრჩხილებში განმარტავს, როგორც „საცილო გზას“. განმარტებას თან ახლავს რესპოდენტის შემდეგი ცნობა: „ამ გზის გამო თავადები ერთმანეთს ეცილებოდნენ, ხშირად სისხლიც დაღვრილა“¹. პ. ცხადია გვთავაზობს ტოპონიმის განსხვავებულ ვარიანტს: **საცილორო შარა** – სოფ. რუშადან ცილორისკენ მიმავალი გზის სახელწოდებად. სწორედ ამ ფორმით არის იგი მოხსენიებული 1616-1621 წლებით დათარიღებულ დავთარში². მაშასადამე, სახელწოდების შინაარსი ასახავს გზის მიმართულებას ცილორისკენ და მას არავითარი კავშირი არა აქვს ცილობასა და სისხლისღვრასთან (მდრ. სალენხომო შარა//ენხომაშ შარა//დადიაშ შარა//სადადიო შარა – ძველი გზა, ზუგდიდი-გორდის გზის მონაკვეთი მარტვილის რ-ნის სოფ. ნაგვაზავოში. ეს გზა ლეჩხუმისკენ მიემართებოდა).

წინამდებარე რეცენზიაში ჩვენ მიერ დამოწმებული გეოგრაფიული სახელწოდებების ზოგადი, საინფორმაციო ხასიათის ანალიზიც ცხადყოფს, თუ რამდენად ფასეულია ონომასტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის პ. ცხადიას მიერ სავსე ექსპედიციების გზით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში მოპოვებული და ცალკე წიგნად გამოცემული აბაშის რაიონის ტოპონიმთა სალექსიკონო მასალები.

ტოპონიმებმა – ერის ისტორიის უტყვემა ძეგლებმა, შემოგვინახა შორეული წარსულის ამსახველი უამრავი უნიკალური ინფორმაცია, ხოლო პაატა ცხადიას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ წლების მანძილზე დაუდალავი და მძიმე შრომით ღია ცისქვეშ მოძიებულ-მოქუჩებული ძეგლები დროის ქარაშოტს გამოარიდა და შთამომავლობას მოსაველეად და საპატრონოდ შემოუნახა.

¹გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმთა, 46.

²პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, აბაშის რაიონი, VIII, 233.

§7. 6. სენაკის რაიონი

სენაკის რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტის) ტოპონიმთა მცირე ნაწილი შესულია პროფესორ ალექსანდრე დლონცის ავტორობით 1971 წელს გამოცემულ წიგნში¹. მოგვიანებით, 1989 წელს, ქართველ მკითხველს ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მდიდარი ტოპონიმური მასალის ერთი ნაწილი – სენაკის რაიონის ასეულობით მიკროტოპონიმი, სასოფლო საბჭოების მიხედვით დაჯგუფებული სალექსიკონო მასალის სახით, მიაწოდა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **გივი ელიავამ**². საგულისხმოა და საზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სწორედ გივი ელიავას სახელს უკავშირდება საქართველოში პირველად ტოპონიმთა არამარტო კარტოთეკებისა და სქემების, არამედ ტოპონიმური ატლასების შექმნა რაიონების მიხედვით, რაც მარტვილის მუზეუმის სამეცნიერო ფონდში ინახება და თითქმის ნახევარი საუკუნეა ელის გამომცემელს.

ალექსანდრე დლონტმა და გივი ელიავამ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მთელი სამეგრელო ფეხდაფეხ შემოიარეს. სწორედ მათ უნდა ვუმაღლოდეთ მრავალი, დღემდე სრულიად უცნობი გეოგრაფიული სახელწოდების გადარჩენას და ჩართვას ტოპონიმური კვლევა-ძიების ორბიტაში.

სენაკის რაიონის ტოპონიმის საკითხებზე სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ცალკეულ ავტორთა სტატიები და წიგნები. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ თ. ბერაძის, ო. ხუხუას, ი. კეკელიას, ნ. ბულაძის, დ. ოდიშარიას, დ. ყანდაშვილის, გ. შალამბერიძის, დ. ჭითანავას, ზ. ჭუმბურიძისა და სხვათა პუბლიკაციები.

ამ გამოკვლევებს 2013 წელს შეემატა **პაატა ცხადაიას** 440-გვერდიანი წიგნი „**სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. სენაკის რაიონი**“. ეს არის ამ სერიით სამეგრელოს ცალკეული რაიონების ტოპონიმურ მასალებზე გამოცემული რიგით VII წიგნი, რომლის პირველ ნაწილშიც წარმოდგენილია ცალკეული დასახლებული პუნქტების შესახებ მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის მიმოხილვა. ამას მოსდევს რესპოდენტთა სია, მა-

¹ალ. დლონტი, ტოპონიმური ძიებანი, I, თბ., 1971, 108 გვ.

²იხ. გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989, 152 გვ.

თივე ასაკის ჩვენებით, და ტოპონიმური მასალის ჩაწერის თარიღი. წიგნის მეორე ნაწილში სენაკის რაიონის ტოპონიმია საერთო ანბანის რიგზეა დალაგებული. სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია სახელდებული ობიექტის მიკროლოკალიზაცია, მოტივაცია, ამოსავალი ფუძის ეტიმოლოგია და ისტორიული წყაროების მონაცემები (სადაც ეს შესაძლებელი იყო).

წლების მანძილზე პ. ცხადაიას ენერგიული და მუხლჩაუხრელი შრომით მოპოვებული და ცალკე წიგნად გამოცემული სარეცენზიო წიგნის გაცნობით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, რომ სამეგრელოს (ოდიშის) წარსულის, კულტურული, ეკონომიკური თუ სოციალური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გულმოდგინედ გამოსაძიებელი და შესასწავლი...

სამეგრელოს ის რაიონი, რასაც ამჯერად ჩვენს ნაშრომში შევეხებით, ანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში ძლიერ დაწინაურებული იყო, რაც დასტურდება ქართული და უცხოური (ბერძნულ-რომაული) წერილობითი წყაროებით და ამჟამად, ჩვენში ეგზომ დაწინაურებული არქეოლოგიური ძიების შედეგებით. სწორედ სენაკის რაიონში, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარეობს ეგრისისა და სვანეთის ერისმთავრის – ქუჯის მიერ დაარსებული ციხე-ქალაქი, ქართული წერილობითი წყაროების **ციხეგოჯი**. უცნობი ავტორის თხზულებაში – „დავით და კონსტანტინეს წამება“, გვხვდება ფორმა „ჯიხა ნოქალაქევისა“, ანუ ქუჯის ციხესიმაგრე. VI საუკუნის ბიზანტიურ წყაროებში დამოწმებულია ბერძნული ფორმა ციხის სახელწოდებისა – **არქეოპოლისი**, რაც სიტყვასიტყვით „ძველ ქალაქს“ ნიშნავს. იუსტინიანეს ნოველებში (VI ს.) არქეოპოლისი კოლხეთის ძველ სიმაგრედ არის დასახელებული. პროკოპი კესარიელის ცნობით, ღაზებს მდინარის პირას ძველთაგანვე აუგიათ „არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული“. VI-VIII საუკუნეებში ციხეგოჯი წარმოადგენდა ეგრისის სამეფოს დედაქალაქს, რაც VIII ს-ის 30-იან წლებში დაურბევია და გაუნადგურებია არაბთა სარდალს მურვან ყრუს. XVIII ს-ის დიდი ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და პოლიტიკური მოღვაწის – ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „აწ

სენაკს ზეით უნაგირას ძირში არს ნაქალაქევი, ციხეგოჯად წოდებული. ეს აღაშენა მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე“¹.

სენაკის რაიონის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აქვე დავასახელებთ სოფ. ეკის იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო ანსამბლს, IX-X სს. ფრესკების ფრაგმენტებით, ეკის მაცხვარკარის ეკლესიას (XIII ს-ის II ნახევარი), ეკის ადრეფოდალური ხანის ციხის ნაშთს, ირგვლივ შემოვლებული ღრმა და განიერი თხრილით, ჯგაბარიონის//ჯგემარიონის, ანუ წმ. მარიაშის შუა საუკუნეების ეკლესიისა და გალავნის ნაშთს სოფ. ბეთლემში, სახარბედიოს დედათა მონასტერს, ძველი სენაკის მაცხოვრის შობის ეკლესიას – მანცხვარს (XVII ს.), ხორშის მაცხოვრისკარის ეკლესიას (VI-IX სს.), შხეფის შუა საუკუნეების ციხესიმაგრეს...

პ. ცხადიას არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზების საფუძველზე მიზნად დაუსახავს სახელოვან კოლხთა ნადვარის წარმოჩენა მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროში. მკვლევარი თვალნათლივ წარმოაჩენს მათ განსაკუთრებულ წვლილს ქვეყნის მშენებლობის საქმეში. ტოპონიმებს – ენის ამ არქაულ დანაშრევებს, შორეული წარსულის მეცნიერული რეკონსტრუქციისათვის საჭირო წერილობითი წყაროების ნაკლებობის პირობებში, მატერიალური კულტურის ძეგლებთან და ეთნოლოგიურ მასალებთან ერთად, პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება, რაშიც მკითხველი ადვილად დარწმუნდება, თუკი გულდასმით გაეცნობა სარეცენზიო წიგნში თავმოყრილ მრავალფეროვან მასალას...

წიგნში წარმოდგენილია სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების ღრმა მეცნიერული შესწავლის ცდები. ასე, მაგალითად, ოიკონიმ **ისულას** ჩვენეული განმარტება: ისულა ← ისირულა „ისლნარი ადგილი, საისლე“², პ. ცხადიას დაკვირვებით, მისაღები რომ იყოს, აუცილებელია **-ულა** ფუნქციით **-ონა**-ს ტოლფარდი ტოპონიმების მოძიება. „ასეთ შემთხვევაში: ისირულა

¹ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტ. IV, თბ., 1973, 777.

²იხ. ი. კეკელია, დ. ოდიშარია, სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2012, 33.

„ისლნარი“ → ისულა (ჰაპლოლოგით), ან თუნდაც ოდენ „ისირულა“ ჰიდრონიმის ფუნქციით“¹.

ოიკონიმ „ეკის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას მკვლევარი იმოწმებს საილუსტრაციო მასალას გავი ელიავას მიერ 1989 წელს გამოცემული წიგნიდან, რომ ეკი საწულეისკიროს ცენტრს წარმოადგენს; ხოლო სოფლის სახელწოდების რესპოდენტისეული ეტიმოლოგია ასეთია: რადგან ამის შემდეგ ადგილი სულ მალდებოა, ამიტომ მას ეკალს ეძახიან². პ. ცხადაიას მისაღებად ეჩვენება საკვლევი ტოპონიმის ასეთი ეტიმოლოგია, რადგან სოფელი ეკი მდინარე ცივის ნაპირებიდან აღმოსავლეთით სულ მალდა-მალდა მიიწევს. მაშასადამე, ეკალ „აღმართი“ განმარტება უფრო მისაღებია, ვიდრე სოფლის სახელწოდებისათვის ამოსავალ ფორმად ლეკის „შლაშის, ლექის“ → ეკის → ეკის მიხნევა, რადგან ეს ფონეტიკური პროცესი მხოლოდ ბანძურ-მარტვილურ თქმას ახასიათებს³.

დავიმოწმებთ კიდევ ერთ მაგალითს: **გოლასკური** სოფელია თეკლათის თემში, მდ. ცივისა და სოფ. ქვალონს შუა. კითხვაზე – რას წარმოადგენს ოიკონიმის პირველი კომპონენტი გოლა? – პასუხის გასაცემად პ. ცხადაია მიმოიხილავს სამეცნიერო ლიტერატურას: გ. ელიავას განმარტებით გოლასკური იგივეა, რაც „მთის ნიავი“. ი. კეკელიასა და დ. ოდიშარიას აზრით, შესაძლებელია გოლასკურის//გოლასქურის „მთის წყაროდ“ გააზრება. პ. ცხადაიას დასკვნა კი შემდეგია: ასეთი ეტიმოლოგია შეუძლებელი არაა, მაგრამ, არც ისაა გამოსარიცხი, რომ ტოპონიმის პირველი კომპონენტი წარმოადგენდეს ანთროპონიმს – პირსახელს ან გვარსახელს, ვინაიდან ქართულ სინამდვილეში ორივეა დადასტურებული: პირსახელი **გოლა** და მეტად მცირერიცხოვანი გვარი **გოლავა** შესაძლოა იყოს გოლასქურის პირველი კომპონენტი. მა-

¹პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, თბ., 2013, 16.

²გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 42.

³იქვე, 21-22.

შასადამე, „**გოლამსკური** „გოლას (ან გოლავას) წყალი“ (ჰიდრონიმი) → **გოლასკური** (სოფლის სახელწოდება)“¹.

პ. ცხადაია აღნიშნავს, რომ სენაკის რაიონის ტოპონიმია შეიცავს ენობრივი თუ გარეენობრივი ანალიზისათვის მეტად ფასეულ და მრავალმხრივ ინფორმაციას. კერძოდ, გეოგრაფიული სახელწოდების ამოსავალი ზოგიერთი საზოგადო სახელი არ დასტურდება დღემდე გამოცემულ ლექსიკონებში. საილუსტრაციოდ დასახელებულია მრავალთაგან ერთი მაგალითი: სენაკისა და აბაშის რაიონების ტოპონიმებში დადასტურებული **ფარტეს** ეტიმოლოგია და მოტივაცია. რესპოდენტის ინფორმაციით, ფარტე 4-5 მ. სიფართის დაბალი ადგილია, სადაც მხოლოდ ნაწვიმარზე დის წყალი.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ტოპონიმებში შემონახულ წარმართობისდროინდელ, მოგვიანებით ქრისტიანულ კულტებთან შერწყმულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე: **კაპუნია**, **მირსა** (მირსობა), **ჯგირელია** (ამინდის ღვთაება, შემდეგ ილია წინასწარმეტყველის კულტთან შერწყმული); აგრეთვე ტოპონიმებში შემონახულ უცხოენოვან მასალაზე: **საორგიო** (ბერძნ. **ორგია**), **მაიდანი**, **მედანი** (არაბულ-სპარსული **მაიდან**), **კილიაღესა** (ბერძნ. **კირიე ელეისონ**), რუსული **იარმუკა**, **კახარმა** და სხვ. მრ. „საერთოდ კი, – დაასკვნის მკვლევარი, – სენაკის რაიონის ტოპონიმია, თუკი მას ჩავუღრმავდებით, კოლხთა ცხოვრების მრავალ საინტერესო ფაქტს გამოავლენს“².

შეიძლება თამამად ითქვას, რომ „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“-ს სერიით პ. ცხადაიას მიერ გამოცემული სალექსიკონო მასალები კოლხური ონომასტიკური ლიტერატურის მეტად საჭირო შენაძენია. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი გავითვალისწინებთ ერთ, არსებითი ხასიათის გარემოებას: ცნობილია, რომ ბუნებრივმა და ისტორიულმა ქარტეხილებმა შესაძლებელია გამოიწვიოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთი ნაწილის დროთა განმავლობაში გაქრობა ან შეცვლა. ასე, მაგა-

¹პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 48-49.

²პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 6.

ლითად, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გ. ელიავასა და ალ. ღლონტის მიერ სამეგრელოში ჩაწერილმა მრავალმა ტოპონიმმა ვერ ჰპოვა ასახვა პაატა ცხადიას წიგნებში, ანუ ბატონი პაატა ვერ შეხვდა ისეთ რესპოდენტს, რომელიც დაეხმარებოდა მას დასახელებულ მკვლევართა მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში თავმოყრილი გეოგრაფიული სახელწოდებების ერთი ნაწილის ლოკალიზაციის, სემანტიკისა და მოტივაციის დადგენაში; ე. ი. ამ მეცნიერთა სათვალსაწიერო, საკვლევი პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტოპონიმთა ერთი ნაწილის „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ ხანმოკლე ყოფილიყო; მეორე, სიცოცხლისუნარიან ნაწილს კი ფორმით ან შინაარსით შეცვლილი სახელი ჩანაცვლებოდა.

ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ შევეცდებით ერთმანეთს შევედართო გ. ელიავასა და პ. ცხადიას წიგნებში თავმოყრილი სენაკის რაიონის ტოპონიმური მასალა, რათა ორ ათეულზე მეტი მაგალითის დამოწმებითაც ნათლად გამოიკვეთოს მსგავსება-განსხვავებანი ტოპონიმთა დაწერილობასა თუ ეტიმოლოგია-ეტიმოლოგიებში.

გ. ელიავას წიგნში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე დასახელებულია ტოპონიმი **ჯიხირი**, რასაც ახლავს ორგვარი განმარტება: 1. ნაბრძოლ-ნაწვალევი, ნაჭირალი და უბედური ადგილი; 2. ნაჯიხარი, ბუნებრივად გამაგრებული ადგილი, ციხე¹. პ. ცხადია გვთავაზობს სახელდებული ობიექტის ლოკალიზაციას: უბანი ტეხურის მარცხენა მხარეს, გეჯეთისა და პირველი ნოსირის საზღვარზე და ამ უკანასკნელთან საზიარო. იქვე მიუთითებს **მისარ(ი)ონიშ ოხვამეს/წმინდა გიორგიშ ოხვამეს** და დასძენს, რომ „თურქების დროს“ აქ მდგარი ჯიხა „ციხე“ შემდეგ წყალს წაუღია².

სათურქიო, გ. ელიავას მიერ ჩაწერილი განმარტების მიხედვით, იმიტომ დაერქვა, რომ აქ თურქის ბანაკი მდგარა. სწორედ ამ ბანაკიდან არბევდა თითქოს თურქთა ლაშქარი შიდა სამეგრე-

¹გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 64.

²პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 428.

ლოს¹. მაგრამ ეს განმარტება სწორი არ არის. სათურქიო ეწოდება უბანს ტეხურის მარცხენა ნაპირზე, სადაც თურქიები (გვარია) სახლობენ².

ბ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს ტოპონიმ **საოჩიგოს** და გვთავაზობს სწორ განმარტებას: „ოჩიგაეების (გვარია) უბანი“³. პ. ცხადაიას წიგნში დასახელებულია პარადელური ფორმები: **საოჩიგაო//საოჩიგოშ დინო** – ოჩიგაეების უბანი მდ. აბაშის ნაპირას. გ. ელიავას მიერ დასახელებულ ტოპონიმ **ნაოხნამუხს//ჯეგემისარონს** ახლავს გ. ხუხუნისგან ჩაწერილი გადმოცემა: საკულტო ადგილია. მდ. აბაშის პირას მდგარი ცაცხვის სამი დიდი ხიდან ერთი წაქცეულია და ღებება, მაგრამ როგორც ღვთაება ჯეგემისარონის კუთვნილ ხეს, კაცი არ ეკარება. აქ სცოდნიათ ჩამოლოცვა. ფეხშიშველი მახვეწარნი მისარონს შესთხოვდნენ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ყოველგვარ სიკეთეს და შესაწირად მოჰქონდათ ფული, ნემსები, სანთელი, მოჰყავდათ მამლები, თიკნები და ა. შ.⁴. გ. ელიავა „გეჯეთის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში ადგილის სახელწოდებად კიდევ ასახელებს **მისარონს**, რასაც თან ახლავს ინფორმანტ სამსონ ლუკას ძე თურქიას განმარტება: „აქ მითრას, მირსას სალოცავი იყო. მდგარა პატარა ეკლესია. აქვე სულ ცაცხეები მდგარა. ეს ხეები სახლის სიმსხოები ყოფილან. მათ ქვემოთ დიდი ქვა იდო. ამ ქვაზე ზემოთ მრგვალი ნათალი ქვა იდო თურმე. მას მაღაზონის ქვა რქმევია. თვალის ტკივილს შველოდა ლოცვა ამ ქვასთან. წვრილ ფულს სწირავდნენ“⁵. პ. ცხადაიას ცნობით, სახნავს, ნაეკლესიარს ვაკეზე, ჯიხირში, ასევე **მისარონი** ეწოდება. რესპოდენტი განმარტავს: უწინ ფართო ლოდზე აღმართულ, კაცის სახის მქონე მომცრო ლოდთან დებ-

¹გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 64.

²პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 320.

³გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 64.

⁴გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 64.

⁵იქვე, 65.

დნენ ხურდა ფულს, ანთებდნენ სანთელს, დაიწერდნენ პირჯვარს და შესთხოვდნენ ჯანმრთელობას¹.

ამასთანავე, პ. ცხადაიას სალექსიკონო მასალაში **ნაოხგამუდ** იწოდება მინდორი ძუგუში, სადაც უწინ ეკლესია მდგარა. წირვისას წაკიდებულ ღვამბაიებს და ფიჩხაიებს თურმე ერთმანეთი დაუხოცავთ². ასეთივე გადმოცემას გ. ელიაგას წიგნში ვხვდებით ტოპონიმ „უჩადელეს“ განმარტებისას: ჯეგემისარონი გეჯეთში მცხოვრები ორი მემემულის – ღვაბერიასა (ღვაბერიძის) და ფიჩხაიას საზიარო ყოფილა. ჯეგემისარონის ეკლესიის მღვდლისათვის ფიჩხაიას შეუთვლია – სანადიროდ მივიდივარ და ჩემს დაბრუნებამდე წირვა არ დაიწყო. მაგრამ ეკლესიაში მოსულ ღვაბერიას მღვდლისთვის უბრძანებია ფიჩხაიას მოსვლამდე წირვის დაწყება. მღვდელი ღვაბერიას ბრძანებას დამორჩილება და წირვა დაუწყია. წირვის დამთავრებამდე ეკლესიაში მოსულ ღვაბერიას რომ უნახავს, მღვდელი სწირავდა, გაბრაზებულა და ღვთისმსახური გაუკიცხავს. ამ უკანასკნელს ღვაბერია გამოსარჩლება. მაშინ ფიჩხაიები და ღვაბერიები ერთმანეთს დარვეიან და ერთმანეთი გაუკლექიათ. მღვდელი და დიაკვანიც მოუკლავთ. ამ უბედურების მოწმე დელეს შავი დელე დარქმევი³.

გ. ელიაგა მიწაზურგას, ბორცვის სახელწოდებად ასახელებს ტოპონიმს – **მადლი**⁴, ხოლო პ. ცხადაია შემადლებული ადგილის სახელწოდებად საოჩიგაოში, წყემის საზღვართან, მიუთითებს ტოპონიმს **მადლის** ფორმით⁵.

გ. ელიაგა ასახელებს ტოპონიმ **ნაქობალუს**, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე, და სწორადაც განმარტავს: „ნახორბლელი“⁶. პ. ცხადაიას ლოკალიზაცია ასეთია: „**ნაქობალუ** „ნახორბლელი“ – საძოვარი საოჩიგოსა და ჯიხირს შუა. ტყეში პატარა

¹პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 236.

²იქვე, 253.

³გ. ელიაგა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 66-67.

⁴იქვე, 64.

⁵პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 229.

⁶გ. ელიაგა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 64.

ადგილი გაუკაფავთ და ხორბალი დაუთესავთ. ამ ტყეს შემდეგ ნაქობალუ დარქმევია. ამჟამად იქ მინდორია“¹.

ბ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე დამოწმებულ ტოპონიმს – **კვატალონი**, განმარტავს როგორც „საიხვოს“², მაგრამ ეს განმარტება არასწორია: კვატალონი წისქვილისწყალსა და ტეხურს შუა მდებარე სახნავია სათურქოში, სადაც უწინ ჭაობნარი ყოფილა. ა. მაცაშვილის განმარტებით, მეგრ. **კვატალია** იგივეა, რაც ქართ. ბუსკანტურა (მცენ.); მაშასადამე, კვატალონი ის ადგილია, სადაც მრავლად ხარობს ეს მცენარე³. შდრ.: კვატალონი ეწოდება აგრეთვე სახნავს პირველ ნოსირში, ჯიხირში⁴.

ბ. ელიავას მიერ ჩაწერილი ტოპონიმი **ჭითაკოდე** „წითელი კბოდე“, პ. ცხადაიას წიგნში წარმოდგენილია ოდნავ განსხვავებულ ვარიანტად: **ჭითაკოდმე** – წყლისპირა ბექი აბაშის მარჯვენა ნაპირას⁵.

ბ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს ტოპონიმ **გაბუნისემ ნოხორის** „გაბუნისას ასულის ნასახლარს“⁶, პ. ცხადაიას წიგნში კი გვხვდება ვარიანტი **გაბუნისემ ძუგუ** – მცირე შემადგეობა საოჩიგაოში, წყემის საზღვართან⁷.

თუკი ბ. ელიავას ნაშრომში ტოპონიმი **ლევანჭაე** – ლევან დადიანის კუთვნილი სანადირო ადგილი, დამოწმებულია „გეგჟეთის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში, პ. ცხადაია ამ ტოპონიმს სახნავის სახელწოდებად ტეხურის მარცხენა ნაპირზე, სოფელ პირველ ნოსირში მიუთითებს⁸. ბ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს ტოპონიმს – **ტები**⁹, ხოლო პ.

¹იქვე, 260.

²ბ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 64.

³პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 199.

⁴იქვე, 199.

⁵ბ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 409.

⁶ბ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 64.

⁷იქვე, 151.

⁸პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 214.

⁹ბ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 65.

ცხადია სამკურნალო სახელწოდებად საჩემოს აღმოსავლეთით, სოფ. გეჯეთში მიუთითებს **ტებიძას** „ტევრისპირს“¹.

გ. ელიავა ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე **კეკელაში ნოსორი**-ს „კეკელას ნასახლარს“², ხოლო პ. ცხადია სოფ. პირველ ნოსირში სახნავის სახელწოდებად მიუთითებს **კეკელაში დიხას**³.

გ. ელიავა ასახელებს ტოპონიმს – **ბოგორნი**: „ბოგურა ბალახი ყოფილა აქ სულ“⁴. პ. ცხადია აკონკრეტებს: **ბოგორნი/ჩეოდარე** სახნავია სათურქოში. ბოგორი, ანუ ჩეოდარე იგივეა, რაც ქართული ურო⁵.

გ. ელიავა **საგეგენოს** განმარტავს, როგორც „გეგენავების ნასახლარს“⁶. მართლაც, ჯიხრსა და გეჯეთის ცენტრს შუა მდებარე ამ უბანში აზნაურ გეგენავებს უცხოვრიათ⁷.

გ. ელიავას მიერ დასახელებულ ტოპონიმ **ნარისუს** არც განმარტება ახლავს და არც ლოკალიზაცია⁸. პ. ცხადიას ინფორმაცია კი შემდეგი სახისაა: **ნარისუ** „ნარუსალი“ – მინდორი ჯიხრში, ტესურის მარცხენა ნაპირას. რესპოდენტის განმარტებით, „რუსიშ ჯარი გებარგულუა, თურქევი გინურაჟუდესგნე თინწკემა“. პ. ცხადიას ცნობით, ამ სახელს ატარებს ადგილები პირველ ნოსირში, ბათარიაში, სახარბედიოსა და სხვაგან⁹.

გ. ელიავა ტოპონიმ **ნაფაცხუსთან** დაკავშირებით მხოლოდ განმარტებით შემოიფარგლება¹⁰, ხოლო პ. ცხადიას ინფორმაცია სრულყოფილია: **ნაფაცხუ/საცხოდო** ეწოდება მინდორს სოფლის

¹პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 357.

²გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 65.

³იქვე, 197.

⁴გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 65.

⁵პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 148.

⁶გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 313.

⁷პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 313.

⁸გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 65.

⁹პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 254.

¹⁰გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 65.

ცენტრში, სადაც სასოფლო საბჭოს შენობა იდგა. აქ იკრიბებოდნენ სოფლის საქმეზე სამსჯელოდ. ასეთ შეკრებას ცხოდი (რუს. сход „ყრილობა“) ეწოდებოდა¹.

გ. ელიავას მიერ ჩაწერილ ტოპონიმს – **ჭყონჯინჯი** „მუხის-ძირი“, ახლავს ინფორმანტ ს. თურქიას განმარტება: „აქ ჭყონები, მუხები რომ იდგა, მეც მახსოვს“². პ. ცხადაია ასახელებს ვარიანტს: **ჭყოიჯინჯი//ჭყონიშ ჯინჯი**, და მიუთითებს, რომ ასე ეწოდება მორევეს ტეხურზე³.

გ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს ტოპონიმს – **კუკანაში ნოხორი** „კუკანას ნასახლარი“⁴. პ. ცხადაის წიგნში დასახელებულია **კუკუნიაშ ნოხორი** – მინდორი ჭინატეხირთან. მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ კუკანია გვარსახეულია⁵.

„ეკის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში გ. ელიავა ასახელებს ტოპონიმ **ნათურქუს** და შემდეგ განმარტებას გვთავაზობს: „წინათ აქ ქართა ჰქონია მოწყობილი მწყემსს. აქ შემდეგ სოფლის საერთო ქართა იყო, სადაც სოფლის საქონელს დამე ამწყვედედნენ, მხოლოდ „უხაფუს“, მოუგებელს, უშობლებს და ხარებს“⁶. პ. ცხადაია მიუთითებს, რომ **ნაქართუ** ჩაის ფართობის სახელწოდებაა საგუგუნავოს საზღვართან. ობიექტი საზიაროა ეკთან, საგუგუნავოსთან და საცხვიტაოსთან. რესპოდენტის განმარტებით, გუგუნავებს აქ საქონლის დასამწყვედევად შემოდობილი ადგილი – ქართა ჰქონიათ⁷.

დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე დასახელებული ტოპონიმი **როკონა** გ. ელიავას მიერ განმარტებულია როგორც „როკნარი“⁸. პ. ცხადაიას ცნობით, ასე ეწოდება ტყეს ჩხარის ნა-

¹ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 259.

² გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 65.

³ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 412.

⁴ იქვე, 67.

⁵ იქვე, 206.

⁶ იქვე, 79.

⁷ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 259.

⁸ გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, 79.

პირას, სატყეოს ზონაში, სოფელ საწულეისკირიოში; ამასთანავე, როკონა ჩაის ფართობია დღურუს მარცხენა მხარეს, სოფ. ეკის საზღვართან, საგუგუნავოში. ხეების მოჭრის შემდეგ დარჩენილ კუნძებს როკებს ეძახიან¹.

გ. ელიავა **ელაგირძეს** განმარტავს, როგორც „ჩაგრძელე-ბულს“². პ. ცხადია ასახელებს „ელაგირძეს“ – ჩაის ფართობს ოტურელადის მარცხენა ნაპირას. ლოკალიზაციას მოსდევს რეს-პოდენტის ცნობა: „ელაგირძა, ელაგირძე რაიმეს გვერდით გრძლად მდებარე ადგილია“³. იქვე მკვლევარი განმარტავს: „ელა-გი(რ)ძე ის ადგილია, რომელიც გრძლად დევს მდინარის ან გზის გაყოლებით, ან კლდის ძირას“⁴.

გ. ელიავას წიგნში დაზუსტებული ლოკალიზაციისა და გან-მარტების გარეშე მითითებულია ტოპონიმი **ციცქონა**⁵. პ. ცხადია კი საეკუჩასა და სოფ. საგუნიოს შუა, სოფ. ეკში მდებარე სახნა-ვის სახელწოდებად ასახელებს ვარიანტს: **ციქიციონა**, და შენიშ-ნავს, რომ „ციქიციქა ვაზის ჯიშია“⁶.

გ. ელიავას წიგნში დაზუსტებული ლოკალიზაციისა და გან-მარტების გარეშეა დამოწმებული აგრეთვე „დაბურზალა“⁷. პ. ცხადია ასახელებს ტოპონიმის პარალელურ ფორმებს: **დაბურ-ზალა//დაბურძალა** – დღე, ხევი, დღურუს მარცხენა შენაკადი ჯიხასთან. მოცემულია განმარტებაც: **დაბურძალა** ← დაბურძა-ლა „ღვლებობალი, ორტოტა დღელე“⁸

სახელწოდება **ოწარწაფაფუ** გ. ელიავას სალექსიკონო მასა-ლებში განმარტებულია, როგორც „საწანწალო“. გადმოცემით, აქ ყაჩაღი გუგუნავა მოუკლავთ⁹. პ. ცხადია განმარტავს: **ოწარწა-**

¹იქვე, 303.

²გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმი, 79.

³პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 176.

⁴იქვე.

⁵გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმი, 79.

⁶პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 395.

⁷გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმი, 79.

⁸იქვე, 378.

⁹გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმი, 80.

ლეში – ბორცვი კადარში, სადაც თითქმის ყოველთვის ქარი ქრის. რესპ. „ქარი იწარწაღღ დო ოწარწაღღეში ჯოხო“¹.

გ. ელიავა ასახელებს ტოპონიმს – **ღვადური**, და მიუთითებს, რომ ეს ადგილი ღვებერიების ნამოსახლარია². სინამდვილეში სახნავს უჩაღელესა და სუღირს შუა **ღვადური/ღვადური** ჰქვია³.

გეოგრაფიულ სახელწოდებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართველურ ანთროპონიმთა ისტორიის კვლევისას. სენაკის რაიონის ტოპონიმიშიც ასახვა ჰპოვა ზოგიერთმა ისეთმა პირსახელმა, რომელიც დღეს აღარ გამოიყენება. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია, რომ სარეცენზიო წიგნიდან დავიმოწმოთ ანთროპონიმთაგან ნაწარმოები ტოპონიმები. ირკვევა, რომ ტოპონიმებში წარმოდგენილ ანთროპონიმებში ზოგი მამაკაცის და ზოგიც ქალის საკუთარი სახელია, გვარია ან მეტსახელია. მაგალითად, **სტელღოშ ჭადღე**, **ტაიაშ კურკუცი**, **ტატიღღოშ წყურგულე**, **ტიხოშ ნოხორი**, **ტუმუიაშ ნოხორი**, **ტურუიაშ ნოხორი**, **ტურუშ ფერდი**, **უთუთიაშ წყარი**, **უტიაშ წყარი**, **ურუშ ნადიხუ**, **უჯღოშ ნოხორი**, **ფაშუტიაშ ნოხორი**, **ფახუიაშ ნოხორი**, **ფესნოხორი** (ფესი ქალს რქმევია), **ფუხურიანოხორი**, **ქურიაშ ნაჭოფა**, **ქირსეიაშ ნოხორი**, **ქოძიაშ ნოხორი**, **ქოძირიაშ გინნაღღევი**, **ქუთარიშ ფონი**, **ქუთღღაშ წყურგიღღე**, **ქუთუღღაშ ოისღღე**, **ქურუაშ ნაფარუ**, **ქურუიაშ ნარტყი**, **ქურუშ ნაისირუ**, **შაღღუშ ნოხორი**, **შარვანიშ ნოხორი**, **შამუშ ნაკარუ**, **შაქაშ ნოხორი**, **შოშიაშ წყურგიღღი**, **შუტუშ ნოხორი**, **ჩაქაშ ნოხორი**, **ცაბუაშ ნოხორი**, **ცარუშ ტყა**, **ცატუნიაშ ტყა**, **ცაქუღღიაშ ნოხორი**, **ცენტიშ ნაკარუ/სენტიშ ნაკარუ**, **ძაბუშ ტობა**, **ძაკაიაშ ნოხორი**, **ძაკაშ ნაწისქვიღღე**, **ძაკუშ ნოხორი**, **ძეკეშ ტობა**, **ძვირაშ ნაფაცხე**, **ძურგაშ ნოღღონი**, **ძღღვიკნოხორი**, **ძღღვირიშ ნოხორი**, **წინწიაშ ნოღღონი**, **წიწაშ ნოხორი**, **ჭახაშ ნოხორი**, **ჭყონტოშ ნოხორი**, **ხამნოხორი**, **ხართაშ ნოხორი**, **ხასანიშ წყუ**, **ხახუტაშ კარი**, **ხიჭუაშ ნოხორი**, **ხოზკაშ ნოხორი**, **ხუტუიავე(ღღი)**, **ჯათუნიაშ ნოხორი**, **ჯაკოიაშ ნაკარუ**, **ჯაკუშ წყურგიღღე**, **ჯამღღეთიშ**

¹პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 290.

²გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმი, 68.

³პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 379.

ნოსორი, ჯანაშ ნაკარე, ჯანტუშ ჯარგვალი, ჯარუბევი, ჯახაშ ნოსორი, ჯოდორია(შ)მამული, ჯუბუშ ნოსორი, ჯღუჯღუშ მენჯი და სხვ. მრ.

გვართა დასახლებანი სენაკის რაიონის ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმოდგენილია შემდეგი სახით: **ღეარზიანე//საარზიანო, ლებარკალაიე, ლებარქემსქუე, ლებაღათურე, ლებებიე, ლებერიძე, ლებოკუჩე, ლებუსკაძე, ლეგაბელიე, ლეგაბუნიე, ლეგაგუე, ლეგირგოლიე//საგრიგოლიო, ლეგოგიე-ნასაჯუ, ლედადიანე, ლეზარქუე, ლეკარტოზიე, ლეეოკაიე, ლეეკუჭე, ლესამთასქუე, ლესიგუე//სასიგუო, ლეცყებჩე, ლექადარე, ლექუნ(უ)ლორიე//საქუნ(უ)ლორიო, ლეყურასქუე//საყურაშვილო, ლეყურუე, ლეხაბურზან(ი)ე, ლეხარ(ე)ბე, სააბურჯანიო, სააბშილა//სააფშილა, სააღამიო, სააღანაიო, საბარქემ(ი)სქუო, საბაქრადო, საბაჟაღა, საგაბენა, საგარჩა//მაჟია ტყირი, საგასვიანო, საგეგენა, საგეგენო, საგოგბასქუო, საგოგნასკუო, საგოგოლო, საელიო//საფაღაღა, სათარსქუო, საკაღანდარიშვილო//საკაღანდარისკუო, საკანკაო, საკემღარიო, საკეაშილა, საკინწურასქუო//საკინწურაშვილო, საკირტა, საკირცხალიო** და სხვ. მრ.

გვართაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში ზოგიერთი გვარის ადგილობრივი ვარიანტია წარმოდგენილი. ვიმოწმებთ მაგალითებს წიგნიდან: **წილოსკირიშ ნოსორობა** – სახნავი ლენარსიეში (სოფ. კვაუთი). წილოსკირი იგივე წუღეისკირია. **ესამთასქუე** უბანია სოფ. მეორე მოხაშის საზღვართან, არჩაიაშ დაღსა და მირგატიაშ დაღს შუა. აქ მცხოვრები საბახტარაშვილების გვარის არაოფიციალური ადგილობრივი ვარიანტია **სამთასქუა. საგოგბასქუო** და **საგოგნასკუო** გოგებაშვილებისა და გოგინაშვილების გვართა დასახლებებია, პირველი – სოფ. პირველ ნოსირსა და მეორე – სოფ. უფალკარში. **სათარსქუო** უბანია ეკუსქურის ორივე ნაპირას, სოფ. უფალკარში, სადაც თათარაშვილები ცხოვრობენ. **თარსქუა, თათარსქუა** ამ გვარის ადგილობრივი ვარიანტია, საინდანაც გვართა დასახლების ადმინისტრაციულ სახელად ჰაპლოლოგიის გზით მივიღეთ სათათარსქუო → სათარსქუო. **საკუპესქუო** ეწოდება უბანს ტეხურსა და საბარკალაიოს შუა, სოფ. პირველ ნოსირში. **კუპესქუა** წარმოადგენს ადგ. ვარიანტს გვარ კუპრეიშვილისას. **სანგიაშ ნოსორი** ბორცვის სახელწოდებაა გურქემიის

მარჯვენა მხარეს, სოფ. ბეთლემში. ამოსავალია სანგია ← სანიგია ← სანიკიძე.

რელიგიური, საკულტო წარმომავლობის ტოპონიმებია: **ჯვარცმაშ ოხვამე/საჯვარო ოხვამე, ნათისცემი/ნაცემერი/ივანე ნაცემერი, ნათისცემელი, წმინდა ცხენ(დ)ა/ჭეფიშ ოხვამე/ცხენიშ ოხვამე/ცხენიში, წმინდა გიორგიშ ოხვამე, გოჭვილოხვამე, წმინდა ივლიტეშ ოხვამე, წმინდა კვირკეშ ოხვამე/წმინდაივლიტაშოხვამე, წმინდა სტეფანე, წმინდა ანდრიაშ ოხვამე, წმინდა ბარბალა/ისულაშ ოხვამე/ცხენიში, წმინდა გიორგი, წმინდა ბარბალე, წმინდა გიორგი, წინაგიორგიშ ოხვამე, წინამძღვარი, წინატყეხირი/ჭინატყეხირი, ჩეოხვამე, მანცხვარკარი, მანცხვაროხვამე/ჩარტიამ ოხვამე, ქირსეშ ოხვამე/ქრისტეშ ოხვამე, ქირსეშობაშ ოხვამე, უფალკარი, უფალოხვამე...**

ისტორიული საერო ნაგებობების – ციხესიმაგრეთა სახელწოდებებია: **ჯიხა/ფაჩოსქუალეფიშ ჯიხა/რამიშ ჯიხა – ნაციხარი საფაჩოსკუოს ფერდობზე, უბადო მიკოლის გვერდით, ნოქაქევის საზღვართან, სოფ. კოტიანეთში; ჯიხახუტა – ციხესიმაგრე ცივის მარჯვენა მხარეს, სოფ. ხორში; საკალანდარსკულშ ჯიხა – გალავნით შემოზღუდული ციხე-კოშკი სენაკში...**

რუსული ლექსიკა ფიგურირებს სენაკის რაიონის შემდეგ ტოპონიმებში: **ტრასა, ტრუბაშ ბოგა, ტუნელიშ წყარი, სა(ო)ბშო, ნასაჯენუ, ნაფოტუ/ნაფოშტუ, ნაფოშტარი, ნაკაზარმუ, ნასხოლუ, ნაბალოტე/ნაპალოტე...**

წიგნში მოცემულია მრავალი ტოპონიმის ეტიმოლოგიური ანალიზი, მაგრამ გაუმჭვირვალე, ბუნდოვანი სახელებიც ბევრია, რომელთა მოტივაციური კვლევაც მომავლის საქმეა. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე ასეთ ტოპონიმს: **თუჭმარა, მახამკარამი, მიჯანა, ნოსიტინი, ნოსტანი, პეტრახანი, ჭიჭამურე, ძუგუდია, ცამთანა, ჩხვართილი, ჩუგორდი, ჩინიხონი, შხეფი, ქილანდარი/ქილამდარი, ქებელი, ქუ(ლ)იცი, ნახური, ნატურული, ნაკუჩხური და სხვ. მრ.**

მეტაფორული ტოპონიმის ნიმუშად შეიძლება დასახელდეს **ცხენიშ გორგალი/სურკი**. ასე ეწოდება სერს სოფ. უფალკარში, ფარიშ გოლასა და საჩიხოს შუა. გორგალი მეგრულში აღნიშნავს ქედს.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული -იშ, -შ კომპონენტის გაქრობის ფონეტიკური მოვლენა ასახულია შემდეგ ტოპონიმებში: **ბაბუნაშენი, ბა(რ)ბალეკარი, ბარბალეჭალე, ბულბოგა, ბულ-დალგ, ბულწყარი, გაბიორზენი, გაგიაწყვარამი, გახუნოხორი, გეგიაშხური, გებენაჩქონი, გერგებელაღ, გგიაზენი, გიგოიაკარი, გიონოხორი, თხომბოგა, იუტობა, კაჟოტახუე...**

§7. 7. წალენჯიხის რაიონი (მუნიციპალიტეტი)

2004 წელს სერიის – „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“, პირველ წიგნში ავტორმა თავი მოუყარა წალენჯიხის რაიონში აღნუსხული 5000-ზე მეტი დიდი თუ მცირე ობიექტის სახელწოდებიდან შერჩეულ მხოლოდ ისეთ ერთეულებს, რომლებიც ფონეტიკური, ლექსიკური, სიტყვაწარმოებითი, მოტივაციური თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით დააინტერესებდა ტოპონიმის მკვლევარსა თუ მკითხველს.

2015 წელს გამოცემულ წიგნში - „**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი**“, – შევიდა მკვლევრის მიერ 45 წლის წინ მშობლიურ რაიონში მოპოვებული მთელი მასალა. თუკი პირველ წიგნში სალექსიკონო ერთეულები შიდაენობრივი ასპექტით იყო გაანალიზებული, განვილი პერიოდში ენათმეცნიერების, ისტორიისა და ეთნოგრაფიის დარგებში გამოცემულმა გამოკვლევებმა, აგრეთვე მეგრული ენის ფუნდამენტურმა ლექსიკონებმა, მკვლევარს მისცა დამატებითი შესაძლებლობა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტოპონიმები გარეენობრივი ასპექტითაც შეესწავლა. ესაა დიდი ფორმატის, 320-გვერდიანი წიგნი, რაც შედგება წინასიტყვაობის, ორი ძირითადი ნაწილის, დანართებისა და ლექსიკონში დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სიისაგან.

წიგნის რედაქტორია პროფ. მერაბ ჩუხუა, ხოლო რეცენზენტები არიან შუქია აფრიდონიძე, მანანა ბუკიდაა ამ სტრიქონების ავტორი.

ლექსიკონის წინასიტყვაობაში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს წალენჯიხის რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტის) ფიზი-

კურ-გეოგრაფიულ მდებარეობას და აღნიშნავს, რომ სამეგრელოს რეგიონში, ტერიტორიული მოცულობის თვალსაზრისით (647, 1 კმ²) საკვლევე რაიონი მეოთხე ადგილზეა, მარტვილის, ზუგდიდისა და ხობის რაიონების შემდეგ. 1987 წლის მდგომარეობით წალენჯიხის რაიონში 2 საქალაქო, 12 სასოფლო საბჭო და 39 დასახლებული პუნქტი იყო (ორი ქალაქი – წალენჯიხა და ჯვარი, 37 სოფელი). მათგან სამ საკრებულოში (ჭალის, მუჟავისა და ფახულანისა) შემავალი 10 სოფელი, პ. ცხადაიას ცნობით, „მდებარეობს ენგურის მარჯვ. მხარეს და აღწევს მდ. ერისწყლის ზემო წელამდე“¹. დანარჩენი სოფლები ენგურის მარცხენა მხარესაა და აღწევს ხობისწყლის მარჯვენა შენაკადამდე – მდ. სქურჩამდე (სოფლები: ულურია, ლეჯოლიხე, ლეთკანთი).

ლექსიკონში ავტორი სოფლების ადგილმდებარეობას საკრებულოების მიხედვით უთითებს, ხოლო სხვა ობიექტებისას – სოფლებისა და სატყეოების მიხედვით. „სატყეოსთან“ დაკავშირებით კი შენიშნავს, რომ ეს ტერმინი პირობითია და ლექსიკონში გამოყენებულია მთის დაუსახლებელი ტერიტორიის აღსანიშნავად, სადაც შეიძლება იყოს როგორც ტყე და ალპური საძოვარი, ისე ნასოფლარიც. წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე 5 სატყეო ზონა ყოფილა – ჭალისა, ხუდონისა, მაგანისა, ჯვარისა და სქურისა. მოცემულია თითოეული მათგანის საზღვრები².

ტოპონიმური მასალის ველზე მოპოვება-ჩაწერა, მით უმეტეს, მთიან და მთისწინა რეგიონში, დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. პ. ცხადაიას, რომელმაც გასული საუკუნის 60-80-იან წლებში სოფელ-სოფელ, უბან-უბან, ტყე-ხეობათა თუ ალპურ საძოვართა ნაბიჯ-ნაბიჯ დავლისა და, რაც შეიძლება, მეტი რესპოდენტის გამოკითხვის გზით, გულმოდგინედ ცდილობდა ბუნებრივი თუ ხელოვნური, დიდი თუ მცირე ობიექტების სახელწოდებათა აღნუსხვას, საველე მუშაობის სტილთან დაკავშირებით წიგნის წინასიტყვაობაში მოჰყავს 1970 წლის 30 აპრილს სამუშაო რეველში გაკეთებული შემდეგი შემაჯამებელი ჩანაწერი: „ნაგურუსა და კუხეშში ვიმუშავე ოთხი დღე. უბნების მიხედვით მარ-

¹პ. ცხადაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2015, 4.

²იქვე, 5.

შრუტი ასეთი იყო: 27. 04 – ლეჩიქვანე → ლეგვილე → ლემერო-
 ხიე → ლეაბრადე; 28. 04 – ლეჯღანჯღე → ლეჭიჭალუე → ლეხ-
 ვიხე → ლემორგოშე; 29. 04 – ლეწულაიე → ბურღევი → ლემა-
 ლაზონიე → ლეგობეჩიე; 30. 04 – ლეარდიე → ლეიჩიე → ლეფიფიე
 → ლებუე → ლეობხუე. შეგხვდი 40-მდე ინფორმატორს. დამრჩა
 ორი უბანი – ნოჟალა და ლეკაკალე¹. თითოეული სოფლისა და
 შემოგარენის ადგილთა სახელების ჩაწერისას ავტორის რესპო-
 დენტები იყვნენ 11-15 წლის მოზარდებიც და ხანდაზმულებიც –
 საუკუნეს გადაცილებულნი. მათი სია, მასალის ჩაწერის წლისა
 და ჩაწერისას რესპოდენტთა ასაკის მითითებით, მოცემულია
 ცალკეული დასახლებული პუნქტების მიხედვით, ლექსიკონის II
 დანართში². ხანდაზმულ რესპოდენტთაგან აქვე დავასახელებთ
 წალენჯიხელ რაუდენ კოწიას ძე კაღანდიას (1969 წლისათვის
 100 წლისა ყოფილა), მუჟაველ ალექსი ფიფიას (110 წლისა), კუ-
 ხემელ ვგნატე ანტონის ძე ლომიას (101 წლისა, 1970 წ.), ნაგუ-
 რუელ ჯოგო სოსელას ძე აბრალავას (103 წლისა, 1970 წ.), მო-
 ზარდებიდან – ლესალელ მაია ჟორას ასულ კვარაცხელიას (11
 წლისა, 1970 წ.), ჩქვალერელ ქეთინო დავითის ასულ ფიფიას (10
 წლისა, 1969 წ.), ფახულანელ სერიოჟა ვარლამის ძე ქარდავას (11
 წლისა, 1969 წ.), საჩინოელ რევაზ მეღენტის ძე გულორდავას (11
 წლისა, 1970 წ.) და სხვანი.

ლექსიკონში დასახელებული რამდენიმე ასეული რესპოდენ-
 ტიდან დღეს ცოცხალთა შორის უმეტესობა აღარ არის. ისინი
 უმჯობეს ქვეყანაში განისვენებენ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ
 2015 წელს პ. ცხადიას ავტორობით გამოცემული წიგნის ფურ-
 ცლები მათი სახელისა და ნათელი ხსოვნის ერთგვარი სამყოფე-
 ლია.

წიგნის ხელახალი გამოცემა, 2004 წლის გამოცემასთან შე-
 დარებით, ავტორის თქმით, რამდენიმე ნიშნითაა განსხვავებული:
 ჯერ ერთი, მასში პ. ცხადიამ თავი სრულად მოუყარა 45 წლის
 წინათ წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე აღნუსხულ ტოპონი-
 მურ მასალას, მეორეც – შეეცადა, რომ უფრო ღრმად და შეძლე-

¹იქვე, 6.
²იქვე, 288-305.

ბისდაგვარად სრულად წარმოედგინა ენობრივი და გარეენობრივი ანალიზი.

ლექსიკონი, როგორც აღვნიშნეთ, ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი მიზნად ისახავს ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულებისა და სოფლების ისტორიულ-გეოგრაფიულ დახასიათებას, არსებული ისტორიული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზების საფუძველზე. აქვე მოცემულია დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ენობრივი და გარეენობრივი ანალიზი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფიზიკურ გეოგრაფიაზე მსჯელობისას ლექსიკონში დამოწმებულია ქსე-ს ცნობა მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ეგრისის ქედის ერთ-ერთი მთავარი განშტოების – ღვამანდრას მდებარეობის შესახებ¹. პ. ცხადაია აზუსტებს საენციკლოპედიო ცნობას და აღნიშნავს, რომ ჭანისწყლის ზემოთში, „ლაკადასა და ლაკადისძირა სოფლებში ეგრისის ქედის იმ შტოქედს, რომელშიც შედის ყვირა და გაუჩა..., ეწოდება გვამარდა (და არა ღვამანდრა)“². იქვე დაზუსტებულია ქსე-ს ცნობა მდ. ჯუმთან და ოჩხამურთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, თითქოს, წალენჯიხის რ-ნის ტერიტორიაზე მიედინება ჯუმი და ოჩხომური (ზემო დინებით)³. სინამდვილეში, მდ. ჯუმი მიედინება ზუგდიდის რ-ნის ტერიტორიაზე, ხოლო წალენჯიხის რაიონში მისი მხოლოდ ორი სათავე-მდგენელი – ზღვია და ლიარსანეა; ოჩხომური კი, – ხობისწყლის მარცხენა შენაკადი, შეუძლებელია ზემო დინებით წალენჯიხის რ-ნში იყოს. „როგორც ჩანს, – დაასკვნის მკვლევარი, – საენციკლოპედიო სტატიის ავტორები გულისხმობენ მდ. ჩხოუშიას, რომელიც მართლაც იწყება წალენჯიხის რ-ნის სოფ. პ. ეწერში“⁴.

საინტერესოა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიის პ. ცხადაიასეული მიმოხილვა, ოდიშის მთავარ დავით დადიანის მიერ XIX ს-ის 40-

¹ქსე XI, 1987, 286.

²პ. ცხადაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 10.

³ქსე XI, 1987.

⁴პ. ცხადაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 10.

იან წლებში განხორციელებული დაყოფიდან მოყოლებული, 2002 წლის ჩათვლით¹.

ჯვარის საქალაქო ადმინისტრაციული ერთეულის ფიზიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათებისას პ. ცხადაია შენიშნავს, რომ პირველი წერილობითი წყარო, სადაც აღნიშნული დასახლებული პუნქტი მოიხსენიება, თარიღდება 1639 წლით. ესაა რუსეთის მეფის ელჩების – ელჩინისა და ზახარიევის ელჩობის რუსულენოვანი აღწერილობა. აქვე ყურადღება გამახვილებულია ე. წ. „ჯვარულ თქმაზე“ და დამოწმებულია აღ. ცაგარელის თვალსაზრისი ზუგდიდურ-სამურხაყანული დიალექტის ჯვარული თქმის ერთ თავისებურებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ესაა დ → ჯ ფონეტიკური პროცესი: რაგადი → რაგაჯი, უბედური → უბეჯური... ი. ყიფშიძე დ → ჯ ფონეტიკური პროცესის საფუძველზე „ჯვარული თქმის“ გამოყოფას გაუმართლებლად მიიჩნევდა. პ. ცხადაია იმოწმებს ხანდაზმულთაგან გაგონილს, „რომ ხუდონელები „ჯუჯალანდეს“. ამის გადმონაშთად ავტორი ხუდონის პარალელურ ფორმად დღესაც გაგრძელებულ „ხუჯონს“ მიიჩნევს, თუმცა იქვე იმოწმებს მკვლევართა ჯგუფის თვალსაზრისს: „თანამედროვე ენობრივი სიტუაციის გათვალისწინებით, მეგრულის ზუგდიდურ-სამურხაყანულ დიალექტში ე. წ. ჯვარული თქმის ცალკე გამოყოფის რაიმე ლინგვისტური საფუძველი არ არსებობს“².

ისტორიული ვითარების გათვალისწინებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პ. ცხადაის ერთ-ერთი რესპოდენტი, ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფ. პალურის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით: „გაუვალი, ანუ პალიასონი ტყეჭაობი ყოფილა. ამიტომაც დარქმევია პალური“; „თქუნანდეს – პალურს მუ გოკონია, უდამური ტყა რენია. ათე ტყას აფხაზი ყურსალეფი ტყობუდეს, მარგალეფს იხვამილუანდეს დო ინგვრიშ მელე გემოჩანდესუ. ჩქენი ჯვეშეფი იშო-იშო მიკათანჯანდეს ჯალეფს დო თაში გაიშურთუმუნა ინგირიშა. ეიშა ხალხი ხვალე

¹იქვე, 10-12.

²გ. კარტოზია, მ. ლომია, რ. გერსამია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, 2010, 33-34.

სუკეფს მიკახორანდგ“. პ. ცხადაის განმარტებით, მეგრულში **პა-ლურ**- სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა მიუღია: ა. მდორე, მყუდრო, ღრმა წყალი, სადაც თევზს საკვებს უყრიან, რათა შემოიხვიონ; ბ. გაუვალი ტყე-ჭაობი, უღრანი ტყე; გ. ნაყოფიერი შავი მიწა მდინარისპირებზე“¹. რასაკვირველია, ამ მნიშვნელობათაგან ერთ-ერთი თავისუფლად შეიძლება სოფლის სახელდების მიზეზი გამხდარიყო.

მიქავა, პ. ცხადაის ცნობით, სოფელი და ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრია და წალენჯიხიდან 6 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. სოფლის უწინდელი სახელწოდებაა **ფუქი**, რაც, რესპოდენტთა განმარტებით, მიწის სახეობაა: არც ძალზე მაგარი, არც ძალზე რბილი, ტკილნარევი მიწაა. სხვა განმარტებით, **ფუქს** ეძახიან ხავსს, რაც ხეებსა და კლდეებზე იზრდება, ტენიან ადგილებს ეტანება და მწვანე ფერი აქვს. 1939 წელს, სამეგრელოს გლეხთა 1856 წლის აჯანყების მეთაურის – **უტუ მიქავას** სახელის უკვდავსაყოფად, სოფლისათვის მიქავა უწოდებიათ. მაშასადამე, ეს სახელწოდება თავისი შინაარსით აღნიშნავს საკუთარ სახელს, რომლის დენოტატიც გონებრივი, კერძოდ, იდეოლოგიური, მუშაობისა თუ მოღვაწეობის შედეგია, იდეური ოიკონიმია.

მკვლევარი ოიკონიმ **„მუჟავას“** ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას არ იზიარებს ავტორთა იმ ჯგუფის თვალსაზრისს, რომლებიც მუჟავას სპეციალური მაწარმოებლების გარეშე წარმოქმნილ ტოპონიმთა შორის ასახელებენ². ამ ვარაუდს, პ. ცხადაიას აზრით, ის გარემოება უშლის ხელს, რომ ზეპირსიტყვიერებასა და საისტორიო-საეკლესიო ძეგლებში პირსახელი თუ გვარსახელი **მუჟავა**არ ჩანს. ვფიქრობთ, დამაჯერებლობა აკლია რედაქტორის – მ. ჩუხუას შენიშვნასაც, რომ, თითქოს, მუჟავა **გუდავას** ტიპის გვარსახელური წარმომავლობის ტოპონიმია: **მუჟა-ყმა** → **მუჟა-ყვა** → **მუჟავა**³.

საგულისხმო და დამაჯერებელია ავტორის მსჯელობა სახელწოდება **„ულურის“** სემანტიკასა და მოტივაციასთან დაკავ-

¹პ. ცხადაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 24.

²ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, მორფოლოგია. თბ., 2015, 190.

³პ. ცხადაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 28.

შირებით, რაც ლექსიკონში შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული: ოიკონიმის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო **ორული** „სამარულო (ადგილი)“. ბგერათგადამისა (რ-ლ) და ასიმილაციის (ო-უ → უუ) ფონეტიკური პროცესის შემდეგ **ორული** ფორმას დაერთო სპეციალური მატოპონიმებული -ა სუფიქსი, რამაც მოგვცა **ულურია** ფორმა¹. შდრ. ხალხური ეტიმოლოგია: ულური ნიშნავს უძინარს და თავიდანვე მდინარეს ერქვა.

ოიკონიმ **„ქალაღალი“** მოტივაციაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ პ. გაბისონიას დასკვნა – „საკუთრივ ქალაღალიდან „ღალ“ დეფეს ნიშნავს, „ქალას“ წარმომავლობა უცნობია“, სიზუსტეს მოკლებულია: მდინარის პირას ძმებს – თოდუებს დუქნები ჰქონიათ. სწორედ აქედან მოდის მდინარის სახელწოდება **ქალაღალი** (← **ქალაქიშღალი** „ქალაქის დეფე“), რაც მოგვიანებით დასახლებული პუნქტის სახელწოდებად ქცეულა. სამეგრელოში „ქალაქ“-ფუძიანი ტოპონიმები იშვიათი როდია. თვით **ქალაღალი** – სოფელი ფახულანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ერისწყლის მარცხენა შენაკადის – ქალაღალის ხეობაში, ზ. დ. 350 მ., წალენჯიხიდან 35 კმ-ის დაშორებით მდებარეობს².

ქართ. **წყალ-** ფუძის მეგრული შესატყვისის – **წყუ-** ფონეტიკურ გარდაქმნათა გზა პ. ფენრიხსა და ზ. სარჯველაძეს შემდეგი სახით აქვთ წარმოდგენილი: ქართ. **წყალ:** მეგრ. **წყაუ → წყოლ → წყუუ → წყუ**³. პ. ცხადაია ოიკონიმ **„წყოლუს“** ერთ-ერთი იმ ფონეტიკური ეტაპის დადასტურებად მიიჩნევს, მაგრამ არ გამორიცხავს სახელწოდების სხვაგვარი გააზრების შესაძლებლობასაც; კერძოდ, „მეგრულში **წყოლ** აღნიშნავს შქერს (მცენარესა და ნაყოფს). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მეგრ. **წყოლ-ში** და სვან. **წყაუ-აშ** ერთი და იმავე ძირისა და შინაარსის შემცველი ტოპონიმებია და ნიშნავს: „წყავისა“ ან „წყელისა“. მკვლევარი იქვე იმოწმებს განმარტებებს აღ. ქობალიას „მეგრული ლექსიკო-

¹იქვე, 30-31.

²იქვე, 39.

³პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000, 657.

ნიდან“: „**წყლო** წყავი; **წყლოში** – წყავიანი; წყაროვანი; წყლისპირა ზოლი“¹.

ინტერესს იწვევს გადმოცემა უზარმაზარი ძალ-ღონის პატრონ ჩერქეზ თუ აფხაზ **არამხუტუზე**, რომელსაც შეეძლო ხის გრძელი ჯოხით – ლაბაშათი გადახტომა ხევიდან ხეზე. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, არამხუტუ ჯვარში ცხოვრობდა და ადგილობრივი მეჯღოგის მწყემსი ყოფილა. მასთან კონფლიქტის გამო ოხაჩქუეს მღვიმეში დაბინავებული და იქიდან უშენდა უზარმაზარ ქეებს ჯვარელთა კარ-მიდამოს. ბოლოს არამხუტუმ აქაური ქალიც მოიტაცა. ჯვარელებმა იგი ლეშამუგეს ეკლესიის წმ. გიორგის ხატს გადასცეს. „ლეშამუგელები XIX საუკუნეშიც კი უჩვენებდნენ არამხუტუს ნასროლ ქვას და მისეული ლაბაშის ნამსხვრევებს“².

თუკი დევგმირ **არამხუტუს/ერემხუტუს** რეალურად არსებულ პიროვნებად მივიჩნევთ, მისი ეთნიკური კუთვნილების (ჩერქეზი ან აფხაზი) გათვალისწინებით, მასზე შემორჩენილი გადმოცემები, როგორც იშვიათი ძალ-ღონის პატრონზე და ჯვარელთა დამწიოკებელზე, იმ დროის გამოძახილი უნდა იყოს, როცა იწყება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელი ტომების გახშირებული თავდასხმები, რომლებმაც საფრთხე შეუქმნეს ოდიშის სამთავროს მთიან მხარეს (XVII-XVIII სს.). ამის დასტურია პ. ცხადაიას ერთ-ერთი რესპოდენტის ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული გადმოცემაც, რომ პალურის ტყეში დამალული აფხაზები მეგრელებს იტაცებდნენ და ენგურსგაღმა ყიდდნენ. ჩვენი აზრით, არამხუტუ სწორედ XVII-XVIII საუკუნეებში მცხოვრები ჩერქეზი თუ აფხაზი მწყემსი უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტოპონიმ **არამხუტუმ ქუალფი**-ს „არამხუტუს ქეების“ დამოწმება ჯვარის სატყეოში. ასე ეწოდება სამ ქვა-ლოდს ყვირას მთაზე (მაგანის ხეობისა და ჭანისწყლის ზემოთის წყალგამყოფი ქედი). პარალელური სახელწოდებაა **ქვაქანცაღლა//ქუაოქანცაია//ქუაოქანცაღლაია**, რაც მეგრულში „მერწყვ, მერხევ, მოქანავე ქვას“ ნიშნავს. ერთი ქვა-ლოდი ზემოდან ადევს ორ ქვას და მცირე შეხებაზეც კი ირყევა, ირხევა. გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდა-

¹პ. ცხადაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 40. ²იქვე, 43.

ტის – ბორის გერგედავას აზრით, ყვირას უტყეო ზონაში, მდ. ინწირას სათავეში, ზ. დ. 800 მ სიმაღლეზე მდებარე, 10-11 ტონის ქუაქანცაღია დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული ერთადერთი მოქანავე ლოღია, რომელიც თითის მიბჯენითაც ქანაობს და გამოსცემს კაკუნის ხმას. ლოღის ოთხი საყრდენი წერტილიდან ერთი მათგანი ყოველთვის თავისუფალია¹. ეს ინფორმაცია დაზუსტებას საჭიროებს: მოქანავე ლოღი **ქვაყუნტიას//ქვაკუნტიას** სახელწოდებით ცნობილია ზემო იმერეთშიც, კერძოდ, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა რგანის ტერიტორიაზე (შდრ.: **ქვაყუნტი** – მთა სოფ. იტრიაში, **ქვაყუნტი(ს)სერი//ქვაკუნტი(ს)სერი** – საძოვარი, სერი სოფ. ჭალოვანში²).

ლექსიკონის მეორე და ძირითად ნაწილში, საერთო ანბანის რიგზე დალაგებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 5000-მდე დიდი და მცირე ობიექტის სახელწოდება. ტოპონიმთა დიდ ნაწილს ახლავს ენობრივი და გარეენობრივი ანალიზი. შექლების-დაგვარად გათვალისწინებულია ენათმეცნიერული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევების მონაცემები, აგრეთვე მეგრული ენის ფუნდამენტურ ლექსიკონებში მოცემული განმარტებანი.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი“ მრავალმხრივ საინტერესო ლექსიკონია. ბუნებრივია, წიგნის მოცულობისა და მასში თავმოყრილი ტოპონიმების რაოდენობის გათვალისწინებით, ყველა საკითხზე ყურადღების გამახვილება გაგვიჭირდება, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ XIX საუკუნიდან ქართველების რუსეთის იმპერიასთან ინტენსიური ურთიერთობა, გარკვეულწილად, აისახა იმ რუსულენოვან აპელატივებში, რომლებიც მეგრულს სალიტერატურო ქართული ენიდან უსესხებია, ანდა ზეპირი გზით შეუთვისებია. მაგ.: ხევს ოხაჩქუეს მთისკალთაზე, ჭაღის სატყეოში, **ანგლიჩანეფიშ ნარეის** ეწოდება. პ. ცხადაიას ლექსიკონში ამ ტოპონიმს რესპოდენტის შემდეგი ცნობა ახლავს: „ინგლისელებს ჰქონდათ თურმე ოხაჩქუე იჯარით აღებული და წიფელი და წიწვოვანი ხე-ტყე („უჩა ტყა“) რეგლსით ჩამოჰქონდათ ენგურამდე. დაჟანგული რკინის ძელები

¹ბ. გერგედავა, ეგრისის ქედი, ჟურნ. „აია“, 7, 1999, 196.

²იხ. საქართველოს სსრ ტოპონიმია I, თბ., 1987, 207.

ახლაც ყრია ამ ხევში“¹. რეცა, ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით, იგივეა, რაც რუს. Рельса „ლიანდაგი“: რესა ← რელსა. → ო². 1972 წლიდან ენგურჰესის მშენებელთა დასახლებად ქცეული ფოცხოეწერის (სოფელი ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში) არაოფიციალური სახელწოდებაა **პრავი ბერეგი** (რუს. Правый берег), რადგან, პ. ცხადაიას ცნობით, ჰესის მშენებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულენოვანი იყო³.

საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის რესპოდენტი ყალიშიში მდებარე ხევის – **არმიანსკიშ დენასქელედი**-ს „არმიანსკის დანარჩომი“, სახელწოდების მოტივაციასთან დაკავშირებით: ხეტეის დამამზადებელ ვინმე არმიანსკის ამ ხევში ერთი დიდი მორი დარჩენია და არმიანსკიშ დენასქელედი თავდაპირველად იმ მორისთვის დაურქმევიათ. პ. ცხადაიას კომენტარი: „ტოპონიმი იმის ნიშნია, რომ მორის სახელიც კი შეიძლება გადაიქცეს გეოგრაფიული ობიექტის სახელად“⁴. სახნავს სოფ. პალურში, ხუფაიის მარჯვ. მხარეს, **დაგავორი** ჰქვია. შდრ.: რუს. договор „ხელშეკრულება“. გადმოცემით, გლეხ უდუია სამუშიას ეს მიწა დადიანის მოურავისაგან – ბახვა დგებუაძისაგან „დაგავორით“ შეუქმნიან⁵.

კანატიშდული/პრისტანი დაგაკების სახელწოდებაა ჯვარის სატყეოში, ყვირას მთაზე. რესპოდენტის ცნობით, აქ იყო ხეტეის დასატვირთი ბაქანი. ხეტეე აქამდე „კანატი“, ე. ი. საბაგირო გზით, ჩამოჰქონდათ. შდრ.: რუს. пристань, канать⁶. **ოგულე** ეწოდება გზას და ფერდობს ინწრის მარცხენა მხარეს, ს. ჩქვალერში. ამოსავალია რუს. гулять „სეირნობა“ → ოგულე „სასეირნო (ადგილი)“⁷. გულენს „სეირნობს“⁸.

¹პ. ცხადაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 52.

²ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, 519.

³პ. ცხადაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 45.

⁴იქვე, 54.

⁵იქვე, 75.

⁶იქვე, 97.

⁷იქვე, 170.

⁸იქვე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საერო და საეკლესიო ნაგებობათა აღწერილობა მოცემულია ისტორიკოს დავით ჭითანავას ავტორობით 2010 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში („ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში“). გეოგრაფიულ სახელწოდებებს შემოუნახავს მნიშვნელოვანი ცნობები ზოგიერთი საეკლესიო და საერო-თავდაცვითი ნაგებობის შესახებ, მაგრამ ბევრმა მათგანმა ასახვა ვერ ჰპოვა დ. ჭითანავას წიგნში. სამაგიეროდ, მათ შესახებ ცნობებს გვაწვდის პროფ. პაატა ცხადია. საილუსტრაციო მასალა: მაგანის სატყეოში, მაგანა-ენგურის წყალგამყოფ სერზე, ჯვარი-მესტიის გზის მარცხ. მხარეს, შემადლებახე შემორჩენილ ციხე-კოშკის ნაშთს **გაგაჩიშ ჯიხა/გაგაჩი-აშ ნაჯის** ეწოდება¹.

ბარბალობაშ ცხაცხუ რქმეგია ჯადირა-ობუჯის საზღვარზე მდგარ სარიტუალო ცაცხვის ხეს, სადაც აბულაძეები ბარბალობასთან დაკავშირებულ რიტუალს აღასრულებდნენ². სალოცავად გიღს მიუთითებენ სოფ. ქალაღალში, სადაც ქალაღალსა და ერწყარს შუა მდებარე ტყე-ბორცვს **გინახვამას** „ნალოცვარად გიღს“ უწოდებენ. აქ ტყეში დასობილ ჯვართან სცოდნით „უინი ღორონთის“, „ღუღი ღორონთის“ ლოცვა და ხურდა ფულის დაყრა. შესაწირად ერთ წელს თიკანი მიჰყავდათ, მომდევნო ორ წელს კი ხოხო მიჰქონდათ. პირჯვარს იმ მხარეს გადაიწერდნენ, საიდანაც მზე ამოდიოდა, და ღმერთს კაცისა და საქონლის სიკეთეს შესთხოვდნენ. აქვე იმართებოდა პურობა, ხოლო რიტუალს **უნჩაშ მახვამერი** წარმართავდა³. სალოცავი ყოფილა ქ. წალენჯიხაში, სადაც გორას **გეთახვამუ** ეწოდება. აქ მდგარ სამ ცაცხეთან კალანდიებს სალოცავი ჯინჯიხატი ჰქონიათ: ქვაზე დასვენებულ რკინის ჯვართან წელიწადში ერთხელ, ნებისმიერ თვეში, აქ მოსული გათხოვილი ქალები ლოცვას აღავლენდნენ და შესწირავდნენ ცომისაგან გამოქერწილ-გამომცხვარ ძროხას, გოჭსა და მამალს. ვითახვამუ სამეგრელოში ეწოდება სალოცავ ხეს, რომლის ქვეშ საღვთო რიტუალი სრულდებოდა⁴. **ალერ-**

¹იქვე, 63-64.

²იქვე, 57.

³იქვე, 67.

⁴იქვე, 73.

ტხარჩილე/გვწახვამუ ეწოდება ბორცვს წალენჯიხის განაპირას, ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირას. აქაც სალოცავი ადგილი ყოფილა: მცირე დავაკებაზე მდგარა სამი ცაცხვი, რომლის ძირშიც რკინის ჯვარი და ბოძალი იყო დასობილი. გადმოცემით, ალერტხარჩილე ჯინჯიხატის სახელი ყოფილა, სადაც ყოველ მესამე წელს სალოცავად მოდიოდნენ აქაური ქალები, სხვაგან გათხოვილები. ეს ალერტი ხარჩილავების გვარის სალოცავი იყო. სახელიც აქედან მოდის¹.

დობერაშ ნახვამუ სამოვრის, მცირე ტაფობის სახელწოდებაა ჯგებუაცხაში. აქ ორ ბორცვს შუა დიდი ქვაა ჩარჭობილი. დობერა ადგილის სახელია, ხოლო ნახვამუ ← ნახვამუ „ნალოც ადგილს“ ნიშნავს. ხანდაზმულებს აქ სალოცავის არსებობა არ ახსოვთ².

სარიტუალო ადგილია აგრეთვე **ესკელა//ესქელა//ესქეტა**. ასე ეწოდება გორას ჭანისწყალსა და ინწირას შუა, ლარასა და მუდანში. რესპოდენტთა განმარტებით, აქ მდგარ ურთხელის ხესთან ღვთაება **ესქელას, ესკელას** საქონლის დაცვა-გამრავლებას შესთხოვდნენ. აქვე სცოდნიათ ე. წ. „დაფიცება“ (როცა ვინმე სიმართლის დამტკიცებას შეეცდებოდა). „ესქელა ხორციელის“ სალოცავს მიუთითებენ სოფ. ფახულანშიც, სადაც ოლორის მარჯვენა მხარეს მდებარე მაღალ გორას და უბანს ასევე **ესქელა** ჰქვია. ამ ადგილის მომლოცველნი იყვნენ გოგოხიები, გერგედავები, გუჩუები, კუკავეები და შონიები. გვარიდან უფროსები მუხაზე მიჭედებულ ჯვართან „იხვამანდეს“³.

საკულტო დანიშნულების წყაროს და მინდორს სოფ. მუჟავაში, არქანიების უბანში, **ყველიშია** ეწოდება. პ. ცხადია იმოწმებს რესპოდენტის უაღრესად საინტერესო ცნობას: „თავისებური წყალია. ყოველთვის ერთ დონეზეა, ფერს არ იცვლის, ნახშირის ნამცეცები გამოაქვს. ეს წყალი საკულტო დანიშნულებისაა: გვალვისას აქ მოჰყავთ სამსხვერპლო ხარი, შესწირავენ ღმერთს და სთხოვენ წვიმის გამოგზავნას“⁴.

¹იქვე, 51.

²იქვე, 79.

³იქვე, 83.

⁴იქვე, 240.

ევანთიშ მითხვამუ//ჩხოროცხაცხუ მცირე მინდვრის სახელწოდებაა ევანთის კალთასა და ხურჩას სათავეს შუა, სოფ. ლარაში. მთაში მიმავალ მწყემსთა პირველი მოსალოცავი ადგილი სწორედ ამ მინდორზე, ერთი ძირიდან ამოსულ ცხრა ცაცხვთან ყოფილა. „იგი მისცემდა საშუალებას, გაეგრძელებინათ გზა ოფუჩამდე, სადაც ურთხელი იდგა. იქაც მოილოცავდნენ. მესამედ ლოცვა უნდა აღევლინათ ნაოხვამუში. მერე თავისუფლად მიადწევდნენ ალპურ საძოვრებს“¹.

მიოხვამუს „სალოცავ-სახვეწარის“ სახელწოდებით არაერთი ადგილია ცნობილი წაღწევის მუნიციპალიტეტში. შდრ.: **მიოხვამუ** – 1. ბორცი ქვედა ჭველეში, ნაკალმახალის მარჯვ. მხარეს; 2. ურთხელი სქურში, იაკობაშ კარესთან; **მიოხვამუ//ნაოხვამუ** – სალოცავი წიფელი და ბორცი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, უინი ობუჯის კიდეზე. ამ წიფელს **ჯეგეშ გილახვამუც** ერქვა (ნაიფუ); **მიოხვამუ//ტობეშიშ მიოხვამუ** – ორი სალოცავი თხმელა ტობეშის ტყეში, ევანთის დასავლეთ კალთაზე; საზაფხულო საძოვრებისკენ მიმავალი მწყემსები ამ თხმელების ძირში ლოცულობდნენ და შესაწირავის სახით ტოვებდნენ ხორცს, კეერსა და ღვინოს, ხოლო ხეზე მიაკრავდნენ სანთელს (ნაგურუ); **გედღრაკილიშ მიოხვამუ//ძეგერონაშ მიოხვამური** – სალოცავი ურთხელი ლაკადაში, ჭანისწყალ-ინწირის წყალგამყოფზე, ევანთსა და გედღრაკილს შუა. ამ ურთხელს მეორე სახელიც ერქვა – **მიოხვამუ(რი)//გეთახვამალი ურთხელი; მიოხვამუშ სუკი** – ბორცი ენგურისა და ოლორის წყალგამყოფ სერზე. აქ მდგარი ნამეხარი მუხა და მასზე მიჭედებული ჯვარი გერგედავებისა და შონიების სალოცავად იყო მიჩნეული. მუხას სწირავდნენ კალმასს (ჭველე).

მეტაფორულ ტოპონიმთა რიგში უნდა განვიხილოთ ენგურის მარჯვ. მხარეს, სვანეთის საზღვართან, ხუდონის სატყეოში მდებარე მთის წვერის სახელწოდება **ბერქუდი** „ბერის ქუდი“. მთის წვერი შორიდან ბერის ქუდივით არის ასვეტილი². მეტაფორული ტოპონიმია აგრეთვე **გორგალი** – დაბალი სერი, ჭანისწყალ-ჯალ-

¹იქვე, 249.

²იქვე, 59.

რადღლის წყალგამყოფი სოფ. ჯადირაში. ადამიანის სხეულის ნაწილთან ბუნებრივი ობიექტის მიმსგავსების საფუძველზე სერისთვის გორგალი „ზურგი, ხერხემალი“ შეურქმევიათ¹

ონომასტიკურ მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად წარმოქმნის მომენტში ყველა საკუთარი სახელი მოტივირებული იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგი მათგანის მოტივირება გაუჩინარდა. ნომინაციის მოტივი ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ვიწრო წრისათვის შეიძლება იყოს ცნობილი. „ამიტომ ტერმინები – მოტივირებული სახელი, უმოტივაციო სახელი – პირობითია და გულისხმობს ნომინაციის მოტივის დადგენის შესაძლებლობა-შეუძლებლობას“².

უმოტივაციო, სემანტიკურად გაუმჭვირვალე გეოგრაფიული სახელწოდების ნიმუშია ორწყანდის მარცხ. შენაკადის – **ბირგულამის** სახელწოდება. ასე ეწოდება დედეს ნაკიფუსა და ულური-აში. ბირგულამი მეგრულში იგივეა, რაც „მუხლიანი“. ალ. ქობაღიას განმარტებით კი ბირგულამი მუხლაღია, ძლიერია. „მართალია, ბირგულამი გადატანით სწრაფსა და ფეხმარდს ნიშნავს, მაგრამ ამ მდინარის წყალი სწრაფი დინებით არ გამოირჩევა“; – წერს პ. ცხაღია. შესაბამისად, ჰიდრონიმის მოტივაციაც ბუნდოვანია³.

ცნობილი ფოლკლორისტის, კ. სამუშიას განმარტებით, ჭანისწყლის მარცხენა ნაპირას მდებარე სერის ფერდობს, რომელზედაც წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია დგას, **გაშფერდი** იმიტომ დარქმევია, რომ ურმის **გა**-ს, ე. ი. ურმის ძარას მოყვანილობისა⁴. პ. ცხაღია არ იზიარებს „გაშფერდის“ ამგვარ ეტიმოლოგიას. იგი იმოწმებს მეგრულის ლექსიკონებში მოცემულ **გა** სიტყვის ორმაგ მნიშვნელობას: ო. ქაჯაია: „**გა** – 1. ბორცვი, გორაკი, სერი, მხარე; 2. ურმის ძირითადი ნაწილი, ხესადგარი, ხელნა (ურმისა)“; შესაბამისად, მართებულად მიიჩნევს გას გააზ-

¹ იქვე, 69.

² პ. ცხაღია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 71.

³ პ. ცხაღია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 60.

⁴ კ. სამუშია, კოლხეთის ზოგერთი გეოგრაფიული სახელი ზეპირსიტყვიერებაში. წგნ.: ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშები, თბ., 1990, 143.

რებას ოროგრაფიულ ნომენად, რაც დაბალ სერს, თხემს, ოდნავ წაგრძელებულ ბორცვს აღნიშნავს¹.

ტოპონიმის წარმოქმნაში თანდებულის იშვიათად მონაწილეობის ნიშნითაა **მარანიშ უკახალე** „მარნის უკან“ – სახნავი სოფ. ფახულანში² (შდრ. ხინჯიშთუდო „ხიდსქვემოთ“) და **ობინახეშ თუდოლენი** „ვენახს ქვემოთ“ – ტყე ლექარდეში, სოფ. პ. ეწერში³. ამგვარივე წარმოებისაა ამავე სოფლის ტოპონიმები – **აბრალეფიშ წოხ(ი)ლენი, ძაძამიეფიშ წემეიანი**.

წიგნის I დანართი საყურადღებოა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. სამეგრელოს (და ლენხუმის) პირველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის განხორციელება, პ. ცხადაიას აზრით, დაკავშირებულია ოდიშის (სამეგრელოს) უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის სახელთან (XIX ს. შუახანები). XIX ს-ის ბოლო მეოთხედში არსებული დაყოფა შეიცვალა. წალენჯიხის რაიონის ტერიტორია და სოფლები მოექცა ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის უბანში (ცენტრი – სოფ. წალენჯიხა). 1886 წლისათვის ამჟამინდელი წალენჯიხის რ-ნის ტერიტორიაზე არსებობდა 7 თემი და 13 სოფელი, 3141 კომლით და 20258 სულთ. საბჭოთა პერიოდში განხორციელებული ახლებური დარაიონების შედეგად წალენჯიხის რაიონი ზუგდიდის მაზრაში მოექცა. 1928 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით, წალენჯიხის რაიონში 8 სასოფლო საბჭო და 37 სოფელი იყო⁴. 1886 და 1928 წლების მონაცემთა შედარების საფუძველზე პ. ცხადაია დაასკვნის, რომ „ადვილად ვლინდება მე-20 საუკუნის დასაწყისი ათწლეულების ძირითადი სოციალური, დემოგრაფიული და მიგრაციული ტენდენცია – დასახლებული პუნქტებისა და კომლების დაწვერილერთეულება და ლტოლვა (აღბათ ახალი კომლებისა) გზისპირა სოფლებში დასახლებლად“⁵.

¹პ. ცხადაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 65.

²იქვე, 129.

³იქვე, 169.

⁴იქვე, 282-284.

⁵იქვე, 285.

1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წალენჯიხის რაიონში 14 ადმინისტრაციული ერთეული იყო. ამ ინფორმაციას ავტორის რამდენიმე შენიშვნაც ახლავს. კერძოდ, ერისწყალი წარმოადგენდა ენგურჰესის მუშათა დასახლებას, რომელიც ამჟამად გაუქმებულია; მიქავას დაუბრუნდა უწინდელი სახელი ფუქი; საბჭოთა პერიოდში სააფაქიო ე(6)წერის/ე(6)წერის სახელით ცნობილ მადლობზე შეიქმნა ორი სოფელი: პირველი ეწერი (შედიოდა ჯვარის სას. საბჭოში) და მეორე ეწერი (შედიოდა ლიის სას. საბჭოში). მეორე ეწერის ცალკე სასოფლო საბჭოდ გამოყოფის შემდეგ სოფელს და სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძე ეწოდა. პირველი ეწერი დარჩა ჯვარის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში, ეწერის სახელწოდებით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ორჯონიკიძეს მიენიჭა სახელწოდება პირველი ეწერი¹.

პაატა ცხადაიას წიგნში თანაბრად საინტერესო მასალაა თავმოყრილი სამეგრელოს ისტორიის, საისტორიო გეოგრაფიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისა და სხვა საკითხებით დაინტერესებული მკითხველისა და სპეციალისტებისათვის.

§8. რაჭის ტოპონიმის მასალები

საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის – რაჭის ტოპონიმის მასალები პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას ავტორობით ოთხ წიგნად გამოიცა. რაჭა ადმინისტრაციულად მოიცავს ამბროლაურისა და ონის რაიონებს, ხოლო ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით – სამ არეალს: 1. **მთის რაჭის** სახელით ცნობილი მიკრორეგიონი მოიცავს რივნისთავისა და ჭანჭახის აუზებს, დების, ჭიორისა და გლოლის საკრებულოებში შემავალი სოფლებით. შუა საუკუნეებში რაჭა სვანებით იყო დასახლებული, ხოლო რაჭველები აქ XV საუკუნიდან დამკვიდრებულან; 2. **ზემო რაჭა** – ასე იწოდება მიკრორეგიონი უწერიდან ხიდიკრამდე, რაც რიონის აუზში მდებარეობს, ამბროლაურიდან რამდენიმე კილომეტრზე; 3. **ქვემო რაჭა** ეწოდება რიონის აუზს ხიდიკრიდან იმერეთ-ლენხუამამდე.

¹იქვე, 286.

რაჭულ კილოში ოთხ კილოკავს გამოყოფენ: **რივნისთაურს** (ღებელთა და ჭიორელთა მეტყველება), **გლოლურს**, **ზემორაჭულს** და **ქვემორაჭულს**¹.

რაჭული დიალექტის ენობრივი (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა, სიტყვაწარმოება, ენობრივ-დიალექტური ურთიერთობანი...) და გარეენობრივი (ეთნოგრაფია, სამეურნეო საქმიანობა, ფლორა და ფაუნა, რელიგიური შეხედულებანი...) პრობლემების სრულად და საფუძვლიანად კვლევა შეუძლებელია ტოპონიმური მასალის გათვალისწინების გარეშე. „ამის კვალდაკვალ დიალექტური ტოპონიმიაც (მიკროტოპონიმია) შეისწავლება, ერთი მხრივ, ლექსიკისა და ფონეტიკა-გრამატიკის, მეორე მხრივ – საკუთრივ ტოპონიმის დონეზე. პირველ შემთხვევაში მიკროტოპონიმმა შეიძლება გამოავლინოს დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური და ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი, ამოატივტივოს სხვა დიალექტიდან ნასესობანი თუ საზოგადო ლექსიკისათვის უცნობი არქაიზმები და ინოვაციები, ან დაადასტუროს უკვე ცნობილი დიალექტური ფაქტები და მოვლენები“, – აღნიშნულია „რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი“-ს I წიგნის წინასიტყვაობაში. ავტორებს აქვე დასახელებული აქვთ კუმშვა-კვეცის რამდენიმე საინტერესო მაგალითი: ტოპონიმებისათვის – **შიდავლითავი**, **შიდავლიწყალი** და სხვ., ამოსავალია **შიდაველა**, სოფ. ჩორდში დაფიქსირებულ ტოპონიმ **ციხიძრითავისათვის – ციხიძირი**. ასევე საინტერესო მაგალითებია: **ბეგსუკანი** → **ბეგსუენები**, **ტბათანი** → **ტბათნის ქოხები**, **გლოეთანა** → **გლოთენები** და სხვ. მრ.

რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სალექსიკონო მასალის პირველ წიგნში, სადაც წარმოდგენილია ონსზემოთა რიონის ხეობისა და ცხმორის საკრებულოს სოფლებში (მდ. ჯეჯორის მარცხ. მხარე) საველე პირობებში ჩაწერილი დიდი თუ მცირე გეოგრაფიული და ხელოვნური ობიექტების სახელები, გამოვლენილია რაჭულისათვის დამახასიათებელი მრავალი ლექსიკური ერთეული: **გაბუწვილი** – ერთმანეთს გადაბმული; **კარობა** – კარებივით ვიწრო გასასვლელი, კლდოვანი ვიწრობი; **კოდი** –

¹ბ. ცხადაია, გ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003, 8.

კლდე; **მოხიდული** – მორების მიჯრით გაკეთებული გზა ტალახებში; **მხერელი** – მღვიმე, გამოქვაბული; **ალთამი** – თივა, ტოტზე გაწყობილი სათივეზე ჩამოსატანად; **ბაჟანი** – თივის პატარა დამწვარი ტყე; **ბაგარა** – მსხლის ჯიში ერთგვარი; **ამწვარი** – ნახანძრი, დამწვარი ტყე; **საქანელი** – შურო, ხის „დასაქანებელი“ ღარი და სხვ.¹. არანაკლებ მნიშვნელოვანი ასობით ლექსიკური ერთეული გამოვლინდა ამბროლაურის რაიონის (მუნიციპალიტეტის) დასავლეთი ნაწილის 7 თემის საკრებულოში შემავალი 31 სოფლის ტოპონიმთა ლექსიკურ-წარმოებითი ანალიზის შედეგად, რაც შესულია რაჭის ტოპონიმის მასალების IV წიგნში (2012 წ.). მაგ.: **სამზადობელა** – ადგილი ტყეში, სადაც შეშას ამზადებენ მოგვიანებით გამოსატანად; **სანაყა** – წყარო, რომელშიც ძალზე ცოტა წყალია; **სარტყელა** – ვიწრო ვაკე-სახნავი ან საძოვარი, რომელიც ფერდობს სარტყელივით გაჰყვება; **საფიცხოებელა** – მხეს მიფიცხებული ადგილი; **საზურგულა** – გზა, სადაც ხარურეში ვერ გაივლის და თივა სათივემდე ზურგით ჩამოაქვთ; **ამართებული** – დიდად ჩამოქანებული ფერდობი; **ამოჭევერული** „კლდოვანი ვიწრობი“; **კაროკალი** – ვიწრო გასასვლელი კლდეში; **ფხოწი/ფხრეწილი** – ცუდად სავალი კლდეები; **წლუ** – დაღარული და შუროებიანი ადგილი; **სათვალე** – დროებითი წყარო გაზაფხულზე; **ჩიტბანია** – მცირე წყალი და სხვ.².

რაჭის ტოპონიმიაში დადასტურებული ტოპოლექსემებიდან საყურადღებოა **გველერწო**, **ჩხოტი**, **ძვირი**, **შეხერილი**, **კილო**, **ძრიწელა**, **ჩინხვი**, **ჩადვენტილა**, **აშხაპირა**, **ფითალო**, **ალახი**, **ანჩხლა** და სხვ. ტოპონიმურმა მასალამ გამოავლინა საერთო რაჭულ-ლექსიკური ლექსიკის ნიმუშები: **ნობი**, **რიდამო**, **ღურჭუმო**, **ღრატო**³.

რაჭის ტერიტორიაზე სვანური ტოპონიმური სუბსტრატი დასტურდება ღებში, ჭიორაში, რიონის მარჯვენა მხარეს, საგლოლოს ქვემოთ, აგრეთვე უწერის შემოგარენსა და საკაურის ხეობაში. რიონის მარცხენა შენაკადების – ჩვეშურის, ჭანჭახის, გომ-

¹იქვე, 7.

²პ. ცხადია, ვ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV, თბ., 2012, 3-4.

³იქვე, 5.

რულისა და ღარულის ზემოთებში პ. ცხადიას და ვ. ჯოჯუას დამოწმებული აქვთ ოსური ტოპონიმური სუპერსტრატცი¹.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში დადასტურებული **-თანა** სუფიქსი (ტოპონიმები: **ქვათანა, კალოთანა, თეთრწყალთანა, ჭრელქვათანა...**) ნახური ენის კალკს წარმოადგენს². პ. ცხადიასა და ვ. ჯოჯუას ვარაუდით, ეს კალკი ზემორაჭულს მთიულურიდან უნდა შეეთვისებინა, ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედულების თანახმად, ზოგი დიალექტური იზოგლოსა მთარაჭულსა და მთიულურს ერთ დიალექტურ წრეში აერთიანებს. რაჭაში, უმეტესად რიონის მარცხენა მხარის სოფლებში (ჭიორა, გლოლა, ცხმორი, ფსორი...) დამოწმებული მიკროტოპონიმები – **გლოეთანა, საკირეთანა, ფაცხათანა, აზანეთანა, არყათანა, ბაღათანა, თელათანა, კარათანა, ტბათანა, ჭალათანა, თეთრათანა, წითელათანი, ქორიბუდეთანი, კვერცხათანი** და სხვ., ამგვარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა³. ანალოგიური წარმოებისაა **-უკანი, -ქვეში** ნაზმნიზედარი სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები: **ბრილიზურგსუკანი, კლდისუკანი, ჯვართუკანი, ლაჯიაქვეში, მუხაქვეში, ქვაბთქვეში...**⁴. ოსზემოთა რიონის ხეობაში დაფიქსირებული **-შო** დაბოლოებიანი მიკროტოპონიმების საკითხზე მსჯელობისას ავტორები იმოწმებენ თ. უთურგაიძის მოსაზრებას და შენიშნავენ, რომ ნახურში **-სო, -შო(← -ხო)** წარმოადგენს წარმომავლობის სუფიქსებად ქცეულ ზმნიზედებს. ქართულში მათ **აქეთ, გამოდმა** ზმნიზედების ფუნქცია აქვთ. მაგ.: **თრუსო** – ქედი ყაზბეგის რ-ნში; **ხარტიშო** – სოფელი დუშეთის რ-ნში; **ჭანიშო** – სოფელი ფშავეში და სხვ. რაჭის სოფლებში დაფიქსირებული ტოპონიმები – **თევრეშო** (ღები), **კირტიშო** (გონა), **ყიარიშო, წყალშო** (პ. ღები), **გორშო** (ჭიორა), **კოზმანტეშო** (საკაო), **ტბეშო, ჭედელიშო** (ბორცო), **გერგმეშო** (ბაჯიხევი) და სხვ., ავტორებს ავარაუდებ-

¹პ. ცხადია, ვ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003, 8-9.

²თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966, 90.

³პ. ცხადია, ვ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, 2003, 9-10.

⁴იქვე.

ბინებს ისტორიულ წარსულში -**შო** წარმომავლობის სუფიქსის ნახურიდან შეთვისებას¹.

რაჭის მიკროტოპონიმის თავდაპირველი დაზვერვითი აღწერა 1976-1977 წლებში განხორციელდა თსუ-ის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმური კვლევის ცენტრის თანამშრომლების - ფ. მაკალათიასა და ვ. ჯოჯუას მიერ. 1997-1998 წლებში, აგრეთვე 2004 და 2010 წლებში პ. ცხადაიამ და ვ. ჯოჯუამ ამბროლაურისა და ონის რაიონებში მოწყობილი ექსპედიციების გზით დააზუსტეს და ახალი მასალით შეაგეს 20 წლის წინათ შედგენილი ნუსხა, თითოეულ მიკროტოპონიმზე (შედლებისდაგვარად) მოიპოვეს როგორც ენობრივ-დიალექტური, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მოტივაციური ანალიზისათვის საჭირო მონაცემები.

რაჭის ტოპონიმის სამი წიგნის წინასიტყვაობაში მოცემულია მსჯელობა ტოპონიმთა დაწერილობისა და ლექსიკონთა აგებულების საკითხებზე².

I-II წიგნებში გეოგრაფიული სახელწოდებანი დალაგებულია საერთო ანბანის რიგზე. ტოპონიმებს მოსდევს სახელდებული ობიექტის სახეობის განსაზღვრა (მდინარე, წყარო, მთა, ჭალა, გზა... სოფელი, უბანი, სათიბი, ხიდი...). III-IV წიგნებში პირველ ნაწილად წარმოდგენილია საკრებულოებისა და სოფლების შესახებ მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვა. აქვე შედლებისდაგვარად მოცემულია ოიკონიმთა ეტიმოლოგიური ძიებანი და რესპოდენტთა სიები ცალკეული სოფლების მიხედვით.

რაჭის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მარი ბროსეს, ექვთიმე თაყაიშვილის, სერგი მაკალათიას, თედო ჟორდანიას, გიორგი ბოჭორიძის, ლევან ფრუიძის, სპარტაკ რეხვიაშვილის, თამაზ ბერაძის, მერაბ კეზევაძის, რ. და შ. ჭელიძეების, გ. გასვიანის გამოკვლევებში. რაჭის ტოპონიმის საკითხები გაშუქებულია გ. ბედოშვი-

¹იქვე, 10.

²პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, 2003, 14-19; რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, 2005, 3-5; რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, 2010, 3-4.

ლის, მ. ალავიძის, სპ. რეხვიაშვილის, ს. ჭიორელის, ბ. გაგნიძის, კ. გოგლიძის, ა. გორგობიანის, გ. ბოგვერაძისა და სხვათა, ცალკეულ სტატიებში, წიგნებსა თუ წიგნაკებში, მაგრამ პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მიერ ოთხ წიგნად გამოცემული რაჭის ტოპონიმთა სალექსიკონო მასალის გაცნობა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს იმაში, რომ თითოეულ სოფელსა თუ ხეობაში ასეულობით არსებული მიკროტოპონიმის ჩასაწერად აუცილებელია ყველა ამ ობიექტის დათვალიერება და მისი ადგილმდებარეობის ზუსტი პარამეტრების დადგენა, სწორედ იმ მეთოდებითა და საშუალებებით, როგორადაც ამ სამუშაოს წლების მანძილზე განახორციელებდნენ რაჭის ტოპონიმის სალექსიკონო მასალების ავტორები. ამიტომ მისაღებია და გასათვალისწინებელია შემდეგი დასკვნაც: „დარწმუნებული ვართ, ჩვენ მიერ აღწერილ სოფლებსა და მათს შემოგარენში ათობით სხვა მოკრობიექტსაც აქვს თავისი საკუთარი სახელი, მაგრამ თბილისიდან ამა თუ იმ სოფელში მხოლოდ რამდენიმე დღით ჩასული ძალიან დაინტერესებული მკვლევრისთვისაც კი ამ სოფლის ყველა სახელწოდების აღნუსხვა, მათი დენოტატების გეოგრაფიული პარამეტრების ვიზუალურად დადგენა და ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება ფრიად საძნელო საქმეა. ზოგ შემთხვევაში სულ რაღაც ორიოდ ათეული წლის წინათ ჩაწერილი მიკროტოპონიმი ვერ დავადასტურეთ – ან გაქრა მომხმარებელთა მეხსიერებიდან, ან მის მცოდნეს ვერ მივაკვლიეთ; არც ისეთი შემთხვევა ყოფილა იშვიათი, როცა ინფორმატორი აცხადებს: ეს სახელწოდება გამიგონია, მაგრამ არ მახსოვს, სად და რას ერქვაო“¹.

რაჭის ტოპონიმის სალექსიკონო მასალის I წიგნის გამოცემას დადებითად გამოეხმაურა ენათმეცნიერი-ონომატოლოგი, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი გურამ ბედოშვილი. რეცენზიაში მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ეს მრავალმხრივ საინტერესო და ფრიად საჭირო წიგნი პირველი პრაქტიკული ნაბიჯია იმ მამულიშვილური ჩანაფიქრისა თუ იდეისა, რომელიც გამომცემლობა „რაოს“ დამფუძნებელს, ბონდო გაგნიძეს ეკუთვნოდა. ეს იდეა მიზნად ისახავდა ზემო და ქვემო რაჭის გეოგრაფიული ნომენ-

¹ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, 2003, 19-20.

კლატურის ანუ ტოპონიმების სრულად აღნუსხვას და მათ კვალიფიციურ შესწავლას (ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების ჩათვლით)... რაჭის მიკროტოპონიმისადმი მეცნიერულ ინტერესს ის ფაქტიც ზრდის, რომ იგი, როგორც სისტემა, მეზობელი ენების (სვანური, ზანური, ალანური, ჩერქეზულ-ადიღური) და ქართული დიალექტების (კილოების) გარემოცვაში ფორმირდებოდა და ვითარდებოდა“¹. რაჭის ტოპონიმია, შენიშნავს გ. ბედოშვილი, საქართველოს სხვა მხარე-კუთხეთა ტოპონიმებისაგან ფონეტიკური პროცესების სიუხვით და ნაირგვარობითაც გამოირჩევა. სწორედ ამის გამო არაერთი გეოგრაფიული ობიექტის საკუთარი სახელი ძალზე რთული აგებულებისაა და ჭირს არა მარტო მასში ჩადებული აზრის, შინაარსის ამოცნობა, არამედ მისი სტრუქტურის გარკვევაც. ასეთებია: აბიდუა, ბაინჩარა, ირი, უწერა, ფარავენში, ქამაქინი, ქამბოხი, შოდა, ჩორდი, ჭიდოლა, ხენიერი, ხვარა და სხვ. მრ.²

რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებათა შესახებ პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას ავტორობით გამოქვეყნებულ მესამე წიგნს გაზეთ „ამბროლაურის მოამბის“ ფურცლებზე გამოეხმაურა რობიზონ ჭელიძე. წლების მანძილზე დიდი გულმოდგინებით, საქმისა და სამშობლოს მიწა-წყლისადმი უსაზღვრო სიყვარულით შეკრებილი, დამუშავებული და გადამოწმებული მასალის გამოცემით, – აღნიშნავს რეცენზენტი, დრო-ჟამის დინებაში დაკარგვას და გაუჩინარებას გადაურჩა ბევრი სახელწოდება. გადაჭარბებული არც ის იქნება თუ ვიტყვით, რომ ტოპონიმების შემკრებ-შემსწავლელთა შრომა ისევე მნიშვნელოვანი ეროვნული საქმეა, როგორც საქართველოს ძნელბედობის ჟამს, სპარსული და თურქული სიტყვების მომძლავრებისას, სულხან-საბა ორბელიანის მიერ ქართული სიტყვების შეკრება, გადარჩენა და „სიტყვის კონის“ შედგენა³.

¹გ. ბედოშვილი, საყურადღებო გამოკვლევა. გაზ. „რაეო“, №9, 2005.

²იქვე.

³რ. ჭელიძე, მნიშვნელოვანი წიგნი რაჭის შესახებ. გაზ. „ამბროლაურის მოამბე“, 21 ოქტომბერი, 2010, 6.

რაჭის ტოპონიმის სტრატეგიკაციის საკითხები სპეციალურად არის განხილული პ. ცხადაის კიდევ ერთ სტატიაში¹. რაჭის ტოპონიმიაში დადასტურებულ სვანიზმებთან დაკავშირებით მკვლევრის საერთო დასკვნა ასეთია: მთა-რაჭაში სვანური მოსახლეობა ძალზე შემცირდა ან სულაც გაქრა XV ს-ის შემდეგ, მაგრამ სვანური კვალი ნაგებობათა არქიტექტურასა და მეტყველებასთან ერთად, ტოპონიმისაც შემორჩა. რივინისთავის ხეობაში მდებარე ადგილები – **ბრილი, თევრეშო, შოდა, ჩვეში, ბუბა**, სწორედ სვანთა იმდროინდელი ნასოფლარები უნდა იყოს. სვანური მოსახლეობის თანდათან შემცირება ან გაქრობა მთარაჭის ქართიზაციის პროცესთან არის დაკავშირებული.

პ. ცხადაია მთარაჭაში სვანურის კვალის არსებობის დამადასტურებლად ისტორიკოს გ. გასვიანის მიერ დასახელებული მაგალითებიდან სვანიზმად მიიჩნევს **ჭეგებარს** (სვან. **ჭეგებ, ჭუაბ** „ჭაობი“; **-არ, -ჰრ, -აღ,-ჰლ** კი სახელთა მრ. რიცხვის მაწარმოებელია თანხმოვნებთან) და **ღებს** (სვან. **ღუაბ** „გუბე“), მაგრამ დაბეჭდვით იგივეს თქმა სხვა ტოპონიმებზე (**ბოყვა, ლაგვანთა, მაჟიეთი, ნაკიეთი, წედისი**) შეუძლებლად მიიჩნია. **ბოყვა, ბოყო**, მკვლევრის აზრით, საერთოქართველური ლექსიკური ერთეულია და არა ოდენ სვანური. **ბოყვი** სიტყვას ძვ. ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: 1. ხის ქერქის ჭურჭელი; 2. ცილინდრის ფორმის ხოკერა, რომელსაც ამზადებენ ზოგიერთი ხის (უმთავრესად ცაცხვის) ქერქისაგან; 3. იგივეა, რაც ბოკვი (ე. ი. ნეკერჩხალი) და სხვ.

ტოპონიმების – **ნაკიეთი, წედისი** და **მაჟიეთი**, ამოსავალი ფუძეები მართლაც სვანურია: **ნაკ-** ნიშნავს დავაკებას, **წედ-** – მცირედებიტიან წყაროს, ხოლო **მიჟ** და **მჟჟ** – მზეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ სამივე შემთხვევაში სვანურია მხოლოდ ამოსავალი ფუძე (ტოპოლექსემა), რომელიც ტოპონიმად იქცა ქართული **-ეთ** და **-ის** სუფიქსების დართვით. **ლაგუან, ლაგუანა** სიტყვა სვანურში მართლაც „ატირება, დატირება“ სემანტიკის შემცველია, მაგრამ ტოპონიმ **ლაგვანთა**-ს შემთხვევაში გასარკვევია ქართული

¹პ. ცხადაია, რაჭის ტოპონიმის სტრატეგიკაცია, „ქართველური ონომასტიკა“, V, თბ., 2011, 283-311.

თა-ს ფუნქცია და სახელდების მოტივაცია¹. ბუბა სვანურში იგივეა, რაც „ბიძა“, მაგრამ, პ. ცხადაიას მართებული მსჯელობით, ტოპონიმ „ბუბას“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას აუცილებლად გასარკვევია სახელდების მოტივაცია: როგორ უნდა ქვეუღიყო სიტყვა ტოპონიმად?². ასევე მკვლევარი ფიქრობს, რომ ყოველად შეუძლებელია ტოპონიმები – **სალატიფარი** (სათიბი მთარაჭაში), **ბინული** (წყაროები გლოლაში, ზ. ბარში, ზუდალში, სამთისში...), **კაპლარი//კაპრალი, კაპრალ(ებ)ი, კაპრები** (სახნავი, სათიბი, სახნავ-საძოვრები და სხვ.), **მეკენჩხალები** (ვარიანტებითურთ), **გვიმ-ბრალა** (ვარიანტებითურთ), **ჭანჭახი, მუყურო, კონჩხა** და სხვ., ყოველად შეუძლებელია, ჩაითვალოს სვანიზმებად რაჭის ტოპონიმიაში³.

ზანიზმებთან დაკავშირებით რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებებში პ. ცხადაიას გაანალიზებული აქვს ო- თავიკიდურიანი ყველა ტოპონიმი და გამოყოფს ამ ტოპონიმთა ამოსავალი ფუძეების რამდენიმე სემანტიკურ ჯგუფს. აშკარა ზანიზმი იკვეთება მკვლევრის მიერ დამოწმებულ ორ ტოპონიმში: ესენია: ა. **ორჭე** – 1. გზა გლოლაში, 2. **ორჭე/ორღობე** – გზა-გასასვლელი ბაჯიხევში; 3. **ორჭე/ჩიხი** – გზა ღიხეთში, სადაც ორჭე ქართ. „ვიწრო“ ლექსემის მეგრული ბგერათშესატყვისობაა, და ბ. **ჩაბინდულა/ოჩოკოჩისტყე** – ტყე ღრმა, ბნელ ხევში (ამიტომაა „ჩაბინდულა“). ტყეში ოჩოკოჩი უნახავთ. ცნობილია, რომ ოჩოკოჩი „ვაცკაცი“ მეგრულ ენაში აღნიშნავს ტყის კაცს, ზღაპრულ არსებას⁴.

პ. ცხადაიას დასკვნით, რაჭის ტოპონიმიაში სვანიზმი იშვიათია და, რაც დასტურდება, ძირითადად მხოლოდ მთარაჭაში გვხვდება, ხოლო ზანიზმის ორი-სამი მაგალითია დადასტურებული⁵. სტატიაში ცალკე თავად არის გამოყოფილი ოსურენოვანი მასალა რაჭის ტოპონიმიაში. ცნობილია, რომ გლოლელებს ისტორიულად ახლო ურთიერთობა ჰქონიათ ოსებთან. ხშირი იყო მათ შორის ქორწინების შემთხვევაც. რაჭულ-ოსურმა ურთიერ-

¹პ. ცხადაია, „ქართველური ონომასტიკა“, V, თბ., 2011, 286-288.

²იქვე, 288.

³იქვე, 289-293.

⁴იქვე, 294-295.

⁵იქვე, 297.

თობებმა ასახვა ჰპოვა გლოლურის ლექსიკაში ოსურიდან ნასესხები სიტყვების სახით და პირიქით. პ. ცხადიას რაჭის ტოპონიმიში დადასტურებული აქვს 20-მდე ოსურენოვანი ტოპონიმი. მათი გავრცელების ძირითად არეალად მკვლევარი მიუთითებს გლოლა-შოვისა და ჭიორის აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც ქართველებსა და ოსებს ერთად უწევდათ შრომა-საქმიანობა, აგრეთვე ოსთა კუნძულებრივ დასახლებებს რაჭაში. ოსები მდ. ჯეჯღორის ხეობის ზემო წელში ცხოვრობენ, ხოლო ქართველები – შუა და ქვემო წელზე, „მაგრამ მაინც, – წერს პ. ცხადია, – გლოლურში უფრო შეინიშნებოდა ოსურ-ქართული ორენოვნება (ადსტრატტი), რაც აისახა არა მარტო ლექსიკაში, არამედ ტოპონიმიშიც“¹. ამ ენობრივი სიტუაციის ამსახველ ტოპონიმთა შორის დასახელებულია: **ვალა(ის)ქომი** „ზემო ხეობა“, **სუქთიქომი** „საშეშე დელე“, **თაკარჯინი**, **ხვარახვარა**, **წიხვარგა/ჭიხვარგა** „სანოვაგე“, **კარაგომი**, **ღებევცეკი** „ღების უღელტეხილი“, **კვაჟა/კოზი/კოზიაქთა**, **სკატისქომი** „კარვების ხეობა“, **ჟუარ** (ქართ. „ჯვარი“)... ოსთა კუნძულებრივი დასახლების ადგილებში – სორის თემში შემავალ სოფლებში – ჭკებარსა და გადამშში, ოსურენოვანი წარმომავლობის რამდენიმე მიკროტოპონიმიამ დამოწმებული: **კოდხუმ** „კოდის ყანა“, **მუსხუმ** „კალოს ყანა“, **რადჟუარ** „გორისჯვარი“, **ხაშურდონ** „ხაშურისწყალი“... ოსურენოვანი უნდა იყოს აგრეთვე ტოპონიმები: **ხუნთიბუნი** (გლოლა), **სანჯიგინი** (გლოლა), **ქამაქინი** (მთა საგლოლოს ჩრდილოეთით) და სხვ.²

რაჭის ტოპონიმიში დადასტურებული აღმოსავლურენოვანი მასალის ანალიზისას ხაზგასმულია, რომ ამ შემთხვევაში მოსახლეობის უშუალო კონტაქტებთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ საილუსტრაციოდ დამოწმებული ტოპონიმებისათვის (საბაზრო ჭალა, ნადარაჯევი//ნადარაჯები//მოედანი, ნადარბახევი, ხანდუკა, ნაზარბახნევი, კოშკითავი, ნალაშქრევი//ნალაშქრევი, ფარდაგა, ნაქალაქევი, საქარაენო გზა//საფოშტო გზა, ქაჯიანი, საქეიფო კაკალი, საღალატო დელე, საყავრიგზა, საყარაულოები//საყარაულო მთები, საყჩალო ხიდი, ყორდანი, ჩაბალახა//ჩაბალაყა და სხვ. მრ.) ამოსავალი ფუძეები ქართულ ენას შეუთვისებია ძველ

¹ იქვე, 300.

² იქვე, 300-301.

დროშივე და შემდეგ ქართულს (და ზოგ შემთხვევაში ქართველურ ენებს) გაუთავისებია!

სტატიაში მკვლევარი განიხილავს რუსულენოვან რაჭულ ტოპონიმებსაც და რუსულენოვან აპელაცივს ორ ჯგუფად ანაწილებს: 1. სალიტერატურო ქართული ენიდან ნასესხები და 2. ზეპირი გზით შეთვისებული. პირველ ჯგუფში დასახელებულია ტოპონიმები: აეროდრომი, კანტორეები, ნაკარტოფილავა//ნაკართოფილავა//ნაქართოფილავა, ლენტები, სასენაჟო, სასილოსები, ნაფერმალები, შპალიანი. მათი ამოსავალია რუს. аэродром → ქართ. აეროდრომი „თვითმფრინავთა ასაფრენ-დასაფრენი მოედანი“; გერმ. Kontor რუს. ენის მეშვეობით; რუს. картофель (← გერმ. Kartoffel) ქართ. კარტოფილი; რუს. лента → ქართ. ლენტი ბაბთი; რუს. сенаж → ქართ. სენაჟი; რუს. силос „სილოსი“ → ქართ. სილოსი; რუს. ферма ფერმა → ქართ. ფერმა; ჰოლ. Spalk → რუს. шпаль— ხის, რკინის ან რკინა-ბეტონის ძელი რკინიგზის ღიანდავის გარდვიარდმო დაგებული რელსის საყრდენად.

მეორე ჯგუფში ერთიანდება ტოპონიმები: ბუტკა (რუს. бутка „ჯიხური, ბუდრუგანა“), ვაენიჭალა, ნავიშკარი (რუს. вышка „კოშკი, კოშკურა“), ზაოდი, ლატოკი, ოშფითალა (რუს. госпиталь (← ლათ. hospitalis) → ქართ. „ჰოსპიტალი“), ნაპიტონიკები (რუს. питомник „სანერგე“) და სხვ.²

§9. ლენხუმის (ლაჯანურის ხეობის) ტოპონიმის მასალები

ლენხუმის რეგიონის ტოპონიმის საკითხებით დაინტერესებულ ქართველ მკვლევართა შორის შეიძლება დავასახელოთ მ. ალავიძე, გ. გასვიანი, ქ. მუშკუდიანი, ღ. ფრუიძე, ალ. ღლონტი, მ. ჩიქოვანი, ზ. ჭუმბურიძე და სხვანი. მათი ავტორობით სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებულ ცალკეულ გამოკვლევებს 2014 წელს შეემატა პროფ. პაატა ცხადაიას წიგნი - **„ლენხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, ლაჯანურის ხეობა“**. მასში წარმოდგენილია ლაჯანურის ხეობის ოთხი ადმინისტრაციული ერთეულის -

¹იქვე, 301-307.

²იქვე, 307-309.

ორბელის, სპათაგორის, უსახელოსა და ლაილაშის, აგრეთვე სოფ. ორბელისა და ლაჯანის განაპირა დასახლებიდან ჩრდილოეთით ლენხუმის ქედამდე (ლაჯანურის ზემოთისა და ცხენის-წყლის წყალგამყოფამდე) მდებარე ტყიანი ხეობის ტოპონიმები, ჩაწერილი ავტორის მიერ 2010 წლის აგვისტოში. ლენხუმურ დიალექტში (და მეგრულ ენაშიც) **ლენხერა**, როგორც ნომენი (საზოგადო სპეციალური დექსემა), წყლიან-ტყიანი ხეობის აღმნიშვნელია. აღ. ქობალია „მეგრულ დექსიკონში“ ლენხერას განმარტავს როგორც ხევს, ტყიანს, ხეობის კლდოვან ნაწილს. პ. ჭარაიას განმარტებით კი ლენხერა მთებს შუა მდინარის გაყოფებაზე მდებარე ადგილებია, ხეობაა. პ. ცხადაიას ლენხერა ლენხუმში ტოპონიმიდაც დაუდასტურებია და, როგორც აღნიშნავს, ეს სახელი „მიემართება კურორტ ლაშიჭალასაც და ლაჯანურის ხეობასაც ლაშიჭალიდან სათავემდე“, ხოლო **ლენხერულა** რქმევია დელეს, დიდი ლოკარეს შენაკადს¹. ყოველივე ამან უბიძგა პ. ცხადაიას, სარეცენზიო დექსიკონში ლენხერა გამოეყენებინა ლაჯანა-კურცობის განაპირა დასახლებიდან მოყოლებული, ლაჯანურის ხეობაში მდებარე სახელდებული ობიექტების სალოკალიზაციო ერთეულად².

თვით ლაჯანური მდ. რიონის მარჯვენა შენაკადია. სათავეს იღებს ლენხუმის ქედის სამხრეთ კალთაზე, 2710 მ სიმაღლეზე. სიგრძე 32 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი 296 კმ²-ს შეადგენს. მდინარის ქვემო დინების ვიწრო ხეობაში, სოფ. სურმუშთან შექმნილია ოვალური ფორმის 3, 2 კმ სიგრძისა და 0,5-1 კმ სიგანის მაღალი თაღოვანი კაშხალი. წყალსაცავის უდიდესი სიღრმე 70 მ, ხოლო საშუალო სიღრმე 30 მ-ია. ფართობი 1, 6 კმ²-ს შეადგენს. სწორედ ამ წყალსაცავით ხდება ლაჯანურჰესის წყლით უზრუნველყოფა³.

წიგნის წინასიტყვაობაში მკვლევარი მოკლედ მიმოიხილავს ლენხუმის საისტორიო გეოგრაფიას, სახელწოდება „ლენხუმის“ გარშემო სპეციალისტების მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს (ი.

¹პ. ცხადაია, ლენხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, ლაჯანურის ხეობა, თბ., 2014, 9-22.

²იქვე, 22.

³იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI, თბ., 1983, 151.

ეიფშიძე, გ. მელიქიშვილი, მ. ალავიძე, მ. ქალდანი, გ. გასვიანი...); ამასთანავე, შენიშნავს, რომ ტოპონიმური და ლექსიკური მასალების გათვალისწინებით ლენხუმურ კილოში სამი ფენა გამოიყოფა: სვანური, იმერული და შედარებით გვიანდელი - ზანური. პ. ცხადაიას აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველ მკვლევართა დასკვნების დაზუსტება შესაძლებელია მხოლოდ ლენხუმის ტოპონიმის სრული აღწერისა და სვანური და მეგრული ენების სპეციალისტთა მიერ ტოპონიმური მასალის გამოწვლივით შესწავლის შემდეგ¹.

სარეცენზიო წიგნში ადმინისტრაციული ერთეულების ტოპონიმები დალაგებულია ამ ერთეულებში შემავალი ცალკეული სოფლების მიხედვით. ლაჯანურის ხეობის ზემოთის - ლეხერის ტოპონიმიაც ამ პრინციპით, საერთო ანბანის რიგზეა წიგნში წარმოდგენილი. ინტერესს იწვევს ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ტოპონიმთა ანბანურ ნუსხას წინ უძღვის ცალკეული დასახლებული პუნქტების შესახებ მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის შესავალი. ამას მოსდევს ტოპონიმური მასალის ჩაწერის თარიღი და რესპოდენტთა სია მათივე ასაკის ჩვენებით.

პ. ცხადაიას მიერ სავსე ექსპედიციების გზით მოპოვებულ ტოპონიმურ მასალასთან ერთად სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია სახელდებული ობიექტის მიკროლოკალიზაცია, მოტივაცია, ამოსავალი ფუძის ეტიმოლოგია და ისტორიული წყაროების მონაცემები (სადაც ეს შესაძლებელი იყო). უადრესად საგულისხმოა პ. ცხადაიას მსჯელობა ლაჯანურის ხეობის ოიკონიმთა ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხებზეც.

ლაჯანურის ხეობაში მოპოვებული ტოპონიმური მასალა იმდენად საინტერესო და მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველია, რომ სარეცენზიო წერილის განსაზღვრული მოცულობის გამო ჩვენთვის საყურადღებო ყველა საკითხზე მსჯელობა, რასაკვირველია, გავეითებდებო. ამჯერად ზოგიერთ არსებითი ხასიათის საკითხზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

სალექსიკონო მასალის გულდასმითი ანალიზიდან ირკვევა, რომ ლაჯანურის ხეობის ტოპონიმიაში ინდიკატორად გამოყენე-

¹პ. ცხადაია, ლენხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, 6.

ბულია შემდეგი საზოგადო სახელები: უბანი, კუთხე, ყანა (ყანები, ნაყანები), სათიბი (ნასათიბარი), გზა, ჩიხი, შუკა, ვაკე, მინდორი, ჭალა, ახო (ახუები), წყალი, წყარო, დელე, ტბა, ხეობა, ხევი, მთა, გორა, ტყე, ტყერი, ზურგი, ვენახი, სასაფლაო, სალოცავი, ეკლესია, ციხე, კოდი, ხიდი, ეზო, ნამოსახლი, შურო, მამული, ხრამი, ცაცხვი, ბუდე (შდრ. ტოპონიმი „ყანჩის ბუდე“), ფერდი, კლდე (კტე) და ა. შ.

დასტურდება საკუთარი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე -ნ-ს დართვის შემთხვევები. აქვე დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: გიოსანის ჭალა - ჭალა ლაჯანურის მარჯვენა ნაპირას¹; თომასანიკანი/თომა სანიკიძის ყანა - საძოვარი რცხილაშის მთაზე; აღდგომელასანი - მიკროუბანი ქოლბანში. გვარად ბურჯალიანის შთამომავლები არიან აღდგომელასანი, რომელთა დასახლებაც მდებარეობს სოფ. ქვედა ორბელის ერთ უბანში²; ლეკვეისანი - ასევე ბურჯალიანთა შტოგვარის დასახლებაა ლაჯანურის მარჯვენა მხარეს, ქვედა ორბელში. ჯგუფური მეტსახელი მომდინარეობს პირსახელ ლეკვეისაგან. საძოვარს ლეკვეისანში ლეკვეისანის ნამოსახლი ჰქვია³; დავითისანი - ბურჯალიანთა შტოგვარის უბანი ქვედა ორბელში⁴; გიოსანები/გიოსანიკუთხე - მიკროუბანი სოფ. ხოჯში, ფოჩიანსა და ლეშკედას შუა. გიოსანები არიან გვარად გოლეთიანები⁵;

გვართა დასახლებანი ლაჯანურის ხეობის ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმოდგენილია შემდეგი სახით: სასარაშვილები, გაბისიანების კუთხე, ბახსოლიანების კუთხე, დავითულიანების უბანი, მახარობლიძეები//მახარობლიძეების უბანი, ლაკვეხელიანები//ლაკვეხელიანების უბანი, ლეშკაშელეები//ლეშკაშელეების უბანი (2), მეგრელების უბანი, ყვირილიანების უბანი, აბაშიძეები//აბაშიძის კუთხე, სილაგაძეების კუთხე (2), ქლიბაძეების კუთხე//ქლიბაძეების უბანი, გიორგობიანები//გიორგობიანების უბანი (2), ახვლედიანების კუთხე, ასათიანების კუთხე//ასათიანების

¹პ. ცხადია, ლეჩხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, 13.

²იქვე, 40.

³იქვე, 44.

⁴იქვე, 40.

⁵იქვე, 131.

უბანი, გოლეთიანები//გოლეთიანების უბანი, გოლეთიანები(ს)კუ-
 თხე, გუგავეები//გუგავეების უბანი, გურულების უბანი, თვარაძე-
 ბის კუთხე (2), თოთაძეები, შუკბანიანების უბანი, სიმსივეების
 უბანი, შეკიშვილები//შეკიშვილების ჩიხი, ხეცურიანების უბანი,
 ურთმელიძეების კუთხე, ფოჩიანების კუთხე, ასათიანები//ასათი-
 ანების კუთხე, გოლოძეების კუთხე, გოქაძეების კუთხე, ელიანო-
 ვის უბანი, ერბელიძეების კუთხე, სვანიძეები//სვანიძეების უბ-
 ანი//სვანიძეების კუთხე, ჩაჩხიანების კუთხე//ჩაჩხიანების უბანი,
 ჩხეტიანების კუთხე, ანტონიშვილები, აქიმიშვილები, ახვლედიანე-
 ბი, ბაკურაძეები, ბასილაშვილები, გოქაძეები, თედორაშვილები,
 კობერიძეები, ობოლაშვილები, ობოლაძეები, ფინთიხაშვილების
 უბანი, ფრუიძეები//ფრუიძეების უბანი, ქარცველაძეების უბ-
 ანი//ქარსველაძეების უბანი, ყურაშვილები, ჩარკვიანები//ჩარკვიანე-
 ბის უბანი, ჩიკვაიძეები, ჭარბაძეები, ჭელიძეები, გოდერიძეების
 უბანი, მიქაძეების კუთხე, ჩორგოლიანები//ჩორგოლიანების უბ-
 ანი...

სა-თ ინფიქსით გვართა დასახლების რამდენიმე შემთხვევა
 ფიქსირდება. ამათგან ერთს მოეპოვება პარალელური ფორმაც.
 საილუსტრაციო მასალა: საგაბისიანო, სადავითულიანო, სალარ-
 ცულიანო//ლარცულიანები.

სარეცენზიო წიგნში თავმოყრილი მასალის გაცნობამ დაგვა-
 ნახა, რომ ლაჯანურის ხეობის ტოპონიმთა საწარმოებლად გამო-
 ყენებულია **-ან, -არ, -ოურ, -ურ, -აურ, -ელა, -ილა, -ოულ, -სოულ,**
-ულა, -ერ, -ეთ სუფიქსები, **სა-** პრეფიქსი, **ნა-** **-არ, ნა-** **-ებ, ნა-**
-ალ, ნა- **-ევ, ნა-** **-ევ** პრეფიქს-სუფიქსები.

საილუსტრაციო მასალა: ყვანგიანი, ბილვანი; **თხმელა-**
რი/(რ)თხმელარი, მუჩნარი, იფნარა, გოტოულა/გოტოური, ლაჯა-
ნურა, ტიბიშური, კოკონოურა/კოკონაურა, ხუნნოურა, გუნური,
ჭაპიანოური, ნადმოური, მუქ(ვ)აული/მუქ(ვ)აური, ქვაყუნტელა, შე-
ლობილა, გუჯიბოული//გუჯიგოული//გუჯიბოური, თურქოული,
მუნანოულა, ვენიასოული, კორკოსოული, მოხოული, ბაბისოული,
ღენერულა, რობიანოული, ახვლედიანისოული, ჯიმაკოულა, შაგ-
ბინულა, გუგუმიერი/გუგუნერი, კიცხუნ(ნ)დერი, მეხენდერი, საკა-
ხიერი, სუნანიერი, ჩოხაშიერი, ბადერი, წილამიერი, უღუერი; ზა-
გალეთი, დარბალეთი, ნაკულეთი; საზზიანო, სათევზია, საკაგე,

საკანაფე დელე, სამოდე, სანადირო გზა, საორბელო, საუცხერო, საყორნია, საცილო, შუანა სახარო, სამადრიანო, საპარასკეპო, სამაყრიანო, სასამო, გოგულის სახტომელა, სალეშკედო, საყიფიანო; ნაბოსლევი, ნაკარვალი, ნალობიები, ნასამჭედლოები, ნასამჭედურები, ნაჯიხურები, ნაძუშურები...

პ. ცხადაიას სალექსიკონო მასალაში წავაწყდით შერ-, შულ-კომპონენტის შემცველ რამდენიმე მიკროტოპონიმსაც. ესენია: გველიშერი//ქვენიშერი, გოგიშული, ებოშერი, კინიშერი, ხარაშელა//ხარაშელი, გალაშერი//ლაგუბა, ყურმუშელი... ისტორიკოს თ. მიბზუანის აზრით, შერა სვანურში საკუთრების ფორმის გამომხატველია (შდრ. ლეუშერი, ცხუკუშერი). მკვლევარი იმოწმებს სათანადო მაგალითებსაც: ბაპშერა (მიბზუანთა ერთი შტოგვარი) - „ბაპიანთი, მღვდლის ოჯახი“, გაგიშერა (საკუთარი სახელისგან - გაგი), ავლათშერა (ნავერიანების ერთი შტოგვარი) - საკუთარი სახელიდან - ავლათ, და ა. შ. ამგვარად, თ. მიბზუანის აზრით, ბაბუშერა სვანურად იგივეა, რაც „ბაბუის სამფლობელო ადგილი“ (ბაბუ „ბაბუა“)¹. პ. ცხადაია შენიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში საიჯარო მიწა შეიძლება ყოფილიყო თანაბარსაზიარო, სამესამედო, სამეოთხედო. თანაბარსაზიაროდ, სანახევრო წილით დასამუშავებელი საიჯარო მიწა საშელოდ იწოდებოდა. ამ სამეურნეო-სამიწათმოქმედო ტერმინის ამოსავალი ფუძე შელ- შინაარსით ქართული ზიარ- ფუძის შესატყვისია, მასალობრივად კი იმერულ „სეულ“ მორფემიდან შეიძლება უკავშირდებოდეს². მაშასადამე, შელი ზიარია, წილია. ამასთანავე, -შერ ვისიმე ოჯახისადმი კუთვნილებითობის გამომხატველი სუფიქსია სვანურში³. პ. ცხადაია იმოწმებს -შელ ფუძის შემცველ კომპოზიტურ ტოპონიმებს სამეგრელოში: გუტიაშელი, გუტუიაშელი, კოჩაშელი, პაპაშელი, შელიაშელი⁴. როგორც ჩანს, -შელ საერთო ქართული ფუძეა.

¹ თ. მიბზუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989, 260.

² პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმებიდან, I, 95.

³ კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 2001, 336.

⁴ პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმებიდან, I, 95-96.

დასტურდება **-ობა** ნაწილაკით ნაწარმოები მიკროტოპონიმი მიღმართობა. ასე ეძახიან ვენახებს, სათიბებსა და ტყეებს ლალაშის დელის მარჯვენა მხარეს, სოფ. ღუში. ეს სახელი ადგილისთვის დაურქმევიათ ამ დელის მარცხენა მხარეს მცხოვრებთ¹. პ. ცხადაიას აზრით, „სუფიქსი **-ობა** ფუნქციით უტოლდება **-ეფ-ს**“². ა. ქობალია შენიშნავდა, რომ **-ობა** დღეობის აღმნიშვნელი ნაწილაკია. შდრ. გერგობა, ელიობა³. ო. ქაჯაია მიიხნევს, რომ **-ობა**, **-ობუა** სუფიქსები აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს არსებითი, ზედსართავი და კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან⁴.

ორმაგი სუფიქსაციის ნიმუშია ტოპონიმი **თელნარიანი** ← **თელ-ნარ-იანი** - საძოვარი თარიგონის კალთაზე⁵.

ტოლადშერწყმული ტოპონიმებია: **ტყვეაკე**, **ფართოყანა**, **გზაბოძალი**, **დელებოძალი**, **ქვაყუდებული**, **დობიროვაკე/ვაკედობირო**.

ჰაპლოლოგის ნიმუშს წარმოადგენს ტოპონიმები: **ბესარტყელა** (← ბესას სარტყელა) - საძოვარი მთის კალთაზე, სოფ. წილამიერში⁶; **ზევააკე**(←ზედავააკე) საძოვარი ნატბოიურის აღმოსავლეთით, სოფ. თაბორში⁷...

სოფ. ღუშკედაში, სახაზოს გვერდით მდებარე საძოვარს **კტაქვეში** ჰქვია, ხოლო საძოვარს კტაქვეშის გვერდით **კტიძირს** ეძახიან. **კდიძირი/კტიძირი** დამოწმებულია სახნავის სახელწოდებად ზედა კუთხეში, ხოჯის საზღვართან, სპათაგორში. ამავე სოფელში მდ. ლაჯანურაზე მდებარე საბანაოს **კტისძირი** რქმევია. აქ დღეს ცხენისწყლის გვირაბი გამოდის. სპათაგორშივე კლდის სახელწოდებად ჩაწერილია **ხიროულის კდე**⁸. **კტითავი** ვენახის სახელია სოფ. უსახელოში, ლავალიაშის წვერის კალთაზე⁹ და

¹პ. ცხადაია, ლექსუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, 199.

²პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII, 2013, 196.

³ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 529.

⁴ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, 417.

⁵პ. ცხადაია, ლექსუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, 15.

⁶იქვე, 86.

⁷იქვე, 167.

⁸იქვე, 96, 97, 100.

⁹იქვე, 124.

ა. შ. **კტე** იგივეა, რაც კლდე. პროფ. ბესარიონ ჯორბენაძე შენიშნავდა, რომ „ტოპონიმი შედარებით მდგრადია და ამიტომაც იგი ფასეული აღმოჩნდება ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც. ტოპონიმების მიხედვით შესაძლებელი ხდება აღნუსხვა ფონეტიკური ცვლილების ყველა იმ საფეხურისა, რომელიც ამა თუ იმ ფორმას გაუვლია“. თქმულის საილუსტრაციოდ მკვლევარი იმოწმებს **კლდე//კტე//კილდე//კილდო** ფორმას და სხვ.¹

ლაჯანურის ხეობის ტოპონიმიაში შინაარსობრივი კლასიფიკაციის თვალსაზრისით შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი. რელიეფის თავისებურებას გამოხატავს ტოპონიმები: **გაღმაგვერდი, ზედაკუთხე, სივიწროვე** (კლდეში გაჭრილი ვიწრო ბილიკი ხოჯის საზღვარზე, სოფ. სპათაგორში), **გორმაღალი, მიფენება, მრგვალყანა, უნაგირა, ყანაგძელა, განიგზა, გვერდი, ტაბაკა, ფართოყანა, ღრადოყანა** (ღრადო ჩადრმავებული ადგილია)...

პატრონიმული ტოპონიმები/ანთროპოტოპონიმები: **ბიჭოური, გელოვანისეული, ვანოს ყანა, მოსეს ყანები, სანთელაძის ყანა, ჩანგოური, ჩაჩხანაური, ხეცურიანიყანა, საქოჩაო//ქოჩების გორა** (ბაკურაძეების შტოგვარია **ქოჩები**), **გელვანისოული, კოსტას წყარო, მიქაძის ნაზიარები, ნიკოს ნაკარეში, შალვანაყანები, სვანიძიმონაცვალი, ანეტას გადასახვევი, ერქედები** (თედორაძეების შტოგვარია); **ბუბულაში//ერქედები** ეწოდება ვენახს თედორაძეების უბნის ქვემოთ, ორშუალელის მარჯვენა მხარეს, სოფ. სურმუშში), **ტაზიაშიელების კუთხე//ტაზიაშიელები** (უბანი ლაჯანურის მარჯვენა მხარეს, ლაცორიაში, სპათაგორის საზღვარზე. **ტაზიაშიელები** ახვლედიანების შტოგვარია), **ერბელიძის მარნები, ლუბას მიფენება//ლუბას ნავენახები.**

ფლორის ამსახველი ტოპონიმები: **ვაშნარი, თელნარიანი, იფნარი, ნაცერცვალი, საინჭრია, საკანაფო, საჯინჭრია, ურთხეფლა, ყიყვიანისხე, საბაწრია** (მღრ. ბაწარია - იმერულში მარწყვა ბალახი), **ნაბარდალი, ნათუთუნები, ნიგვზარა, სამარწყვია,სამაჭრია** (ვაზის ჯიშია ერთგვარი), ნაიონჯები...

ფაუნის ამსახველი ტოპონიმები: **ძროხიტყავა, ხარაჭირადელე, გველითავი, გველითავისწვერი, თხიზურგი, საწუ(რ)ბლია, სა-**

¹იხ. ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993, 29.

მანჩია, ყვავიახო, დათვის ბეზო, დათვის წყარო//დათვიწყალი, სამტრედე გორა, სათევზია, საყორნია, გუგულის სახტომელა, გუგულის წყალი, დათ(ვი)იახო, დათინატუკი, საძროხო...

ისტორიულ ვითარებას ასახავს შემდეგი ტოპონიმები: ნაომარა, ნაომარისწყალი, ნაომრისგორა, ნამოსახლი//ნასახლარი, ნაფუზერები, პარტახი,სასახლე,დადიანისნამოსახლი, ნასისხლი, ახალ(ი)დასახლება...

მითოლოგიური წარმომავლობისატოპონიმი ჭინკების ქვა. ასე ეწოდება ქვას, საძოვარს ნასპერსა და უსქველიტას შუა, რიყიღელის მარცხენა მხარეს, სოფ. თაბორში. ნაძრახი, აუგიანი, დანავსული, მოსარიდებელი ადგილისთვის მოსახლეობას ნაძრახიღელე//გოჯედანისღელე//გოჯენდა//გოღეჯანი შეურქმევეია. ამჟამად ასე იწოდება ვენახი ქვედა ორბელში, სუნანიერს ქვემოთ¹.

რელიგიური, საკულტო წარმომავლობის გეოგრაფიული სახელწოდებებია: ნასახტრი, კვირტობა, ანჩისხატი//ანჩისხატის ეკლესია, ბეგის სალოცავი//გიორგობის სალოცავი//ელიობის სალოცავი, გორმადალის სალოცავი//გიორგობის სალოცავი//მეჯღოგეთა სალოცავი, გრიგორიანული სალოცავი, ნასალოცავი, რიდამოს სალოცავი, საგორგოთო, სინაგოგა, ბჭყალის ეკლესია, დედახეთისა, კვინცხების სალოცავი, საელიო, სალოცავი მუნა, ციხეეკლესია, გიორგობიანების სალოცავი, ნასაყდრები, საამაღლობო, სასახლის სალოცავი, წიფეთელიაობის სალოცავი, საელიო ცაცხვი, შაორშაბათო//საორშაბათო, ცაცხვისალოცავი, ფარელის ცაცხვი, საწირავი//სალოცავი ცაცხვი...

ისტორიული საერო ნაგებობების - ციხე-სიმაგრეების სახელწოდებებია: ლაშხიციხე, ლეშკაშის ციხე//სადადიანო ციხე, დიდი ციხე//ორბელის ციხე, პატარა ციხე//ქვედა ციხე//რაგვის ციხე//ჩოხაშიერის ციხე, მახარობლიძეების ციხე, ქაჯის ციხე, სილაგაძის ციხე...

მეტაფორული ტოპონიმებია: იაკობის ზურგი – 1. სახნავი საკავიღელის ხეობაში (ღეხერა); 2. ტყე, ბორცვი ორბელის საზღვარზე, ლაჯანურის მარჯვენა მხარეს (ლაცორია). ზურგი მთის, ბორცვის ზედა ნაწილის აღმნიშვნელია; ყანწის მთა – მთა სასა-

¹პ. ცხადაია, ლენხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, 40, 45.

რაშიელის ღელის სათავესთან, სარაჭველოში, რაცლაჯანურის ზემოთშია. აქ მწვემსები ცხვარს დაკლავდნენ და დაილოცებოდნენ¹; **კილომთვარე** – ჩამონაშალი კლდე ორბელი-ცაგერის საავტომობილო გზის ქვემოთ, აკაგანამდე, სოფ. ორბელში²; **მეფისწყალი** – წყარო შუა ლენხუმის სერზე, ფარელში. გაედინება ცხენისწყლისკენ. საუკეთესო, გამორჩეული თვისებების მქონე სასმელ წყალს აღმ. და დას. საქართველოში მეფისწყალს/ნეფისწყალს უწოდებენ³; **დედოფლის წყარო** – ლემკაშელებში, სოფ. ლაჯანაში⁴; **ავაკანა/აკაგანა** – მინდორი ხარაშელის მარცხენა მხარეს, ლარცულიანების კუთხეში, სოფ. ლაცორიაში⁵...

გვხვდება ფიტონიმის (მცენარის სახელის) კომონიმად ქცევის მაგალითები. მაგალითად, **ღუ**, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, რაჭულში აღნიშნავს ბუჩქს, რომელიც კლდეებზე ხარობს, მარადმწვანეა და რომლის შავ ნაყოფსაც წამლად ხმარობენ. მცენარის სახელი დარქმევია სოფელს. რაც მდებარეობს ლაჯანურის ხეობაში, ზ. დ. 710 მ-ზე, და ლაილაშის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის.

ლაჯანურის ხეობის მრავალი ტოპონიმის ეტიმოლოგიური ანალიზი შესაძლებელია, მაგრამ გაუმჭვირვალე, ბუნდოვანი სახელწოდებებიც ბევრია. ასე, მაგალითად, **კილომთვარე**, **დედაბრისთავი**, **ლაკინხია**, **ლაყვამური**, **ნასპერა**, **უსკველიტა/უსქველიტა**, **ქოხარეში**, **ბრაცყვილა**, **სპადერი**, **წუდილაში**, **უწკუმპალი**, **წილამიერი**, **კურცობი**, **გაგულენი**, **გორამატყუარა**, **ხედო**, **ჯვილამესა**, **ჭუბულო**, **მოცხანდარი**, **მერქები/ნერქები**... ამ ტოპონიმთა მოტივაციის დადგენა მომავლის საქმეა.

ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევასთან გვაქვს საქმე ისეთ ტოპონიმებში, როგორიცაა **ბლუანი** (← ბლიანი), **კალამუანი**, **ნარლოვი** (← ნარღვევი), **მოხოული** (← მოხვეული)...

ლაჯანურის ხეობის ტოპონიმიაში წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული -ს-ს გაქრობის ფონეტიკური მოვლე-

¹იქვე, 28-29.

²პ. ცხადაია, ლენხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, 42.

³იქვე, 44-45, 60.

⁴იქვე, 71.

⁵იქვე, 101.

ნა. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: **ბლიყანა** (← ბლის ყანა), **ლანქორიდელე** (← ლანქორის დელე), **ლაშივაკე** (← ლაშის ვაკე), **ლაშიდელე** (← ლაშისდელე), **ლაშიჭალა** (← ლაშისჭალა), **ელიიწვერი** (← ელიის წვერი), **ციხიძირი** (← ციხისძირი), **კტითავი** (← კტისთავი ← კლდისთავი), **ცაცხვისსალოცავი** (← ცაცხვის სალოცავი), **ცაცხვიყელი** (← ცაცხვის ყელი), **გვერდიყანა**, **გოგიშვილიადგილი** (← გოგიშვილის ადგილი), **გადაღმა ჭალიგორა** (← გადაღმა ჭალისგორა)...

ს თანხმობანი რეფლექსის სახით ძ-ს გვაძლევს ტოპონიმში **კორტიელაშე**, თუმცა პ. ცხადაიას წიგნში ეს ტოპონიმი წარმოდგენილია **კორტიელაშის** ფორმით. ეს პროცესი ძირითადად დამახასიათებელია აღმოსავლური კილოსათვის (მაგ. ლომისაჲ გზა ← ლომისას გზა, მაღალაჲ დელე ← მაღალას დელე... თუმცა ანალოგიური ვითარება, ბ. ჯორბენაძის აზრით, „სპორადულად ქართული ენის დასავლურ კილოებშიც დაჩნდება: ტყაპეოგვერდი ← ტყაპეს გვერდი, საკოტიეთავი ← საკოტიეს თავი (ლენხუმი, ცაგერის რ.)...“¹.

ტოპონიმთა მაწარმოებელი ფორმანტების ენობრივი რაობის საკითხებზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია სიტყვათშეხამების უნარიც. მაგალითად, ტოპონიმთა წარმოება ზედა, ქვედა, ზემო, ქვემო, მაღლა, დაბლა, ქვეში, შუა, გაღმა, გადაღმა, მიღმა, გამოღმა, უკან, იქით, დიდი, პატარა, პირველი, მეორე, შიგნით, შავი, თეთრი, წითელი, ძირი, გვერდი, თავი, წვერი, ყელი, მაღალი, დაბალი... მსაზღვრელებით. მაგალითები: ზედა ორბელი//ზედა უბანი, ზედა ციხე, ზედა კუთხე, ზედა ბანიკოდი, ზედა მხრე-ბი//ზედა მხრეფი, ზედ(ა)უბანი, ზედაუბანიკოდი, ზედუბნის ვაკე, ზედა ლეშკედა, ზედა კოდი, ზედა უსახელო...; ქვედა კუთხე, ქვედა კოდი, ქვედა ნაკულებით, ქვედა უსახელო//დაბლა უსახელო, ქვედა ხოჯი...; მაღლა უსახელო; ქველბანი//ქვემო უბანი; ციხექვეშის დელე, მსხალქვეში, კტექვეში, კუნელქვეშ/კუნელაქვეშ; შუანა სახარო, ორდელეშუა, ორტყეშუა, ორშკასშუას წყალი, ორშ(უ)კასშუა, შუა სოფელი, შუა უბანი, ორშუადელე...; გაღმა საკავე, გაღმა ჭალა, გაღმაგვერდი, გაღმა ბურღველაში, გაღმა

¹ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, 140-141.

ლეშკედა...; გადაღმა ჭალიგორა, გადაღმა ახუები...; გამოღმა ჭა-
ლა, გამოგვერდი (← გამოღმაგვერდი), გამოღმა ბურღველაში...;
მიღმართობა; კორდანსუკან, საყდრისუკან, წვერსუკან, წვერსუკ-
ნის გამოქვაბული...; იქითკუთხის კოდი...; დიდვაკე, დიდი ლოკარე,
დიდი შურო, დიდშურო, გაგულებჩის დიდი ვენახი, დიდი ბურღვე-
ლაში, დიდქვა, დიდღელე...; პატარა ლოკარე, პატარა შურო, პა-
ტარა ციხე, პატარა ბურღველაში...; პირველი ნამოსახლი; მეორე
ნამოსახლი; შიგნიღელე; შავკადარი, შავღელე, შავტბა...; თეთრი
ღელე, თეთველი (← თეთრველი); წითელკოჯი...; ციხიძირი, ცაცხ-
ვიძირი, კდიძირი, ჭალიგორისძირი, ფერიძირი...; გვერდი, სახ-
ტრიგვერდი, კლუბიგვერდი...; კტითავი, ჭალისთავი, შუკისთავი,
ლაშითავი, საკაფსიონოსთავი, სახრავეთავი, ჩხიროდითავი, გაგი-
შისთავი, სიპითავი, ნალობიეთავი, ახოსთავი, ქალაქისთავი//ბე-
გი, დედაბრისთავი...; ორბელისწვერი, სახოვი(ს)წვერი, უცხერის-
წვერი...; ცაცხვიყელი, ბლისყელი, ლაშიყელი...; მაღალყანა და
სხვ. მრ.

სარეცენზიო წიგნის დანართში წარმოდგენილია ლეჩხუმის
ტოპონიმის დაბეჭდილ და ხელნაწერ მასალებში მოცემული,
ლაჯანურის ხეობის სოფლებში ჩაწერილი იმ მიკროგეოგრაფიუ-
ლი სახელწოდებების ჩამონათვალი, რომელთა შესახებ 2010
წელს ავტორს რესპოდენტოგან საჭირო ინფორმაცია ვერ მიუ-
ღია. წიგნში სულ დასახელებულია 65 ასეთი მიკროტოპონიმი¹.

წიგნის ბოლოთქმაში მკვლევარი სამართლიანად შენიშნავს,
რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორის მიერ აღწერილ და
უკვე დაბეჭდილ, ლეჩხუმის დღემდე გამოცემული ტოპონიმური
მასალის უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ, ერთის მხრივ, ტოპონიმს
აკლია დაწვრილებითი ლოკალიზაცია, რესპოდენტისეული მოტი-
ვაცია და ლექსიკური ახსნა-განმარტებანი, ხოლო მეორე მხრივ,
არაა მოცემული სახელწოდების ენობრივი და გარეენობრივი ანა-
ლიზი. ერთიც და მეორეც აუცილებელი ატრიბუტია ტოპონიმთა
სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის. „ყოველივე აქედან
გამომდინარე, - დასძენს პ. ცხადაია, - აუცილებელია სვანური
ენის ზედმიწევნით მცოდნე და დაინტერესებულმა მკვლევარმა

¹ პ. ცხადაია, ლეჩხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, 204-205.

გულდასმით და აუჩქარებლად დააფიქსიროს ლენხუმის მთელი დღევანდელი და საისტორიო წყაროებში დაცული ონომასტიკა (და არა მხოლოდ ტოპონიმია) და შეჰმატოს ქართულ ენათმეცნიერებას სრულყოფილი მონოგრაფია (და არა მხოლოდ მასალა)⁴¹

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადადგმულია: პაატა ცხადაიას წიგნი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ლენხუმის ტოპონიმის მომავალ ჩამწერთ და ამ საკითხის კვლევით დაინტერესებულებს. ამასთანავე, ვფიქრობთ, ცალკეულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხებზე ცაგერის რაიონულ გაზეთში სხვადასხვა დროს დაინტერესებულ პირთა მიერ გამოქვეყნებული კორესპოდენციები ამ თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციის შემცველია და გაზეთის გაყვითლებული ფურცლებიც ელის მჩხრეკელსა და შემსწავლელს.

§10. აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი

2016 წელს გამოვიდა წიგნი „**აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი**“ (180 გვ.), სადაც ავტორები - პაატა ცხადაია და ბეჟან ხორავა, მიზნად ისახავენ უაღრესად პრობლემური საკითხის შესწავლა-გაანალიზებას - თუ როგორ მიმდინარეობდა გვიან შუა საუკუნეებში, შემდეგ რუსეთის (ცარიზმის) ბატონობისა და საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, ტოპონიმთა ცვლა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაციის ისტორიულ-პოლიტიკური და ეთნოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით.

ნაშრომის I თავში მოცემულია საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარეებს - ენგურსა და ფსოუს შორის მდებარე, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის - აფხაზეთის გეოგრაფიული

⁴¹ იქვე, 206; სხვათა შორის, პ. ცხადაიას წიგნის გამოცემის შემდეგ სვანური ენის სპეციალისტმა ქ. მარგიანმა დაამუშავა და გამოაქვეყნა ლაჯანურის ხეობის ტოპონიმის სვანური მასალა. იხ. **ქ. მარგიანი**, სვანური ლექსიკა ლაჯანურის ხეობის ტოპონიმიაში, I, კრ. „ქართველური ონომასტიკა“, თბ., 2015, 210-223.

და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. ავტორები აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის დღევანდელ საზღვრებში ჩამოყალიბება საუკუნეების მანძილზე მიმდინარე პროცესი იყო და დასრულდა XX ს-ის I მესამედში. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (II-I ათასწლეული) თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კოლხური კულტურის გავრცელების არეალში, ხოლო ძვ. წ. XV ს-იდან კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა, აგრეთვე „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის ცნობებით, ტერიტორია ღიხის მთიდან შავ ზღვაში მდ. ყუბანის ძველ შესართავამდე, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის, ეგროსის სამკვიდროს წარმოადგენდა და ქართული მოდგმის ტომებით - კოლხებით, კოლებით, კორაქსებით და ჰენიოხებით იყო დასახლებული. I-VIII საუკუნეებში აფხაზეთი ეგროსის (ლაზიკის) სამეფოს შემადგენლობაში¹. ავტორები იზიარებენ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ თვალსაზრისს, რომ „ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში აფხაზები ეთნოკულტურული თვალსაზრისით ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც საქართველოს სხვა ისტორიული პროვინციების მოსახლეობა (ქართლები, კახელები, მეგრელები, სვანები და სხვ.) და ქართული სახელმწიფოსა და ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ“².

პ. ცხადაია და ბ. ხორავა აღნიშნავენ, რომ აფხაზეთი მდიდარია საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრების ძეგლებით. XI ს-ის დასაწყისიდან „აფხაზთა“ სამეფო ერთიანი ქართული სახელმწიფოს - საქართველოს სამეფოში იყო გაერთიანებული, ხოლო XV ს-ის 70-90-იანი წლებიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს სამეფო დაიშალა, აფხაზეთს იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში ვხედავთ. XVI ს-ის შუა წლებში იმერეთის სამეფოს ცალკე სამთავროებად გამოეყო გურია, ოდიში (სამეგრელო) და

¹პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2016, 6-7.
²იქვე, 7.

აფხაზეთი. აფხაზეთსა და ოდიშს შორის საზღვარი მდ. ანაკოფისწყალზე (ამჟამად მდ. ფსირცხა) გადიოდა¹.

XVIII ს-ის ისტორიკოსისა და გეოგრაფის - ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ოდიშის სამთავროს დასავლეთ საზღვარს წარმოადგენდა შავი ზღვა და „კუალად ანაკოფის მცირე მთა, კავკასილამ ჩამოსული სამკხრით ზღუამდე“².

ვახუშტის ცნობიდან ირკვევა, რომ XV ს-ის II ნახევრისათვის, უფრო ზუსტად XV ს-ის 80-90-იანი წლებისათვის, ოდიშ-აფხაზეთის სასაზღვრო ხაზი იმ მთაზე გადიოდა, რაც ანაკოფის (ახლანდ. ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთით იყო აღმართული³. საკუთრივ ანაკოფია, ვახუშტის აზრით, ოდიშის სამთავროს შემადგენლობაშია. მის მდებარეობას მეცნიერი ასე აღწერს: „ცხოშის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასისა და მიმრთველი ზღვისა ეგრეთვე ჩდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვის კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია... საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა“⁴. ანაკოფია ცხოშის (სოხუმის) ჩრდილოეთით, ახლანდელი მდ. ფსირცხის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ფსირცხა სათავეს იღებს კავკასიონის ქედის ერთ-ერთი განშტოების, ხიცმის მთის ფერდობზე და ანაკოფის (ახალი ათონის) ჩრდილოეთით შავ ზღვაში ჩაედინება. მდინარის უწინდელი სახელწოდება, ანაკოფიასთან სიახლოვის გამო, როგორც ჩანს, სწორედ **ანაკოფისწყალი** ყოფილა. ვახუშტისეული „მდინარე მისი (ანაკოფისა - ი. კ.) მცირე“ ამას უნდა გულისხმობდეს. ფსირცხის (ანაკოფისწყლის) მარჯვენა ნაპირზე აღმართული მთა ესაა ვახუშტისეული „ანაკოფის მცირე მთა, კავკასილამ ჩამოსული“⁵. საგულისხმოა ის გარემოება,

¹იქვე, 8-9.

²**ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, 776.

³მსჯელობისათვის იხ. **თ. ბერაძე**, ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთისა და ჯიქეთის შესახებ. კრ. „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, თბ., 1998, 103; **ი. კეკელია**, სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია. ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ქუთ., 2014, 34.

⁴**ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, IV, თბ., 1973, 781.

⁵**ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 776; თ. ბერაძე, 1998, 103.

რომ დიდი მეცნიერის მონაცემების სისწორეს აღნიშნული სასაზღვრო ხაზის შესახებ ადასტურებს XVI ს-ის 20-30-იან წლებში თურქი მზევრავის პატაკში დაცული ცნობა, რომ „დადიანის ქვეყანა“, იგივე ოდიში, ვრცელდება სოხუმამდე; სოხუმსიქით, იალბუჯიდან, ანუ კავკასიონის მთავარი ქედიდან სოხუმამდე დაშვებული მთისკალთა წარმოადგენდა მიჯნას ოდიშსა და აფხაზეთს შორის¹.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის (1720...-1752 წწ.) ბრძანებით 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე ოდიშის ტერიტორია მოთავსებულია ცხენისწყალსა და იმ უსახელო მდინარეს შორის, რაც ანაკოფიის დასავლეთით არის დატანილი. თვით ამ მდინარის მარჯვენა მხარეს აღნიშნულ პირველსავე პუნქტს „აფხაზეთი ზუფუ“ აწერია. ზუფუკი ლიხნის უწინდელი სახელწოდებაა. ლიხნის აღმოსავლეთით ფსირცხა მოედინება. მაშასადამე, რუკაზე ზუფუსა (ლიხნის) და ანაკოფიას შუა გამოსახული უსახელო მდინარე აწინდელი ფსირცხა უნდა იყოს, რაც, რუკის შემდგენლის აზრით, წარმოადგენდა საზღვარს ოდიშსა და აფხაზეთს შორის.

პ. ცხადაია და ბ. ხორავა შენიშნავენ, რომ გვიან შუა საუკუნეებში, კერძოდ, XVI-XVII საუკუნეებში, დასავლეთ კავკასიიდან აფხაზეთის ექსპანსიამ აფხაზეთის ტერიტორიაზე რადიკალური ეთნიკური ცვლილებების პროცესი გამოიწვია². ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. კოდორ-ენგურის შუამდინარეთში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების, გახიზვნის, ან მონად გაყიდვის შედეგად დაცარიელებული ტერიტორიის ათვისებას იწყებენ კოდორსგაღმიდან ჩამოსული აფხაზები, ხოლო უფრო სამხრეთით ადგილი აქვს დალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის აფხაზთაგან დაპყრობას, - ასე აფასებს XVII ს-ის მიწურულის ვითარებას გ.

¹თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთისა და ჯიქეთის შესახებ, 103; მისივე, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVI საუკუნეში. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თბ., 2007: 146; ი. კეკელია, სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, 34-35.

²პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 9.

ანჩაბაძე¹. „დასავლეთ კავკასიის მთიელთა აფხაზეთში ჩამოსახლებისა და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი ჩამოყალიბდა. „აფხაზი“ უკვე არ არის ეთნოკულტურულად ქართველი, აფხაზეთა ტომი ახალი ეთნიკური სახით ჩამოყალიბდა. ქართველები ამ ახალ ეთნიკურ ჯგუფს მექანიკურად ისევ „აფხაზებს“ ეძახდნენ, ისინი კი თავიანთ თავს „აფსუებს“ უწოდებდნენ“².

დასავლეთკავკასიური ტომების მიერ და აფხაზ ფეოდალთა - შარვაშიძეების მეთაურობით ოდიშის სამთავროს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით განხორციელებული ექსპანსია საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ ოდიშსა და აფხაზეთს შორის საზღვარი უკვე ენგური გახდა. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორია აფხაზეთის ნაწილადაა წარმოდგენილი და ტერიტორიული და ენობრივ-ეთნიკური თვალსაზრისით სამ ერთეულად იყოფა: **სამურზაყანო, აბჟუა** („შუასოფელი“ ანუ „სააფხაზო“) და **აძიებუა** („ორწყალშუა“). ისტორიული რეალობა კი სულ სხვაგვარი იყო: ენგურსა და ანაკოფიის მცირე მთას შორის მოქცეული ტერიტორია, წერილობითი და კარტოგრაფიული წყაროების პირდაპირი და მკაფიო ჩვენებით, ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ეკუთვნოდა.

პ. ცხადაია და ბ. ხორავა შენიშნავენ, რომ 1681 წლისათვის აფხაზებმა შექდეს ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიტაცება და საზღვრის გადაწევა კელასურიდან ღალიძგამდე. დადიანის სამფლობელოს მიღმა დარჩა დრანდისა და მოქვის ეპარქიები. აღნიშნული მიზეზით ორივე კათედრამ არსებობა შეწყვიტა, ვინაიდან, ამ დროიდან მოყოლებული, არც ერთ მათგანში ქრისტიანული ღვთისმსახურება არ აღევლინებოდა³.

მაშასადამე, ფეოდალური მონარქიის დასუსტებისა და სამეფო-სამთავროებად ქვეყნის დაშლის შემდგომ პერიოდში საქარ-

¹გ. ანჩაბაძე, გაღის ფენომენი. აქ არც აფხაზია მტერი და არც ქართველი. წგნ.: ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები (სტატიები, მიმართვები, ინტერვიუები). თბ., 2006, 226.

²პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 9.

³პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 9.

თველოს მთაში იკლებს ქართული მოსახლეობის რაოდენობა და მის ადგილზე კავკასიონის ჩრდილოეთი კალთებიდან ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ემიგრირებული და ადგილობრივ ფეოდალებთან ხიზნებად მდგარი უცხო ეთნიკური ელემენტი სახლდება. ადგილი აქვს ტერიტორიების ანექსიასაც აფხაზ ფეოდალთა მხრიდან. ასე შეიქმნა აფსუათა დასახლება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე.

XVI-XVIII სს-ში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაციის ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები, კერძოდ, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესაბამისად საზღვრების ცვლილება, ამომწურავადაა გაშუქებული სარეცენზიო წიგნში.

წიგნის მომდევნო თავში ავტორები განიხილავენ ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების უცხოური და ქართული საისტორიო წყაროების მონაცემებს თანამედროვე აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებებთან დაკავშირებით და აღნიშნავენ, რომ ანტიკური ხანის ავტორთა - ფსევდო სკილაქს კარიანდელის, სტრაბონის, პლინიუს უფროსის, კლავდიოს პტოლემეაიოსის, ფლავიუს არიანესა და V ს-ის ანონიმის თხზულებებში დაცულია ცნობები დიოსკურიის, სევესტოპოლის (ძველი დიოსკურიის), პიტიუსის//პიტიუნტის, მდ. აბასკოსის//აბასკის, ძველი ლაზიკის ანუ ნიკოფსიის, სიგანეოსის შესახებ. ბიზანტიელი ავტორები - პროკოფი კესარიელი, სტეფანე ბიზანტიელი, თეოდოსი განგრელი მოიხსენიებენ პიტიუნტს, ტრახეას, დანდარებს (დრანდის მცხოვრებთ), დიოსკურიას//სებასტოპოლს, სკოტორს, ბუკოლუსს, ფუსტას, თუსუმეს//თუსავს, მოქვს და ჯიხახორას¹.

მართალია, V-XVI საუკუნეების ქართულ ნარატიულ და დოკუმენტურ საისტორიო წყაროებში საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის გეოგრაფიული სახელწოდებები იშვიათად გვხვდება, მაგრამ, მკვლევართა აზრით, ამ მხრივ მაინც საინტერესოა ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმთავრეს წყაროში - „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ჯუანშერის, ლეონ-

¹იქვე, 10-11.

ტი მროველის, უცნობი ავტორების საისტორიო თხზულებები, სადაც იხსენიება ნიკოფსე ქალაქი/ნიკოფსი ქალაქი/ნიკოფსია, სე-
ვასტე ქალაქი, ანაკოფია და ანაკოფიის ციხე, ბიჭვინტა, ბედია
და ბედიის ეკლესია, ეგრისწყალი, კლისურა, ცხომი/ცხუმი, გუ-
დაყვა, სობდისის ციხე...¹

XVI-XVIII საუკუნეების ქართული დოკუმენტური და ეპიგრა-
ფიკული წყაროებიდან აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებე-
ბის შესწავლის თვალსაზრისით აღსანიშნავია „ბიჭვინტის იად-
გარი“, „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი“,
ბედიის გულანის მინაწერი, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწე-
რა, რომლებშიც აფხაზეთის არაერთი ტოპონიმი გვხვდება².

ავტორებს ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ აფხაზეთის
ტოპონიმის შესწავლისათვის ძვირფასი წყარო - XIV-XVI საუკუ-
ნეებში შედგენილი ე. წ. საზღვაო რუკები, რომელთაგან უძველესი -
ე. წ. „ვენეციური რუკა“, 1310 წლითაა დათარიღებული. ამ,
და, აგრეთვე პეტრუს ვესკონტეს (1318 წ.), ბინკოს (1436 წ.), სო-
ლერის (1385 წ.) და ანდრეუს ბენინკაზის (1518 წ.) რუკებზე დატა-
ნილია საქართველოს ზღვისპირეთი და, კერძოდ, აფხაზეთი³.

XVII-XVIII საუკუნეების ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწი-
ლის, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ტოპონიმების შესა-
ხებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე რუსი დიპლომატე-
ბი, კათოლიკე მისიონერები, ევროპელი მოგზაურები, აგრეთვე
დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკა, ვახუშტი ბატონიშვი-
ლის საისტორიო თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“
და მისივე რუკათა ატლასები⁴.

პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას მიერ II თავში განხილული სა-
კითხების გარშემო ზოგადი დასკვნა ასეთია: ქართული და
უცხოური საისტორიო წყაროების ჩვენებით, XVII ს-ის 80-იან
წლებამდე, მდინარეებს - კელასურსა და ენგურს შორის მოსახ-
ლეობა, და, შესაბამისად, ტოპონიმაც, ქართულია. აფხაზთა ექ-

¹იქვე, 11.

²იქვე, 11-12.

³იქვე, 12-13.

⁴იქვე, 14-22.

სპანსიას შედეგად მოჰყვა ისტორიული ტოპონიმების ნაწილის გაქრობა, ნაწილისათვის კი - სახელწოდების შეცვლა¹.

ნაშრომის III თავში ავტორები გადმოგვცემენ XIX საუკუნის აფხაზეთის ქრონიკას. ეს არის ეპოქა, როცა რუსეთის იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს პოზიციების განმტკიცებას და იარაღის ძალით რუსული მმართველობის შემოღებას აფხაზეთში. 1810 წელს აფხაზეთი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მხარე, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო 1864 წლის ივლისში ცარიზმის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებას შედეგად მოჰყვა უშუალოდ რუსული მმართველობის შემოღება. რუსეთის ჯარის ნაწილები იკავებენ აფხაზეთის მთის თემს - ფსხუს, მდ. ბზიფის შუა წელს. 1866 და 1877 წლებში რუსეთის კოლონიზატორულ პოლიტიკას აფხაზეთა აჯანყება მოჰყვა. ანტირუსული აჯანყება იმპერიის ხელისუფლებამ აღკვეთა და სისხლში ჩაახშო, ხოლო კოდორის ხეობასა და შავი ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრები აჯანყებული მუსლიმანი და წარმართი აფხაზები ოსმალეთის იმპერიაში გადაასახლა. ეს პროცესი ისტორიაში **აფხაზეთა მუჰაჯირობის** სახელითაა ცნობილი. მუჰაჯირობას აფხაზეთის კოლონიზაცია მოჰყვა: რუსეთიდან გადმოსული მოსახლეობა ცარიზმის მესვეურებმა ექვს პუნქტში: **მიხაილევსკოეში** (მდ. ამტყელის სანაპიროზე), **ოლგინსკოეში** (აღმოსავლეთ მაჭარის სათავესთან), **ალექსანდროევსკოეში** (მდ. კელსაურზე), **ანასტასიევსკოესა** და **ნიკოლაევსკოეში** (სოფ. ჯამპალის ტერიტორიაზე) დაასახლეს. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებას იწყებენ სღავები, სომხები, ბერძნები, ბულგარელები, გერმანელები... ასე გაჩნდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ახალი გეოგრაფიული სახელები: **ესტონკა**, **საღმე**, **სულევი**, **გნადენბერგი**, **ნაიდორფი**, **ლინდაუ**, **ანდრეევკა**, **კონსტანტინოვკა**, **ხრისტოფოროვო**, **კავაქლუქი**, **გოშენდაკ-დერეკეი**, **კირქლუქი**, **ოტლუქი**, **ალექსეევკა**, **ბარანოვო**, **ვერხნაია** და **ნიუნაია ბებუთოვკა**, **ზახაროვკა**, **ივანოვო-ალექსეევკა**, **პეტროვკა**, **პეტრო-**

¹იქვე, 24.

**პავლოვსკოე, პილენკოვო, პოლტავო-ალექსანდროვსკოე, ჩერნი-
გოვკა, ხოლოდნაია რეჩკა და სხვ. მრ.¹**

ადგილი ჰქონდა ადგილობრივი და ძველი სახელწოდებების შეცვლასაც: სოფ. კოდორს ვლადიმეროვკა უწოდეს, ნაას - ნიკო-
ლაევო-ანასტასიევკა, აკაფას - კონსტანტინოვკა, გუმას - მიხაი-
ლოვკა, ფარნაუთს - ივანოვო-ალექსეევკა, დოპუაქითს - ესტონკა,
აღანს - პეტროვსკოე, აბგიძირას - ეკატერინოვკა, ააცს - ბაკლა-
ნოვკა და ა. შ. შეიცვალა ქართული ისტორიული სოფლების სა-
ხელებიც: ხოფი - ხვაფით, წყუბუნი - შაუმიანოვკათი, დალი - მი-
ასნიკოვკათი და ა. შ.²

წიგნის IV თავში გაანალიზებულია XVIII-XIX საუკუნეების
საისტორიო წყაროები, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემ-
ცველია აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებების შესწავლის
კუთხით. მათ შორის საინტერესოა ნიკო დადიანის თხზულება
„ქართველთ ცხოვრება“, გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის -
იოჰან ანტონ გიულდენშტედტის, შვეიცარიელი მეცნიერისა და
მოგზაურის - ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, ფრანგი დიპლო-
მატის - ჟაკ ფრანსუა გამბას, აგრეთვე აბრიუცკის, პლატონ ზუ-
ბოვის, ს. ბრონევესკის, ბარონ ფ. ტორნაუს, ოდესის რიშელიეს
ლიცეუმის პედაგოგის - ალექსანდრე ნორდმანის, ა. პახომოვის,
რუსი ოფიცრის, პოლკოვნიკ ფ. ზავადსკის მასალები, აფხაზეთის
სამთავროს თემებში შედგენილ ახალმონათლულთა 1834-1836
წლებისა და აფხაზ მუჰაჯირთა 1867 წლის სიები, ამიერკავკასი-
ის მხარეში 1886 წელს ჩატარებული კომლობრივი აღწერის მასა-
ლები (დაიბეჭდა თბილისში, 1893 წელს), უსლარის, კარლ ჰანის,
ლიულიეს, კონსტანტინე მაჭავარიანის, დიმიტრი გულიას მიერ
შეკრებილი ტოპონიმიკური მასალები; ხატოვის 1826 წლის, სა-
მეგრელოს 1861 წლის, აღ. ჯავახიშვილის რედაქციით 1928 და
1932 წლებში გამოცემული რუკები, აფხაზეთის ასსრ ადმინის-
ტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მასალები და სხვ.³)

¹იქვე, 28-29.

²იქვე, 28-29.

³იქვე, 29-32.

V თავში მკვლევართა მიერ საინტერესო ცნობებია დამოწმებული აფხაზეთის 1918-1991 წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიასთან დაკავშირებით. აღნიშნულია, რომ 40-იან წლებში განხორციელდა აფხაზეთის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების შეცვლა: მიხაილოვკას შრომა უწოდეს, ოლგინსკოეს - ოქტომბერი, მარინსკოეს - ლეკუხონა, ვლადიმიროვკას - კოდორი, ანდრეევკას - ახალშენი, ესტონკას - ბაღნაშენი, ასტეროვკას - ამზარა, ლადარიარჰაბლას - აბრარხუკი, ერმოლოვსკს - ლესელიძე და ა. შ. პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას დაკვირვებით, 1940-1944 წლებში აფხაზეთში ადგილი ჰქონდა არა აფხაზური, არამედ უცხოური (რუსული, სომხური, გერმანული, თურქული, ბერძნული) გეოგრაფიული სახელების შეცვლას. „ეს ტოპონიმები არ იყო ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული სახელწოდებები და აფხაზეთის კოლონიზაციისა და ეთნოდემოგრაფიული ინფილტრაციის შედეგს წარმოადგენდა“¹.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, აფხაზეთში გაჩაღებული ანტიქართული კამპანიის ფონზე, მიმდინარეობდა ქართული ტოპონიმების აფხაზური და რუსული სახელწოდებებით მიზანმიმართული ჩანაცვლება. ასე, მაგალითად, დაბა ბიჭვინთას უწოდეს რუსული სახელი პიცუნდა, დაბა ახალ ათონს – ნოვი აფონი, ბამბუკოვანს – აკალამრა, ბზისხევს – არმიანსკოე უშჩელიე, ალპურს – ალპისკოე, კოდორს – ვლადიმიროვკა, ნაკადულს – მეხადირი, ცივწყაროს – ხოლოდნაია რეკა, გოგირდწყალს – არსაული, კვიტოულს – კუტოლი, მეორე ათარას – ატარა არმიანსკოე, თხილოვანს – არასარა, ნემონას – ხიზარუხა, ჟირწყალს – აბიბჟარა, გუდავას – პრიმორსკოე და ა. შ. ასეთივე პროცესს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 90-იან წლებშიც, ანუ აფხაზეთის ომისა და ომისშემდგომ პერიოდში. აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე პირველი ოტობაია იწოდა ხაშტად, მეორე ოტობაია – ბგოურად, ფიჩორი – ბზარად, ჭუბურხინჯი – ხიაცხად, ნაბაკევი – ბატაიგურად, დიხაზურგა – აბააქითად, ოკვინორე – ცივ-

¹იქვე, 33.

ტვარად. „როგორც „აფსნიბრესი“ იუწყება, – წერენ ავტორები, - სახელწოდებები „ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით“ შეიცვალა, თუმცა ასეთი ისტორიული წყაროები ბუნებაში არ არსებობს“¹.

შემდგომ თავებში ავტორები შეეცადნენ გაეანალიზებინათ, თუ როგორ იცვლებოდა წლების მანძილზე აფხაზეთის ტოპონიმი. სარეცენზიო წიგნში სახელწოდებები მოტანილია საქართველოს სსრ 1987 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით. ოიკონიმები წარმოდგენილია ცალკეულ თავებად (გაგრის საქალაქო თემი, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები). თითოეულ ოიკონიმს ახლავს მოკლე ფიზიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, აგრეთვე ეტიმოლოგიური ძიებანი (სადაც ეს შესაძლებელი იყო).

აქვე შევეხებით ზოგიერთი ოიკონიმის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. ჩვენი აზრით, ნაკლებ მოსალოდნელია ბზიფის თემის სოფ. **ძიხჩის** სახელწოდების გააზრება „წყლის მცველად“. პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას მოსაზრებით, სახელწოდება აფხაზურია: **ახჩა** მწყემსს, ხოლო **აძი** წყალს ნიშნავს². ასევე სადაოა სოფლის სახელწოდება **ჯირხვას** განმარტება როგორც აჯბების ბორცვისა³. აუარის თემში, კოდორის ხეობაში მდებარე სოფ. **ზიმას** სახელწოდებას მკვლევრები სვანურის ნიადაგზე ხსნიან და განმარტავენ „ზომად“⁴, მაგრამ არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ რატომ უნა დარქმეოდა სოფელს „ზომა“ (?).

ავტორები შავიზღვისპირა ვაკე-დაბლობზე, მდ. აძიდუს ნაპირას მდებარე სოფლის - **რაფიწას** სახელწოდებაზე მსჯელობისას მიუთითებენ, რომ ეს ისტორიული სოფელი **რაბიწას** სახელით იხსენიება „ბიჭვინთის იადგარში“, ოდიშის ერისთავ მამია III დადიანის (1512-1533 წწ.) შეწირულების სიგელში ბიჭვინტისადმი,

¹იქვე. 37.

²იქვე. 43.

³იქვე. 69.

⁴იქვე. 89.

როგორც მის შემოგარენში მდებარე სოფელი. „სახელწოდების მიხედვით აფხაზური დასახლება ჩანს, თუმცა ეტიმოლოგია უცნობია“, - წერენ პ. ცხადაია და ბ. ხორავა¹. **რაბიწა//რაფიწა** ეწოდება სოფელს გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე. იგი მდებარეობს მდ. აძიდუს ნაპირას, შავიზღვისპირა ვაკე-დაბლობზე. სოფელი გაგრას დაშორებულია 29 კმ-ით, ხოლო თემის ცენტრს, სოფ. ლიძავას – 2 კმ-ით (ქსე). მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მასალების ჩვენებით გუდაუთის მაზრის ლიძაას სასოფლო საბჭო აერთიანებს ოთხ სოფელს: ლიძაას, **რაპიცას**, ოსენკოს და ძირტას. რაბიწაში 22 კომლი (73 სული) სახლობდა. მ. შ. 11 ქართველი იყო, 15 – რუსი და 47 – აფხაზი². ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1949 წლის ცნობარის მიხედვით ლიძაანის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებს შორის დასახელებულია **რაფიცა**³. 1961 წელს გამოცემულ ცნობარში **რაფიცა** დასახელებულია ლიძავის სასოფლო საბჭოში⁴. წერილობით წყაროებსა და ლიტერატურაში სოფლის სახელწოდების ოთხი ფორმაა ცნობილი: **რაბიწა**, **რაფიწა**, **რაპიცა** (რუსულის გავლენით) და **რაფიცა**.

კ. ოკუჯავა ტოპონიმში გამოყოფს ორ კომპონენტს. პირველი ესაა **რაბ**, რაც ქართველურ ენებში ხევს, ჩაღრმავებულ ადგილს აღნიშნავს. მკვლევარი იმოწმებს ნ. მარის ნაშრომს – „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა“, რაშიც **-ეწა//იწა** სუფიქსი მოფერებითი სიტყვების მაწარმოებლადაა დასახელებული (მაგ. ბერეწა „პატარა ბიჭი“, კუკიწა „პატარა ქვაბი“...). კ. ოკუჯავა ფიქრობს, რომ **-იწა** სუფიქსი ზანური კნინობითი ფორმის გამომხატველი უნდა იყოს, ხოლო თვით ტოპონიმი „რაბიწა შესაძლებელია ნიშნავდეს პატარა ხევს“⁵.

აფხაზი ისტორიკოსი ხ. ბლაჟბა სახელწოდებაში გამოყოფს -**წა** სუფიქსს, რაც, მისი აზრით, რაიმე ობიექტზე მდებარე, ან რაიმე საგნის ქვეშ არსებულის მნიშვნელობის გამომხატველია; ე. ი.

¹იქვე, 46.

²საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ., 1930, 159.

³საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1949, 121.

⁴საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1961, 117.

⁵კ. ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში, თბ., 2002, 77.

რაფიწა – რაფის ქვეშ, ან რაფის ფსკერზე; თუმცა თვით **რაფი** სიტყვის მნიშვნელობის ასხნა ხ. ბლაჯობას არ უცდია¹.

სახელწოდების პირველი კომპონენტი **რაბ** ქართველურ ენა-კილოებში „ხეხვ, ჩადრმავებულ ადგილს“ აღნიშნავს და ხშირად ფიგურირებს ტოპონიმებში (მაგ.: **რაბი** – საძოვარი გორდში, **რაბო** – ტყე ნახშირდელეში²; **რაბი/ჭუბურონა** – ტყე-წაბლნარი ფერდობზე, მესამე ბაღდაში. ინფორმანტ ნ. ხურცილავას განმარტებით, „რაბის ბოქუანთე ხირხე, ოღრო-ჩოღრო ადგილშე“³; **რაბი** – სახნავი ზედა ორბელში, ჩერალის კალთაზე⁴.

სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ტოპონიმ „რაბიწას“ გააზრება მეგრული წარმომავლობის სახელწოდებად.

თუკი ჩავთვლით, რომ დამოწმებული ტოპონიმი ორფუძიანი კომპოზიცია, მაშინ მეორე კომპონენტი **წა** იგივეა, რაც „წყარი“. ფიქრობენ, რომ ისტორიულად **წალ-** ფორმა უწინარესია. პ. ცხადაია მიიჩნევს, რომ **წყალ-//წა/ლ/** პროცესის ანალოგად გამოდგება მეგრულში დადასტურებული საკუთარი და საზოგადო სახელები: **წარჩე/წარჩეწყარი** – მდინარე გალის რაიონში, **წანხური** „წყალცივი“, **წამელო/წყამელო**(← წყარმელე „წყალგაღმა“), **წაკურთხია** – წყალკურთხევა და სხვ.⁵ ტოპონიმთა ამ რიგს ჩვენის მხრივ დაემატებთ რამდენიმე მაგალითს ლაზეთის ტოპონიმიდან: **წარიქე** „წყალთეთრი“ – მდინარე დუთხაში, რაც ართაშენშია⁶; **ინიწარი** „ყინულწყალი“ – მდინარე პაპილათში, რაც ათინაშია; **ბოდაწარი** – მდინარე პაპილათში; **ლივაწარი** – მდინარე ფელერგივათში, რაც ასევე ართაშენშია; **წარიპიჯი** – მდინარე

¹ კ. ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში, 77; X. Бражба. Некоториевопросыабхазскойтопонимики. Труды, кн. I, Сухуми, 1987, 141.

²საქართველოს ტოპონიმთა (მასალები), ქვემო იმერეთი, III, თბ., 2003, 248.

³ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი, ჩრდილოეთი ნაწილი. თბ., VI, 2012: 514.

⁴იხ. პ. ცხადაია, ლეჩხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი. ლაჯანურის ხეობა, I, თბ., 2014, 47.

⁵ პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმთა, 2004, 49-50.

⁶ ი. სისარულიძე, ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები, I,ბათ., 1977, 55.

მამაკვივითში, რაც ათინაშია¹. **წარბაჩხური** „ვერცხლის წყარო“ – წყარო კარკანის მთების ჩრდილოეთ ფერდობზე, ჯილენი ნეოლას იალაღზე²; **ბადოღლიონაში წარი** „ბადოღლის ყანის წყალი“ – დეღე არდაშენის რ-ნის სოფ. თოლიქეთში; **კუკარონიწარი/ფულარი** – წყარო არდაშენ-ჩამლოპემშინის საავტომობილო გზაზე, კუკარონში; **მთუიწარი/მთურიწარი** „თოვლის წყალი“ – დეღე დობირაში, გულას გზაზე; **ონჩხურეწარი** – წყარო ონჩხურეში, რაც თოლიქეთშია. აქედან გაყვანილი წყლით მარაგდება დობიროს უბანი; **ქუნაწარი** – დეღე; მოედინება მოლენი ზიბარიდან და ნთხირონაში შეერთვის მდ. ფურტონას; **წარიგოლაონერი** „წყალი გაყვანილი“ – წყარო მუნცა ავლაში; **წარიკალა** – უბანი და ყანები მდ. ურტონას მარცხენა ნაპირზე; **ხაპლაწარი** – წყარო ფრანჯი ავლას/ბაირამინა ავლას მარჯვენა მხარეს³.

სათანადო მოტივაციის შემთხვევაში ტოპონიმი **რაბიწა** სტრუქტურულად და სემანტიკურად შესაძლებელია მეგრული წარმომავლობის ტოპონიმად მივიჩნიოთ და განვმარტოთ, როგორც „ქვადოდებიანი, კრიახი, ოღრო-ჩოღრო, უსწორმასწორო ადგილი; ხევისებური ჩადაბლება, სადაც წყალი მოედინება“, ან „ადგილი მდინარეზე, სადაც **რაბი/რაფი/რეფი** – საწისქვილე არხის სათავე-ნაგებობა, მცირე კაშხალია მოწყობილი, არხზე მიშვებული წყლის ჩასაკეტად, ან დაგუბების მიზნით“⁴. რაბი არხის სათავე-საკეცია. შდრ. ქართ. **რაბი**: „მოწყობილობა, რომლის სა-

¹ **მ. ბუკია**, როულფუძიანი ტოპონიმები ლაზურში, „ქართველური ონომასტიკა“, IV, 2010, 50, 52.

² ათინურ-არტაშენულში ანუ დასავლურლაზურში გავრცელებულია **წარი** ფორმა წყლის შესატყვისად, ხოლო ხოფურ-ჩხალურში და ვიწურ-არქაბულში – **წარი**. **ი. ჩაღათაი-ალექსიში**, სოფელ თოლიქეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, „ქართველური ონომასტიკა“, IV, 2010, 82-86.

³ **ი. ჩაღათაი-ალექსიში**, სოფელ თოლიქეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, „ქართველური ონომასტიკა“, IV, 2010, 90, 93, 94, 96, 98, 99, 100.

⁴ მსჯელობისათვის იხ. **ი. კეკელია**, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმებიდან (მოქეი, რაბიწა), კრ. „ქუთაისური საუბრები“, XIII, სიმპოზიუმის სამუშაო პროგრამა და მასალები, ქუთ., 2013, 51-52; **მისივე**, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმებიდან (ათინურე, არუხა, რაბიწა). სამეცნიერო შრომების კრებული „ფილოლოგიური პარალელები“, №7, თბ., 2015, 70-79.

შუალებითაც ჩაკეტავენ ან მიუგდებენ წყალს (არხში, წისქვილ-ში...)“¹.

სოფელ ღიხნის მეგრულ სახელწოდებას - **ზუფუს** ავტორები განმარტავენ როგორც „მზინვარეს, მზეზე მბრწყინავს“². ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ც. ქირია ფიქრობდა, რომ დასავლეთ საქართველოში ზუბის სახელით ცნობილი დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი მომდინარეობს „ზუფუდან“ და რომ მეგრულში დღესაც შემორჩენილი სიტყვა **მოზუფუნც** აღიდებული მდინარის სწრაფ დინებაზე უნდა მიუთითებდეს. ამასთანავე, **ზუფუ** და **ურ-ზუმი** გაუვალი, ტყიანი ადგილის აღმნიშვნელია. მკვლევარი დასძენს, რომ ზუფუ უნდა დარქმეოდა მდინარისპირა, ტყიან ადგილს³.

ა. ქობალიას განმარტებით, ზუფო, ზუფუ, **ზფფ** იგივეა, რაც „წითლად მღუარი; უხვად მდინარე; უხვი ნაწველი“⁴. იქვე მოცემულია **ზუფუა** სიტყვის შემდეგი განმარტება: „წითლად ღვილი; უხვად მოსკდომა (წყლისა)“⁵. ამდენად, ჩვენი აზრით, გამორიცხული არაა, რომ „ზუფუწყარი“ მიუთითებდეს მდინარის დინების თვისებასა და უხვდებიტიანობაზე (ზუფუ „უხვად მდინარი, წყალუხვი“). როგორც ჩანს, თავდაპირველად „ზუფუდ“ იწოდებოდა მდინარე, რაც შემდეგ დასახლებული პუნქტის სახელად ქცეულა.

პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას მოსაზრებით, სახელწოდება **მგუძირხვა** აფხაზურია. **-ხვა** აფხაზურად ბორცვია, **მგუძ** კი გვარსახელის ნაწილი. მგუძირხვა „მგუძბას ბორცვს“, „მგუძბას წილ მიწას“ ნიშნავს⁶. სასურველი იყო, რომ ავტორებს გაეთვალისწინებინათ და დაემოწმებინათ ოიკონიმ „მგუძირხვას“ ეტიმოლოგი-

¹ქველ, VI. ტოპონიმ „რაბიწის“ ეტიმოლოგიის შესახებ იხ. აგრეთვე: ი. კეკელია, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიდან (მოქვი, რაბიწა), „ქუთაისური საუბრები“, XIII, 51-52.

²პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 62.)

³ც. ქირია, რატომ ჰქვია ჩვენს ქალაქს ზუგდიდი?!, გაზ. „მებრძოლი“, №79 (217), 26 მაისი, 1963, 4.

⁴ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 311.

⁵იქვე.

⁶პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 63.

ასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განსხვავებული მოსაზრებები.

უნდა ითქვას, რომ ტოპონიმ **მგუძირხვის** ეტიმოლოგიით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა. ცნობილი აფხაზი მკვლევარის - პროფ. ხუხუტი ბლაუბას მოსაზრებით, ოიკონიმი **მგ⁰ძ⁰-რ-ხ⁰ა** აფხაზური წარმოშობისაა და ასე დაიშლება: **მგ⁰ძ⁰-რ-ხ⁰ა**. მკვლევარის აზრით, **ხ⁰ა** წარმოადგენს ბორცვის აღმნიშვნელი **ა-ხ⁰გ** სიტყვის ამოსავალ ძირს, რ- მრავლობითი რიცხვის მესამე პირის კუთვნილების პრეფიქსია, ხოლო პირველ **მგ⁰ძ⁰ე** ელემენტს გვარსახელის ნაწილად მიიჩნევდა¹. ხ. ბლაუბას ამ თვალსაზრისს ენათმეცნიერი თ. გვანცელაძე ასეთ კომენტარს უკეთებს: ეს მოსაზრება, ერთი შეხედვით, დამაჯერებელი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იმავე რაიონში დასტურდება **-რ-ხ⁰ა** დაბოლოებიანი სოფლის სახელწოდებანი: ბლაბ-რ-ხ⁰ა „ბლაბების ბორცვი“ (შდრ. გვარსახელი ბლაბ-ბა), ჯ-რ-ხ⁰ა „აჯების ბორცვი“ (შდრ. გვარსახელი ა-ჯ-ბა), ყ⁰ლან-რ-ხ⁰ა „ყვლანების ბორცვი“ (შდრ. გვარსახელი ყ⁰ლან-ბა) და სოფელთა უბნების **-რ-ხ⁰ა** დაბოლოებიანი დასახელებანი: აბაჩ-რ-ხ⁰ა, აშ-რ-ხ⁰ა, ბაალ-რ-ხ⁰ა, გ⁰ენ-რ-ხ⁰ა, კაჭ-რ-ხ⁰ა, ჰაფ-შ-რ-ხ⁰ა, ჯგ-დ-რ-ხ⁰ა, ჩაბ-დ-რ-ხ⁰ა და ა. შ., მაგრამ ჩამოთვლილ ტოპონიმთაგან ყველა როდია აფხაზურ გვარსახელთა ფუძეების შემცველი. მაგალითად, აფხაზურ გვარსახელებად ისტორიულ საბუთებში არ მოიხსენება და არც რეალურად დასტურდება მგ⁰ძ⁰ბა, აბაჩბა, ბაალბა, კაჭაბა, ონდანაბა, უასაბა, ჰაფშბა, ჯგდბა... თ. გვანცელაძე მიიჩნევს, რომ ამ ტოპონიმთაგან ცალკე უნდა გამოიყოს სახელი **მგ⁰ძ⁰ე-რ-ხ⁰ა**. მასში მკვლევარი გამოყოფს არა გვარსახელ **მგ⁰ძ⁰[ბა]-ს**, არამედ **მგ⁰ძ⁰ე-რ** სეგმენტს. ამ უკანასკნელს კი ძველქართული **მებოძირ-ი//ნებოძირ-ი** („გზაჯვარედინი“) სიტყვისაგან მომდინარედ მიიჩნევს...² „ამ სოფლის დღევანდელი სახელწოდება ამკარად ჰიბრი-

¹Х. С. Бражба, Бзыбский диалект абхазского языка (Исследование и Тексты). Тбилиси, 1964, 258-259.

²თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში: მგუძირხვა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის

დღულია და მიღებულია ქართული მეგობიერ ფუძისა და ბორცვის აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ხ⁰ა** სიტყვის ფუძეთა შერწყმით... ჰიბრიდული (ქართულ-აფხაზური) კომპოზიტური ტოპონიმი **მგ⁰გ⁰ჭ-რ-ხ⁰ა** „გზაჯვარედინს, ბორცვს“ უნდა ნიშნავდეს“, – დაასკენის თ. გვანცელაძე¹.

პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას მოსაზრებით, **ბაბუშარა** სვანურად „ბაბუს სამფლობელოს“, ხოლო **ომარიშარა/ომარიშალი** „ომარანთს“ ნიშნავს². **ბაბუშარა** ეწოდება სოფელს აფხაზეთში, გუღრიფშის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობზე. სოფელი მდებარეობს შავ ზღვასთან მდ. პატარა კოდორის შესართავთან, კოდორის დელტაში. ბაბუშარის ტერიტორიაზეა წყაბას გვიანი შუა საუკუნეების კოშკი³. **ომარიშარა** სოფელია აჟარის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდ. გვანდრის (კოდორის ერთ-ერთი სათავის) ხეობაში.

ვ. ზუხბაიას განმარტებით, სოფლის სახელწოდება **ბაბუშარა** მეგრულად „ბაბუას გზას“ ნიშნავს⁴. როგორც ჩანს, **-შელ**, **-შერ** საერთოქართველური ფუძე უნდა ყოფილიყო. თ. მიბჩუანის მოსაზრებით, ტოპონიმი „ბაბუშერა“ სვანური წარმომავლობისაა. **შერა** სვანურში საკუთრების ფორმის გამოძახებელია (შდრ. ლეუშერი, ცხუკუშერი). მკვლევარი იმოწმებს სათანადო მაგალითებსაც: ბაპშერა (მიბჩუანთა ერთი შტოგვარი) „ბაპიანთი, მღვდლის ოჯახი“, გაგიშერა (საკუთარი სახელისგან - გაგი), ავლათშერა (ნავერიანების ერთი შტოგვარი) – საკუთარი სახელიდან – ავლათ, და ა. შ. ამგვარად, თ. მიბჩუანის აზრით, ბაბუშერა სვანურად იგივეა, რაც „ბაბუის სამფლობელო ადგილი“ (ბაბუ „ბა-

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია. კრ. „აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს“, თბილისი, 2008, 30-32. მსჯელობისათვის ვრცლად იხ. აგრეთვე **ი. კეკელია**, კვლავ ოიკონიმ „მუგუძირხვის“ ისტორია-ეტიმოლოგიისათვის. ჟურნ. „ქართველოლოგია“, №5-6, თბ., 2016, 49-53.

¹იქვე. 32.

²პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 90, 91.

³ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1977.

⁴ვ. ზუხბაია, ქართული გვარსახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, 2000, 66.

ბუა“¹. პ. ცხადაია შენიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში საიჯარო მიწა შეიძლება ყოფილიყო თანაბარსაზიარო, სამესამედო, სამეოთხედო. თანაბარსაზიაროდ, სანახევრო წილით დასამუშავებელი საიჯარო მიწა **საშელოდ** იწოდებოდა. ამ სამეურნეო-სამიწათმოქმედო ტერმინის ამოსავალი ფუძე **შელ-** შინაარსით ქართული **ზიარ-** ფუძის შესატყვისია, მასალობრივად კი იმერულ „სეულ“ მორფემიდან შეიძლება უკავშირდებოდეს². მაშასადამე, **შელი** ზიარია, წილია. ამასთანავე, **-შერ** ვისიმე ოჯახისადმი კუთვნილებითობის გამოხატველი სუფიქსია სვანურში³. პ. ცხადაია იმოწმებს **-შელ** ფუძის შემცველ კომპოზიტურ ტოპონიმებს სამეგრელოში: გუტიაშელი, გუტუიაშელი, კრიაშელი, პაპაშელი, შელიაშელი⁴. ტოპონიმთა ამ რიგს შეიძლება აგრეთვე დაემატოს **ბახვაშელი** და **გორაშელი** – ადგ. სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოცხოში...⁵. სოფლის სახელწოდების აფხაზური ვარიანტია **ბაბიშირ**⁶. **ბაბუშერალ** დამოწმებულია ტოპონიმად სვანეთში⁷.

ავტორები წიგნში არაფერს ამბობენ სოხუმის რაიონის ახალშენის თემში, მდ. გუმისთის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფ. **ცუმურის** სახელწოდების ეტიმოლოგიაზე. ცუმური სოხუმს 35 კმ-ით არის დაშორებული. ტყით დაფარულ ადგილს ამავე სოფელში ცუმური ჰქვია. კ. ბერულავას თქმით, უწინ აქ სვანებს უცხოვრიათ, ხოლო უკანასკნელ ხანებში - აფხაზებს. ცუმურის თემს ფეოდალი მარშანიები ფლობდნენ. ვაკესა და ხრამს შორის მოქცეულ ერთ შედმართზე დგას გალავნით შემოზღუდული,

¹ თ. მიზნუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1989, 260.

² პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმებიდან, I, თბილისი, 1999, 95.

³ კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2001, 336.

⁴ პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმებიდან, 95-96.

⁵ გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმთა, თბილისი, 1989, 115.

⁶ გ. ზუხბაია, ქართული გვარსახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, 70.

⁷ თ. მიზნუანი, აფხაზეთის ტოპონიმთა, წგნ.: აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1998; ტოპონიმ „ბაბუშერის“ ეტიმოლოგიის შესახებ იხ. ი. კეკელია, ძიებანი აფხაზეთის ტოპონიმებიდან (ბაბუშერა, კინდლი, შხურდაჭი, ჩეგეში). თსუ პუბლიკაციური მაცნეებისათვის ფაკულტეტი, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, აკად. ა. შანიძის დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და თეზისები, თბ., 2017, 18-19.

მრგვალი ეკლესია¹. ვ. ზუხბაიას ვარაუდით, ცუმურის სახელწოდება სვანურია: ცხუმურ → ცუმური². გ. გასვიანის აზრით ასეთია: აფხაზეთში **ცხუმ**- ფორმიანი გეოგრაფიული სახელების გავრცელებაზე ცხუმის მახლობლად ტოპონიმ „ცუმურის“ არსებობაც მიუთითებს³.

ცუმური სიტყვას სამურზაყანოს მეგრულში ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ნაყოფიერი, მოსავლის ცვენის ადგილი; 2. პოხიერი, ტენიანი ნიადაგი⁴. სიტყვის ორივე მნიშვნელობა შეიძლება ტოპონიმის ამოსავალი ყოფილიყო⁵.

ლექოფთან დაკავშირებით პ. ცხადაია და ბ. ხორავა აღნიშნავენ, რომ ასე ეწოდება სოფელს გუმისთის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. გუმისთის მარცხენა მხარეს, და რომ მისი ამჟამინდელი სახელწოდებაა **ლექოპ**⁶. თ. მიბჩუანი განმარტავდა, რომ ლექოფი იგივეა, რაც სვანური **ლექყოპ** „ჭენჭულები“⁷. ჩვენი აზრით, ოიკონიმის ამოსავალია რუს. Лечебный комбинатъ.

ავტორთა განმარტებით შავიზღვისპირა დაბლობზე მდებარე სოფლის სახელწოდება **კინდლი** მეგრულად დაბალ, სწორ ადგილს ნიშნავს. პ. ინგოროყვა აღნიშნავდა, რომ შუასოფლის მხარეში, ტამუშის დასავლეთით, მდ. ლაგუაშის ნაპირზე მდებარე სოფელ კინდლის//კენდლის ძველი სახელწოდება იყო კანდახი. მდ. ლაგუაშს კანდახა რქმევია. პ. ვესკონტის 1318 წელს შედგენილ რუკაზე აღნიშნულია Cantacha – Cantacha (კანტახა, კანდახა); 1834 წელს შედგენილ რუკაზე კი სოფლის სახელწოდებად წარმოდგენილია კანდიხი (კანდუხი - კანდახი). მკვლევარი იმოწმებს აგრეთვე საინგილოში, ზაქათალის რაიონში მდებარე სოფ-

¹ კ. ბერულავა, აფხაზეთის ისტორიული ადგილები, თბ., 1951, 51-53.

² ვ. ზუხბაია, ქართული გვარსახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, 60.

³ გ. გასვიანი, აფხაზეთი ისტორიული საქართველოა, თბილისი, 2011, 189.

⁴ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 685.

⁵ მსჯელობისათვის იხ. ი. კეკელია, აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ზურაბ ჭუმბურიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი, თბ., 2016, 19.

⁶ პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 77.

⁷ თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 268.

ლის სახელწოდებას - კანდახი, მაგრამ არაფერს ამბობს თვით ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე¹. სოფელი წყაროებში XIX ს-ის 20-იანი წლებიდან მოიხსენიება (აბრიუცკი, პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი). დატანილია ხატოვის 1826 წლისა და სამეგრელოს 1861 წლის რუკებზე².

„კინდლის“ მოტივაციაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია და საყურადღებოა სამურზაყანოს მეგრულში **კინდლი/კენდღ**, როგორც საზოგადო სიტყვის, ორგვარი მნიშვნელობა, რაც მოცემულია ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“. პირველ მნიშვნელობას იმოწმებენ პ. ცხადაია და ბ. ხორავა. მეორე მნიშვნელობაა ეკალ-ღიჭი, ჩაგვერა³.

სარეცენზიო წიგნში მოცემულია მსჯელობა ოიკონიმ „მოქვის“ ეტიმოლოგიაზე. ასე ეწოდება ისტორიულ სოფელს ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირზე. წერილობით წყაროებში პირველად VII საუკუნეში, თეოდოსი განგრელთან იხსენიება. სოფელში დგას ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი - ღვთისმშობლის ტაძარი, აგებული X საუკუნეში, აფხაზთა მეფის - ლეონ III-ის (957-967 წწ.) მიერ. მოქვი წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ საეპისკოპოსო კათედრას. სოფელი დატანილია ხატოვის 1826 წლისა და სამეგრელოს 1861 წლის რუკებზე, აგრეთვე მოიხსენიება აბრიუცკის, პ. ზუბოვისა და ა. ნორდმანის ჩანაწერებში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოქვი წარმომდგარია სვანური მუქვ სიტყვისგან და ნიშნავს „მღვის ზვინს“⁴.

ტოპონიმ „მოქვის“ შესახებ მსჯელობა მოცემულია პ. ინგოროყვას ნაშრომში, რომელიც აფხაზეთის „შუა-სოფლის“ მნიშვნელოვანი პუნქტის სახელწოდებას გრამატიკული გაფორმებით და ბოლოკიდური ფორმანტით უდარებდა იმავე ტიპის სხვა ქართულ გეოგრაფიულ სახელებს: თმოგვი, ჩაქვი, ბახვი, ნეძვი, ძეგ-

¹პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბ., 1954, 170-171.

²პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 120.

³ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 366.

⁴თ. მიბზუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 257.

ვი, არაგვი და სხვ. და დასძენდა, რომ მსგავსი სახელი „მოქეთა“ გვხვდება შიდა საქართველოშიც, კერძოდ, შავშეთში¹.

ტოპონიმის შესახებ მიამიტურ განმარტებას გვთავაზობს კარლ ჰანი: „**Моква** груз. Монастырь отъ моқла моқла = успокойся, почивай, умри².

„მოქვის“ ეტიმოლოგიის შესახებ პ. ინგოროყვასა და თ. მიბჩუანის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი მიმოიხილა კ. ოკუჯავამ. თუმცა საკუთარ, განსხვავებულ განმარტებას არ გვთავაზობს³.

შესაძლებელია ტოპონიმ „მოქვის“ მეგრული ენის ნიადაგზე ახსნაც. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მოქვი დღესაც ცოცხალი სიტყვაა სამურზაყანოს მეგრულთა მეტყველებაში და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა „რიყიანი, ქვით მოფენილი ადგილი“. ა. ქობალიას ლექსიკონში **მოქვი**, **მოქვილი** განმარტებულია, როგორც „რიყიანი“⁴. მოქვის მეორე მნიშვნელობა „მოფქული, ფქვილით მოფენილი; ჩქერალი“, სემანტიკურად ასევე „ქვებით გადათეთრებულ ადგილს“ შეიძლება დაუკავშირდეს⁵.

ნაშრომში ბოლო თავად პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას მიერ წარმოდგენილია მსჯელობა აფხაზეთის 30-ზე მეტ მდინარეზე (ააფსთა, ბადრიფსთა, ბესლეთი, ბზიფი, გაგიდა, გეგა, გვანდრა, გუმისთა, ენგური, ერისწყალი, კელასური, კოდორი, მაჭარა, მეჭადირი, ოქუმი, ჟოეკვარა//ჟავაკვარა, საკენი, ფსირცხა, ფსოჟ, ღალიძგა, წარჩე//წარჩესწყალი, ხაშუფსე, ხიფსთა//თეთრწყალა, ჯოცობაწყარი, ჯამპალი...). მოცემულია მათი ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება და ზოგ შემთხვევაში - ეტიმოლოგიური მსჯელობანი.

¹პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, 168.

²К. Гань, Первый опыт объяснений Кавказских географических названий. СМОМПК, вып. в от 40, отд., Тиф., 1907, 105.

³კ. ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში, თბილისი, 2002, 97.

⁴ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 479.

⁵იქვე, 479; მსჯელობისათვის იხ. ი. კეკელია, სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნაზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, გვ. 247-248. ჩვენს მოსაზრებას იზიარებს ენათმეცნიერი თ. გვანცელაძე.

ავტორები აანალიზებენ რა აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებებს, წიგნის ბოლოსიტყვაობაში მეცნიერული კვლევის მიზანს ასე აყალიბებენ: „საისტორიო წყაროების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებების დიდი ნაწილი, არა მარტო გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის რაიონების ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობა ძირითადად ქართული იყო, არამედ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიც - გუდაუთის რაიონი, გაგრის საქალაქო თემი, სადაც აფხაზური მოსახლეობა ჭარბობდა, ქართველური ენების - ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური, - საფუძველზე იხსნება, რაც სავსებით ბუნებრივია. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და ენათმეცნიერი სიმონ ჯანაშია (1900-1947) აღნიშნავდა, რომ აფხაზებს მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა ერთი მხრით სვანური შტოთი, მეორე მხრით - მეგრულ-ჭანურით. XVI-XVIII საუკუნეებში აფხაზეთში და აფხაზთა მიერ მიტაცებულ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოსახლეობის რადიკალური ეთნიკური შეცვლა მოხდა. გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონების აშუამინდელ აფხაზურ სოფლებში რადიკალურ ეთნიკურ ცვლილებებამდე მასობრივად ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა და ამ ტერიტორიაზე არსებობდა ქართულ გვართა დასახლებები. საგულისხმოა, რომ ქართულ გვარსახელებთან ტოპონიმებში ხშირადაა შეწყვილებული აფხაზური სიტყვა ა-ქაფთა - პარტახი, ნამოსახლარი, რაც აშკარად მეტყველებს გვიან შუა საუკუნეებში ამ სოფლების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლასა და ქართველთა ნასახლარებში აფხაზთა დამკვიდრებაზე“¹.

აფხაზეთის ტოპონიმის საკითხებით არაერთი მკვლევრის დაინტერესებით მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული. დაიწერა და გამოქვეყნდა რამდენიმე ათეული სტატია და მონოგრაფია, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ისტორიულ წყაროებსა და ქართველ თუ უცხოელმკვლევართა, ასევე საკუთარ მოსაზრებებზე დამყარებული პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას წიგნი

¹ პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, 170.

„აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი“ ფრიად ღირებული შენაძენია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ტოპონიმის შესწავლით დაინტერესებულ მკითხველთა და სპეციალისტებისათვის.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე
**ურბონიმიის ზოგიერთი პრობლემური საკითხის
შესახებ**

ცალკეული ქალაქისა თუ დაბა-სოფლის ისტორიული წარსულის, ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის, გეოგრაფიისა და სხვა საკითხების შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქუჩების სახელწოდებებს, რომლებსაც, ადგილთა სხვა სახელებთან ერთად, მიკროტოპონიმიაში აერთიანებენ. ტოპონიმიის ეს სახეობა **ურბონიმის/ურბანონიმის** (ფრ. **urbanisation**, ლათ. **urbanus**) სახელითაც არის ცნობილი. (შდრ. **ურბანიზაცია** – წარმოებისა და მოსახლეობის ქალაქებში თავმოყრის პოზიტიური პროცესი და ქალაქების როლის ზრდა), მაგრამ ურბონიმი/ურბანონიმი ზოგადად ნებისმიერი შიდასაქალაქო ობიექტის საკუთარი სახელია. მათ შორის იგულისხმება **აგრონიმი** (ძვ. ბერძნ. **აგორა** „შეკრების ადგილი – მოედანი, ბაზარი“; ქალაქის მოედნის, ბაზრის საკუთარი სახელი), **ჰიდრონიმი** (ნებისმიერი ჰიდროგრაფიული (წყლის, წყლიანი) ობიექტის საკუთარი სახელი), **ქალაქის ქორონიმი** (ქალაქის ტერიტორიის, რაიონის, უბნის, კვარტალის, პარკის, მოედნის, სასაფლაოს სახელწოდება¹. ურბონიმებსაც, სხვა გეოგრაფიული სახელების მსგავსად, სამისამართო ფუნქცია აკისრია. ურბონიმის გარეშე თანამედროვე ცხოვრება წარმოუდგენელი იქნებოდა. უსახელო ქუჩის შემთხვევაში, როგორც გ. ხორნაული შენიშნავს, ყველაფერი აირეოდა, ყველას და ყველაფერს გზა-კვალი აერეოდა. ამ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, შეუქმნეველი ტოპონიმების ძირითადი და უმთავრესი ფუნქცია ადგილზე ზუსტი მითითებაა. „ქალაქის ქუჩების თითოეულ სახელს ისეთივე ფრთხილი მოპყრობა, ისეთივე ფრთხილი აწონდაწონა სჭირდება, როგორც სამუზეუმო ნივთებს“².

¹მსჯელობისათვის იხ. **შ. აფრიდონიძე**, ურბონიმია და მისი ევოლუცია, კრ. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IV, თბ., 1981; **პ. ცხადია**, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 1988, 122

²**გ. ხორნაული**, ქართული ონომასტიკა, თბ., 2003, 139.

ქუჩების სახელებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასახვას ჰპოვებს ქალაქის ისტორია და გარდასული ყოფა-ცხოვრება¹. ამიტომ წერდა იოსებ გრიშაშვილი ძველი თბილისის ქუჩების შესახებ: „ყოველ ქუჩას თავისი ისტორია აქვს, ქუჩაც ადამიანივით ცოცხლობს, იცვლის ფერს, სახეს და ადამიანივით კვდება... ჩვენი თბილისის ქუჩები თავისი შთაგონებით სხვადასხვა ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ჯველი ქუჩა, ბებერი, უიღბლო, ფეოდალური, რევოლუციური, ტალახის ქუჩა, გლეხის ქუჩა, პოლიციეს ქუჩადა სხვ. ყოველ ქუჩას თავისი მოგონება აქვს... რატომ არ შეიძლება დაიწეროს წიგნი, „თბილისის ქუჩები ისტორიული თვალსაზრისით?“².

თბილისის ქუჩების სახელწოდებათა ცნობილი მკვლევარი ოთარ ტყეშელაშვილი შენიშნავს, რომ ქუჩა, როგორც ქალაქის ატრიბუტი, ქალაქთან ერთად ჩნდება. ცხადია, ქალაქის ზრდასთან ერთად იზრდება ქუჩაც და მატულობს ქუჩების რიცხვიც. მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქ თბილისში ქუჩების არსებობა IV ს-დან უნდა ვივარაუდოთ. როგორი ან რამდენი ქუჩა იყო საქართველოს დედაქალაქში, ან რა ერქვა მათ, ძნელი სათქმელია, რადგან ამის შესახებ თითქმის არავითარი მონაცემები არა გვაქვს³. ქალაქის სათათბიროს მიერ 1898 წლის მაისში მიღებულ იქნა დადგენილება „ქუჩებისათვის სახელწოდების მიმკუთვნილებელი აღმასრულებელი კომისიის“ შექმნის შესახებ. „ცნობილია, რომ თუ ქუჩას სათანადო შინაარსისა და ცნების გამომხატველი სახელი არ ეწოდა, მოსახლეობაში ვერ დამკვიდრდება და ბევრ გაუგებრობას გამოიწვევს. შეიძლება ითქვას, რომ დღეისთვის თბილისში არსებულ ქუჩებს სრულიად შესაფერისი, სათანადო შინაარსისა და ცნების გამომხატველი სახელი აქვს მიკუთვნიებული. მაგრამ თბილისის ზოგიერთი ქუჩის სახელწოდება არ გამოხატავს რეალურ შინაარსს... განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი ერთი და იმავე სახელის მქონე ზოგჯერ, ოთხი-

¹ მსჯელობისათვის იხ. **ო. კეკელია, ნ. სულავა**, ქალაქ სენაკის ურბონიმიდან, ჟურნ. „გონი“, №4, თბ., 2016, 181.

² **ო. გრიშაშვილი**, ლენინის მოედანი. კრ. „ლიტერატურული ნარკვევები“, თბ., 1957, 439.

³ **ო. ტყეშელაშვილი**, თბილისის ქუჩები, თბ., 1986, 5.

ხუთი ქუჩის არსებობის გამო. ასეთი ფაქტი ართულებს მოსახლეობის მომსახურების საქმეს¹.

ურბონიმიის პრობლემურ საკითხებს გასული საუკუნის 90-იან წლებში სპეციალური პუბლიკაციებით გამოეხმაურნენთსუ-ის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერთანამშრომლები – პ. ცხადაია, უ. სახლთხუციშვილი და გ. ხორნაული. ურბონიმი, – აღნიშნავენავტორები, – საუკუნეების მანძილზე ყალიბდება და ქალაქს ისევე ამშვენებს, როგორც თვით ქუჩა, მოედანი, სკვერი. ურბონიმი ჩართულია ქალაქის ცხოვრების რიტმში და ქცეულია მის განუყოფელ ნაწილად – ერთგვარ ისტორიულ ძეგლად, რომლის ხელყოფაც მოსახლეობისათვის ხის ტოტის მოჭრასავით მტკივნეულია...

გასულ საუკუნეში, განსაკუთრებით 90-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული, და XXI საუკუნეშიც, ვითარებამ მოითხოვა თბილისის მრავალი ქუჩისათვის სახელის შეცვლა. ამ მიმართულებით ადრე ქალაქის მერიას სათანადო კონსულტაციებს უწევდა ე. წ. მრჩეველთა საბჭო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ საქმეში დღემდე არსებობს მრავალი ხარვეზი. ისტორიზმის პრინციპით წარმოქმნილი მრავალი მშვენიერი ურბონიმი შეიწირა პიროვნების ხსოვნის უმაღლე უკვდავყოფის მანიამ. ღირსეულ პიროვნებას ერმა, რა თქმა უნდა, პატივი უნდა მიაგოს, მაგრამ, ჯერ ერთი, საამისოდ ქუჩისათვის სახელის შეცვლის გარდა, არსებობს სხვა საშუალებანიც, და მეორე: თანამედროვენი, მით უმეტეს, თანამზრახველნი, ჩვეულებრივ, სუბიექტურნი არიან და ამიტომ უმჯობესია, ამა თუ იმ პიროვნების მიერ ერისთვის გაწეული სამსახურის სიდიადე მომდევნო თაობებმა შეაფასონ...²

წერილის ავტორები ეხებიან ქალაქის ქუჩებისათვის სახელეების დარქმევისა და გადარქმევის მიზნით თბილისის მერიის მიერ განხორციელებულ გარკვეულ ღონისძიებებს. ისინი დადებით ტენდენციად მიიჩნევენ რიჟინაშვილის, ნარიმანოვის, ლობკეხტის,

¹იქვე, 6-7.

²მსჯელობისათვის იხ. პ. ცხადაია, ი. კეკელია, ქალაქ თბილისის ქუჩებისათვის სახელის შეცვლისა და მიკუთვნების პრინციპების შესახებ. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 74-ე სამეცნიერო სესია. მასალები. თბ., 2015, 47.

რობესპიერის, ფიგნერის, ოსიპენკოს, მარქსის სახელობის ქუჩებისათვის ძირძველი სახელწოდებების (იერუსალიმის ქუჩის, ფერხულის ქუჩის, ჩუღურეთის ქუჩის, მთავარანგელოზის ქუჩის, ფერისცვალების ქუჩის, ხიდის ქუჩის...) დაბრუნებას. ასევე კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავენ, რომ ვატუტინის ქუჩას ეწოდა ხორნაბუჯის, პიონერისას – სამღერეთის, გრინვიცკისას – კოლხეთის სახელი, ელბაქიდის დაღმართს – ვერის დაღმართი... დედაქალაქში გამზირებს, ქუჩებს, მოედნებს დაერქვა იაკობ ხუცესის, გრიგოლ ხანძთელის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ქეთევან წამებულის, ანტონ კათალიკოსის, ჰაიდარ აბაშიძისა და სხვა გამოჩენილ პირთა სახელები... მისასაღმებელია ე. წ. ქუჩების სახელწოდებათა ანსამბლების არსებობაც: ერთ უბანში ქუჩებს ჰქვია მდინარეთა სახელები, მეორეში – კომპოზიტორთა სახელები, მესამეში – ლიტერატურულ პერსონაჟთა სახელები. ასეთი პრინციპითაა სახელდებული გამზირები და ქუჩები დიდმის I-II მიკრორაიონებში. ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, – დასძენენ ავტორები, – ჩვენი დედაქალაქის ქუჩებისათვის სახელების მიკუთვნებაში მრავალი ხარვეზი არსებობს. ვერ აღმოიფხვრა ისტორიზმის პრინციპით წარმოქმნილი ან ოიკონიმის (დასახლებული პუნქტის სახელწოდება) შემცველი ქუჩის სახელის შევიწროების ტენდენცია. საბჭოთა პერიოდში ქალაქის ურბონიმიდან განიღვენა ბაზრის ქუჩა, კრამიტის ქუჩა, საზეინკლოს ქუჩა, საბარგოს ქუჩა, წყალსაზიდის ქუჩა, გუბის ქუჩა, მღეთის ქუჩა, ხილიანის ქუჩა... თვალსა და ხელს შუა გაქრა გლდანის ქუჩა, ნაფარეულის ქუჩა...¹.

ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ ლენინის სახელი თავდაპირველად მიეკუთვნა გრდანულასა და ზაპესის დასახლებას შორის მდებარე ქუჩას. ვინაიდან პროლეტარიატის დიდი ბელადისათვის ამ ქუჩის სიგრძე და პერიფერიულობა შეურაცხმყოფელად ჩაითვადა, ქალაქის ცენტრში შეაკოწიწეს ერთ-ერთი უგრძესი ქუჩა და ლენინის სახელი მასზე იქნა გადმოტანილი... უგრძესი და პრესტიჟული ქუჩის გამონახვის ეს ტენდენცია გარკვეული ტრანსფორმაციით კვლავ გრძელდება.

¹პ. ცხადაია, უ. სახლთხუციშვილი, გ. ხორნაული, სანამ ქუჩას სახელს გამოვეცვლიდეთ..., გაზ. „თბილისი“, 2.

„დავით გურამიშვილი ისტორიის ქარიშხლებმა უცხოეთში გადა-
 კარგეს. მის სახელს აქაც არა აქვს მოსვენება: გურამიშვილის
 სახელი თავდაპირველად ერქვა მეტრო რუსთაველის სიახლოვეს
 მდებარე ქუჩას, შემდეგ გადაიტანეს ვაკე-საბურთალოს ახალგაჭ-
 რილ მაგისტრალზე, მაგრამ აქაც არ გააჩერეს. ამ ხუთიოდე
 წლის წინათ ავჭალის გზატკეცილის მონაკვეთს ეწოდა დავით
 გურამიშვილის გამზირი, ხოლო დავით გურამიშვილის სახელი-
 სათვის დაწუნებულ ქუჩას მიხეილ თამარაშვილის სახელი მიე-
 კუთვნა. ამით ორივე ამ ღირსეულ მამულიშვილს მიაყენეს შეუ-
 რაცხყოფა. პიროვნების სახელის ამგვარი გადატანა ერთი ქუჩი-
 დან მეორეზე იშვიათი არაა: ჯაფარიძის ქუჩას მიეკუთვნა პაო-
 ლო იაშვილის სახელი, ხოლო ყოფილ პაოლო იაშვილის ქუჩას
 – რევაზ მარგიანისა; კიროვის ქუჩას მიეკუთვნა გიორგი ლეონი-
 ძის სახელი, ხოლო ყოფილი გიორგი ლეონიძის ქუჩას – მშები
 კაკაბაძეებისა; კალინინის ქუჩას დაერქვა ივ. ჯავახიშვილის სახე-
 ლი, ხოლო ყოფილ ივ. ჯავახიშვილის ქუჩას – მიხეილ ზანდუკე-
 ლისა; გ. ჩუბინაშვილის სახელი გადაიტანეს ორჯონიკიძის ქუჩის
 ერთ მონაკვეთზე, ხოლო გ. ჩუბინაშვილის ქუჩას ეწოდა კიტა
 აბაშიძის სახელი. ვიცით, აქ შემოგვედავებიან და გვეტყვიან,
 რომ ამ პიროვნებების სახელები გადაიტანეს იმ ქუჩებზე, რომ-
 ლებზეც ისინი ცხოვრობდნენ, მაგრამ მაშინ რა დააშავეს ქარ-
 თული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის
 ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორც არიან ნოდარ დუმბაძე,
 იოსებ ნონეშვილი, ნიკო მუსხელიშვილი, ვიქტორ კუპრაძე, ნიკო-
 ლოზ ლანდია, სესილია თაყაიშვილი, ილია სუხიშვილი, დიმიტ-
 რი ალექსიძე და სხვანი და სხვანი, რომელთა სახელები მიკუთ-
 ვნებული აქვთ ქუჩებს გლდანში, ვაზისუბანში, ვარკეთილში... მა-
 თი სახელებიც ვამოგზაუროთ?“¹

მკვლევართა აზრით, მთავარი მანკიერება არის თვით ის
 პრინციპი, რითაც ხელმძღვანელობენ თბილისის ქუჩებისათვის
 სახელების გადარქმევისას და ახლის დარქმევისას. აღნიშნული
 პრინციპი გამოიხატება ასეთი ფორმულით – „არის უკვდავსაყო-
 ფი პიროვნება – მოიძებნოს ქუჩა“. კულტურულ და ცივილიზა-
 ციურ

¹პ. ცხადაია, უ. სახლთხუციშვილი, გ. ხორნაული, სანამ ქუჩას სახელს გამოვეც-
 ვლიდეთ..., გაზ. „თბილისი“, 2.

ბულ სახელმწიფოში კი უნდა დომინირებდეს საპირისპირო მიდგომა: „არის უსახელო ან სახელგამოსაცვლელი ქუჩა – შეირჩეს პიროვნება, რომლის სახელიც მას მიეკუთვნება“. მაშასადამე, ურბონიმის შეცვლა გამოწვეული უნდა იყოს თვით ობიექტისათვის სახელის გადარქმევის აუცილებლობით და არა ამა თუ იმ დამსახურებული პიროვნების ხსოვნის უკვდავყოფის საჭიროებით. ამით დაცული იქნება ისტორიული სამართლიანობა, მოსახლეობა ასცდება შესისხლხორცებული სახელის დავიწყებისა და ახლის შეჩვევის მტკივნეულ პროცესს¹. ქუჩა ქალაქის მთავარი ორიენტირი და სასიცოცხლო არტერიაა. იგი ისტორიაა. მრავალფეროვან კოლორიტს ქმნის, ეშხსა და სილამაზეს ჰმატებს თბილისის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების, ქალაქების, სოფლების, მთებისა და მდინარეების სახელობის ქუჩები. წერილში მკვლევრები საილუსტრაციოდ მოიხმობენ ქართული ანბანის თავ ასოზე დაწვებული რამდენიმე ქუჩის სახელს: აბანოს, აბასთუმნის, აგარის, ადიგენის, აეროდრომის, ავლაბრის, ავლევის, ავჭაღის, აკეთის, აკურის, ალაზნის, ალგეთის, ალვანის, ამბროლაურის, ანაგის, ანაკლიის, ანანურის, არაგვის, არაღეთის, არბოს, არბოშიკის, არგვეთის, არმაზის, ასკანის, ასპინძის, ასურეთის, ატენის, ატოცის, აფხაზეთის, აწყურის, აჭარის, ახალდაბის, ახალუბნის, ახალქალაქის, ახალშენის, ახალციხის, ახმეტის, ახტაღის, ახუთის, აჯამეთის სახელობის ქუჩები, შესახვევები და ჩიხები.

ავტორები მიიჩნევენ, რომ ახალგარდაცვლილი დამსახურებული პიროვნების უკვდავყოფის ღონისძიებათა ჩამონათვალში არ უნდა იყოს გათვალისწინებული ქუჩისათვის მისი სახელის აუცილებლად და დაუყოვნებლივ მიკუთვნება. სათანადო მასაღის გულდასმით შესწავლის საფუძველზე თბილისის მერიაში უნდა შედგეს ურბონითა წითელი წიგნი. მასში შეტანილი თითოეული გამოზირის, ქუჩის, მოედნის, შესახვევის, ჩიხის სახელი

¹ ასე, მაგალითად, სიმონ ჩიქოვანის ქუჩას დღესაც ხილიანის ქუჩას უწოდებენ. მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე, უ. სახლთხუციშვილი, ქუჩაც ადამიანივით ცოცხლობს, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 16. VIII, 1988; პ. ცხადაია, ი. კეკელია, ქალაქ თბილისის ქუჩებისათვის სახელის შეცვლისა და მიკუთვნების პრინციპების შესახებ. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 74-ე სამეცნიერო სესია, 47-49.

ჩაითვლება კულტურის ძეგლად, რაც კანონით იქნება დაცული ხელყოფისაგან, ე. ი. გადარქმევისაგან¹.

დანარჩენი ურბონიშები, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად:

- ა. ურბონიშები, რომელთა შეცვლა არაა აუცილებელი;
- ბ. ურბონიშები, რომელთა შეცვლა შესაძლებელია;
- გ. ურბონიშები, რომელთა შეცვლა აუცილებელია.

საერთოდ, სოფლის სახელის შეცვლას, უკვე ტრადიციად ქცეული კანონის თანახმად, აუცილებლად სჭირდება ამ სოფლის მოსახლეთა უმრავლესობის მოთხოვნა. ქუჩის შემთხვევაშიც ასე უნდა ხდებოდეს (პ. ცხადაია². მაგრამ თუკი ქუჩისათვის სახელის შეცვლას ამ ქუჩის მოსახლეთა უმრავლესობას დავევითხებით, ამ შემთხვევაშიც გარკვეული პრინციპული პოზიციის დაკავებაა საჭირო. სხვა შემთხვევაში შეიძლება კიდევ სამწუხარო რეალობის წინაშე აღმოვჩნდეთ. ასე, მაგალითად, უკანასკნელ ოცწლეულში ქუჩებისათვის ბოლშევიკ მოძალადეთა სახელების გადარქმევისას ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის ინიციატივითა და პირადი სიმპათია-ანტიპათიისა თუ გემოვნების მიხედვით საკითხის გადაწყვეტამ სავალალო და, შეიძლება ითქვას, სამარცხვინო შედეგი გამოიღო. კერძოდ, კომუნისტურ სახელებს მიაყოლეს ისეთი სახელებიც, რომლებიც ამას ნამდვილად არ იმსახურებდნენ. ასე, მაგალითად, 1999 წლამდე, ქ. სენაკში ერთ-ერთი ქუჩა ატარებდა გამოჩენილი ქართველი მწერლის – **გიორგი ჭალადიდელის (ქოჩაკიძის)** სახელს, მაგრამ რატომღაც მისი სახელი **ანტონნადარეიშვილის** სახელით ჩაანაცვლეს. 2009 წლის 25 თებერვალს **ილია ვეკუას** ქუჩას ისე გამოეცვალა სახელი და მას ისე მიანიჭეს **ლევან თეფანიას** სახელი, რომ არავის აზრად არ მოსვლია, ეკითხა მაინც, თუ რა დააშავა დიდმა მათემატიკოსმა. სხვათა შორის, სახელოვანი მეცნიერის რეპრესიები ამით არ ამოწურულა: ილია ვეკუას სახელობის ერთ-ერთ ქუჩას სენაკში ჯერ **კაპიტან ბუხაი-**

¹პ. ცხადაია, უ. სახლთხუციშვილი, გ. ხორნაული, სანამ ქუჩას სახელს გამოვეცვლიდეთ..., გაზ. „თბილისი“, 2.

²პ. ცხადაია, ი. კეკელია, ქალაქ თბილისის ქუჩებისათვის სახელის შეცვლისა და მიკუთვნების პრინციპების შესახებ. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 74-ე სამეცნიერო სესია, 48-49.

ბის სახელი მიენიჭა, ხოლო 2009 წლის 31 მარტს ეს უკანასკნელი **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** სახელით შეიცვალა. ლევან თეფანიას სახელის ქუჩისათვის მიკუთვნების წინააღმდეგი არაინაა, მაგრამ რა დაშავდებოდა, თუკი მისი სახელი მიენიჭებოდა ქაქუცაში არსებულ სხვა რომელიმე ქუჩას, ან თუნდაც ჩიხს?¹.

პ. ცხადაიას, უ. სახლთხუციშვილისა და გ. ხორნაულის წერილის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ, რუბრიკით – „უცილებელი რეპლიკა“, გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა პ. ცხადაიას მცირე ზომის პუბლიკაცია². მკვლევარი აღნიშნავს, რომ ცოტა ხნის წინ თბილისის მერიასთან არსებულმა მრჩეველთა საბჭომ **ანაგის ქუჩას – ჟიული შარტავას**, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ უსახელო ქუჩის მონაკვეთს **გია გულუას** სახელი ისე მიაკუთვნა, რომ უგულბებლყო ქუჩებისათვის სახელების დარქმევასა და გადარქმევასთან დაკავშირებული გარკვეული კანონზომიერებანი თუ ასწლობით ჩამოყალიბებული საერთაშორისო სტანდარტები. მრჩეველთა საბჭოს შეკრებაზე არ იქნა გათვალისწინებული პ. ცხადაიას მიერ წამოყენებული ალტერნატიული წინადადება: რადგანაც ჟიული შარტავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვეული პერიოდი დაკავშირებული იყო პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, **უფრო უპრიანი იქნებოდა მისი სახელი მიკუთვნებოდა მერაბ კოსტავას ქუჩის ბოლო მონაკვეთს, გმირთა მოედნიდან ანაგის ქუჩამდე**. მერაბ კოსტავას ქუჩას არა აქვს ერთი მთლიანი სიგრძივი საქალაქო ობიექტის სახე. იგი ლენინის სახელის უკვდავსაყოფად სამი ქუჩისაგან იქნა შეკოწიწებული: დღევანდელი რუსთაველის მოედნიდან ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზამდე ერქვა ოლგას ქუჩა, იქიდან ვარაზის ხევამდე (დღევანდელ გმირთა მოედნამდე) – ჯვრის დაღმართი, ხოლო შემდეგ ანაგის ქუჩამდე – ქვაყრელის გზა. ამასთანავე, ანაგის ქუჩაზე მცხოვრებთა შორის ბევრი იყო იმ ანაგელთა შთამომავალი, რომლებიც თავის დროზე ამ ქუჩაზე დამკვიდრდნენ. ამიტომ ქუჩის მცხოვრებნი წინააღმდეგნი იყვნენ ასეთი

¹ მსჯელობისათვის იხ. ი. კეკელია, ნ. სულავა, ქალაქ სენაკის ურბონიმიდან, ჟურნ. „გონი“, №4, 2016, 183.

² პ. ცხადაია, ვკითხოთ ტოპონიმისტებს, გაზ. „თბილისი“, 11 მაისი, 1994.

გადაწყვეტილებისა¹. პ. ცხადაიას აზრით, გარკვეულ უხერხულობას ქმნის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ქუჩისათვის **გია გულუას** სახელის მიკუთვნებაც. ჯერ ერთი, ეს ქუჩა უსახელო არ იყო (ერქვა **დიდი ხეივანი**), და მეორეც, ერთმანეთის გვერდით მსგავსი გვარების სახელობის ქუჩების გაჩენამ მათი სამისამართო ფუნქცია მინიმუმამდე დაიყვანა (გია გულუას ქუჩა გადის დიმიტრი გულიას ქუჩამდე). „საქმე რომ მხოლოდ ერთ-ორ კონკრეტულ ფაქტს შეეხებოდეს, ასატანი იქნებოდა. მთავარი ისაა, რომ თბილისის ქუჩებისათვის სახელების დარქმევასა და გადარქმევაში სრული ქაოსია. ეს საქმე პროფესიონალიზმისა და სამართლებრივი ბაზის გარეშე კეთდება „ზემოდან“ (ხანდახან „გვერდიდან“) მიღებული დაკვეთით, რაც ზოგიერთ უხერხულობას იწვევს“². თქმულის საილუსტრაციოდ პ. ცხადაიას მაგალითად მოჰყავს მრჩეველთა საბჭოს დრის წესრიგში გათვალისწინებული ერთი საკითხი. კერძოდ, „მემედ აბაშიძის ქუჩისათვის ძველი, ნაფარეულის სახელის დაბრუნების შესახებ“. ეს „ძველი“ კი არც თუ ისე ძველია: სხდომის ჩატარებამდე ორიოდეთვით ადრე, ისე, რომ მოსახლეობისთვის არ უკითხავთ, მთაწმინდის რაიონში მდებარე ნაფარეულის ქუჩას გადაარქვეს სახელი. „მრჩეველთა შეკრების დღის წესრიგის დანართში წარმოდგენილი იყო საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპული 40-მდე მეომრის სახელ-გვარი, რომელთა სახელის უკვდავყოფა აუცილებელია, მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუკი ვგთავაზობენ, რომ ამას უნდა შეეწიროს ცნობილი ენათმეცნიერის გიორგი ახვლედიანის სახელი (130-ე სკოლა), როდენის ქუჩა და სხვ.“, – დანაწევრებით აღნიშნავს წერილის ავტორი და სავსებით სამართლიანადაც³. პ. ცხადაია წერილში არ საუბრობს, მაგრამ კომისიის დღის წესრი-

¹საბურთალოს რაიონში ანავის ქუჩისათვის ჟიული შარტავას სახელის მიკუთვნების შესახებ შუამდგომლობას აყენებდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, 18. 01. 1994, №4-11/196.

²პ. ცხადაია, ვკითხვით ტოპონიმისტებს, „თბილისი“, 11 მაისი, 1994.

³ იქვე. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლა, 1993 წლის 20 დეკემბრის №1069 და თვით №130-ე საშუალო სკოლა, 1994 წლის 10 თებერვლის №4-42/941 მიმართულების საფუძველზე. შუამდგომლობდა, რომ გიორგი ახვლედიანის სახ. 130-ე საშუალო სკოლას მინიჭებოდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანის – ლევან ალექსანდრეს ძე ცისკარიშვილის სახელი (?).

გი ითვალისწინებდა აგრეთვე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა უკვდავყოფის მიზნით ღრმადღეში, ავჭაღის გზატკეცილსა და რკინიგზის ლიანდაგს შორის მდებარე **ზიგზაგის ქუჩისათვის** ანდრო ოქროპირიძის, ავლაბარში („შავი სოფელი“), ხახანაშვილისა და კასპის ქუჩებს შორის მდებარე **საბადურის ქუჩისათვის** (წარმოიქმნა XIX საუკუნეში) – დათო ბადრიაშვილის, საბურთალოს რაიონში, დოლიძისა და იყალთოს ქუჩებს შორის მდებარე **ქარელის ქუჩისათვის** (წარმოიქმნა XX ს-ის 20-იან წლებში) გუბაზ კეველიშვილის, ღრმადღეში, თიანეთის ქუჩასა და ხევს შორის მდებარე **ჩარგლის ქუჩისათვის** გია ნარიმანიძის, დიდუბეში მდებარე **ფოთის ქუჩისათვის** (აღრე დოღუხანოვის ქუჩა ერქვა) კახა კახაძის, ნავთლუღის დასახლებაში მდებარე **ქობულეთის ქუჩისათვის** თემურ გაბუნias, **კუმისის ქუჩისათვის** (ჩუღურეთი) აბელ ქართველიშვილის, და ა. შ., სახელების მიკუთვნებას, რაც, რასაკვირველია, გაუმართლებელი იყო და ხელს შეუწყობდა შესისხლხორცებული სახელების საბოლოოდ მივიწყება-გაქრობას. თბილისში ჯერჯერობით შესაძლებელია ორიოდ ათეული ქუჩისათვის სახელის გამოცვლა, მაგრამ, პ. ცხადაიას თქმით, ეს უნდა გააკეთონ პროფესიონალებმა – ტოპონიმისტებმა, რომელთა გამოძებნა არც თუ ისე ძნელია თბილისის უნივერსიტეტის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიასა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში¹.

ურბონიმიის პრობლემური საკითხები გაშუქებულია პ. ცხადაიას მესამესაგაზეთო პუბლიკაციაში – „ყურადღება ტოპონიმისა“². მკვლევარი დროულად მიიჩნევს საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის მიერ ქართული ენის სიწმინდის დასაცავად წამოწყებულ ფართომასშტაბიან ბრძოლას, თორემ უკვე, პ. ცხადაიას აზრით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ახლო წარსულში, როცა ეროვნულობაზე სიტყვის ჩამოგდებაც კი საშიში იყო, ეროვნული საქმე მეტი კეთდებოდა (სახელმწიფო ენის დაცვისა და გამოყენების თვალსაზრისითაც), ვიდრე დღეს, როცა ამას არავინ გვიშლის... ქართული ენის სიწ-

¹იქვე.

²გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №53, 7 მარტი, 1997.

მინდის დაცვის თვალსაზრისით მოსაგვარებელ პრობლემურ საკითხთა შორის პ. ცხადაიას ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად ესახება დასახლებული პუნქტებისა და საქალაქო ობიექტებისათვის სახელების დარქმევა და გადარქმევა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის აქტიური გამოსვლების პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით რამდენიმე ქალაქს (გეგეჭკორი, მახარაძე, ორჯონიკიძე, ცხაკაია, წულუკიძე) დაუბრუნდა ისტორიული სახელები (მარტვილი, ოზურგეთი, ხარაგაული, სენაკი, ხონი)... მაგრამ ამ მიმართულებით დღეს არაფერი კეთდება... მკვლევარი შენიშნავს, რომ მოსაგვარებელია თბილისის ქუჩების, მეტროს სადგურების, სავაჭრო და კვების ობიექტების, სხვადასხვა შენობა-ნაგებობათა სახელებიც. ბოლო წლებში ამ მიმართულებით ქალაქის მერიის მიერ ზოგიერთი გაუმართლებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. მერიასთან არსებულ მრჩეველთა კომისიაში კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების ცნობილი და თვალსაჩინო წარმომადგენლები შედიან, მაგრამ კომისიის წევრთათვის შეთავაზებული პროექტი სინამდვილეში გადაწყვეტილება უფროა, ვიდრე განსხვავებული მოსაზრება. ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქუჩებისათვის სახელების დარქმევა-გადარქმევა განცდებით უკვდავსაყოფ პირთა ახლობელ-ნათესავების ზეგავლენით უფრო ხდება, ვიდრე სპეციალისტთა რჩევით. „ცნობილი ჭეშმარიტებაა, – წერს პ. ცხადაია, – რომ ყველა საქმეს თავისი სპეციალისტი, პროფესიონალი სჭირდება. ბუნებრივი თუ ხელოვნური ობიექტებისათვის სახელების დარქმევისა თუ გადარქმევის საკითხს ყველა კულტურულ ქვეყანაში ტოპონიმისტები წყვეტენ. ონომასტიკის ლაბორატორიის თანამშრომლებმა არა ერთი და ორი მწვავე წერილი გამოაქვეყნეს გაზეთებში ამ პრობლემასთან დაკავშირებით. მაგრამ ყოველივე დარჩა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“...¹

სახელწოდებათა უმართებულო შეცვლის მაგალითად მკვლევარი წერილში ასახელებს მეტროს სადგურ „დელისის“ სახელის შეცვლას „ვიქტორ გოცირიძეთი“. თანაც, ხსენებულ წარწერას, პ. ცხადაიას აზრით, სხვა სადგურების წარწერებისაგან მკვეთრად

¹იქვე.

გამოარჩევს ზომა და თვალსაჩინოება. „ცხადია, ჩვენ ვ. გოცირიძის სახელის უკვდავოების წინააღმდეგნი არა ვართ, მაგრამ მისი სახელი შეიძლებოდა მიჰკუთვნებოდა მთელ მეტროპოლიტენს ან რომელიმე სხვა მოქმედ (თუნდაც „სამედიცინო ინსტიტუტს“, რომელიც ამ ინსტიტუტიდან საკმაოდ მოშორებულია), ან მშენებარე (იმავე საბურთალოს ხაზზე) მეტროს სადგურს, და არაერთარ შემთხვევაში „დელისს“. დელისი ისტორიული სახელწოდებაა, შერწყმულია ქალაქის კოლორიტს, აქვს მკვეთრად გამოხატული სამისამართო დანიშნულება და დედაქალაქისთვის მისი დაკარგვა სრულიად გაუმართლებელია“. მკვლევარი დაასკვნის: აუცილებელია, რომ ქართული ენის სიწმინდისათვის სახელმწიფოებრივი ზრუნვა დაეცეოს დასახლებული პუნქტებისა და საქალაქო ობიექტების სახელებსაც, რაც უნდა აისახოს კიდევ საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორთოგრაფიული ლექსიკონისა და თბილისის საქალაქო ობიექტების ცნობარის ახალ გამოცემაში!

¹პ. ცხადია, ყურადღება ტოპონიმის. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №53, 7 მარტი, 1997.

ბოლოთქმა

და გაიგებენ დიდი ხნის

შემდეგ,

რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი...

ტერენტი გრანელი

თითოეული ტოპონიმი, დიდი თუ მცირე ობიექტის სახელწოდება, პროფ. პაატა ცხადაიას თქმით, წარსულის მატიანეა. ტოპონიმი ინახავს არა მხოლოდ ლექსიკონებში ჯერ კიდევ დაუფიქსირებელ ენობრივ ერთეულებს, არამედ თვითონვე მოგვითხრობს ახლო თუ შორეულ წარსულზე, წარმართულ თუ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებზე; გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას ეთნოგრაფიულ-სამეურნეო ყოფაზე. „დედამიწა ტოპონიმების ენით გვესაუბრება და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, გავიგოთ მისი ნათქვამი, გავითავისოთ მისი ინფორმაცია“¹.

ამ აზრით, რწმენითა და შემართებით მოღვაწე მეცნიერი თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ვაჟა-ფშაველას მინდობასავე გუგლასმით აჭურადებს და სწავლობს „დედამიწის ენას“, ითავისებს, გულისგულში ხარშავს და გამოატარებს მეტყველი მიწა-წყლის ინფორმაციას.

პაატა ცხადაიამ, ამ საოცრად ენერგიულმა და მოუსვენარმა კაცმა, მუხლჩაუხრელი შრომით თავი მოუყარა დიდძალ საველე-ტოპონიმურ მასალას. სოფელ-სოფელ, მთასა თუ ბარში, სიცივესა თუ პაპანაქება სიციხეში, ხშირად ალბათ მშიერ-მწყურვალი, „დაეძებდა“ და ნამცეცებივით აგროვებდა ადგილთა სახელებს, ვითარცა ობოლ მარგალიტებს. მან წარსულს გამოსტაცა და შთამომავლობას სათუთად შემოუნახა დასავიწყებლად ვერგამეტებული ეს უძვირფასესი საგანძური. სწორედ ამიტომ არის მისი ნაღვაწი ფასდაუდებელი და სამაგალითო. გაივლის ჟამი და მადლიერი შთამომავლობა უფრო მეტი მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალება ცნობილი მეცნიერის მიმართ, შეუწონავი და მართლაც საარაკო ნამუშავევის გამო.

ბატონი პაატა ჩვეული ენერგიით, მხნეობით და არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით შეეგება სიცოცხლის მეოთხმოცე

¹ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, 2010, 5.

წელს. კარგად ვიცი, რომ იგი ამჟამად შინ უსაქმოდ არ ზის, არამედ წინ გადაშლილი აქვს სამეცნიერო ლიტერატურა, ველზე მოპოვებული მასალა და, საპატიო ასაკის მიუხედავად, გატაცებით და ენერგიულად განაგრძობს მუშაობას ახალ-ახალ ნაშრომებზე. ამა თუ იმ პიროვნების ახალგაზრდობისა თუ ხანდაზმულობის განსაზღვრის მთავარ საზომად, ბუნებრივია, ასაკი არ გამოდგება. ყველა, ვინც კი ამ გამოჩენილ მეცნიერს იცნობს, იცნობს როგორც ახალგაზრდული შემართებით, ცხოვრების ხალისიანი მუხტით და ამოუწურავი ინტერესებით შემკულ პიროვნებას. ამიტომაც, მასთან თანაყოფობის ჟამს, ყოველთვის ვგრძნობთ წარუშლელ სიბლეს ქართული ენათმეცნიერების მაჯისცემაზე სმენაგამახვილებული, აწ უკვე ოთხმოცი წლის, მაგრამ მაინც ახალგაზრდული ენერგიით აღსავსემეცნიერის მიმართ, რომლის სამუშაო ოთახის კარი მუდამ დიაა და მუდამ მუშაობის პროცესშია.

იმედი გვაქვს, ქართველური ონომასტიკის მოჭირნახულე მომავალშიც არაერთხელ გაგვახარებს საინტერესო წიგნებისა და სტატიების გამოქვეყნებით და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართველოლოგიის შემდგომი განვითარების მეტად საპატიო საქმეში.

თებერვალი-მაისი, 2017 წ.
სოფ. ბანბა

პაატა ცხადიას ბიბლიოგრაფია¹

ბიბლიოგრაფია სარკეა, რაც ნათლად ასახავს მეცნიერის შემოქმედებითი საქმიანობის ყოველ ასპექტს. ამიტომ, ვფიქრობ, ბიბლიოგრაფიული საძიებლის მონოგრაფიაში წარმოდგენა გარკვეულ სამსახურს გაუწევს არა მხოლოდ პაატა ცხადიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის, არამედ, ზოგადად, ქართველური ონომასტიკის საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს და მკითხველ საზოგადოებას.

I. წიგნები

1. მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985, 212 გვ.
2. ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1987, 216 გვ.
3. ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან, I, თბ., 1999, 132 გვ.
4. გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, 182 გვ.
5. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი (სალექსიკონო მასალა), თბ., 2003, 318 გვ. (თანაავტორი ვ. ჯოჯუა).
6. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003, 196 გვ. (თანაავტორი ვ. ჯოჯუა).
7. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2004, 208 გვ.
8. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I (წაღენჯიხის რაიონი), თბ., 2004, 258 გვ.
9. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, თბ., 2005, 296 გვ. (თანაავტორი ვ. ჯოჯუა).
10. ონომასტიკის შესავალი (სახელმძღვანელო), თბ., 2005, 288 გვ.
11. ათასი მეგრული ტოპონიმი, თბ., 2005, 94 გვ.

¹შეადგინეს ივორ კეკელიამ და დოდო შონიამ.

12. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II (ზუგდიდის რაიონი), თბ., 2007, 430 გვ.
13. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III (ხობის რაიონი), თბ., 2007, 300 გვ.
14. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV (ჩხოროწყუს რაიონი), თბ., 2009, 490 გვ.
15. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V (მარტვილის რაიონი, I, სამხრეთი ნაწილი), თბ., 2009, 544 გვ.
16. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, III (ამბროლაურის რაიონი), თბ., 2010, 404 გვ. (ვ. ჯოჯუასთან ერთად).
17. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV, თბ., 2012, 288 გვ. (ვ. ჯოჯუასთან ერთად).
18. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI (მარტვილის რაიონი, II, ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012, 730 გვ.
19. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII (სენაკის რაიონი), თბ., 2013.
20. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII (აბაშის რაიონი), თბ., 2013, 304 გვ.
21. ლეჩხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I (ლაჯანურის ხეობა), თბ., 2014, 214 გვ.
22. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი (შევსებული გამოცემა), თბ., 2015, 320 გვ.
23. საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმის, ანთროპონიმისა და ზოონიმის მასალების მიხედვით), თბ., 2016, 324 გვ.
24. აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი (თანაავტორი ბეჟან ხორავა), თბ., 2016, 180 გვ.

II. სტატიები, მასალები, პროგრამები

1. „ტარიელ გოლეას“ ფაქტოლოგია: საქ. სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა მეშვიდე სამეცნიერო

- კონფერენცია, 1957 წ., მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თელავი, 1957.
2. ილია ჭავჭავაძის ენა ქუთაისის ეთნოგრაფიულ-ისტორიულ მუზეუმში დაცული ილიას ხელნაწერების მიხედვით: ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება. დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-სამეცნიერო სესია. პროგრამა. ქუთ., 1957.
 3. ო-ს რედუქციისათვის ქართულში: თსუ-ს სტუდენტთა XXVI სამეცნიერო კონფერენცია (მოხსენებათა თეზისები), თბ., 1964.
 4. აღ-, გან-, წარ- ზმნისწინთა გამარტივების საკითხისათვის: თსუ სტუდენტთა XXVII სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავისადმი. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1965.
 5. სოციალისტური რეალიზმის ნიშნები არაბი მწერლის მუჰამედ იბრაჰიმ დაქრუბის შემოქმედებაში: შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა XXVIII სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა, 22-27 აპრილი, 1966. თბ., 1966, გვ. 16. მოხსენებათა თეზისები, გვ. 16-17.
 6. იბნ არაბ-შაჰის ცნობები საქართველოში თემურ-ლენგის ლაშქრობათა შესახებ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა XXX სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა, 19-24 აპრილი, 1968, გვ. 19.
 7. მყოფადის მიმდებარე მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 72, №1, თბ., 1973.
 8. ონახუ/ონახვადი ტიპის მიმდებარე მთიანი სამეგრელოს მიკროტოპონიმიაში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, XVI სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა. 23-26/V – 1973. თბ., 1973.

9. ნა- პრეფიქსის ფუნქციისათვის მთიანი სამეგრელოს ანთროპოტოპონიმებში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბ., 1974.
10. სახელური სიტყვაწარმოება და სიტყვათშეერთება მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში: თსუ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომები, ტ. 13, №3-4, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, თბ., 1974 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
11. -იში/-ში სუფიქსები მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XVII სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და თეზისები. თსუ გამომცემლობა, 1974.
12. -თი ბოლოკიდურიანი მეგრული ტოპონიმები: სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 1, ფილოლოგია, თსუ გამომცემლობა, 1975.
13. Топонимия Горной Мегрелии (10.02.02 – Грузинский язык): Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук. Тб., 1975.
14. ლე-ე, სა-//სა-ო აფიქსების შემცველი ანთროპოტოპონიმები მთიან სამეგრელოში: კრ. „ტოპონიმია“, ტ. I, თბ., 1976 (ახლავს ვრცელი რუსული რეზიუმე).
15. Картвельская ойконимия: Всесоюзная конференция языковедов Кавказа: Тезисы. Сборник «Кавказская Ономастика», 1983.
16. К вопросу сванского субстрата в топонимии Мегрелии: Тезисы XV международного конгресса по ономастике. Лейпциг, 1984.
17. სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 122, №1, თბ., 1986, გვ. 185-188 (რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე).
18. მემინდვრობის ლექსიკა სამეგრელოს ტოპონიმიაში: ენათმეცნიერება, საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების ენის კათედრების რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1986.

19. ტომის რედაქტორისაგან: საქართველოს სსრ ტოპონიმია (მასალები), ტ. I. ზემო იმერეთი. ტომის რედაქტორი პ. ცხადაია, თბილისი, 1987, გვ. 3.
20. კოლხურ ზოონიმთა მოტივაციის საკითხისათვის: კრ. „ონომასტიკა“, I, აკად. შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით, თბ., 1987 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
21. კოლხური ზოონიმის მასალები: კრ. „ონომასტიკა“, I, თბ., 1987.
22. მეთევზეობის ლექსიკა სამეგრელოს ტოპონიმიაში: X რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია (ქ. თელავი, 1988 წლის 20-22 ოქტომბერი). მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1988.
23. კოლხეთის ტოპონიმიიდან: **ტყირი, მალემია, ნაცვარა**: თსუ II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში (მოხსენებათა თეზისები), თბ., 1989, გვ. 30-31.
24. ქართულ-ზანური ფიტონიმია (მთიულეთ-გუდამაყრის, ზემო იმერეთისა და ზემო სამეგრელოს მასალათა მიხედვით): თსუ II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში (მოხსენებათა თეზისები), თბ., 1989, გვ. 31-32.
25. **მადლაკი** და **ჭიშურა** ტოპონიმების წარმომავლობისათვის: კრ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, მეცნიერება, თბ., 1990, გვ. 93-98.
26. კოლხეთის ტოპონიმიიდან: **მალემია, ნაცვარა, ტყირი**: კრ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, მეცნიერება, თბ., 1991.
27. მეგრული ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია და მისი როლი ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმთა წარმოქმნაში: „ტოპონიმიკური კრებული“. თსუ გამომცემლობა, 1993, გვ. 79-117.
28. კოლხეთის ტოპონიმიიდან: მიგარია, ოჩხონაფუ, Fალიში. ტოპონიმიკური კრებული, თბ., 1993, გვ. 118-133.
29. მეტონიმია და მისი როლი ჰიდრონიმთა წარმოქმნაში (ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმის მიხედვით).

- ონომასტიკური კრებული, თსუ გამომცემლობა, 1994, გვ. 58-68.
30. მეგრული ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია და მისი როლი ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმთა წარმოქმნაში: ონომასტიკური კრებული, თსუ გამომცემლობა, 1994.
 31. სუფიქსები **-იში//ში** მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XVII სამეცნიერო სესია, თეზისები და მუშაობის პროგრამა. თსუ გამომცემლობა, 1994.
 32. პრეფიქსის მარედუცირებელი ძალისათვის მეგრულში (ტოპონიმური მასალის მიხედვით): თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 22-25 მაისი, თბ., 1995.
 33. **„ონხე“** და რედუქციის კვალი მეგრულში: ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. 30-31 მაისი, 1 ივნისი, თბ., 1995.
 34. **ღრეკ-** ზმნური ფუძის დერივატები ზანურში: XV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები (ბათუმი), თბილისი 1995.
 35. აფხაზურ-მეგრული ლექსიკური შეხვედრები სამურზაყანოს მიკროტოპონიმიაში: XV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და თეზისები. ბათუმი, 1995.
 36. მეთევზეობის ლექსიკა სამეგრელოს ტოპონიმიაში: კრ. „ონომასტიკური ძიებანი“, I, ახალციხე, 1995, გვ. 102-114
 37. გურულ-იმერული დიალექტური ლექსიკა სამეგრელოს ტოპონიმიაში: კრ. „ქუთაისური საუბრები“, III, ქუთაისი, 1996.
 38. **ზაკ-** (:ქართ. ბზეკ) ზმნური ფუძე მეგრულში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. 28-31 მაისი, თბ., 1996.

39. **ფეხ-** ზმნური ძირის ზანური (მეგრული) შესატყვისებისათვის: XVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1996 (ნაწილობრივ გაზიარებულია ქველში, გვ. 467, 458).
40. დასავლურ-ქართული დიალექტებიდან ნასესხები ლექსიკა სამეგრელოს ტოპონიმიაში: კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, I, ქუთაისური საუბრები (სიმპოზიუმის მასალები), ქუთაისი, 1996 (რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე).
41. აფხაზური **აფსპა იძის** და ზანური **მაფაწყუ**: XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. ეძღვნება პროფ. თ. უთურგაიძის დაბადების 70 წლისთავს (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თელავი, 1997, გვ. 35-36.
42. Топонимическая интеграция на современной границе двух этнических единиц – абхазов и грузин (мегрелов): Топонимика и ономастика Северного Кавказа. Тезисы 1-ой общекавказской конференции. Пятигорск, 17. 04, 1997.
43. სამურზაყანოს ზოგი ტოპონიმის წარმომავლობისა და სემანტიკის დაზუსტებისათვის: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია (ეძღვნება აკაკი შანიძის დაბადებიდან 110-ე წლისთავს). მუშაობის გეგმა და მოხსენებათა მასალები. 28-30 მაისი, თბ., 1997.
44. სამურზაყანოს ქართველურ- და აფხაზურენოვან ტოპონიმთა ქრონოლოგიური ურთიერთმიმართებისათვის: კრ. „გიორგი როგავას“ (საიუბილეო კრებული, ენათმეცნიერების ინსტიტუტი), გამომცემლობა „ქართული ენა“, თბ., 1997. ახლავს ინგლისური რეზიუმე.
45. აფხაზთა და ქართველთა (მეგრელთა) ეთნიკური საზღვარი და სამურზაყანოს ჰიდრონიმიის ზოგი საკითხი: ქუთაისური საუბრები, IV, ქუთ., 1997 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
46. სამურზაყანოს ზოგი ტოპონიმის წარმომავლობისა და სემანტიკის დაზუსტებისათვის: თსუ ფილოლოგიის

- ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, ეძღვნება აკაკი შანიძის 110-ე წლისთავს, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა მასალები, თბ., 1997.
47. არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ აღნიშნული ორი ტოპონიმის შესახებ: „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“ (ენათმეცნიერების ინსტიტუტი). მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, VIII, თბ., 1997.
 48. ზოგი ტოპოლექსემის შესახებ მეგრულში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა მასალები, თბ., 1998.
 49. აფხაზთა და ქართველთა (მეგრელთა) ეთნიკური საზღვარი და სამურზაყანოს ჰიდრონიმიის ზოგი საკითხი: კრ. „ქართველური მექვიდრობა“, ტ. II, ქუთ., 1998.
 50. პრინციპული და ზნემაღალი (ფარნაოზ ერთელიშვილის ხსოვნას): კრ. „ქართველური ონომასტიკა“, I, თბ., 1998, გვ. 3-5.
 51. არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ აღნიშნული ორი ტოპონიმის შესახებ: კრ. „ქართველური ონომასტიკა“, I, თბ., 1998, გვ. 185-191.
 52. მიწათმოქმედების საიჯარო სისტემის ასახვა ტოპონიმიაში: კრ. „ქართველური ონომასტიკა“, I, თბ., 1998, გვ. 192-195.
 53. სამურზაყანოს ზოგი ტოპონიმის წარმომავლობისათვის. თსუ სიღნაღის ფილიალის სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1998.
 54. ქართულ-ზანურ შესატყვისთა ერთდროულად არსებობის ორი ფაქტი სამეგრელოს ტოპონიმიაში: „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, IX, 14-17 აპრილი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1998.
 55. ტოპოლექსემა „ხერთვისი“ და მისი სინონიმები ქართულის დიალექტებსა და ზანურში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების I სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და თეზისები). თსუ გამომცემლობა, 1998.

56. აფხაზთა და ქართველთა (მეგრელთა) თანამედროვე ეთნიკური საზღვარი და სამურზაყანოს ტოპონიმის ზოგი საკითხი: „ქართველური მემკვიდრეობა“, II, ქუთ., 1998 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
57. აფხაზურ-მეგრული ტოპონიმური ინტეგრაციის საკითხისათვის სამურზაყანოს ტოპონიმიაში: ქუთაისური საუბრები, V, ქუთ., 1998.
58. ჰაპლოლოგიისათვის მეგრულში. არნ. ჩიქობავას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის პროგრამა, თბ., 1998.
59. ზოგი ტოპოლექსემის შესახებ მეგრულში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია (13-15 მაისი). მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1998.
60. მდინარის მონაკვეთების აღმნიშვნელი ლექსიკა ქართლის, იმერეთისა და სამეგრელოს ჰიდრონიმიაში: XVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები). თბ., 1998.
61. ზოგი ტოპოლექსემის შესახებ მეგრულში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია: მუშაობის გეგმა და მოხსენებათა მასალები. თბ., 1998.
62. რედაქტორებისაგან: კ. დანელიასა და პ. ცხადიას წინასიტყვაობა წიგნისა – ანა ჩიქვანაია, მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი (შემოკლებული ვარიანტი, თბ., 1998. [იგივე იხ. ა. ჩიქვანაიას დასახ. წიგნის მეორე გამოცემაში, 2000, გვ. 3].
63. სუბსტრატის, სუპერსტრატისა და ადსტრატის საკითხისათვის სამურზაყანოს ტოპონიმიაში: „ქუთაისური საუბრები“, VI სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1999.
64. **-ობა** სუფიქსის რეინტერპრეტაცია არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის ნიშნად ქართულისა და ზანურის დიალექტებში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მასალები, თბილისი-სიდნაი, თბ., 1999.

65. ტოპონიმიკური ადაპტაცია და თარგმანი ორი ენობრივ-ეთნიკური ერთეულის საზღვარზე (სამურზაყანოს ტოპონიმიის მიხედვით): თსუ სიღნაღის ფილიალის მეორე სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მასალები, თბ., 1999.
66. ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმია: კრ. „საქართველოს ტოპონიმი“ (მასალები), II, თბ., 1999, გვ. 185-281.
67. კოლხურ ჰიდრონიმთა ლექსიკისა და სტრუქტურის საკითხები (ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმიის მიხედვით): კრ. „საქართველოს ტოპონიმი (მასალები)“, II, თბ., 1999, გვ. 282-307.
68. ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე: „ქართველური მემკვიდრეობა, III“, ქუთ., 1999 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
69. ძველი ქართულის ლექსიკა სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიში: XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია (მასალები). ახალციხე, 1999.
70. ქართველური ენების დასავლური არეალი (კოლხური, ანუ ზანური): კრ. „სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში“, თბილისი-ზუგდიდი, 1999.
71. წმინდანის ეპითეტები მეგრულში (ტოპონიმიკური მასალის მიხედვით): ქუთაისური საუბრები, VII, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2000, გვ. 142-145.
72. -ია დაბოლოება კოლხურ გვარსახელებში: XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2000.
73. სასუბექტო მიმღეობის იშვიათი ფორმები კოლხურ გვარსახელებში: ფილოლოგიის ფაკულტეტის III სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მასალები. თბილისი-ახალციხე, 2000.
74. -ვა დაბოლოება კოლხურ გვარსახელებში. კრ. „კავკასიის მაცნე“, №1, თბ., 2000 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
75. Hainz Fahnrich, Georgiache Toponyme, Iena, 1998 (რეცენზია): კრ. „ენათმეცნიერების საკითხები“, №2, თბ., 2000 (ქართულ ენაზე) (თანაავტორი ვილენა ჯოჯუა).

76. ტოპონიმიკური ვითარება სამურზაყანოში: ჟურნ. „არტანუჯი“, №10, თბ., 2000 (რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე).
77. **-უა** დაბოლოების საკითხისათვის კოლხურ გვარსახელებში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და თეზისები), თბ., 2000.
78. კოლხეთის ტოპონიმიაში გამოვლენილი ახალი ქართულ-მეგრული ფუძეთშესატყვისობანი: კრ. „კავკასიის მაცნე“, №4, თბ., 2001 (რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე).
79. Система микройконимов в картвельских языках: Дагестанский лингвистический сборник. Выпуск 9, Москва, 2001.
80. რაჭული, იმერული და მეგრული პირსახელები XVII საუკუნის ერთი საეკლესიო საბუთის მიხედვით: ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. ეძღვნება ვ. თოფურიას დაბადების 100 წლისთავს, თბ., 2001.
81. ფინალური **-ია** მეგრულის აპელატიურ და ონიმურ ლექსიკაში: თსუ სიღნაღის ფილიალის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო შრომები, III, თბ., 2001 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
82. ზმნური წარმოშობის პირსახელები მეგრულში XVII საუკუნის ორი საეკლესიო დავთრის მიხედვით: ქუთაისური საუბრები, VIII, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2001.
83. აფხაზთა კუნძულებრივი დასახლებანი და აფხაზური ტოპონიმიკური სუპერსტრატე სამურზაყანოში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თსუ ფილიალების ფილოლოგიის ფაკულტეტთა IV სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მასალები). ზუგდიდი-თბილისი, 2001.
84. Топонимическая интерференция на этническо-территориальной границе абхазов и грузин (мегрелов): Кавказоведение, № 1 Москва, 2002 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).

85. История и структура колхских (занских) фамилии: к постановке вопроса. Журн. Этническое обозрение. Российская академия наук, №3, 2002 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
86. საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002.
87. Антропонимическая система занского (колхского) языка: Этнографическое обозрение, №3, 2002.
88. ორონიმი **სათანჯო** – ბუნებრივ-გეოგრაფიული ორიენტირი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების V სამეცნიერო სესია, სოხუმი-თბილისი, 2002.
89. ზოონომენები კახურ და მეგრულ დიალექტებში: XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2002.
90. ზოგადქართველური და ლოკალური სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები მეგრულ გვარსახელებში: ქუთაისური საუბრები, IX, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2002, გვ. 84-86.
91. რედუქციის იშვიათი შემთხვევები ზემო რაჭის მიკროტოპონიმიაში: XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2003.
92. ზოონომენტა კონვერსია და მეტაფორიზაცია ზოონიმიაში: თსუ სიღნაღის (კახეთის) ფილიალის შრომები, IV, თბ., 2003 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
93. ონიმური მსოფლხედვა და ზოონიმთა იზოგლოსები ქართველურ ენათა დიალექტებში (კახური და მეგრული მასალების მიხედვით): ქუთაისური საუბრები, X, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2003.
94. წარმატებული 10 წელი: წგნ.: ქუთაისის დიალექტოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ქუთაისი, 2003, გვ. 65-66.

95. ქრისტოლოგიური ტერმინები „ჯგირი“ და „წმინდა“ მეგრულში: სამეცნიერო შრომათა კრებული, V, სიღნაღი, 2004 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
96. წინათქმის მაგიერ: კრ. „ქართველური ონომასტიკა“, II, თბ., 2004, გვ. 3-4.
97. ტოპონიმი **ჯგერიანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის: კრ. „ქართველური ონომასტიკა“, II, თბ., 2004, გვ. 216-233 (რეზიუმე რუსულ ენაზე, გვ. 234-235).
98. მესაქონლეობის აღმნიშვნელი ლექსიკა ზემო სამეგრელოს ტოპონიმიში: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004, გვ. 236-251.
99. ორი კოლხური ოიკონიმის წარმომავლობის დაზუსტებისათვის (წინაგოლა, გაჭყეილი): არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 65-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2006.
100. მიკროტოპონიმია – ახალ-ახალ ლექსემათა გამოვლენის წყარო: IV რესპუბლიკური სამეცნიერო სესია ქართველურ ონომასტიკაში. მუშაობის პროგრამა, თბ., 2006.
101. ორიოდე სიტყვა ონომასტიკის ს/კ ლაბორატორიის საგრანტო განაცხადთან დაკავშირებით: თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი. ონომასტიკის ს/კ ლაბორატორია. IV რესპუბლიკური სამეცნიერო სესია ქართველურ ონომასტიკაში. მუშაობის პროგრამა, თბ., 2006.
102. უძველესი რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ზოგი ტოპონიმი სამეგრელოსა და სამურზაყანოში: ქართველი ხალხის სოციოკულტურული ანთროპოლოგიისა და ეთნოლინგვისტური კვლევის საერთაშორისო ცენტრი. სიმპოზიუმის პროგრამა, ბათუმი, 2006.
103. უცხოურ ტოპონიმთა დეონიმიზაცია-ონიმიზაციის რამდენიმე შემთხვევა კოლხურ ენაში (იორდანე დარდანელი, პალიასტომი): კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბილისი, 2007.

104. მარტივი ზმნისწინების სადერივაციო ფუნქციის შესახებ ზანურში (მეგრულის ტოპონიმური მასალის მიხედვით): არნ. ჩიქობავას საკითხავეები, XVIII, თბ., 2007.
105. თსუ სიღნაღის ფილიალის დირექტორს, პროფ. გაიოზ ნადირაშვილს: კრებული „სიღნაღი – 2“, თბ., 2007, გვ. 114-122.
106. ზოგი რთული ზმნისწინის სიტყვათწარმოებითი ფუნქციის შესახებ მეგრულში (მიკროტოპონიმური მასალის მიხედვით): თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, I სამეცნიერო კონფერენცია. პროგრამები, თბ., 2007.
107. წინათქმის მაგიერ: კრ. „ქართველური ონომასტიკა“, ტ. III, თბილისი, 2007, გვ. 5.
108. მასალები მეგრულის ლექსიკონისათვის (ზემო სამეგრელოს მიკროტოპონიმის მიხედვით), I: კრ. „ქართველური ონომასტიკა“, III, თბ., 2007, გვ. 194-215.
109. რამდენიმე კოლხური ტოპონიმის წარმომავლობის განმარტებისათვის, I: კრ. „ქართველური ონომასტიკა“, III, თბ., 2007, გვ. 216-222.
110. ზოგი რთული ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი ფუნქციის შესახებ მეგრულში (მიკროტოპონიმური მასალის მიხედვით): თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა, თბ., 2007.
111. აკაკი შანიძის ონომასტიკური ძიებანი: აკაკი შანიძის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია თსუ სიღნაღის ფილიალში, 2007 წ. 12 აპრილი (მოსხენება).
112. ზოგი უზუსტობის შესახებ საქართველოს გეოგრაფიული სახელების ლოკალიზაციასა და ორთოგრაფიაში: ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მაისი, 2007 (მოსხენება).
113. ზოგი მეგრული ტოპონიმის მართებული განმარტებისათვის (ნოჭადენი, ოკვანტიეში, შონაჭაე, ხირზენი, ნაფარონი, ოკუე და სხვ.): ენათმეცნიერების

- ინსტიტუტის 67-ე სამეცნიერო სესია (მასალები), 2008, გვ. 84-86.
114. ზოგიერთი კოლხური ტოპონიმის ამოსავალი ლექსიკური მნიშვნელობისათვის: თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, „აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს“, თბ., 2008 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
 115. ჰიდრონომენი **ზანა** კოლხეთის ტოპონიმიაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVI, თბ., 2008 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
 116. ერთელიშვილი ფარნაოზ გიორგის ძე: ქართული ენა (ენციკლოპედია), თბ., 2008.
 117. წარმართული ნომენკლატურა კოლხეთის ტოპონიმიაში (სამეგრელო-სამურზაყანოს მიკროტოპონიმის მიხედვით): II საერთაშორისო სიმპოზიუმი. მასალები. ეძღვნება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადების 110 წლისთავს. თსუ გამომცემლობა, 2008 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
 118. ონომასტიკა, ონომასტიკონი: „ქართული ენა“ (ენციკლოპედია), თბ., 2008.
 119. აფრიკატიზაცია და დეზაფრიკატიზაცია ზანურ ენაში (მეგრული ტოპონიმიკური მასალის მიხედვით): ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბ., 2009, ტ. X (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
 120. სამი კოლხური მიკროჰიდრონიმის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი (მიონჩურაფუ, დუდიშ ოწყვიტაფუ, საორგიო): არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XX, თბ., 2009.
 121. ზოგი უზუსტობის შესახებ კოლხურ ტოპონიმთა მართლწერასა და ლოკალიზაციაში: „ქართველური ბიბლიოთეკა“, 11, „გურამ კარტოზია – 75“, თბ., 2009.
 122. ტოპონიმიკის ლაბორატორიის 40-წლიანი გზა (ამოცანები და შედეგები): V რესპუბლიკური ონომატოლოგიური სამეცნიერო სესიის მოსაწვევი. ეძღვნება ტოპონიმიკის ლაბორატორიის დაარსების 40 წლისთავს. 2009.

123. ზოგი კოლხური მიკროტოპონიმის მართებული ინტერპრეტაციისათვის (ოკვანტიეში, კაეგიძე, ჯახიერი და სხვ.): V რესპუბლიკური ონომატოლოგიური სამეცნიერო სესიის მოსაწვევი. ეძღვნება ტოპონიმის და ბორატორიის დაარსების 40 წლისთავს. 2009.
124. **ოჩე** – აპელატივი და ტოპონიმი (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ანალიზი): ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. II, თბ., 2010 (რეზიუმე რუსულ ენაზე).
125. დედაქტორისაგან: კრ. „ქართველური ონომასტიკა“, IV, თბ., 2010, გვ. 3-5.
126. ზოგი ზმინისწინის სადერივაციო ფუნქციის შესახებ ზანურში (მეგრულის მიკროტოპონიმური მასალის მიხედვით): კრ. „ქართველური ონომასტიკა“, IV, თბ., 2010, გვ. 274-286.
127. სამურზაყანოს თანამედროვე ტოპონიმია: აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. „სამურზაყანო“ (შრომათა კრებული), ტ. 3, თბ., 2010 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
128. აკაკი ჭანტურიას „მეგრული გვარები და სახელები“ (რეცენზია): კადმოსი, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი, 2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010.
129. მირსა (მირსობა), მ(ე)ისარონი, ჯეგე-მისარონი სამეგრელოს ტოპონიმიაში: ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები. ტ. III, თბ., 2011 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
130. ტოპონიმია – წარსულის მატიანე: თსუ მეცნიერება (სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი), თბ., 2011 (სტატია ქართველურ ტოპონიმიაზე და პაატა ცხადაიას წვლილზე ამ საქმეში). პარალელური ტექსტი ინგლისურ ენაზე.
131. უძველესი რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ზოგი ტოპონიმი სამეგრელოსა და სამურზაყანოში: ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი (პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლოგიასა

- და ანთროპოლოგიაში), II, ბათუმი, 2011 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
132. რედაქტორისაგან: იხ. წგნ.: **იგორ კეკელია**, აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთაისი, 2011, გვ. 3-4.
 133. ოდენ მთარაჭული ლექსემები მთარაჭის ტოპონიმიში: თსუ ქართული ენის ინსტიტუტი. „სამეცნიერო შრომების კრებული“, თბ., 2012 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
 134. რედაქტორისაგან: კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VI, თბ., 2013, გვ. 4-5.
 135. სვანური, აფხაზური და აღმოსავლური ლექსიკა სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიში: კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VI, თბ., 2013, გვ. 278-296.
 136. მკაცრი და სამართლიანი მოძღვარი (ფარნაოზ ერთელიშვილის 90 წლისთავის გამო): კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VI, თბ., 2013, გვ. 43-50.
 137. მრავალმხრივი მეცნიერი (ალექსანდრე დლონტი –100): კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VI, თბ., 2013, გვ. 6-12 [ავტორები პ. ცხადაია, ქ. გოდერძიშვილი, თ. უთურგაიძე].
 138. ქრისტოლოგიური ნომენკლატურა მეგრულ ტოპონიმიში: კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VI, თბ., 2013, გვ. 297-303.
 139. მეგრული ტოპონიმის წარმოქმნის გზები: კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VI, თბ., 2013, გვ. 304-324.
 140. ორი წერილი – ორი შედეგი: „ქართველური ონომასტიკა“, VI, თბ., 2013 (დანართი).
 141. საჭირო და აუცილებელი (რეცენზია ქ. გოდერძიშვილის მონოგრაფიაზე – „ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები“, თბ., 2013): „ონომასტიკური კრებული“, ახალციხე, 2014, გვ. 316-317. იგივე წერილი იხ. „ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., 2014.
 142. რაჭის ტოპონიმის ენობრივი და გარეენობრივი ანალიზის ზოგი საკითხი: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში. პროგრამა, ახალციხე, 2014.

143. საჭირო და აუცილებელი: წგნ.: ქ. გოდერძიშვილი – „ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები“, თბ., 2015, გვ. 240-241.
144. ქალაქ თბილისის ქუჩებისათვის სახელის შეცვლისა და მიკუთვნების პრინციპების შესახებ: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 74-ე სამეცნიერო სესია. მასალები. თბ., 2015 (თანაავტ. იგორ კეკელია).
145. გვარსახელები და გვართდასახლებანი ზუგდიდის რაიონში: ზუგდიდი – წარსული და თანამედროვეობა: გამომცემლობა „ივერიონი“, თბ., 2015.
146. კოლხეთის ტოპონიმიაში გამოვლენილი ქართულ-მეგრული შესატყვისობანი: „ქართველური ონომასტიკა, VII“: გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2015.
147. მეგრული ტოპონიმის დექსიკა (ზოგადი მიმოხილვა): „ქართველური ონომასტიკა, VII, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2015.
148. რეცენზია იგორ კეკელიას სადისერტაციო ნაშრომზე – „სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია“: გაზ. „ილორი“, №317, 26 მაისი – 2 ივნისი, 2015, გვ. 2; №318, 2-9 ივნისი, 2015, გვ. 2; №319, 9-16 ივნისი, 2015, გვ. 2.

III. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები

1. სიმინდის ორი მოსავლისათვის: გაზ. „ნორჩი ლენინელი“, 20 მაისი, 1955.
2. გაზაფხულის დილა (დექსი): გაზ. „სიმართლე“, ქუთაისი, 1956, 27 ივლისი.
3. დილა ყაზახეთში (დექსი): გაზ. „სტალინელი“, ქუთაისი, 1956, №173, 31 აგვისტო, გვ. 3.
4. პირველი დღეები: გაზ. „სტალინელი“, №158, 10 აგვისტო, 1956, გვ. 3.

5. შემოქმედებითი შრომის ფერხულში: გაზ. „სტალინელი“, №179, 8 სექტემბერი, 1956, გვ. 1.
6. გორელ და ქუთაისელ სტუდენტ შემოქმედთა მეგობრობა: გაზ. „სტალინელი“, №203, 12 ოქტომბერი, 1956.
7. ოქტომბერს უმღერიან: გაზ. „სტალინელი“, №222, 7 ნოემბერი, 1956, გვ. 2.
8. მშრომელთა მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს: გაზ. „სტალინელი“, №228, 17 ნოემბერი, 1956, გვ. 4.
9. ფესტივალისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია: გაზ. „სტალინელი“, №76, 17 აპრილი, 1957, გვ. 3.
10. კარგი ტრადიცია: გაზ. „სტალინელი“, 7 მაისი, №89, 1957, გვ. 3.
11. "როცა საქმე ბოლომდე არ მიჰყავთ", გაზ. "სტალინელი", №244, 11 დეკემბერი, 1957, გვ. 3.
12. ვიმუშავებთ მონდომებით: გაზ. „სტალინელი“, №123, 23 ივნისი, 1957, გვ. 1 (თანაავტ. დ. დემეტრაძე).
13. სტეპნოს საბჭოთა მეურნეობაში: გაზ. „სტალინელი“, №165, 21 აგვისტო, 1957, გვ. 1.
14. Наши гости (თანაავტ. Ш. Лордкипანიძე): Кутаисская Правда, №31, 13 марта, 1958.
15. В педагогическом институте: Кутаисская Правда, № 41, 5 апреля, 1958.
16. Встреча с заслуженными педагогами: Кутаисская Правда, №45, 15 апреля, 1958.
17. Сессия началась: Кутаисская Правда, 22 мая, 1958.
18. Под открытым небом: Кутаисская Правда, №71, 14 июня, 1958.
19. Достойный подарок: Кутаисская Правда, №76, 1958.
20. Посланцы кутаиси прибыли на уборку урожая целинных земель: Кутаисская Правда, №91, 31 июля, 1958, стр. 1.
21. Посланцы Кутаиси на целинных землях (письмо из кустанайской области): Кутаисская Правда, №1076 6 сентября, стр. 2.
22. Жить и работать по-коммунистически: Кутаисская Правда, 1958, стр. 3.

23. Подготовленными встречаются зимнюю сессию: Кутаисская Правда, №153, 1958, стр. 4.
24. სტუდენტთა მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ამადლების მიზნით (ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტთა X სამეცნიერო სესია): გაზ. „სტალინელი“, ქუთაისი, 1959, 29 აპრილი.
25. ირტიშის სანაპიროზე: გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1960, 24 სექტემბერი.
26. ყოველივე კარგი დედისგან გვისწავლია: გაზ. „ნორჩი ლენინელი“, 18 მარტი, 1960.
27. სტუდენტები იმადლებენ სპორტულ ოსტატობას: გაზ. სტალინელი“, 23 მარტი, №59, 1960.
28. საარქივო მასალები მ. გურიელის შესახებ (მიმოწერა ვ. გუნიასა, კ. ლორთქიფანიძესა და გ. წერეთელთან): გაზ. „სტალინელი“, ქუთაისი, 1960, 28. აგვისტო.
29. სტუდენტები კოლმეურნეებთან: გაზ. „სტალინელი“, 2 აპრილი, №66, 1960.
30. კომკავშირულ წრეებში სწავლა წარმატებით დაამთავრეს: გაზ. „სტალინელი“, 28 მაისი, №105, 1960.
31. გუშინ მეათეკლასელთა შორის: გაზ. „სტალინელი“, 31 მაისი, №107, 1960.
32. ემზადებიან უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად: გაზ. „სტალინელი“, №124, 1960.
33. ქუთაისელი სტუდენტები ყამირ მიწაზე (წერილი ყაზახეთიდან): გაზ. „სტალინელი“, ქუთაისი, №168, 1960, 20 აგვისტო.
34. Мы не подведем. პავლოვის საოლქო გაზეთი (ყაზახეთი), 1960.
35. გულს (ლექსი): გაზ. „მებრძოლი“, ზუგდიდი, 1963, 20 იანვარი.
36. მშობლიური სკოლის ზარებს (ლექსი): გაზ. „მებრძოლი“, ზუგდიდი, 1964, 31 სექტემბერი.
37. ილია ჭავჭავაძე და „ვეფხისტყაოსანი“ (შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი): გაზ. „კომუნიზმის დროშით“,

- წალენჯიხა, 1966, 5 ივლისი; იხ. გაგრძელება: „კომუნიზმის დროში“, წალენჯიხა, 1966, 16, 21 ივლისი.
38. დელეგატები გეპასუხობენ: „თბილისის უნივერსიტეტი“, 15 დეკემბერი, №37, 1967 (უნივერსიტეტის პარტიული კონფერენციის დელეგატ პ. ცხადიას პასუხი სამ კითხვაზე).
 39. „როველი“ გრძელდება: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 24 იანვარი, 1967.
 40. სირიის მცხუნვარე მზის ქვეშ (თარჯიმანის შთაბეჭდილება): გაზ. „კომუნისტი“, 23 აგვისტო, 1969.
 41. შეეკრიბოთ მშობლიური კუთხის ტოპონიმები: გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 18 აპრილი, 1970 (იხ. აგრეთვე ჟურნ. „დროშა“, 1970, 29 დეკემბერი).
 42. პირველი რესპუბლიკური (ონომასტიკური სამეცნიერო კონფერენცია თბილისის უნივერსიტეტში): გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 7 მარტი, 1980, გვ. 4.
 43. ტოპონიმი – წინაპრების გადაშლილი წიგნი: გაზ. „კოლხეთი“, 23 ოქტომბერი, №125 (6806), 1984, გვ. 3-4.
 44. სვანთა ნაკვალევი სამეგრელოს მიწაზე: გაზ. „კომუნიზმის დროში“, №13 (5960), 30 იანვარი, 1986.
 45. ასჯერ გაეზომოთ! [საქართველოს ტოპონიმიკის საგანგაშო მდგომარეობაზე]: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 27 ოქტომბერი, 1989, გვ. 9.
 46. „საბრალოს ვერ გაუგია...“: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 8 თებერვალი, 1990.
 47. რაიონული გაზეთის სახელწოდების შესახებ: გაზ. „კომუნიზმის დროში“, № 52 (6586), 27 თებერვალი, 1990, გვ. 4.
 48. ვკითხოთ ტოპონიმისტებს!: გაზ. „თბილისი“, 11 მაისი, 1994.
 49. სანამ ქუჩას სახელს გამოუცვლიდეთ...: გაზ. „თბილისი“, 9 აპრილი, 1994 (ავტორები: პ. ცხადია, უ. სახლთხუციშვილი, გ. ხორნაული).
 50. „სხვა მისებრი ვერა ვნახე“: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №137, 5 ივნისი, 1998, გვ. 1-3 [წარმოადგენს

- გამოხმაურებას პროფ. ალექსანდრე ონიანის პუბლიკაციაზე – „წამქეხებელ-წამსისინებელნი“, რომელიც დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკის“ 1997 წლის 16 მაისის ნომერში].
51. ყურადღება ტოპონიმის: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №53, 7 მარტი, 1997.
 52. ერწყარი (ერისწყალი) არ შეიძლება იყოს აფხაზური ჯარძის კალკი: გაზ. „აწონილი სიტყვა“, იენისი, №1, 1999.
 53. ასეთია ტოპონიმიკური ცენტრის ისტორია: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1999.
 54. მეგობრის ხსოვნას (პოეტ მიხეილ აბუანდაძის გამოსათხოვარი): გაზ. „აწონილი სიტყვა“, №1, 2000.
 55. კოლხური გვარსახელები: გაზ. „მახარია“, №2 (7), 2001; №3 (8); №5 (10); №6 (11); №10 (15); №12 (19); გაგრძელება 2002 წელს: №2 (19); №3 (20); №5 (22).
 56. **მინგარია** არაა „მტირალა მთა“: გაზ. „აწონილი სიტყვა“, № 1 (2). გადაიბეჭდა გაზეთში „საფარველი“ (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის გაზეთი), №11 (36), 2003.
 57. გვარსახელი. მისი წარმოშობა და ფუნქცია: გაზ. „მახარია“, №1 (6), 2001
 58. კოლხური გვარსახელები: გაზ. „მახარია“, №2 (7), 2001.
 59. ტოპონიმიკური ვითარება სამურზაყანოში: გაზ. „რაეო“, №14 (132), 1-15 ქრისტეშობისთვე, 2005; № 15 (133), 15-31 ქრისტეშობისთვე, 2005; № 14 (134), 1-15 აპნისი, 2006, გვ. 17; №3 (136), 1-15 სურწყუნისი, 2006, გვ. 17; №4 (137), 15-28 სურწყუნისი, 2006, გვ. 17; № 15 (138), 1-15 მირკანი, 2006, გვ. 17; № 6-7(139-140), 1-15 იგრიკა, 2006, გვ. 15).
 60. ათი წლის გადასახედიდან: გაზ. „სიღნაღი“, №3 (19), 2005.
 61. ქართული ენის ინსტიტუტის პირველი სამეცნიერო სესია: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 23 მარტი, ხუთშაბათი, 2006.
 62. „ათასი ჭყონდიდური ტოპონიმი“ [იგორ კეკელიას ახალი წიგნის გამო]: გაზ. „მარტვილი“, 30 ივლისი, №7, 2009, გვ. 2.

IV. ოფიციალური ოპონენტობა, კონსულტანტობა, რედაქტორობა, რეცენზენტობა¹

1. **საქართველოს სსრ ტოპონიმია** (მასალები), ტ. I. ზემო იმერეთი (აკად. შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით), ტომის რედაქტორი პ. ცხადაია, თბილისი, 1987.
2. **ონომასტიკა I**, აკად. შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით (ტომის რედაქტორები: პ. ცხადაია, ბ. ჯორბენაძე), თბილისი, 1987.
3. **ბიძინა ლემონჯავა**, „შერწყმული წინადადება ზანურში ქართულთან მიმართებით“. დისერტაცია წარმოდგენილია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1997 (ოპონენტი).
4. **ნიკო ოთინაშვილი**, „ლიახვის ხეობის ონომასტიკა“. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1997 (ოპონენტი).
5. **უშანგ სახლთხუციშვილი**, ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები, I, თბილისი, 1997 (რედაქტორი).
6. **მურად კემულარია**, „ქვემო ქართლის ტოპონიმია (დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების ტოპონიმური მასალის მიხედვით)“. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1998 [ავტორეფერატი, თბ., 1998] (კონსულტანტი).
7. **ქართველური ონომასტიკა, I** ეძღვნება პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის 75 წლისთავს. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998 (რედაქტორი).
8. **გამოხმაურება იბრაჰიმ არისოის** სადისერტაციო ნაშრომზე – „თურქული ლექსიკა ჩვენებურების ქართულში (ფონეტიკურ-მორფოლოგიური ანალიზი)“.

¹2004 წლიდან პ. ცხადაია შეყვანილი იყო თსუ ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოში.

- დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, 1999.
9. გამოხმაურება **მანანა ბუკიას** დისერტაციაზე – „ცხენოსნობისა და მეცხენეობის ლექსიკა ზანურში“, 1999.
 10. **საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. II**, თბ., 1999 (ტომის რედაქტორები: პ. ცხადაია, უ. სახლთხუციშვილი).
 11. **მიხეილ აბუანდაძე**, ოცნება ხმამაღლა (ლექსები), თბილისი, 2000 (რედაქტორი).
 12. **დავით შავიანიძე**, დასავლეთ საქართველოს ეთნოისტორიიდან (ოკრიბული ონომასტიკური მასალების მიხედვით). დისერტაცია წარმოდგენილია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2001 (ოპონენტი).
 13. **დავით შავიანიძე**, ოკრიბული გვარსახელები, ქუთაისი, 2002 (რეცენზენტი).
 14. დასკვნა **ზოია ტულუშის** ნაშრომზე – „მეგრული დარგობრივი ლექსიკის სემანტიკური და დერივაციულ-კომპოზიტური ანალიზი“. დისერტაცია წარმოდგენილია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2002.
 15. დასკვნა **მიხეილ ქამადაძის** ნაშრომზე – „აჭარის ონომასტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონის მონაცემთა მიხედვით“. სადოქტორო დისერტაცია, 2002.
 16. დასკვნა **ქეთევან მარგიანის** სადისერტაციო ნაშრომზე – „სვანური ონომასტიკა“. წარმოდგენილია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2002.
 17. გამოხმაურება **ვიანორ ახალაიას** საკვალიფიკაციო ნაშრომზე – „ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები“. დისერტაცია წარმოდგენილია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2002.
 18. ოფიციალური ოპონენტი **ქეთევან სარსევანიძის** საკანდიდატო დისერტაციისა – „ქართული ონომასტიკის

- ისტორიისათვის (XIX ს. მეორე ნახევრის სამეცნიერო გამოკვლევათა მიხედვით)“, თბ., 2003.
19. **საქართველოს ტოპონიმია** (მასალები), ტ. III, ქვემო იმერეთი, თბილისი, 2003 (ტომის რედაქტორი).
 20. ოფიციალური ოპონენტი **შუქია აფრიდონიძის** ნაშრომისა – „მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში“. სადოქტორო დისერტაცია, 25 სექტემბერი, 2003.
 21. ოფიციალური ოპონენტი **ვანტანგ მაღრაძის** ნაშრომისა – „ტოპონიმებისა და გვარსახელების წარმოება და ურთიერთმიმართება ქართულში“, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2003.
 22. თსუ სიღნაღის (კახეთი) ფილიალის **„სამეცნიერო შრომათა კრებული“**, სიღნაღი, 2004 (რედაქტორი).
 23. **ქართველური ონომასტიკა, II**, ეძღვნება ფ. ერთელიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს, თბ., 2004 (რედაქტორი).
 24. **რევაზ ძნელაძე**, გურული დიალექტის ტოპონიმური სისტემა, თბ., 2005 (რედაქტორი).
 25. ოფიციალური ოპონენტი **ცირა ძაძაძიას** ნაშრომისა – „ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი მეგრულში“. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2006.
 26. ოფიციალური ოპონენტი **ანა მეფარიშვილის** ნაშრომისა – „მიმღეობა საშუალო ქართულის ადრეულ ძეგლებში (ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზი)“, დისერტაცია წარმოდგენილია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2006.
 27. რეცენზია **დალი კვარაცხელიას** ნაშრომზე – „წალენჯიხის რაიონის ონომასტიკა (ფონეტიკურ-სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი)“. დისერტაცია

- ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, 2005.
28. ოფიციალური ოპონენტი **ასმათ შონიას** ნაშრომისა – „სახელთა დერივაციის თანმხლები მორფონოლოგიური პროცესები მეგრულ-ლაზურში“. დისერტაცია წარმოდგენილია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2006.
 29. სააპრობაციო რეცენზია **ინგა ბეზიას** ნაშრომზე – „სამიწათმოქმედო ლექსიკა მეგრულში“. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2006.
 30. **იგორ კეკელია**, ბანძის ტოპონიმია, თბილისი, 2007 (რედაქტორი).
 31. **სერგო მეღვიძე**, მცხეთის რაიონის ტოპონიმია, თბილისი, 2007 (რედაქტორი).
 32. **სიღნაღი** (ონომასტიკური კრებული), თბ., 2005 და **სიღნაღი –2** (ონომასტიკური კრებული), თბ., 2007 [კრებულებში დაბეჭდილია თსუ სიღნაღის (კახეთის მხარის) ფილიალის სტუდენტთა ონომასტიკური ძიებანი (ორივე კრებულის რედაქტორ-შემდგენელი და გამოცემის სპონსორი პაატა ცხადაია, თსუ სიღნაღის ფილიალის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, სრული პროფესორი].
 33. **ქართველური ონომასტიკა, ტ. III**, თბილისი, 2007 (რედაქტორი).
 34. **იგორ კეკელია**, მარტვილის რჩეული გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი, 2008 (რეცენზენტი).
 35. **იგორ კეკელია**, მარტვილის ტოპონიმია, თბილისი, 2009 (რეცენზენტი).
 36. **მერაბ ბერიძე**, ტაძრები და სახელები, თბილისი, 2010 (რედაქტორი).
 37. სამეცნიერო ხელმძღვანელი **დარეჯან კირთაძის** სადისერტაციო ნაშრომისა – „საკუთარი სახელი ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და

- საისტორიო წყაროებში“ (V-X სს). დაცვა შედგა 2010 წლის 28 მაისს. [დისერტაციის მაცნე, თბ., 2010].
38. **იგორ კეკელია**, მარტვილის რაიონის ოიკონიშია, ქუთაისი, 2010 (რედაქტორი).
 39. **იგორ კეკელია**, ლებარდეს ტოპონიშია, ქუთაისი, 2010 (რეცენზენტი).
 40. **ქართველური ონომასტიკა, ტ. IV**, თბ., 2010 (რედაქტორი).
 41. **ქართველური ონომასტიკა, ტ. V**, ეძღვნება ზურაბ ჭუმბურიძეს და თედო უთურგაიძეს, თბ., 2011 (რედაქტორი).
 42. **იგორ კეკელია**, მარტვილის რაიონის ტყისა და საძოვრების ზონის ტოპონიშია (სალხინოს სატყეო), I, ქუთ., 2011 (რედაქტორი).
 43. **იგორ კეკელია**, მარტვილის რაიონის ტყისა და საძოვრების ზონის ტოპონიშია (გაჭედილისა და კურზუს სატყეოები), II, ქუთ., 2011 (რედაქტორი).
 44. **იგორ კეკელია**, მარტვილის რაიონის ტყისა და საძოვრების ზონის ტოპონიშია (ტალერის სატყეო), III, ქუთ., 2011. ბროშურას ერთვის ამონარიდი პაატა ცხადაიას წიგნიდან, გვ. 3 (რედაქტორი).
 45. **იგორ კეკელია**, სეფიეთის ტოპონიშია, ქუთ., 2011 (რედაქტორი).
 46. **იგორ კეკელია**, აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთაისი, 2011 (რედაქტორი).
 47. **ქეთევან გოდერძიშვილი**, ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 2012 (რედაქტორი).
 48. **იგორ კეკელია**, **დავით ოდიშარია**, ნაესაკაოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, ქუთ., 2012 (რედაქტორი).
 49. **იგორ კეკელია**, **დავით ოდიშარია**, სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2012 (რედაქტორი).
 50. **მურად კემულარია**, ქვემო ქართლის ტოპონიშია (ბოლნისის, დმანისის, მარნეულის რაიონები), თბ., 2012 (რედაქტორი).

51. **დარეჯან კირთაძე**, ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი V-X სს-ის ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში. თბ., 2012 (რედაქტორი).
52. **მხარეთმცოდნე, II** (ონომასტიკური და საისტორიო მასალები), ქუთაისი, 2011 (რეცენზენტი).
53. **კობა ოკუჯაგა**, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიული ტოპონიმის საკითხები, თბილისი, 2012 (რეცენზენტი).
54. **ივორ კეკელია**, ნაქალაქევის გეოგრაფიული სახელწოდებანი, ქუთაისი, 2013 (რეცენზენტი).
55. **მხარეთმცოდნე, III** (ედვენება მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაარსების 70-ე წლისთავს), ქუთაისი, 2013 (რეცენზენტი).
56. **მხარეთმცოდნე, IV** (ედვენება ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 და გარდაცვალების 60 წლისთავს), ქუთაისი, 2013 (რეცენზენტი).
57. **სამეგრელო**. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ტექსტები შეკრიბეს და დასაბუქლად მოამზადეს ზ. ჭუმბურიძემ, ი. ჩიქოვანმა და ა. სიჭინავამ, თბილისი, 2013 (რეცენზენტი).
58. **ქართველური ონომასტიკა, ტ. VI**, ედვენება ალექსანდრე ღლონტისა და ფარნაოზ ერთელიშვილის საიუბილეო თარიღებს, თბ., 2013 (რედაქტორი).
59. **ივორ კეკელია**, „სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია“. დისერტაცია ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ქუთ., 2014 (ოფიციალური ოპონენტი).
60. **ივორ კეკელია, კახაბერ ქებულაძე**, იმერეთის ტოპონიმია სამუზეუმო და კარტოგრაფიულ მასალებში, ქუთაისი, 2014 (რეცენზენტი).
61. **ქართველური ონომასტიკა, ტ. VII**, ედვენება ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრის თანამშრომლების (ი. ბაქრაძის, ბ. ჯორბენაძის, ფ. მაკალათიას, უ.

- სახლთსუციშვილის, ვ. ჯოჯუას, ს. მელიქიძის) ხსოვნას, თბ., 2015 (რედაქტორი).
62. **ქეთევან გოდერძიშვილი**, ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები, თბ., 2015 (რედაქტორი).
 63. **გიორგი ქიტოშვილი**, კაჭრეთისა და ჯიმიოთის ონომასტიკური მასალა, თბილისი, 2015 (რედაქტორი).
 64. **დოდო ქიტუაშვილი**, ნიზბისის ხეობის ონომასტიკონი, თბილისი, 2015 (რედაქტორი).
 65. ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრი, თბილისი, 2012 – 2014. თბილისი, 2015. პროექტის ავტორი **მერაბ ჩუხუა** [დაბეჭდილია პ. ცხადაიას ფოტო: საერთაშორისო არქეოლოგიური სიმპოზიუმი „მაიკოპური კულტურის პრობლემები კავკასიურ-ანატოლიურ ურთიერთობათა კონტექსტში“, გვ. 29].
 66. **თაია ცხადაია**, კავთისხევის ონომასტიკური მასალა, თბილისი, 2015 (რედაქტორი).
 67. ოფიციალური ოპონენტი **ნანა სულავას** სადოქტორო ნაშრომისა – „სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია (სტრუქტურულ-სემანტიკური და ფონეტიკური ანალიზი)“, თბ., 2016.
 68. **ნიკო ოთინაშვილი**, ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები (ყოფილი სამხრეთ-ოსეთი), თბილისი, 2016 (რეცენზენტი).
 69. ჟურნ. „ენათმეცნიერების საკითხები“, 2014, 2015, თბილისი, 2015, 2016 (სარედაქციო კოლეგიის წევრი).
 70. სამეცნიერო ჟურნალი „გულანი“, №21, 2017 (სარედაქციო კოლეგიის წევრი)

V. წერილები ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრზე და მის ხელმძღვანელზე

1. **სარედაქციო**: ლიტერატურული საღამო. გაზ. „კომუნიზმის დროში“, 19 მაისი, 1955.

2. **ს. შარაბიძე**, ჩვენი ქალაქის ახალგაზრდები ყამირზე, გაზ. „სტალინელი“, №180, 11 სექტემბერი, 1957, გვ. 1.
3. **მ. ქანდარია**, გზა დაუფლოცოთ ყამირზე მიმავალთ. გაზ. „სტალინელი“, №121, 21 ივნისი, 1957, გვ. 3.
4. **სარედაქციო**: სტუდენტთა სამეცნიერო სესია. გაზ. „სტალინელი“, №83, 27 აპრილი, 1957, გვ. 4 [სტუდენტთა XVII სამეცნიერო სესიის შესახებ].
5. **სარედაქციო**: შეხვედრა აკადემიკოს გ. ახვლედიანთან [სტუდენტმა პ. ცხადაიამ საკუთარი ლექსი უძღვნა მეცნიერს, დაბადების 70 წლის იუბილეზე]. გაზ. „სტალინელი“, №254, 25 დეკემბერი, 1957, გვ. 3.
6. **სარედაქციო**: Во дворце пионеров и школьников: Газ. „Кутаисская Правда“, №139, 22 ноября, 1958, стр. 4.
7. **სარედაქციო**: მომავალ პედაგოგთა სამეცნიერო სესია. გაზ. „სტალინელი“, №54, 16 მარტი, 1960, გვ. 2 [ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტთა II სამეცნიერო სესია. მოწონება დაიმსახურეს პ. ცხადაიას... და სხვა სტუდენტთა მოხსენებებმა].
8. **სარედაქციო**: ერთი ლექსის საღამო. გაზ. „სტალინელი“, №62, 27 მარტი, 1960, გვ. 3.
9. **რუთა ბერძე**, იოსებ გრიშაშვილი ქუთაისში. გაზ. „სტალინელი“, № 99, 20 მაისი, 1960.
10. **რ. განჩილაძე**, სტუდენტთა XXIX სამეცნიერო კონფერენცია. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, №15, 29 აპრილი, 1967.
11. **ა. კოვალიოვი**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 7 მაისი, 1967.
12. **დავით ფიფია**, ღია წერილი სახალხო მასწავლებელს ალექსი ცხადაიას. გაზ. „კომუნისმის დროში“, 1967, გვ. 3 (ფოტოზე: პ. ცხადაია ოჯახის წევრებთან ერთად).
13. **რაფიელ შამელაშვილი**, „ტოპონიმია“ – გამოცემათა ახალი სერია, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 16 თებერვალი, 1977.
14. **რ. შამელაშვილი**, ქართული ტოპონიმის შესწავლისათვის. გაზ. „წიგნის სამყარო“, №24, 1977.

15. **ა. ბოტოველი**, ტოპონიმიკური საუნჯე. გაზ. „თბილისი“, 24 თებერვალი, 1977.
16. **ირინე ასათიანი**, მსჯელობენ ფილოლოგები. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, აპრილი, 1978.
17. **მაია ებრალიძე**, სიტყვა – საქმიანი, საქმე – სიტყვიანი. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 29 დეკემბერი, 1978.
18. **რაფიელ შამელაშვილი**, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (რეცენზია). გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 20 აგვისტო, 1985.
19. **რაფიელ შამელაშვილი**, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია. გაზ. „წიგნის სამყარო“, 11 სექტემბერი, 1985.
20. **Winfried Boeder**, Cxadaia, p'aat'a, mtiani samegrelos t'o'ponimia 9enatmecnieruli analizi) (Die Toponymie von Hochmingrelien. SprachWissenschaftliche Analyse), 1985, 212 p. Revue des etudes Georgiennes et Caucasiennes, #3, 1987, Pariz, p. 243.
21. **რაფიელ შამელაშვილი**, მეცნიერული კეთილსინდისიერების ნიმუში (ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი): ჟურნ. „საქართველოს ბუნება“, მარტი, 1990, გვ. 42-43.
22. **ნესტან კვეციანი**, ჭეშმარიტად დიდი საქმე. გაზ. „ქუთაისი“, 13 დეკემბერი, 1993. იგივე წერილი იხ: კრ. „დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, ქუთ., 2003, გვ. 76-77.
23. **ლუიზა ხაჭაპურიძე**, საუბრები დიალექტოლოგიაზე. გაზ. „ქუთაისი“, 9 ივნისი, 1994 იგივე წერილი იხ: კრ. „დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, ქუთ., 2003, გვ. 92-94].
24. **ტარიელ ფუტყარაძე**, **ლ. ხაჭაპურიძე**, სიკეთე დღესაც ყვავილობს, ანუ მეცნიერები ქველმოქმედებასაც პირველნი ახერხებენ. გაზ. „მსგეფსი“, 24-31 დეკემბერი, 1994.
25. **ნესტან კვეციანი**, ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო. გაზ. „ფასკუნჯი“, მარტი, 1995. იგივე წერილი იხ: კრ. „დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, ქუთ., 2003 [იგივე წერილი იხ: კრ. „დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, ქუთ., 2003, გვ. 86-90].

26. **მ. ბახუტაშვილი**, მთავარია იდეა + ფინანსები [პ. ცხადაია – ქუთაისის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი]. გაზ. „იმერეთის მოამბე“, ივნისი, 1995 [იგივე წერილი იხ: კრ. „დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, ქუთ., 2003, გვ. 98-101].
27. **მ. მუმლაძე**, ქუთაისის დიალექტოლოგიის ინსტიტუტი 3 წლისაა. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 11-18 აგვისტო, 1995 [იგივე წერილი იხ: კრ. „დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, ქუთ., 2003, გვ. 102-105].
28. **ლელა ხაჭაპურიძე**, ქართველოლოგთა სიმპოზიუმი ქუთაისში. გაზ. „ქუთაისის უნივერსიტეტი“, მაისი, 1999 [იგივე წერილი იხ: კრ. „დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, ქუთ., 2003, გვ. 147-151].
29. **ალექსანდრე ღლონტი**, ნაშრომი კოლხეთის მიკროტოპონიმიაზე: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 96, 14 აპრილი, 1999.
30. **მიხეილ აბუნდაძე**, ოცნება ხმამაღლა [წიგნში დაბეჭდილია პ. ცხადაიასადმი მიძღვნილი ლექსი „ჭანხურა“], თბ., 2000, 65.
31. **სარედაქციო**: ტოპონიმები და მიკროტოპონიმები. ჟურნ. „რაჭველები“, №14, 1. XI – 1. XII, 2010 [ინფორმაცია პ. ცხადაიას მიერ გამოცემულ რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სამ წიგნზე].
32. **ოლეგ სალია**, ვინც მშობლიურ კუთხეს დიდებით მოსავს... სიდინჯით ამაღლებული: გაზ. „ეგრისი“, №1, 1-16 იანვარი, 2003.
33. **სარედაქციო**: ონომატოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო სესია. მიეძღვნა ფარნაოზ ერთელიშვილის ხსოვნას. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, №44 (1954), 29 დეკემბერი, 2003.
34. **ზაურ ფიფია**, მისხალ-მისხალ მოგროვილი მშობლიური სახელები. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №299, 25 დეკემბერი, 2004.

35. **გურამ ბედოშვილი**, საყურადღებო გამოკვლევა (რეცენზია წიგნზე – „რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი“, წიგნი I, თბ., 2003), გაზ. „რეო“ № 9, 2005 (დასასრული).
36. **სარედაქციო**: სამეცნიერო სესია მიეძღვნა გრანტის შესრულებას: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 10. 02, №3-4 (2033), 2006.
37. **გურამ ბედოშვილი**, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი [ნაშრომის II ტომის გამოსვლის გამო], გაზ. „რეო“, №13 (146), 1-15 მკათათვე, 2006.
38. **გაიოზ ნადირაშვილი**, თსუ სიღნაღის ფილიალის დირექტორის ბრძანება №7, 15 მარტი, 2006: კრ. „სიღნაღი – 2“, თბ., 2007, გვ. 122-124.
39. **პ. ცხადაია**, სიღნაღის რაიონის მოსწავლეთა სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენციის მონაწილეებს მოკლე ინსტრუქცია ონომასტიკური მასალის ჩასაწერად. კრ. „სიღნაღი – 2“, თბ., 2007, გვ. 128-131.
40. **მაია ტორაძე**, მეცნიერები საგრანტო კონკურსზე უფრო მეტ ობიექტურობას მოითხოვენ. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, №3, 10 მარტი, 2008, გვ. 6.
41. **ლექსიკონთა ლექსიკონი**. I ნაწილი, შემდგენელი იზოლდა რუსაძე, ქუთაისი, 2009 [მოცემულია პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას ტოპონიმიკურ ლექსიკონთა ანოტაციები, გვ. 129-131].
42. **რობინზონ ჭელიძე**, მნიშვნელოვანი წიგნი რაჭის შესახებ. გაზ. „ამბროლაურის მოამბე“, 21. X. 2010, გვ. 6.
43. ტოპონიმები და მიკროტოპონიმები: ჟურნ. „რაჭველები“, თბ., 2010 (პაატა ცხადაიას წიგნის „რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი“-ის გამოცემასთან დაკავშირებით).
44. **გურამ ბედოშვილი**, ახალი ონომასტიკური კრებული (ქართველური ონომასტიკა“, IV): გაზ. „საქართველოს ბიბლიოთეკა“, თბ., 2010.
45. **ჰაინც ფენრიხი**, **ზურაბ სარჯველაძე**, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (მეორე გადაამუშავებული გამოცემა), თბ., 2010. [გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებულია პ. ცხადაიას 4 სტატია, გვ. 46-47].

46. **გურამ თაყნიაშვილი**, ახალი ონომატოლოგიური კრებული („ქართველური ონომასტიკა“, IV). „საქართველოს ბიბლიოთეკა“, თბ., 2010.
47. **რობინზონ ჭელიძე**, წიგნი, რომელიც უკეთ გვაცნობს რაჭას: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, №13, 16 ნოემბერი, 2011.
48. ტოპონიმია – წარსულის მაცნე: თსუ მეცნიერება (სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი (ქართულ და ინგლისურ ენებზე). საინფორმაციო წერილი ტოპონიმის ლაბორატორიაზე (ამჟამად ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრი) და მის ხელმძღვანელზე), თბ., 2011.
49. **ივორ კეკელია**, მასალები კოლხეთის ტოპონიმთა ლექსიკონისათვის (რეცენზია პ. ცხადაიას წიგნზე – „ლენხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, ლაჯანურის ხეობა“, თბ., 2014): გაზ. „ილორი“, №337 (396), 27 ოქტომბერი - 3 ნოემბერი, 2015, გვ. 6; №338 (397), 3 - 10 ნოემბერი, 2015, გვ. 3.
50. **ივორ კეკელია**, სენაკის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სალექსიკონო მასალების შესახებ [რეცენზია პაატა ცხადაიას წიგნზე]: „ქართველური ონომასტიკა, VII“, თბ., 2015, გვ. 434-450.
51. **ივორ კეკელია**, მარტვილის რაიონის ტოპონიმთა ორტომეულის შესახებ: გაზ. „მარტვილი“, №6, 31 ივლისი, 2015, გვ. 4; №10, 28 ოქტომბერი, 2015, გვ. 4.
52. **ივორ კეკელია**, „მიწის ენაში“ შენახული წარსულის ხსოვნა (რეცენზია პაატა ცხადაიას წიგნზე – „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), 2012): გაზ. „მარტვილი“, №8, 31 აგვისტო, 2015, გვ. 4; გაზ. „ილორი“, №331, 15-22 სექტემბერი, 2015, გვ. 7; №336, 20-27 ოქტომბერი, 2015, გვ. 6.
53. **ივორ კეკელია**, ლენხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი (ლაჯანურის ხეობა) [რეცენზია პ. ცხადაიას წიგნზე – „ლენხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I. ლაჯანურის ხეობა“, თბ., 2014]: გაზ. „ლენხუმი“, №11 (46), ნოემბერი,

- 2015, გვ. 6; №1 (48), იანვარი, 2016, გვ. 6 (გაგრძელება); №2 (49), თებერვალი, 2016, გვ. 6 (დასასრული).
54. პროფესიული ახალი წიგნების პრეზენტაცია: „საქართველოს ბიბლიოთეკა“, №1 (62), 2016 [ვრცლადია მიმოხილული „ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2015-2016 წლებში გამოცემული 6 ნაშრომი].
 55. **ივორ კეკელია**, ქართველური ტოპონიმიის მნიშვნელოვანი შენაძენი [რეცენზია პ. ცხადიას წიგნზე – „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, აბაშის რაიონი, VIII, თბ., 2013]: გაზ. „ილორი“, №329 (388), 18-25 აგვისტო, გვ. 3; იგივე (დასასრული), 8-15 სექტემბერი, 2015.
 56. **ივორ კეკელია**, აბაშის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი (რეცენზია პროფესორ პაატა ცხადიას წიგნზე). გაზ. „აბაშის მაცნე“, №16, 2015, გვ. 6-7.
 57. **შურთხია ბეროშვილი**, საკვლევი კვლავ ბევრია, რასაც დაფინანსება და ხელშეწყობა სჭირდება: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, № 6, 15 მაისი, 2015 [მოკლე ნარკვევი VII რესპუბლიკურ ონომასტიკურ სესიაზე].
 58. **ივორ კეკელია**, მუსხლიაურელი შემოქმედი (პროფესორ პაატა ცხადიას დაბადებიდან 80 წლისთავისათვის): გაზ. „მარტვილი“, №2, 23 თებერვალი, 2017.
 59. **ივორ კეკელია**, პროფესორი პაატა ცხადია 80 წლისა: გაზ. „აბაშის მაცნე“, № 3, 2017.
 60. **ივორ კეკელია**, **გოგიტა ჩიტაია**, კოლხეთის ტოპონიმიკის უხადო მკვლევარი (პროფესორ პაატა ცხადიას 80 წლისთავისათვის): გაზ. „ხობის მოამბე“, №1, 28 აპრილი, 2017, გვ. 9.
 61. **ივორ კეკელია**, გამოჩენილი ენათმეცნიერი და მოღვაწე (პროფესორ პაატა ცხადიას დაბადებიდან 80 წლისთავისათვის): გაზ. „ვერისი“ (წალენჯიხა), №3, აპრილი, 2017.
 62. **ივორ კეკელია**, ქართველური ონომასტიკის მოჭირნახულე (პროფესორ პაატა ცხადიას დაბადებიდან 80 წლისთავის გამო): გაზ. „კოლხეთი“, №8, 16-30 აპრილი, 2017.


63. იგორ კეკელია, ქეთევან მარგიანი, პ. ცხადაია – შემოქმედი და მოღვაწე: ჟურნ. „ფილოლოგიური პარალელები“, №7, თბილისი, 2017.
64. იგორ კეკელია, წიგნი და ავტორი (რეცენზია პაატა ცხადაიას წიგნზე – „წაღენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი“): ჟურნ. „ენათმეცნიერების საკითხები“, თბილისი, 2016.

დანართი: „ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ (Лингвистический энциклопедический словарь, Москва, 1990) აღნიშნულია, რომ ტოპონიმიკური კვლევა-ძიების ლინგვისტიკურ ცენტრებს შორის (დასახელებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორია (გვ. 516).

ფოტოსურათები



პ. ცხადია 1959 წ.



პ. ცხადია სირიის არაბთა
რესპუბლიკაში მუშაობის პერიოდში.
1968 წ.



შეხვედრა აკად. გიორგი ახვლედიანთან.
ქუთაისი. 1957 წ.




პ. ცხადია ქ. მაიაკინის სკოლის მოსწავლეებთან ერთად. ყაზახეთი. 1962 წ.



ოსუ სტუდენტთა XXIX სამეცნიერო კონფერენციის მონაწილენი: პ. ცხადია (შუაში) ვილნიუსელი ა. ვაშკიალისი და მოსკოველები – დ. ერმაკოვა, დ. გორიაევა და ვ. ბეილისი. აპრილი. 1967 წ.



პ. ცხადია კურსელებთან ერთად "შიომღვიმეში". 1967 წ.



ქართველი თარჯიმანი პ. ცხადია
არაბ მუშებთან. 1968 წ. სირია.




პ. ცხადია. 1969 წ.



პ. ცხადია პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილთან ერთად,
თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში.
1970 წ.



თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიისა და ზუგდიდის ისტორიულ-
ეთნოგრაფიული მუზეუმის გაერთიანებული სამეცნიერო სესიის
მონაწილენი. მესამე რიგში, მარცხნიდან მესამე – პ. ცხადია. 1978 წ.



პ. ცხადია კითხულობს მოხსენებას



პროფესორები – დამანა მედიქიშვილი, დარეჯან თვალთვაძე და პაატა ცხადია. თსუ V რესპუბლიკური ონომატოლოგიური სამეცნიერო სესია. 18 ივნისი, 2009 წ.



მარცხნიდან: პაატა ცხადაია, ვილენა ჯოჯუა, დოდო შონია და ქეთევან გოდერძიშვილი თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში. 2005 წ.



მარცხნიდან: გაიოზ ნადირაშვილი (თსუ სიღნაღის ფილიალის რექტორი), პროფ. თედო უთურგაიძე, პროფ. პაატა ცხადაია, პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე და პროფ. რევაზ ძნელაძე.



თსუ ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრის VI ონომასტიკური სამეცნიერო სესიის მონაწილენი. მარცხნიდან: პროფ. კობა ხარაძე, პროფ. პაატა ცხადია, პროფ. სერგო მელიქიძე, ისტორიკოსი ივანე კეკელია.



პროფ. პაატა ცხადია და პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე თსუ-ის დაარსების 95 წლისთავზე. 8 თებერვალი, 2013 წ.




მამა-შვილი თაია და პაატა
ცხადაიები



მამა-შვილი
პაატა და თორნიკე ცხადაიები. 2013 წ.



მარცხნიდან: თორნიკე ცხადია, შერაბ ცხადია, მაშო სახვაძე, დოდო ქიტუაშვილი, თაია ცხადია, პაატა ცხადია, დოდო შონია, რევაზ ძნელაძე, გიორგი ქიტოშვილი. თსუ, 8 თებერვალი, 2013 წ.



მარცხნიდან: პროფესორები – თეიმურაზ გვანცელაძე, პაატა ცხადია, ზურაბ ჭუმბურიძე. 23 მასის, 2015 წ.



პ. ცხადია

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი . პ ა ა ტ ა ც ხ ა დ ა ი ა ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს გ ზ ა	7
§1. პ. ცხადიაა ჯვარის საშუალო სკოლაში	7
§2. პ. ცხადიაა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში	11
§2. 1. მოღვაწეობა თსუ-ის ტოპონიმის ლაბორატორიაში/ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში	29
§2. 2. საკანდიდატო დისერტაციის დაცვა	47
§2. 3. სადოქტორო დისერტაციის დაცვა	91
თ ა ვ ი მ ე ო რ ე . პ ა ა ტ ა ც ხ ა დ ა ი ა ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი ო ნ ო მ ა ს ტ ი კ ი ს ტ ე რ მ ი ნ ო ლ ო გ ი უ რ ი და თ ე ო რ ი უ ლ ი პ რ ო ბ ლ ე მ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ	199
§3. ონომასტიკის ტერმინოლოგიური პრობლემები	199
§4. ონომასტიკის თეორიული პრობლემები	203
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე . რ ე გ ი ო ნ უ ლ ი ტ ო პ ო ნ ი მ ი ს ა ღ წ ე რ ი ს ა და კ ვ ლ ე ვ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ე ბ ი	254
§5. კოლხეთის ტოპონიმის მასალები	254
§6. სამურზაყანოს ტოპონიმის მასალები	263
§7. სამეგრელოს ტოპონიმის მასალები	267
§7. 1. ზუგდიდის რაიონი	267
§7. 2. ხობის რაიონი	268
§7. 3. ჩხოროწყუს რაიონი	269
§7. 4. მარტვილის რაიონი	272
§7. 5. აბაშის რაიონი	285
§7. 6. სენაკის რაიონი	298
§7. 7. წალენჯიხის რაიონი (მუნიციპალიტეტი)	313
§8. რაჭის ტოპონიმის მასალები	328
§9. ლეჩხუმის (ლაჯანურის ხეობის) ტოპონიმის მასალები	338
§10. აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი	350
თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე . უ რ ბ ო ნ ი მ ი ს ზ ო გ ი ე რ თ ი პ რ ო ბ ლ ე მ უ რ ი ს ა კ ი თ ხ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ	373
ბ ო ლ ო თ ქ მ ა	385
პ ა ა ტ ა ც ხ ა დ ა ი ა ს ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა	387
ფ ო ტ ო ს უ რ ა თ ე ბ ი	423

ივორ კეკელია

**პატა ცხადა –
ქართველური ონომასტიკის
მოტირნახულე
(მონოგრაფია)**

ქუთაისი
2017

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ნინო პატარაია**
ტექნიკური რედაქტორი: **ჯაბა ხორაფა**
კორექტორი: **ალექსანდრე კოკაია**

გადაეცა წარმოებას 1. 05. 2017. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 05. 2017.
ქაღალდის ზომა A5, 64x80, ნაბეჭდი ფორმა 1/16, 27,25.
ტირაჟი 70